



შესავალი ლგბტ
ჟურნალისტიკაში



იდენტობა | Identoba



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობას“ მიერ, პროექტის ფარგლებში „ქართველ სტუდენტთა მგრძობელობის ამაღლება ლგბტ საკითხებში“. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში. ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს დონორის პოზიციას.

ავტორი: შორენა გაბუნია

რედაქტორი: ირაკლი ვაჭარაძე

განსაკუთრებული მადლობა: ნათია გვიანიშვილს ნაშრომის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

Current publication was prepared by non-governmental organization Identoba, within the frames of the project “Sensitization of Georgian Students on LGBT Issues”.

The opinions expressed in this publication may not reflect the position of the donor.

პუბლიკაციის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ან გადაბეჭდვა „იდენტობას“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მოკლე ციტატების გამოყენება სტატიებში, წყაროს მითითებით.

Partial or full reproduction of any part of this publication is not permitted without prior written consent from Identoba, with the exception of short quotations in critical articles and essays.

შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში

თბილისი, 2013

განმარტებითი ლექსიკონი

ა

აგიტაცია (ლათ. agitation - მოძრაობაში მოყვანა) - სიტყვიერი, ბეჭდვითი ან თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც ადამიანების ცნობიერებასა და განწყობაზე ზემოქმედებს მათი პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებებით დარწმუნების მიზნით.

აგრესია (ლათ. aggressio - თავდასხმა) - ინდივიდუალური ან კოლექტიური ქცევა, მოქმედება, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენებისაკენ.

ადვოკატირება (ინგლ. advocacy) - კამპანია ან ქმედება, რომელიც მიმართულია გარკვეული სოციალური ჯგუფის ინტერესთა ან უფლებების დაცვისაკენ. ადვოკატირების კამპანიის ზემოქმედების ობიექტს წარმოადგენს ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა - სახელმწიფო ჩინოვნიკები (გადაწყვეტილების მიმღები პირები); ზემოქმედების მიზანია გარკვეული სტრუქტურული ცვლილებების მიღწევა (მაგალითად, კანონების მიღება) იმ ჯგუფთან მიმართებაში, რომლის ინტერესებზეც მიღებული გადაწყვეტილება მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას. ადვოკატირების მიზანია უფლებათა დაცვა და არა შეხედულებების გავრცელება, როგორც მაგ. პროპაგანდის დროს.

ადიულტერი (ფრ. adultère) - ცოლქმრული ღალატი.

ამბივალენტობა (ლათ. ambo - ორივე, valentia - ძალა) - რაიმეს (ვინმეს) მიმართ გაორებული დამოკიდებულება, გაორებულობის განცდა, რომლის დროსაც ადამიანი ერთი და იგივე ობიექტის მიმართ ერთბაშად ორ ურთიერთსაპირისპირო გრძნობას განიცდის.

ანდროგინი (ძვ. ბერძ. ανδρεία - სიმამაცე, γένος გვარი) - კაცის სასქესო ჰორმონები (ტესტოსტერონი, ანდროსტერონი და ა.შ.), რომელიც იწვევს ორგანიზმის მასკულინიზაციას (გაკაცურებას).

ანდროგინია (ძვ. ბერძ. ανδρεία - კაცი, ბერძ. γυνή - ქალი) - ინდივიდისათვის დამახასიათებელი ერთდროულად კაცური და ქალური თვისებები.

ანდროფილია (ძვ. ბერძ. ανδρας (andras/კაცი), φιλία - სიყვარული, მეგობრობა) - კაცური ჰომოსექსუალობის ნაირსახეობა, ლტოლვა მოზრდილი (უფროსი) კაცების მიმართ.

ანდროლოგია (ძვ. ბერძ. ανδρολόγος - კაცი, λόγος - სიტყვა, სწავლება) - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კაცის ორგანიზმის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას.

ანდროფობია (ძვ. ბერძ. ανδρας (andras/კაცი), φόβος (phobos/შიში) - კაცების სიძულვილი.

ასექსუალობა - სექსუალური ლტოლვის არარსებობა მოზრდილ ადამიანებში.

აუთინგი (ინგლ. outing) - მეორე ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მისი ნებართვის გარეშე საჯაროდ გაცხადება. ლგბტ თემის წევრთა უმეტესობა აუთინგს მიუღებლად მიიჩნევს.

აუთრიჩ-მუშაკი (ინგლ. outreach - გარე კონტაქტი) - სოციალური მუშაკი, რომელიც ემსახურება დახურულ (ძნელად მისაწვდომ) სოციალურ ჯგუფს მისთვის ჩვეულ გარემოში.

აუთრიჩ-მუშაობა - სამიზნე ჯგუფის (როგორც წესი, სოციალურად დაუცველის) სოციალური მომსახურებებით უზრუნველყოფა მისთვის ჩვეულ გარემოში; ქუჩის სოციალური სამუშაო.

აფირმატიული პრაქტიკა (ინგლ. Affirmative - პოზიტიური, დადებითი) - ქმედება, რომელიც მიმართულია რომელიმე სოციალური ჯგუფის მხარდასაჭერად. ასევე, აფირმატიულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს აფირმატიული თერაპია - ლგბტ ადამიანების ანტიჰომოფობიური ფსიქოთერაპია.

აქტივიზმი (ლათ. activus - აქტიური) - მრავალმხრივი მუშაობა. ქართულ ენაში ამ ცნების სინონიმებად მოიაზრება „საზოგადოებრივი მოღვაწეობა“, „საზოგადოებრივი მოძრაობა“.

ბ

ბერდაჩე (ესპ. berdache), ანუ **ადამიანი ორი სულით** (ინგლ. twin-spirit) - ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა სხვადასხვა ტომებში: მესამე სქესის ადამიანები, ტრანსგენდერები. ისინი ხშირად საკულტოსარიტუალო ფუნქციებს ასრულებდნენ.

ბისექსუალობა (ლათ. bi - ორი, sexus - სქესი; სიტყვასიტყვით - „ორმაგი სექსუალობა“) - ფართო მნიშვნელობით ორივე სქესისათვის დამახასიათებელი თვისებების ფლობა (ანდროგინია), ვიწრო გაგებით – სექსუალური ლტოლვა ორივე სქესის წარმომადგენელთა მიმართ.

ბიფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ბისექსუალი ადამიანებისადმი, რომელიც ხშირად არის დაკავშირებული ისეთ სტერეოტიპებთან, როგორიც არის ურთიერთობებში ორგულობა/მოღალატეობა, მოუწესრიგებელი სექსუალური ცხოვრება და სექსუალური გზით გადამდები დაავადებების გავრცელება.

გ

გეი (ინგლ. gay - უზრუნველი, მხიარული, გამორჩეული, არტისტული) – ზედსართავი სახელი, რომელიც გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, ვინც განიცდის მდგრად ფიზიკურ, რომანტიკულ და ემოციურ მიზიდულობას თავისივე სქესის ადამიანების მიმართ. ეს ტერმინი, როგორც წესი, ჰომოსექსუალი კაცებისადმი გამოიყენება, მაშინ, როცა ქალური ჰომოსექსუალობა სიტყვა „ლესბოსელით“ აღინიშნება. თანამედროვე სამყაროში გეებისა და ლესბოსელებისათვის „ჰომოსექსუალის“ დაძახება უკვე არასასურველ ტონად მიიჩნევა, რადგან ეს ტერმინი დღესდღეობით დრომოჭმული და მეტისმეტად დიდი სამედიცინო დატვირთვის მატარებელია. თუმცა, სიტყვა „ჰომოსექსუალი“ მაინც მოკლებულია ისეთ აგრესიულ მნიშვნელობას, როგორც სიტყვა „ჰომოსექსუალისტია“.

გენდერი (ინგლ. gender, ლათინურიდან genus - გვარი) - სოციალური სქესი, განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცე-

მულობით (სპეციფიკური სოციალური ფუნქციები საზოგადოებაში, კულტურული სტერეოტიპები და ა.შ.). ბიოლოგიური სქესისაგან განსხვავებით, გენდერი სქესის სოციალურ განზომილებას წარმოადგენს – ერთგვარ სოციოკულტურულ ფენომენს, რომელიც ასახავს კაცად და ქალად ყოფნის თავისებურებებს ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგ. ამ საზოგადოებაში კაცს შეიძლება ჰქონდეს სოციალური როლი, რომელიც ტრადიციულად ქალის როლად მიიჩნევა (მაგ. ბავშვების მოვლა და დიასახლისობა), მაგრამ ეს ქცევა მას ფიზიკურად ნაკლებად კაცურს სულაც არ ხდის. კაცისა და ქალის სოციალურ როლებს თავად საზოგადოება ქმნის, მისთვის დამახასიათებელი კულტურული ნორმებითა და ფასეულობებით.

გენდერული იდენტობა - ადამიანის შინაგანი, პირადი გრძნობა, რომელიც ამა თუ იმ სქესისადმი მიკუთვნებულობას ეხება. ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში, დაბადებისას მინიჭებული სქესი და მათი შინაგანი გენდერული იდენტობა არ ემთხვევა ერთმანეთს.

გენდერული იდენტობის აშლილობა - ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ გამოცემულ მენტალურ დაავადებათა მეოთხე დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში შესული საკამათო დიაგნოზი, რომელიც ტრანსგენდერ და სხვა გენდერულად ცვალებად ადამიანებს ენიჭება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დიაგნოზის მიხედვით ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა „აშლილობად“ მოიხსენიება, ტერმინი „გენდერული იდენტობის აშლილობა“ ხშირად დამამცირებლად მიიჩნევა. დიაგნოზი ხშირად ენიჭებათ ბავშვებს, რომლებიც არ ემორჩილებიან მათთვის საზოგადოების მიერ მიწერილ ჩაცმულობის, თამაშისა და ქცევის გენდერულად სტერეოტიპულ ნორმებს. ასეთ ბავშვებს ინტენსიურ ფსიქოთერაპიას უქვემდებარებენ ხოლმე, ისევე, როგორც ცდილობენ მათი ქცევის შეცვლასა და ინსტიტუციონალიზაციას. გენდერული იდენტობის აშლილობა ცვლის უფრო მოძველებულ „გენდერული დისფორიის“ ტერმინს.

გენდერული თვითგამოხატვა - ადამიანის გენდერული იდენტობის გარეგანი გამოხატვა, რომელიც ხშირად „ფემინურ“, „მასკულინურ“ ან გენდერულად ცვალებად ქცევაში, ჩაცმის სტილში, ვარცხნილობაში, ხმასა ან სხეულებრივ მახასიათებლებში გამოიხატება. როგორც წესი, ტრანსგენდერი ადამიანები ცდილობენ საკუთარი გენდერული თვითგამოხატვა შეუსაბამონ თავიანთ გენდერულ იდენტობას და არა თავიანთ ბიოლოგიურ სქესს.

გენიტალიები - ადამიანის სასქესო ორგანოები.

გენოტიპი - ორგანიზმის ყველა გენის ერთობლიობა, ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი.

გერონტოფილია (ბერძ. geron (gerontos) - მოხუცი, philia - სიყვარული, მეგობრობა), **პრესბიოფილია** - სექსუალური ლტოლვა, რომელიც ვლინდება ასაკოვანი, მოხუცი ადამიანების მიმართ.

ღ

დევიაცია - ნორმიდან გადახრა. **დევიაცია სექსუალური** - გადახრა სექსუალური ქცევის მისაღები (მოცემული ეთნიკური კულტურის ფარგლებში) ნორმებიდან, როცა სექსუალური აღგზნება ან ორგაზმი მიიღწევა ატიპური ან არსებული კულტურით დაუშვებელი ქმედებების შედეგად. სექსუალური დევიაცია კლასიფიცირდება, როგორც გადახრა ა) ლტოლვის ობიექტთან მიმართებაში (პედოფილია, ეფებოფილია, გერონტოფილია, ზოოფილია, ფეტეიზმი, ინცესტი, ნარცისიზმი, პიგმალიონიზმი, ნეკროფილია და სხვ.), და ბ) ლტოლვის გამოხატვის ფორმაში (სადიზმი, მაზოხიზმი, ექსპიზიციონიზმი, ვუაიერიზმი და ა.შ.).

დეფემინიზაცია (ლათ. de მოცილება, მოსპობა) - ბიჭებში ხასიათისა და ქცევის ქალური ფორმების გადალახვის პროცესი, რომელიც ძირითადად აღზრდის პროცესში მხოლოდ ქალების გარემოცვაში ყოფნითაა გამოწვეული.

დიფამაცია (ლათ. diffamatio ხმის გავრცელება, საიდუმლოს გაცემა) - მასმედიაში გამონაგონის, მადისკრიმინირებელი ინფორმაციის გავრცელება კონკრეტული ადამიანისა თუ ადამიანთა გარკვეული

ჯგუფის მიმართ. ეს არის დანაშაული, რომელიც სისხლის სამართლის კვალიფიკაციით ცილისწამებას ენათესავება, მაგრამ მისგან ორი ნიშნით განსხვავდება:

- 1 დიფამაცია არის დამალული და ვილაცისტვის სასირცხვილო ფაქტების გახმაურება მხოლოდ მედიაში, მაშინ, როდესაც ცილისწამება შეიძლება განხორციელდეს როგორც მედიის, ისევე ვერბალური საშუალებით, სიტყვებით, ანდა სხვა წერილობით ფორმით.
- 2 დიფამაციის შემთხვევაში დანაშაული მდგომარეობს ვილაცისტვის სასირცხვილო ფაქტების გამომზეურებაში, განურჩევლად იმისა, შეესაბამება თუ არა ისინი სიმართლეს. ცილისწამება კი ყოველთვის განიხილება როგორც გამონაგონის, ცრუ ამბების განზრახ გავრცელების მცდელობა.

დიფამაციის კონტექსტში ბანალური ჭორის დაყრა იგულისხმება, რომელშიც შესაძლოა, ცილისწამებისგან განსხვავებით, სიმართლის გარკვეული დოზაც ერიოს. დიფამაციას ხშირად კონსერვატული შეხედულების ადამიანები მიმართავენ. საეკლესიო და ულტრანაციონალისტური რიტორიკის გამოყენებით, ისინი ლგბტ ადამიანებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საჯაროდ განიკითხავენ და ყველა სასიკვდილო ცოდვაში მათ ადანაშაულებენ.

დისკრიმინაცია (ლათ. discriminatio - განსხვავება) - საზოგადოების ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის უფლებების შეზღუდვა ან დარღვევა მასზე უპირატესობის დემონსტრირების მიზნით, სქესის, რასის, გენდერის, სოციალური სტატუსის, რელიგიური ან პოლიტიკური მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან საქმიანობის ნიადაგზე. უფლებების შეზღუდვა შესაძლოა მხარდაჭერილი იყოს კანონის მიერ (სამართლებრივი დისკრიმინაცია - დე იურე), ან ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებულ მორალურ ნორმებს (არაოფიციალური დისკრიმინაცია - დე ფაქტო).

ემპათია (ინგლ. empathy) - სხვა ცოცხალი არსების, ადამიანის ან ცხოველის ემოციების გამოცნობის უნარი, სხვის სუბიექტურ სამყაროში წვდომა, თანაგრძნობა, თანაღმობა.

ეროტიზმი (ბერძ. eros (erotos) - სიყვარული) - სექსუალური ლტოლვის სხვადასხვა გამოვლინებების საერთო დასახელება.

ეროტ (სინონიმი - ეროსი) - ძველბერძნულ მითოლოგიაში სიყვარულის ღმერთი.

ესენციალიზმი (ლათ. essentia - არსი, აუცილებლად არსებული, თავისთავად ნაგულისხმევი) - თეორიულ კონცეფციათა თავისებურება, რომლებშიც რაღაც უცვლელის, მყარის, დაფიქსირების მცდელობა იკვეთება. ესენციალიზმის თანახმად, ადამიანებს/მოვლენებს გააჩნიათ ძირითადი და უცვლელი არსი.

3

ვირილიზაცია (ლათ. virilis - კაცური, კაცისთვის დამახასიათებელი) - კაცური ნიშნების გამოვლინება ქალებში ანდროგენების გავლენით (აღნაგობის ტიპი, ჭარბთმიანობა, ხმის ტემბრი და სხვ.).

ვირილიზმი - ქალებში კაცის მეორეული სასქესო ნიშნები. ვირილიზმის დროს აღინიშნება ხმის დაბოხება, ჭარბთმიანობა (როგორც სახეზე, ისე ტანზე), მენსტრუაციის უქონლობა ან დანყებისთანავე შეწყვეტა, ქალის მუსკულატურისა და ჩონჩხის მსგავსება კაცისასთან. გამოწვეულია ორგანიზმში ანდროგენების სიჭარბით. ხშირ შემთხვევაში ჩნდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადებების დროს.

ვოლონტიორი (ლათ. voluntarius - მოხალისე) - პირი, რომელიც საქველმოქმედო ან სხვაგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწევა თავისი ფიზიკური ან გონებრივი რესურსის უსასყიდლოდ გამოყენების თანხმობით.

თ

თანასწორუფლებიანობა - ყველა მოქალაქეს, განურჩევლად კანის ფერისა, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა მრწამსისა, სქესისა,

ასაკისა, საცხოვრებელი ადგილისა, ენისა და სხვა ნიშნებისა, გააჩნია თანაბარი უფლებები. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე. **თემი** - საერთო მიზნების, ინტერესების, შეხედულებების, საქმიანობის, ჰობის, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, ეროვნების ან პრობლემების მქონე ადამიანთა შემაკავშირებელი ფაქტორი. თემის საფუძველს ადამიანებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს.

o

ინტერნალიზებული ჰომოფობია (ინტერნალური, გაშინაგანებული ჰომოფობია) (ლათ. interims - შინაგანი) - ჰომოფობიის ერთ-ერთი სახეობა, სიტუაცია, როდესაც ჰომოსექსუალები ან ბისექსუალები შიშს ან ზიზღს განიცდიან ჰომოსექსუალობის (ჰომოსექსუალთა) მიმართ. ინტერნალიზებული ჰომოფობია აგრეთვე აღნიშნავს ინდივიდის შიშს, არ გახდეს ჰომოსექსუალი. ინტერნალიზებული ჰომოფობია საკუთარი შესაძლო ჰომოსექსუალური ქცევის წინაშე შიშია. ზოგიერთი ინდივიდი ამ შემთხვევაში ცდილობს თავისი ჰომოსექსუალური მისწრაფებებისა და სურვილების ჩაახშოს; სხვები ამას არ აკეთებენ, მაგრამ სხვადასხვაგვარი ნეგატიური ემოციების ქვეშ იმყოფებიან - დანაშაულის კომპლექსით, მოუსვენრობით, სინდისის ქენჭნით იტანჯებიან. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ინტერნალიზებული ჰომოფობიის **ლატენტური ჰომოსექსუალებისათვის** მიკუთვნება მართებული არ არის, რადგან ადამიანი არის ის, ვინც უნდა რომ იყოს, ხოლო ამ შემთხვევაში ინდივიდს ჰომოსექსუალად ყოფნა არ სურს.

ინტერნალიზებულ ჰომოფობიას ინდივიდის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის სხვადასხვაგვარი ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ამ დროს ადამიანს აღენიშნება თვითშეფასების დაქვეითება, ნევროტულობა, სხვადასხვა ფსიქოლოგიური კომპლექსის განვითარება, დეპრესია, სუიციდური ზრახვები და ქცევები. თავიანთი ორიენტაციის გარშემომყოფთათვის დამალვა ინტერნალიზებული ჰომოფობიის მატარებელ ინდივიდებს შესაძლოა თავისებურ პარანოიდულ ქცევაში გადაეზარდოს, რომელსაც თან

ახლავს ავადმყოფური ეჭვიანობა და უსაფუძვლო გაღიზიანებადობა. ასეთ ადამიანს მუდმივად ეჩვენება, რომ მას „ჩააღლებენ“, ყველაფერს გაუგებენ, რომ ზურგს უკან ყველა დასცინის, განიკითხავს, კიცხავს, რომ მალე სამსახურიდან გააგდებენ, რომ მისი დანახვა არავის სურს იმის გამო, რომ მისი ორიენტაციის შესახებ ან ხვდებიან, ან იციან. ეს ყველაფერი ხდება იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა რეალური საფუძველი მის ეჭვებს. ინტერნალიზებული ჰომოფობის საზოგადოებაში თვითდამკვიდრების ყველაზე აპრობირებული ხერხი სხვა (ღია) ჰომოსექსუალების გაუთავებელი ლანძღვა და დაცინვაა მათი სექსუალური ორიენტაციის გამო.

ინტერსექსი (ლათ. inter - შუა, შორის, sexus - სქესი) - (იხ. ჰერმაფროდიტიზმი) აღწერს ადამიანს, რომელსაც „ორმაგი“ ბიოლოგიური სქესი აქვს. არსებობს ბევრი გენეტიკური, ჰორმონული და ანატომიური ვარიანტი, რომელიც ადამიანის ინტერსექსუალობას განაპირობებს (მაგ. კლინოფელტერის სინდრომი). მშობლები და ექიმები ხშირად ინტერსექს ახალშობილებს რომელიმე კონკრეტულ სქესს მიანერნენ და შესაბამის ოპერაციასაც უტარებენ, რათა შესაბამისობაში მოიყვანონ ახალშობილის სხეული არჩეულ სქესთან. ეს პრაქტიკა სულ უფრო მეტად საკამათო ხდება და მის წინააღმდეგ უკვე ზრდასრული ინტერსექსი ადამიანები გამოდიან. ტერმინი ინტერსექსი არ შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა დეფინიციით და არ არის სინონიმი სიტყვა ტრანსგენდერისა.

3

კემპი (ინგლ. camp - ბანაკი, დროებითი სადგომი) - თანამედროვე ესთეტიკაში სპეციფიკურად განვითარებული ესთეტიკური გემოვნების აღმნიშვნელი ტერმინი, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველაფერ არაბუნებრივზე, გროტესკამდე გაზვიადებულზე, ხანდახან ვულგარულსა და უხეშზე დამყარებული ესთეტიკური გრძნობა, ხშირად ობივატელისთვის შოკის მომგვრელი, მანერული, კიჩური, უხამსი, მოუხეშავი, ამორალური, პორნოგრაფიული, თუმცა ხშირ შემთხვევაში დახვეწილი ესთეტიზმის მქონეც. კემპის სტანდარტებია

გადაჭარბებული თეატრალიზაცია, ხელოვნურობა, ფრივოლურობა, მანერულობა, სტილიზაცია. კემპი თავისი თავყვანისმცემლების მიერ კულტის დონეზე აყვანილი და გარკვეულწილად ჰერმეტიკულ სემანტიკას ატარებს, რომელიც ამაში გაურკვეველი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი არ არის.

რაც შეეხება ტერმინ „კემპის“ წარმომავლობას, ამერიკელმა კულტუროლოგმა და ესეისტმა სიუზან ზონტაგმა 1964 წელს გამოაქვეყნა ესეე „შენიშვნები კემპის შესახებ“ (Notes on Camp), რომლის გამოსვლის შემდეგ, დასახელებულმა ტერმინმა თანამედროვე ესთეტიკის ლექსიკონში ადგილი მყარად დაიმკვიდრა.

ზონტაგმა კემპი ჰომოსექსუალურ სუბკულტურას და ესთეტიკას დაუკავშირა. ხშირ შემთხვევაში, ამ გემოვნების მატარებელი ჰომოსექსუალები არიან, თუმცა არა მხოლოდ ისინი. ამ ესეს მეშვეობით, ავტორმა გვიჩვენა სუბკულტურა იატაკქვეშეთიდან გამოიყვანა და კულტურულ სივრცეშიგვების ადგილი და მნიშვნელობა პირველად განსაზღვრა. ესეეს გამოქვეყნებისთანავე, კემპი იმთავითვე აღიარებული კულტურული ფენომენი ხდება და შეიძლება ითქვას, ჩნდება კემპური ესთეტიკისკულტი. ამასთანავე, შეწყდა მსჯელობა ჰომოსექსუალთა თითქოს ცალკე გამოყოფილ, რაღაც განსაკუთრებულ ესთეტიკაზე. ჰომოსექსუალთა წვლილი აღიარეს კულტურულ და ინტელექტუალურ სფეროში. ეს60-იანი წლებისთვის სერიოზული გარღვევა იყო.

კემპი „გარყვნილების სახეობაა, - წერს სიუზენ ზონტაგი, - რომლის დროსაც ორმაგი ინტერპრეტაციის შესაქმნელად ფერადოვანი მანერა გამოიყენება“. თამაში და ზღვრამდე მისული სერიოზულობა, ექსტრავაგანტულობა და მიაშიტობა, უხამსობა და ესთეტიკაში კემპის ანტონიმური მახასიათებლებია.

კოიტუსი (ლათ. coitus - შერწყმა, შეერთება) - ორი ინდივიდის გენიტალური კონტაქტი სექსუალური სიამოვნების მიღების, ასევე გამრავლების, შთამომავლობის გაგრძელების მიზნით. არჩევენ ჰეტეროსექსუალურ (სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის)

და ჰომოსექსუალურ (ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის) კოიტუსს.

cruising zone, cruising area - ადგილი, სადაც შემთხვევითი, ერთჯერადი სექსუალური ურთიერთობებისთვის განკუთვნილი პარტნიორების პოვნა შეიძლება. პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები გეი ადამიანები თავიანთ cruising zone-ებს „პლემპებს“ უწოდებენ (მომდინარეობს მოსკოვში მდებარე თავშეყრის ადგილის სახელწოდებიდან, რომელიც პლენენის გმირების მემორიალის ახლოს იყო და სახელიც აქედან მიიღო). თბილისში არსებობს რამდენიმე ე.წ. „გეი პლემპა“.

კულტურა (ლათ. cultura - მინათმოქმედება; თაყვანისცემა, პატივისცემა) - ის, რაც ადამიანის - მისი ხელით, გონებით, გრძნობებით, ინტუიციით არის შექმნილი. მიღებულია კულტურის დაყოფა მატერიალურად (საგანთა სამყარო) და სულიერად (ცოდნის, ფასეულობების, სიმბოლოების სამყარო).

ლ

ლატენტური ჰომოსექსუალობა (ლათ. latentis - დაფარული, უხილავი) - საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ სექსუალური ლტოლვა, რომელიც ცნობიერ დონეზე არ გამოიხატება და არ აისახება ინდივიდის ღია ქცევაზე. ეს ფარული მიზიდულობა შესაძლოა სხვადასხვა მიზეზთა გამო დათრგუნულ იქნას, ან ადამიანში გაცნობიერებულ ვერ იქნას როგორც ჰომოსექსუალობა. ლატენტური ჰომოსექსუალობა საბოლოო ჯამში შესაძლოა აშკარა ჰომოსექსუალობად იქცეს, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ არც არასოდეს გამოვლინდეს და ბოლომდე ფარულად და გაუცნობიერებლად დარჩეს. ტერმინი „ლატენტური ჰომოსექსუალობა“ თავდაპირველად გამოიყენა ზიგმუნდ ფროიდმა, რომელიც „ნევროზის ზოგად თეორიაში“ აღნიშნავდა, რომ ის, ვინც თავს ჰომოსექსუალს უწოდებს, მხოლოდ და მხოლოდ აშკარა ინვერტები (იხ. **სექსუალური ინვერსია**) არიან და მათი რაოდენობა ვერ შეედრება ლატენტურ ჰომოსექსუალთა რიცხვს.

ამ შემთხვევაში ფროიდი ლატენტურ ჰომოსექსუალობას განიხილავს, როგორც ნევროზის ნიშანსა და მიზეზს. სხვა შემთხვევებში კი ფროიდი აღნიშნავს, რომ ლატენტური ჰომოსექსუალობა ახასიათებს ყველა ადამიანს, საყოველთაო თანდაყოლილი ბისექსუალობის გამო.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ტერმინი „ლატენტური ჰომოსექსუალობა“ მართებული არ არის, რადგან ნაწილობრივ დაფარული ჰომოსექსუალობა ინდივიდის მიერ ხშირად გაცნობიერდება, მაგრამ გონების დონეზე ითრგუნება (ხშირად დიდი ძალისხმევის შედეგად).

ლგბტ - აკრონიმი, რომელიც ინგლისურ ენაში ლესბოსელი (Lesbian), გეი (Gay), ბისექსუალი (Bisexual) და ტრანსგენდერის (Transgender) აბრევიატურას აღნიშნავს. ტერმინი მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან შემოვიდა გამოყენებაში და აბრევიატურა „ლგბტ“-ს ადაპტაციას წარმოადგენს, რომელმაც თავის მხრივ 80-იანი წლების შუა ხანებში აქტიურად გამოყენებული სიტყვათშეხამება „გეი თემი“ ჩაანაცვლა.

1996 წლიდან გვხვდება ლგბტ აბრევიატურის უფრო სრული ვერსიები (მაგ. ლგბტქია), რომლებიც ძირითადი აბრევიატურა ლგბტ-ს შეესება-დაზუსტებას ისახავს მიზნად (ქ ნიშნავს ქვიარს (Queer), ი - ინტერსექსუალს (Intersexual), ა - ასექსუალს (Asexual)). აბრევიატურა **ლგბტ** შესაძლოა კიდევ მრავალი ვარიაციით შეგვხვდეს, თუმცა ყველაზე გავრცელებულ და ყველასთვის მიღებულ ფორმად მაინც ლგბტ რჩება, რომელიც განსხვავებული, არამეინსტრიმული სექსუალური იდენტობის მქონე ადამიანების კრებით სახელად იქცა.

ლესბოსელობა (მომდინარეობს ეგეოსის ზღვაში ბერძნული კუნძულის სახელწოდებიდან; სინონიმები – ლესბოსური სიყვარული, საფიზმი, ტრიბადია) – ქალური ჰომოსექსუალობა. ქალთა ერთსქესიანი სექსუალური ურთიერთობისადმი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დამოკიდებულება იყო. თუ ავსტრიაში ქალთა ერთსქესიანი სიყვარული მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა, საფრანგეთში 1881 წელს ქალებმა ოფიციალურად

მიიღეს ტრიბადიისათვის განკუთვნილი სპეციალური სახლების მონახულების უფლება. ქალთა ჰომოსექსუალობის სიხშირე მერყეობს 1-დან 3%-მდე. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს პროცენტი ძალზედ შემცირებულია, რადგან კაცისგან განსხვავებით, ქალისთვის შედარებით ადვილია დამალოს თავისი სექსუალური მიდრეკილებები. ის შეიძლება გათხოვდეს და ბავშვიც გააჩინოს, რათა საზოგადოების თვალში საკუთარი თავის რეაბილიტაცია უზრუნველყოს, რაც კაც ჰომოსექსუალს უფრო გაუჭირდება.

ხშირად ამ მიდრეკილებას ვხვდებით ისეთ ქალებთანაც, რომლებიც ქმრებთან ცხოვრობენ. ასეთი ორმაგი ცხოვრებით მცხოვრებ ქალს შეუძლია სიამოვნება მიიღოს ორივე პარტნიორისგან (ის ბისექსუალია) ან კაცი მისთვის უსიამოვნოა და ორგაზმს მხოლოდ ლესბოსური სიყვარულით განიცდის.

მ

მარგინალიზაცია (ლათ. marginalis - განაპირა, margino - შემოსაზღვრა, შემოფარგვლა, margo - კიდე, საზღვარი) - სოციალური მოვლენა, ცნება, რომელიც ადამიანის მდგომარეობის „შემოსაზღვრას“, გარიყვას აღნიშნავს რომელიმე სოციალური ჯგუფის (ჯგუფების) მიერ. მარგინალიზაციის ცნება 1920-იან წლებში გაჩნდა, ამერიკულ სოციოლოგიაში ახალ სოციალურ პირობებთან იმიგრანტთა სუსტად ადაპტირებულობის აღსანიშნავად. ჯგუფური მარგინალიზაცია აღმოცენდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებების შედეგად, ახალი ფუნქციონალური ჯგუფების გაჩენასთან დაკავშირებით, რომლებმაც მათი სოციალური მდგომარეობა შეარყიეს და მყიფე გახადეს.

მასკულინიზაცია (ლათ. masculinus - მამრობითი) - გაკაცურება, კაცის ან ქალის ორგანიზმში კაცური ნიშნების გაძლიერება. ხშირად ამ ტერმინით აღნიშნავენ კაცის ორგანიზმში კაცური ნიშნების ფიზიოლოგიურ ან პათოლოგიურ გაძლიერებას. პათოლოგიური მასკულინიზაციის დროს კაცებს სექსუალური გამოვლინებები უფრო მეტად აღენიშნებათ. ზოგჯერ ისინი შეიძლება ცდებოდნენ მიღებული

ეთიკური ნორმების ჩარჩოებს (მაგალითად, მკვეთრად გაზრდილი ლიბიდოს ფორმით – სატირიაზისი).

ქალებთან ანდროგენების ჰიპერპროდუქციას მიყვავართ მეორადი კაცური სასქესო ნიშნების განვითარებასთან (იხ. ვირილიზმი). როგორც წესი, ქალებთან მასკულინიზაციას თან ახლავს ლიბიდოს გაძლიერება (არის შემთხვევები, როდესაც ის პათოლოგიურად ძლიერდება - ნიმფომანია).

მაჩო (ესპ. macho - ბულა) - გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება როგორც „ძლიერი, მაგარი“; არსებობს გამოთქმა vino macho, რაც მაგარ, ძლიერ ღვინოს ნიშნავს. ჩვენთვის კი უფრო მეტად ნაცნობია ამ სიტყვის სხვაგვარი გაგება - „ნამდვილი კაცის“, კაცურობის კვინტესენცია. კლასიკური მაჩოს სტერეოტიპი ლათინოამერიკული რელიგიისა და ლეგენდების ნაზავს წარმოადგენს. პირველ რიგში, მაჩო აღიქმება როგორც ქალთა გულთამწყრობელი. მისი დამოკიდებულება ქალთან პირველყოფილი მონადირისა და მსხვერპლის ურთიერთობას წააგავს. მიიჩნევა, რომ ქალებზე „ნადირობისგან“ მაჩოს ყურადღება შეიძლება მხოლოდ ფეხბურთზე გადავიდეს, ვინაიდან ეს უბრალო თამაში კი არა, არამედ „ნამდვილად კაცური“ საქმეა – „ბრძოლაში“ დაუმტკიცო თანასწორს შენი უპირატესობა.

მეინსტრიმი (ინგლ. Mainstream - „ძირითადი დინება“) - ტერმინი, რომელიც რომელიმე სფეროში გაბატონებულ თვალსაზრისს (ტენდენციას) გულისხმობს.

მოტივაციური ინტერვიუ – არის პროცესი, როდესაც ორი ან რამდენიმე კაცი ერთობლივად განიხილავს სტიმულებს, რომლებიც ადამიანს კონკრეტულ სიტუაციაში რაიმე გადწყვეტილების მიღებისკენ ან უმოქმედობისკენ უბიძგებს. მოტივაციური ინტერვიუ არ უნდა აგვერიოს იმ ხერხთა და მეთოდთა კომბინაციაში, რომლებიც ადამიანებით მანიპულირებისას გამოიყენება. პირიქით, ეს არის პროფნებათაშორისი სტილი, ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანის მიმართ და არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება ფორმალური კონსულტაციებით. ეს არის ადამიანური ურთი-

ერთობების და ხერხების ბალანსი. იგი ადამიანს ცვლილებებისკენ მიმავალ გზაზე აყენებს. ეს ყველაფერი იმართება განსაკუთრებული ფილოსოფიისა და მექანიზმების ცოდნით. თუ დასახელებულ მეთოდს წარმოვიდგინებთ როგორც ფანდებისა და მანიპულირების ტექნიკას, მაშინ მეთოდის არსი სრულიად იკარგება.

MSM (men who have sex with men) - კაცები, რომლებსაც გააჩნიათ სექსუალური პრაქტიკა კაცებთან. აივ/შიდსის მკვლევარები ამ ტერმინს იყენებდნენ იმ კაცების მიმართ, რომლებსაც სექსი აქვთ კაცებთან, თუმცა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ „გეი“ ან „ქვიარ“ იდენტობებთან. ამიტომაც, ტერმინი MSM აღნიშნავს სექსუალურ ქცევას და არა იდენტობას. პარალელური ტერმინი WSW (ქალები, რომლებსაც აქვთ სექსი ქალებთან - women who have sex with women) ასევე გამოიყენება აივ/შიდსის და სექსუალური ჯანმრთელობის კვლევების კონტექსტში.

6

ნარატივი - (ინგლ. და ფრანგ. narrative - თხზულება, თხრობა) - სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში.

ნევროზები სექსუალური - სექსუალური სფეროს ფსიქოგენური შექცევადი ფუნქციური დარღვევა, რომელიც ვლინდება კაცების ან ქალების სექსუალური ფუნქციების ხარისხობრივ ან რაოდენობრივ დარღვევებში, ამა თუ იმ ფსიქოტრავმული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

ო

ოიდიპოსის კომპლექსი - ფსიქოანალიტიკური წარმოდგენა 3-4 წლის ასაკის ბავშვის მშობლებისადმი ემოციური დამოკიდებულებების თავისებურებების შესახებ. ფროიდის თანახმად, ეს არის ბავშვური განცდების კომპლექსი, რომელიც შედგება ბიჭის ლტოლვისაგან დედის მიმართ, რასაც თან ახლავს ეჭვიანობა და არაკეთილმოსურნეობა მამის მიმართ. გოგონებთან ეს ხასიათდება

განსაკუთრებული მიჯაჭვულობით მამასთან, მის მიმართ განცდილი სექსუალური ლტოლვით და ეწოდება ელექტრას კომპლექსი. მოგვიანებით ეს კომპლექსი განიდევენება არაცნობიერში, ის კაცებისათვის უნივერსალურია და განსაზღვრავს მათი სექსუალობისა და ნევროტიზმის ბევრ ასპექტს.

ოჯახური/სამოქალაქო პარტნიორობა (იხ. სამოქალაქო კავშირი) - ორ ადამიანს შორის ერთგული ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება, რომელიც ხანდახან ამ ურთიერთობას შემღებულ მფარველობას და უფლებებს ანიჭებს.

3

Passing - მიუთითებს ისეთ ადამიანებზე, რომლებიც თითქოს მიეკუთვნებიან გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, მაგრამ მისი წევრები სინამდვილეში არ არიან (მაგ. გეები, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად ასალებენ). ძირითადად ადამიანები passing-ს იმის გამო მიმართავენ, რომ კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელი პრივილეგიებით ისარგებლონ ან პირიქით, სტიგმატიზაცია აიცილონ თავიდან.

პატრიარქატი (ბერძ. patriarches - მამამთავარი) - საზოგადოებრივი ცხოვრების მონყობის ფორმა, ნორმებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კაცების უპირატესობას და პრიორიტეტულობას ქადაგებს. ამის პარალელურად, პატრიარქატის დროს ქალს მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება. შესაბამისად, მას შრომის ბაზარზე თვითრეალიზაციის და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებების მიღების ნაკლები შესაძლებლობა და შანსი აქვს.

პედერასტია (ბერძ. paidierastia, სიტყვასიტყვით - ბიჭების მიმართ სიყვარული) - პედოფილიის განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც არსებობს ფსიქოსექსუალური მიდრეკილება განსაკუთრებით ბიჭების და ჭაბუკების მიმართ. დღესდღეობით ჯერ კიდევ დასჯადი ბიჭების სიყვარული ანტიკურ საბერძნეთში ყვაოდა. მაშინ ის საზოგადოების მხრიდან ისევე იყო მიღებული, როგორც

ჰეტეროსექსუალური კავშირები და არავის სჭირდებოდა ამ მიდრეკილების დამალვა ან გასაიდუმლოება.

ჰედოფილია (ძვ. ბერძ. παῖς, παιδός - ბავშვი, ὅφις - სიყვარული) - სექსუალური გადახრის ნაირსახეობა, სექსუალური ლტოლვა ბავშვებისადმი, სექსოლოგიაში – ფსიქოსექსუალური მიდრეკილება ორივე სქესის ბავშვებისადმი. ბავშვის სქესს არ აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან ბავშვის მოუმწიფებელი სხეული წარმოადგენს ძლიერ სექსუალურ სტიმულს და მისი როლი ჰგავს ფეტიშის როლს. განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ჰედერასტია, რომლის დროსაც ლტოლვა მიმართულია მხოლოდ ბიჭებისა და ჭაბუკებისადმი. ზოგჯერ ტერმინით „ჰედოფილია“ აღნიშნავენ სექსუალურ მიდრეკილებას სექსუალური კონტაქტებისადმი ბავშვებთან, მათი სქესის მიუხედავად, ხოლო ტერმინით „ნიმფოფილია“ განისაზღვრება კაცების სექსუალური მიდრეკილება მოუმწიფებელი გოგონებისადმი.

ჰენისის შური - ფროიდის შეხედულების თანახმად, პატარა გოგონების რეაქცია, როდესაც აცნობიერებენ, რომ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს აქვთ პენისი - მათ კი არა (კასტრაციის კომპლექსი). ჩვენს დროში მოსაზრებამ გოგონების ასეთ კონფლიქტურ განცდებზე გავრცელება ვერ ჰპოვა. ფროიდის კონცეფციის რაციონალური მარცვალი იმაში მდგომარეობს, რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით აღზრდისას გრძნობდნენ (ახლაც) უთანასწორობას და ამიტომ არ სურდათ საკუთარ ქალურ როლთან თავიანთი თავის იდენტიფიცირება. მათ შურდათ ბიჭების პრივილეგიები და თვითონ უნდოდათ ბიჭობა. ამ თვალსაზრისით, პენისის შური უნდა გავიგოთ, როგორც მეტაფორა.

პერვერსია (ლათ. perversiō - ამობრუნება) - უკიდურესად არაბუნებრივი ქცევა, სრული დამახინჯება, ნორმიდან გადახრა, გაუკუღმართება, გარყვნილება. სოციალურ კონტექსტში პერვერსიად საზოგადოებაში მიღებული ნორმებიდან გადახვევა იგულისხმება (მაგ. ინცესტი). სექსოლოგიაში კი ეს ტერმინი სექსუალობის გარკვეულ მარგინალურ ფორმებს, პარაფილიებს აღნიშნავს,

როგორებიცაა, მაგალითად, ზოოფილია, ანუ სექსუალური ლტოლვა ცხოველების მიმართ, ან ნეკროფილია - გვამების სიყვარული და ა. შ. პერვერსიათა ყველაზე გავრცელებულ ფორმებად კი სადიზმი, ანუ პარტნიორისათვის სექსუალური აქტის დროს ტკივილის მიყენება და მისი საპირისპირო ფორმა - მაზოხიზმი, ანუ სასიყვარულო გრძნობის ტკივილთან და ტანჯვასთან გაიგივება მიიჩნევა.

პრომისკუიტეტი (ლათ. promiscuus - შერეული, საზიარო) - უნესრიგო, არაფრით შეზღუდული სექსუალური ცხოვრება სხვადასხვა პარტნიორებთან. გამოიყენება ორი სხვადასხვა მნიშვნელობით: პირველყოფილ საზოგადოებაში სქესობრივი ურთიერთობების აღსანიშნავად, ოჯახის წარმოქმნამდე და ინდივიდის უნესრიგო სექსუალური ცხოვრების აღსაწერად.

ს

სამოქალაქო კავშირი, სამოქალაქო პარტნიორობა, დარეგისტრირებული პარტნიორობა, დაურეგისტრირებელი პარტნიორობა - სხვადასხვა ქვეყნებში აღნიშნავს კანონის და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სოციალურ ინსტიტუტს, რომელშიც დაკანონებულია ერთი სქესის წარმომადგენელი ორი ადამიანის ურთიერთობა, რომლებიც ქორწინებაში არ იმყოფებიან. ზოგიერთ ქვეყნებში სამოქალაქო პარტნიორობის გაფორმების უფლება სხვადასხვა სქესის ადამიანებსაც შეუძლიათ.

ერთსქესიანი კავშირების იურიდიული ფორმის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია მნიშვნელოვანწილად პირობითია და შესაძლოა გულისხმობდეს როგორც მინიმალური, ასევე სრული უფლებების მინიჭებას, როდესაც ერთსქესიანი ქორწინებისგან ერთადერთი განსხვავება მხოლოდ დასახელებაში მდგომარეობს. მაგალითად, სამოქალაქო პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შტატის მასშტაბით სახელმწიფოს მიერ ლეგსოსელი და გვი წყვილების ურთიერთობის ოფიციალური აღიარებაა, რომელიც სთავაზობს მათ შტატში გათვალისწინებულ ზოგიერთ ან ყველა (თუმცა არა

ფედერალურ) უფლებას, დაცვას/მფარველობასა და მოვალეობას, რასაც ქორწინება ითვალისწინებს.

საფიზმი - იხ. ლესბოსელობა.

სეგრეგაცია (გვიანლათინურიდან: segregatio - დაყოფა, დაცალკე-
ვება) - ადამიანთა კატეგორიებად დაყოფა საზოგადოებაში სოცია-
ლური სტატუსების განსხვავებულობის მიხედვით, რომლებიც
მოიცავენ სოციალურ აქტივობის განსაზღვრულ სფეროებს. ამ დროს
ჯგუფებს შორის კონტაქტები ნაწილობრივ ან სრულიად დახშულია.

სეკულარიზმი (გვიანლათინურიდან: saecularis - საერო) -
სოციალური დოქტრინა, რომელიც გულისხმობს, რომ უკეთესი
საზოგადოებისკენ სწრაფვა და შესაძლო სოციალურ-პოლიტიკური
რეფორმები პოზიტიურ მეცნიერულ ცოდნას ეფუძნება და არა
თეოლოგიას. სეკულარიზმის მომხრეები ეკლესიის სახელმწიფოსგან
დაცალკევებას და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის საერო
ხელისუფლებისთვის გადაცემას მოითხოვენ.

სექსიზმი (ინგლ. sexism, ლათინურიდან sexus - სქესი) - მსოფლ-
მხედველობა, რომელიც ქადაგებს სქესთა არათანაბარ უფლებებსა
და მდგომარეობას. იგი შესაძლოა გამოვლინდეს სიძულვილში,
შეუფასებლობაში ან წინასწარგანწყობებში მთლიანად შესაბამისი
სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში (მიზოგინია ან მიზანდრია),
ან შესაბამისი სქესის მისამართით სტერეოტიპულ მსჯელობებში
(მაგალითად, კაცი კაცური უნდა იყოს, ქალი კი - ქალური). სექსიზმის
იდეოლოგიის გამზიარებელ ადამიანს **სექსისტი** ეწოდება. სექსიზმის
შედევია სქესობრივი დისკრიმინაცია - ადამიანის დისკრიმინაცია
სქესის ან გენდერული იდენტობის ნიშნით. სექსიზმის მთავარ
მოწინააღმდეგედ ფემინიზმი და ფემინისტური მოძრაობის მიერ
გაჩაღებული თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლა, ანუ
ემანსიპაცია მიიჩნევა. მიზოგინიური სექსიზმი ეფუძნება
ფასეულობათა, პატრიარქალურ რწმენა-წარმოდგენათა და
იდეოლოგიურ სისტემას. მაგ. „ღმერთმა დაანესა, რომ ქალი
კაცისთვისაა შექმნილი, რომ ორივემ ერთად მოდგმა გაავრძელოს“.
სექსიზმი ქადაგებს კაცის და ქალის ბუნებრივ დანიშნულებას, სადაც

ქალი სექსუალური ობიექტის ან საგნის დონეზეა დაყვანილი. მას უფლებები არ გააჩნია და არც მასთან მიმართებაში არსებობს რაიმე მოვალეობა. აქ კაცს ოჯახის ეკონომიკური დომინანტის ფუნქცია ეკისრება, ხოლო ქალს კი შვილების მწარმოებელი მანქანის და სამზარეულოს კომბაინისა; ამ შემთხვევაში, კაცი ირგებს სექსუალურად დაინტერესებული და აგრესიული მილიტარისტი ხვადის როლს. აქედან მოდის იმის მტკიცება, რომ კაცს ცოლქმრული ლალატის უფლება აქვს, ქალს კი არა, რომ ორგანოში მხოლოდ კაცის საქმეა, ქალის როლი კი სექსის დროს პასიური მონაწილეობაა. ასევე, სექსიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა ქალისთვის იმ ზოგიერთი პროფესიის აკრძალვა, რომლებიც „კაცის საქმედ“ მიიჩნევა. ხშირად ქალის მიერ მაღალი თანამდებობების დაკავება კაცებისთვის პირადი შეურაცხყოფისა და დამცირების ტოლფასია.

სექსუალური ინვერსია (ლათ. *inversio* - ამობრუნება, გადაადგილება) - სექსუალური ლტოლვა თავისივე სქესის მიმართ.

განასხვავებენ აბსოლუტურად ინვერტირებულ პირებს, რომელთათვისაც სექსუალური ობიექტი შესაძლოა მხოლოდ იგივე სქესის პირი იყოს (იხ. ჰომოსექსუალობა), და ამფიგენურ ინვერტირებულ პირებს, რომელთათვისაც ლტოლვის ობიექტი შეიძლება იყოს კაციც და ქალიც (იხ. ბისექსუალობა).

სექსუალური ორიენტაცია - მეცნიერულად ზუსტი ტერმინი, რომელიც აღწერს ადამიანის ფიზიკურ, რომანტიკულ ან/და ემოციურ მიზიდულობას საკუთარი, საპირისპირო ან ორივე სქესისადმი. სექსუალური ორიენტაციები შემდეგ კატეგორიებად იყოფა: ჰეტეროსექსუალური, ჰომოსექსუალური, ბისექსუალური და ასექსუალური. მოერიდეთ ტერმინს „სექსუალური არჩევანი“, რომლის გამოყენებაც გულისხმობს, რომ ჰომოსექსუალობა ნებაყოფლობითია და შესაბამისად, „განკურნებადი“.

სექსუალური ტაბუ - გარკვეული სექსუალური ქმედებების აკრძალვა, რომელიც შემოტანილია სრულიად სხვადასხვა მიზეზების გამო და ხშირად სექსუალური ურთიერთობების რეგულაციის მიზნით. ფართოდაა გავრცელებული, მაგალითად, ტაბუ ინცესტზე.

ბავშვებთან სექსუალური კავშირიც დღეს ტაბუდ ითვლება და მისი დარღვევა მკაცრად ისჯება; სხვა დროს და სხვა ხალხებში ეს ყოველთვის ასე არ იყო.

სექსუალური ქცევა - ინდივიდის ქცევა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რომელიმე სქესისადმი მისი მიკუთვნებულობა. ძირითადად ეს არის ნიშანდობლივი ქცევები, დამყარებული განსხვავებებზე გარეგნობაში, ტანსაცმელში, ქცევის მანერაში, უესტების სისტემაში, მეტყველების მანერაში. სექსუალური ქცევა არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დასწავლილ ქცევის მოდელს. ის არის მუდმივად ცვალებად როლებთან ნაკრები. საზოგადოების მხრიდან სექსუალური ქცევისადმი წაყენებულ მოთხოვნებს აქვს სქესობრივი და ასაკობრივი დიფერენციაცია. ბევრი რამ, რაც დასაშვებია კაცებისთვის, აკრძალულია ქალებისთვის და პირიქით. ასეთ ორმაგ ნორმებს „ორმაგი სტანდარტი“ ეწოდება. „ორმაგი სტანდარტის“ მოთხოვნები იგრძნობა ადრეული ასაკიდან როგორც საერო, ისე რელიგიურ ცხოვრებაში. სექსუალურ ქცევაზე გავლენას ახდენს ასაკობრივი ნორმებიც. ის, რაც მისაღებია ბიჭისთვის, სრულიად მიუღებელია ზრდასრული კაცისთვის და ა.შ. სხვადასხვა სქესობრივ როლს სექსუალური ქცევის მიმართ სხვადასხვა მოთხოვნა აქვს. მაგალითად, მშობლის როლი მოითხოვს სრულიად განსხვავებულ თვისებებს, ვიდრე სექსუალური ან პროფესიული როლები. სქესობრივი ქცევა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ოჯახურ და სექსუალურ როლებში, გაცილებით ნაკლებად ეხება პროფესიულ როლს, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ პროფესიული არჩევანი დიდწილად განპირობებული იყო ადამიანის სქესით. სქესობრივი ქცევის მიმართ სხვადასხვა სქესობრივი როლების მოთხოვნების შეუფასებლობას მივყავართ გაუმართლებელი სიტუაციების წარმოშობისაკენ, როდესაც, მაგალითად, ჩაცმის მანერის მიხედვით მსჯელობენ სექსუალურ ორიენტაციაზე, ან პროფესიული თვისებებიდან გამომდინარე აკეთებენ დასკვნებს ოჯახური ცხოვრების შესახებ.

სვინგერი - თავისუფალი სექსის მიმდევარი ადამიანი, რომელიც ურთიერთობს – განსაკუთრებით ცოლ-ქმრულ წყვილებთან („ლამურ დე ტრუ“, ანუ „სამთა სიყვარული“) ან ერთდროულად სხვადასხვა სექსის რამდენიმე პარტნიორთან.

სიყვარული - ინტიმური და ღრმა გრძნობა მიმართული სხვა პიროვნების, ადამიანური ერთობის ან იდეის მიმართ. როგორც წესი, ყველაზე მეტ ყურადღებას სიყვარულის ორი ასპექტი იქცევს – როგორც წმინდა ფსიქოლოგიური ფენომენი (აქ არსებობს დაყოფა - მშობლის სიყვარული, და-ძმის სიყვარული, შვილების სიყვარული და ა.შ., თუმცა უფრო ხშირად იგულისხმება სიყვარული ქალსა და კაცს შორის) და როგორც ფიზიკური ლტოლვის გამოხატულება, სექსუალური ურთიერთობის ეკვივალენტი (ფიზიკური ან სექსუალური სიყვარული). ტერმინი “სიყვარული” გამოიყენება მაშინაც, როდესაც საუბარია განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ბუნებასთან, ცხოველებთან, მუსიკასთან, მხატვრობასთან და ა.შ. სიყვარულის ამომწურავად განმარტების მრავალსაუკუნოვანი მცდელობები დღემდე არ დასრულებულა, მით უმეტეს, რომ სიყვარულის ზოგადი გაგება ყველა კულტურაში თავისებურია.

სიძულვილის ენა (ინგლ. hate speech) - გამონათქვამები, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ ან შეურაცხყოფის შემცველი მოხსენიება ან მიმართვა საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მიმართ.

სოდომიის კანონი - ისტორიაშიღებტ ადამიანების შერჩევითად დევნისათვის გამოყენებული კანონი. 2003 წელს ეს ეგრეთ წოდებული სოდომიის კანონები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ „ლოურენს ტექსასის წინააღმდეგ“ საქმის განხილვისას. არასოდეს გამოიყენოთ „სოდომია“ გვი, ლესბოსელი ან ბისექსუალი ადამიანების ურთიერთობების ან სექსუალობის აღსაწერად.

სტიგმა (ლათ. stigma - სირცხვილის ნიშნით დადაღვა) - იარლიყი, დამლა. თანამედროვე სამყაროში აღნიშნავს სოციალური იარლიყების მიწებებას. ამ შემთხვევაში სტიგმატიზაცია რომელიმე თვისების (როგორც წესი, უარყოფითის) ასოცირებაა კონკრეტულ ადამიანთან

ან ადამიანთა ჯგუფთან, თუმცა ეს კავშირი არ არსებობს ან არ არის დამტკიცებული. სტიგმატიზაცია წარმოადგენს მრავალი, გამორჩეულად აგრესიული სტერეოტიპის განუყოფელ ნაწილს. ძალზე ხშირად სტიგმის არსებობას დისკრიმინაციამდე მივყავართ, ანუ ეს არის მრწამსიდან მოქმედებაზე გადასვლის პროცესი (უფლებების პირდაპირი დარღვევა).

სტრეიტი, ნატურალი - ჰეტეროსექსუალი.

სუბლიმაცია (ლათ. sub - ქვეშ; limo - ტარება)- ფსიქოლოგიური დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც მდგომარეობს სექსუალური ლტოლვის ენერჯის პირდაპირი მიზნიდან – სიამოვნების მიღება და შთამომავლობის გაგრძელება - გადახრაში და მისი მიმართვა არასექსუალური, სოციალურად მისაღები მიზნებისაკენ.

სუიციდი (ლათ. suicidium, from sui caedere - „თავის მოკვლა“) - თვითმკვლელობა, საკუთარი სიცოცხლის ნებაყოფლობითი უარყოფა.

სქესი - ადამიანების კლასიფიკაცია კაცებად და ქალებად. დაბადებისას ახალშობილებისათვის სქესის მინიჭება ხდება სხეულებრივი მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე, როგორც არის: ქრომოსომები, ჰორმონები, შიდა რეპროდუქციული ორგანოები და გენეტიკალები.

სქესის კვლავმინიჭება - აღნიშნავს ქირურგიულ ცვლილებას და არის ტრანზიციის მხოლოდ მცირე ნაწილი. სქესის კვლავმინიჭება, როგორც ტერმინი უფრო სასურველია „სქესის შეცვლის ოპერაციასთან“ შედარებით. ყველა ტრანსგენდერი ადამიანი არ ირჩევს ან არ მიუწვდება ხელი ამ ოპერაციაზე. ჟურნალისტები უნდა მოერიდონ სქესის კვლავმინიჭების ოპერაციისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებას ტრანზიციის პროცესში.

სქესობრივი მორალი - ზნეობრივი ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს ადამიანის სექსუალური ცხოვრების ყველა მხარეს. წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოების ზნეობრივი ღირებულებების სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და მოიცავს არამარტო ადამიანთა სექსუალური ქცევის წესებს, არამედ სქესთან

დაკავშირებულ საკითხებს – ეთიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებს, ჩვეულებებს.

ტ

ტოლერანტობა (ლათ. tolerantia - დათმენა) - კულტურათა მრავალფეროვნებით მდიდარი სამყაროს, სხვისი თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლენის გაცემისა და გაცნობიერების უნარი, განსხვავებულობის პატივისცემა.

ტრავესტიზმი - იხ. ტრანსვესტიზმი.

ტრანზიცია (ლათ. transitu - გადაადგილება, გადასვლა) - ადამიანის ბიოლოგიური სქესის შეცვლა ერთი ნაბიჯით არ შემოიფარგლება; ეს რთული პროცესია, რომელიც დროის გრძელ მონაკვეთზე ნაწილდება. ტრანზიცია მოიცავს ზოგიერთ ან ყველა შემდგომ, პირად, ლეგალურ, სამედიცინო ცვლილებებს: ოჯახისათვის, მეგობრებისა ან/და თანამშრომლებისთვის საკუთარი გენდერული იდენტობის გაცხადება; სახელის ან/და სქესის შეცვლა საბუთებში; ჰორმონალური თერაპია; და შესაძლოა (თუმცა ყოველთვის არა) ერთი ან რამდენიმე სახის ქირურგიული ოპერაცია.

ტრანსგენდერი (ლათ. trans - მიღმა, gender - სქესი) - ქოლგა ტერმინი ადამიანებისათვის, ვისი გენდერული იდენტობა ან/და გენდერული თვითგამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესისგან. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგ კატეგორიებით: ტრანსსექსუალი, ქროს-დრესერი და სხვა გენდერულად ცვალებადი ადამიანები. ტრანს-გენდერი ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიკაციას შეიძლება ახდენდნენ ტრანსგენდერ ქალებად (Male to Female (MtF) - ბიოლოგიური კაცი, რომელიც ტრანზიციას განიცდის, როგორც ქალი) და ტრანსგენდერ კაცებად (Female to Male (FtM) - ბიოლოგიური ქალი, რომელსაც ტრანზიციას გადის, როგორც კაცი). ტრანსგენდერმა ადამიანმა შეიძლება გადაწყვიტოს, შეცვალოს საკუთარი სხეული ჰორმონულად ან/და ქირურგიული გზით. ტრანსგენდერი ადამიანები შეიძლება იყვნენ ჰეტეროსექსუალები, ლესბოსელები, გეები ან

ბისექსუალები. მაგალითად, კაცი, რომელიც მამრობითი გენდერიდან ქალურ გენდერზე ტრანზიციას გადის და ქალები იზიდავს, შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც ლესბოსელი ქალი. ტრანსგენდერი ადამიანი თავის ფსიქოლოგიური სქესს მყარ შეუსაბამობაში აღიქვამს მის გენეტიკურ და გონადურ სქესთან. საკუთარი სხეულისა და სასქესო ორგანოების აგებულება ტრანსგენდერის მიერ აღიქმება, როგორც არასწორი, არაბუნებრივი და თან ახლავს ნებისმიერი გზით სქესის შეცვლისადმი სწრაფვა. ტრანსგენდერობის სიხშირე არის საშუალოდ 1: 100-200 ათას ადამიანზე. ტრანსგენდერობის მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა დარღვევები ბავშვის მუცლადყოფნის პერიოდში, რაც შესაძლოა იყოს ფეხმძიმობისას ნერვული სტრესების, ზოგიერთი წამლის მიღების, ნაყოფის არასაკმარისი კვების და ა.შ. შედეგი. ასეთი დარღვევების გამოხატულება მერყეობს ფართო საზღვრებში, რითაც აიხსნება ტრანსგენდერის კლინიკური ვარიანტების მრავალფეროვნება. ბირთვული (გამოხატული) ტრანსგენდერობის დროს, სქესობრივი აღზრდა პრაქტიკულად გავლენას ვერ ახდენს სქესობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, თუმცა უკიდურესი (არამკვეთრი) გამოხატულებების, კორექციის შემთხვევაში ის დადებითად მოქმედებს. ტრანსგენდერისათვის დამახასიათებელია ქცევის ისეთი ფორმები, რაც დაკავშირებულია სანინალმდეგო სქესისადმი მიკუთვნებულობის განცდასთან. ასე მაგალითად, ბავშვები ითხოვენ, რომ მათ დაუძახონ სანინალმდეგო სქესის სახელი და ჩააცვან სანინალმდეგო სქესის ტანსაცმელი, ბიჭები სიამოვნებით თამაშობენ თოჯინებით სხვა გოგონებთან, გოგონები ჩხუბობენ ბიჭებთან, თამაშობენ ფეხბურთს და სხვა ბიჭურ თამაშებს. მშობლების მცდელობები, ჭკუის დარიგებით ან დასჯის საშუალებით შეცვალონ ბავშვი-ტრანსგენდერის ქცევა, როგორც წესი, წარუმატებელია. ისინი დაუინებით ითხოვენ გარშემო მყოფთაგან მათ აღიარებას იმ სქესში, რომელსაც თავიანთ თავს მიაკუთვნებენ. სანინალმდეგო სქესისადმი მიკუთვნებულობისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით ძლიერდება სქესობრივი ჯირკვლების აქტიური ფუნქციონირების დაწყებასთან

ერთად. მოზარდები შეშფოთებულები არიან გენიტალიების ზრდით და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებით, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მათ თვითშეგნებას. მკერდის ჭირკვლების გადიდებას და მენსტრუაციის დაწყებას გოგონა-ტრანსგენდერები კატასტროფად აღიქვამენ. ამ ასაკში ფორმირებული სქესობრივი ლტოლვები, როგორც წესი, შეცვლილია: ქალ-ტრანსგენდერებს ის უვითარდებათ ქალების მიმართ, ხოლო კაცებს – კაცების მიმართ. ამგვარი ლტოლვა გარედან აღიქმება როგორც ჰომოსექსუალური, მაგრამ სინამდვილეში ასეთი არ არის, რადგან სქესობრივი თვითშეგნების თანახმად კაცი-ტრანსგენდერები ქალებთან ინტიმურ კავშირს აფასებენ და უარყოფენ, სწორედ როგორც ჰომოსექსუალურს. ტრანსგენდერების უმრავლესობის სექსუალური ცხოვრება დაკავშირებულია სექსუალური პარტნიორის შერჩევის სერიოზულ სიძნელესთან, რადგან თაყვანისცემის ობიექტი, როგორც წესი, ეწინააღმდეგება ახლო ურთიერთობების დამყარების მცდელობას. მათი დაახლოებით მეოთხედი (უფრო ხშირად კაცები) ცდილობს სექსუალურ კონტაქტში შევიდეს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან, მაგრამ რამდენიმე მცდელობის შემდეგ განბილებულები რჩებიან. თუ ტრანსგენდერი ახერხებს საკუთარი სქესის მუდმივი სექსუალური პარტნიორის პოვნას, ადრე თუ გვიან თავს იჩენს სხვადასხვა სირთულე, რადგან გარშემომყოფები ნეგატიურად აღიქვამენ ამგვარ კავშირს, თუმცა კი, ტრანსგენდერთათვის სექსუალური პრობლემები არ არის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი. მთელი მათი ყურადღება და მისწრაფება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია საკუთარი გარეგნობის და სხეულის აღნაგობის საკუთარ სქესობრივ ცნობიერებასთან შესაბამისობაში მოყვანისკენ, აგრეთვე მათთვის მნიშვნელოვანია საწინააღმდეგო სქესისადმი მიკუთვნებულობის საზოგადოებრივი აღიარება. ამის გამო, ისინი ძალიან რთული ქირურგიული ჩარევებისგანაც კი არ იხევენ უკან. ტრანსგენდერობის შედარებით მსუბუქი ფორმების დროს, მართალია ადგილი აქვს განსხვავებული სქესობრივი მიკუთვნებულობის ფსიქიკურ განცდას,

მაგრამ ასეთი ტრანსგენდერების დიდი ნაწილი ახერხებს თანდათანობით ადაპტირებას, პოულობს კომპენსაციას საქმიანობაში, საწინააღმდეგო სქესისათვის დამახასიათებელ ჩვევებსა და ქცევაში. მაგალითად, ტრანსგენდერი კაცები ირჩევენ განსაკუთრებით პრესტიჟულ კაცურ პროფესიებს: მფრინავობას, შორეული ზღვაოსნობის კაპიტნობას, გამომძიებლობას და ა.შ. რაც ეხმარება მათ არა მხოლოდ თვითდამკვიდრებაში, არამედ კაცთა საზოგადოებაში ყოფნაშიც. პროფესია ამართლებს მათ კაცურ ჩვევებს, ქცევას მანერას, ჩაცმის სტილს. ძლიერად გამოხატული ტრანსგენდერობის დროს, სქესის შეცვლის გარეშე, სრულფასოვანი სოციალური ადაპტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

ტრანსვესტიზმი - ტრანსვესტიტი - დამამკირებელი ტერმინი, იხ. **ქროს დრესერი**. საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმისაკენ სწრაფვა. დიდი ხნის განმავლობაში მას უკავშირებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალობას, ამასთან აქტიურს ქალებთან და პასიურს – კაცებთან. ამიტომ ქვეყნებში, სადაც ჰომოსექსუალობა კანონით ილევნებოდა, ტრანსვესტიზმი ამორალურ და დანაშაულებრივ მოვლენად მიიჩნეოდა. თანამედროვე თვალსაზრისით, ტრანსვესტიზმი – არაერთმნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ტარების მოტივები შეიძლება იყოს არსობრივად სხვადასხვა. ნამდვილი ტრანსვესტიზმი წარმოადგენს პერვერსიას, რომლის დროსაც საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმა იწვევს სექსუალური სიამოვნების განცდას, მაგალითად, კაცებში ძლიერ სექსუალურ აღგზნებას ქალის თეთრეულის, კაბის, წინდების და ა.შ. ჩაცმის დროს. ამ პროცესს ხშირად თან ახლავს სარკის წინ საკუთარი სხეულის ფერება და ონანიზმი.

ტრანსსექსუალი - მოძველებული ტერმინი, რომელიც სამედიცინო და ფსიქოლოგიურ წრეებში აღმოცენდა. მაშინ, როცა ზოგიერთი ტრანსსექსუალი ადამიანი სწორედ ამ სიტყვას იყენებს საკუთარი თავის აღსაწერად, ბევრ ტრანსგენდერ ადამიანს ურჩევნია „ტრანსგენდერი“ უწოდონ და არა „ტრანსსექსუალი“. სიტყვა „ტრანსგენდერისგან“ განსხვავებით, „ტრანსსექსუალი“ არ არის ქოლგა (მრავლის-

მომცველი, სხვა ტერმინთა გადამფარავი) ტერმინი, რადგან ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ტრანსსექსუალთან არ აკეთებს. რომელიმე ტერმინის გამოყენებამდე, უმჯობესია ვკითხოთ იმ ადამიანს, რომელსაც მივმართავთ, როგორი ფორმით მოხსენიება იქნებოდა მისთვის უპრიანი.

ტრანსსექსუალობა - ტრიბადია - ქალური ჰომოსექსუალობის ფორმა.

უ

ურანიზმი (ბერძ. ღმერთი ურანოსის სახელის მიხედვით) - ჰომოსექსუალობის ფორმა, რომელიც სრულიად გამორიცხავს ქალების მიმართ ყოველგვარი სექსუალური ლტოლვის შესაძლებლობას. ტერმინი „ურანიზმი“, როგორც კაცური ჰომოსექსუალობის სინონიმი გამოიყენება 1870 წლიდან, როცა ავსტრიელმა მწერალმა კარლ-ჰენრიხ ულრიხსმა გამოაქვეყნა რამდენიმე ნაწარმოები იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც „თანდაყოლილი თვისებებით იმ ზღვარზე იმყოფებიან, რომელიც გამოყოფს ერთ სქესს მეორისაგან“. ულრიხსს მიაჩნდა, რომ ჰომოსექსუალები მესამე სქესს წარმოადგენენ, რადგან საკუთარ თავში აერთიანებდნენ „ქალის გონებასა და კაცის სხეულს“.

ფ

ფემინიზმი (ლათ. femina, ქალი) - საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია ქალებისთვის ყველა სამოქალაქო უფლების მინიჭება, საზოგადოებრივ სფეროში ქალის და კაცის თანასწორუფლებიანობისკენ სწრაფვა, ქალის დისკრიმინაციის მოსპობა.

ფობია (ბერძ. φόβος - შიში) - აკვიატებული მდგომარეობა, რომელსაც აქვს ზოგიერთი საგნის, ქცევის, ქმედების ან სიტუაციის გადაუღებელი შიშის სახე; ფობიის შინაარსს შეიძლება წარმოადგენდეს ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერი მოვლენა.

ფსევდოჰომოსექსუალობა (სიტუაციური ჰომოსექსუალობა) - ქმედება საკუთარი სქესის წარმომადგენლის მიმართ, რომელიც ხორციელდება არა ჰომოსექსუალური მოტივებით, არამედ იძულებითი გარემოებების გამო. თავსართი “ფსევდო” ნიშნავს “ტყუილს”. ამით ხაზგასმულია ის, რომ ამ ადამიანს არ აქვს სექსუალური ლტოლვა საკუთარი სქესის პირების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აქვს მათთან სექსუალური კონტაქტი.

ქ

ქალისებურობა - კაცის ორგანიზმში ქალური თვისებების არსებობა. ეს ეხება როგორც გარეგნულ ნიშნებს (კაცის გარეგნობა), ასევე მისი სექსუალური ქცევის თავისებურებებს. გარეგნული ნიშნები ვლინდება აღნაგობაში (თეძოზე ვიწრო მხრები), თეძოებში, კარგად გამოხატულ მკერდის ჭირკვლებში, თმისა და ბოქვენზე არის ჰორიზონტალური, სახეზე თმისა და მუცხერია ან საერთოდ არ არის. ქალისებური გარეგნული ნიშნების მიზეზს ყველაზე ხშირად წარმოადგენს ორგანიზმში ჰორმონალური ბალანსის დარღვევა – ჰიპერესტროგენია და ჰიპოანდროგენია. ქალისებურობის კლინიკური ნიშნები შეიძლება იყოს ჰიპოგონადიზმი, ღვიძლის დაავადება, დისკორელაცია ენდოკრინული ჭირკვლების მოქმედებაში. რაც შეეხება სექსუალური ქცევის თავისებურებებს, ისინი ყოველთვის არ არიან კავშირში ჰორმონალურ დარღვევებთან და უფრო ხშირად ასახვენ სქესობრივი აღზრდის თავისებურებებს.

ქამინგაუთი (ინგლ. coming out) - პერიოდი ჰომოსექსუალის ცხოვრებაში, როდესაც ის ამჩნევს, რომ თავისი სექსუალური ორიენტაციით განსხვავდება ჰეტეროსექსუალი ადამიანებისაგან და სწავლობს საკუთარი თავის ისეთად მიღებას, როგორც არის. ეს არის საკუთარი თავის მიღების პროცესი, რომელიც ცხოვრების განმავლობაში და მის სხვადასხვა ეტაპზე გრძელდება. ადამიანები გვი, ლესბოსურ, ბისექსუალურ და ტრანსგენდერ იდენტობებს ჯერ საკუთარი თავისთვის აცალიბებენ, შემდეგ კი უმხელენ სხვებს. ნებისმიერ ადამიანთან, ან საჯაროდ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გაცხადება შეიძლება ჩაითვალოს ქამინგაუთად.

ქვიარ (ინგლ. queer - უცნაური, საოცარი) - ტერმინი გამოიყენება პატრიარქალურ მოდელთან შეუსაბამო ქცევისა და იდენტობის აღსანიშნავად (ლგბტ, ბდსმ, ჩაილდფერი, ფემინისტები და სხვა თანასწორობაზე ორიენტირებული მოდელები). დასავლეთში ქვიარ იდენტობა ცნობიერების აღსანიშნავად გამოიყენება.

ქროს-დრესინგი (ინგლ. cross - ჯვარედინი, გადაჯვარედინებული. Dress - ტანსაცმელი, ჩაცმულობა) დროგამოშვებით ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც ტრადიციულად სხვა სქესის ადამიანებთან ასოცირდება. ქროს-დრესინგები, ხშირ შემთხვევაში, საკუთარ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და მისი შეცვლა სულაც არ სურთ, მიუხედავად იმისა, რომ სანინააღმდეგო სქესისთვის განკუთვნილ ტანსაცმელს იცვამენ ხანგამოშვებით. ტერმინი „ქროს-დრესინგი“ არ უნდა იყოს გამოყენებული იმ ადამიანების მიმართ, ვინც ტრანზიციის პროცესშია, ტრანზიციის განიცადა ან/და ყოველდღიურად ცხოვრობს, როგორც სასურველი სქესი, ან ამას მომავალში აპირებს. ქროს-დრესინგი გენდერული თვითგამოხატვის ფორმაა და არ არის აუცილებელი იყოს კავშირში ეროტიკულ აქტივობასთან. ქროს-დრესინგი არ არის სექსუალური ორიენტაციის მიმანიშნებელი. მაგ. ქროს-დრესინგი კაცი არ ნიშნავს, რომ ის გვი იდენტობის მატარებელია ან ჰომოსექსუალური ქცევით არის დაკავებული.

ქსენოფობია (ძვ. ბერძ. ξένος - უცხო, φόβος - შიში) - უცხოს, უცნობის, უჩვეულოს მიმართ განცდილი სიძულვილი, შეურიგებლობა ან ზიზღი. ქსენოფობიის დროს უცხო აღიქმება როგორც გაუგებარი, მაშასადამე საშიში და მტრული.

ღ

ღიად გვი – ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას აკეთებს როგორც გვი ან ლესბოსელი პირი საზოგადო და პროფესიულ ცხოვრებაში. ასევე არსებობს ღიად ბისექსუალი, ლესბოსელი და ტრანსგენდერი.

შ

შიმეილი, ში-მეილი (ინგლ. shemale, she male - იგი (ქალი) კაცია) - ადამიანი, რომელსაც გააჩნია ქალის გარეგნობა (ხშირად მეორადი სასქესო ნიშნები) და საზოგადოებაში ასრულებს ქალის სოციალურ როლს (მესამეხარისხოვანი სასქესო ნიშნები), და ამავე დროს აქვს კაცის სასქესო ორგანოები (პირველადი სასქესო ნიშნები), ძირითად შემთხვევებში პენისისა და ერექციის ყველა სრული ფუნქციით. შიმეილი ტრანსგენდერი ადამიანების თემს განეკუთვნება.

ჰ

ჰერმაფროდიტიზმი (ბერძ. ღმერთ ჰერმაფროდიტის (Ερμαφρόδιτος) სახელის მიხედვით) - ორსქესიანობა, ინტერსექსუალობა; მოძველებული ტერმინი. დღესდღეობით მისი გამოყენება პრაქტიკულად აღარ ხდება. გამოიყენებოდა სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი დარღვევის აღსანიშნავად, როდესაც გარე სასქესო ორგანოებს აქვს როგორც ქალის, ისე კაცის სასქესო ნიშნები. ასხვაგვებენ ნამდვილ ჰერმაფროდიტიზმს (კაცისა და ქალის სასქესო (თუ შინაგანი სეკრეციის) ჯირკვალის არსებობისას) და ცრუ ანუ ფსევდოჰერმაფროდიტიზმს (ორგანიზმში მხოლოდ ქალის ან კაცის სასქესო (თუ შინაგანი სეკრეციის) ჯირკვალის არსებობისას).

ჰეტერო/ჰომოსექსუალობა - ეს ცნება აღწერს ინდივიდის სექსუალურ ქცევას. ჰეტერო/ჰომოსექსუალობას განსაზღვრავს სქესობრივი პარტნიორის შერჩევისას უპირატესობის მინიჭება საკუთარი ან საპირისპირო სქესის წარმომადგენლისათვის.

ჰეტერო/ჰომოსოციალობა - ეს ცნება განსაზღვრავს ინდივიდის ორიენტაციას საკუთარი ან საპირისპირო სქესის ადამიანებთან ურთიერთობისას. მისი მთავარი მაჩვენებელია იმ საზოგადოების შემადგენლობა, რომელშიც ინდივიდი ტრიალებს.

ჰეტეროსექსუალური კულტურული მატრიცა, ჰეტერონორმატიულობა - ძალაუფლებრივ ურთიერთობათა ისტორიულად კონსტრუირებული სისტემა, რომელიც კულტურაში ჰეტეროსექსუალობის დომინირებას ქადაგებს სექსუალობის სხვა ფორმებზე. ჰეტერონორმატიული ცხოვრების წესი უშუალოდ რეპროდუქციაზე ორიენტირებულია.

ჰეტერონორმატიულობა - ტერმინი „ჰეტერონორმატიულობა“ სათავეს ქვიარ თეორიიდან იღებს და პირველად იგი 1991 წელს ამერიკელმა სოციოლოგმა მაიკლ ვორნერმა გამოიყენა. ჰეტერონორმატიულობა სოციალურ ინსტიტუტებსა და ურთიერთობებში სექსუალობის შესახებ გარკვეული რწმენების, შეხედულებების გამყარებას მოიაზრებს. ამ შეხედულებების თანახმად, სექსი მხოლოდ „ჰენისი ვაგინაში“ აქტია, ოჯახი - ჰეტეროსექსუალი წყვილისგან და მათი ბავშვებისგან შედგება, ხოლო ქორწინების მიზანი - გამრავლებაა, ამიტომაც, ქორწინება მხოლოდ ჰეტერო წყვილებს შორისაა დასაშვები. აქედან გამომდინარე, ჰეტეროსექსუალობა სექსუალობის ერთადერთ, „ბუნებრივ“ ფორმად აღიქმება. ჰეტერონორმატიულობა შეიძლება ასევე განვიხილოთ, როგორც პრაქტიკებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის ლეგიტიმაციას ახდენს, აყენებს მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში, ხოლო მისი „განსხეულება“ ჰეტეროსექსუალური ურთიერთობების საშუალებით ხდება (Cohen, 2005).

მიუხედავად ამისა, ჰეტეროსექსუალობა არა არის არსებითად ჰეტერონორმატიული. ქალსა და მამაკაცს შორის სექსუალური და

არა მხოლოდ სექსუალური ურთიერთობების ფორმამ შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჭეშმარიტებად აღიარებულ ჰეტერონორმატიული ვარაუდები, როგორც, მაგალითად, ეს „ქვიარ ჰეტეროსექსუალებმა“ გააკეთეს (Thomas, 2000). შესაბამისად, შესაძლებელია, პირიქითაც მოხდეს. არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობების ზოგიერთი ფორმა, შესაძლოა, ჰეტერონორმატიულობასთან შესაბამისობაში მოდიოდეს. თუმცა, ჰეტერონორმატიულობა მხოლოდ სექსუალურ პრაქტიკათა ერთობლიობა არაა. იგი უფრო მეტად „იმ საშუალებათა ერთობლიობაა, სადაც ჰეტეროსექსუალური პრივილეგია სოციალურ ურთიერთობებში ფარულად და ყოვლისმომცველად განსაზღვრავს ყოველდღიურ ცხოვრებას“ (Jackson, 2006). ამიტომაც, ლგბტქ ადამიანები უფრო ინტეგრირებულნი არიან საზოგადოებაში, როცა მათი ცხოვრების წესი ნორმალიზებულ ჰეტეროსექსუალობას სარკისებურად ასახავს (თუ მაგალითად, მათი გარეგნობა საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს აკმაყოფილებს, მათი ურთიერთობა კი რომანტიკული, მონოგამიური და ერთგულებით გამსჭვალულია). ასე რომ, უბრალოდ აქცენტის გაკეთება ჰეტეროსექსისტურ პრაქტიკებზე საკმარისი არაა. ჰეტეროსექსუალობა, პირველ რიგში, გენდერული ნორმების გასაძლიერებლად და ქცევის შესაზღვრავად ფუნქციონირებს, რაც ყველაზე ნათლად აჩვენებს იმას, თუ როგორ ხდება ლგბტქ სექსუალობების მარგინალიზება ჰეტერონორმატიულობის მიერ.

ჰეტერონორმატიულობის სოციალურად წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი გზა ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუციონალიზაციაზე გადის. 1980 წელს ამერიკელმა ლესბოსელმა ფემინისტმა ადრიან რიჩმა კლასიკური სტატია „სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა და ლესბოსური ყოფა“ დაწერა. ამ სტატიით ნათელი მოეფინა იმას, თუ როგორ იქცევა ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუციონალიზაცია ნორმად და ბუნებრიობად (ამასთანავე, როგორ ხდება სექსუალობის სხვა ფორმების მარგინალიზაცია). რიჩის თანახმად, ჰეტეროსექსუალობა ინსტიტუტია, რომელიც მხოლოდ მამაკაცთა ინტერესებს ემსახურება

და სრულიად არაბუნებრივია ქალთა უმრავლესობისთვის. იგი ამტკიცებდა, რომ ქალებს მოტყუებით თავს ახვევენ ჰეტეროსექსუალობას რომანტიკის, მამაკაცის სხეულის ეროტიზაციის, გაუპატიურებისა და ლესბოსური ურთიერთობების ცენზურის გზით. შესაბამისად, ჰეტეროსექსუალობა აუცილებლობად განიხილება, ისე, რომ ქალის სოციალური, ემოციური და სექსუალური საჭიროებები დაქვემდებარებულია, რაც უზრუნველყოფს ქალის სხეულისადმი მამაკაცის პრივილეგიურულ სექსუალურ და ემოციურ ხელმისაწვდომობას. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქ ადამიანები დღეს უფრო მეტად ხილვადნი არიან, ვიდრე მაშინ, როცა რიჩმა ეს სტატია დაწერა, ჰეტეროსექსუალობის წახალისება-დაჯილდოება ახლაც მსგავსი ფორმით მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს და განაპირობებს სექსუალობების სხვა ფორმების მარგინალიზებას.

დიდი ძალისხმევა არაა საჭირო ყოველდღიურ ცხოვრებაში ჰეტერონორმატიულობის მაგალითების მოსაყვანად. ნორმატიული ჰეტეროსექსუალობის იმიჯები ყველგან და ყოველთვის გვხვდება - მედიაში, რეკლამებში, წიგნებში. ნებისმიერი არაჰეტეროსექსუალისთვის ყოველი გასაუბრება ახალ ნაცნობთან გადწყვეტილების მიღების აუცილებლობას გულისხმობს - გააკეთოს თუ არა ამ ადამიანთან ქამინგაუთი, რადგან საუბარი ქორწინების, ოჯახის ან თუნდაც ყოველდღიური ცხოვრების შესახებ მუდმივად მოიაზრებს იმას, რომ პარტნიორი სანინალმდეგო სქესისაა. შესაბამისად, ჰეტერონორმატიულობა ნიშნავს იმასაც, რომ არ არსებობს სოციალური იმპერატივი (ან საჭიროება) იმისთვის, რომ იდენტიფიცირება მოახდინო ან ქამინგაუთი გააკეთო, როგორც ჰეტეროსექსუალმა.

ჰეტეროფილია - გამოხატული ეროტიკული შეფერილობის გარეშე არსებული ემოციური მიზიდულობა საპირისპირო სქესის ადამიანებისადმი.

ჰომო - რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს მსგავსებას, ერთიანობას, ერთი და იმავეს კუთვნილებას (მაგ. ჰომოსოციალურობა, ჰომოფილია...)

ჰომოეროტიზმი - ეროტიკული ლტოლვა საკუთარი სქესის ადამიანებისადმი (აუცილებელი არაა ამას თან ახლდეს სექსუალური სიახლოვე).

ჰომოსექსიზმი - ტრანსვესტიზმისა და ფეტიშიზმის ერთგვარი შერწყმა, როცა საკუთარი სქესის სხვა წარმომადგენლის ტანსაცმლის ჩაცმა ადამიანს სექსუალურ სიამოვნებას ანიჭებს. ხშირად, ეს ლტოლვა შენიღბულია „რაიმე ახლის“ ჩაცმის სურვილით და ადვილად ასახსნელია საერთო საცხოვრებლის პირობებითა და ტანსაცმლის დეფიციტით.

ჰომოფობია (ძვ. ბერძ ὁμοφιλία - იგივე, მსგავსი, φόβος - შიში) - ირაციონალური სიძულვილი ჰომოსექსუალების მიმართ; ხშირად გამოხატავს საკუთარ სექსუალურ ფანტაზიებსა და იმპულსებს.

პრობლემური (საკამათო) ტერმინები

პრობლემურია: „ტრანსგენდერები, ტრანსგენდერი“, სასურველია: „ტრანსგენდერი ადამიანი/ადამიანები“ ცალკე სიტყვა ტრანსგენდერი (ინგლისურ ენაში) უნდა გამოიყენებოდეს, როგორც ზედსართავი და არა როგორც არსებითი სახელი. არ თქვათ „ნიკა არის ტრანსგენდერი“, ან „მსვლელობაში ბევრი ტრანსგენდერი მონაწილეობდა“, ამის სანაცვლოდ: „ნიკა არის ტრანსგენდერი კაცი“, „მსვლელობაში მონაწილეობდა ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი“.

პრობლემურია: „სქესის შეცვლა“, „ოპერაციამდელი“, „ოპერაციის შემდგომი“ ამის ნაცვლად სიტყვა „ტრანზიციის“ გამოყენება უმჯობესია. სქესის ჩასწორების ოპერაციაზე აქცენტის გაკეთება და ოპერაციამდელი ან ოპერაციის შემდგომის გამოყენება, არაზუსტია, რადგან გულისხმობს, რომ ტრანზიციის გასაველეად ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება ქირურგიული ჩარევა. მოერიდეთ ქირურგიულ ოპერაციაზე აქცენტის გაკეთებას, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანებზე ან ტრანზიციის პროცესზე საუბრობთ.

შეურაცხყოფელი ტერმინები, რომელთა გამოყენებას საერთოდ უნდა მოვერიდოთ

- შეურაცხყოფელია ადამიანის მოხსენიება ან მიმართვა შემდეგი სიტყვებით: მამათავალი, ცისფერი, ჰიდრასტი, ვარდისფერი.
- შეურაცხყოფელია: „ჰომოსექსუალური ურთიერთობები“, „ჰომოსექსუალი წყვილი“, „ჰომოსექსუალური სექსი“. სასურველია: ურთიერთობა (ან სექსუალური/სქესობრივი ურთიერთობა), წყვილი (ან, თუ მაინც და მაინც საჭიროა „გვი წყვილი“), სექსი, ა.შ. ერთსქესიანი წყვილის „ჰომოსექსუალ წყვილად“ განსაზღვრა და მათი ურთიერთობის „ჰომოსექსუალურ ურთიერთობად“ მონათვლა შეურაცხყოფელია და უნდა მოვერიდოთ. ეს სიტყვათშეთანხმებები ხშირად გამოიყენება ანტი-გვი ექსტრემისტების მიერ ლგბ ადამიანების, წყვილების და მათი ურთიერთობების დამცირებისათვის.
- მოერიდეთ ქმედების, ემოციის ან ურთიერთობისათვის „გვი“, „ლესბოსელი“ ან „ბისექსუალი“ იარლიყის მიკერებას, მხოლოდ

იმიტომ, რომ არ აპირებთ, ან არ შეგიძლიათ უწოდოთ ანალოგიურ ქმედებას, ემოციას ან ურთიერთობას (საპირისპირო სქესის ადამიანებს შორის) „ჰეტეროსექსუალური“. შემთხვევათა უმეტესობაში მკითხველსა და მსმენელს აქვს უნარი და საშუალება, ისედაც განასხვავოს ერთმანეთისგან ადამიანების სქესი და/ან ორიენტაცია სახელების, მათი ურთიერთობის აღწერის და პირის ნაცვალ-სახელების მეშვეობით.

- შეურაცხმყოფელია: „სექსუალური პრეფერენცია“, სასურველია „სექსუალური ორიენტაცია“ ან „ორიენტაცია“. ტერმინი სექსუალური პრეფერენცია, როგორც წესი, გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ გვიდ, ლესბოსელად ან ბისექსუალად ყოფნა არჩევნის საკითხია და ამიტომ შეიძლება ასეთი პირი „განიკურნოს ჰომოსექსუალობისაგან“. სექსუალური ორიენტაცია არის კორექტული ტერმინი, რომელიც ასახავს ადამიანის მდგრად, ურყევ ფიზიკურ, რომანტიკულ და/ან ემოციურ ლტოლვას თავისი ან სხვა სქესის ადამიანებისადმი. ეს ტერმინი მოიცავს, როგორც გვი, ლესბოსელ და ბისექსუალ პირებს ისე, ჰეტეროსექსუალ პირებს.

- გამოიყენეთ ტრანსგენდერი პირის მიერ არჩეული სახელი! ხშირად, ტრანსგენდერ ადამიანებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ კანონიერად შეიცვალონ სახელი (სხვადასხვა, მათ შორის ფინანსური და ასაკობრივი ფაქტორების გამო). მათ მიერ შერჩეულ სახელს ისეთივე პატივისცემით უნდა მოვეპყრათ, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანის სახელს, რომელიც დაბადების ან საბუთებში დაფიქსირებული სახელისგან განსხვავებულად იწოდება.

- ყოველთვის, როდესაც შეგიძლიათ, კითხეთ ტრანსგენდერ ადამიანს, რომელი პირის ნაცვალსახელით მიმართოთ. ადამიანი, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს ამა თუ იმ გენდერთან, იმისდა მიუხედავად იღებს თუ არა ის ჰორმონებს და აქვს თუ არა რაიმე სახის ოპერაცია გაკეთებული, იმსახურებს იმას, რომ მივმართოთ მისი გენდერის შესაბამისი პირის ნაცვალსახელით. რასაკვირველია, ეს არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ჟურნალისტუ-

რი მასალა ქართულ ენაზე მზადდება, რადგან ქართულ ენაში არ არსებობს სქესის განმსაზღვრელი პირის ნაცვალსახელი.

- არასოდეს ჩასვით ბრჭყალებში ტრანსგენდერი პირის მიერ არჩეული რომელიც მის გენდერულ იდენტობას აღნიშნავს. The Associated Press-ის სტილის სახელმძღვანელო გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ტრანსგენდერ ადამიანებსა და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე წერენ. ამ წიგნის მიხედვით, ჟურნალისტებმა უნდა „გამოიყენონ ის სახელი, რომელსაც ირჩევენ ინდივიდები, რომლებმაც საპირისპირო სქესის ფიზიკური მახასიათებლები შეიძინეს, ან თვითგამოხატვა აქვთ მათი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული. თუ მათი სურვილი არ არის ცნობილი/გამოხატული, გამოიყენეთ სახელი, რომელიც შესაბამისობაშია იმასთან, თუ როგორ ცხოვრობს პირი საჯაროდ.“ (იხ. AP, New York Times & Washington Post Style).

- ტრანსგენდერი ადამიანების აღწერისას, გთხოვთ, გამოიყენოთ მათი გენდერული იდენტობის აღწერისათვის კორექტული ტერმინები. მაგალითად, ადამიანი, რომლის ბიოლოგიური სქესი დაბადებიდან მამრობითია, მაგრამ ტრანზიციას განიცდის მდედრობითი სქესისკენ, უკვე არის ტრანსგენდერი ქალი, მაშინ, როდესაც მდედრობითი სქესის ადამიანი, რომელიც ტრანზიციას გადის მამრობითი სქესისკენ, უკვე არის ტრანსგენდერი კაცი.

- მოერიდეთ პირის სახელთა არეულად გამოყენებას, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანების ბიოგრაფიას იკვლევთ ტრანზიციამდე. ზოგადად კი, უმჯობესია ტრანსგენდერი ადამიანის/ადამიანების ისტორიის მოთხრობა მოხდეს ანმყოფ ათვლის წერტილიდან, ვიდრე წარსულში სხვადასხვა საწყისიდან, ამგვარად თავიდან ავირიდებთ არეულობას და არასწორი სახელების პოტენციურად შეურაცხყოფელ გამოყენებას.

- ხშირად, უბრალო ინფორმაციის გადაცემისას, ჟურნალისტები ადამიანებს უმიზეზოდ აკერებენ იარლიყებს. მაგალითად, მკვლელობის აღწერისას სულაც არ არის აუცილებელი, რომ მას „ჰომოსექსუალური მკვლელობა“ ვუწოდოთ. ჰკითხეთ საკუთარ თავს,

ოდესმე თუ გამოგიყენებიათ სიტყვათშეთანხმება „ჰეტეროსექსუალური მკვლელობა“? ის ფაქტი, რომ კაცმა თავის ცოლს „ლესბოსელი“ უწოდა, სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამ ინციდენტს „ჰომოსექსუალური“ ინციდენტის კვალიფიკაცია მივანიჭოთ. უპირანი იქნებოდა, გვეთქვა, რომ „კაცმა თავის ცოლი სხვა ქალთან ურთიერთობის გამო მოკლა“. სხვა შემთხვევას წარმოადგენს დანაშაული, რომელიც უშუალოდ ადამიანის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გამოა ჩადენილი. იგი კვალიფიცირდება, როგორც „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“.

- როდესაც საუბარია ლგბტ აქტივისტებზე, უფრო კორექტული იქნებოდა, გამოგვეყენებინა სიტყვათშეთანხმება „ლგბტ უფლებათა აქტივისტი“ და არავითარ შემთხვევაში - „გვი აქტივისტი“ ან „ლგბტ აქტივისტი“. გახსოვდეთ, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ლგბტ უფლებათა დამცველი ლგბტ თემის წარმომადგენელი იყოს. ადამიანის ლგბტ ან ჰეტეროსექსუალური თემის წარმომადგენელთან იდენტიფიცირება საფრთხილო საქმეა, რადგან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ საუბარი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების პირადი ნებაა.

რატომ არ უნდა გამოიყენებოდეს სიტყვები „ჰომოსექსუალისტი“ და „ჰომოსექსუალიზმი“ და რატომ უნდა ვამჯობინოთ სიტყვა „ჰომოსექსუალის“ გამოყენებას სიტყვები „გვი“ ან „ლესბოსელი“?

„ჰომოსექსუალისტი“ და „ჰომოსექსუალიზმი“ - სწორედ ამ სიტყვებს იყენებენ ყველაზე ხშირად ჟურნალისტები, როდესაც მხედველობაში ჰყავთ ჰომოსექსუალი ქალები ან კაცები. მოცემული მომენტისათვის ამ სიტყვების გამოყენება სუფიქსების „ისტ“ და „იზმ“ დართვით არაკორექტულია. ამას გააჩნია რამდენიმე ახსნა.

1. ქართულში არ ვიყენებთ სიტყვებს „ჰეტეროსექსუალისტი“ ან „ჰეტეროსექსუალიზმი“, ისევე როგორც „ბისექსუალისტი“ და

„ბისექსუალიზმი“. ამიტომ, ლოგიკური იქნებოდა, რომ შესაბამისად ვიტყოდით „ჰომოსექსუალი“ და „ჰომოსექსუალობა“.

2. ქართულ ენაში სუფიქსები „ისტ“ და „იზმ“ გამოიყენება იდეოლოგიის აღმნიშვნელ სიტყვებში (მაგ. მარქსისტი, მარქსიზმი, ფაშისტი, ფაშიზმი და სხვ). გამომდინარე იქიდან, რომ ჰომოსექსუალობა არ წარმოადგენს იდეოლოგიას, მართებული იქნებოდა მხოლოდ ტერმინების „ჰომოსექსუალისა“ და „ჰომოსექსუალობის“ გამოყენება.

3. ტერმინები „ჰომოსექსუალი“ და „ჰომოსექსუალობა“ სწორი იმიტომაც არის, რომ ეს სიტყვები არსობრივ შეთანხმებაში მოდიან დასავლეთეფროპულ ანალოგებთან (მაგალითად, ინგლისურ ენაში - «homosexual» და «homosexuality»).

4. არ არსებობს ყველასთვის საერთო ჰომოსექსუალობა, არსებობს მრავალფეროვანი ჰომოსექსუალობები. ტერმინები „ჰომოსექსუალობა“ და „ჰომოსექსუალი“ თავის თავში გულისხმობს თავად მოვლენის ცვალებადობასა და პლასტიკურობას: ადამიანი შესაძლოა ჰომოსექსუალური იყოს მეტად ან ნაკლებად, ამა თუ იმ გამოვლინებაში (მაგალითად, თავისი სურვილების სფეროში, მაგრამ არაქცევაში, ან პირიქით) და სხვ.

5. მასობრივ ცნობიერებაში სიტყვებს „ჰომოსექსუალისტი“ და „ჰომოსექსუალიზმი“ ნეგატიური დატვირთვა გააჩნია იმის გამო, რომ საბჭოთა მედიცინაში ეს სიტყვები მკურნალობას დაქვემდებარებული სქესობრივი გაუკუღმართების აღსანიშნავად გამოიყენებოდა, ხოლო კრიმინალისტიკაში სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდებოდა. რაკი ამჟამად ეს მიდგომები დისკრედიტებულია, შესაბამისად, ამ სიტყვების გამოყენებაც წარსულის საკუთრებად უნდა გადაიქცეს და მათი ადგილი უნდა დაიკავოს სიტყვებმა „ჰომოსექსუალი“ და „ჰომოსექსუალობა“.

სიტყვების „ჰომოსექსუალისტი“ და „ჰომოსექსუალიზმი“ ასეთი დისკრიმინაციული წარსული მათ სრულიად მიუღებელ და შეურაცხყოფელ ელფერს სძენს გვეებისა და ლესბოსელების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. ამიტომაც, უურნალისტები განსაკუთრებით

ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ სიტყვების კორექტულ გამოყენებას და არ დაუშვან დაუდევრობა ამ საკითხთან მიმართებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე სამყაროში უკვე ტერმინი „ჰომოსექსუალობაც“ საკმაოდ მოქველებულია მიიჩნევა, თუმცა მისი გამოყენება ჩვენში ბევრად ნაკლებ დისკომფორტს უქმნის გვიან ლესბოსელ ადამიანს, ვიდრე სიტყვა „ჰომოსექსუალისტი“. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტყვა „ჰომოსექსუალის“ გამოყენება უნდა შემოვიინახოთ კლინიკური ან ბიოლოგიური კონტექსტისთვის. მოერიდეთ ამ სიტყვის გამოყენებას არსებითი სახელის რანგში. გარკვეულ კონტექსტებში ეს შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც მადისკრიმინირებელი დამლა.

რას ნიშნავს სიტყვათშეთანხმება „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია“ და „სექსუალური უმცირესობები“?

გამოთქმა „არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია“ ასევე ერთმნიშვნელოვნად არაკორექტულია. ერთსქესიანი რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობების მტკიცებულებები არსებობს თითქმის ყველა კულტურაში, ჩვენი ისტორიის ყველა ეტაპზე. ამიტომაც, ჰომოსექსუალური ურთიერთობები ისევე ტრადიციულია, როგორც ჰეტეროსექსუალური.

რაც შეეხება გამოთქმას „სექსუალური უმცირესობები“, ერთი მხრივ, მისი გამოყენება სრულიად გამართლებულია (მართლაც, გეები და ლესბოსელები სტატისტიკურად უმცირესობას წარმოადგენენ), მაგრამ მეორე მხრივ, თავად ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ადამიანებს შორის სექსუალური უპირატესობები მთლად უნივერსალური როდია. ივ კოსოვსკი-სედვიკი წიგნში „საკუჭნაოს ეპისტემოლოგია“ წერს: „ვვარაუდობ, რომ სექსუალობის კონკრეტულ სფეროში ბევრმა ჩვენთაგანმა არც კი იცის განსხვავება ერთი გენდერის, რასის, ეროვნების, კლასისა და „სექსუალური ორიენტაციის“ ადამიანებს შორის, რომელთა შორის თითოეული, მიუხედავად ამისა, მტკიცედ აღიქმება, როგორც წმინდა წყლის განსხვავებულობა, თუმცა სექსუალობის შესახებ გავრცელებული წარმოდგენების რღვევის ფარულ პოტენციალს მუდმივად ინარჩუნებს“. ამას გარდა, მოცემულ სიტყვათშეთანხმებაში მახვილი ერთმნიშვნელოვნად ისმის სიტყვა „სექსუალური“ და არა სიტყვა „უმცირესობები“. ეს კი, როგორც უკვე აღინიშნა, ასევე არაკორექტულია, რადგან სექსუალობა გეებისა და ლესბოსელების ურთიერთობის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს და არა ერთადერთს.

მაგრამ, კორექტული იქნებოდა ისეთი სიტყვათშეთანხმების განმარტებითი გამოყენება, რომელიც მაგ. ასე იქნებოდა წარმოდგენილი: „ადამიანები, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან თავიანთი ცხოვრების წესის, ინტიმური მიკუთვნებულობის ან თვითიდენტიფიკაციისა და თვითგამოხატვის სხვა ფორმების გამო. ეს

თანამედროვე სახელმწიფოებრივ წყობაში გაბატონებული
ჰეტერონორმატიული მოდელიდან გადახრად განიხილება“.

ნაწილი პირველი

ლგბტ მოძრაობა, პოლიტიკური ბრძოლა თანასწორუფლებიანობისთვის

1. რა არის ლგბტ აქტივიზმი? მედია აქტივიზმის როლი ლგბტ მოძრაობაში

„აქტივიზმი - ეს არის ნებისმიერი სახის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია პიროვნებისა და საზოგადოების შესაძლებლობათა გაფართოებისკენ, ალტერნატიული საორგანიზაციო მექანიზმებისა და ინსტიტუტების შექმნისკენ, აგრეთვე საზოგადოების გაძლიერებისა და მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების გაზრდა-გამრავლებისკენ“

ნენსი ნეპლსი, სოციოლოგიისა და გენდერულ
კვლევათა პროფესორი

ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ იგი მუდამ ცდილობს გარესამყაროს შეცვლას და საკუთარ მოთხოვნებზე მის მორგებას. ამას გარდა, ადამიანი სოციალური არსებაა და მისი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება სხვა ადამიანებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვინ ცხოვრობს და მუშაობს ჩვენთან ახლოს, როგორი ურთიერთობები გაგვაჩნია საზოგადოებასა და მის ცალკეულ ჯგუფებთან. მაგრამ, ამასთანავე, თითოეული ჩვენგანი უნიკალური პიროვნებაა, საკუთარი განუმეორებელი თვისებებითა და მახასიათებლებით. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის იმ თავისებურებებს წარმოადგენენ, რომლებსაც განვრცობის უკიდევანო შესაძლებლობა გააჩნიათ. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ დღემდე სხვადასხვა ქვეყნებსა და კულტურებში მრავალი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანი საზოგადოების მხრიდან აწყდება შეუვალ სტიგმატიზაციას, დისკრიმინაციასა და ძალადობას.

ლგბტ აქტივიზმი - ეს არის გზა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკუთარი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის, როგორც ქსენოფობიის ერთ-ერთი სახეობის, პრობლემასთან. აქტივიზმი ინსტრუმენტია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, აქ და ახლავე შეიცვალოს გარემომცველი სინამდვილე; აქტივიზმი ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობის - ადამიანური ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

ლგბტ აქტივიზმის დასავლური ისტორია ხუთ ეტაპად იყოფა.

ლგბტ აქტივიზმის პირველი ეტაპი, რომელსაც სხვა სიტყვებით ჰომოსექსუალთა ემანსიპაციას უწოდებენ, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისს მოიცავს. ეს პერიოდი, უპირველეს ყოვლისა, მაგნუს ჰირშფელდის და მისი გერმანელი თანამოაზრეების მოღვაწეობას უკავშირდება. ამ დროისათვის გერმანელი მეცნიერები ბევრად პროგრესულები იყვნენ, ვიდრე მათი ბრიტანელი და ამერიკელი კოლეგები. გერმანელები პურიტანული მემკვიდრეობისგან თავისუფალნი იყვნენ და მათ მიერ ჯანსაღი სხეულის იდეის კულტივირება ხელს უშლიდა ფარისევლური მორალისა და სექსუალური რეპრესიების წახალისებას. ამას გარდა, ამ პერიოდში გერმანია ერთის მხრივ იყო ქვეყანა, სადაც ყვაოდა ჰომოსექსუალთათვის განკუთვნილი კაფეები, ბარები და კლუბები, ხოლო მეორე მხრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობით იდეგნებოდა კაცებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური კონტაქტები. ამის შედეგად, ჰომოსექსუალთა მიმართ შანტაჟსა და სხვა არაკეთილსინდისიერ ქმედებებს ხშირად ჰქონდა ადგილი. მსგავსი მდგომარეობა ბევრ ადამიანში აღმფოთებებს იწვევდა. მეორე მსოფლო ომის დაწყებამდე გერმანიაში რამდენიმე ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც ჰომოსექსუალობის კვლევით იყო დაკავებული, ტარდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები, მზადდებოდა ბაზა ჰომოსექსუალობის მაკრიმინალიზებელი სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის გასაუქმებლად.

ხელისუფლებაში ნაციტების მოსვლამ ამ მუშაობას წერტილი დაუსვა. 1919 წელს მაგნუს ჰირშფელდის მიერ შექმნილი სექსოლოგიის ინსტიტუტი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო 1933 წელს მისი ყველა წიგნი და პუბლიკაცია საჯაროდ დაწვეს.

ლგბტ აქტივიზმის მეორე ეტაპი (ომის შემდგომი პერიოდი, 1940-იანი წლებიდან დაწყებული, 1960-იანი წლების შუა ხანებით დამთავრებული) უკავშირდება ე.წ. ჰომოფილურ მოძრაობას (ტერმინი „ჰომოფილია“ სიტყვა „ჰომოსექსუალობის“ ალტერნატივად გაჩნდა, რათა მის უკან მდგარი ცნება დაეკავშირებინა არა იმდენად სექსთან, რამდენადაც სიყვარულთან). თავიანთი მიზნის - ჰომოსექსუალების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად აღიარების მისაღწევად ჰომოფილური მოძრაობის მონაწილეები ისწრაფოდნენ ორი ძირითადი ამოცანის გასატარებლად: ჰომოსექსუალობის შესახებ მეცნიერული ცოდნის გავრცელებისა და საზოგადოების დარწმუნებისთვის იმაში, რომ ჰომოსექსუალები „ჩვეულებრივი და წესიერი ადამიანები არიან“. ამ პერიოდში ცნობილი ხდება ორგანიზაციები: Daughters of Bilitis და Mattachine Society. ამავე დროს იქმნება ჰოლანდიური ორგანიზაცია Cultuur en Ontspannings-Centrum (COC, „კულტურისა და დასვენების ცენტრი“) - მოქმედ ლგბტ ორგანიზაციათა შორის უძველესი.

1960-იან წლებში სექსუალურ რევოლუციასთან, ქალის უფლებებისა და რასობრივი თანასწორობისთვის ბრძოლასთან ერთად ჰომოფილური მოძრაობის ადგილას აღმოცენდა უფრო რადიკალური კონტექსტის მქონე მოძრაობა გეების უფლებებისთვის (მას ასევე „გეი-განმათავისუფლებელ მოძრაობას“ უწოდებდნენ). გეი მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთი საკულტო და საკვანძო მოვლენა - სტოუნუოლის ბარის ამბოხი და თანამდევი საპროტესტო მოძრაობა ნიუ-იორკში. ამ დროს ლგბტ საზოგადოების მოთმინებას წერტილი გეი დაწესებულებებზე პოლიციის რეგულარულმა და ნაწილობრივ უკანონო რეიდებმა დაუსვა. ამ პერიოდში ლგბტ აქტივისტები გამოდიან არა მხოლოდ საზოგადოებაში ჰომოსექსუალთა უფრო

ფართო აღიარებისათვის, არამედ უკვე სრულ საზოგადოებრივ პატივისცემას, ინტეგრაციასა და თანასწორუფლებიანობას ითხოვენ. გეების უფლებებისთვის გაშლილმა მოძრაობამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უამრავი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა და განვითარდა ქუჩის მსვლელობებისა და მარშების ჩატარების ტრადიცია და ლგბტ თემის სოციალური მხარდაჭერის პრაქტიკასდაედოსათავე.

ლგბტ აქტივიზმის მეოთხე ტალღა უკავშირდება 1980-იანი წლების დასაწყისში აივ ინფექციის შესახებ ინფორმაციის გამოჩენას. შიღსით პირველ დაავადებულთა შორის ჰომოსექსუალებიც იყვნენ და გარკვეული დროის მანძილზე ისინი მიიჩნეოდნენ მოსახლეობაში ეპიდემიას მეტად დაქვემდებარებულ ერთ-ერთ რისკჯგუფად. ლგბტ მოძრაობის აქტივისტებმა მომავალ ხიფათზე მაშინვე რეაგირება მოახდინეს და როგორც დამოუკიდებლად, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა სუბიექტთან თანამშრომლობით მიიღეს ზომები აივ ინფექციის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ისინი აქტიურად ავრცელებდნენ ინფორმაციას დაავადების შესახებ და რეალურ მხარდაჭერას უწევდნენ ეპიდემიით დასნეულებულებს.

ამჟამად დასავლეთში ლგბტ მოძრაობის ახალ ეტაპზე უკვე შეიძლება საუბარი. იქმნება და აქტიურად ვითარდება ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სპეციალიზებულ მიმართულებებზე. მაგალითად გამოგვადგება ლგბტ ადამიანებისთვის ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების განწევა, სპეციალიზებული სამედიცინო კლინიკების შექმნა, იმ პროგრამების განხორციელება, რომელთა სამიზნე აუდიტორიასაც წარმოადგენენ ლგბტ თემის ცალკეული ჯგუფები - ხანდაზმულები ან ახალგაზრდები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, ეთნიკური ჯგუფები და სხვა, ასევე ქსელური ორგანიზაციების, ასოციაციების, რეგიონული და საერთაშორისო კოალიციების აქტიური შექმნა-განვითარება, ლგბტ საზოგადოების ინტერესებისა და უფლებების შემლახველი კანონმდებლობის კორექტურა (პარტნიორობის ინსტიტუტის ფართოდ შემოღება, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე მუშაობა და ა.შ.).

1.2.1 მედია აქტივიზმის სათავეებთან

დასავლეთის ქვეყნებში, უკვე 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, მედია აქტივიზმი დიდ როლს თამაშობს ლგბტ უფლებათა დაცვის საქმეში. მედია აქტივიზმის ადრეული ფორმები გულისხმობდა ლგბტ საკითხების შემცველი ალტერნატიული გაზეთების, ჟურნალებისა და რადიო გადაცემების შექმნა-გავრცელებას.

ამ პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაინტერესებულნი არ იყვნენ ლგბტ ადამიანების საკითხების წინ წამოწევით. ამან თემის წარმომადგენლებს სტიმული მისცა, შეექმნათ საკუთარი მედია სისტემა, რომელმაც, მიუხედავად მწირი დაფინანსებისა, მალე აყვავება დაიწყო.

1980-იან წლებში მედია აქტივიზმის ძირითად ფუნქციად შიღისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ლგბტ საზოგადოების ინფორმირება იქცა. მაშინ ამ სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მასმედიის სხვა საშუალებებში შეზღუდული იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში მედია აქტივიზმს ახალი ფორმები მოუტანა გლამურული ჟურნალებისა და გასართობი მედიის სახით, აგრეთვე უფლებადამცველი და ადვოკაციური ხასიათის მიზანმიმართული კამპანიებით, რომელთა მიზანიც მასმედიაში ლგბტ თემის წარმომადგენელთა დამახინჯებული წარმოჩენის აღკვეთა იყო.

მეოცე საუკუნის დასასრულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აქტივიზმმა გამოხატვის ახალი სფერო მოძებნა - ინტერნეტ-რესურსები, რაც მინიმალური დანახარჯით ინფორმაციის გავრცელების, ტერიტორიული საზღვრების გადალახვისა და მთელს მსოფლიოში ლგბტ თემის წარმომადგენელთა გაერთიანების საშუალებას იძლეოდა.

მედია აქტივიზმის ცალკე მიმართულებაა მას-მედიის ზოგადი ხასიათის მონიტორინგი, ასევე საზოგადოებაში ლგბტ თემის სათანადო ასახვის უზრუნველსაყოფად მედიის წარმომადგენლებთან დიალოგის გამართვა.

1.2.2 უურნალ-გაზეთები

უურნალი „დერ ეიგენ“ (გერმ. Der Eigene - განსაკუთრებული), რომელსად ადოლფ ბრანდი 1896-1931 წლების გერმანიაში გამოსცემდა, ჰომოსექსუალთათვის განკუთვნილი პირველი უურნალი იყო მსოფლიოში.

1899-1922 წლებში ასევე გამოიცემოდა „სხვაგვარი სექსუალობის მქონე ადამიანების ყოველწლიური მიმოხილვა“ (Jahrbuch für sexuelle Zwischenstufen) - სამეცნიერო ჰუმანიტარული კომიტეტის გამოცემა, რომელიც ჰომოსექსუალობის მეცნიერულ და კულტუროლოგიურ კვლევებს აქვეყნებდა.

სპეციალიზებულ გამოცემათა ზრდის პირველი ტალღა კვალდაკვალ მოჰყვა მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე აშშ-ში გეებისა და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის განვითარებას. 1975 წლისთვის აშშ-ში უკვე არსებობდა ორმოცდაათზე მეტი დასახელების ლესბოსური და ფემინისტური გამოცემა, ასევე, პერიოდიკის დიდი რაოდენობა, რომელიც გეების პრობლემებს ეძღვნებოდა.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში გეებისა და ლესბოსელების საერთო პრობლემებს, როგორც პრესის თვალთახედვის არეში მოხვედრილ საგანს, დაემატა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ფერადკანიან ქალებსა და კაცებზე განხორციელებული რასიზმი და ძალადობა, აგრეთვე ბისექსუალობა და ალტერნატიული სექსუალური პრაქტიკები.

90-იან წლებში უურნალების არა იმდენად შინაარსი, არამედ ფორმები შეიცვალა - პოპულარობა მოიპოვეს პრიალაგარეკანიანმა გამოცემებმა და უურნალებმა, რომლებიც დაინტერესებული არაპროფესიონალი ჯგუფების მიერიქმნებოდა.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ლგბტ კვლევების ინსტიტუციონალიზაციასთან ერთად პირველი აკადემიური უურნალებიც ჩნდება. მათი მიზანი ლგბტ ადამიანების პრობლემების დისციპლინათაშორისი განხილვის შესაძლებლობის მოპოვებაა. ასე მაგალითად, 1993 წლიდან შეერთებულ შტატებში გამოდის ლესბო-

სური და გვი კვლევების ჟურნალი, ხოლო 1996 წლიდან ლესბოსური კვლევების ჟურნალი, სადაც იბეჭდება სტატიები, კრიტიკული მიმოხილვები და კომენტარები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სამართალი, რელიგია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ფილოლოგია და სხვ. 2003 წელს შტატებშივე გამოვიდა გვი და ლესბოსური პრობლემების ჟურნალი განათლების სფეროში, სადაც იბეჭდებოდა სამეცნიერო სტატიები, მონინავე პრაქტიკოსთა ესსეები, განიხილებოდა ლგბტ ადამიანების - პედაგოგთა და სტუდენტთა პრობლემები, აგრეთვე ეძღვნებოდა უნივერსიტეტების აუდიტორიებში გვი თემატიკის განხილვის მეთოდებს. მსგავსი პრაქტიკა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

1.2.3 რადიო

საგანგებოდ გვი აუდიტორიისთვის განკუთვნილი პირველი რადიოტრანსლაცია აშშ-ში ეთერში გავიდა 1956 წელს, როდესაც ალენ გინსბერგმა პირდაპირ ეთერში წაიკითხა თავისი პოემა “გმინვა”. გვი მსმენელზე გათვლილი პირველი რადიოპროგრამები იყო Gaydreams (ფილადელფია, 1971 წელი) და დღესაც წარმატებული I-M-R-U (ლოს-ანჯელესი, 1974 წელი). პირველი ლესბოსური რადიოგადაცემები აშშ-ში ფემინიზმის მეორე ტალღის აგორების პერიოდში - მეოცე საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. თუმცა, პროგრამათა უმეტესობა არსით ფემინისტური იყო და ეძღვნებოდა ზოგადად ქალთა პრობლემებს, მათი ნაწილი მაინც გამიზნული იყო ლესბოსური საზოგადოების სპეციფიკურ ასპექტთა ასახვაზე (მაგალითად, ერთ-ერთი პირველი ლესბოსური რადიოპროგრამა „ამორძალთა ქვეყანა“ ეთერში 1974 წელს ფილადელფიაში გავიდა). ზოგიერთი ჯგუფი აგრეთვე კომედიური საპნის ოპერების (ტელესერიალები) შექმნაზე მუშაობდა, რაც ლესბოსელების შესახებ დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევას ემსახურებოდა (მაგალითად, 1970 წელს გადაღებული „ლიდიას გათავისუფლება“ და 1980 წელს გადაღებული „ვნების ჭა“). რადიოპროგრამათა უმეტესობა პირდაპირ თუ ირიბად საზოგადოებაში ლესბოსელთა

სტიგმატიზაციის აღმოფხვრას ემსახურებოდა. ასე მაგალითად, პროგრამა „ლესბოსური რადიოშოუ მილიონების მონაწილეობით“ ყოველ ჯერზე ჩანაწერების ფრაგმენტით იწყებოდა, სადაც ქალები საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სამუშაოსა და სექსუალური იდენტობის აღწერით იწყებდნენ (მაგალითად, „მე მსახიობი ვარ, ლესბოსელი...“). შოუს პროდიუსერის, ჯუდიტ პასტერნაკის სიტყვების თანახმად, შოუს იდეა იმაში მდგომარეობდა, „რომ ადამიანებისთვის მიგვეხვედრებინა, რომ ჩვენ ყველგან ვართ“.

ოცდაოთხსაათიანი რადიომაუწყებლობის ორგანიზების პირველი პრეცედენტი, რომელიც მოიცავდა ჰომოსექსუალთათვის აქტუალური საკითხების გაშუქებასა და მუსიკას, 1992 წელს დენვერში სცადეს.

1.3 მნიშვნელოვანი ლგბტ მოვლენები

1566: მას შემდეგ, რაც 1492 წელს კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, ჩრდილოეთ ამერიკაში, ფლორიდაში, ერთსქესიანი სექსუალური აქტივობის გამოადამიანის პირველი ჩვენთვის ცნობილი სიკვდილით დასჯა ესპანელების მიერ განხორციელდა.

1607-1610: პირველი მუდმივი ინგლისური კოლონია ჯეიმსტაუნში, ვირჯინიის შტატში, შეიქმნა. ვირჯინიაში ინგლისიდან გადმოაქვთ „ოდომის“ კანონი, რომლის თანახმადაც სქესობრივი აქტი ორ კაცს შორის „მძიმე დანაშაულია“ და სიკვდილით ისჯება. მოგვიანებით, მართალია, სიკვდილით დასჯას არა, მაგრამ ჰომოსექსუალური ქმედებისთვის თავისუფლების აღკვეთას კიდევ ოცდაოთხი შტატის კანონმდებლობაც ითვალისწინებდა.

1642: ელიზაბეტ ჯონსონი პირველი ქალია, რომელმაც „სოდომის ცოდვის“ კანონები დაარღვია (ესექსის საგრაფო, მასაჩუსეტისის ყურის კოლონია).

1744: ფრანგი მისიონერი მამა შარლევეა აღწერს იროკეზი ბერდაჩეების ტრანსსექსუალურ და ჰომოსექსუალურ ქცევებს: „აქ არიან ნამუსგარეცხილი კაცები, რომლებიც ქალის სამოსს იცვამენ და ქალის ყველა საქმიანობას ასრულებენ. მათგან ისეთი გახრწნილება მოდის, რომ ამის აღწერა ჩემს ძალებს აღემატება. ისინი იმიზიზებენ,

თითქოს მათი ქმედება რელიგიით იყოს განპირობებული“. სინამდვილეში, 133 ჩრდილოამერიკელ ტომს შორის იროკვზების ტომი ერთ-ერთია, ვინც ბერდაჩეების ორსქესიან სულებს წმინდა ცერემონიის აღსასრულებლად იყენებდა.

1776-1777: ოცდაათი კოლონია დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობას აცხადებს. იმ დროისთვის ყველაზე ლიბერალურად მოაზროვნე თომას ჯეფერსონი გამოვიდა ინიციატივით, რომ ვირჯინიის „სოლომონის“ დაკავშირებული კანონი „შერბილებულ“ იქნას და სიკვდილით დასჯის ნაცვლად სასჯელად კასტრაცია დაწესდეს. ჯეფერსონის წინადადება არასოდეს განხორციელებულა.

1778: გოტჰოლდ ენსლინი პირველი ამერიკელია, რომელიც „სოლომონის“ გამო არმიამში მსახურებისგან გაათავისუფლეს.

1787: მიღებულია კონსტიტუცია, შეერთებული შტატების მმართველობა ამჟამინდელ სახეს იღებს.

1790: „ინდუსტრიული რევოლუციის“ შედეგად, მოხდა ქალაქების სწრაფი განვითარება. ქალაქური ტიპის დასახლებებმა ფერმები ჩაანაცვლეს, სადაც აქამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ამერიკელების უმეტესი ნაწილი.

1791: საფრანგეთში, რევოლუციური კოდექსის მიღების საფუძველზე, ჰომოსექსუალური ურთიერთობების საფუძველზე დევნა შეწყდა.

1795: მარკიზ დე სადი აქვეყნებს თავის „ბუდუარის ფილოსოფიას“, სადაც სექსუალური პრაქტიკების, მათ შორის ჰომოსექსუალობის, თითქმის ყველა ფორმაა აღწერილი.

1832: რუსეთის იმპერიაში, ახალშემოღებული სისხლის სამართლის კოდექსის 995-ე მუხლის თანახმად, ჰომოსექსუალური ურთიერთობები ციმბირში ხუთწლიანი გადასახლებით ისჯება.

1858: ოსმალეთის იმპერიასა და აღმოსავლეთ ტიმორში ჰომოსექსუალობა ოფიციალურად დეკრიმინალიზებული ხდება.

1860: უოლტ უიტმენმა გამოსცა კრებული „ბალახის ფოთლები“, სადაც ფარული მინიმუმებია ავტორის ჰომოსექსუალობის შესახებ. უიტმენი ამერიკულ ქალაქებში აღმოცენებული გეი სუბკულტურის

ტიპური წარმომადგენელია. ოჯახისა და პროვინციელი მეზობლების ჭორიკანა მზერისგან მოშორებული ქალაქელი გვი ახალგაზრდები თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას ადრინდელზე ბევრად თავისუფლად ამჟღავნებდნენ, აგრეთვე, მათთვის ბევრად გაიოლდა პოტენციური პარტნიორების ძიების პროცესიც. ცნობილი ფსიქიატრი ჰელოკ ელისი 1915 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მონახულების შემდეგ წერდა, რომ „სექსუალურ ინვერტთა რაოდენობა ნებისმიერ ამერიკულ ქალაქში საკმაოდ მრავალრიცხოვანია“.

1869: ავსტრო-უნგრელი მწერალი და პუბლიცისტი დოქტორი ბენკერტი (კარლ მარია კერტენის ფსევდონიმი) ანონიმურ ჰანფლეტში პირველად იყენებს სიტყვას „ჰომოსექსუალი“ (Homosexualität), ერთსქესიანი ურთიერთობებით დაინტერესებული ადამიანების აღსანიშნად. გერმანულად დანერგილი ჰამფლეთი პრუსიული კანონის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რის თანახმადაც კაცებს შორის სექსუალური ურთიერთობები იდევნებოდა. კერტენი საკუთარ თავზე წერდა, რომ „სექსუალურად აბსოლუტურად ნორმალური იყო“. მას ამ კანონის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება მეგობრის თვითმკვლელობამ გადააწყვეტინა, რომელ-საც შანტაჟისტი დევნიდა. სიტყვა „ჰომოსექსუალობის“ პირველად გაუღერების ზუსტ თარიღთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობს. ისტორიკოს ჯონათან კატსის მტკიცებით, ბენკერტმა სიტყვა „ჰომოსექსუალობა“ 1868 წელს გამოიყენა. ტერმინი მალე მისმა მეგობარმა, ზოოლოგმა გუსტავ ეგერმა აიტაცა. სწორედ მისი წიგნიდან „ღია სულები“ (1880) გადავიდა ეს ტერმინი სექსუალობის სახელგანთქმული თეორეტიკოსის, ფსიქიატრ რიჰარდ ფონ კრაფტ-ეზინგის პოპულარულ ნაშრომში "Psychopathia Sexualis" (1886), რომელიც იმ დროს დიდიპოპულარობით სარგებლობდა.

ამის პარალელურად, გერმანელმა ფსიქიატრმა კარლ ვესტფალმა ერთსქესიანი ლტოლვა „წინააღმდეგობრივ სექსუალურ გრძნობად“ მონათლა და ავადმყოფობად გამოაცხადა. მომდევნო ასი წლის მანძილზე, მთელი ფსიქიატრია ეყრდნობოდა კერტენის

ტერმინსა და ვესტფალის ინტერპრეტაციას, ჰომოსექსუალობას სულიერ ავადმყოფობად მიიჩნევდა და მის „განკურნებას“ სხვადასხვაგვარი მეთოდებით ცდილობდა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი სამედიცინო დისკურსის გაჩენაზე მიუთითებს ის ფაქტორი, რომ ამიერიდან დანაშაულის, ცოდვის, სოლომის ნაცვლად თავისივე სქესის ადამიანებით დაინტერესება ფსიქოლოგიურ მდგომარეობად ან ავადმყოფობად განიხილება, რომლის მკურნალობაა საჭირო და არა დასჯა.

1889: ლესბოსელი ქალი ჯენ ადამსი ჩიკაგოში აარსებს ამერიკაში ღარიბების პირველ თავშესაფარს. ადამსის ამ წამოწყებას უკავშირდება ისეთი უმნიშვნელოვანესი პროფესიის გაჩენა, როგორცაა „სოციალური მუშაკი“. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ქალებისთვის განათლების მიღება და ეკონომიკური თვითრეალიზაციის პოვნა თანდათან ხელმისაწვდომი ხდება. ამიტომაც, ახალი პროფესია მათ ადვილად გაითავისეს. ასევე, მათთვის გაადვილდა მასწავლებლისა და მედიის პროფესიების დაუფლება. საკუთარი შემოსავლის წყაროს ქონა ქალებს დამოუკიდებლად, ქმრების გარეშე ცხოვრების შესაძლებლობას აძლევდა. ზოგიერთმა მათგანმა თავისი ერთსქესიანი სექსუალური სურვილების გამომჟღავნება და რეალიზებაც იწყო. ტერმინი „ბოსტონური ქორწინება“ (Boston marriage) აღნიშნავს ორი ქალის ისეთ ურთიერთობას, რომლის დროსაც ისინი ერთად დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე ცხოვრობენ. ბოსტონში დასაქმებული ქალების დიდი ნაწილი ცხოვრების ასეთ წესს მისდევდა და ეს სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. „ბოსტონური ქორწინების“ მასობრივი გავრცელება პირველი ლესბოსური თემების გაჩენის წინაპირობად იქცა.

1895: ოსკარ უაილდს სასამართლო სოლოშიაში ადანაშაულებს.

1920: ქალებმა ხმის მიცემის უფლება მოიპოვეს აშშ-ში.

1924: ჩიკაგოში დაარსდა „ადამიანის უფლებათა დამცველი საზოგადოება“ (The Society for Human Rights), - პირველი ცნობილი ორგანიზაცია, რომელიც ამერიკელ ჰომოსექსუალთა უფლებებს იცავდა. პოლიციისა და მედიის ზეწოლის შედეგად, მისი შექმნიდან

ერთ წელიწადზე ცოტა ხანში საბოლოო ჯამში ორგანიზაციის დაშლა გამოიწვია. მაგრამ, „დაუდევარმა ოციანებმა“ მაინც თავისი გაიტანეს და ჰომოსექსუალობის მიმართ ახალი ღიაობის ტალღა წამოვიდა ისეთი გვი არტიტების სახით, როგორებიც არიან ლენგსტონ ჰიუზი და ბესი სმიტი, რომლებმაც სახელი „ჰარლემური რენესანსით“ გაითქვეს. ამ პერიოდში გაჩენილი „ღამის ცხოვრება“ მოიცავდა უამრავ ბოჰემურ კლუბს, რომლებიც გვი ადამიანების თავშეყრის ადგილებს წარმოადგენდნენ.

1929: საფონდო ბირჟის კრაშმა ოცდაათიანების დიდი დეპრესია გამოიწვია, როდესაც ადამიანებმა ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდვასთან ერთად ინდივიდუალური თავისუფლებაც დაკარგეს. ეს განსაკუთრებით ნეგატიურად აისახა გვი ადამიანების მდგომარეობაზე.

1941: ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაება.

1942: ფსიქიატრიული დაწესებულებების გავლენით, აშშ-ს ჯარში მოხდა ჰომოსექსუალური ქცევის კოდექსის გადახედვა. თუ აქამდე „სოლოშიაში“ მხილებული ჯარისკაცი იძულებული იყო სამსახური დაეტოვებინა, ახლა უკვე მხილება აღარ იყო საჭირო, „ჰომოსექსუალად ყოფნაც“ სრულებით საკმარისი იყო ადამიანის ჯარიდან გასათავისუფლებლად. არშიაში მსახურების დაწყებამდე, ჯარისკაცებს უნდა ეპასუხათ კითხვისთვის, რომელიც მათ სექსუალურ ორიენტაციას ეხებოდა. ნებისმიერი ახალწვეული ან მოქმედი ჯარისკაცი, რომელიც ჰომოსექსუალობისკენ მიდრეკილებაში „გამოტყდებოდა“, მიუხედავად იმისა, გააჩნდა თუ არა მას ამის პრაქტიკა, გაძევებულ იქნებოდა არმიიდან. ეს გაძევებები ცნობილია „ლურჯი გათავისუფლებების“ სახელით, იმ ქაღალდის ფერის გამო, რაზეც ეს ბრძანებები იყო დაბეჭდილი. მომდევნო ორმოცდაათი წლის მანძილზე დასახელებული მიზეზის გამო 100 000 ამერიკელი გაათავისუფლეს არმიიდან.

1945: მეორე მსოფლიო ომის დასასრული. ნიუ-იორკში გვი მოსამსახურეთა მიერ დაარსდა ვეტერანთა საქველმოქმედო

ორგანიზაცია, რომელიც ბრძოლას უცხადებდა „ლურჯი გათავისუფლებების“ სისტემას.

1949: მოკავშირეებმა პირველი ატომური ბომბი ააფეთქეს, ჩინეთში კომუნისტები შეიჭრნენ. ამერიკაში „კომუნისტური საფრთხის“ ისტერია იწყება. სენატორი მაკკარტი კომუნიზმის წინააღმდეგ ისტერიას კიდევ უფრო ამძაფრებს და განსხვავებულად მოაზროვნეთა მიმართ „კუდიანებზე ნადირობას“ აწყობს. დასახელებულ პერიოდს „მაკკარტის ერა“ ეწოდება.

1950: სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯონ პუერიფოიმ კონგრესის მოსმენაზე წამოჭრა „გარყვნილთა საშიშროების“ საკითხი, რასაც ფედერალურ მთავრობაში მომუშავე გეების წინააღმდეგ „კუდიანებზე ნადირობა“ მოჰყვა. ამით დასაბამი დაედო გვი თანამშრომელთა მასობრივ გათავისუფლებას.

1950: ჰარი ჰეიმ და სხვებმა ლოს-ანჯელესში დააარსეს Mattachine Society (მატაჩინის საზოგადოება), ამერიკაში გვი უფლებების დამცველი პირველი ორგანიზაცია.

1953: აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა 10450-ე ბრძანების საფუძველზე გეებს სახელმწიფო სამსახურში დასაქმების უფლება ჩამოართვა. ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებში სამუშაოს მისაღებად აუცილებელი იყო „ლოიალობის ფიცის“ დადება, რომლის თანახმადაც ფიცის დამდები, სხვა ყველაფერთან ერთად ირწმუნებოდა, რომ ჰომოსექსუალი არ იყო. ეს წესები 1975 წლამდე მოქმედებდა.

1955: ფილის მარტინმა და დელ ლაიონმა სან-ფრანცისკოში დააარსეს ამერიკაში ლესბოსელთა უფლებების დამცველი პირველი ორგანიზაცია, The Daughters of Bilitis (ბილიტისის ქალიშვილები).

1955: აფროამერიკელი ჰომოსექსუალი აქტივისტი ბაიარდ რასტინი ჩადის მონტგომერიში, ალაბამას შტატში და უერთდება მარტინ ლუთერ კინგ უმცროსის მიერ მოწყობილ ცნობილ „ავტობუსის ბოიკოტს“. იგი კინგსა და სხვა აქტივისტებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდებს ასწავლის, რაც საბოლოოდ შავკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ძირითად ტაქტიკად იქცევა.

მოგვიანებით, 1963 წელს, მისი ორგანიზებით ჩატარდება მსვლელობა, სადაც კინგი თავისი ცნობილი სიტყვით გამოვა (I Have a Dream – „მე მაქვს ოცნება“).

1958: უურნალმა, რომლის პუბლიკაციაც მათაჩინის საზოგადოებას უკავშირდებოდა, ამერიკის საფოსტო სამსახურს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასამართლოში საქმე მოუგო. საფოსტო სამსახურში აკრძალული იყო ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული ნებისმიერ პუბლიკაციის, როგორც „უნესობის“, გავრცელება.

1964: კონგრესმა მიიღო კანონი სამოქალაქო უფლებების შესახებ. მის თანახმად, სახელმწიფოს ეკრძალებოდა იმ უფლებების შეზღუდვა, რომლებიც შავკანიანებმა კონსტიტუციის ჩასწორების შედეგად მიიღეს. ეს მიღწევა იმ მასობრივი სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და პროტესტის კამპანიის შედეგი იყო, რომლის სათავეშიც მარტინ ლუთერ კინგი იდგა, ხოლო ორგანიზებას რასტინი უწევდა.

1965: გეი და ლესბოსური ადამიანები ვაშინგტონში ფედერალურ უწყებათა შენობების პიკეტირებას ახდენენ, რათა პროტესტი გამოთქვან სამსახურში აყვანისას გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკის მიმართ. ეს არის პირველი გეი პროტესტი ქვეყნის დედაქალაქში.

1969: ნიუ-იორკის გეი ბარზე, Stonewall Inn-ზე პოლიციის გამუდმებული სასტიკი რეიდებით აღშფოთებულმა ადამიანებმა თავიანთი რისხვა რამდენიმე დღიანი პროტესტის ტალღით გამოხატეს, რომელიც ისტორიაში „სტონუოლის ამბოხის“ სახელით შვეიდა. გეი ლიდერებმა, იმ დროს აზვირთებული სხვა სამოქალაქო მოძრაობების მსგავსად, მებრძოლი სტრატეგია გამოიყენეს. ასე გაჩნდა თამამი და თავდაჯერებული ლოზუნგები: „გეი კარგია“ და „გეი გათავისუფლების ფრონტი“. ამერიკის ბევრ ქალაქში იწყება „გეი სიამაყის მსვლელობები“ (Gay Pride Marches), რომლებიც შევიწროვებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1973: ასწლიანი ფუჭი მცდელობების შემდეგ, რომლებიც ადამიანის ჰომოსექსუალობის განკურნვას ისახავდა მიზნად, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ ჰომოსექსუალობა „დაავადებათა“ სიიდან ამოიღო.

1974: ღია ლესბოსელი ელენ ნობლი პირველი ლგბტ ადამიანია, რომელიც სახელმწიფო თანამდებობაზე, მასაჩუსეტის შტატის რეზიდენციაში წარმომადგენლად აირჩიეს.

1978: ჰარვი მილკი საზოგადოებრივ სამსახურებში პირველი ამერიკელი ღიად ჰომოსექსუალი აქტივისტი და პოლიტიკოსია. ყოფილი თანამშრომლის მიერ მის მკვლელობამდე 1978 წლის 27 ნოემბერს სან-ფრანცისკოში მილკის დამსახურებით ჰომოსექსუალთა უფლებების დაკანონებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მილკის ხსენების დღეს კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცნეგერმა 22 მაისი გამოაცხადა.

1979: ვაშინგტონში გეი უფლებების დასაცავად გამართულ პირველ მსვლელობაში მონაწილეობა ასი ათასმა დემონსტრანტმა მიიღო.

1980: „მორალური უმრავლესობის“ მხარდაჭერით ნაქეზებულმა რესპუბლიკელმა რონალდ რეიგანმა პრეზიდენტობის არჩევნებში გაიმარჯვა. გამარჯვებამდე მან თავისი ელექტორატის წინაშე ვალდებულება აიღო, რომ წინ აღუდგებოდა „ჰომოსექსუალობის სახელმწიფოებრივ წახალისებას“.

1981: გამოჩნდა ახალი დაავადება, რომლის გავრცელებაც გეი კაცთა შორის არაპროპორციულად დიდი პროცენტით ხდებოდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა იგი „გეი ჭირად“, „გეი კიბოდ“ და „გეი-მიმართულ იმუნოდეფიციტად“ (სამედიცინო ტერმინი) მონათლეს. საბოლოოდ, ვირუსს „შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი“, ანუ შიდსი ეწოდა. ეს დაავადება სწრაფად გავრცელდა გეი თემსა და ამერიკული საზოგადოების დანარჩენ მარგინალიზებულ ჯგუფებში, უპირველეს ყოვლისა ფერადკანიან მოსახლეობაში. მომდევნო ათწლეულის მანძილზე შიდსის ვირუსით ასი ათასზე მეტი გეი კაცი გარდაიცვალა. “მორალურმა

უმრავლესობამ” ეს ფაქტი ხელზე დაიხვია და აივ ვირუსს “ჰომოსექსუალიზმის გამო ღვთისგან გამოგზავნილი სასჯელი” უწოდა. რეიგანის ადმინისტრაცია ამ სამედიცინო კრიზისზე უკიდურესად ნელი ტემპით რეაგირებდა. პრეზიდენტი რეიგანი სიტყვა შიდს-ის საჯაროდ ხსენებასაც კი ერიდებოდა, სანამ მეორე ვადით არ აირჩიეს. ამასობაში ეპიდემიამ თავისი მძვინვარების პიკს მიაღწია. ჯანდაცვის წარმომადგენელთა მტკიცებით, მთავრობის შეუსაბამო და არაოპერატიული რეაგირება ამერიკაში შიდსის ეპიდემიის კატასტროფული მასშტაბებით გავრცელების მიზეზია.

1982: ვისკონსინი პირველი შტატია, სადაც სამუშაოზე აყვანისას ექსკლუზიური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია აიკრძალა.

1983: მასაჩუსეტის წარმომადგენელი ჯერი სტადსი ამერიკის კონგრესის პირველი ღიად გვი წევრია.

1983: სან-ფრანცისკოში ტარდება პირველი გვი თამაშები. ოლიმპიური თამაშების ამერიკულმა კომიტეტმა დასახელება „გვი ოლიმპიადა“ გაასაჩივრა.

1986: ფრიმონტში, კალიფორნიის შტატში, ბეკი სმიტი და ენი აფელკი ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ლესბოსური წყვილია, რომელმაც კანონიერად იშვილა ბავშვი.

1987: ლუბტ აქტივისტებმა ნიუ-იორკში „შიდსის წინააღმდეგ ძალების სამობილიზაციო კოალიცია“ (ACT UP) ჩამოაყალიბეს. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მეთოდების გამოყენებით დასახელებული ჯგუფის მოღვაწეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიშალა. მიზანმიმართული საპროტესტო მოძრაობის შედეგად, საბოლოოდ ხელისუფლება იძულებული გახდა, შიდსთან ბრძოლის საქმეში ქმედითი ზომები მიეღო.

1987: ნახევარმა მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ვაშინგტონში ჩატარებულ მეორე მსვლელობაში, რომელიც გვი და ლესბოსელი ადამიანების უფლებების დაცვას მოითხოვდა. მსვლელობა მიეძღვნა შიდსით გარდაცვლილთა ხსოვნას.

1988: აშშ ეროვნულმა საგანმანათლებლო ასოციაციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ყოველი ოლქის სკოლას თავისი

მოსწავლეებისთვის კონსულტაცია უნდა გაეწია „არასწორ“ სექსუალურ ორიენტაციასთან ბრძოლის საკითხში.

1988: (11 ოქტომბერი) პირველად აღნიშნეს ქამინგაუთის ეროვნული დღე, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება.

1989: დანია პირველი ქვეყანაა, სადაც ერთსქესიანი პარტნიორობები დაკანონდა. 1993: წელს ნორვეგია უკვე ამის მეორე პრეცედენტს შექმნის.

1990: პრეზიდენტი ბუში (უფროსი) ხელს აწერს კანონს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკის შესახებ, სადაც პირველად ნახსენები ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“.

1990-1991: გეი და ლესბოსური შინაარსის მქონე ხელოვნების წინააღმდეგ გამოცხადებულმა „კულტურულმა ომმა“ თავისი ნაყოფი მაშინ გამოიღო, როდესაც საქმე აღიძრა იმ გალერეის წინააღმდეგ, რომელიც რობერტ მეიპლთორპის გამოფენას მასპინძლობდა. გარდა ამისა, ხელოვნების ეროვნულმა ფონდმა სამ ღიად გეი და ლესბოსელ მხატვარს დაფინანსება შეუჩერა.

1992: პეტ ბიუკენენმა და პეტ რობერტსონმა „რესპუბლიკელთა ეროვნულ კონვენციაში“ ღიად აგრესიული ჰომოფობია და თეოკრატიული შეხედულებები გაატარეს.

1992: ბილ კლინტონი პრეზიდენტად აირჩიეს. მისი შეხედულებები გეების შეიარაღებულ ძალებში მსახურების დისკრიმინაციული აკრძალვების შესახებ იმ დროისთვის მისი სხვა დემოკრატი მეთოდებისგან დიდი პროგრესულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ თუ კლინტონის ფიგურას ჯორჯ ბუშსა და რესპუბლიკურ პარტიას შევადარებთ, აბსოლუტურ კონტრასტს ვიხილავთ. ამიტომაც, მის პრეზიდენტად არჩევაში გეი ელექტორატის წვლილი საკმარისად მნიშვნელოვანი იყო.

1993: პრეზიდენტ კლინტონის მიერ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მსახურების დისკრიმინაციული კანონის შეცვლის მცდელობას კონგრესში მძლავრი წინაღობა შეექმნა სამხედრო ისტებლიშმენტის სახით. ე.წ. „ნუ იკითხავ, ნუ იტყვი“ (*Don't ask, don't tell*) კომპრომისზე წასვლის ნათელი მაგალითია. აქტივისტებმა

გააპროტესტეს ეს კომპრომისული ვარიანტი, რადგან ფაქტურად ყველა დისკრიმინაციული პირობა კვლავ ძალაში რჩებოდა. კანონი „ნუ იკითხავ, ნუ იტყვი“ გვი და ლესბოსური ადამიანებს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მსახურებას უკრძალავდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მალავდნენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა მხრიდან სამხედროთა სექსუალური ორიენტაციის სრულ კონფიდენციალობას მოითხოვდა. დასახელებული კანონი 17 წლის მანძილზე მოქმედებდა და მუდმივი პოლიტიკური დებატებისა და სკანდალების წყაროდ იყო ქცეული. მხოლოდ 2010 წლის 22 დეკემბერს, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი დანაპირები შეასრულა და კანონის გაუქმებას მოაწერა ხელი. 2011 წლის 20 სექტემბერს ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც, ღიად გვი და ლესბოსელ ადამიანებს ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში მსახურება ოფიციალურად აღარ ეკრძალებათ.

1993: ვაშინგტონში ჩატარებული მესამე მსვლელობა უკვე მილიონ ადამიანს ითვლის. მისი ოფიციალური დასახელება ამჟამად bi-inclusive-ია (1979 წელს იყო მხოლოდ „გვი“, 1987 წელს - „ლესბოსელი და გვი“), ახლა კი ეწოდება „ვაშინგტონის მსვლელობა ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალების უფლებების დასაცავად“.

1994: სტოუნვოლის ამბოხის 25-ე წლისთავი ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინასთან, გრანდიოზული მსვლელობით აღინიშნა, რის პარალელურადაც ნიუ-იორკის მეოთხე ყოველწლიური გვი თამაშები ტარდებოდა.

1995: პრეზიდენტმა კლინტონმა საბოლოოდ დაასრულა ჯერ კიდევ 1950-იან წლებიდან, მაკკარტის ეპოქიდან შემორჩენილი დისკრიმინაციული შეზღუდვების ერა, როდესაც განსხვავებული სექსუალობის ადამიანები ეროვნულ საფრთხედ მოიაზრებოდნენ.

1996: „Defense of Marriage Act“ (DOMA, „ქორწინების დაცვის კანონი“) მტკიცდება ხმების დიდი უმრავლესობით, ორივე პარტიის მხარდაჭერითა და პრეზიდენტ კლინტონის ხელმოწერით. კანონის

თანახმად, სახელმწიფო არ ცნობს ერთსქესიან ქორწინებას მაშინაც კი, თუ იგი სხვა ქვეყნებში კანონიერად არის გაფორმებული.

1996: Employment Non-Discrimination Act (ENDA) - კანონპროექტი სამუშაოზე სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ - სენატში 50-49 ხმით მარცხს განიცდის. იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, ვიცეპრეზიდენტმა ალ გორმა პირობა დადო, რომ თავის ხმას კანონის მიღების სასარგებლოდ მისცემდა, ხოლო პრეზიდენტი კლინტონი კი კანონპროექტს ხელს მოაწერდა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გეი და ლესბოსური სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული კენჭისყრა გაიმართა ამერიკის სენატში.

1997: ელენ დიჯენერესი და მისი სატელევიზიო პერსონაჟი ელენ მორგანი ქამინგაუთს აკეთებენ. ელენი პრაიმთაიმის პირველი ტელეშოუს ლესბოსელია, რომელსაც თავისი სექსუალური ორიენტაცია და ლიდერის თვისებები სააშკარაოზე გამოაქვს. მემარჯვენე დაჯგუფებები აღშფოთებულნი არიან. ისინი საზოგადოებას ტელეარხ ეი-ბი-სის და მის მიერ წარმოჩენილი „ანტიოტახური ღირებულებების“ ბოიკოტირებისკენ მოუწოდებენ. მათი მცდელობები წარუმატებლად სრულდება.

1998: ენ-ბი-სიზე გადის კომედია „ვილი და გრეისი“ (Will & Grace), სადაც წარმოდგენილია გეი ადვოკატისა და მისი საუკეთესო მეგობარი ჰეტეროსექსუალი ქალის ისტორია.

1999: მეთიუ შეპარდი, ახალგაზრდა ღია გეი, სასტიკად იქნა ნაცემი და სასიკვდილოდ მიტოვებული ლარამიში, ვაიომინგის მახლობლად. ამ ფაქტმა ამერიკაში ცხარე კამათი გამოიწვია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

1999: კალიფორნიაში იღებენკანონს სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ, რომელიც ერთსქესიან წყვილებს ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ყველა კანონიერ უფლებას და სარგებელს ანიჭებს.

2000: ვერმონტი პირველი შტატია, სადაც ერთსქესიანი სამოქალაქო ურთიერთობები ლეგალიზებული ხდება (კონფიკტიკუტში, 2004-ში).

2001: პირველად მსოფლიოში, პოლანდიაში ერთსქესიანი ქორწინება ნებადართული ხდება.

2002: ბელგიაში ერთსქესიანი ქორწინება ნებადართული ხდება.

2004: მასაჩუსეტსი ამერიკის პირველი შტატია, სადაც ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზება მოხდა.

2005: ესპანეთსა და კანადაში ერთსქესიანი ქორწინება ნებადართული ხდება.

2005: ირანში ერთმანეთთან სექსუალურ კონტაქტში მხილებული ორი მოზარდის - მაჰმუდ ასგარისა და აიაზ მარხონის საჯაროდ ჩამოხრჩობამ მთელს მსოფლიოში უდიდესი პროტესტი გამოიწვია.

2006: აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად აღიარა, რომ ჰომოსექსუალობა ფსიქიკური აშლილობა არ არის. მიუხედავად ამისა, ღია გეებს და სექსუალური უმცირესობების სხვა წარმომადგენლებს ძველებურად ეკრძალებათ არმიაში მსახურება, იმ მოტივით, რომ მათ ჯარში ყოფნას შესაძლოა არმიაში დისკიპლინის რღვევა მოჰყვეს.

2006: მოსკოვში ჩატარებული პირველი გეი პრაიდი დაარბიეს.

2006: კანადაში, მონრეალში, ჩატარდა „სექსუალური უმცირესობათა უფლებებისადმი“ მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

2006: სამხრეთ აფრიკაში ერთსქესიანი ქორწინება ნებადართული ხდება. ისრაელი თანახმაა, აღიაროს სხვა ქვეყნებში გაფორმებული ერთსქესიანი ქორწინებები.

2008: ნეპალის უმაღლესმა სასამართლომ მთავრობა აიძულა, ეღიარებინა ერთსქესიანი ქორწინებების ლეგიტიმურობა.

2009: ნორვეგიასა და შვედეთში ერთსქესიანი ქორწინებები ლეგალიზებული ხდება.

2009: ისლანდიის მთავრობას არჩევნების გზით სათავეში მოსული პირველი ღიად ლესბოსელი - იოჰანა სიგურდარდოტირი ხელმძღვანელობს.

2010: პორტუგალიის პარლამენტმა, შვილად აყვანის უფლების მინიჭების გარეშე, ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებული კანონპროექტი მოიწონა.

2010: მექსიკაში, არგენტინასა და ისლანდიაში ლეგალიზებულია ერთსქესიანი ქორწინება.

2011: ბრაზილიის უმაღლესმა სასამართლომ ერთსქესიანი კავშირები ლეგიტიმურად ცნო.

2011: მალავიში გვი წყვილი სტივენ მონჯეზა და ტივონგე ჩიმბალანგა დამნაშავედ ცნეს საქორწინო ცერემონიის ჩატარებაში და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. მოგვიანებით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლით, მალავის პრეზიდენტმა წყვილი შეიწყალა.

2011: სლოვაკეთში ქვეყნის ისტორიაში პირველი გვი პრაიდი ნეონაცისტთა ჯგუფის მიერ იქნა დარბეული.

2012: 9 მაისი - აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ქორწინებაში თანასწორუფლებიანობას საჯარო მხარდაჭერას უცხადებს. ამ დროისათვის ქვეყნის ბევრ შტატში ერთსქესიანი ქორწინება უკვე ნებადართულია.

2012: დანიასა და ურუგვაიში ერთსქესიანი ქორწინება ლეგალიზებულია.

ნაწილი მეორე

სპეციალიზებული ლგბტ მედია (პრესა, რადიო, ტელევიზია)

2.1 ლგბტ პრესა

დღეს მსოფლიოში ათასობით დასახელების ლგბტ პერიოდიკა გამოდის. სხვადასხვა მიმართულებისა და ინტერესების გამოცემები მულტივალ ცდილობენ, თავიანთ აუდიტორიას რაც შეიძლება საჭირო და საინტერესო მასალა მიანდონ. ელექტრონული მედიის განვითარების პირობებში ბევდური გამოცემების წინაშე არცთუ იშვიათად ეკონომიკური ხასიათის პრობლემები დგება, თუმცა ხშირ შემთხვევაში ძველი ლგბტ ჟურნალ-გაზეთების ადგილს ახალი ინოვაციური გამოცემები იკავებს.

Têtu (ფრანგ. ჭიუტი) - ფრანგული ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც ძირითადად ლგბტ აუდიტორიაზეა გათვლილი. საფრანგეთში ბევდური ლგბტ მასმედიის სფეროში ჟურნალს მონინავე პოზიციები უკავია. მისი ტირაჟია 40 000 ეგზემპლარი თვეში. „ტეტუ“ 1995 წლის ივლისში დააარსეს პასკალ ლუბემ და დიდიე ლესტრეიმა. 2009 წლის თებერვლიდან მოყოლებული, ჟურნალმა თავისი მკითხველისთვის ორი ვებგვერდი აამუშავა: tetu.com გეებისთვის და tetue.com ლესბოსელთათვის. ჟურნალს აგრეთვე გააჩნია საკუთარი რადიოარხი. თავის ფურცლებზე გამოცემა რეგულარულად აქვეყნებს სტატიებს საფრანგეთის კულტურული ცხოვრების შესახებ, რომლებსაც პირდაპირ თუ ირიბად ლგბტ თემატიკასთან აქვს კავშირი. გამოცემასთან თანამშრომლობენ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ფრედერიკ მიტერანი (საფრანგეთის ყოფილი კულტურის მინისტრი), კრისტინ აგო (მწერალი) და სხვ. რუბრიკა Têtu+ ეძღვნება სიახლეებს აივ ინფექციის შესახებ, მის პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

DU&ICH (გერმ. „შენ და მე“) - დიდი ისტორიის მქონე გერმანული ყოველთვიური საინფორმაციო-გასართობი ჟურნალი

გეებისთვის. გამოდის 1969 წლიდან. გასული 43 წლის მანძილზე ჟურნალის 680-ზე მეტი ნომერია გამოსული. 1969 წლის 1 სექტემბრიდან დასავლეთ გერმანიაში გაუქმდა 175-ე მუხლი, რომლის თანახმადაც კაცებს შორის ნებაყოფლობითი სექსუალური კონტაქტები დანაშაულად კვალიფიცირდებოდა. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაციიდან ზუსტად ერთი თვის თავზე -- 1969 წლის 1 ოქტომბერს. ჟურნალის დამაარსებელი და გამომცემელი იყო ეგონ მანფრედ შტრაუსი. 2009 წელს ჟურნალსა და ტელეარხ ProSieben-ს შორის კამათი გაიმართა იმის შესახებ, რომ ტელეარხმა «Du & Ich» სახელწოდებით თავისი Popstars-ის ქასტინგ შოუს მორიგი სეზონი გაუშვა. იგივე სახელით უნდა დარეგისტრირებულიყო შოუს გამარჯვებული მუსიკალური დუეტი. ჟურნალმა სასამართლოში დაიცვა საკუთარი ექსკლუზიური უფლება იმ სახელზე, რომელსაც უკვე 40 წელზე მეტია, რაც იყენებს. მუსიკალური დუეტი იძულებული გახდა, ახალი სახელი აერჩია.

PREF mag (Préférences Mag) - ფრანგული გეი ჟურნალი, გამოდის თვეში ორჯერ, არის ჟურნალ „ტეტუს“ კონკურენტი. ძირითადად აქცენტირებულია ვიზუალურ მხარეზე. თუმცა იგი ფრანგი გეების საყვარელ ჟურნალს წარმოადგენს, მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ლგბტ აქტივიზმში არასოდეს ერევა და ძირითადად მომხრეა კაცურობის ტრადიციული მოდელებისა.

OutServe - 2011 წლის 27 მარტს ვაშინგტონში 2900-ზე მეტმა ლგბტ სამხედრომ ხმამაღლა განაცხადა, რომ იატაკქვეშეთში ყოფნის ეპოქა დასრულდა და აქტიური მოქმედების დრო დადგა. ასე იშვა OutServe - ჟურნალი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მომუშავე გეი აუდიტორიისათვის. ჟურნალი შეიცავს ლგბტ სამხედროთათვის აქტუალური და საინტერესო თემატიკის მიმოხილვას. “ჩვენი უპირველესი მიზანია, ამ სფეროში მსახურებისას გეი, ლესბოსელმა, ბი და ტრანს ადამიანებს თავი მართოსულად არ ვავრძობინოთ. ჩვენ გვსურს, ყველა სამხედრო მოსამსახურის ყურამდე მივიდეს ის ფაქტი, რომ მათ ლგბტ თანამებრძოლებიც ჰყავთ და ისინი ქვეყნის წინაშე თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. ჩვენ ჩვენი წვლილი

შეგვაქვს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების გაძლიერებაში. „ჩვენ გვსურს, „აუთსერვმა“ მსხვილ სამხედრო ბაზებში შეაღწიოს. ხილვადობა ძალზე მნიშვნელოვანია. გვსურს, ყველამ ნახოს, რომ ათასობით ლგბტ ადამიანი ყოველდღიურად ქვეითის, მეზღვაურის, მფრინავის სახით ჩვენი ქვეყნის სამსახურში არის ჩაბმული“, - აცხადებს OutServe-ის თანადირექტორი, ლიტერატურული ფსევდონიმით „ჯ. სმიტი“.

Blu (გერმანია) ჟურნალი Sergej 1997 წელს ბერლინში დაარსდა და ყოველთვიურად გამოიცემოდა ბერლინის გამომცემლობა Sergej Medien- und Verlags GmbH-ში. ჟურნალი უფასოდ ვრცელდებოდა გვიკლებებში, გვი ბარებსა და ბერლინის სპეციალიზებულ მაღაზიებში. ჟურნალის ძირითადი თემები იყო კულტურა, სპორტი, ლგბტ პოლიტიკა, გართობა, ლიტერატურა და კინო. 2007 წლის ბოლომდე ბამბერგის გამომცემლობა Verlag Sebastian Spitzkat ჟურნალს მიუნხენში, ბადენ-ვიურტემბერგსა და ფრანკონიაშიც უშვებდა. 2007 წლის აგვისტოდან ბერლინური sergej უკვე blu-ს სახელით გამოდის. ამასთან, ჟურნალი რეგიონულ გამოცემად გადამუშავდა, შესაბამისად, მისი გავრცელების არეალიც გაიზარდა: ბერლინი, ჰამბურგი, დრეზდენი, ლაიპციგი, კიოლნი და სხვ. 2009 წლიდან blu კიდევ უფრო გაფართოვდა და მთელი გერმანიის მასშტაბით იყიდება.

Washington Blade - ყოველთვიური ამერიკული გაზეთი-ტაბლიოიდი ლგბტ აუდიტორიისათვის, გამოდიოდა 1969 წლიდან. გაზეთი დაარსდა 1969 წელს ამერიკელ ლგბტ მკითხველთათვის. მას შეერთებული შტატების მასშტაბით ყველა ლგბტ გამომცემაზე დიდი ისტორია აქვს. ნიუ-იორკული Gay City News-ის შემდეგ, იგი ქვეყანაში ტრანაჟის მასშტაბით მეორე გაზეთი იყო. Washington Blade-ის მიერ გავრცელებულ სიახლეებს გააჩნდა როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული და საერთაშორისო დონის დაფარვა. მიუხედავად თავისი წარმატებული საქმიანობისა, 2009 წლის 16 ნოემბერს რედაქცია გაკოტრდა, რითიც Washington Blade-მა მრავალწლიანი არსებობა დაასრულა.

薔薇族 (იაპ. „ბარაძოკუ“ - ვარდისფერი კლანი) - იაპონიაში ლგბტ ადამიანებისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ხანგრძლივად გამოცემული ჟურნალი. „ბარაძოკუს“ პირველი ნომერი 1971 წელს გამოიცა „დაინი სიბოს“ საგამომცემლო სახლის მეპატრონის ვაჟის ბუნგაკუ იტოს მიერ, რომელიც თავად გეი არ ყოფილა. ჟურნალმა 2004 წელს არსებობა შეწყვიტა და მიუხედავად მომდევნო წლებში მისი გამოცემის განახლების მცდელობებისა, დღეს იგი აღარ გამოდის.

Квир (რუსეთი) - ყოველთვიური რუსული გეი ჟურნალი, გამოდის 2003 წლის სექტემბრიდან. ძირითადად გასართობი ხასიათის გამოცემაა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობს და კაცების ჟურნალებს შორის დღემდე ერთ-ერთ მონიწივე ადგილს ინარჩუნებს.

Siegeessäule - ბერლინური ყოველთვიური საინფორმაციო ხასიათის ჟურნალი გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების, ტრანსგენდერების და მეგობრულად განწყობილი ჰეტეროსექსუალებისთვის. გამოდის 1984 წლის აპრილიდან. თავდაპირველად ჟურნალი დასავლეთბერლინურმა გეი ჯგუფმა გამოსცა. არსებობის პირველ წლებში იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ელვის სისწრაფით გავრცელებული აივ ინფექციის პრევენციის გზების შესახებ ინფორმაციას. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, Siegeessäule უკვე პროფესიულ დონეზე გამოიცემა და დღესდღეობით ევროპაში უკვე ერთ-ერთ უმსხვილეს გამოცემას წარმოადგენს. 2006 წლის Siegeessäule-ს მაისის ნომრის ყდაზე ვარშავის გეიპრაიდის პატივსაცემად ლგბტ აქტივისტების ფორმით გამოსახული იყო ცნობილი პოლონური ანიმაციური გმირები ბოლეკი და ლიოლეკი. ამ ფაქტმა პოლონეთში დიდი სკანდალი გამოიწვია. ჟურნალის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბოლეკისა და ლიოლეკის ღირსების დამცველმა საინიციატივო ჯგუფებმა. ანიმაციურ გმირებზე საავტორო უფლებების მქონე ადამიანებმა უკმაყოფილება გამოთქვეს მათი გმირების ამგვარი სახით წარმოჩენის გამო.

DNA - ავსტრალიური ყოველთვიური გეი ჟურნალი. ძირითადად გასართობი და ეროტიკული შინაარსი გააჩნია. ავსტრალიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გეი გამოცემაა. გამოდის 2000 წლიდან. ამჟამად DNA კანადაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის რიგ ქვეყნებში იყიდება.

DIVA - ბრიტანული ყოველთვიური ონლაინ ჟურნალი ლესბოსელი და ბისექსუალი ქალებისთვის. იგი საყვარელ გამოცემას წარმოადგენს არა მხოლოდ ბრიტანელი აუდიტორიისთვის, არამედ მკითხველებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

Advocate - ამერიკული ლგბტ ყოველთვიური ჟურნალი, გააჩნია ონლაინ ვერსიაც. ჟურნალის ფოკუსის სფეროში შედის ლგბტ სიახლეები, პოლიტიკა, ხელოვნება და გართობა. ჟურნალი 1967 წელს დაარსდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად მოქმედ ყველაზე ხანდაზმულ მოქმედ ლგბტ გამოცემადაა აღიარებული.

2.2 ლესბოსური და გეი ჟურნალისტთა ეროვნული ასოციაცია NLGJA, მისი როლი ლგბტ საკითხთა კორექტულ გაშუქებაში

ლგბტ ჟურნალისტების ეროვნული ასოციაცია (The National Lesbian & Gay Journalists Association (NLGJA) წარმოადგენს ამერიკის ჟურნალისტთა პროფესიულ ასოციაციას, რომელიც მასმედიაში გეი/ლესბოსური საკითხთა ობიექტური გაშუქებით არის დაკავებული. იგი ვაშინგტონში ფუნქციონირებს. მისი წევრები ძირითადად არიან ჟურნალისტები და სტუდენტები ბეჭდური, სამაუწყებლო და ონლაინ მედიიდან. NLGJA აქტიურადაა ჩაბმული სამუშაო ადგილზე ლგბტ ადამიანების ყოველგვარი შევიწროვების წინააღმდეგ ბრძოლაში, ზრუნავს მასმედიაში ლგბტ თემასთან დაკავშირებული საკითხების კორექტულ და კომპეტენტურ გაშუქებაზე და ხელს უწყობს საკუთარი წევრების პროფესიულ განვითარებას. 1989 წლის აპრილში გაზეთის რედაქტორთა ამერიკულმა საზოგადოებამ (ASNE) გადაწყვიტა, ამერიკულ გაზეთებში მომუშავე

ლგბტ ჟურნალისტები გამოეკითხა. 1990 წლის აპრილში ჟურნალისტმა ლერიო (როი) აარონსმა გამოკითხვის შედეგები შეაჯამა. აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტები ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კუთხიდან გამოხატავდნენ სურვილს, შეეცნათ საკუთარი პროფესიული ორგანიზაცია. როი აარონსის ხელმძღვანელობით, NLGJA ოფიციალურად 1991 წელს დაარსდა, მისი ფილიალები კი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიშალა. როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზაციის დაარსება მედიაში ლგბტ საკითხების კორექტულად გაშუქების აუცილებლობამ განაპირობა. NLGJA ზრუნავს ამ მიმართულებით ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ლგბტ თემეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში მათ პროფესიულ განვითარებაზე. NLGJA აქტიურად არის ჩაბმული ლგბტ თემთან დაკავშირებული ნიუსების სპეციალისტთა ახალი თაობების მომზადებაში. NLGJA-ს წევრები თავიანთ სტუდენტებს ასწავლიან ხერხებს და გზებს, რომელთა მეშვეობითაც მასალის ზუსტი და ობიექტური გადმოცემა ხდება შესაძლებელი. აქ მთავარი პრობლემა დისკრიმინაციის პოლიტიკასთან დაპირისპირება და თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლაა. ლგბტ საკითხების მედიაში გაშუქების მხრივ მთელი ქვეყნის მასშტაბით მკვეთრ დადებით ძვრებში ორგანიზაციას ლომის წილი მიუძღვის.

უფრო კონკრეტულად, NLGJA-ს მიზნებს წარმოადგენს:

- ლგბტ ჟურნალისტთათვის პროფესიონალიზმის, უნარ-ჩვევებისა და კარიერული ზრდის ამაღლება;
- რედაქციებში ლგბტ ჟურნალისტთა მიმართ პატივისცემის ამაღლება და მათი სტატუსის განმტკიცება;
- ლგბტ საკითხთა გაშუქებისას ბრძოლა ყველაზე მაღალი ჟურნალისტური და ეთიკური ნორმებისათვის;
- ჟურნალისტთა სხვა პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მრავალგვარობის პრინციპების მხარდაჭერა;
- მომავალი ჟურნალისტების საქმიანობის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

დაარსებიდან მოყოლებული, NLGJA ყოველწლიურად აწყობს თავისი წევრების ყრილობას და მათ უმაღლესი კლასის პროფესიულ ტრენინგებს უტარებს. 2003 წლიდან მოყოლებული, ლგბტ სფეროში მომუშავე უურნალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებას ლგბტ მედია-სამიტი დაემატა.

2010 წელს NLGJA-მ თავისი დაარსების 20 წლისთავი სანფრანცისკოში, ყოველწლიურ ყრილობაზე აღნიშნა.

1993 წელს NLGJA-მ საფუძველი ჩაუყარა უურნალისტური პრემიების გადაცემის ყოველწლიურ ტრადიციას. ჯილდოები გადაეცემათ იმ პირებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის სფეროებში ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან. ტელევიზიის, რადიოს, ფოტოურნალისტიკის, პრესის, იურისპრუდენციის და სამედიცინო სფეროები დანორგანიზაცია ჯილდოს კანდიდატებს თორმეტ კატეგორიაში არჩევს.

საგანგებო ჯილდოები:

- პრემია “წლის უურნალისტი”
- სარა პეტიტის ხსოვნისადმი მიძღვნილი პრემია ლგბტ მედიაში მიღწეული წარმატებებისთვის

ბეჭდური/ონლაინ ჯილდოები

- პრემია აივ ინფექციის დაფარვის საქმეში განეული ღვაწლისთვის;
- ახალი ამბების საუკეთესო გაშუქება;
- საუკეთესო წერის მანერა;
- საუკეთესო ონლაინ უურნალისტი;
- საუკეთესო მულტიმედია;
- საუკეთესო ფოტოურნალისტი;
- საუკეთესო ნამუშევარი სტუდენტურ უურნალისტიკაში

სატრანსლაციო ჯილდოები:

- საუკეთესო ინტერნეტ ტელევიზია;
- საუკეთესო ადგილობრივი ტელევიზია;

- საუკეთესო რადიო

არაკორექტულ ჟურნალისტიკასთან საბრძოლველად NLGJA-მ ჩამოაყალიბა “სწრაფი რეაგირების ჯგუფი”. ეს არის ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც რეაგირებს მედიაში გასულ უზუსტო ან შეურაცხმყოფელ მასალაზე. ინფორმაცია დარღვევებზე უშუალოდ მკითხველისგან მოდის. ჯგუფის წევრები უზუსტობების ავტორებს უკავშირდებიან და თავიანთ შეცდომაზე მიუთითებენ.

მომავალ ლგბტ ჟურნალისტებთან მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით, NLGJA-მ საგანგებოდ სტუდენტებისთვის ვებგვერდი შექმნა, რომელიც მუშაობის პირველ წლებში, ახალგაზრდა ჟურნალისტთა საქმიანობის მხარდასაჭერად არის გამიზნული. ამასთან, საიტზე ბევრი სასარგებლო ინფორმაციაა განთავსებული სხვადასხვა სტიპენდიების, ინტერნეტ ინიციატივების, ლგბტ ჟურნალისტიკის პრობლემების, სტუდენტური პროექტების, NLGJA წევრობისა და საჭირო ონლაინ რესურსების შესახებ.

NLGJA სტუდენტებს ყოველწლიურად რამდენიმე სახის სტიპენდიას სთავაზობს ლგბტ პრობლემატიკის ზუსტი და ობიექტური გაშუქების საკითხებთან დაკავშირებით. ლეროი ფ. აარონსისა და კეი ლონგკოუპის სახელობის სტიპენდიები ყოველწლიურად თითო - თითო ლგბტ სტუდენტს აფინანსებენ.

ასევე, NLGJA წელიწადში თითო ლგბტ სტუდენტს სასწავლო სტაჟირების შესაძლებლობას აძლევს. „ლეროი აარონს ნიუსრუმ ინტერნშიპი“ სტუდენტს ათი კვირის მანძილზე ახალი ამბების სამსახურში მუშაობის პრაქტიკას უნაზღაურებს.

2.3 გვი და ლესბოსური ალიანსი დიფამაციის წინააღმდეგ Gay & Lesbian Alliance Against Defamation (GLAAD)

ამერიკული ორგანიზაცია „გვი და ლესბოსური ალიანსი დიფამაციის წინააღმდეგ“ (Gay & Lesbian Alliance Against Defamation) ახორციელებს ლგბტ ადამიანების მედიაადვოკატირების პროცესს და

შეისწავლის მასმედიაში გამოქვეყნებულ იმ მასალებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ეხებიან ლგბტ თემის წარმომადგენელთა ცხოვრების ასპექტებს. ორგანიზაციის მოღვაწეობის მიზანია ლგბტ თემის ობიექტური სურათის შექმნა მასმედიაში და დიფამაციის ფაქტებთან ბრძოლა. GLAAD წარმოადგენს ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებებისთვის მებრძოლ ორიდან ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და გავლენიან ამერიკულ ორგანიზაციას. GLAAD-ის ერთ-ერთი მისიაა საინფორმაციო სივრცის, პრესის, ტელევიზიის, რადიოსა და კინოგაქირავების მონიტორინგი ქვიარ თემატიკის გაშუქების საკითხში. GLAAD ყოველწლიურად გადასცემს ჯილდოებს მედიაინდუსტრიის წარმომადგენლებს, რომლებიც ლგბტ ადამიანთა ცხოვრების შესახებ დაუმახინჯებლად მოგვითხრობენ, და ყურადღებით ადევნებს თვალყურს ცნობილი ადამიანების გამონათქვამებს ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ. ყოველ ჯერზე, როდესაც ცნობილი სახეები ჰომოფობიურ რემარკებს განაცხადებენ, ორგანიზაციის წარმომადგენლები განგაშს ტეხენ და არაკორექტული გამონათქვამების ავტორებს საზოგადოებაში პრობლემებს უქმნიან.

ალიანსის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ლგბტ თემთან დაკავშირებული დიფამაცია ხუთ სახეობად იყოფა:

Vicious slander („ბოროტგანზრახული ცილისწამება“),

Negative stereotypes (“ნეგატიური სტერეოტიპები”),

Casual prejudice („ზიანის მიყენება წინასწარიგანზრახვის გარეშე“),

Deference of homophobia („ჰომოფობიის მხარდაჭერა“),

Invisibility („უხილავობა“).

მასმედიაში დიფამაციის ამა თუ იმ ფორმის აღმოჩენისას, ალიანსი ინფორმაციის წყაროს დადგენის გზით, დაუყოვნებლივ რეაგირებს მასზე. ალიანსის წევრები პირადად ხვდებიან და დაშვებულ შეცდომას განუმარტავენ იმ პროდიუსერებს, შემსრულებლებს, მედიაორგანიზაციებს, რომელთა ნამუშევარმაც ლგბტ ადამიანების უფლებებს პირდაპირ თუ ირიბად ზიანი მიაყენა. თუ მსგავს ქმედებებს კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება, ალიანსი

გადადის კარდინალურ ქმედებებზე (პრესრელიზების მომზადება დიფამაციის შესახებ, მომხდარის ამსახველი ელექტრონული წერილების გადაგზავნა ალიანსის ძირითად წევრებთან, დიფამაციური მედიაპროდუქტების იგნორირების კამპანია და სხვა).

ალიანსის მოქმედებათა წარმატების მაგალითად შეიძლება დასახელდეს მის მიერ ჩატარებული საინფორმაციო კამპანია, რომელმაც საზოგადოების ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეპროგრამა The Daily 10-ის პომოფობიურ გამოხდომაზე. თავდაპირველად ამ ინციდენტზე მედიასუბიექტთა რეაქცია მინიმალური იყო, მაგრამ ასოციაციის მიერ ლგბტ თემის საქმეში ჩართვის შემდეგ, გადაცემა ეთერში პირველად გასვილიდან ოთხნახევარ წლისთავზე დაიხურა (გასართობი სიახლეების პროგრამის სტუმარმა, რადიოსადგურ KROQ-ის წამყვანმა მაიკლ კატერვუდმა გადაცემაში უხამსი დაცინვით განაცხადა, მომღერალი ადამ ლამბერტი ჩხუბში მონაწილეობისთვის ციხეში თუ მოხვდება, „იქ კარგად გაერთობაო“. იმის გათვალისწინებით, რომ ადამ ლამბერტი ღიად გეია, ადვილი წარმოსადგენია, რა იგულისხმა კატერვუდმა - ციხეში ლამბერტს განუწყვეტელი გაუპატიურებები ელის, რისგანაც იგი ძალზე ბედნიერი იქნებაო. GLAAD-ის ჩარევის შემდეგ კატერვუდი იტულებული გახდა, ლამბერტისთვის საჯაროდ ბოდიში მოეხადა, ხოლო მომხდარიდან ერთი კვირის თავზე პროგრამა The Daily 10 დაიხურა.

ამას გარდა, ორგანიზაცია აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონიალს ატარებს. ორგანიზაცია „გეი და ლესბოსური ალიანსი დიფამაციის წინააღმდეგ“ GLAAD Media Awards ჯილდოებს გადასცემს ადამიანებს, რომლებმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანეს გეი-კულტურის განვითარებაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებმაც ობიექტურად გააშუქეს სექსუალურ უმცირესობათა პრობლემები, აგრეთვე ფილმებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ლგბტ ადამიანების დადებითი იმიჯის წარმოჩენას. 1990 წლიდან მოყოლებული, პრემია ყოველწლიურად რამდენიმე ეტაპად გადაიცემა სხვადასხვა ქა-

ლაქებში გამართულ ცერემონიალებზე. ყველაზე ხშირად ეს ხდება ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოში.

GLAAD Media Awards პრემიის მასმედიის 700-ზე მეტი წარმომადგენლისა და მოხალისეს მიერ შეირჩევა. შერჩევის კრიტერიუმებია: სამართლიანი და ზუსტი წარმოდგენის შექმნა ლგბტ თემის წარმომადგენელთა შესახებ, პროექტის სითამამე და ორიგინალობა, მნიშვნელოვანი კულტურული გავლენა მეინსტრიმულ კულტურაზე. ამის შემდგომ შედეგებს გადახედავს “შემფასებელი საბჭო”. იგი განსაზღვრავს პრემიის მიმღებთა საბოლოო სიას, რომელიც ხმის მიცემის წესით და ექსპერტთა მოსაზრებების საფუძველზე შედგენილი.

1989 წლის შემაჯამებელი შედეგების მიხედვით, პირველი GLAAD Media Awards ცერემონიალი ჩატარდა 1990 წელს. 7 საკონკურსო კატეგორიიდან 34 ნომინანტი დასახელდა.

2009 წელს GLAAD Media Awards ყოველწლიური დაჯილდოების მეოცე საიუბილეო ცერემონიაზე ფილ დონაჰიუმ განაცხადა: „დაუჯერებელია, ამ რევოლუციური წამონწყების მზარდ პოპულარობაზე რომ ფიქრობ. ოცი წლის წინ, როდესაც მე ამაყად მივიღე ეს პრემია, აუდიტორია ძალზე მცირე იყო. დღეს საღამოს კი აქ ფოტოგრაფები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე მაშინ დამსწრეები იყვნენ“. 2004 წლიდან დაჯილდოების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ნომინაციებში ესპანურენოვანი მასმედიის კატეგორიაც გაჩნდა.

2011 წლიდან მოყოლებული, GLAAD Media Awards ინგლისურენოვანი ნომინაციები უკვე 26 კატეგორიას მოიცავს, ხოლო ესპანურენოვანი - 12-ს. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ სეზონზე შესაძლოა, რომელიმე კატეგორიაში არ იყვნენ წარდგენილი ღირსეული ნომინანტები, იმ წელს GLAAD ასეთ კატეგორიას არ აჯილდოვებს.

GLAAD Media Awards მედია ჯილდოებს შორის აღსანიშნავია შემდეგი ნომინაციები:

- საუკეთესო თოქ-შოუ

- საუკეთესო ყოფითი დრამა
- საუკეთესო რეალითი პროგრამა
- საუკეთესო საზოგადოებრივ-პოლიტიკური სატელევიზიო პროდუქტი
- საუკეთესო საგაზეთო სვეტი
- საუკეთესო საგაზეთო მიმოხილველი
- საუკეთესო ჟურნალი - ზოგადი მიმოხილვა
- საუკეთესო სტატია ჟურნალში
- ელექტრონული ჟურნალის საუკეთესოსტატია
- საუკეთესო ბლოგი
- საუკეთესო ციფრული ჟურნალისტური მულტიმედია
- საკონკურსო კატეგორიების დამატებით GLAAD Media Awards დაჯილდოებაში მონაწილეობს არასაკონკურსო „საპატიო ჯილდოები“. თავდაპირველად ასეთი რამ მხოლოდ ერთი იყო და „საგანგებო ღირსების პრემია“ "Special Honoree Award" ერქვა. შემდგომ წლებში საპატიო ჯილდოების რიცხვი გაიზარდა, რათა ჯეროვნად დაეთასებინა შესაბამისი წვლილის შემტანთა ღვაწლი:

დევიდსონ/ვალენტინის პრემია (Davidson/Valentini Award) ატარებს GLAAD-ის პირველი აღმასრულებელი დირექტორის კრეიგ დევიდსონის და მისი პარტნიორის, მაიკლ ვალენტინის სახელს. იგი გადაეცემა ლგბტ თემის ღია წარმომადგენლებს, რომლებსაც დამსახურება მიუძღვით საყოველთაო თანასწორობის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში. ეს ჯილდო სხვადასხვა დროს მიიღეს მსახიობმა მაიკლ მაჰამ (2005წ), რობერტ განტმა (2007), ჩედ ალენმა (2009), სცენარისტმა აილინ ჩაიკენმა (2008) და სხვ.

საუკეთესონი მედია-ინდუსტრიაში (Excellence in Media Award) გადაეცემა გართობის ინდუსტრიის წარმომადგენლებს, რომლებმაც თავისი მუშაობით ხელი შეუწყვეს ლგბტ თემის ხილვადობის გაზრდას და შეგნების ამაღლებას. ლაურეატთა შორის

არიან: ჯულიანა მური (2004), ბილი კრისტალი (2005), ტაირა ბენქსი (2009), რასელ სიმონსი (2011).

გოლდენ გეით ევორდ (Golden Gate Award) გადაეცემა პროფესიონალებს მასმედიის დარგში ლგბტ თემის ხილვადობისა და შეგნების ამაღლებისთვის. „ოქროს კარიბჭე“ სან-ფრანცისკოში ცნობილ დაკიდებულ ხიდს ჰქვია, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, ჯილდოს გადაცემა ყოველთვის სან-ფრანცისკოში ხდება. ლაურეატები: ჯენიფერ ტილი (2006), სიბილ შეპარდი (2010), სხვ.

მასმედიის საშუალებებში მომუშავე ადამიანების გარდა, პრემია გადაეცემათ ასევე კინოს, თეატრის, მუსიკის მოღვაწეებს და სარეკლამო ინდუსტრიის წარმომადგენლებს. GLAAD Media Awards სხვა ნომინაციები სწორედ შესაბამის კატეგორიებს ეთმობა.

2012 წლის GLAAD Media Awards რიგით 23-ე დაჯილდოებაზე, რომლის დასკვნითი ნაწილი 2 ივნისს სან-ფრანცისკოში ჩატარდა, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მთავარი ჯილდოს ნომინაციის გამარჯვებული, ტელესერიალ „გრეის ანატომის“ (Grey's Anatomy) ავტორი და აღმასრულებელი პროდიუსერი შონდა რაიმსი. როგორც ზემოთ აღინიშნა, გოლდენ გეით ევორდი მიენიჭება მასმედიის ან შოუბიზნესის წარმომადგენელს, რომელიც თავის მოღვაწეობით ხელს უწყობს ლგბტ თემის ხილვადობისა და დადებით პლანში რეპრეზენტირების პროცესს. ტელესერიალი უკვე მრავალი წელია, ტელეარხ ეი-ბი-სიზე პოპულარობის პიკში იმყოფება. მასში მუდმივად წარმოდგენილია ლგბტ თემისთვის აქტუალური თემატიკა. როდესაც სერიალში ორი პერსონაჟი - კელი ტორესი და არიზონა რობინსი დაქორწინდნენ, სიუჟეტის ავტორი შონდა რაიმსი ჰომოფობთა გაათვრებული თავდასხმის სამიზნედ იქცა. მისი ტვიტერის ანგარიში აღშფოთებული ადამიანების წერილებმა გადაავსო, რომლებიც სცენარისტის მიმართ უამრავ პრეტენზიას გამოთქვამდნენ. მათივე სიტყვებით, „სერიალი ლესბოსელებისთვის საამებელი სცენარით ვითარდებოდა“. ამაზე რაიმსმა უპასუხა: „ნუთუ სიყვარული უნივერსალური არ არის? ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ

უყურებთ შეყვარებულ ჰეტეროსექსუალ წყვილს და შეყვარებულ ლესბოსელ წყვილს, ხოლო ხედავთ ერთსა და იმავე გრძნობას - სიყვარულს. ასე რომ ამისხენით, ვის და როგორ ვაამებ? და კიდევ: მე სერიალი მიმყავს იმ მიმართულებით, რომელიც მომწონს თავად მე. ხოლო მე მიყვარს, როდესაც ვრთავ ტელევიზორს და ვუყურებ ჩემნაირ ადამიანებს, რომლებიც შეჭხარიან მრავალფეროვნებით მდიდარ სამყაროს. მზად ვარ, ნებისმიერს დავენაძლევე, რომ სადღაც არსებობს ლესბოსელი გოგონა და ეს გოგონა მონყურებუღია, ჩართოს ტელევიზორი და იხილოს ისეთივე სიყვარულით აღვსილი ადამიანები, როგორიც თავად არის“.

სოციალურ ქსელ Facebook-ს წილად ხვდა მეორე მთავარი ჯილდო - Special Recognition Award (საგანგებო აღიარება). ფეისბუქის წარმომადგენლებს ენდრიუ ნოიესს (შიდა კავშირებისა და კომუნიკაციების მენეჯერი) და სარა შპერლინგს (ინტეგრაციის განყოფილების უფროსი) ჯილდო გადასცა ბრიტანი მაკმილანმა. ამ გოგონას ინიციატივით ორი წლის წინ აშშ-ში ე.წ. „სულით ძლიერთა დღე“ (Spirit Day) დაარსდა, რომელიც ჰომოფობიური დევნის მსხვერპლთა მოსახსენიებელ დღედ იქცა. ფეისბუქმა კი ჯილდო იმისათვის მიიღო, რომ იგი გახდა პირველი სოციალური ქსელი, რომელმაც თავის მომხმარებელ ლგბტ ადამიანებს თავიანთ პროფილებში საკუთარი სოციალური სტატუსის სხვადასხვა ვარიანტების აღნიშვნის საშუალება მისცა (ერთსქესიანი ქორწინება, სამოქალაქო პარტნიორობა, ერთსქესიანი შიდა ამხანაგობა). რასაკვირველია, საქმე ეხება ქსელის ინგლისურენოვან სეგმენტს. „ფეისბუქმა“ ახალი ჩარჩო დააყენა, რომელიც ლგბტ მომხმარებლებს უქმნის უსაფრთხო ურთიერთობის სივრცეს, ერთი მხრივ მეგობრებთან, მეორე მხრივ კი ოჯახის წევრებთან. ამ ჯილდოს აღიანსი სიამოვნებით გადასცემს ფეისბუქს ყველასათვის მისაღები საურთიერთო პლატფორმის შექმნის აღსანიშნავად“, - განაცხადა GLAAD-ის ახლარჩეულმა პრეზიდენტმა ჰერნდონ გრადიკმა. გასულ წელს ფეისბუქმა დიდი ძალისხმევა ჩააქსოვა ჰომოსექსუალი მოზარდების აბუჩად ავღების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზემოთ

დასახელებული სიახლეების გარდა ფვისბუქმა თავის „დახმარების ცენტრში“ ახლახან საგანგებო ინსტრუქციები შეიტანა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ სუიციდური შინაარსის სტატუსის გამომქვეყნებელ ადამიანებს.

2.4 ლგბტ მედიაჯილდოები სხვა ქვეყნებში

2.4.1 „გენდერლოკ-მ“ (მოლდოვა)

მოლდოვური ორგანიზაცია „გენდერლოკ-მ“ მასმედიასთან თანამშრომლობის მიმართულებით სპეციალიზებულ შემოქმედებით კონკურსს ატარებს. კონკურსის შეჯამების შემდეგ უურნალისტები, რომლებმაც საუკეთესო მასალები მოამზადეს ლგბტ თემის წევრთა ცხოვრების შესახებ, იღებენ პრემიებს. იგივე ორგანიზაცია სტიპენდიებს უნიშნავს უურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ სექსუალურ მრავალფეროვნებას, აგრეთვე ატარებს მოლდოვური პრესის მონიტორინგს. მონიტორინგის მიმართულებით მუშაობის შედეგია სამენოვანი პუბლიკაცია „სიცრუის მოციქულნი, ანუ 2006-2007 წლებში მოლდოვურ მასმედიაში ლგბტ თემისადმი მიძღვნილი საგაზეთო პუბლიკაციების მიმოხილვა“.

2.4.2 „ლესბოსელები, გეები და უურნალისტები: ურთიერთგაგების ძიებაში“ (რუსეთი)

2005 წლის ოქტომბერში სანკტ-პეტერბურგში „პრესის განვითარების ინსტიტუტმა“ ორგანიზაცია „ლესბოსური PARTYა“-სთან ერთად უურნალისტებისთვის ორ საგანმანათლებლო ღონისძიებას გაუკეთა ორგანიზება. სემინარების წამყვანი იყო ფსიქოლოგი და გენდერის სპეციალისტი მარია საბუნაევა. სემინარები ტარდებოდა თოკ-პოუს ფორმატში, მოწვეული სტუმრების - ლგბტ თემის წარმომადგენლების მონაწილეობით. ღონისძიებების მიზანი იყო მონაწილეთა თვალში ლგბტ ადამიანების ადეკვატური აღქმის ჩამოყალიბება და მათ შესახებ არასწორი წარმოდგენების გაფანტვა. თავად

სემინარზე ჟურნალისტებს შეეძლოთ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლება. სემინარის წამყვანის სიტყვებით, „ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობის საათნახევიანი ბევრად უფრო ქმედითია, ვიდრე მრავალსაათიანი თეორიული ლექციები. სტერეოტიპები თვალსა და ხელს შუა ქრება, ხოლო კონკრეტული ადამიანის მიმართ გაჩენილი სიმპათია ყოველთვის გადასწონის ჰომოფობიურ განწყობას“.

2.4.3 ყაზახეთი

2011 წელს ყაზახეთში ორგანიზაცია „ამულეტმა“ ჟურნალისტებისთვის გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით „ტრანსგენდერები ყაზახეთში. მე უბრალოდ მინდა ვიყო მე“. კონკურსის მიზანი იყო ქვეყანაში მცხოვრებ ტრანსგენდერ ადამიანთა პრობლემების გაშუქება. ორგანიზატორთა აზრით, კონკურსის გამოცხადება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ საზოგადოებრიობას და სახელმწიფო სტრუქტურებს ტრანსგენდერთა პრობლემებისთვის მეტი ყურადღება დაეთმოთ, ხოლო ჟურნალისტებს ამ თემის გაშუქებასთან დაკავშირებით მეტი პასუხისმგებლობა გასჩენოდათ. „სამწუხაროდ, რეიტინგის ასამაღლებლად ყაზახი ავტორები ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს ხშირად უგულვებელყოფენ და თავის მასალებში არაკორექტულ ტერმინებსა და დამახინჯებულ ფაქტებს ასახავენ. ყაზახეთში ტრანსგენდერი მოქალაქეების სქესის შეცვლის პროცედურები გულახდილად „ყვითელი“ მასალის მოძიების საბაზად იქცა. სხვათა შორის, ეს მასალა ვიდეოსთვის შესაძლოა მორიგი თავშესაქცევი გართობა იყოს, ამ ადამიანებისთვის კი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენს. კონკურსის მეშვეობით ჩვენ სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა გვინდოდა“, - აცხადებდნენ ორგანიზატორები.

2.4.4 ბელარუსული „პ'ერო“

ბელარუსული პორტალის Gay.by-ს რედაქციამ და „ბელარუსულმა ინიციატივამ სექსუალური და გენდერული თანასწორუფლებიანობისთვის,“ 2008 წელს დააარსეს პრემია „პ'ერო“, რომელიც

წარმოადგენს პროფესიულ ჯილდოს ბელარუსი ტელე, რადიო, ბეჭდური და ინტერნეტ მასმედის ჟურნალისტებისთვის. პრემიები ჟურნალისტებს გადაეცემა ქვეყანაში ტოლერანტული გრძნობების პროპაგანდის, ჰომოფობიის დაქვეითებისა და საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით. ნომინაციათა ჩამონათვალში კონკურსის ორგანიზატორებმა მოიცვეს ქვეყანაში არსებული მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება. ბელარუსის წლის საუკეთესო ჟურნალისტი ვლინდება ცალ-ცალკე რეპორტაჟების, რეცენზიების, ჩანახატების, გამოძიებების, აუდიო და ვიდეომასალების ავტორებს შორის. დასახელებული კონკურსი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე მასმედის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის ღიაა. ნომინაცია „წლის ჟურნალისტის“ გამარჯვებული ვლინდება კონკურსის ორგანიზატორების მიერ, კონკურსზე წარმოდგენილი ყველა მასალიდან საუკეთესოს შერჩევით. ნომინაციაში „საუკეთესო მასალა“ მონაწილეობს რესპუბლიკური, რეგიონული ან ადგილობრივი გამოცემები, სადაც გაუქმებულია ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემეტიკა, ქვეყანაში სექსუალური უმცირესობების მდგომარეობა. „თვითგამოხატვის თავისუფლება“ - ნომინაციაში მონაწილეობს ბეჭდური/ვიდეო/აუდიო მასალები, რომლებიც გვიამბობენ ლგბტ ადამიანების ცხოვრების შესახებ. ნომინაცია „E-net თემი“ წარმოგვიდგენს ინტერნეტში გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც აშუქებენ ლგბტ ადამიანების პრობლემებს. ნომინაციაში „თემისხმა“ - მონაწილეობენ გამომცემლობათა, ტელეარხთა და რადიოსადგურთა რედაქციები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ასახავდნენ ლგბტ თემატიკას.

„უსამართლობა იყო, რომ აქამდე ჟურნალისტებისთვის ასეთი ხასიათის ჯილდო არ არსებობდა. მასმედიაში გამოქვეყნებულ მასალებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლგბტ ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში, - განაცხადა ვებგვერდ gay.by-ის რედაქტორმა, - ეს მხოლოდ პრემია კი არ არის, არამედ იმ ჟურნალისტების პროფესიონალიზმის აღიარებაა, რომლებიც თავიანთ მასალებში უფლებადამცველთა როლსაც ითავსებენ“.

ნაწილი მესამე

LGBT ადამიანების (საკითხების) ასახვა ტრადიციულ მედიაში

ქართულ მედიასივრცეში თითქმის არ ჩნდება დისკურსი ლგბტ პრობლემატიკის ირგვლივ - თითქმის არ წამოიჭრება სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის საკითხები. მასმედიაში ლგბტ თემთან დაკავშირებულ მასალებს გააჩნია მკვეთრად სკანდალური, ტენდენციური ხასიათი, და როგორც წესი, მეტ-ნაკლები დობით შეიცავს „სიძულვილის ენას“¹. მასალების უმეტესობაში, სადაც ავტორის მკვეთრად გამოხატულ შეფასებას ვაწყდებით, ხაზგასმულია ჰეტეროსექსუალთა პრივილეგიები. იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ლგბტ ადამიანები საზოგადოებაში უმცირესობას წარმოადგენენ, კეთდება დასკვნა მათი უფლებების შეზღუდვის კანონზომიერებაზე. მედია ასევე ხშირად გვევლინება ლგბტ ადამიანებთან დაკავშირებული ტრადიციული სტერეოტიპების გამამყარებელ ფაქტორად: “ჰომოსექსუალისტების თემს ახასიათებს ფსიქიკური აშლილობები, აივ და სხვა ინფექციის გავრცელების რისკი“ და სხვ. თუ მასალაში პრობლემის მიმართ ურნალისტიკის მკაფიოდ გამოხატული დამოკიდებულება არ ჩანს, მაშინ ავტორი პრობლემის უვიცობასა და ლგბტ ტერმინოლოგიის სრულ არცოდნას ამჟღავნებს.

ხშირ შემთხვევაში, ვხვდებით ლგბტ ადამიანების ნეგატიურ შეფასებას რელიგიური მოღვაწეების, პოლიტიკოსების, სხვადასხვა „ექსპერტთა“ მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ლგბტ თემატიკის შემცველი მოვლენები ხშირად ხდება, მათი უმრავლესობა ქართულ მედიაში ჯეროვან ასახვას ვერ პოუვს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან მასმედიას ძირითადად სკანდალური მოვლენები იზიდავს (გვი ტურისტებზე ძალადობის, ამერიკელი მასწავლებლის

¹იხ. დანართი N1, გვ.

ფეისბუქში გამოფენილი ფოტოების და ა.შ. ისტორიები). აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით ქართულ ჟურნალისტიკაში პრაქტიკულად არ არსებობს ლგბტ თემატიკაზე მასალის მომზადების კულტურა. სწორედ ეს განაპირობებს მედიის მიერ ნებისთუე უნებლიეთ ლგბტ ადამიანების შესახებ მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტის უხარისხობას.

3.1 ლგბტ მოტივები და ტელევიზია: 1972-1999 წლები

ეს პერიოდი დასავლურ მედიაში ქვიარ თემატიკის თანდათანობითი დამკვიდრებით აღინიშნება. აქ მოყვანილია ის ძირითადი მოვლენები, რომლებმაც ტელეინდუსტრია ჰომოფობიური გავლენებისგან გაათავისუფლეს და დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანეს.

- 1972: ეი-ბი-სის სატელევიზიო ფილმში „ზუსტად ის ზაფხული“ (That Certain Summer) მარტინ შინისა და ჰელ ჰოლბრუკის პერსონაჟები გვიწყვილს ასახიერებენ.
- 1977: „ჯოდი დალასში“ ბილი კრისტალი ასახიერებს ბისექსუალ კაცს;
- 1979: მაიკლ პალინი, დენ ეკროიდი, ჯონ ბელუში, ბილ მიურეი, ჯილდა რადნერი და სხვები მონაწილეობდნენ „შაბათის ღამის შოუში“, სკეტჩში „მძვინვარე დედოფალი“. „მძვინვარე დედოფალი“ წარმოსახვითი ხომალდია, რომელიც მანერული გვიმეზღვაურებით არის დაკომპლექტებული.
- 1981: ენ-ბი-სიმ სატელევიზიო ფილმ „სიდნი, სიყვარულის“ კინონოველად ქცევისას თავდაპირველი სცენარი ერთი მიზეზით შეცვალა: ფილმში სიდნი გვი იყო, მაგრამ ტელეკომპანია იძულებული გახდა, ზენოლას დაყოლოდა და პერსონაჟის სექსუალური ორიენტაციის აქცენტირება ფილმიდან ამოეღო.
- 1985: ენ-ბი-სიმ გაუშვა ტელეფილმი „ნადრევი სუსხი“, სადაც პერსონაჟი ეიდან ქვინი ახალგაზრდა კაცია, რომელიც მშობლებს უცხადებს, რომ გვია და შიდსის ვირუსს ატარებს.

- 1986: სატელევიზიო ფილმში „ჩემი ორი სიყვარული“ ლინ რედგრევისა და მარიეტ ჰარლის მონაწილეობით, ჰარლი თამაშობს ახლახან დაქვრივებული ქალის როლს, რომელიც საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით გაურკვეველობაში იმყოფება. ფილმში მას რედგრევის პერსონაჟთან რომანი აქვს.

1986-1994 წლებში განსხვავებული სექსუალობა საკამათო თემად იქცა. 90-იანი წლების შუა ხანებიდან კი აშშ-ის საზოგადოებამ აღიარა და დააფასა ლგბტ ადამიანების უფლებები. თუმცა, ეს აღიარება ხშირ შემთხვევაში არ ნიშნავდა მოწონებას და აღფრთოვანებას. ამ პერიოდის მედია მოვლენებიდან აღსანიშნავია:

- 1986: დანა ქერვომ, „შაბათის ღამის შოუს“ მსახიობმა, ენ-ბი-სის 1986-1992 წლების სეზონებზე შექმნა ლაილ კლარკის სახე, რომელიც მანერული გეის მრავალჯერ განმეორებული იმიჯით გამოირჩეოდა;
- 1993: დანიურ გაზეთ Politiken-ის სატელევიზიო რეკლამაში წარმოდგენილი იყო კაცების წყვილი, რომლებიც ერთმანეთს კოცნიდნენ. ეს რეკლამა მსოფლიოში პირველია, სადაც გვი წყვილი დათქმირდა.
- 1993: საინტერესო გარეგნობის ორი თინეიჯერი გოგონა ერთმანეთს პალისადთან კოცნის. მაგრამ, სი-ბი-ესის მენეჯმენტმა გადანწყვიტა, რომ ეს “შეურაცხმყოფელი სცენა” იყო და მისი ხელახლა, სიბნელეში გადაღების ბრძანება გასცა.
- 1994: ავეჯის გამყიდველმა კომპანია იკეამ ტელევიზიით განათავსა რეკლამა, სადაც წარმოდგენილი იყო ორი კაცი, რომელიც დასახელებული ფირმის მაგიდას ყიდულობს. რეკლამის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ იკეას ავეჯი მოსაწონია სრულიად სხვადასხვა გემოვნებისა და ცხოვრების სტილის მიმდევარი ადამიანებისთვის. ეს პირველი სატელევიზიო რეკლამაა, სადაც გვი წყვილის თანაცხოვრება წარმოდგენილია, როგორც სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა.

- 1994: გამოვიდა სატელევიზიო ფილმი „იყუჩე და იმსახურე“ მეღდა მარგარეტ კამერმეიერის შესახებ, რომელმაც ჯარში ჰომოსექსუალების მიმართ ოფიციალურად გაბატონებულ დისკრიმინაციას ბრძოლა გამოუცხადა. 25-წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ გრეტამ სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის წოდება მიიღო, სიეტლში გადასვლის შემდეგ კი კლინიკის დირექტორისა და გენერლის ჩინის პრეტენდენტი გახდა. მედკომისიის წინაშე თავისი ლესბოსელობის გულახდილი გაცხადების შემდეგ არმიის მესვეურნი მას არჩევანის წინაშე აყენებენ: ან 1962 წლის კანონის მიხედვით, რომელიც ჰომოსექსუალებს არმიამი მსახურებას უკრძალავს, უნდა გათავისუფლდეს, ან თავისი სექსუალური ორიენტაციის გაცხადებაზე უარი უნდა თქვას. მაგრამ, გრეტა მესამე გზას ირჩევს. ოჯახის, საყვარელი ქალისა და ლგბტ ორგანიზაციების მეშვეობით იგი არმიამი მსახურების უფლებისთვის ბრძოლას შეუდგება. ფილმში მთავარი როლების შემსრულებლებმა გლენ ქლოუზმა და ჯუდი დევისმა საუკეთესოდ განასახიერებელი პერსონაჟებისთვის ემის ჯილდოები მიიღეს.
- 1994: გადაცემა „როზანაში“ როზანა ბარმა და მერიელ ჰემინგუეიმ ერთმანეთს აკოცეს.
- 1995: სურათში „ყველა ჩემი ბავშვი“ კრის ბრუნომ სკოლის გეი მასწავლებლის როლი განასახიერა.
- 1997: ისეთ სატელევიზიო კომედიებში, როგორებიცაა „მელროუზ პლეის“ და „როზანა“, მეორეხარისხოვან პერსონაჟებად ბევრი გეი და ლესბოსელია წარმოდგენილი.
- 1997 წლის იანვარი - ეი-ბი-სის სერიალი-დრამა „შედარებითობები“ გვიჩვენებს ვნებიან, გულახდილი სექსუალური კონტექსტის ლესბოსურ კოცნას.
- 1997 წლის მაისი - ელენის ეპიზოდში ელენ დიჯენერესი პირველი ღია ლესბოსელია, რომელიც სატელევიზიო კომედიაში ლესბოსელის როლს ასახიერებს. ამ ეპიზოდით აღმფოთებულმა კომპანიებმა „კრაისლერმა“, „მაზდამ“, „ვენდისმა“ და „ჯისპენიმ“

სერიალიდან თავიანთი რეკლამა გამოიხმეს. მიუხედავად ამ უსიამოვნო ფაქტისა, ეი-ბი-სის დასახელებული პროექტიდან შემოსავალი არ მოკლებია. უფრო მეტიც - ძველ სპონსორებს დიდი სისწრაფით ახლები ჩაენაცვლნენ. „ფოლკსვაგენმა“ მყისვე განაცხადა სურვილი, სერიალში თავისი რეკლამა განეთავსებინა. რეკლამაში წარმოდგენილია ორი კაცი, რომლებიც ფოლკსვაგენის სავარძელს შლის. „ბევრი გვი და ლესბოსელი მაშინვე იფიქრებდა, რომ წყვილია, მაშინ როდესაც ჰეტეროების უმრავლესობა მათში ძმაკაცებს ხედავს“, - ნათქვამია რეკლამაში.

- 1997 მაისი - სერიალში „სასწრაფო“, ჯორჯა ფოქსი კათოლიკე ლესბოსელის, მეგი დოილის როლს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს რეზონანსი არ მოჰყოლია არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და არც კონსერვატიული ქრისტიანული ჯგუფების გაღიზიანება გამოუწვევია.
- 1997 ივლისი - გამოქვეყნდა „ტელევიზიის ისტორიაში საუკეთესო შოუების“ ნუსხა, სადაც „ყველა დროის 100 საუკეთესო ეპიზოდში“ მოხვდა ელენ დიჯენერესის 35-ე ეპიზოდი (1997 წლის მაისი) და 38-ე ეპიზოდი „ჩემი ეგრეთ წოდებული ცხოვრებიდან“, სადაც გვი რიკი (იულსონ კრუზი) კორიზეა უგონოდ შეყვარებული (ადამ ბისკი), რომელსაც თავის მხრივ რაიანი (აი ლანგერი) უყვარს (1994 წლის ნოემბერი).
- 1997 წლის 29 ოქტომბერი: „ელენში“ არის ეპიზოდი, რომელიც ლესბოსელ ქალთან ელენის პირველ გამოუცდელ შეხვედრას ასახავს. ელენი და ჯოელი ფიშერი ერთმანეთს ბარში კოცნიან. ამ ეპიზოდის რეკლამის დამკვეთებმა თავიანთი რეკლამა უკან გაიხმეს. ასევე, ეპიზოდმა დიდი აღშფოთება გამოიწვია რელიგიურ კონსერვატორებს შორის.
- ეი-ბი-სის სიტუაციურ კომედიაში „ვილი და გრეისი“ მოთხრობილია ორი გვისა და ჰეტეროსექსუალი ქალების წყვილის შესახებ. პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. ერთ-ერთმა კანადურმა მიმომხილველმა იგი შეაფასა, როგორც „სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შოუ“.

- 1998 წელი: ქრისტიანული ფუნდამენტალისტური ჯგუფის Coral Ridge Ministries და 17 სხვა მემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფის დაკვეთით ვინმე მაიკლ ჯონსტონმა და დედამისმა ფრენსისმა მონანილეობა მიიღეს ტელე- და ბეჭდურ რეკლამაში, რომელიც თავისი არსით მკვეთრად ჰომოფობიური და დისკრიმინაციული გამოდგა. საქმე იმაშია, რომ შიდსით დაავადებული ჯონსტონი რეკლამის დამკვეთებმა ანტი ლგბტ მოძრაობის აგორებისთვის გამოიყენეს. რეკლამაში ჯონსტონის დედა აცხადებს: „თქვენი შვილების მიმართ სიყვარული არ ნიშნავს იმას, რომ მათ ყველა ნაბიჯს ამართლებთ. ხანდახან ისინი არასწორ არჩევანს აკეთებენ. როდესაც ჩემმა შვილმა ჰომოსექსუალობისთვის თავის დანებება გადაწყვიტა, უკვე ძალიან გვიან იყო - იგი უკვე შიდსით არის ავად... თუ თქვენ თქვენი შვილები გიყვართ, გიყვარდეთ იმდენად, რომ ისინი ჭეშმარიტების გზაზე დააყენოთ და მომავლის, ცვლილებების იმედი ჩაუნერგოთ“. სარეკლამო კამპანიის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გეებს თავიანთი ორიენტაციის შეცვლა და ჰეტეროსექსუალად გახდომა ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ, ამისათვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ნება. კამპანიამ გვიპოზიტიურ ჯგუფებში დიდი გაღიზიანება გამოიწვია, რადგან ჯონსტონისა და დედამისის განცხადებებში ბევრი სიცრუე ითქვა. ადამიანის სექსუალობის პრაქტიკულად ყველა მკვლევარი თანხმდება იმაზე, რომ სექსუალური ორიენტაციის შეცვლა ინდივიდის პირად სურვილებზე საერთოდ არ არის დამოკიდებული. ჯონსტონთან დაკავშირებული სკანდალი გააღრმავა იმ ფაქტმაც, რომ მას წარსულში ჩადენილი სამინელი დანაშაული „ამოუქექეს“ - აღმოჩნდა, რომ შიდსით დაავადებულმა ჯონსტონმა, ისე რომ შესანიშნავად იცოდა თავისი დიაგნოზის შესახებ, დაუცველი სექსუალური კონტაქტების შედეგად უამრავი ადამიანი დაასნებოვნა.
- 1999 წელი: ეი-ბი-სის ეთერში ეპიზოდი „ოცდაათი“ გავიდა, სადაც წარმოდგენილი იყო სცენა, თუ როგორ საუბრობს ორი გვი

ლოგინში. ამ ეპიზოდის გამო ქსელმა რეკლამის დამკვეთთაგან მილიონ დოლარზე მეტი იზარალა.

1999: სატელევიზიო შოუებში ლგბტ პერსონაჟები მომრავლდა. ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთი ეპიზოდიდან მეორეში გადადიან, რადგან იზრდება მათი პოპულარობის მაჩვენებელი. მაგალითად, 1999 წელს:

- „ვორნერ ბრაზერსის“ თინეიჯერულ სერიალში „ლოუსონის ყურე“ წარმოდგენილია გვი ჯეკი, რომლის სახეც სერიალის ავტორ კევინ ვილიამსონს მრავალი შთაგონება გაუჩინა. 1997 წელს ელენ დიჯენერესთან დაკავშირებული სკანდალისგან განსხვავებით, სერიალს კონსერვატიული ქრისტიანული ანტიგეი ჯგუფების რეაქცია არ მოჰყოლია. „ეს ძალიან კარგი ნიშანია. მოხარული და აღელვებული ვარ, რომ უკეთესობისკენ აშკარა ცვლილებების მოწმენი ვართ. ნაწილობრივ ამას ველოდი კიდევ. აშკარაა, რომ ვითარება მას შემდეგ ბევრად გამოსწორებულია“, - აცხადებდა ვილიამსონი.
- კონსერვატიულ სატელევიზიო არხ „ფოქსის“ სერიალში „წვეულეხა ხუთისთვის“ (Party of Five) წარმოდგენილია ბისექსუალი ქალი, რომელიც წარუმატებელი ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის შემდეგ ლესბოსურ ურთიერთობაში ებმება. აქ ვხვდებით სცენას, სადაც იულია თავის ლესბოსელ მასწავლებელს პერის კოცნის (მსახიობები: ნივ კემპბელი და ოლივია დ'აბო).
- სერიალში NYPD Blue წარმოდგენილია მგრძნობიარე, მზრუნველი და მხიარული გვი, დეტექტივთა ასისტენტი. ერთი ეპიზოდში აღწერილია გვიზე ძალადობის ინციდენტი, სადაც ჩათრეული აღმოჩნდებიან დეტექტივის თანაშემწე და მისი პარტნიორი - პოლიციის ოფიცერი. 1999 წლიდან მოყოლებული, დასახელებული პერსონაჟი სერიალის მუდმივი გმირი ხდება.
- 1999: „ჰიუნდაის“ რეკლამა შვედეთში, ბელგიასა და საფრანგეთში გადის. რეკლამაში ნაჩვენებია ქალი, რომელიც „ჰიუნდაის“ საჭესთან ზის და თავის ბოიფრენდს მალავს. ამ დროს, სხვა „ჰიუნდაიში“, გამოჩნდება მისი ქმარი, რომელიც ასევე ცდილობს

თავისი შეყვარებულის - ახალგაზრდა კაცის მანქანაში დამალვას. ნამუშევარმა „ყველა დროის კომერციული რეკლამის“ სტატუსი და ჯილდო მიიღო.

- 1999 აპრილი: კონსერვატიული ქრისტიანების ჰომოფობიური შინაარსის გადაცემების ათწლიან პერიოდს მოჰყვა „იმედის ტაძრის“ გადაცემები გეებისა და ლესბოსელებისთვის. ეს იყო პირველი ლესბოსური-გეი ეროვნული ტელეგადაცემა, რომელიც ვებსაიტზე იყო ხელმისაწვდომი. თავდაპირველად, პროგრამას გააჩნდა ჰომოფობიური ნიშნები, ენა და ბანერები. ეს სრულ კონტრასტში მოდიოდა პროგრამის დანარჩენ ნაწილთან, საიდანაც ღირსების, სულიერების და სიმშვიდის აურა მოდიოდა. მაიკლ პიაცამ, „იმედის ტაძრის“ უფროსმა პასტორმა, გადაცემაში განაცხადა: „ამ ქვეყნის ტელევიზიაში ძალიან დიდხანს ჰომოფობია და რელიგია სინონიმებად მიიჩნეოდა. „იმედის ტაძრის“ პირველი გადაცემა პირველი წვეთია დისკრიმინაციის ზღვაში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იმედის წვეთს სიძულვილის ოკეანის განეიტრალება შეუძლია“. დასახელებულ პროგრამას მაუნციებლობაზე უარი ეთქვა „ოდესი ნეტვორკისგან“, „დისქავერი ჩენელისგან“, „ლაიფთაიმისგან“ და „იუესეი ნეტვორკისგან“. ორი წლის ბრძოლისა და ცხრა თვის სასამართლო პროცესის შემდეგ, როგორც იქნა, პროგრამამ ბინა ჩიკაგოს TB WGN-ზე დაიწყო, რომელსაც მრავალი საკაბელო არხი უერთდებოდა. გადაცემის ეთერში გასვლის დღიდან მან ბომბის ჩადების და ტერორისტული ორგანიზაცია „კუკლუქსკლანის“ ვიზიტის უამრავი მუქარა მიიღო; მუდმივ პიკეტებს უწყობდნენ პასტორ ფრედ ფელქსაც. პროგრამის ძირითადი მიზნები იყო სუიციდის მაღალი რისკის მქონე ახალგაზრდა ლგბტ ადამიანების დახმარება და პროვინციებში მცხოვრები ლგბტ ადამიანების იზოლაციასთან ბრძოლა.
- 1999: სერიალში „ქალაქი სპინი“ წარმოდგენილია ღია გეი კარტერი - მგრძნობიარე და გულჩვილი ადამიანი;

- 1999: პროგრამაში „ელი მაკბილი“, პერსონაჟი ლინგი (მსახიობი ლიუსი ლიუ) ოცნებობს ელისთან სექსზე (კალისტა ფლოკჰარტი), რაც საბოლოოდ აუხდება კიდევ.
- 1999: ინგლისში გადის ან უკვე ლეგენდარული ტელევიზიული Queer As Folk, რომელიც მანჩესტერში მცხოვრები რამდენიმე გეის ისტორიას გვიამბობს.
- „სიმპსონებში“ გეი შეფერილობის სიმბოლოები ჩნდება. ვაილან სმიზერსი აშუარად თავის ბოსზე, ინდუსტრიულ მაგნატ მონტ-გომერი ბერნსზეა შეყვარებული. კარლი, ჰომერის პირადი თანამშენვე კი ერთ ეპიზოდში მას ტუჩებში კოცნის.

ნაწილი მეოთხე

მედია და სტერეოტიპები

ცნება „სტერეოტიპი“ 1922 წელს ამერიკელმა ჟურნალისტმა ვალტერ ლიპმანმა შემოიღო. წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“ მან სტერეოტიპი განსაზღვრა, როგორც გამარტივებული, წინასწარ შექმნილი წარმოდგენა, რომელიც ადამიანის პირადი გამოცდილებიდან არ გამომდინარეობს. იგი გაშუალებული ობიექტის საფუძველზე ჩნდება: „ჩვენ სამყაროს შესახებ მანამ გვესაუბრებთან, ვიდრე მას საკუთარი გამოცდილებით შევიცნობთ“. ლიპმანის აზრით, თავდაპირველად სტერეოტიპები სპონტანურად, „ყურადღების ეკონომიის გარდაუვალი საჭიროების“ ნიადაგზე აღმოცენდებიან. ისინი ხელს უწყობენ ტრადიციებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას და ზემოქმედებენ ახალ ემპირიულ გამოცდილებაზე: „ისინი ცინცხალ ხედვას ძველი სახეებით ავსებენ და ილექებიან იმ სამყაროზე, რომელსაც ჩვენს მესხიერებაში აღვიქვამთ“. „სტერეოტიპი ერთმნიშვნელოვანია, იგი სამყაროს ორ კატეგორიად ყოფს – „ნაცნობად“ და „უცნობად“. აქ „ნაცნობი“ „კარგის“ სინონიმია, ხოლო „უცნობი“ – შესაბამისად „ცულის“.

სტერეოტიპი შეფასებით ელემენტს არ შეიცავს. ლიპმანის აზრით, იგი ნეიტრალურია. შეფასებითი ელემენტი დებულების, ემოციური ურთიერთობის სახით ჩნდება. სტერეოტიპი მხოლოდ გამარტივება კი არ არის, იგი „უმაღლეს დონეზე დატვირთულია გრძნობებით“. სტერეოტიპის შეფასებითი ელემენტი მუდამ შეგნებულად დეტერმინირებულია, რამდენადაც იგი, პიროვნების გრძნობის, მის ფასეულობათა სისტემის გამოხატვისას, მუდამ თანხვედრაში იმყოფება ჯგუფურ გრძნობებსა და მოქმედებებთან. სტერეოტიპი არაადეკვატურია. იგი ეფექტურად მართავს აღქმის მთელს პროცესს და წარმოადგენს იმ პიროვნების შეფასებისა და დაცვის ეტალონს, რომელიც მოცემულ ჯგუფში შედის. საბოლოო ჯამში, სტერეოტიპები ჯგუფის სოციალურ-პოლიტიკურ მთლიანობას უწყობენ ხელს.

სტერეოტიპის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი მხარეა მისი შეფარდებითობის, სიმყარისა და ცვალებადობის პრობლემა. მკვლევართა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სტერეოტიპების სიმყარეზე და აღნიშნავს, რომ სტერეოტიპის გამაქარწყლებელი ინფორმაცია ადამიანის მიერ აღიქმება როგორც გამონაკლისი, რომელიც ემორჩილება წესს.

სტერეოტიპის სოციალური ფუნქციის განხილვისას, ჰენრი ტაჯფელი ყურადღებას ამახვილებს რიგ მომენტებზე.

- ადამიანები მუდამ მზად არიან, არადიფერენცირებული, უხეში და მიკერძოებული შეფასებები მისცენ სხვა ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს ან სოციალურ კატეგორიებს;
- ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეს შეფასებები სიცოცხლის უნარიანობით გამოირჩევიან;
- სოციალური სტერეოტიპები თანდათან იცვლება სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად. ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს;
- სოციალური სტერეოტიპი უფრო მწვავე და აგრესიული მაშინ ხდება, როდესაც ჯგუფებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა;
- სოციალური სტერეოტიპები ბავშვებში ადრეულ ეტაპზე ინტერნალიზდება. სტერეოტიპები ბავშვობის პერიოდში მიმართულია იმ ჯგუფებზე წარმოდგენის შესაქმნელად, ვიდრე ამ ჯგუფებთან მოზარდებს შეხება ექნებოდათ.

სტერეოტიპი ობიექტურ სინამდვილესთან ადამიანის ცნობიერი დამოკიდებულების მყარი ფუნდამენტია. ცრუ სტერეოტიპი არსებით ურთიერთკავშირებს კი არ მოიცავს, არამედ ემყარება ყველაზე ზერელე და ემოციურ ეფექტს. იგი მუდამ საგნის დამახინჯებულ და გამარტივებულ სქემას ასახავს.

სტერეოტიპები ორი ფაქტორის ზემოქმედებით ყალიბდება: გაუცნობიერებელი კულტურული რაკურსის და ინდივიდუალური სოციოკულტურული გარემოს მეშვეობით. თავის მხრივ, ინდივიდუალური კულტურული გარემოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი

წარმომქნელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. იმდენად, რამდენადაც სტერეოტიპი მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ საქმიანობასთან ზოგადად და ცალკეული ადამიანების საქმიანობასთან კონკრეტულად, სტერეოტიპების დახმარებით ძალზე ადვილია ადამიანის ცნობიერებით მანიპულირება.

ამგვარად, სტერეოტიპების თავს მოხვევის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებია. ამ შემთხვევაში სტერეოტიპის ფორმირება სამ ეტაპად ხდება. ამის შედეგად ობიექტი გარკვეულ სქემამდე დაიყვანება. წიგნში „მედია მილიონებისთვის“ (Media for the Millions) რობერტ ო'ჰარა ამ სამ ეტაპს შემდეგნაირად განმარტავს: პირველი - „გათანაბრება“, მეორე - „გაძლიერება“, მესამე - „ასიმილირება“. მასმედია ოსტატურად მანიპულირებს ინტერესთა თანხვედრაზე, მოვლენათა გარეგნულ მსგავსებაზე, ძველი სტერეოტიპების ახლით ჩანაცვლებაზე, ყურადღების ფოკუსის აღრევაზე, ცალკეულ ჯგუფთა გრძნობებზე და ხშირად კონფლიქტების მასტიმულირებელ ფაქტორადაც გვევლინება. საბოლოო ჯამში, სტერეოტიპების დამკვირდების გზით მედია აუდიტორიისთვის ახალი მოთხოვნილებების გაჩენას კი არ ემსახურება, არამედ მასების განწყობებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

კვლევათა უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ სტერეოტიპების არსებობა პირდაპირ კავშირშია მასმედიის გავლენასთან, რომელიც ადამიანს აიძულებს, სამყაროს მიმართ დამოკიდებულება მის მიერ ნაკარნახევი სტანდარტებით გაზომოს. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მიერ შექმნილი „გმირების“ ქმედებებიც სწორედ ამ კანონს ექვემდებარება.

აღქმის პროცესი - ეს არის ჯერ კიდევ უცნობი მოვლენის მყარი ზოგადი ფორმულის მარწმუნებში მოქცევის მექანიკური ჩვევა (სტერეოტიპი). ამიტომაც, მასმედია ინფორმაციის სტანდარტიზებას ახდენს, რათა იგი სტერეოტიპს, საყოველთაოდ მიღებულ აზრს, მიუახლოვოს. ამ შემთხვევაში, ადამიანმა ინფორმაცია უსიტყვოდ, შინაგანი ბრძოლისა და კრიტიკული ანალიზის გარეშე უნდა მიიღოს.

მასმედია ხშირად ადამიანს სტერეოტიპებით აზროვნებას აჩვენებს. ამის შედეგად, ინფორმაციის მომხმარებლის ინტელექტუალური დონე იმდენად ეცემა, რომ ცნობიერებაში სტერეოტიპების გამყარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტად გამოიყენება იქცევა.

დროის უკმარისობას, ასევე ოპერატიულობის უზრუნველყოფისა და აუდიტორიაზე მაქსიმალური ზემოქმედების აუცილებლობას იქამდე მივყავართ, რომ ჟურნალისტები უპირატესობას სანახაობით და სენსაციურ მოვლენებს ანიჭებენ. ამ ინფორმაციის მიმღები ადამიანები იძულებულნი არიან, ინფორმაცია, სოციალური ფენომენები და მოვლენები ჩვეული მექანიზმებითა და პოლიტიკური გადანყვეტილებებით ახსნან. ხანდახან, მასმედიის მიერ გათამაშებულ სპექტაკლს ადამიანები იდეოლოგიური ბატონობის ფარული სისტემის პასიურ აღქმამდე მიჰყავს. ინფორმაციის აგებაში ხშირად გამოიყენება „კანონიერისა“ და „უკანონოს“ დიქტომია. ასეთი გამარტივებული სისტემა ინფორმაციის მომხმარებელს საკუთარი პოზიციის შემუშავების საშუალებას არ აძლევს.

პოლიტიკური ან სხვა მიზნების მისაღწევად, მედია ხშირად ზემოქმედების ნაგულისხმევ ფორმებს იყენებს. ამგვარი ზემოქმედების მაგალითად შეიძლება ერთი პრობლემის მეორეთი ჩანაცვლების ხერხი გამოვლენო.

დღესდღეობით, ჩვენს საინფორმაციო სისტემაში ჯერ კიდევ არ არსებობს პირობები მსოფლიოს ობიექტური სურათის შექმნისთვის, ხოლო ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოების პროგრესის სამსახურში შემეცნების ინსტრუმენტებად ჯერ კიდევ არ ქცეულან.

მასმედიის მუშაობის კიდევ ერთი მეთოდია ინფორმაციის მითოლოგიზაცია (ბერძ. mythos-გადმოცემა, თქმულება). ადამიანთა ცნობიერებაში მითების განმტკიცების ტექნიკა მასმედიაში დიდ როლს თამაშობს. მითები მკვიდრდებიან ცნობიერებაში და ადამიანების გრძნობებსა და ქცევაზე ახდენენ გავლენას. მითები ძალზე სიცოცხლისუნარიანნი არიან, რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ რეალური ფაქტებისა და მოვლენების გვერდის ავლით მათ უკვე

გარანტირებული აქვთ ჭეშმარიტებისა და ღოგმატის სტატუსი. საბოლოო ჯამში, მოვლენები, რომელთა სინამდვილის შემოწმების სურვილი ან შესაძლებლობა ინფორმაციის მიმღებს არ ჰქონია, მას სრულ ჭეშმარიტებად ესახება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სრულიად შეესაბამება მის წარმოდგენაში არსებული სამყაროს სურათს. ამის შედეგად ვიღებთ სიტუაციას, როდესაც ადამიანები ნამდვილ ფაქტებს სისულელედ და მონაჩმხად აღიქვამენ.

2012 წლის 12 თებერვალს რუსთავი2-ის გადაცემა „პოსტ-სკრიპტუმში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც კინტოს ფენომენს ეძღვნებოდა. სიუჟეტის ავტორები გიორგი გვიშიანი და იოსებ ნიკლაური კინტოს შესახებ ჟურნალისტ ოლეგ პანფილოვს, ისტორიკოსებს თეიმურაზ ბერიძესა და ჯაბა სამუშიას ესაუბრნენ. კინტოს ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული ისტორიული დისკურსის ირგვლივ გაშლილი მსჯელობა ერთი მიმართულებით წარიმართა: იყო თუ არა კინტო ერთმნიშვნელოვნად „მამათმავალი“, „ჰომოსექსუალისტი“ და „არატრადიციული ორიენტაციის“ მქონე ფიგურა? (სწორედ ეს სიტყვები იქნა გამოყენებული სიუჟეტში). ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ სიუჟეტის მონაწილეთა უმრავლესობა კბილებით იცავდა იმ აზრს, რომ თითქოს კინტოს ცხოვრებაში ასეთი „დასაძრახისი“ ქმედებები ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენდა და გავრცელებულ პრაქტიკად არ მიიჩნეოდა. საერთო ჯამში, მთელი სიუჟეტი აგებული იყო კინტოს, როგორც ძველი თბილისის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტის, მორალურ „რეაბილიტაციასა“ და მისთვის ჰომოსექსუალობის მიძიმე დამლის მოცილებებაზე - ცეკვა „კინტოური“ ხომ დღემდე რჩება ქართველი „მაჩო“ კაცების ერთ-ერთ უსაყვარლეს ქორეოგრაფიულ „სისუსტედ“ და შესაბამისად მისი „მამათმავლური“ წარმომავლობა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უკიდურესად არასასიამოვნო ფაქტს წარმოადგენს. სიუჟეტის დასასრულს ავტორებმა მაყურებელს ბოდიშიც კი მოუხადეს, იმის მტკიცებით, რომ ამით ისინი არავის დაკნინებას არ ცდილობდნენ; რა თქმა უნდა, ჰომოსექსუალობა

მათთვის ავტომატურად დამაკნინებელ და შეურაცხმყოფელ მოვლენას წარმოადგენს, თუნდაც ისტორიულად დისტანცირებულად მოცემულობაში. ამ შემთხვევაში მედია ყველაზე ნეგატიური სტერეოტიპების გამტარად და მატერიალიზებლად გვევლინება. მაყურებელი კარგად გრძნობს სიუჟეტის ავტორთა განწყობას: არამეინსტრიმული სექსუალობა, თუნდაც კინტოს ნახევრად მითოლოგიზებული პერსონის ხორცშესხმით, რაღაც ძალზე სახიფათო და უაღრესად ნეგატიური მოვლენაა. შესაბამისად, ნეგატიური განწყობები მძაფრდება მაშინ, როდესაც საუბარია განსხვავებული სექსუალობის მქონე რეალურ და ცოცხალ ადამიანებზე. სტერეოტიპიზაცია ავტომატურად მათზეც ვრცელდება, მხოლოდ ბევრად „დამამძიმებელი“ გარემოებებით.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც მასმედიას საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ინსტრუმენტს აძლევს, არის იმიჯი. იმიჯისა და სტერეოტიპის ფუნქცია განსხვავებულია. სტერეოტიპი თვისებების კრებით სახეს განასახიერებს. უკიდურეს შემთხვევაში ის ნაწილობრივ მაინც ახასიათებს ობიექტს. იმიჯი ხელოვნურად გამოქმენილია.

იმიჯი გარკვეული ასოციაციების თავსმოხვევის გზით იქმნება. იგი მუდამ წარმოსახვას უკავშირდება. იმიჯი ქმნის რეალურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოცემულობას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ. იგი პირდაპირ მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, შესაბამისად, ადვილად აღიქმება და მესხიერებაში ილექება. ამის გამო, იგი აქტიურად გამოიყენება რეკლამაში. იმიჯის გამოყენება, როგორც ცნობიერებით მანიპულირების ინსტრუმენტის და პროპაგანდის საშუალებისა, წარმატებით შეიძლება. რასაკვირველია, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უპირობოდ შეუძლია ადამიანს მასობრივი ინფორმაციის მიერ შემოთავაზებული პროდუქტის მიღება, მაგრამ ყველა კრიტიკულ დამოკიდებულებას როდი იჩენს იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ნიაღვარივით მოედინება გაზეთების, ტელევიზიის, რადიოსა და ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებიდან.

4.1. ქართული მედია და ლგბტ სტერეოტიპები

არსებობს უამრავი სტერეოტიპი ლგბტ თემაზე. ასეთი სტერეოტიპები, ხშირ შემთხვევაში, აგრესიულობით და დისკრიმინაციული ხასიათით გამოირჩევა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჯგუფი არა-ინფორმირებულ საზოგადოებაში უამრავ შიშსა და წინასწარგანწყობას ბადებს. ამის შედეგად საზოგადოება თითქოს ჰომოფობიისა და სხვადასხვა სახის სტიგმატიზაციის საფარველს „დამცავ ბერკეტად“ იყენებს. ლგბტ ადამიანები საზოგადოების თვალში მორალურად გახრწნილ, სამედიცინო თვალსაზრისით არაჯანსაღ და სხვადასხვა პარათფილიებთან მჭიდრო კავშირში მყოფ ჯგუფად აღიქმებიან, რომლებსაც საზოგადოებაში სრულუფლებიანი ცხოვრების უფლება არ გააჩნიათ. შემთხვევითი როდია, რომ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში დღემდე ჰომოსექსუალ ადამიანებს სისხლის დონაცია ეკრძალებათ (რადგან დასახელებული კატეგორია აივ ინფექციისა და ჰეპატიტების გარკვეული ტიპების რისკ ჯგუფად მიიჩნევა).

ხშირ შემთხვევაში ქართული მედია, ნაცვლად იმისა, რომ ლგბტ ჯგუფის ადამიანების მიმართ სწორი ინფორმაცია მიანდლოს აუდიტორიას, ხელს უწყობს მათ შესახებ ყველაზე დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სტერეოტიპებისა და მითების გამყარებას.

ამის დასადასტურებლად საკმარისია გადავხედოთ ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებულ ყველაზე რეიტინგულ შოუებს: „პროფილი“ (რუსთავი2), „ნანუკას შოუ“ (იმედი/რუსთავი2), „100 გრადუს ცელსიუსი“ (იმედი). იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ლგბტ თემის წევრთა გადაცემაში გამოჩენა იმთავითვე აუდიტორიის დიდი ინტერესისა და გადაცემის მაღალრეიტინგულობის გარანტია, შოუების ავტორები - მაია ასათიანი, ნანუკა ჟორჯოლიანი და ნოდარ მელაძე ყოველთვის დიდი სიამოვნებით უთმობდნენ მათ საეთერო დროს. მაგრამ, საკითხავია, რა კონტექსტში განიხილავენ ისინი თავიანთ რესპონდენტებს?

რასაკვირველია, სენსაციაზე მონადირე ტელენამყვანები ლგბტ ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით - თავიანთი გადაცემების რეიტინგის ასამაღლებლად იყენებენ. შოუში მონვეული სტუმარი, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ ტრანსგენდერი ან გეია. ეგზოტიკური ცხოველების როლში მყოფი რესპონდენტები, ხშირად გაუცნობიერებლად, ტელენამყვანთა ხელში ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის ბრმა იარაღად იქცევიან. აუდიტორია ზიზღით და ამრეზით ადევნებს თვალყურს მორალური იმპერატივებით მოლაპარაკე ტრანსგენდერის მონოლოგს ან ინტერნალიზებული გეისა და საზოგადოებისთვის „გაურკვეველი სექსუალური იდენტობის არსების“ ურთიერთმეურაცხმყოფელ პაექრობას. რაც უფრო მეტია აგრესია, მით უფრო დიდი დაპირისპირებულთა სერიის ყურების ხიბლი.

ნიშანდობლივია, რომ მსგავს შოუებში მონაწილეობის მისაღებად ძირითადად ერთსა და იმავე ადამიანებს პატიჟებენ (ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომის მსურველთა რიცხვი არცთუ დიდია).

მსგავსი გადაცემების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ვარსკვლავი“ ცნობილი გეი ლერი ბექაურია. პროფესიით მოცეკვავეს, უკვე დიდი ხანია ქამინგ აუთი გაკეთებული აქვს. შესაძლოა, მისი „ლიაობაც“ იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქართულ ტელევიზორცეში პოპულარული ფიგურაა. 2011 წელს შოუ „ნიჭიერში“ ლერი მაყურებლის წინაშე აღმოსავლური ცეკვით წარსდგა. ჟიურის მამრი წევრების რეაქცია მის ცეკვაზე საკმაოდ აგრესიული იყო და მას შემდეგ ტურში გადასვლის უფლება არ მისცეს. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ვანო ჯავახიშვილმა თავისი „უარი“ იმით დაასაბუთა, რომ მუცლის ცეკვა ქალისაა და კაცს მისი შესრულება არ შეშვენისო. გეგა ფალავანდიშვილმა კი მოცეკვავის მიერ საკმაოდ საინტერესოდ შესრულებულ ნომერს „ერთფეროვანი“ უწოდა.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევის შემდეგ ლერი ბექაურმა კარგად გააცნობიერა ერთი რამ - რომ თავისი პროფესიული საქმიანობით ქართულ ტელეინდუსტრიაში ვერავის დააინტერესებდა. ამიტომაც, იმ დროიდან მოყოლებული, სიამოვნებით თანხმდება ლგბტ

ადამიანების შესახებ მომზადებულ ყველა შოუში მონაწილეობაზე, სადაც ამ ადამიანებს არცთუ სახარბიელო კუთხით წარმოაჩენს. 2012 წლის 30 მარტს გასულ ნოდარ მელაძის „100 გრადუს ცელსიუსში“ (გადაცემა ეძღვნებოდა ტრანსგენდერთა ხილვადობის საერთაშორისო დღეს) „ოპონენტის“ მიმართ ლერი ბექაურის მიერ წამოსროლილი ფრაზა - „იმდენი კაცი მყოლია, თავზე თმა არ გაქვსო“ - საზოგადოებაში მოარულ ფართოსან გამონათქვამად იქცა, რომელიც თავის თავში მის მიერ დახატული ჰომოსექსუალის პორტრეტისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ინსპირირებას გულისხმობდა; ლგბტ ადამიანებზე გავრცელებულ ერთ-ერთ ყველაზე სიცოცხლისუნარიან სტერეოტიპთან შორის სწორედ მათი პროსტიტუციასთან გაიგივება. გადაცემის ისედაც ჰომოფობიური ფონი უარესად დაამძიმა ორი ტრანსგენდერის - კესოსა და საბის აგრესიულმა კამათმა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო „მავარი ქალია“. საბოლოო ჯამში, მაყურებელი კიდევ ერთხელ გახდა ტელეკომპანია „იმედის“ სცენარისტების მიერ დადგმულიშოუს მოწმე, სადაც ლგბტ თემის წარმომადგენლები ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩინდნენ.

„ჰომოსექსუალობა სულიერი სიმახინჯეა“ - ლერი ბექაურის ინტერნალიზებული ჰომოფობიით გაჯერებულმა გამონათქვამმა მანამდე 2011 წლის 19 აპრილის „ნანუკას შოუში“ გაიჟღერა. ლერი უფრო შორსაც წავიდა და ნანუკას ერთი „საიდუმლო“ გაუმხილა: თურმე ჰომოსექსუალობა მოდის აყლით ვრცელდება. თავად გადაცემის წამყვანმა საკუთარი პოზიცია ე.წ. „სექსუალური უმცირესობების“ მიმართ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ასე, ხელაღებით რომ მკითხვით, ჩემი დამოკიდებულება როგორია ასეთი საკითხების მიმართ, ალბათ გეტყვით, რომ საკმაოდ ჯანსაღი პოზიცია მაქვს, მყავს მეგობრები, რომლებთანაც ვმეგობრობ, რომლებიც არიან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებთანაც მაქვს ურთიერთობა, რომლებთანაც ვსაუბრობ, ვხუმრობ, მაგრამ იქვე თუ დამისვამთ კითხვას, რამდენად მინდა, ჩემს შვილებს ჰყავდეთ მხოლოდ მსგავსი ტიპის მეგობრები (სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები), ალბათ მაშინვე დაუფიქრებლად გეტყვით, რომ

არ მინდა, ე.ი. ჩემში არის რაღაც ჰომოფობიური, მაგრამ ჩემსა და ბევრ ადამიანს შორის ის სხვაობაა, რომ მე ამას ვაღიარებ, არ ვმალაფ და პირდაპირ ვამბობ” (სტილი დაცულია).

ჟურნალისტური ქცევის კოდექსის უმთავრესი დებულებაა ჟურნალისტის მხრიდან საზოგადოების ჯგუფებს შორის დაპირისპირების განეიტრალება. მოცემულ შემთხვევაში ნანუკა ჟორჟოლიანი საკუთარი სუბიექტური აზრების გაცხადებით აუდიტორიას ჰომოფობიური განწყობების ნახალისებაში უწყობს ხელს და ფსევდოტოლერანტულ საფარველქვეშ მოქცეულ საკუთარ ჰომოფობიას ამზეურებს.

ჟურნალისტების მხრიდან მსგავსი უპასუხისმგებლო ქმედებები საზოგადოებაში ლგბტ თემის სტიგმატიზაციას და ნეგატიურ სტერეოტიპიზაციას აძლიერებს. ნაცვლად იმისა, რომ ქართულმა მედიამ იზრუნოს საზოგადოებაში ლგბტ საკითხების სწორად ინფორმირებულობასა და სტიგმატიზაციის მოსპობაზე, ხშირ შემთხვევაში დასახელებული ჯგუფის ადამიანების პრობლემებს საკუთარი რეიტინგის ამაღლების იარაღად იყენებს და საზოგადოების ნეგატიური რეზონანსის ხელოვნურად მაპროვოცირებელ ფაქტორად გვევლინება.

ქართული ტელეშოუების შემოქმედნი უფრო შორსაც წავიდნენ და თოქ-შოუ „სიმართლის დროში“ (იმედი) მოყვანილ რესპონდენტს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ თამაზ კანდელაკს, ჰომოსექსუალობის საჯარო აღიარების შემდეგ, „კავებეს“ აგენტობაც „აღიარებინეს“. ერთი შეხედვით, უცნაური არაფერია - გადაცემის ფორმატი თავისთავად გულისხმობს რესპონდენტის ცხოვრების ყველაზე ბნელი და დაფარული კუნჭულების გამოაშკარავებას, მაგრამ, ამ შემთხვევაში ორაზროვნად დასმული კითხვა მოპასუხის მორალურ განადგურებას ისახავდა მიზნად და საზოგადოების თვალში მის უარესად „გაშავებას“ ცდილობდა. ამრიგად, თოქ-შოუმ წარმატებით მოახერხა საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სტერეოტიპის

გაცოცხლება და ფიზიკურ „გახრწნილებას“ - ჰომოსექსუალობას - მორალური გახრწნილება - „კავებეშნიკობა“ მიაბა.

ტელენამყვანთა მხრიდან ლგბტ თემის წარმომადგენელთა შეუბრალებელი მანიპულირების მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. როგორც ერთ-ერთი ბლოგერი, თემუჩინი, აღნიშნავს, მე რომ სხვა ინფორმაცია არ მქონდეს ლგბტ პირებზე, ამ ადამიანების და გადაცემების წამყვანების საუბრებიდან გამომდინარე ჰომოფობი/ტრანსფობი გავხდებოდიო.

ნაწილი მეხუთე

ახალი მედიები (სოციალური მედია)

5.1. ფეისბუქი

ფეისბუქი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია. მისი რეიტინგი საქართველოშიც უაღრესად მაღალია. მისი გამოყენება სოციალური აქტივიზმის კონტექსტში არსთუ იშვიათი პრაქტიკაა. გამომდინარე იქიდან, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფეისბუქს მილიონობით მომხმარებელი ჰყავს, იგი საგრძნობლად აადვილებს საკომუნიკაციო შესაძლებლობებს.

ფეისბუქის სტრუქტურა, ასევე, ლგბტ აქტივიზმისთვისაც მოსახერხებელია. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოდის მომხმარებლის კონფიდენციალობის მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილებაც მოცემულ სოციალურ ქსელს თავისუფლად შეუძლია. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფეისბუქ გვერდებისა და ჯგუფების არსებობა, რომლებიც ლგბტ ადამიანებს კომფორტულ ვირტუალურ გარემოს უქმნიან.

2011 წლის აგვისტოში ფეისბუქს გადაეცა ამერიკული პრემია Equality Advocate Award, რომელიც ლგბტ თანასწორობის დამცველთათვისაა დანესებული. განსაკუთრებულად აღინიშნა ის ფაქტი, რომ ამ სოციალურმა ქსელმა (ამ შემთხვევაში საქმე ეხება მის ინგლისურენოვან ვერსიას) საგანგებოდ ლგბტ მომხმარებლებისთვის საკუთარი ოჯახური მდგომარეობის აღმნიშვნელი სტატუსები შემოიღო („დაქორწინებული“, „სამოქალაქო ურთიერთობაში მყოფი“, ან „ერთსქესიან თანაცხოვრებაში მყოფი“ (იხ. „გვი და ლესბოსური ალიანსი დიფამაციის წინააღმდეგ“). შერილ სანდბერგმა, ფეისბუქის ადმინისტრაციული ქსელის ხელმძღვანელმა, ამის თაობაზე განაცხადა: „ადამიანებისთვის იმის შესაძლებლობის მინიჭება, რომ თავიანთი ურთიერთობების შესახებ გულწრფელად და ღიად ისაუბრონ, თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის პროცესის

ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ამიტომ, ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ შემოვიღეთ ისეთი სტატუსები, როგორებიცაა „სამოქალაქო კავშირი“ ან “შიდა პარტნიორობა“.

აღსანიშნავია, რომ ფეისბუქის ერთ-ერთი შემქმნელი ღია გვი კრის ჰიუზია, რომელმაც თავის პარტნიორ შონ ელდრიჯთან ერთად ლგბტ თანასწორობის ინიციატივათა განვითარებისთვის თანხები გამოყო. იგი აგრეთვე ბარაკ ობამას წინასაარჩევნო შტაბში ინტერნეტ-დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და რეკლამის განყოფილებას მეთვალყურეობდა. ამის გამო, ჟურნალმა Fast Company ჰიუზს უწოდა „კაცი, რომელმაც ობამა გააპრეზიდენტა“.

ამას გარდა, ფეისბუქის ლგბტ თანამშრომლებმა ვიდეო ჩანერგეს პროექტისთვის „ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება“, რომელიც ლგბტ მოზარდებისთვის არის გათვალისწინებული.

მაგრამ, ფეისბუქის სიახლე ყველასთვის სასიხარულო როდი აღმოჩნდა. რუსეთში ერთსქესიანი ურთიერთობების სოციალურ ქსელში დათქმირების კატეგორიული წინააღმდეგია „საზოგადოებრივი მართლმადიდებლური მოძრაობა“. მისმა აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ფეისბუქზე საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გაცხადება უკვე „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას“ ნიშნავს.

„ფეისბუქი მომხმარებელს ღიად სთავაზობს საკუთარი ურთიერთობების გამომზეურებას. თუ ზრდასრულ ადამიანს განსჯის უნარი გააჩნია, ახალგაზრდებს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი გონება აქვთ. უმწიფარი ბიჭი ან გოგო იფიქრებს, რომ ერთსქესიანი ქორწინება ნორმალურია. ცნობილი არ არის, ეს რა გავლენას იქონიებს მათ შემდგომ ცხოვრებაზე. მიგვაჩნია, რომ ვიდრე ეს გარყვნილი პუნქტი არ იქნება ამოღებული, ფეისბუქი ჩვენს ქვეყანაში უნდა დაიბლოკოს. ამ სოციალურ ქსელს აზიის ქვეყნებში ხშირად ბლოკავენ, რადგან იგი ადგილობრივ კანონებს არღვევს. ცუდი არ იქნებოდა, მათი გამოცდილება გადმოგველო“, - ამბობს რუსეთის „საზოგადოებრივი მართლმადიდებლური მოძრაობის“ ერთ-ერთი აქტივისტი.

ფეისბუქი - ლგბტ უფლებების დასაცავად

2012 წლის მარტში ცნობილმა ებრაელმა ტოპმოდელმა ბარ რაფაელიმ ფეისბუქის მეშვეობით აქტიური კამპანია გააჩაღა სანკტ-პეტერბურგში ჰომოსექსუალობის „პროპაგანდის“ კანონთან დაკავშირებით. დისკრიმინაციული კანონი ჯარიმას ითვალისწინებს იმ ადამიანების მიმართ, ვინც საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ საუბრობს. ბარ რაფაელიმ ინტერნეტ აუდიტორიაში სოციალური ქსელის მეშვეობით სწრაფად გაავრცელა თავისი მოწოდება. 23 მარტს თელ-ავივში, რუსეთის საელჩოსთან დიდი დემონსტრაცია გაიმართა რუსი ლგბტ თემისადმი სოლიდარობის დასაფიქსირებლად.

ფეისბუქი და სიძულვილის ენა

2011 წლის ივნისში რომში ჩატარებული პრაიდის დროს პრაიდის ერთ-ერთი მონაწილე ლედი გაგა, რომელმაც რამდენიმე თავისი კომპოზიცია შეასრულა, სიტყვით გამოვიდა. მან რამდენიმე ქვეყანა (რუსეთი, პოლონეთი, ლიტვა, უნგრეთი, ლიბანი) სექსუალური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო მკაცრად გააკრიტიკა.

37 წლის ლიტველი მოქალაქე, როგორც ჩანს, ძალიან გაანაწყენა გვი აქტივისტად ცნობილი მუსიკოსის ამ საქციელმა და ფეისბუქის საშუალებით თავისი უკმაყოფილება გამოთქვა იმის შესახებ, რომ ლედი გაგას მიერ დასახელებულ სხვა ქვეყნებს შორის ლიტვაც აღმოჩნდა. საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების „დაუმსახურებელი“ კრიტიკით აღშოთვებულმა ლიტველმა ჰომოფობმა თავის ფეისბუქ კედელზე მრისხანე სტატუსი გამოიწვია: „კიდევ ერთი ჰიტლერი გვჭირდება, რომ ამ პიდარასტებს მოუაროს, თორემ ისინი ძალზე გამრავლდნენ და თავს გავიდნენ“.

ვილნიუსის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე გვი ადამიანებთან დაკავშირებული საჯარო კომენტარის შესახებ და გადაწყვიტა, რომ იგი შეიცავს „ნამქვებულ რიტორიკას, დაცინვას, აბუჩად აგდებას, დისკრიმინაციასა და ფიზიკური ძალადობისკენ მოწოდებას ადამიანთა ჯგუფის ან მისი წევრების მიმართ სექსუალური

ორიენტაციის ნიშნით“. კომენტარის ავტორი 450 ევროთი დაჯარიმდა. მან სასამართლოს დარწმუნება სცადა იმაში, რომ მოცემული გამონათქვამები ასახავს მხოლოდ და მხოლოდ მის პირად მოსაზრებას და რომ იგი ძალიან სწუხს მომხდარის თაობაზე, რადგან საჯარო რესურსის მეშვეობით არავის შეურაცხყოფისა და განადგურებისკენ მოწოდების განზრახვა არ ჰქონია.

2011 წლის ოქტომბერში ნიუ-ჯერსის საშუალო სკოლების კავშირის მასწავლებელმა ვიკი ნოკსმა თავის ფეისბუქ გვერდზე ჰომოფობიური გამონათქვამები გამოაქვეყნა, სადაც ჰომოსექსუალობას „გარყვნილების სულს“ უწოდებდა და საშინლად წუხდა იმაზე, რომ მის სკოლაში „ღვებტ ისტორიის თვე“ ტარდებოდა.

გამოცემა New York Times-მა ამ ინციდენტს ვრცელი სტატია მიუძღვნა. „მასწავლებელმა ვიკი ნოკსმა თავის ფეისბუქ გვერდზე მის სკოლაში გამოფენილი სტენდის ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც წარმოდგენილი იყო ვირჯინია ვულფის (მწერალი), ჰარვი მილკის (პოლიტიკოსი და გეი აქტივისტი) და ნილ პატრიკ ჰარისის (მსახიობი) ფოტოები. როდესაც ნოკსს სოციალური ქსელის მეგობარმა სტენდთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა, მან უპასუხა: „პირდაპირ გაცოფებული ვარ ამის გამო“.

ამის შემდეგ ნოკსმა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ინგლისურს ასწავლის სკოლაში, სხვა ფეისბუქ მომხმარებლებს თავისი ქმედება ბიბლიის, ღმერთისა და ქრისტიანობის მოშველიებით განუმარტა. როდესაც ნოკსს თავისი გამონათქვამების გამო პასუხი მოსთხოვეს, მან თავისი პროფილი უცხოებისთვის დახურა და კომენტარებზე პასუხსაც აღარ წერდა.

სკოლის ადმინისტრაცია დასახელებული ინციდენტის გამოძიებას შეუდგა. ლებტ ჯგუფმა „ნიუ-ჯერსის თანასწორობა“, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატში ლებტ თემის ინტერესების ლობირებას ეწევა, იურისტი ჯონ პარაგენოსგან ნოკსის ფეისბუქ გვერდის კვლევაზე განთავსებული მასალების დამადასტურებელი ფოტომასალები მიიღო. ჯგუფმა დასახელებული სკოლის ადმინისტრაციისგან ნოკსის სამსახურიდან ჩამოცილება მოითხოვა. ნიუ-ჯერსიში იმ პერიოდში

სასწავლო დაწესებულებებში ღვევის წინააღმდეგ მკაცრი კანონი მიიღეს. ლგბტ ჯგუფის მტკიცებით, სკოლის ადმინისტრაციას ნოკსი სწორედაც რომ დასახელებულ მუხლთან მიმართებაში უნდა ჩამოეცილებინა თავის ამჟამინდელ საქმიანობას, რადგან ფეისბუქ აქტივობის გამო მისი მასწავლებლად მუშაობის შესაბამისობის საკითხი ეჭვქვეშ დგებოდა.

თავის კომენტარებში ნოკსი ამტკიცებდა: „ჰომოსექსუალიზმი - ეს სიბილენია, რომელიც სამყაროს შექმნის დღიდან კაცობრიობას ტვირთად აწევს“. „მე ვიცი, რა არის ცოდვა. იგი ვრცელდება, როგორც კიბო“. ნოკსი წუხდა იმის გამო, რომ ზოგიერთ შტატში „ყოველი მეოთხე ოჯახი ორი მამისა და დედისგან შედგება“ და მოითხოვდა, რომ გეებმა და ლესბოსელებმა „შენწყვიტონ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის აფიშირება“, რადგან მას არ სურს, „ამ უზნეო და არაბუნებრივ ქცევას“ უყურებდეს. „რატომ აჩენენ ისინი ამ საშინელებას დანარჩენი ადამიანების, ანუ ჩემს წინაშე? ჩვენ ვალდებულნი არ ვართ, მათი გარყვნილი ქცევა თუ არჩევანი გავიზიაროთ. მე არ ვაპირებ, მოვითმინო ის, რისი გაკეთებაც ჰომოსექსუალისტებს მოუნდებათ“.

აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი ლგბტ ჯგუფის „კამპანია ადამიანის უფლებათა დასაცავად“ ინფორმაციით, განსხვავებული სექსუალური იდენტობის მქონე ადამიანებისათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად და მათი უფლებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოსამჟღავნებლადვიკი ნოკსი სოციალურ ქსელებს პირველად არ იყენებს.

ნოკსის ჰომოფობიურ განწყობებს მწვავე რეაქციით გამოეხმაურა თავისივე სკოლის საბჭო. მან განაცხადა, რომ ნოკსი თავისი მოსწავლეებისთვის პოტენციურად საშიში ადამიანია. 50 წლის მასწავლებელი ჩამოცილებულ იქნა თავის საქმიანობას, მის წინააღმდეგ კი სასამართლოში აღიძრა საქმე. დამქანცველი სასამართლო პროცესისგან თავის ასარიდებლად ნოკსი იძულებული გახდა, ნაადრევ პენსიაზე გასულიყო და მასწავლებლობაზე უარი ეთქვა.

ფეისბუქი ქართულ რეალობაში, გადაცემა „აუდიტორია“

2010 წლის დეკემბერში ფეისბუქის ერთ-ერთ მომხმარებელთან დაკავშირებული სკანდალი ქართული მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

საქმე ეხება საქართველოში ინგლისური ენის ბრიტანელ მასწავლებელს ნიუკასლიდან, ვინმე თომას ფლეთჩერს, რომელმაც თავის ფეისბუქ გვერდზე თითქოს საკუთარი შიშველი ფოტოები გამოაქვეყნა. ფლეთჩერს ფეისბუქზე ქართველი მოსწავლეებიც ჰყავდა დამეგობრებული. შესაბამისად, მის მოსწავლეებს უპრობლემოდ შეეძლოთ ამ ფოტოების ნახვა.

ქართული მედია მყისიერად გამოეხმაურა ამ ფაქტს და ფლეთჩერის ირგვლივ ტყუილ-მართალის კორიანტელი დააყენა. მისი ლოგიკით, მსგავს უხამს საქციელს მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალი თუ ჩაიდენდა. პრობლემა გამოიკვეთა და საკითხიც დაისვა - 13 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასულმა გადაცემა „აუდიტორიამ“ მეტად საჭირობოროტო თემა წამოჭრა - „აქვს თუ არა ჰომოსექსუალს უფლება, იყოს სკოლაში მასწავლებელი?“.

ალბათ, მთლად თემის „სიყვითლესაც“ ვერ დავაბრალებთ სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებლის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს. ჟურნალისტმა ეკა ხოფერიამ გადაცემა გადაუმონმებელ, „ყურით მოთრეულ“ ამბებზე ააგო, პროდიუსერმა კი ჰომოსექსუალობაზე სასაუბროდ სტუდიაში ყველაზე აგრესიული ჰომოფობები მოიწვია. საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ ჟურნალისტმა გადაუმონმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჰომოსექსუალობის საკითხთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, გააკეთა გადაცემა, რომელშიც ჰომოფობიური განწყობები დულდა და გადმოდულდა. ნაცვლად იმისა, რომ ჰომოსექსუალობის სენსიტიური თემა მაყურებლისთვის მაქსიმალურად კომპეტენტური და არააგრესიული ფორმით მიენოდებინა, ეკა ხოფერიამ თავისი გადაცემა ჰომოფობიური და ქსენოფობიური განწყობების კატალიზატორად გამოიყენა. ფეისბუქის რესურსი კი მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი

მაუწყებლის ჟურნალისტის მიერ ნეგატიური ჰომოფობიური დისკურსის ტირაჟირების იარაღად იქნა გამოყენებული.

5.2. ბლოგები

ბლოგის ყველაზე გავრცელებული განმარტება საჯარო დღიურია. მართლაც, იგი ავტორის ინდივიდუალობის კონტექსტში არსებობს. ეს მას განასხვავებს ფორუმისგან, რომელიც ხალხმრავალ ადგილას ანონიმურ საუბარს გვაგონებს.

თავად ბლოგოსთერო, გარკვეული მოსაზრებით, ინტერნეტ თემს წარმოადგენს. ბლოგების ინტერნეტ სივრცეში გამოჩენის გარიჟრაჟზე მათმა ავტორებმა ბლოგროლებში - ყველაზე პოპულარული ბლოგების სიაში გაერთიანება იწყეს. ბლოგს ჰყავს საკუთარი მკითხველი, რომელიც ხშირ შემთხვევაში პირადად იცნობს ბლოგის ავტორს. ეს ინფორმაციულობა ბლოგს უნიკალურ თვისებებს სძენს - ბლოგის მეშვეობით ავტორს ნაცნობთა, მეგობართა, რიგით მკითხველთა და სხვ. ფართო წრესთან უკუკავშირის სახით კომუნიკაციის კოლექტიური ინსტრუმენტი გააჩნია.

ბლოგი გონზო-ჟურნალისტიკის ერთ-ერთსახეობას წარმოადგენს. გონზო-ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც ხასიათდება პირველი პირისგან მომავალი თხრობის უკიდურესად სუბიექტური სტილით. ამ დროს რეპორტიორი აღწერილი მოვლენების უშუალო მონაწილედ წარმოგვიდგება და თავის პირად გამოცდილებასა და მათი არსის ხაზგასასმელად სუბიექტურ ემოციებს გადმოგვცემს. ციტატების, იუმორის, სარკაზმის, ჰიპერბოლის (გაზვიადება) და არანორმატიული ლექსიკის გამოყენება ამ სტილის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა.

ქართული ბლოგოსთერო დღესდღეობით საკმაოდ ვრცელ აუდიტორიას ფარავს. თავად ბლოგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მომხმარებლისთვის განსაკუთრებით მოსახერხებელია ლგბტ თემატიკის შემცველი ბლოგების სტუმრობა. აქ კონკურენციის მომენტი მეორე პლანზე გადადის, რადგან თითოეულ ავტორს საკუთარი ნიშა გააჩნია. ქართულ ინტერნეტ სივრცეში პოპულარობით

სარგებლობენ ბლოგები: ანინა ტეფნაძის ბლოგი, pink illumination, ივერიელის ბლოგი, თავისუფალი სიტყვის ბლოგი, კნუტის ბლოგი, butterfly's blog, საინტერესო ბლოგი, დავით ჟორჯოლიანის ბლოგი, ადამიანის ბლოგი, ლუკა ნახუცრიშვილის ბლოგი, თემუჩინის ბლოგი, ბექა ბალაშვილის ბლოგი, David Georgicus, NocHuRa's BLOG, კემას ბლოგი, ინტერ... –ბლოგი და სხვ.

ქართული ბლოგები ლგბტ ადამიანებისთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემებსაქტიურად აშუქებენ. ხშირად ისეც ხდება, რომ ქართულ მედიაში ტოტალურად გაბატონებულ ჰომოფობიასა და დიფამაციას მხოლოდ ბლოგერები უპირისპირდებიან და ანალიტიკური პოსტების მეშვეობით ცდილობენ, საზოგადოებას მოვლენები დაუმახინჯებლად და კომპეტენტურად მიანოლონ.

ქართულ ბლოგოსფეროში არცთუ იშვიათად ვხვდებით საგანგებოდ ლგბტ ადამიანებისთვის განკუთვნილ გასართობი ხასიათის ბლოგებს. მსგავსი დანიშნულების ბლოგები ძირითადად უცხოური შოუბიზნესის სიახლეების გაშუქებაზეა ორიენტირებული და მათზე ორიგინალური მასალები იშვიათად იტვირთება. თუმცა არსებობს ისეთი ბლოგებიც, რომლებიც ლგბტ აუდიტორიას აქტუალურ და მტკივნეულ პრობლემებზე უამბობს. ისინი ქართველი ლგბტ თემის წევრებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ანალიტიკური და კრიტიკული გაშუქებითგამოირჩევიან.

ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ლილი ალენის სიმღერაზე Fuck You, 2012 წლის 17 მაისს ქართველმა ბლოგერებმა მანქიმ, ლუქს ქეიმ, ანანომ, თემუჩინმა, ლუკიანემ, ნათ ნოუაიდიამმა, ჯუდ გვანცამ, ანამ, დოდკამ, გუგა გრიფინმა, ელენემ, ალუკარდმა, კახამ, ლიტერატორმა, სიყვარულოვნამ, ადომ, მიუსიქმარმა, ლამამ, გლეხის ბიჭმა, მელმონებმა, ილომ და ანნამ ვიდეო ჩანერეს, რითიც ჰომოფობიური დევნა-შევიწროვებით დაზარალებულ ადამიანებს სოლიდარობა გამოუცხადეს.

ნაწილი მეექვსე

პოლიტიკური რიტორიკა, მედია და ჰომოფობია

6.1. სიძულვილის ენის ტირაჟირება მასმედიის საშუალებით რელიგიურ-ეთიკურ მოტივებზე

2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, ლგბტ თემის წევრებმა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობასთან“ ერთად თბილისში, ფილარმონიდან თავისუფლების მოედნამდე მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყვეს. მსვლელობის მთავარი მესიჯი იყო „არა ძალადობას“ და ჰომოფობიის დაგმობას ისახავდა მიზნად. ძალადობა მართლაც ლგბტ თემის წევრთათვის დღესდღეობით ყველაზე აქტუალურ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს.

ძალადობის საწინააღმდეგოდ მიმართული მსვლელობა ექსტრემისტულმა რელიგიურმა დაჯგუფებამ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ და მისმა იდეურმა მომხრეებმა ძალადობით შეაჩერეს. მსვლელობის მონაწილეებსა და მისი ჩაშლის მსურველებს შორის დაპირისპირებამ პიკს მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან მიაღწია, სადაც აქციას გზა გადაუკეტეს და მსვლელობის გაგრძელების უფლება არ მისცეს. აგრესიითა და სიძულვილით გამსჭვალული საერო და სასულიერო პირების რიტორიკა „სოდომელებთან“, „ეშმაკისეულებთან“ და „ზნედაცემულებთან“ დაპირისპირებაში ქუჩაში გამვლელებმა ერთუზიანობით აიტაცეს და აქციის წევრების მშვიდობიან ტრანსპარანტების გათელვასთან ერთად, მის მონაწილეებზე ფიზიკურ თავდასხმებსაც არ მოერიდნენ.

პოლიცია, რომელიც აქციის გამართვის შესახებ წინასწარ ინფორმირებული იყო და მისი დაცვა ევალებოდა, უმოქმედოდ ადევნებდა თვალყურს სიტუაციის დაძაბვას და მხოლოდ კონფლიქტის უკიდურესად გამწვავების შემდეგ ჩაერია საქმეში. სამი ლგბტ აქტივისტი და რამდენიმე რელიგიური ექსტრემისტი დააკავეს, მაგრამ სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ მალევე გამოუშვეს.

მსვლელობის ერთ-ერთმა მონაწილემ ფიზიკური შეხლა-შემოხლის შედეგად თავის ტვინის ტრავმა და სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიიღო, ხოლო რამდენიმე მონაწილემ სხეულის მსუბუქი დაზიანება. მაგ. მსვლელობის ერთ-ერთ მონაწილე გოგონას ხელი ერთ-ერთმა მღვდელმა, ხელში დროშის ტარის ჩარტყმით დაუზიანა და კამერაც დაუღუნა.

სხვა ქვეყნებში თუ მსგავსი შინაარსისა და დანიშნულების აქციებს გადავაგვლებთ თვალს, ვნახავთ, რომ რელიგიური ექსტრემისტები ლგბტ აქციებს ხშირად ესხმიან თავს. მაგრამ, რელიგიური მოტივებით მანიპულირებას და საზოგადოების ერთი ჯგუფის მეორესთან დაპირისპირების ინსპირირებას ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებულად ნოციერი ნიადაგი გააჩნია. ამიტომაც, 17 მაისს რუსთაველის გამზირზე გათამაშებულ დრამაში მონაწილე „მოხალისეთა“ რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

მომხდარს ლოგიკური „გავრძელება“ მოჰყვა - ინციდენტიდან რამდენიმე დღეში საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ მისი პარტია საზოგადოების ტრადიციული რელიგიური და მორალური ღირებულებების დასაცავად საკონსტიტუციო ცვლილებათა ინიციატივით გამოვა. უფრო კონკრეტულად, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე თარგამაძემ 17 მაისის მსვლელობა გაიხსენა: „მიგვაჩნია, რომ ასეთი ტიპის სეირნობები ამ აქციების საბოლოო მიზანი არ არის. ეს არის ძალიან შორს გამიზნული და მნიშვნელოვანი მოვლენის დასაწყისი, რომლის საბოლოო შედეგი უნდა იყოს საქართველოში ჰომოსექსუალობის, მამათმავლობის, გარყვნილების, გახრწნილების, გაუკულმართებელი ცხოვრების წესის მორალური და სამართლებრივი ლეგალიზაცია“, - აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

თარგამაძის აზრით, უცხოეთში ლგბტ ადამიანები იმდენად გავიდნენ თავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ერთსქესიანებს შორის ქორწინების დაკანონება და სუროგატების გზით შვილების აყვანაც კი არის კანონის დონეზე დაშვებული.

„ღიახ, საქართველო საერო-სეკულარული სახელმწიფოა, ღიახ, მხარს ვუჭერთ ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დანესებულებებისაგან, სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვართ საზოგადოება, რომელიც უნდა იყოს დაცლილი რელიგიური ფასეულობებისა და ღირებულებებისაგან“, - აღნიშნა გიორგი თარგამაძემ და დასძინა, რომ საქართველოსთვის ცალკეული ევროპული ქვეყნების მაგალითი მიუღებელია. მისი თქმით, დასავლეთის რიგ ქვეყნებში გაცხადებული ათეისტების რაოდენობა 50 პროცენტს აჭარბებს, საქართველოში კი, საბედნიეროდ, მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი საკუთარ თავის იდენტიფიცირებას „მორწმუნე ქრისტიანად“ ახდენს.

აქედან გამომდინარე, თარგამაძე აცხადებდა, რომ ქრისტიან-დემოკრატები საზოგადოებას უახლოეს ხანში საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს შესთავაზებდა, რომელშიც 5 ცვლილება იქნებოდა მოცემული და მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებნენ. მან კარგად იცოდა, რომ მისი ინიციატივა უსაფუძვლო და აბსურდულია. რეალურად იგი არც ხელმოწერების შეგროვებას აპირებდა და არც დასახელებული კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებას. ამისათვის მის წამოწყებას ვენეციის კომისიის თანხმობა დასჭირდება, რასაც, თავადაც შესანიშნავად უწყობდა, რომ ვერ მიიღებდა. მისი ზემოთ მოყვანილი განცხადება შეიძლება შეფასდეს როგორც წმინდა წყლის დემაგოგია და ამომრჩევლის რელიგიური განწყობებით არაკეთილსინდისიერი მანიპულირება. პოლიტიკოსების ნაწილისთვის ამგვარი მოქმედება კარგად აპრობირებულ ხერხს წარმოადგენს პოტენციური ამომრჩევლის გულის მოსაგებად. „უმცირესობა-უმრავლესობის“ თემაც ტყუილად არ წამოუჭრია, რადგან „უმცირესობის“ უფლებების შელახვით არჩევნებზე „უმრავლესობის“ კეთილგანწყობის მოპოვებას ელოდა. როგორც ჩანს, ცნობილ „ქრისტიან-დემოკრატს“ ავიწყდებოდა, რომ დემოკრატია სწორედაც რომ უმცირესობების უფლებების დაცვის უზრუნველყოფას გულისხმობს უმრავლესობის მხრიდან.

6.2. რეკლამა და დისკრიმინაცია

2007 წელს კომპანია „მასტერფუდს“ იმ საიტის დახურვა მოუწია, რომელზეც „სნიკერსის“ ბატონის 30-წუთიანი რგოლი იყო განთავსებული სახელწოდებით Mechanics („მექანიკოსები“). სარეკლამო რგოლი ორგანიზაციების GLAAD და Human Rights Campaign ძალისხმევით აიკრძალა.

კრეატივმა, რომელიც ტელევიზიით სუპერთასის ფინალური მატჩის ტრანსლაციის დროს ტრიალებდა, ლგბტ უფლებადამცველთა შორის ბობოქარი უკმაყოფილება გამოიწვია. მასში ნაჩვენებია ორი მექანიკოსი. ისინი „სნიკერსის“ ბატონს მიირთმევენ - ერთი ერთი მხრიდან, მეორე კი მეორედან. „სნიკერსის“ ბოლოები თანდათან მცირდება. კაცების ტუჩები ერთურთს ეხება. ისინი უცებ ფხიზლდებიან და სასწრაფოდ უკან იხევენ. საშინლად შეძრწუნებული ერთ-ერთი კაცი წამოიბურტყუნებს, რომ მისი აზრით მათ ცოტა ხნის წინ ერთმანეთს ტუჩებში აკოცეს. ამ „სამარცხვინო“ საქციელის დასავინწყებლად მექანიკოსები გადანყვეტენ, რომელიმე „ნალდი კაცური ქმედება“ გაიხსენონ, რის შედეგადაც ორივე კაცი მკვრივად ბენჯის ბლუჯებს გამეტებით იგლეჯს.

კომპანია „მასტერფუდსში“ უამრავი საჩივარი შევიდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ რეკლამაში ღიად მოცემულია ჰომოსექსუალთა მიმართ ზიზღის დემონსტრაცია. საჩივრებზე პასუხად საიტის დახურვა გადამწყდა.

სარეკლამო ინდუსტრიაში მსგავსი ჰომოფობიური შინაარსის რგოლები დროდადრო კი ჩნდება, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში აუდიტორიისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მხრიდან ამას მუდამ მკაცრი და შეუვალი რეაქცია მოჰყვება ხოლმე.

საქართველოში დისკრიმინაციის შემცველი რეკლამის დამკვეთები/ავტორებივერც თავიანთი ნამოქმედარის ნაკლს ხედავენ, და შესაბამისად, მისი გამოსწორების არანაირი სურვილიც არ გააჩნიათ.²

²იხ. დანართი N2, გვ

2012 წლის 8 მარტისთვის საღამოვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ ქალებს ავტომობილის დაზღვევა შესთავაზა. სარეკლამო ბანერებზე სარვამართოდ შესაბამისი შინაარსის რეკლამაც გაჩნდა. „ფრთხილად! ავტომობილის სარკვესთან ქალია!“ - ვკითხულობთ სარეკლამო ბანერზე. სარვამართო საჩუქარს კომპანია ბანერზე გამოსახული ქალების „თამაღობით“ ყველა პოტენციურ კლიენტ ქალს სთავაზობს. კოსმეტიკური საშუალებებით შეიარაღებულ ქალებს, გაღღაბნილი მაკიაჟით, ქარაფშუტა გამომეტყველებით, რეკლამის ავტორების აზრით, თავიანთი ჭკუამხიარულობა მომხიბლავად წარმოაჩენს. რეკლამაში ცუდი მძღოლი, სულელი, უპასუხისმგებლო და უსუსური არსება - ქალი სტერეოტიპულ მოდელამდეა დაყვანილი, რომელსაც საჩუქრების და პრანჭკვარების გარდა ამქვეყნად არაფერი აინტერესებს.

ჯიპიაი ჰოლდინგის დასახელებულ რეკლამას სოციალურ ქსელ ფეისბუქზე დიდი რეზონანსი მოჰყვა. რეკლამის წინააღმდეგ მთელი პიარკამპანია გაიშალა. კომპანიის ოფისიალურ ფეისბუქ გვერდზე გაჩაღებული დისკუსია საპროტესტო ფოტოსერიის გავრცელებაში გადაიზარდა, სადაც სექსისტური რეკლამა იყო გაშარყებული. ერთ-ერთ ფოტოზე მოცემულია კაცის ხელი, რომელიც პომადას უსვამს ქალს. ქალს ცალი თვალი ჩალურჯებული აქვს. ფოტოზე წარწერაა: „ჯიპიაი ჰოლდინგი - თქვენ საიმედო ხელში ხართ!“.

მიუხედავად საზოგადოების მძაფრი რეაქციისა, ჯიპიაი ჰოლდინგს არც რეკლამა გაუუქმებია და არც სარვამართო აქციები შეუწყვეტია. მისი წარმომადგენლების განცხადებით, „ჯიპიაი ჰოლდინგის მიმდინარე სარეკლამო კამპანია დაყრდნობილია სტერეოტიპზე, რომ ქალები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თავის გარეგნობას, ვიდრე კაცები, რაც იმაში გამოიხატება, რომ საჭესთან მსხდომი ქალები ავტომობილის სარკვეს მრავალფუნქციურად იყენებენ და ხშირად მაკიაჟს იკეთებენ, ზოგჯერ ეს კარგად გამოსდით, ზოგჯერ - არა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ქალები უკეთესი, ან უარესი მძღოლები არიან, პირიქით, ჩვენი შიდა სტატისტიკით, ქალ მძღოლებს უკეთესი მაჩვენებლები აქვთ - ისინი უფრო ნაკლებად

ხვდებიან ავტოავარიებში და უფრო მეტად უფროთხილდებიან საკუთარ ავტომობილებს“.

როგორც ცნობილია, რეკლამის უმთავრესი დანიშნულებაა „გაყიდვა“. აქ სარეკლამო პროდუქტი მაქსიმალურად მომგებიანად და სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი. რეკლამის მთავარი გმირი მომხმარებელია. სწორედ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება და პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს რეკლამის მთავარ მიზანს. ამ საბოლოო მიზნისთვის იხარჯება ის დრო და თანხა, რომელიც რეკლამის შექმნას სჭირდება. ყველა ის რეკლამა, სადაც მომხმარებლის ინტერესები ილახება, ან მომხმარებელი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ბრუნვიდან ამოღებულ უნდა იქნას. საქართველოში ჯერჯერობით ამის საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.

6.3 ერთსქესიანი ქორწინების თემა მასმედიაში - ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის „მწვანე შუქი“

პოლიტიკური პროცესების უკეთ გაკონტროლების მიზნით, ადამიანის უფლებების შელახვის თანხლებით, ლგბტ თემატიკა ქართულ ყოველდღიურობაში არცთუ იშვიათად ჩნდება ხოლმე. მთარული ხმები ამა თუ იმ საჯარო პერსონის „ჰომოსექსუალობის“ შესახებ, ან გარდაცვლილი ადამიანების სიკვდილის მიზეზების დაკავშირება მის სექსუალურ ორიენტაციასთან აქ უკვე ჩვეული მოვლენაა. მთავარი კი ის არის, რომ ძირითად შემთხვევებში ეს მხოლოდ და მხოლოდ ვილაცის მიერ წინასწარგანზრახული გამონაგონია, კონკრეტული პერსონის დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებული ჭორი. მუდმივად იმაზე თამაში, რომ ჰომოფობიით დაავადებული საზოგადოება ჰიპოთეტიური „ჰომოსექსუალის“ გამოსარჩლებას არ მოითხოვს, ამ ყველაფრის შემოქმედთ მოქმედებაში სრულ თავისუფლებას აძლევს. სამწუხაროდ, მსგავსი მოვლენები ხელს უწყობს ლგბტ ადამიანების საზოგადოებისგან სტიგმატიზაციას და კიდევ უფრო აღრმავებს იმ უფსკრულს, რომელიც ამ ორ მხარეს ჰყოფს.

2009 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფის კოორდინატორი თედო ჯორბენაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) ბათუმის ფილიალში დაიბარეს. როდესაც ჟურნალისტი დანიშნულების ადგილზე მივიდა, თედო ჯორბენაძეს აჩვენეს ამობეჭდილი, შავ-თეთრი ფოტოები, რომლებზეც გამოსახული იყო კაცები საცვლების ამარა. ამის შემდეგ ჯორბენაძეს უთხრეს, რომ ამ კადრებზე თავად არის გამოსახული.

სპეცსამსახურის თანამშრომელმა თედო ჯორბენაძეს აუხსნა, რომ გაზეთი „ბათუმელებით“ დაინტერესებულნი არიან უცხო ქვეყნების, კონკრეტულად კი რუსეთის და თურქეთის სპეცსამსახურები. რადგან იგი რედაქტორის მოადგილეა, ამიტომ მათ მისი თანამშრომლობა სჭირდებათ.

უარის მიღების შემდეგ თედო ჯორბენაძე გააფრთხილეს, რომ ამ „გარყვნილ“ (სინამდვილეში დამონტაჟებულ) კადრებს გაუგზავნიან მის ავადმყოფ მამას, თანამშრომლებს, ატვირთავენ ინტერნეტში. შანტაჟისტები ჟურნალისტს დაემუქრნენ, რომ ამ კადრების გავრცელების შემდეგ ის დაკარგავს სამსახურს, ან ინტერვიუს აღარავენ მისცემს. მედიის თანამშრომელზე მსგავსი სახის ზეწოლა ქვეყანაში ე.წ. „სექსუალურ უმცირესობათა“ უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

ლგბტ თემა, როგორც უკვე აღინიშნა, უამრავი სახის პოლიტიკური სპეკულირების საშუალებას იძლევა. როგორც მტკივნეული და არაპოპულარული საკითხი, იგი არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელშისხირად საშიშ იარაღად წარმოგვიდგება. ერთ-ერთი ასეთი „მსუყე ლუკმა“ ერთსქესიანი ქორწინების თემაა.

ერთსქესიანი ქორწინების ირგვლივ გაშლილი პოლემიკა მსოფლიოში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან მომდინარეობს. თავად „ერთსქესიანი ქორწინების“ ცნება ამერიკულ ლექსიკონებში, კერძოდ The American Heritage Dictionary of the English Language-ში, 2000 წელს გაჩნდა. ერთსქესიანი ქორწინება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია ლეგალიზებული და ბევრი ქვეყანაც ამისთვის ემზადება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დღემდე მწვავე კამათი მიმდინარეობს იმის შესახებ, მიზენშეწონილი არის თუ არა ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზება. მიჩნეულია, რომ ქვეყნებში, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები კანონით დაშვებულია, ჰომოფობიის ხარისხი ბევრად დაბალია იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან. ასე რომ, ერთსქესიანი ქორწინება ტოლერანტობის კუთხით საზოგადოებაში ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდის როლს თამაშობს.

2012 წლის 18 სექტემბერს ქართულ ტელეარხებზე გაჩნდა ვიდეომასალები, სადაც ალბერტი იყო ქართულ ცხივებში პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის კადრები. ამან საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ტელეარხ მანესტროს 19 სექტემბრის გადაცემა „პოლიტმეტრიც“ მთლიანად დასახელებულ მოვლენას დაეთმო. გადაცემის ერთ-ერთ ბლოკში ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილის რესპონდენტები ლევან ბერძენიშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი და შორენა შავერდაშვილი იყვნენ. მხატვარმა რუსუდან ფეტვიაშვილმა, რომელიც ცდილობდა, თავიდან აეცილებინა გადაცემის წამყვანის მიერ დასმული შეკითხვა, უნდა აიღოს თუ არა თავზე ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა ცხივის წამებებთან დაკავშირებით, პასუხად აბსოლუტურად არაადეკვატურ თემაზე საუბარი წამოიწყო: „არის ტენდენცია მსოფლიოში, რომ უმცირესობებს, რომლებიც ქორწინდებიან ერთმანეთზე, ეძლევათ საშუალება, რომ აიყვანონ ბავშვი. აქ ბავშვის უფლებები ირღვევა. არავითარ შემთხვევაში ამის დაშვება არ შეიძლება. ეს უნდა დაამტკიცონ ფსიქოლოგებმა, მეცნიერებმა. ბავშვს არ აქვს არჩევის საშუალება, უნდა თუ არა მას ის წყვილი მშობელი, რომელთან ცხოვრებაც მოუნევს“. ერთი შეხედვით ამ არალოგიკურ „აცილებას“ ფეტვიაშვილის მხრიდან სავსებით რეალური მოტივი გააჩნდა, რაც აუდიტორიის ყურადღებისა და რისხვის სხვა მიმართულებით წარმართვას ისახავდა მიზნად. ბუნებრივია, როგორც თავად აღნიშნა, უმცირესობებისკენ ხელის გაშვება ამ სიტუაციაში ნინო ჟიჟილაშვილის შეკითხვის უპასუხოდ დატოვების ყველაზე რეალურ გზად მოეჩვენა. მაგრამ, ამ სიტუაციაში

ყველაზე გულდასაწყვეტი ის იყო, რომ არც გადაცემის წამყვანმა (მან უბრალოდ შეაწყვეტინა ფეტვიაშვილს საუბარი, იმ მოტივით, რომ რესპონდენტი სულ სხვა თემას ეხებოდა), და არც დანარჩენმა რესპონდენტებმა - ბერძენიშვილმა და შავერდაშვილმა, მას აგრესიული ჰომოფობიური განწყობებისთვის არც ერთი სიტყვით არ უსაყვედურეს. როგორც ჩანს, წინასაარჩევნო პერიოდში ჰომოფობიის დამობა მათ ზედმეტად სარისკო საკითხად მიიჩნიეს და ამიტომაც, ამ შემთხვევაში, პირში წყლის ჩაგუბება არჩიეს.

რასაკვირველია, საქართველოში საუბარი ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციაზე მოცემულ მომენტში აბსურდის სფეროს განეკუთვნება. ეს კარგად უწყიან მისმა მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც. მაგრამ, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ელექტორატის ხმების მოსაზიდად ამ თემას ხშირად მიმართავს (იხ. **სიძულვილის ენის ტირაჟირება მასმედიის საშუალებით რელიგიურ-ეთიკურ მოტივებზე**). პოლიტიკოსების მიერ ჭიქა წყალში ატეხილი ქარიშხალი თემის სკანდალურობის გამო მედიისთვის ძალზე „მსუყე ლუკმაა“. ამიტომ, ბევრი მედიასაშუალება ხშირად დიდი ენთუზიაზმით ახდენს მის უტრირებას, რითიც ნებსით თუ უნებლიეთ საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობების გაძლიერებას უწყობს ხელს. საბოლოო ჯამში, ყველა მოგებულ რჩება, გარდა ისედაც მონწყვლადი და დისკრიმინირებული ჯგუფისა - ლგბტ ადამიანებისა.

6.4 ლგბტ უფლებები, ევროსაბჭო და მასმედია, კემდენის პრინციპები აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ

ევროსაბჭოსა და მისი ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივ ნორმათა შემუშავება, ასევე წევრ სახელმწიფოებში მათი განვითარების პროცესებზე თვალყურის დევნებანარმოადგენს. ევროსაბჭოს მიმართულებებში შედის ინფორმაციული თავისუფლების გარანტირება და გაფართოვება, ადამიანის უფლებებზე ახალი

მედიატექნოლოგიების გავლენის ანალიზი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ძალადობისა და სიძულვილის ენის გამოყენებასთან ბრძოლა.

თავისი დაარსებიდან მოყოლებული (1949 წელი), ევროსაბჭომ (საპარლამენტო ასამბლეამ, მინისტრთა კომიტეტმა, გენერალურმა სამდივნომ) შეიმუშავა და მიიღო ასზე მეტი კონვენცია, დეკლარაცია, რეზოლუცია და რეკომენდაცია, რომლებიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ჟურნალისტების მოღვაწეობას ეხებოდა.

პრალაში 1994 წელს გაიმართა მინისტრთა IV ევროპული კონფერენცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დარგში. აქ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ეხებოდა მასმედიაში მუშაობის დემოკრატიულ საწყისებს: ჟურნალისტის პროფესია ხელმისაწვდომია შეზღუდვის გარეშე; რედაქცია დამოუკიდებელია კერძო დაჯგუფებების ან სახელმწიფო ორგანოების ზეწოლისგან; ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები დაცულია; უარი უნდა ეთქვას მასმედიაში ძალადობის, სიძულვილის, დისკრიმინაციის ჩვენების წახალისებას რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკის, ეროვნულ, რელიგიურ თუ სოციალურ ნიადაგზე; უნდა გამოხსნორდეს ნებისმიერი არასწორად გადმოცემული ინფორმაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებენ, მკაცრად დასაჯონ მასმედიის ის თანამშრომლები, რომლებიც საზოგადოებაში სიძულვილის ენის ტირაჟირებას ხელს უწყობენ. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ქარაფმუტულად ან სენსაციების დევნაში დაუშვებენ მსგავსი მასალების გამოქვეყნებას.

6.4.1 კემდენის პრინციპები

კემდენის პრინციპები გამოხატვის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ ეფუძნება ცნებას, რომლის თანახმადაც აზრის გამოხატვის თავისუფლება და თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს წარმოადგენს. აზრის გამოხატვის

თავისუფლება და თანასწორობა ერთურთს განამტკიცებენ და სასიცოცხლო როლს თამაშობენ ადამიანის ღირსების უზრუნველყოფაში, დემოკრატიის გარანტირებასა და საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის ხელშეწყობაში.

კემდენის პრინციპები საერთაშორისო სამართლისა და სტანდარტების პროგრესულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. კემდენის პრინციპები ARTICLE 19-ის საფუძველზე შემუშავებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა ორგანიზაციათა მაღალჩინოსნების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა ექსპერტების და სამეცნიერო წრის წარმომადგენელთა ძალისხმევით, ლონდონის შეხვედრაზე, 2008 წლის დეკემბერსა და 2009 წლის 23-24 თებერვალს. კემდენის პრინციპები საერთაშორისო სამართლის, აღიარებული პრაქტიკისა და სტანდარტების პროგრესულ ინტერპრეტაციას (ეს ასახულია ეროვნულ კანონმდებლობებსა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში), ასევე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სამართლის ზოგად პრინციპებს წარმოადგენს.

კემდენის პრინციპების შემუშავება აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და თანასწორობისკენ სწრაფვას შორის უფრო ფართო საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევის სურვილმა განაპირობა. ARTICLE 19 ამ უფლებებს განიხილავს, როგორც აუცილებელს და ურთიერთკავშირში მყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო სისტემასთან. თუმცა ამ უფლებების წარმომადგენელ მოპაეჩრე შეხედულებებს შორის შესაძლოა დაძაბულობა შეიქმნას, და მსოფლიო მასშტაბის ყურადღება უფრო ამ პოტენციურ დაძაბულობაზე გამახვილდეს, ვიდრე ბევრად მნიშვნელოვან პოზიტიურ ურთიერთობებზე მათ შორის. უფრო მეტიც, როგორც ეს მოცემულ პრინციპებშია აღნიშნული, საერთაშორისო სამართალი ამ დაძაბულობების განმუხტვის ბაზას ითვალისწინებს.

„ჩვენ მთელი მსოფლიოს ხალხებსა და ორგანიზაციებს მოვეუწოდებთ ამ პრინციპების აღიარებას, იმისთვის, რათა თავის მხრივ უზრუნველყოფილ იქნას მათი მხარდაჭერა. ასევე,

მოვუწოდებთ ხელისუფლების წარმომადგენლებს და ადამიანის უფლებათა დამცველებს, მიიღონ ზომები ამ პრინციპების ყველა დონეზე ასამოქმედებლად“, - აცხადებენ დოკუმენტის ავტორები.

6.4.1.1 კემდენის პრინციპები - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ვალდებულებანი

9.1 მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებამ, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, თავისი როლი უნდა შეასრულოს დისკრიმინაციასთან ბრძოლასა და კულტურათაშორისი დიალოგის საქმეში, რომელთა შორისაა:

I. ზრუნვა იმაზე, რომ მოვლენათა კონტექსტი და ფაქტები გაშუქდეს ტაქტიანი ფორმით და ამავე დროს საზოგადოებას შეატყობინოს დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ.

II. საქმის კურსში ყოფნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დისკრიმინაციისა და ნეგატიური სტერეოტიპების საფრთხის არსებობის პირობებში.

III. არააუცილებელ ვითარებაში ყურადღების გამახვილება რასაზე, რელიგიაზე, სქესსა და სხვა ჯგუფურ მახასიათებლებზე მაშინ, როდესაც არსებობს ნეგატიური სტერეოტიპების გამწვავების საშიშროება.

IV. დისკრიმინაციისა და ნეგატიური სტერეოტიპების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება.

V. რეპორტაჟები სხვადასხვა ჯგუფებისა და თემების შესახებ, მათი წევრებისთვის აზრის გამოთქმის საშუალების მიცემა, მათ შორის უკეთესი ურთიერთგაგების ჩამოსაყალიბებლად, ამავდროულად, დასახელებული ჯგუფების თვალსაზრისის ასახვა.

9.2 საზოგადოებრივი მაუწყებლობის ორგანოების დავალდებულება, თავი აარიდონ სტერეოტიპებს. მათი მანდატი უნდა მოიცავდეს კულტურათაშორისი ურთიერთგაგების ხელშეწყობას და იმ ნაირგვარი თემებისა და პრობლემების უკეთეს გაანალიზებას, რომლებსაც ისინი ეხებიან.

9.3 მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ჟურნალისტების პროფესიული და ეთიკური კოდექსები თანასწორობის პრინციპებს უნდა ასახავდეს. ამ კოდექსების გასაგრძელებლად და განსახორციელებლად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

9.4. პროფესიული დაოსტატების პროგრამები მედია მუშაკთათვის უნდა ამალვებდეს ცოდნას იმ როლის თაობაზე, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აკისრიათ თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და სტერეოტიპების გადალახვის აუცილებლობაში.

6.5. რას ნიშნავს „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“ და არსებობს თუ არა იგი სინამდვილეში

პროპაგანდა წარმოადგენს იდეების, სწავლებების, შეხედულებების გავრცელებას მომხრეთა მოპოვების მიზნით. როგორც ჰომოსექსუალური, ასევე ჰეტეროსექსუალური ორიენტაცია ატარებს ბუნებრივ ხასიათს და არანაირად არ უკავშირდება არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობას, არც მოდას, არც იდეოლოგიას და არც რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფთა და მოძრაობათა აქტივიზმს. ადამიანს თვითნებურად არ შეუძლია სექსუალური ორიენტაციის შეცვლა (მაგალითად, დასჯის ან ციხეში მოხვედრის შიშით, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირში). ამიტომ, მას ავითაცხავს ვერ გაუწევ. თუნდაც რომ დავუშვათ იმის ალბათობა, რომ ჰეტეროსექსუალ ადამიანს ძალიან მოუნდეს ჰომოსექსუალად ქცევა, მას ამისგან არაფერი გამოუვა. ამიტომ, სამედიცინო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით „ჰომოსექსუალობისა და ტრანსგენდერობის პროპაგანდა“ საფუძველს მოკლებულია. ეს დაახლოებით ადამიანის ისეთივე მოცემულობაა, როგორც კანის ფერი ან რასა. ამიტომ, იმაზე არაკეთილგონივრული მითითება, რაც პიროვნების პირად არჩევანს არ წარმოადგენს, მეტად არაეთიკური ქმედებაა.

თუკი „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“ „ჰომოსექსუალური ცხოვრების სტილის“ პროპაგანდას გულისხმობს, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს არანაირი ერთიანი, გამოკვეთილი

ცხოვრების სტილი. ლგბტ ადამიანებს შორის ვილაცას სექსი საერთოდ არ ჰქონია და თავისი ოცნების ადამიანთან შეხვედრას ელის, ზოგი თავფეხიანად პრომისკუიტეტშია ჩაფლული, ზოგს მყარი ოჯახური გარემო ურჩევნია. თითოეული ლგბტ ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრებისეული პრაქტიკა ისევე განსხვავებულია, როგორც ჰეტეროსექსუალებისა.³

ასევე, საფუძველს მოკლებულია „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ საბაბით ლგბტ ადამიანების გარეგნობაზე შედალირება. უან მარე წლების მანძილზე კაცურობის ეტალონად მიიჩნეოდა, მაგრამ თავად განაცხადა, რომ „ღმერთის მადლობელია იმისათვის, რომ გვია“. საბოლოო ჯამში, სიტყვათმეთანხმება „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“ გამოიყენება ან არაინფორმირებული პიროვნების მიერ, ან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირებით ხელის მოთბობის მსურველი პოპულისტი პოლიტიკოსების მიერ.

ცნობილი რუსი სექსოლოგი იგორ კონი „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ შესახებ წერს: „მე არ მესმის, რა არის „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“. განა ვინმე ამტკიცებს იმას, რომ ჰომოსექსუალობა ჰეტეროსექსუალობას სჯობს? სექსუალური ორიენტაციის არჩევის საკითხი ნამდვილად არ არის მოდის სფერო. რაღაც მსგავსი შესაძლოა არსებობდეს გარკვეულ ახალგაზრდულ სუბკულტურებში, სადაც ხან ერთი იდენტობა შეიძლება გამოიკვეთოს, ხანაც მეორე. მაგრამ, რაც შეეხება სერიოზულ პროცესებს, მას ბევრად ღრმა და ორგანული მიზეზები გააჩნია. ჩვენს ქვეყანაში, მე მხოლოდ რაღაცის აკრძალვის, დახურვის მოთხოვნებსა და ტოტალურ ჰომოფობიას ვხედავ. ეს კულტურის ზოგად ტენდენციებსა და ჩვენს კანონმდებლობას ნამდვილად ეწინააღმდეგება. სამწუხაროდ, ეს პროცესი უფრო ზოგადი ფენომენის - ქსენოფობიის მომძლავრებას უკავშირდება. ეს მართლაც რომ საშიში მოვლენაა, რომელსაც მუდმივად უნდა ვებრძოლოთ“.

³იხ. დანართი N3, გვ.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2012 წლის 19 მარტის ნომერში ორგანიზაცია „პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა, იურისტმა ნანა კაკაბაძემ, განაცხადა, რომ მართალია, ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციის სასტიკი წინააღმდეგია, სამაგიეროდ „მამათმავლობის პროპაგანდის“ აკრძალვის მომხრეა. მისმა ამ სიტყვებმა სოციალურ ქსელებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ცნობილი უფლებადამცველი ჰომოფობიაში ამხილეს. ნანა კაკაბაძეს თავისი სიტყვები უკან არ წაუღია. მან შემდეგი განცხადება გააკეთა: „ამას ზოგადად მამათმავლობა ჰქვია და ამას თავდაც არ უარყოფენ. უმცირესობამ არ შეიძლება თავისი კანონები თავს მოახვიოს უმრავლესობას. ეს არის ტოტალიტარიზმი. უმცირესობა, რომელიც თავის სტანდარტებს თავს ახვევს უმრავლესობას, ეს დემოკრატია არ არის. დემოკრატია არის უმრავლესობის მმართველობა. მე ვამბობ, რომ კანონი უნდა იყოს მორგებული უმრავლესობის უფლებებზე და არა პირიქით.“ როგორც ჩანს, კაკაბაძე „ჰომოსექსუალობის პროპაგანდაში“ მასმედიის საშუალებებში „მამათმავლობის“ არცთუ ინტენსიურ გამოჩენას გულისხმობს. იგი არ ითვალისწინებს იმას, რომ ქართული მედიასივრცის უმეტესი ნაწილი ლგბტ ადამიანების მადისკრედიტირებელ მასალას ეთმობა. მისთვის მთავარი არ არის შინაარსი, მისთვის გამაღიზიანებელია მედიაში ლგბტ ადამიანების უბრალოდ ხსენებაც კი. ლგბტ ადამიანების რეპრეზენტირება ქართულ მედიაში ნეიტრალური ან პოზიტიური რაკურსით მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. თუ ნანა კაკაბაძისა და მისი თანამოაზრეების ლოგიკას გავყვებით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ვთქვათ, მადრიდში ან კიოლნში, სადაც რეგულარულად ტარდება გეი-პრაიდები, მთელი მოსახლეობა ჰომოსექსუალი უნდა იყოს... „ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის“ მოწინააღმდეგენი ხშირად იშველიებენ იმ არგუმენტს, რომ სექსუალურ უმცირესობებზე ღიად საუბარი „რყენის“ მომავალ თაობას და მას „არაჯანსაღი“ სექსუალური ცხოვრებისკენ მოუწოდებს.

რეალურად კი საქმე სულ სხვაგვარადაა. საშიშროებას სწორედაც რომ ამ საკითხის შესახებ საგანმანათლებლო ინფორმაციის

ნაკლებობა ან არარსებობა ქმნის. ამის შესახებ ვინც რა უნდა ამტკიცოს, სექსუალური ორიენტაციის ფორმირება და გაცნობიერება სწორედ 18 წლამდე ასაკის პერიოდში ხდება. თანამედროვე სამყარო ისეა მოწყობილი, რომ თითოეული ბავშვი იბადება და სოციალიზაციას გადის როგორც ჰეტეროსექსუალი. როდესაც ცხოვრების რომელიმე ეტაპზე ზოგიერთი მოზარდი თავს საკუთარი სქესის ადამიანების მიმართ ლტოლვაში დაიჭერს, იგი წინააღმდეგობაში მოდის თავისი აღზრდის პრინციპებთან, ზოგიერთი მოზარდი კი თანატოლებისგან მუდმივ დევნასა და დაცინვას განიცდის. სიტუაცია თანდათან უმართავი ხდება. ლგბტ მოზარდებს შორის სუიციდების სიხშირე უკვე მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. პრობლემის გადანაცვება მხოლოდ ერთი გზით შეიძლება - მოზარდებში თანამედროვე, სამეცნიერო (რა თქმა უნდა, გასაგები ენით დამუშავებული) ლიტერატურის გავრცელება მოცემული საკითხის თაობაზე. „პროპაგანდასთან მეზრძოლთა“ ნამდვილ მიზანს ბავშვებზე ზრუნვა სრულებით არ წარმოადგენს. იგი მდგომარეობს იმ სამოქალაქო აქტივისტებისგან მტრის ხატის შექმნაში, რომლებიც საზოგადოების გაცნობიერებას, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, ყოველი ადამიანის ღირსების პატივისცემისა და თანასწორუფლებიანობის იდეების გავრცელების მეშვეობით ცდილობენ.

თანამედროვე საქართველოში ლგბტ მოძრაობა თანდათან ძლიერდება, იგი სამოქალაქო მოძრაობის სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ნაწილი ხდება. ამის პირდაპირპროპორციულად იზრდება მითები და შიში ლგბტ მოძრაობის მიზნებისა და მეთოდების შესახებ.

როგორც წესი, „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ თემას ყველაზე ხშირად პოლიტიკური მიზნებით იყენებენ. პოლიტიკოსებისთვის ძალზე ხელსაყრელია აუდიტორიის ყურადღების სოციალურ-ეკონომიკური საკითხებიდან კულტურულ თემებზე გადატანა. ასევე, ლგბტ თემის ნეგატიური კონტექსტით მოხსენიება ყველაზე მეტად წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდება, როდესაც არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები პოტენციური ამომრჩევლების

არაინფორმირებულობითა და ქსენოფობიური განწყობებით მანიპულირებენ.

ნაწილი მეშვიდე

ლგბტ, მედია და ეთიკური ნორმები

7.1. ჟურნალისტური ეთიკა

მორალის პროფესიული სპეციფიკის შემსწავლელ მეცნიერებას პროფესიული ეთიკა ეწოდება. პროფესია ჟურნალისტს უფლებას ანიჭებს და ავალდებულებს, საზოგადოების სახელით საჯარო მორალური სასამართლო მოაწყოს იმ მოვლენების ირგვლივ, რომლებიც საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. თავად ჟურნალისტის შრომის პროცესი და მისი შედეგი პირდაპირ თუ ირიბად მრავალი ადამიანის ინტერესებს გადაკვეთს. მედია პროდუქტისთვის ფაქტების, თემისა და მიზნის შერჩევა, გმირის ქცევის შეფასება, მასალის აგებულება - ყველა ამ „ტექნოლოგიურ“ ოპერაციაში აუცილებლად ვლინდება ჟურნალისტის დამოკიდებულება მათ მიმართ, თუ ვისთვის და ვის შესახებ მოგვითხრობს ის. ამგვარად, მორალური დამოკიდებულებები მისი ნამუშევრის შინაარსშია ჩაქსოვილი და თავიდან ბოლომდე წარმოგვიდგება, როგორც თავისი ხასიათით ზნეობრივი საქმიანობა. აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული პროფესიული მორალის არსებობის აუცილებლობა, რომელიც მორალური ცნობიერების რეგლამენტირებას მოახდენს.

მისი ძირითადი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ შეათანხმოს მკითხველის და რედაქციის ინტერესები, შეარბილოს წინააღმდეგობრიობა მოღვაწეობის იმ ორ სფეროს შორის, რომლისგანაც ჟურნალისტიკა ყალიბდება, არ დაუშვას რედაქციის ინტერესების კონფლიქტი აუდიტორიის მოთხოვნასთან, მიიღოს ობიექტური

ინფორმაცია. ნებისმიერ საზოგადოებაში ეს ძალზე რთული კომპრომისია, მაგრამ მასში ყოველთვის არსებობს ზღვარი, რომლის უგულვებელყოფაც დაუშვებელია - სიმართლე. მაშ, კერძოდ რაში უნდა ვლინდებოდეს თანამედროვე ჟურნალისტიკის ქცევის ეთიკა? ვისთან ან რასთან მიმართებაში უნდა იყოს ჟურნალისტი ეთიკური? მორალისა და ზნეობის კონკრეტულად რომელი კოდექსები უნდა დაიცვას მან და რა შემთხვევებში? ეთიკურები არიან თუ არა ზოგადად ჟურნალისტები თუ თავად პროფესია არ ითვალისწინებს რაიმენაირი ნორმების დაცვას?

პროფესიები, რომელთათვისაც ეთიკური დამოკიდებულებები პროფესიული საქმიანობის ძირითად კომპონენტს შეადგენს, არცთუ ბევრია. მსგავს პროფესიებში მორალური არჩევანი სპეციალისტისთვის მუდმივ თანამგზავრადაა ქცეული, ხოლო მთავარი ტექნოლოგიური ოპერაციები ქცევის ხასიათს იძენს. ერთ-ერთ ასეთ პროფესიად ჟურნალისტიკა გვევლინება. მისი ქცევის უმთავრეს პრინციპს აუდიტორიის ოპერატიულად და ობიექტურად ინფორმირება მიმდინარე მოვლენების შესახებ წარმოადგენს.

1. ჟურნალისტების თემი თითოეული თავისი წარმომადგენლის სახით საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევით მორალური დებულებების მატარებლად გვევლინება. შესაბამისად, იგი უშუალოდ ჩართულია საზოგადოების მორალურ დამოკიდებულებებში, მისი სუბიექტის სახით.

2. თავის მასალებში ჟურნალისტები საზოგადოების მორალურ კოლიზიებს და ტენდენციებს აშუქებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების მორალური ურთიერთობები ჟურნალისტიკის ასახვის საგანს წარმოადგენს.

3. მასმედიის საშუალებებით ჟურნალისტები საზოგადოების ზნეობრივი იდეალების და ეთიკური რეკომენდაციების პოპულარიზაციას ახდენენ, ხელს უწყობენ საზოგადოების განათლებას ეთიკის სფეროში. ამგვარად, მორალის ინსტრუმენტებად თავად ჟურნალისტები წარმოგვიდგებიან.

4. სინამდვილის შეფასებისას, ჟურნალისტები ხელმძღვანელობენ კაცობრიობის ზნეობრივი გამოცდილებით. შესაბამისად, ჟურნალისტიკაში მორალი გამოიყენება როგორც პროფესიული „საზომი“ ერთეული.

5. მორალთან მრავალმხრივ დაკავშირებული ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ორგანიზმის თვითრეგულაციის ჩარჩოებში მოქმედებს.

პროფესიული მორალი არ კისრულობს სოციალურ წინააღმდეგობათა გადაჭრას და ეს მას არც ძალუძს. სამაგიეროდ, მას შეუძლია კომპრომისების ძებნა, ჟურნალისტიკა და სხვა ადამიანების ინტერესების შეთანხმება. აქედან გამომდინარეობს მოვალეობის ცნებაც. მოვალეობა პროფესიულ მორალში ძირითადი ცნებაა. მოვალეობის გრძნობა რეგულირებს უკეთეს ჟურნალისტიკის პასუხისმგებლობას საზოგადოების, - მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის წინაშე, ანუ იმ ადამიანების წინაშე, რომელთა ობიექტურ სოციალურ ინფორმაციაში მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოღვაწეობს თავად ჟურნალისტი.

ამგვარად, ადამიანების ბედზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ჟურნალისტს სოციალური პასუხისმგებლობის ტვირთს აკისრებს. ჟურნალისტი პასუხისმგებელია არა მხოლოდ ზოგადად საზოგადოების წინაშე, არამედ მის კონსტიტუციურ ინსტიტუტებთანაც. ყველაზე მთავარი მსაჯული, რა თქმა უნდა, მკითხველი/მსმენელი/მაყურებელია. მაგრამ ჟურნალისტური მასალის გმირები და კოლეგებიც, რომლებიც ინფორმაციის მიმწოდებლები არიან, ასევე უფლებამოსილნი არიან, ჟურნალისტს პასუხი მოსთხოვონ.

ჟურნალისტიკის მოღვაწეობაში პროფესიული მორალი მხოლოდ მისი მოქმედების რეგულატორის ფუნქციას როდი ასრულებს. იგი მას ეხმარება ისეთ ფასეულობებზე ორიენტირებაში, როგორებიცაა სიმართლე და სინამდვილე, ეძიებს განსხვავებული ადამიანების გაგების გასაღებს.

იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტიკაში ადამიანური კონტაქტები ჩართულია მოღვაწეობის ქსოვილში, პროფესიული მორალი ჟურნალისტს მუდმივად უბიძგებს თვითშეფასებისკენ და მას კრიტიკრიუმებს სთავაზობს.

მთლიანობაში, იგი პროფესიული საქმიანობის შინაარსისა და მიზნების ათვისების განსაკუთრებულ, იმპერატიულ ხერხს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული ეთიკის პრინციპებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ და მათი დაცვა ბევრადაა დამოკიდებული ინდივიდის შინაგან ზნეობრიობაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეთიკური გადანწყვეტილებები ვოლუნტარისტულ (ნებაყოფლობით) ხასიათს ატარებენ, ჟურნალისტური ეთიკა კი რელატიური (შედარებითი) და სუბიექტურია. თავად ჟურნალისტურ წრეში აღიარებულია „კანონთა კოდექსი“, რომელიც ასევე საზოგადოების მხრიდანაა მხარდაჭერილი. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა მოიცავს ქცევისა და აკრძალვების გარკვეულ სტანდარტებს, რომელთა დამრღვევს კოლეგებსა და საზოგადოებაში დასაძრახისი იმიჯი ექმნება. სხვადასხვა ქვეყნებში ჟურნალისტური ეთიკის ნორმების სხვადასხვაგვარ ვარიაციებს ვხვდებით, მაგრამ ძირითადი პრინციპი ყველგან ერთნაირია. ჟურნალისტები მსოფლიოს ქვეყნებიდან ერთერთის გამოცდილებების გაზიარების შედეგად სულ უფრო და უფრო ხვეწნენ პროფესიული საქმიანობის პრაქტიკას. დროთა განმავლობაში, დღის წესრიგში დადგა ჟურნალისტური ეთიკის დაუნერვლი კანონების შედგენის აუცილებლობა. ჟურნალისტთა ქცევის დასარეგულირებლად შეიქმნა პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპები და ქცევის კოდექსები. მართალია, პრაქტიკაში მათი გამოყენება არასავალდებულოა, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მას იზიარებს პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის უამრავი ჟურნალისტი.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია

დეკლარაცია ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ

მიღებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ, ქ. ბორდოში 1954 წლის 25-28 აპრილს. ცვლილებები შეტანილია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მე-18 მსოფლიო კონგრესის მიერ, 1986 წლის 2-6 ივნისს.

ეს საერთაშორისო დეკლარაცია ცხადდება, როგორც სტანდარტი იმ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისა, რომლებიც ჩართული არიან ახალი ამბებისა და ინფორმაციის შეგროვებაში, გადაცემაში, გავრცელებაში და მოვლენათა აღწერაში.

1. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა სიმართლის, ისევე როგორც საზოგადოების მიერ სიმართლის მიღების უფლების პატივისცემა.

2. ამ მოვალეობის შესრულებისას, ჟურნალისტი ყოველთვის დაიცავს ახალი ამბების კეთილსინდისიერად შეგროვებისა და გამოქვეყნების თავისუფლების, ასევე ობიექტური კომენტარებისა და კრიტიკის უფლების პრინციპებს.

3. ჟურნალისტი გამოაქვეყნებს მასალას მხოლოდ იმ ფაქტების შესაბამისად, რომელთა წარმოშობის წყაროსაც იგი იცნობს. ჟურნალისტი არ ჩაახშობს არსებით ინფორმაციას და არ გააყალბებს დოკუმენტებს.

4. ახალი ამბების, ფოტოებისა და დოკუმენტების მიღებისას ჟურნალისტი მიმართავს მხოლოდ კეთილსინდისიერ მეთოდებს.

5. ჟურნალისტი გააკეთებს შესაძლებლის მაქსიმუმს იმ გამოქვეყნებული ინფორმაციის შესასწორებლად, რომელიც აღმოჩნდება არასწორი და ზიანის გამომწვევი.

6. ჟურნალისტი პროფესიულ საიდუმლოებას დაიცავს მიღებული ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობის დაცვის მეშვეობით.

7. ჟურნალისტი მხედველობაში მიიღებს მედიის მეშვეობით დისკრიმინაციის პროპაგანდის საფრთხეს და გააკეთებს მაქსიმუმს, რათა, სხვა მოტივთა შორის, თავიდან იქნას აცილებული რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ

სხვა მრწამსის, ეროვნულ თუ სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილი დისკრიმინაცია.

8. უურნალისტის მიერ სერიოზულ პროფესიულ დარღვევად მიიჩნევა შემდეგი:

- პლაგიატი;
- განზრახ შეცდომაში შეყვანა;
- ცილისწამება და დაუსაბუთებელი ბრალდებები;
- ინფორმაციის გამოქვეყნების ან ჩახშობის სანაცვლოდ ნებისმიერი ფორმით ქრთამის აღება.

9. ყველა, ვინც ღირსია, ატაროს უურნალისტის სახელი, თავის ვალდებულებად მიიჩნევს, პატიოსნად შეასრულოს ზემოაღნიშნული პრინციპები. თითოეულ ქვეყანაში მოქმედი საერთო კანონის ფარგლებში უურნალისტი აღიარებს თავისი კოლეგების იურისდიქციას პროფესიულ საკითხებზე, მხოლოდ ხელისუფლების და სხვათა ნებისმიერი ჩარევის გამორიცხვით.

საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია

2009 წლის 4 დეკემბერს, 138-მა უურნალისტმა, თბილისში საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტია დააფუძნა. დამფუძნებლებმა ქარტიის საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩიეს. საბჭოში სხვადასხვა ვადით არჩეულია 9 წევრი.

უურნალისტის მიერ ქარტიის რომელიმე მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ქარტიის საბჭოში განცხადების (საჩივრის) შეტანა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

პრეამბულა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. უურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.

ქართია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“. ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს მედიის წარმომადგენლები ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების უფლებამოსილებად განვიხილავთ და ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში გამოვრიცხავთ ხელისუფლების ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ჩარევას.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას, ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.

10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- ფაქტის განზრახ დამახინჯება;
- ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
- პლაგიატი.

2010 წლის 9 მარტს გადაცემა „ბარიერის“ (ტელეკომპანია „კავკასია“) ეთერში გაზეთ „ჯორჯიან თაიმის“ დამფუძნებელმა მალხაზ გულაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით ქართულ საზოგადოებაში მიზანმიმართულად მიდის ისეთი ღირებულებების დამკვირდება, რომლებიც პირადად მისთვის კატეგორიულად

მიუღებელია: „რა უნდათ? საქართველოში მაინცდამაინც ერთსქესიანთა ქორწინება რომ დაამკვიდრონ? რას აკეთებენ ამ ალვირასხნილი კამპანიით! საინფორმაციო საშუალებებში მასობრივ პროპაგანდას უწევენ ჰომოსექსუალიზმს და ლესბოსელობას. რა ხდება? გამაგებინეთ! ეს რომელ ქვეყანაში ხდება? დავით აღმაშენებლის და ქეთევან დედოფლის ქვეყანაში? რომელმაც, სიშიშვლე რომ გამოუჩნდა, იმაზე შეჰკვივლა და არა წამებზე! ამ ქვეყანაში ხდება ეს? ამ ქვეყანაში შეიძლება ასეთი რამეები იყოს დაცული? ჩვენ ზუსტად აი ასეთ მოძრაობას შევებრძოლებით, აი ასეთ გამოვლინებას!“

გულაშვილის ჰომოფობიურ განცხადებებთან დაკავშირებით ფონდ „ინკლუზივის“ თავმჯდომარემ პაატა საბელაშვილმა საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის საბჭოს მიმართა. საბელაშვილმა განმარტა, რომ „მიწვეული სტუმრების მხრიდან (მალხაზ გულაშვილი, გუბაზ სანიკიძე) ადგილი ჰქონდა ჰომოსექსუალი თანამოქალაქეების დაცინვას და დამცირებას, რომ გადაცემის წამყვანმა ალექსანდრე ელისაშვილმა არა თუ აღკვეთა ეს საუბარი, არამედ შეუერთდა საყოველთაო ქირქილს და შემდეგ განაცხადა: „დავანებოთ მაგათ თავი, ეგ ჩვენი საუბრის თემა არ არის“. სტუმართაგან არც ერთს ამაზე ადეკვატური რეაგირება არ მოუხდენია“.

ჟურნალისტთა ეთიკის საბჭომ, ამ განცხადების განხილვისას, ვიდეომასალა შეისწავლა და დაადგინა, რომ ელისაშვილი „საყოველთაო ქირქილს“ არ შეერთებია, თუმცა არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ საზოგადოებას ალტერნატიული აზრი გაეგო. საბჭოს განმარტებით, „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე“, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტი ვალდებულია ერკვეოდეს, რას არის დისკრიმინაცია და დისკრიმინაციის წახალისება, სიძულვილის ენა და არატოლერანტული გამონათქვამები, რათა საჭირო მომენტში გააცნობიეროს და სწორად შეათვასოს პრობლემა. „ამიტომ, ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად“, პირდაპირი ეთერის შემთხვევაში, ის უნდა გაემიჯნოს

დისკრიმინაციულ განცხადებას და დაუპირისპირდეს მას, რაც გულისხმობს შემდეგს: ჟურნალისტმა ან სხვა სტუმარს უნდა მისცეს სიტყვა, რომელიც გამოთქვამს საპირისპირო აზრს, ან თავადვე ამცნოს აუდიტორიას, რომ არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომელიც აქვს საზოგადოების ნაწილს. თუ გადაცემა ჩანანერია, მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ არატოლერანტული გამონათქვამები არ არის ჟურნალისტის პოზიცია. საჯარო პირის დისკრიმინაციული გამონათქვამები ჟურნალისტმა უნდა დატოვოს, კერძო პირის კი – შეიძლება ამოჭრას, თუ მიზანი არატოლერანტული გარემოს ჩვენება არ არის”.

გადაცემის წამყვანმა ალექსანდრე ელისაშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ, განაცხადა, რომ ის პატივს სცემს საბჭოს გადაწყვეტილებას: „მომავალ გადაცემებში აუცილებლად გავითვალისწინებ ამ გადაწყვეტილებას და უფრო დიდი სიფრთხილით მოვეკიდები უმცირესობების თემებს. ჩემს რესპოდენტებსაც მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებ, რათა ჩემს გადაცემებში სიძულვილის ენა აღარ დაფიქსირდეს“, - დასძინა ალექსანდრე ელისაშვილმა.

7.2 რა არის პოლიტკორექტულობა?

პოლიტკორექტულობის ცნება აშშ-ის საუნივერსიტეტო წრეებში მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ჩაისახა, როდესაც მთელი რიგი სოციალური ჯგუფების ემანსიპაცია მოხდა. ამან საზოგადოებრივი ატმოსფეროს მკვეთრი ცვლილება გამოიწვია. აშშ-ში, მაგალითად, იმ დროს გაფორმდა სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობა (რასობრივ სეგრეგაციასთან ბრძოლის ჩათვლით), რეალურ ძალად იქცა ფემინისტური მოძრაობა, სხვაგვარი რაკურსი მიეცა ადამიანის სექსუალობის ცნებას, რამაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივ სარბიელზე ლგბტ თემის გააქტიურება გამოიწვია. პოლიტკორექტულობა - ეს არის დაუნერვლი ვერბალური ცენზურა სხვადასხვა სახის დისკრიმინაციების წინააღმდეგ. პოლიტკორექტული მეტყველება ეწოდება ისეთ საუბარს, სადაც ორაბორი ნებისით თუ უნებლიეთ არავის აყენებს შეურაცხყოფას. აქ რასის, სქესის,

სექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური თავისებურების, რელიგიისა თუ პოლიტიკური მრწამსის ლინგვისტური დეფინიციების სანაცვლოდ ევფემისტური განსაზღვრებებია წარმოდგენილი. პოლიტკორექტულობის მთავარი პრინციპია ჰუმანურობა და ცივილიზებულობა - თავიდან აიცილოს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მეტყველებაში გავრცელებული შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება.

ჟურნალისტიკაში პოლიტკორექტულობის საჭიროება ერთიორად იმატებს, რადგან მედია სპეციალიზებული გამოთქმებისა თუ სიტყვების ტირაჟირების საუკეთესო იარაღია. პროფესიონალი ჟურნალისტი კარგად უნდა ერკვეოდეს პოლიტკორექტულ ლექსიკაში და არასოდეს უნდა მისცეს თავს უფლება, საზოგადოების რომელიმე ჯგუფის მიმართ თავად ამ ჯგუფის წარმომადგენელთათვის საწყენი და შეურაცხმყოფელი სიტყვა-გამოთქმებით ისარგებლოს.

2008 წლის მიწურულს, ქართული ყოველთვიური ჟურნალის „ცხელი შოკოლადის“ მიერ დისკუსია იქნა ორგანიზებული, რომელიც მიეძღვნა პირველი არხის განახლებულ სამაუწყებლო ბადეს. საუბრის დროს, რომლის ჩანაწერიც ჟურნალის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ პროდიუსერს და ტელეკომპანიის დირექტორის მოადგილეს გაა ჭანტურიას სთხოვეს დაესახელებინა საზოგადოებრივი მაუწყებლის თუნდაც ერთი გადაცემა, რომელიც უმცირესობისთვის იყო შექმნილი.

გია ჭანტურია - პიდარასტებისთვის?

დავით მაკარიძე - თუ არის რომელიმე წამყვანი რომელიმე უმცირესობის ან რომელიმე სუბკულტურის წარმომადგენელი?

გია ჭანტურია - ხეიბარი უნდა იყოს წამყვანი? მეუბნებით, რომ ჰომოსექსუალმა უნდა უნდა წაიყვანოს გადაცემა ჰომოსექსუალებზე?

გია ჭანტურია არც ამას დასჯერდა და დისკუსიის მსვლელობისას კიდევ ერთი ქსენოფობიური განცხადება გააკეთა: „ჩვენი პირველი ამოცანა იყო, ის ბებერი ქალი მოგვეკლა, რომელთანაც ასოცირდებოდა ეს ტელევიზია“.

საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი მაუწყებლის თავკაცმა ერთდროულად სამი ქსენოფობიური და არაპოლიტიკორექტული გამოთქმა გამოიყენა: „ჰიდარასტი“, „ხეიბარი“, „ბებერი ქალი“.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში ჟურნალში „ცხელი შოკოლადი“ გამოქვეყნებულ „არშემდგარ დისკუსიასთან“ დაკავშირებით ვკითხულობთ:

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსში (იხ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსის მუხლი 14.9) შეურაცხმყოფელი ლექსიკის თავიდან აცილების მიზნით დადგენილია, რომ „თავაზიანობა და აუდიტორიისადმი პატივისცემა ჟურნალისტებს ავალდებულებს, დაუფიქრებლად არ გამოიყენონ ისეთი სიტყვები თუ ფრაზები, რომლებმაც შეიძლება აუდიტორია შეურაცხყოს. ასეთი ლექსიკა შეიძლება მოიცავდეს გინებას, რასისტულ ტერმინებს, ავადმყოფობის ან უნარმეზღველობის აღმნიშვნელ დამცინავ ტერმინებს, და სხვა.“ ქცევის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ საკითხზე, რაზეც საუბარი იყო „ცხელი შოკოლადის“ მიერ გამართულ არშემდგარ დისკუსიაში (უნარმეზღვეული ადამიანები, სექსუალური უმცირესობები, ხანდაზმულები და ა.შ.) და ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევისას: „დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა „მამათმავალი“, „ჰედერასტი“, „ცისფერი“ – მითითებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მუხლში 15.9.

და ბოლოს, აუცილებლად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის წინათქმა, სადაც განმარტებულია, თუ რისთვის ისწრაფვის საზოგადოებრივი მაუწყებელი: „თანასწორობისთვის, იმისათვის, რომ არ დაუშვას ადამიანთა დისკრიმინაცია რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, გენდერული თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით“.

მოცემულ შემთხვევაში ვხედავთ, რომ გია ჭანტურიას ჰომოფობიური, ქსენოფობიური და გერონტოფობიური განცხადებები

არა მხოლოდ ეთიკისა და პოლიტკორექტულობის დაუნერვლ კანონებს, არამედ ჟურნალისტური ქცევის კოდექსსაც არღვევს. თუმცა, მსგავსი პრეცედენტები ქართულ სატელევიზიო სივრცეში გამონაკლის შემთხვევებს ნამდვილად არ წარმოადგენს.⁴

თუმცა, პოლიტკორექტულობის მიზანშეწონილობის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რომელიც დღემდე ცხარე კამათს იწვევს. იტალიელი მწერალი და ფილოსოფოსი უმბერტო ეკო პოლიტკორექტულობის უარყოფით მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ხშირად ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს „შესწორებულ“ მოხსენიებას უკუშედეგი მოაქვს და შესაძლოა სასაცილოც კი გახდეს. იგი ამბობს: „ცხადია, ეთიკური თვალსაზრისით ქების ღირსი ნამდვილად არაა ის, ვინც ჰომოსექსუალებს „პიდარასტებს“ უწოდებს, მაგრამ ეს წმინდა წყლის ეთიკური პრობლემაა. პოლიტკორექტულობა პირად ჰასუსის-მგებლობაზეა დამოკიდებული. იგი ყველას ეხება და ადამიანის გემოვნებასა და გარემომოწყობთა პატივისცემაზე მეტყველებს“. „უნდა გვახსოვდეს მთავარი და ფუნდამენტური პრინციპი – ჰუმანურობა და ცივილიზებულობა, და ჩვენს მეტყველებაში არ უნდა დავეშვათ გამონათქვამები, რომლებიც გულს ატკენს სხვა ადამიანებს, ისეთივე ადამიანებს, როგორებიც ჩვენ ვართ“.

პოლიტკორექტულობის ცნების სრული უგულვებელყოფა, მეორე მხრივ, კვლავ ქსენოფობიური განწყობების მქონე და სიძულვილის ენით მოსაუბრე ადამიანების წისქვილზე ასხამს წყალს.⁵ ისინი ოსტატურად აპელირებენ პოლიტკორექტულობის ნაკლოვან მხარეებზე და მის სრულ აბსურდიზაციას ცდილობენ. ასე მაგალითად, რუსი დისიდენტი და მწერალი ვლადიმირ ბუკოვსკი სტატიაში „პოლიტკორექტულობა ლენინიზმზე უარესია“ აღნიშნავს: „...თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს ჰომოსექსუალისტებმა, ფერადკანიანებმა, სექტანტებმა და სხვ. გაჩნდა ე.წ. hate speech – „სიძულვილის ენის“ კანონები, რომლებიც 70-იანი წლების სისხლის

⁴იხ. დანართი N4

⁵იხ. დანართი N5, გვ.

სამართლის საბჭოთა კოდექსის მუხლს მაგონებს და რომლის მიხედვითაც გამასამართლეს. „სიძულვილის ენას“ უწოდებენ რასობრივი განსხვავებულობისა და სექსუალური მისწრაფების ნებისმიერ მოხსენიებას. თქვენ არ გაქვთ უფლება, აღიაროთ ამკარა ფაქტები, და თუ მათზე საჯაროდ საუბრობთ, - ეს უკვე დანაშაულია“. „აქტივისტები, რომლებიც ვითომდა უმცირესობების უფლებებს იცავენ - ჰომოსექსუალისტური და ფემინისტური ორგანიზაციები - სინამდვილეში უმცირესობებზე სულაც არ ზრუნავენ. ისინი ისე იქცევიან, როგორც თავის დროზე ლენინი ექცეოდა მშრომელებს - მათ საზოგადოებაზე ზენოლისა და კონტროლის ინსტრუმენტად იყენებდა. ისინი ამ ადამიანებს ბევრად მეტ ზიანს აყენებენ, ვიდრე სხვა დანარჩენებს“.

ბუკოვსკისეული ანალოგიები სსრკ-ს კანონებთან საფუძველს მოკლებულია, რადგან საბჭოთა კავშირში სრულიად სხვაგვარი სიტუაცია იყო - აქ კომუნისტური უტოპიის შექმნის მცდელობებმა ჩამოაყალიბა საზოგადოება, სადაც იდეოლოგიას რეალობა უნდა ჩაენაცვლებინა და რომელიც სულაც არ შეესაბამებოდა იდეალურ წარმოდგენებს.

სოციალური უტოპიის ცნება ნამდვილად ვერ მოერგება იმ ვითარებას, რომელიც ბოლო პერიოდში დასავლეთში სუფევს: პოლიტკორექტულობა იშვა ზემოთ აღწერილ სოციალურ ცვლილებათა წიაღში და არ წარმოადგენდა მის მიზგზს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასავლური პოლიტკორექტულობა რეალობის შემცვლელად კი არ გვევლინება, არამედ თავად რეალობა იქცევა „პოლიტკორექტულად“.

**

პოლიტკორექტულობის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა აიკრძალა. ასე მაგალითად, 2009 წელს იორკშირის საგრაფოში პოლიციელებს გვი ადამიანების “ჰომოსექსუალებად” მოხსენიება აკრძალათ, ვინაიდან ეს სიტყვა ბევრი ადამიანისთვის ასოცირდება არა იმდენად სექსუალურ ორიენტაციასთან, რამდენადაც სახასიათო ქცევასთან. ამას გარდა,

სექსუალური ორიენტაციის ხსენებისას აიკრძალა სიტყვა „ტრადიციულის“ (straight) გამოყენება, რის ნაცვლად უნდა ითქვას „ჰეტეროსექსუალური“ (heterosexual).

ასევე, 2012 წელს ბრიტანელმა ლგბტ აქტივისტებმა მიაღწიეს, რომ ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „ქმარი“ და „ცოლი“. დასახელებული სიტყვები მალე ნეიტრალური ტერმინებით „მეუღლეები“ ან „პარტნიორები“ ჩანაცვლდება. შესაბამისი ცვლილებები ძალაში შევა ლგბტ მოძრაობის აქტივისტთა დაუინებელი მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციისთვის იბრძვიან.

ანგლიკანურმა ეკლესიამ სიახლის წინააღმდეგ გაილაშქრა და განაცხადა, რომ ლგბტ მოძრაობამ თავის ქმედებებში ძალზე ღრმად შეტოვა. საპასუხოდ, ეკლესიის ლიდერებს ჰომოფობიასა და სიძულვილის ენის გავრცელებაში წაუყენეს ბრალი.

7.3 სიმართლე ჟურნალისტიკაში

ინფორმაცია - ეს არის ნებისმიერი სახის ამბავი, რომელიც კონკრეტულ ადამიანს კონკრეტულ სიტუაციაში აინტერესებს. ჟურნალისტიკის ინფორმაციის მიმღებთან ურთიერთობა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული კოდექსები ჟურნალისტიკისგან მოითხოვენ რეალური ფაქტის კატეგორიულ გამიჯვნას მისი აზრისა თუ კომენტარისგან; ინფორმაციის უცვლელი სახით მიმღებ აუდიტორიას ფაქტების ანალიზის უნარი თავად გააჩნია.

პრაქტიკულად, ყველა ჟურნალისტურ კოდექსში სიმართლის გადმოცემა და ობიექტურობა პროფესიულ ღირსებად მიიჩნევა. პროფესიული მორალი ჟურნალისტს ავალდებულებს ფაქტების გაშუქებას მათი ნამდვილი არსის შენარჩუნებით და დამახინჯებაშელამაზების გამორიცხვას. ეს გულისხმობს მონაცემთა სკრუპულოზურ გადამოწმებას, დოკუმენტური და სხვა წყაროებიდან ამოღებული ფაქტების ზუსტ ასახვას, სათაურის ტექსტთან შესაბამისობას, ფაქტების პირადი მოსაზრებისგან გამიჯვნას. საზოგა-

დღებრიობამ მასმედიისგან უნდა მიიღოს საკმარისი მასალა საიმისოდ, რომ მიმდინარე სოციალური პროცესების შესახებ ადეკვატური წარმოდგენა შეექმნას.

ინფორმაციის გაშუქებისას ჟურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მის მიერ მომზადებულ მასალას ყველანაირი აუდიტორია უსმენს. იგი საზოგადოების მრავალფეროვნებას მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტი ჩვეულებრივი მოქალაქეა, საკუთარი პოზიციით, მსოფლმხედველობითა და აზროვნებით. ჟურნალისტი უნდა იყოს ობიექტური და არა ნეიტრალური, ნეიტრალობა არ ნიშნავს ობიექტურობას. ჟურნალისტს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი მოსაზრებები (უპოზიციო ადამიანი არ არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი), მაგრამ ფაქტის გაშუქებასა და ზოგადად მის ჟურნალისტურ საქმიანობაზე მისმა პირადმა შეხედულებებმა გავლენა არ უნდა იქონიოს. იგი არ უნდა ქმნიდეს ფაქტებს, მისი მოვალეობაა მხოლოდ ამ ფაქტების ობიექტურად გაშუქება ისე, რომ საზოგადოებას თავს არ მოახვიოს საკუთარი აზრი და მისცეს მას თავისუფალი არჩევანისა და დასკვნების გაკეთების საშუალება. ჟურნალისტს მორალური უფლება არ აქვს, ფაქტის გაშუქებისას დაეყრდნოს მხოლოდ ერთ წყაროს და საკითხიკალმხრივად განიხილოს. პროფესიული ქცევის პრინციპებში ერთმნიშვნელოვნად და ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საყოველთაო და პერსონალური კრიტიკის ობიექტს უფლება აქვს, საზოგადოების წინაშე მედიის საშუალებით „თავი იმართლოს“. თუ ამის წინააღმდეგი თავად კრიტიკის ობიექტია, მაშინ ჟურნალისტის მიერ ამის შესახებ მინიმუმბაუნდა მოხდეს.

მსგავს დეტალიზაციას ექვემდებარება ობიექტურობის პრინციპიც. იგი განისაზღვრება, როგორც არაანგაჟირებულობა, მიუკერძოებლობა, არაცალმხრივობა. ეს სწორედის პრინციპია, რომლის რეალიზაციისკენ უნდა ისწრაფოდეს ჟურნალისტი, და არა მკაცრად დადგენილი ნორმა. იგი ჟურნალისტს ავალდებულებს, არ მოექცეს ეგოისტური, კერძო თუ ჯგუფური მოსაზრების ტყვეობაში და გამომხატოს სხვადასხვა თვალსაზრისები. ფაქტების გაყალბება,

დაუსახუთებელი მსჯელობები, გამონაკონი და მასალების ფაბრიკაცია კატეგორიულად მიუღებელია პროფესიული მორალისთვის. მაგრამ, მხოლოდ ჟურნალისტის შინაგან კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული, მოისურვებს თუ არა იგი თავისი აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას. მთელი პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე, ყველა ჟურნალისტის ცნობიერებაში უნდა არსებობდეს პასუხისმგებლობის გრძობა ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელთა ინფორმირებულობისთვისაც ყოველდღიურად მუშაობს.

შემთხვევა, როდესაც ჟურნალისტი შეგნებულად ამახინჯებს სიმართლეს, დაგმობილია მსოფლიოში მოქმედი ყველა პროფესიული კოდექსით, განურჩევლად მოტივებისა, რომელთა გამოც მედიის წარმომადგენელი შესაძლოა ინფორმაციის გაყალბებაზე წავიდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსგავსი შემთხვევები ძალზე ხშირად ხდება. ამ მხრივ ქართული მედია გამონაკლისის არ წარმოადგენს.

7.4 ჟურნალისტის პოზიცია და პერსონაჟთა სოციალური შეფასება

მასმედიაში მუშაობა ადამიანისგან მუდმივ შინაგან ძალისხმევას მოითხოვს, რადგან ყოველდღიურად მის წინაშე დიდი საცდური დგას. რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს ჟურნალისტი: ზნეობრივი პრინციპებით თუ მსწრაფლმავალი განწყობით, შიშით ან ანგარებით? ჟურნალისტს ყოველდღიურად უწევს პიროვნებად ყოფნის უფლების მოპოვება.

იმ სანყის დებულებებს, რომლითაც ადამიანი თავის აზრებსა და მოქმედებებში ხელმძღვანელობს, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ პოზიციას უწოდებენ. ეს არის ერთიანი სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და მის საფუძველზე ინდივიდი საბოლოო მიზნებისა და პრინციპების არჩევანს ახორციელებს.

ინდივიდის ცხოვრებისეულ პოზიციაზე მუდამ აირეკლება ის ეპოქა, რომელშიც იგი ყალიბდება, კულტურის დონე, იმ სოციალური ჯგუფის თავისებურებანი, რომელსაც იგი განეკუთვნება.

თანამედროვე საქართველოში, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ინდივიდმა საკუთარი ცხოვრებისეული პოზიცია თავისუფალ გარემოში ჩამოიყალიბოს, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ საკუთარი ქცევის სანყისების დადგენის საზღვრები მუდამ შეზღუდულია. პირველ ყოვლისა, ამას რედაქციის პოზიცია განაპირობებს. რასაკვირველია, რედაქტორის და ჟურნალისტის პოზიცია ერთურთს, უპირველეს ყოვლისა, მთავარ საკითხში - რედაქციის ძირითადი მიზნების გათავისებაში უნდა ემთხვეოდეს. სხვაგვარად, გუნდური მუშაობა უბრალოდ გამორიცხულია.

ჟურნალისტის მოღვაწეობის უმთავრესი კითხვაა „რის გამო მოკვიდე ხელი მედიაში მუშაობას?“ თანამედროვე მედიამოღვაწის ყველაზე საშური და საამაყო საქმეა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესთა დამცველის პოზიციის დაკავება.

პრივატული ურთიერთობებისას, პოტენციურ პერსონაჟთან ჟურნალისტის დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ავტორის მისთვის საინტერესო პირთან საქმიან კონტაქტს არ უნდა სცდებოდეს. სოციალურ შეფერილობას ეს ურთიერთობა უკვე სხვა დონეზე - გამოქვეყნების შემდგომ იძენს. მაშინ უკვე ჟურნალისტის მსჯელობანი არა მხოლოდ მისი პირადი, არამედ საზოგადოებრივი აზრის ელემენტადაც იქცევა და მას უკვე ხელთ ექნება იარაღი, რომლის მეშვეობითაც მოცემული პერსონაჟის მიმართ ათასობით ადამიანის დამოკიდებულების შექმნა შეუძლია.

ჟურნალისტიკის ობიექტი მრავალპლანიანია. ძნელია სოციალური ცხოვრების სფეროს დასახელება, რომელსაც მედია არ აშუქებდეს. მაგრამ, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რა საზოგადოებრივ ინტერესს ინვესტს ესა თუ ის კონკრეტული მოვლენა. საბოლოო ჯამში, პერსონაჟის შეფასების ყველაზე ზოგად კრიტერიუმად სახელდება მის ქმედებათა სარგებლიანობა სხვა ადამიანების და ზოგადად საზოგადოების მიმართ.

სოციალური შეფასება შესაძლოა იყოს პირდაპირი ან ფარული ან აღიქმებოდეს ინფორმაციის კონტექსტში. მაგრამ, სწორედაც რომ

სოციალური შეფასება წარმოადგენს იმ ფორმას, რომელშიც პერსონაჟის მიმართ ავტორის დამოკიდებულება გამოსჭვივს. ყოველგვარი ღირებულებით-საორიენტაციო საქმიანობის ამოსავალ წერტილს შედარებითობა წარმოადგენს. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, კრიტიციუმის შერჩევაში შეცდომა არ იქნას დაშვებული.

ხდება ხოლმე, როდესაც მასმედიაში გაჟღერებული მოუხეშავი შეფასებების შემდეგ ადამიანი საეჭვო მითქმა-მოთქმის მსხვერპლი ხდება, რომელსაც შეუძლია მას სიცოცხლე მოუნამლოს. ამ შემთხვევაში საუბარია გმირის არა სამართლიან კრიტიკაზე, არამედ სწორედ ჟურნალისტურ „მოუხეშაობებზე“. რაც შეეხება კრიტიკულ მასალას, მათზე მუშაობისას ჟურნალისტს ობიექტურობის დაკარგვის საფრთხე ექმნება. ადამიანი ნებისმიერ კრიტიკას გაუძლებს, თუ იგი სამართლიანი, დასაბუთებული და კორექტულია. მაგრამ, თუ ჟურნალისტური შეფასება წინასწარ განზრახული, ზედაპირული და არაკეთილსინდისიერად შეთითხნილია, მაშინ პერსონაჟი ყველანაირად დაუცველი ხდება. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ჟურნალისტის პროფესიულ-ზნეობრივ ნორმებს განსაზღვრავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. საკუთარი მედიაპროდუქტის მიუკერძოებლობაზე ზრუნვის მიზნით, მომავალ პერსონაჟებად ისეთი ადამიანების არჩევა, რომლებთან ურთიერთობაც არ არის დაფუძნებული ანგარებასა და საზოგადოებისთვის არაკეთილსაიმედო ქმედებებზე;

2. ადამიანის პიროვნების, ღირსების პატივისცემა. პროფესიული ჟურნალისტური ყურადღების ობიექტად ქცევისას მასთან ურთიერთობაში უნდა ფიგურირებდეს კორექტულობა, ტაქტი და მოთმინება;

3. ადამიანის უფლებების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა, რესპონდენტის თანხმობის გარეშე მის პირად საქმეებში ჩხრეკვის დაუშვებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გმირი საჯარო ფიგურას წარმოადგენს და იგი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულია;

4. რეალობის ასახვა დაუმახინჯებლად უნდა მოხდეს. ჟურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ საქმე აქვს რეალურ ადამიანთან. ამიტომ, ყოველი მცდელობა სიმართლის შეფერადებისა ან დამახინჯებისა არა მხოლოდ გაართულებს გმირის გარე სამყაროსთან ურთიერთობას, არამედ დისკრედიტაციას გაუკეთებს მასალის ავტორს და მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებას, სადაც იგი მუშაობს.

5. მასალაში არ უნდა არსებობდეს გმირის დამამცირებელი ნებისმიერი დაუდევარი შენიშვნა ან გადაკრული მინიშვნება, მაგალითად: მისი სახელის, გვარის, გარეგნობის დეტალების ირონიული მოხსენიება, მისი, როგორც დამნაშავეს გამოყვანა მაშინ, თუ ეს დადგენილი არ არის სასამართლოს მიერ, აგრეთვე რასასთან, კანის ფერთან, რელიგიასთან, გენდერულ იდენტობასთან, ავადმყოფობასთან ან ფიზიკურ ნაკლთან დაკავშირებული რეპლიკებისგან თავის შეკავება.

ჟურნალისტურ სფეროში უკვე გავრცელებული ნაცადი ხერხის თანახმად, როდესაც მასალა მზად იქნება, ჟურნალისტმა იგი მასში წარმოდგენილი გმირების თვალთ უნდა დაინახოს.

7.5 იძულებითი ქამინგ აუთი

„საკუთარი სექსუალური ორიენტაციის შესახებ გადანყვეტილების გახმაურება ძალიან ინტიმური საკითხია და არჩევანის გაკეთება მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. მაგრამ თუ თქვენ ხართ პოლიტიკოსი ან ცნობილი ადამიანი, მამ უნდა იცოდეთ, რისი მიღწევა შეგიძლიათ მსგავსი ქმედებით და რას უნდა ელოდოთ ამისგან“, - აცხადებს სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ბლოგერი პერეს ჰილტონი (Perez Hilton), რომელმაც თავის თავს უფლება მისცა, შოუბიზნესის ამერიკელ ვარსკვლავებს იძულებითი ქამინგ აუთი მოუწყოს.

თავის დროზე პერეს ჰილტონმა სახელი იმით გაითქვა, რომ ამერიკაში რამდენიმე საკმაოდ ცნობილ ადამიანს იძულებითი აუთინგი გაუკეთა. კერძოდ, მისი ქსელური აქტივობის წყალობით

შოუბიზნესის ვარსკვლავები ლენს ბასი და ნილ პატრიკი იძულებულნი გახდნენ, ქამინგ აუთი გაეკეთებინათ. ჰილტონი გულახდილად წერდა მრავალი ვარსკვლავის სექსუალური მისწრაფებების შესახებ, თავად ამ ადამიანების ნება-სურვილის წინააღმდეგ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებს ლგბტ მოზარდთა თვითმკვლელობების ტალღამ გადაუარა, ჰილტონმა განაცხადა, რომ საკუთარი შეცდომები კარგად გაიაზრა და ცნობილ ადამიანებს იძულებით აუთინგს აღარ მოუწყობს. გვი მოზარდებმა სიცოცხლე სუიციდით დევნისა და შევიწროვების გამო დაასრულეს. ელენ დიჯენერესის შოუში ჰილტონმა აღიარა, რომ თავადაც მოუწყობდებოდა ადამიანებს, მაგრამ მოზარდებს კი არა, არამედ ზრდასრულებს და ისინი აიძულა, თავიანთი ორიენტაცია გაესაჯაროვებინათ, და რომ მისი მხრიდან ეს არცთუ საშური საქციელი იყო.

მაგრამ, როგორც ჩანს, თავის ძველ ჩვევებს ჰილტონი ვერსად გაექცა. მორიგ ჯერზე მან გადანყვიტა, ისეთი ვარსკვლავებისთვის ჩაეტარებინა იძულებითი აუთინგი, რომელთა სექსუალური ორიენტაციის შესახებ ისედაც ყველამ იცის. მისი მტკიცებით, თუ ეს ადამიანები ოფიციალურად აღიარებენ თავიანთ სექსუალურ მიკუთვნებულობას, ეს სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლ მოძრაობასძალიან წაადგება.

ვებგვერდ BigThink.com-ზე განთავსებულ ვიდეორგოლში პერეს ჰილტონი მიმართავს მსახიობებს კევინ სპეისისა და ჯოდი ფოსტერს, აგრეთვე სიენენის სახელგანთქმულ წამყვანს ანდერსონ კუპერს, რომ იატაკქვეშეთიდან გამოაბიჯონ. ამით, მისი აზრით, ლგბტ საზოგადოებას ისინი უდიდეს საქმეს გაუკეთებენ.

„სხვა ადამიანი ქამინგ აუთისკენ არავინ უნდა აიძულოს, - ამბობს ჰილტონი, - ანდერსონმა (კუპერი) ეს გააკეთა? არა. ჰოდა, ეს მისი არჩევანია. მას არ სურს საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე საუბარი მაშინაც კი, როდესაც ყველამ იცის, რომ იგი გეია. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვი პრესას (მათ შორის მეც) უფლება არ აქვს გამოაცხადოს, რომ ანდერსონ კუპერი იატაკქვეშეთში დარჩენას ამჯობინებს. გვი საზოგადოებისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ

ანდერსონ კუპერი, კვეინ სპეისი, ჯოდი ფოსტერი ქამინგ აუთს გააკეთებდნენ. რატომ? იმიტომ, რომ მათი ხილვადობა ძალზე მნიშვნელოვანია. რაც უფრო ხშირად ხედავენ ჰეტეროები გეებს, მით უფრო ადვილი ხდება ცვლილებების განხორციელება. ჩვენთვის ბევრად ადვილი იქნებოდა ქორწინებაში თანასწორობისთვის მიღწევა, ხოლო ჰეტეროსექსუალებს ჩვენი დევნა გაუჭირდებოდათ“.

როგორც ვხედავთ, ცნობილი ბლოგერის სიტყვებში არაფერია აგრესიული იმ ადამიანების მიმართ, ვის იძულებით ქამინგ აუთსაც იგი ახორციელებს. მაგრამ, მისი ქმედება მაინც უურნალისტური ეთიკის ნორმებს არღვევს. მიუხედავად მისი მიზნების კეთილშობილებისა, ჰილტონი იგნორირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ მის მიერ მიზანში ამოღებული ადამიანებიც ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, არაფრით განსხვავებულნი სუიციდის მსხვერპლ თინეიჯერთაგან, რომ მათაც გააჩნიათ საკუთარი პირადი ცხოვრების საზოგადოებისგან გარიდების უფლება, რომ იგი არ უნდა წყვეტდეს მათი აუთინგის მოხდენა-არმოხდენის საკითხს, რომ ყველა კეთილშობილური მოსაზრება უფერულდება, თუ ვინმე მის განხორციელებას არაკეთილსინდისიერი მეთოდებით შეეცდება. ამიტომაც არის უურნალისტის პროფესია ბენვის ხიდზე გავლის მაგალითი, ერთი მხრივ დასახული მიზნის მიღწევის აუცილებლობასა და მეორე მხრივ არაეთიკური და არაკანონიერი გზებით ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებას შორის.

7.6 ინფორმაციის წყაროები და მათი მოპოვების მეთოდები

უურნალისტისთვის სინამდვილე ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს შეჯერებაა. მაგრამ, მხოლოდ შეჯერება როდი კმარა. უურნალისტს უნდა შეეძლოს მათი დაძებნა და სწორად გამოყენება. არსებობს ინფორმაციის წყაროების სამი ტიპი, და სამივეს საკუთარი მახასიათებლები გააჩნია.

პირველი ტიპი, დოკუმენტური, იმით გამოირჩევა, რომ უკვე წარმოადგენს ვილაცის მიერ გადამუშავებულ პირველად ინფორმა-

ციას. იგი „დაკონსერვებულია“ დოკუმენტში დროსა და სივრცეში გადასაცემად.

მეორე ტიპი წარმოადგენს საგნობრივ-მატერიალურ სფეროს და გააჩნია ადამიანებთან და მოვლენებთან კონტაქტების ბუნებრივი „ანაბეჭდები“. ეს „ანაბეჭდები“ ჩვენ წარმოგვიდგება იმ ვითარების დეტალების სახით, რომლის ფონზეც ხდებოდა მოვლენები და მათ შესახებ ფასეული ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ. მაგრამ, საგნები და ნივთები საუბრობენ მხოლოდ მათთან, ვისაც მათი აღქმა შეუძლია და მათი ენის გაგება სურს.

წყაროს მესამე ტიპია ადამიანური რესურსი - საკვანძო ფაქტორი საინფორმაციო სფეროში. ამერიკულ სამეცნიერო ტრადიციაში ამას Living Source („ცოცხალი წყარო“) ეწოდება. ადამიანი წარმოადგენს აქტივობის სუბიექტს, იგი ჩართულია ბუნებრივი და სოციალური პროცესების მრავლობით კავშირებში და ამის გამო ამოუწურავია, როგორც ინფორმაციის წყარო. ჯერ ერთი, იგი მუდამ გარკვეული მოვლენების მოწმედ ან მონაწილედ გვევლინება და ამიტომ მათ შესახებ ინფორმაციის მატარებელია. ამას გარდა, იგი ატარებს ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ, თავის შინაგან, სუბიექტურად შექმნილ სამყაროზე. და ბოლოს, ადამიანი წარმოადგენს სხვებისგან მიღებული ინფორმაციის ტრანსლატორს.

მაგრამ, თითოეული ადამიანი თავისებურად წყვეტს საკითხს, ისაუბროს თუ არა მასმედიის წარმომადგენელთან. ამიტომაც, მეტწილად თავად ჟურნალისტებმა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა იგი მიუდგეს რესპონდენტს და მასთან ურთიერთობას ორგანიზება გაუკეთოს ისე, რომ ამ უკანასკნელმა მისთვის საინტერესო ცნობები დაუბრკოლებლად გადასცეს მას. არსებითად, ჟურნალისტი იძულებულია, თავისი ფუნქციურ-მომხმარებლური დაინტერესება ინფორმაციის წყაროს მატარებელში, ანუ ობიექტურიდან სუბიექტში - სუბიექტურ ურთიერთმიმართებაში გადაიყვანოს. უტყუარი მონაცემების შეგროვებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა ინტერვიუერის პირველი საზრუნავია. მოახერხებს თუ არა ჟურნალისტი ფსიქოლოგიური გაუცხოების განეიტრალებას და

საქმიანი ურთიერთობის დამყარებას ინფორმანტთან, ჟურნალისტის მიერ დატოვებულ პირველ შთაბეჭდილებაზეა დამოკიდებული. პირობითად, რესპონდენტებთან დამოკიდებულებაში არსებობს ორი ღონე. პირველი იქმნება გარეგნული ქცევის, ხოლო მეორე კი კითხვების კომპეტენტურობის შედეგად.

არსებობს ინფორმაციის მოპოვების წინააღმდეგობრივი მეთოდები. მაგალითად, „შენიღვის მეთოდი“, თითქმის ყველა გამოცდილი რეპორტიორის მიერ გამოიყენება. მათ არსენალში ათეულობით ასეთი ნილაბი მოიპოვება, „ყურადღებიანი მსმენელით“ დანწყებული, „მკაცრი მსაჯულით“ დამთავრებული. მაგრამ, არსებობს კიდევ „პროფესიის გამოცვლის მეთოდი“. იგი ძირითადად გამოიყენება ამა თუ იმ ცოდნის სპეციფიკაში უკეთ გარკვევის მიზნით, ასევე, გარშემომყოფთაგან ინფორმაციის მოსაპოვებლად არა როგორც მასმედიის წარმომადგენლის როლში, არამედ უფრო ნეიტრალურ ვითარებაში. კანონი ზღუდავს „პროფესიის გამოცვლის მეთოდის“ გამოყენების პრაქტიკას.

ინფორმაციის მოპოვების წინააღმდეგობრივ მეთოდებს განეკუთვნება ასევე: სამხილთა მოსყიდვა, ყურის მიგდება, ფარული ჩანაწერები და ა.შ.

არსებობს რიგი პროფესიულ-ეთიკური ნორმებისა:

1. საინფორმაციო წყაროების მოპოვებისას, გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი, ღირსეული ქმედებანი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას ან ადამიანთა სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება, შესაძლებელია „ფარული ჩანაწერის“ გამოყენება, ან დოკუმენტების არალეგალური გზით მოპოვება.

2. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერ უფლებას, უარი თქვან ინფორმაციის გაცემაზე, თავს არ უნდა მისცეს რესპონდენტის მიმართ უტაქტობის, ზეწოლის, მანტაჟის გამოყენების უფლება.

3. ყოველთვის უნდა მიუთითოს თავის მასალებში გამოყენებულ ინფორმაციის წყაროებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მათი საიდუმლოდ შენახვის საფუძველი;

4. პროფესიული საიდუმლო შეინახოს საინფორმაციო წყაროსთან მიმართებაში, თუ ანონიმურობის საფუძველი არსებობს და ამ მოთხოვნაზე უარი თქვას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში: სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ინფორმანტთან შეთანხმებით, იმ შემთხვევებში, როდესაც მისი სახელის გახმაურება ადამიანებისთვის ზიანის აცილების ერთადერთი გამოსავალია;

5. ინფორმანტის თხოვნის თანახმად, ინფორმაციის მოპოვებისას დაიცვას მიცემული კონფიდენციალობის პირობა გარკვეული ინფორმაციის გახმაურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია შეგნებულად იქნა დამახინჯებული.

7.7 ლგბტ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტის გზამკვლევი

ლგბტ საზოგადოების წევრებთან მუშაობისას, ჟურნალისტს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. მას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ამ ადამიანების კონფიდენციალობის დაცვა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული თემის წევრები თავიანთი სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ხშირად ხდებიან მორალური თუ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი, დაუშვებელია დაუდევარი მოპყრობა მათი კონფიდენციალობის მიმართ, რადგან ამას შესაძლოა უმძიმესი შედეგები მოჰყვეს თავად ამ ადამიანებისთვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით არაკორექტულად და არაპროფესიულად გაშუქებულმა ინფორმაციამ შესაძლოა საზოგადოებრივ დაუნგრიოს ან დაუმახინჯოს ცხოვრება ლგბტ თემის წარმომადგენელთ.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჟურნალისტური არაპროფესიონალიზმი ლგბტ ტერმინოლოგიის ბუნდოვან ცოდნას უკავშირდება. ის, რაც ჟურნალისტისთვის მორიგი მასალის გაშუქებაა,

მისი მასალის პერსონაჟთათვის შესაძლოა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყოს. ჟურნალისტი ხშირად გაუცნობიერებლად და წინასწარგანზრახული აგრესიის გარეშე შეურაცხყოფს ლგბტ საზოგადოების წარმომადგენელთ. ეს ხდება იმიტომ, რომ მას არ გააჩნია სპეციფიკური ცოდნა მოცემულ თემატიკაზე სამუშაოდ. ამიტომ, ამ ცოდნის მიუღებლად, მისი ამ სფეროში მუშაობა სასურველი არ არის.

ლგბტ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტი არ უნდა სვამდეს არაკომპეტენტურ და რესპონდენტის ნებსით თუ უნებლიეთ შეცდომაში შემყვან კითხვებს. „თუ გიფიქრია იმის შესახებ, რომ შეგეძლო ნამდვილი კაცი გამხდარიყავი?“, „სულიერ მოძღვართან მისვლას და გამოსწორების გზაზე დადგომას თუ აპირებ?“ - მსგავსი კითხვები ჟურნალისტის უვიცობაზე მეტყველებს, რესპონდენტს შეურაცხყოფს და აბნევს. კითხვიდან გამომდინარე, ჰომოსექსუალობის „გამოსწორება“ შესაძლებელია, ხოლო გვი „არანამდვილი“ კაცია. ლგბტ რესპონდენტებთან ურთიერთობისას, ჟურნალისტმა იგნორირება უნდა გაუკეთოს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჰეტერონორმატიულ შეხედულებებს და სტერეოტიპიზებული პოზიციიდან საუბარს მაქსიმალურად უნდა მოერიდოს. ლგბტ თემატიკაზე გაკეთებულ მასალაში ასევე დაუშვებელია ზერელე და ორაზროვანი აქცენტების დასმა. თუ ჟურნალისტი მოცემული ჯგუფის მიმართ არასენსიტიური დამოკიდებულებით გამოირჩევა, უპრიანი იქნებოდა, რომ მან დასახელებულ თემატიკაზე მასალის გაკეთებისგან საერთოდ თავი შეიკავოს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ გენდერის ელემენტარულ საფუძვლებში საკმარისად არ გაერკვევა. ეს თავიდან აგვაცილებს იმ უხეშ და უპატიებელ შეცდომებს, რომლებსაც ქართველი ჟურნალისტები ასე უხვად უშვებენ და რომელთა გამოც ლგბტ ადამიანები საქართველოში თავს კიდევ უფრო მეტად მარგინალიზებულად გრძნობენ.

2012 წლის 17 მაისის მსვლელობა რუსთავი2-ის ჟურნალისტმა ნათია ტრაპაიძემ „სამსაათიან კურიერში“ შესაშური „სიზუსტით“ გააშუქა. სამწუთანხევრიან სიუჟეტში მან მოასწრო და ორი უხეში

შეცდომა დაუშვა. მისი თქმით, „აქციის მონაწილეები აღნიშნავდნენ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღეს“. ერთი შეხედვით ამ უწყინარ შეცდომაში ყურნალისტიკის არაკომპეტენტურობა და საქმის მიმართ დაუდევრობა ჩანს, რადგან მის მიერ ერთი სიტყვის - „ბრძოლის“ გამოტოვებას მაყურებელი შეცდომაში და გაურკვეველობაში შეჰყავს. ტრაპიდიე ამას არ დასჯერდა და თვისი თხრობის შეჯამების სახით აუდიტორიას ამცნო, რომ „აქციის მონაწილეებს სურდათ ცენტრალური გზის გადაკეტვა, თუმცა მათ ამის საშუალება არ მიეცათ“. როგორც ჩანს, იგი საერთოდ ვერ გაერკვა იმ ვითარებაში, რაც იმ დღეს რუსთაველის გამზირზე ხდებოდა. მსვლელობის მონაწილეები, როდესაც მათ გზა გადაუკეტეს, ჰორიზონტალურად გაიშალნენ. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობის მიმართ ფიზიკური რეაქციის შედეგი. გასაკვირი სულაც არ არის, რომ ადამიანების დიდი რაოდენობის გამო, მსვლელობის ზოგიერთი მონაწილე ტროტუარის მიღმა აღმოჩნდა, თუმცა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორი აღშფოთებული ადამიანის აღელვებულ რეპლიკას, მოძრაობის გადაკეტვის არანაირი მცდელობა მსვლელობის მონაწილეთაგან არ ყოფილა. საბოლოო ჯამში, გამოვიდა, რომ ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი ტელეარხი ასეთ დემონსტრაციას ავრცელებს ისედაც მონყვლადი ადამიანების ჯგუფის შესახებ და ამით საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ნეგატიური განწყობის ინსპირაციას იწვევს.

სამწუხაროდ, 17 მაისის მოვლენების გაშუქებაში რუსთაველი-ს ტოლი არც ტელეკომპანია იმედმა დაუდო.⁶

მსგავსი არაპროფესიონალიზმის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, რომ გათვალისწინებულ იქნას ლგბტ ადამიანებთან ყურნალისტიკის მუშაობის რამდენიმე რჩევა:

- დარწმუნდით, რომ მასალის სათაური ზუსტი და განწონასწორებულია;

⁶იხ. დანართი N6, გვ

- გქონდეთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა და მასალის მომზადებისას ეცადეთ, ინფორმაცია რამდენიმეჯერ გადაამოწმოთ;
- მუდამ ამხილეთ ლგბტ ადამიანების დისკრიმინაციის შემთხვევები და ნუ ეცდებით ამისთვის გულგრილად გვერდის ავლას;
- თქვენ მიერ მომზადებულ მასალებში შეეცადეთ, ხელი შეუწყოთ იმ მითებისა და არამართებული სტერეოტიპების ნგრევას, რომლებიც ასე უხვადაა გავრცელებული დასახელებული ჯგუფის ადამიანთა შესახებ; ეცადეთ, მეცნიერული და მისაღები ტერმინოლოგია გამოიყენოთ და კორექტულად ისაუბროთ;
- საჭიროების შემთხვევაში/რესპონდენტის მოთხოვნის საფუძველზე, დაიცავით კონფიდენციალობა არა მხოლოდ ვიზუალური, არამედ ვერბალური მასალის ასახვისას (ხმის შეცვლის ტექნოლოგია ჩვენს დროში ძალზე ადვილად ხელმისაწვდომია და მასალის მომზადებისას პრაქტიკულად არანაირი ზედმეტი დროისა და რესურსის ხარჯვას არ ითხოვს);
- კარგად დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ მომზადებულ მასალა არ შეიცავს არავისთვის შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ კონტენტს;
- მასალები აიღეთ კომპეტენტური წყაროებიდან, ვინაიდან მოვლენათა არასწორი აღწერა ზიანს მიაყენებს მასალის პერსონაჟებს და გაზრდის მათ მიმართ სტიგმატიზაციას;
- თქვენ მიერ მომზადებული მასალა არასოდეს უნდა იწვევდეს ლგბტ ადამიანების მიმართ საზოგადოების ნეგატიური განწყობების გამძაფრებას, პირიქით, განსაკუთრებული კონტექსტური საჭიროებების გარდა, მიუღებელია მათი სექსუალური ორიენტაციის უმიზეზო აქცენტირება;
- პირადად უურნალისტია პასუხისმგებელი იმაზე, რომ ინტერვიუს მიმცემ ადამიანს ესმოდეს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მისი ანონიმურობის დარღვევის შემთხვევას;

- არასასიამოვნო ისტორიების, მაგ. სუიციდის ან დისკრიმინაციის შემთხვევების გაშუქებისას, აუცილებელია განზრახვითი მიდგომა;
- მასალის მომზადებისას თუ რაიმეში შეგეპარათ ეჭვი, დაუკავშირდით ლგბტ ორგანიზაციებს, სადაც სათანადო კონსულტირებას გაგიწევენ;
- თქვენ მიერ გაშუქებული მასალა არ უნდა ატარებდეს უპირატესად პირადულ ან დამადანაშაულებელ ხასიათს;
- ისტორიისგან სენსაციას ნუ შექმნით - გახსოვდეთ, ადამიანების ბედით თამაშის უფლება არ გაქვთ;
- არ გამოიყენოთ ტერმინები, რომელიც ლგბტ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციულად მიიჩნევა;
- არ გამოიყენოთ ირონიული ტონი და გამოთქმები, ეს საზოგადოებაში სტერეოტიპების გამყარებას უწყობს ხელს.

დანართი N1

ადამიანის უფლებები და ქართული მედია

თათა ცოფურაშვილი

როდესაც ფრენსის ფუკოიამა „ისტორიის დასასრულის“ შესახებ წერდა, იგი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა, რომ ადამიანების ცხოვრებაში აღარაფერი შეიცვლებოდა, ან, რომ ადგილი აღარ ექნებოდა ცდომილებებს. ფორმულირება „ისტორიის დასასრული“ მისთვის აღწერდა იმ ახალ სიტუაციას, რომლის წინაშეც კაცობრიობა სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ დადგა: ამბობდა, რომ ადამიანის უფლებების ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელი არის ის, რასაც მომავალში ვერაფერი დაუპირისპირდებოდა და ამ მხრივ ცვლილებები ისტორიაში არ მოხდებოდა. დღესდღეობით

ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების უალტერნატივობაზე კამათი არ არის, მაგრამ საკამათო რჩება ამ ღირებულებებისა და ნორმების სწორად გავება.

ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება ადამიანის უფლებების უპირობო დაცვაა, რაც წარმოუდგენელია შემდეგი ცნებების გარეშე: უფლება, მორალი, პოლიტიკა. ამ სამი ცნების ურთიერთკავშირია გადმოცემული გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დასაწყისში: „ყველა ადამიანი დაბადებულია, როგორც თავისუფალი და თანასწორი, მათი ღირსებისა და უფლებების მიხედვით“. პოლიტიკამ კი ინდივიდისთვის საზოგადოებაში ამ თავისუფალი და თანასწორი ცხოვრების შესაძლებლობა უნდა შექმნას.

ადამიანის უფლებების ძირითად თემას აქვს, ერთი მხრივ, მორალური, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური კონცეფცია.

ადამიანის უფლებების ძირითადი თემის მორალური კონცეფცია გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს იმიტომ აქვს სამართლიანი პრეტენზია საჯარო წესრიგზე, რომ იგი ფლობს მორალურ უფლებას, ყველა სხვა ადამიანმა პატივი სცეს მას.

მორალის წესები გვეუბნება, რომ ყოველმა ადამიანმა ყოველი სხვა ადამიანი თანასწორად უნდა აღიქვას. ამ მორალურ ვალდებულებას შეესაბამება ყოველი ადამიანის მორალური უფლება, რომ სხვა ნებისმიერმა იგი ასევე თანასწორად განიხილოს.

ადამიანის უფლებების ძირითადი თემის პოლიტიკური კონცეფცია კი გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს იმიტომ აქვს სამართლიანი პრეტენზია საჯარო წესრიგზე, რომ იგი იმ პოლიტიკური ერთობის წევრია, რომელიც ამ წესრიგს წარმოქმნის.

ირღვევა რა საზოგადოებაში ადამიანის უფლებების ძირითადი თემის რომელიმე კონცეფცია (მორალური ან პოლიტიკური), შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ საზოგადოებაში ირღვევა ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებების დარღვევას მაშინაქვს ადგილი, როდესაც უარყოფილია ყველა ადამიანის (განურჩევლად მათი ეთნიკური მიკუთვნებულობისა, აღმსარებლობისა, სქესისა და

სექსუალური ორიენტაციისა) თანასწორობა, როდესაც პოლიტიკური წესრიგი რადიკალურ უთანასწორობაზე, გარკვეული უფლებების მიმართ ადამიანთა მთელი ჯგუფების გამორიცხვამზეა აგებული.

რა სურათია ადამიანის უფლებების რეპრეზენტაციის თვალსაზრისით ქართულ მედიაში? ამ მხრივ, ფაქტობრივად, კატალიზატორია სექსუალური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულება, რომლის ტირაჟირებაც ქართული პრესით ხდება. 2011 წლის მაისში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც სექსუალური ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას მიზნად ქართული ბეჭდვითი პრესის მონიტორინგს ისახავდა, გამოვლინდა, რომ მხოლოდ ერთ თვეში ამ საკითხზე გამოქვეყნდა 38 სტატია, საიდანაც 24 თემის ნეგატიურ გაშუქებას წარმოადგენდა, 5 - პოზიტიურს და 9 - ნეიტრალურს. მონიტორინგისათვის შერჩეული იყო შემდეგი მედიასაშუალებები: გაზეთები: 1. გაზეთი „რეზონანსი“ (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოიცემა კვირაში ხუთჯერ); 2. გაზეთი „24 საათი“ (ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი); 3. გაზეთი „ალია“ (საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის კვირაში ორჯერ); 4. გაზეთი „ქრონიკა“ (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი); 5. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი); 6. გაზეთი „კვირის პალიტრა“ (ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.); ჟურნალები „ტაბულა“ (გამოდის კვირაში ერთხელ. აქვს ინტერნეტ-ვერსია) „თბილისელები“ (გამოდის კვირაში ერთხელ. აქვს ინტერნეტ-ვერსია).

დადებით გაშუქებაში მოიაზრებოდა ლგბტ ადამიანების პოზიტიური კუთხით ჩვენება, ჰომოფობიური პოზიციის, როგორც სოციალური პრობლემის, წარმოჩენა, ლგბტ ჯგუფის კონკრეტულ წარმომადგენლებზე ჰომოფობიის ნეგატიური გავლენის ასახვა.

საკითხის უარყოფითად გამშუქებელ 24 სტატიაში ადგილი ჰქონდა ლგბტ ადამიანების დამამცირებელ კონტექსტში მოხსენიებას (დეჰუმანიზაციას, დინდივიდუალიზაციას, დამამცირებელი

მეტსახელებით მოხსენიებას); ლგბტ ადამიანების ნეგატიური ხატის შექმნას (ადამიანების დისკრედიტაციის მიზნით მითითებებს მათ კავშირზე სოციალურ დევიაციებთან; ადამიანების არასრულფასოვნების მტკიცებას მორალური, ფსიქოლოგიური და სხვ. თვალსაზრისით; ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლის დადანაშაულებას საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მოხდენაში; დადანაშაულებას ლალატში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობაში, დომინირებაში პოლიტიკის, შოუ-ბიზნესის ან სხვა სფეროში); შეფარული და/ან პირდაპირ მონოტებებს ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ.

აღნიშნული კვლევა აჩვენებს, რომ ქართული მედია არათუ იცავს ადამიანის უფლებების უპირველეს პრინციპს, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია უფლებებისა და ღირსების მიხედვით,“ არამედ სისტემატურად არღვევს მას. სავალალო არის ის, რომ ადამიანთა შორის თანასწორობის დარღვევისა და რიგი სოციალური ჯგუფების დისკრიმინაციის მთავარ და ძირითად მაპროვოცირებლად ჩვენს სინამდვილეში მედია საშუალებები გვევლინება.

როდესაც დღეს საქართველოში მედიის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, ფაქტობრივად, დისკუსიებისას გაუგებარი რჩება, თუ თავისუფლების რომელი განსაზღვრებით ვოპერირებთ: თავისუფლების ნეგატიური განსაზღვრებით თუ - თავისუფლების პოზიტიური განსაზღვრებით. მე-18 საუკუნის განმანათლებლობიდან მოყოლებული, კაცობრიობის ცივილიზებული ნაწილისათვის თავისუფლების ამ ორნაირ გაგებას შორის მკვეთრი ზღვარია გავლებული. თუკი თომას ჰობსს თავისუფლება, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ესმის, როგორც „გარე შემზღვევების არარსებობა“ და ამით გვაძლევს თავისუფლების ნეგატიურ გაგებას, ლოკი, ფიხტე, ჰეგელი აყალიბებენ თავისუფლების პოზიტიურ დეფინიციას, რომელიც შემდეგ თვზამდე შეიძლება იქნას დაყვანილი: „შემზღვე შენი თავისუფლება, რათა ადგილი დატოვო სხვისი თავისუფლებისათვის“. თავისუფლების პოზიტიური გაგება გულისხმობს, რომ საზოგადოებაში ცხოვრებისას მე თავისუფლების ის

ხარისხი, რომელსაც საკუთარ თავს ვანიჭებ, უნდა დავუშვა ასევე საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც და, ამდენად, ისინი ჩემს თანასწორ და მსგავს არსებებადვადიარო. სწორედ ეს „სხვისთვის დაშვებული თავისუფლების ხარისხი“ არის ის, რაც ჩემს თავისუფლებასზღუდავს, ისევე, როგორც სხვის თავისუფლებას ზღუდავს ჩემი.

მე-19 საუკუნის ინგლისელი განმანათლებლის, ჯონ სტუარტ მილის შემდეგ,ერთმნიშვნელოვნად არის გავლებული ზღვარი, რომ ადამიანის ქცევა, რაც სხვებს ეხება, საზოგადოების ჩარევისთვის ღიაა, ხოლო ქცევაში, რომელიც მხოლოდ ინდივიდს ეხება, ინდივიდის დამოუკიდებლობა უპირობოა.

ქართული მედია და ქართული საზოგადოება,მიიჩნევს რა თავს უფლებამოსილად, რომ სიძულვილის ენის საშუალებითშეუძლია ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებასა და სექსუალურ ორიენტაციაში, ფაქტობრივად, არღვევს ადამიანის უპირობო თავისუფლების სფეროს და მის სექსუალურ ცხოვრებას საზოგადოებრივ კუთვნილებადაქცევს. შესაბამისად, ქართული მედია არღვევს პიროვნების თავისუფლების უმთავრეს პრინციპს, რომ ნებისმიერი ინდივიდი საკუთარი თავის, საკუთარი სხეულის და გონების სუვერენია.

მედია, რომელიც დემოკრატიის პირობებში მეოთხე ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს, ხელისუფლება, რომელიც სწორედ ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დამცველად უნდა გვევლინებოდეს, როგორც ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგები აჩვენებს, დღევანდელ საქართველოში გვევლინება იმ ძალად, რომელიც, არათუ არ იცავს ამ პრინციპებს, არამედ საზოგადოებრივი ფობიების და მათ შორის ჰომოფობიის ინტენსიურ გაღვივებასა და სტიმულირებასახდენს. მოსაზრება იმის შესახებ, რომ მედიაში დაინეროს ყველაფერი, განურჩევლად იმისა, თუ რა საზოგადოებრივი განწყობების გაღვივებას უწყობს იგი ხელს, მიაბიტურ ხასიათს ატარებს. საზოგადოებაში, განსაკუთრებით, იქ, სადაც კრიტიკული აზროვნების დონე დაბალია (და ასეთი

საზოგადოებაა, სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული საზოგადოება), მედია მასების ცნობიერებაში რეალობის უალტერნატივო კონსტრუირებას ახდენდა მასობრივ ცნობიერებას განსაზღვრავს. ევროპაში ფაშიზმის აღზევებამდელ არსებულ მედიაკამპანიას რომ დავანებოთ თავი, თავად უახლოეს ქართულ წარსულშიც გვაქვს იმის გამოცდილება, 90-იან წლებში როგორ დააყენა საქართველო პოლიტიკური კატასტროფის წინაშე 80-იანი წლების ბოლოს ქართულ პრესაში ეთნიკური უმცირესობების მიმართ გადმონთხეულმა სიძულვილის ენამ: აფხაზეთის ომი დაიწყო არა 1992 წლის აგვისტოში, არამედ „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდებზე „ადამონ ნიხასის“ მიმართმასიურად ტირაჟირებული ქსენოფობიური განცხადებებით. მით უფრო გასაოცარია, როდესაც დღევანდელ რეალობაში ამ უახლესი გამოცდილების უგულვებელყოფა ხდება და საკითხიც კი არ დგას არათუ საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმის -ანტიდისკრიმინაციული კანონის შემოღების შესახებ (რაც შესაძლებლობას მისცემდა ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავს გარკვეული მედიაკამპანიის შედეგად დამცირებულად იგრძნობდა, სასამართლოსთვის მიემართა და ასე დაეცვა საკუთარი ღირსება), არამედ, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ აუნაღიანებდა ეთნიკის კოდექსზე ხელმოწერა ყველა მედია საშუალებისთვის სავალდებულო გახდეს. ეთნიკის სტანდარტებს დაშორებული მედია ვერ გამოდგება იმ ძირითად და მნიშვნელოვან იარაღად, რომელმაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს.

თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ თავისუფლების ნეგატიური განსაზღვრებით და თავისუფლებას გავიგებთ, როგორც ყველაფრის უფლებას (ჰობსის პარადიგმა), მაშინ, რა თქმა უნდა, რეგულაციების შემოღება მედიის შეზღუდვად მოგვეჩვენება. მაგრამ, თავისუფლების პოზიტიური განსაზღვრების თანახმად, რომლის განხორციელებაზეც არის ავტუბული ცივილიზებული სამყაროს საკანონმდებლო სისტემა, თავისუფლება არის იმის გაცნობიერება, რომ მე ჩემი უფლებები უნდა შევზღუდო იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებები, სხვისი ღირსება, სხვისი თავისუფლება.

საზოგადოებრივ წესრიგში ყველაფრის უფლების ქონა წესრიგს კი არ გულისხმობს, არამედ - ანარქიას. ქართული ბეჭდური მედიის დიდი ნაწილი იმ ფორმულირებებით, რასაც ის სექსუალური უმცირესობების მიმართიყენებს, სწორედაც რომ ანარქიული ტიპის წარმონაქმნია.

დანართი N2

პროტესტი „ჯი პი აი ჰოლდინგის“ წინააღმდეგ¹

„ჯი პი აი ჰოლდინგის“ სარეკლამო კამპანიას ამჯერად ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები აპროტესტებენ

მარტის დასაწყისში სოციალური ქსელი სხვადასხვა სარეკლამო კამპანიით, შემოთავაზებებით და ღონისძიებათა ანონსებით აჭრელდა. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქციის ფარგლებში, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოიჩინა თავი: მაღაზიები ფასდაკლებებს გვთავაზობდნენ და საჩუქრებს გვპირდებოდნენ; სხვადასხვა ორგანიზაციები გამოფენებზე, ლიტერატურულ საღამოებსა თუ სხვა მრავალფეროვან ღონისძიებებზე გვეპატიუებოდნენ; სადაზღვეო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგმაც“ თავისი სიტყვა თქვა - მანქანის დაზღვევის სარვამართო აქცია შემოგვთავაზა სახელწოდებით: „ფრთხილად, ავტომობილის სარკესთან ქალია!“.

ეს „კეთილისმსურველი“ კამპანია რეკლამის სახელწოდებიდან მოყოლებული, ტექსტური და ვიზუალური ნაწილით დამთავრებული, გაჯერებულია სექსისტური სტერეოტიპებით და შეურაცხყოფას აყენებს ქალებს, „ჯი პი აი ჰოლდინგის“ კლიენტების მნიშვნელოვან ნაწილს და სარეკლამო კამპანიის მთავარ სამიზნე ჯგუფს (ეს კამპანია ერთმნიშვნელოვნად ქალებისკენ არის მიმართული).

„ჯი პი აი ჰოლდინგის“ სარვამართო აქციამ სოციალური ქსელის მომხმარებლებს შორის ლოგიკური და ადეკვატური პროტესტი გამოიწვია. ნაწილმა საკუთარი პოზიცია კამპანიის გაშარუებული ფოტოების გავრცელებითაც კი გამოხატა. პროტესტს „ჯი პი აი ჰოლდინგი“ არაადეკვატური საჯარო განცხადებით გამოეხმაურა¹¹. მართალია, განცხადების მიზანი ბოდიშის მოხდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რეალურად, სადაზღვეო კომპანიამ პროდუქტის რეკლამირება განაგრძო და ბრალდებებს თავი აარიდა, საკუთარი სარეკლამო კამპანიის შინაარსი კი შემდეგნაირად ახსნა: „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიმდინარე სარეკლამო კამპანია დაყრდნობილია სტერეოტიპზე, რომ ქალები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თავის გარეგნობას, ვიდრე - კაცები, რაც იმაში გამოიხატება, რომ საჭესთან მსხდომი ქალები ავტომობილის სარკეს მრავალფუნქციურად იყენებენ და ხშირად მაკიაჟს იკეთებენ, ზოგჯერ ეს კარგად გამოსდით, ზოგჯერ - არა.“

რა გამოვიდა? სადაზღვეო კომპანია დანაშაულს აღიარებს, მაგრამ თავს დამნაშავედ არ ცნობს. რეკლამა სტერეოტიპზეა დაყრდნობილი, სტერეოტიპი - შეურაცხმყოფელია, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი იყიდება, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი ინერტულია და სტერეოტიპების ტყვეობაში მყოფებს პროტესტი იშვიათად უჩნდებათ, გამოდის, დამამცირებელ და დისკრიმინაციულ ლოზუნგებს არსებობის უფლება აქვთ?! რა თქმა უნდა, „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მსგავსი შინაარსის მატარებელი წერილი საჯარო ბოდიშად ვერ მიიღება.

ვინაიდან პროტესტსა და დისკუსიებს, რომელიც „ჯი პი აი ჰოლდინგის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მიმდინარეობდა, სათანადო შედეგი არ მოჰყვა, ქალთა უფლებების დამცველმა 18-მა ორგანიზაციამ უფრო სერიოზული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა. მათ შეიმუშავეს საპროტესტო წერილი და 20 მარტს გაგზავნეს იგი როგორც „ჯი პი აი ჰოლდინგში“, ასევე - ვენის სადაზღვეო ჯგუფსა და საქართველოს ეროვნულ ბანკში. შეგახსენებთ, რომ სადაზღვეო კომპანიების საქმიანობის ზედამხედველობას საქართველოში

სწორედ ეროვნული ბანკი ახორციელებს. ეს წერილი მხოლოდ პრეტენზიების ნაკრები არ არის, მასში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კონვენციების ის მუხლები, რომლებიც გენდერულ დისკრიმინაციასა და შეურაცხმყოფელი სტერეოტიპების დანერგვა-გავრცელებას კრძალავს.

საპროტესო წერილში ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სარვამართო აქციის სათაური - „ფრთხილად, ავტომობილის სარკესთან ქალია!“ – „ფრთხილად, საჭესთან ქალიას!“ ალუზიაა, რაც, თავისთავად, გულისხმობს, რომ ქალ მძღოლს უნდა მოვერიდოთ.

ცხადია, „ჯი პი აი ჰოლდინგისთვის“ კარგად არის ცნობილი ის სექსისტური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოში ქალი მძღოლების მიმართ არსებობს და რომლის მიხედვითაც ქალები უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტურ მძღოლებად გვევლინებიან. არადა, თავად კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვითაც კი, ქალი მძღოლები ნაკლებად ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევებში. თუმცა, სტერეოტიპები კარგად იყიდება და იმის მაგიერ, რომ იმსხვერდეს, უფრო მეტი ძალით იკიდებს ფეხს.

ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პოსტერის ვიზუალური მხარეც, სადაც გამოსახულნი არიან კოსმეტიკური ნაწარმით სახემოთხუპნული ქალები მხიარული გამომეტყველებით, სექსისტურია, ვინაიდან იგი ავტომობილის მართვისას ქალთა უპასუხისმგებლო ქცევაზე მიუთითებს (საჭესთან მაკიაჟის გაკეთების „მავნე ჩვევა“). თურმე, ქალები საფრთხეში ავდებენ როგორც საკუთარ თავს, ასევე - მგზავრებს, სხვა ავტომობილების მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს. ამას ემატება „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მეორე პოსტერის ლოზუნგი: „დააზღვიე ავტომობილი და მიიღე 150 ლარი შოპინგისთვის“, სადაც სადაზღვეო კომპანია კოსმეტიკური ნაწარმით მოვაჭრე ქსელის ლოგოს გვთავაზობს და კიდევ ერთხელ გვაყენებს შეურაცხყოფას - თურმე, ქალისთვის სილამაზე და გარეგნობაზე ზრუნვა უნდა იყოს/არის უფრო

მნიშვნელოვანი, ვიდრე - სხვა დანარჩენი, მათ შორის, საკუთარი და სხვა ადამიანების უსაფრთხოება.

განსაკუთრებით ირონიულია ის ფაქტი, რომ სექსისტური სტერეოტიპებით გაჯერებული სარეკლამო ლოზუნგები დამამცირებელი ქვეტექსტებით სწორედ 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, „საჩუქრად“ მიართვეს ქალებს, 8 მარტი ხომ სწორედ ქალთა მიმართ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

ვერაფერს იტყვი - „ზრუნავს“ სადაზღვევო კომპანია ჩვენზე. „ზრუნვის“ გასამძაფრებლად კი სიტყვა „ქალის“ ნაცვლად მილოცვაში „მანდილოსანს“ იყენებს, ამ არქაულსა და პატრიარქალურ სიტყვას; რა თქმა უნდა, სიტყვა „ქალი“ ხომ დამამცირებელია, არაკორექტულია, აი, „მანდილოსანი“ და „ქალბატონი“ სულ სხვაა, ამ შემთხვევაში ქალი არ ხარ, ქალზე მეტი ხარ!

მოკლედ, კარგი ის არის, რომ ქალთა პროტესტი სოციალურ ქსელებს გასცდა, იურიდიული ხასიათიმილო, კანონებისა და ადამიანის უფლებების ენით ამეტყველდა და კონკრეტული მოთხოვნების სახით ჩამოყალიბდა. ქალთა უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ „ჯი პი აი ჰოლდინგი“ ვალდებულია, დისკრიმინაციული რეკლამის განთავსებისთვის საჯაროდ მოიხადოს ბოდიში - ამჯერად, დანაშაულის გააზრებისა და გაცნობიერების გავლით, და გააუქმოს შეთავაზებული პროდუქტის დისკრიმინაციული რეკლამა: როგორც სახელწოდება, ასევე სლოგანები და ვიზუალური მხარე. უფრო მეტიც, ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები გვატყობინებენ, რომ თუ „ჯი პი აი ჰოლდინგი“ არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, ისინი სასამართლოს მიმართავენ უამრავი ორგანიზაციისა და ადამიანის ხელმოწერილი სარჩელით და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვენ.

იმედია, ქალთა კონსოლიდაცია მხოლოდ „ჯი პი აი ჰოლდინგის“ რეკლამით არ შემოიფარგლება და სხვა კომპანიებსაც გადასწვდება - დღევანდელი გარემო ხომ მსგავსი სექსისტური სტერეოტიპების ტირაჟირებით არის გაჯერებული.

დანართი N3

„საქართველოში ჰომოსექსუალობის პროპაგანდა ოქსიმორონია“

ინტერვიუ ჟურნალისტ დავით შაიჭაძესთანⁱⁱⁱ

როგორია პროპაგანდის თქვენეული განმარტება: როგორ გესმით მისი შინაარსი ან ის კონტექსტები, როდესაც სიტყვა „პროპაგანდა“ გამოყენება ადეკვატურად აღიქმება?

მე ვცდილობ, ეს სიტყვა არ გამოვიყენო, ან გამოვიყენო რაც შეიძლება იშვიათად, რადგან მისი მნიშვნელობა ბოლომდე კარგად არ მესმის. ვგრძნობ და ჩემეული გაგება მაქვს, მაგრამ ეს შეიძლება არ თანხმდებოდეს ამ ტერმინის უფრო გაზიარებულ დეფინიციასთან. პროპაგანდა ჩემთვის, როგორც საბჭოთა ბავშვობა გამოვლილი ადამიანისთვის, ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება გარკვეული იდეოლოგიური და არა მარტო იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი დოგმების, არამედ ასევე ცხოვრების წესის დაუღალავ და ინტენსიურ თავს მოხვევას მოქალაქეთათვის, უფრო მაშინდელი პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, რომელსაც მასმედიას ვერც ვუნოდებთ. დეფინიციას თუ მივსდევთ, ეს არის გარკვეული იდეების, წესების ან თუნდაც ცხოვრების წესის გავრცელების მეტ-ნაკლებად სისტემური მცდელობა. როცა ვამბობთ გავრცელებას, იგულისხმება თითქმის ყველა საკომუნიკაციო არხის გამოყენება. ანუ, მარტო ტელევიზიაზე და გაზეთებზე არ არის ლაპარაკი, კომიქსებზე კი მედიაა, კინო... ვისაც კი რამე მედია საშუალებაზე მიუწვდება ხელი, შეიძლება გამოიყენოს ისინი პროპაგანდის საშუალებად.

ანუ, გამოდის, რომ პროპაგანდას მხოლოდ ნეგატიური დატვირთვა გააჩნია?

მე მიჭირს ამას ან ნეგატიური, ან პოზიტიური დავარქვა. გააჩნია, ვინ რის პროპაგანდას ეწევა და რა როგორ აღიქმება. ამ შემთხვევაში მე ძალიან რელიატიური მიდგომა მაქვს. ვილაცისთვის შეიძლება,

მაგალითად, „ქართული ოცნების“ იდეების პროპაგანდა იყოს გადასარევი და თვალს ვერ წყვეტდეს; შეიძლება სააკაშვილის სიარულის კადრები იყოს პროპაგანდა. მე არავის არ მოვახვევ ჩემს აზრს თავზე. მე, როგორც უურნალისტი, თუ რამის წინააღმდეგი ვარ, ზუსტად ეგ არის. ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე პროპაგანდა არ არის. შეიძლება ვილაპარაკოთ, განვმარტოთ, მაგრამ ეს არის უფრო ღისკუსიების და ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა და არა - პროპაგანდა, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ვილაყამ ესეც პროპაგანდად მიიჩნიოს. ასე რომ, პროპაგანდის პოზიტიურ და ნეგატიურ კონტექსტებზე კონსენსუსი არ არსებობს.

ბოლო დროს ძალიან ხშირად ისმის ფრაზა „ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“. რას გულისხმობენ ადამიანები - საჯარო პირები, კანონმდებლები თუ სხვები, როდესაც ან კრძალავენ „ჰომოსექსუალობის პროპაგანდას“, ან კიდევ მისი აკრძალვის ინიციატივით გამოდიან?

საერთოდ, ჰომოსექსუალობის პროპაგანდა საქართველოს პირობებში, მე თუ მკითხავთ, არის ოქსიმორონი. ეგეთი რამე არ არსებობს. ის, რომ დაინახო შენ ჰომოსექსუალური, ან რომელიმე სხვა არამეინსტრიმული, არაუმრავლესობის ორიენტაციისა და შეხედულების მქონე ადამიანი მედიაში, ეს რატომ უნდა აღიქვა პროპაგანდად, არ მესმის.

პროპაგანდა - ეს არის გარკვეული მიდგომების თუ ცხოვრების წესის, მსოფლმხედველობითი სისტემის გავრცელება საიმისოდ, რომ ადამიანები ამაში დაარწმუნო. ამ მხრივ ჰომოსექსუალობის პროპაგანდას არავინ ეწევა. და რომც ეწეოდეს, აბსოლუტურად წამგებიანი იქნება. მაგალითად, მე და თქვენ რომ ვართ ჰეტეროსექსუალები, ეს არა პროპაგანდის, არამედ ჩვენი იდენტობის შედეგია. შესაბამისად, პრინციპულად შეუძლებელია პროპაგანდა იმ გაგებით, რაც ზემოთ ვთქვი, იმიტომ რომ ეს იდეაშივე წამგებიანი იქნება. ასეთ პროპაგანდას არავინ აწარმოებს.

რა არის იმის მიზეზი, რომ დღესდღეობით უკვე საქართველოში აქტიურად გამოდიან სხვადასხვა პოლიტიკოსები თუ საჯარო პირები „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ აკრძალვის ინიციატივით?

ადამიანები, რომლებიც ამ მიდგომას ავლენენ და ჰომოსექსუალთა „პროპაგანდის“ წინააღმდეგ „იბრძვიან“, ეს მათ პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებათ. ჰგონიათ, რომ ეს მათ გამოადგებათ. არა მგონია, ისინი ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, სჯეროდეთ, რომ რასაც ამბობენ, იმის განხორციელება შესაძლებელია. უბრალოდ, ამით ისინი გამოდიან მორალის დამცველებად.

ასევე, მე მგონია, რომ მედია ძალიან სცოდავს. მას ჰომოსექსუალები, ტრანსსექსუალები თუ სხვა სექსუალური იდენტობის მქონე ადამიანები გამოჰყავს არა ჩვეულებრივ ადამიანებად, არამედ ხან რაღაც საფრთხობელებად, ხან - ექსპონატებად. ისინი საზოგადოებას ამ ადამიანებს ორგანულ წევრადარ სთავაზობენ. შესაბამისად, ისინი მათ წარმოაჩენენ სხვა ადამიანებად, ხშირად - ტიკინებად. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ადამიანების ასე წარმოჩენა ხელს უწყობს მათ გინდა ინტეგრაციას, გინდა მისაღებად გახდომას, ამ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრად აღქმას. მე, ცოტა არ იყოს, ვბრაზდები ხოლმე იმ ადამიანებზე, რომლებიც თანხმდებიან ხოლმე, გახდნენ ამ სანახაობის მიზანი. სანახაობის ნაწილი შეიძლება გახდეს ბევრი ჩვენგანი, მაგრამ გასაბრაზებელია, როცა ამ როლს ასრულებ შენი სექსუალური იდენტობის გამო და არა რაღაცა სხვა თვისების გამო. ეს არის ჩვეულებრივი ფარისევლობის გამოვლინება მათი მხრიდან, ვინც იბრძვის საზოგადოებრივი მორალის სიჯანსაღისათვის. ამას არანაირი შედეგი არ მოაქვს არც მაღალგანვითარებულ, არც შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ჩვენ გვინახავს ამ ტიპის მუშაობა საზოგადოებრივი მორალური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს ნულოვანი შედეგის მომტანი, უარეს შემთხვევაში - უარყოფითი შედეგის და ფობიებსაღვიძებდეს.

ამ შემთხვევაში ფობიებს არა მარტო ჰომოსექსუალთა, არამედ მათ ქომაგთა მიმართაც, მოყვება ხოლმე ლიბერალიზმის, დასავლური ღირებულების მათთან დაკავშირება, მერე კი მთელი ამ ხალხის დაკავშირება ხელისუფლებასთან, რომელიც მეტ-ნაკლებად დასავლური ღირებულებების გამტარებელია.

სად შეიძლება ვეძებოთ იმის მიზეზები, რომ მედია გარკვეულწილად საზოგადოებაში ჰომოფობიის გაღვივებას უწყობს ხელს იმის მაგიერ, რომ ჯანსაღი, ობიექტური და, ამ შემთხვევაში, ტოლერანტულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიაწოდოს აუდიტორიას?

დავინწყოთ იმით, რომ არანაირი თვითრეგულირება ჩვენთან მედიაში არ არის, კი არსებობს მაუნწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც ძალიან ზოგად ნორმებს აწესებს და რომელიც ავალდებულებს მაუნწყებელ მედიებს (და არა ბეჭდურს), თავისი საკუთარი ქცევის კოდექსები ჰქონდეთ, მაგრამ ამ კოდექსებში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ პუნქტს ლგბტ საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა მედიებს, მათ ეს, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდიათ, იმიტომ, რომ კაციშვილი მათთვის პასუხის მომთხოვნი არ არის. ჩვენთან არ არის არც პროფესიული მედია დებატები, არც მედია კრიტიკა. ვილაცეებს კი ჰქვიათ მედია ექსპერტები, მაგრამ რა ექსპერტები არიან, ეგეც ვერ გავიგე. აქა-იქ აინთება ხოლმე რაღაც წერტილი. ვგულისხმობ, ვილაც გამოიკვლევს ხოლმე რამე საკითხს მედიაში, მაგალითად, ჰომოფობიურ გამოვლინებას, ვილაც ნახავს და სულ ეგაა...

ლგბტ მე კი ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ, მიდით, აბა, და ჰკითხეთ რომელიმე ჟურნალისტს, ტრანსგენდერი რა არის, ან ჰყოლია თუ არა მას სტუმრად, ან ვინც სტუმრად ჰყოლია, რით არის/არ არის ის ტრანსგენდერი და ნახეთ, თუ მიიღებთ რამე პასუხს. ასე რომ, ის, რასაც სიტყვაზე, ნოდარ მელაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი ან მანია ასათიანი აკეთებენ, მათთვის შეიძლება იყოს ტოლერანტობის მწვერვალი: აი, ჩვენ ისინი მოვიყვანეთ, ჩვენ ყველანი ერთად ვართ. ისინი რეალურადაც ასე ფიქრობენ და ვერ ხვდებიან, რომ მათი ექსპონატებად გამოყვანით ცუდ საქმეს აკეთებენ .

როგორ შეიძლება გააშუქოს მედიამ ლგბტ თემები ისე, რომ არ დაირღვეს ეთიკის ნორმები?

აქ არის თვითონ ლგბტ ადამიანების პრობლემა. როდესაც ვლაპარაკობთ ექსპონატებსა და ტიკინებზე, ჩვენ ყოველთვის გვინევს, სამწუხაროდ, არაჰეტეროსექსუალებზე ლაპარაკი. ის ხალხი, ვისაც ეს როლი არ უნდა, საერთოდ არ ჩნდება. როგორც ჩანს, მათ აქვთ შიში და სრულიად მოტივირებული შიში, რომ მათი ორიენტაციის ამბავი მათთვის არასასარგებლო მიმართულებით შეცვლის სოცუმის დამოკიდებულებას და ლოგიკურია, რომ ურჩევნიათ, კერძო ამბად დაიტოვონ და არ გახადონ საჯარო. მე ადრე უფრო ხშირად ვამბობდი, რომ არ ვიცი, ვიცნობ თუ არა ჰომოსექსუალებს. ახლა ვამბობ, რომ ვიცნობ, იმიტომ, რომ ვილაყვებმა თქვეს, მაგრამ მაინც ცოტაა ასეთი ხალხი, ვინც ამბობს ღიად.

მედიამ რა შეიძლება ქნას? შეიძლება ვცდები, მაგრამ თუ ვინმეს შეუძლია პროფესიულად აჩვენოს ღრამა, ან, თუ გნებავთ, ტრაგედია კი, მათი, ვისაც ეს ღრამა თუ ტრაგედია თავს გადახდა თავისი განსხვავებული ორიენტაციის გამო და, თუ გნებავთ, გააღვიძოს დასაწყისისთვის მაინც თანაგრძნობა და სიბრალულიც კი ამ ადამიანების მიმართ. მე ზოგადად წინააღმდეგი ვარ, საზოგადოება მათდამიამ გრძნობების ამარა დარჩეს, რადგან ესეც მოკვეთა და განცალკევებაა და სიბრალულიარავის სჭირდება. მათ სჭირდებათ პარტნიორული და ჰორიზონტალური ურთიერთობები, მაგრამ დასაწყისისთვის ეგვეც საქმე იქნება, რომ ზიზღის და აგრესიის მაგივრად სიბრალული მაინც გვექონდეს. მე არ ვიცი, რამდენად ქმედითი შეიძლება იყოს ეს, მაგრამ, ვთქვით, ცდად ღირს. ჩვენ გვინახავს გადაცემები, რომელსაც შეუძრავს საზოგადოება. შესაბამისად, შეიძლება ამანაც იმუშაოს, რომ ქართულმა ჰეტეროსექსუალმა, პოტენციურმა ჰომოფობმა, სხვა რეალობაცუნდა იცოდეს.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ეკლესია, როგორც კონკურენტი და ძლიერი ინსტიტუტი. ჩვენ არ ვიცი, რას ელაპარაკებიან მრევლს ამ თემებზე. სავარაუდოდ, უკეთეს შემთხვევაში, შემწყნარებლობა არ არის და უარეს შემთხვევაში, ჰომოფობიურ განწყობებს ნერგავენ. ჩვენ

უნდა ვუთხრათ ამ საზოგადოებას, რომ ეს არ არის მხოლოდ ადამიანის არჩევანი. მეცნიერები ვერ შეთანხმდნენ იმაზე, საიდან მოდის ეს ორიენტაცია. მაგრამ, თავად ჟურნალისტებსაც ამ საკითხებში განათლება და გათვითცნობიერება კატასტროფულად აკლიათ. ისინი ყველაფერს ზედაპირულად ხედავენ და თან პრეტენზიააქვთ, რომ საზოგადოებრივ აზრს აყალიბებენ. თუმცა, ძალაუნებურად, აყალიბებენ კიდეც, მაგრამ არ ფიქრობენ იმაზე, როგორია ეს მაგათი ჩამოყალიბებული აზრი. მე მგონია, რომ ლგბტ ადამიანებმა ამ საზოგადოებაშიმეტიუნდა გაბედონ. მათ ხელიუნდა გაანძრიონ. არ ვიცი როგორ, ვინაიდან არ ვიცი ამ ჯგუფის ტკივილები, ნუხილები, არ ვიცი, რანაირად საურთიერთო ხალხია. როგორც ვიცი, რალაც სპეციფიკები ახასიათებთ; როცა საქმე მათ სოციალურ ყოფაზე მიდგება, რალაც სირთულეები ჩნდება. რალაცას ვამბობ იმიტომ, რომ არ ვიცი ზუსტად, რა არის ეს სირთულეები.. არავის გაუმხელია ჩემთვის ეს ამბები.

დანართი N4

„იდენტობას“ საჩივრები „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ წინააღმდეგ (2010-2012 წლები)

გენდერული თანასწორობისა და ლგბტ (ლესბოსელი, გვი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „იდენტობა“ ტელეკომპანიებს, „რუსთავი 2“-სა და „იმედს,“ ლგბტ თემის წევრების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მაუნყებლის თვირეგულირების ორგანოში უჩივის.

„იმედის“ ეთერში შეურაცხმყოფელი სიტყვა „ცისფერი“ (გვის ნაცვ-ლად) მხატვრული ფილმის სუბტიტრებზე ფიგურირებდა, „რუსთავი 2“-ის გასართობ შოუებში კი გაჟღერდა ასევე შეურაცხმყოფელი

ფრაზები - „სტოსი მიჰყავთ პიდარასტებს“ და „რომ არ მეჩალიჩები, რა დაგიძახო, ცისფერი?“.

ორგანიზაცია „ილენტობა“ თვითრეგულირების ორგანოებს „მაუნყებელთა ქცევის კოდექსზე“ დაყრდნობით უკვე მერამდენედ ახსენებს (საჩივრები ტელეკომპანიების წინააღმდეგ წინა წლებშიც შევიდა. თარიღებით: 28/12/2010, 26/02/2011 და 19/03/2011), რომ „მაუნყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის, ან გამოსახულების გამოყენება“, აგრეთვე მიუთითებს „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ემუხლზე, რომლითაც „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის სექსუალური ორიენტაციის გამო შეურაცხყოფისაკენ“.

„ილენტობა“ მოითხოვს, ტელეკომპანიების შესაბამისი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სასჯელი გატარდეს და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებისთვის მათ საჯაროდ მოიხადონ ბოდიში.

ორგანიზაციამ საჩივრები მაუნყებლის თვითრეგულირების ორგანოებში 9 მარტს შეიტანა, და რადგან თვითრეგულირების ორგანოში ჩივილი მხოლოდ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, ანუ მათ, ვისაც ტელეკომპანიის ეთერში გაშვებული პროდუქტით უშუალო ზიანი მიადგა, საჩივრებს თან დაერთო მინდობილობები, რაც ადასტურებს, რომ კონკრეტული ლგბტ ადამიანები ორგანიზაცია „ილენტობას“ თავიანთ წარმომადგენლად სცნობენ კონკრეტულ ოფიციალურ საბუთებში.

ორგანიზაცია „ილენტობას“ მიერ ტელეკომპანიების თვითრეგულირების ორგანოებში საჩივრის შეტანას გამოეხმაურა მედია-პორტალი media.ge^{iv}

„ილენტობა“ კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მოუწოდებს განვითარების სააგენტოებსა და საელჩოებს, მედიასთან მუშაობაში, აგრეთვე ტრენინგების დაფინანსებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მედიაში სიძულვილის ჰომოფობიური ენის გამოყენების თემას.

დანართი N5

მონოღება ჰომოფობიური სტატიის გასაპროტესტებლად

ფეისბუქის კამპანიის ფარგლებში ათასობით ადამიანს მოუწოდეს, გააპროტესტონ „დეილი მეილის“ ინტერნეტ გამოცემაში გამოქვეყნებული „შემამფოთებლად ჰომოფობიური“ სტატია.

ალექსანდრე ბუთის სტატიის (რომელიც ჯერ მის პირად ბლოგზე გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ - „დეილი მეილის“ საიტზე) სათაურია: „ჰომოსექსუალობა ნორმიდან გადახვევაა: ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ რადიკალურად პოლიტკორექტულმა ლიბერალებმა ჩვენი ცივილიზაცია არ შეინირონ“. ფეისბუქის საპროტესტო გვერდი კი აცხადებს, რომ ეს სტატია „გამსჭვალულია ლოგიკური კაზუსტიკით და არაზუსტი ფაქტებით.“

უკვე 279 მომხმარებელი გამოეხმაურა სტივენ ღონელის მონოღებას, რომ ეს „შემამფოთებლად ჰომოფობიური“ ტექსტი მიუღებელია მეინსტრიმულ ჟურნალისტიკაში და რომ ეს ყველაფერი პრესის შესახებ შენიშვნების საბჭოში უნდა გასაჩივრდეს.

ბატონი ბუთი გამოეხმაურა მერის, ბორის ჯონსონის, გადანყვეტილებას, ჩარეულიყო და არ მიეცა ნებართვა, 26 ავტობუსზე განთავსებულიყო რეკლამა, რომელიც რელიგიურმა ჯგუფებმა და ექს-გეი თერაპიის მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა Anglican Mainstream-მა და CoreIssuesTrust-მა დააფინანსეს და რომელშიც ნათქვამი იყო: „არ ვარ გეი, ექს-გეი ვარ, პოსტ-გეი ვარ და ამით ვამაყო. გადახარშეთ ეს!“ ბუთი წერს, რომ ეს კამპანია „ჰომოსექსუალების გამოსწორებისკენ“ იყო მიმართული და უნდა გამართულიყო ქალაქში, რომელიც „ისეთი ტოლერანტულია, რომ სოლომსაც კი შეშურდებოდა“, რადგან ამავე ქალაქში სრულიად მისაღებად

მიიჩნის „ჰომოსექსუალობის აშკარა პროპაგანდა“, სტოუნვოლის მესიჯი: „ზოგიერთი ადამიანი გვია, გადახარშეთ ეს!“

თუმცა, ის აღიარებს, რომ „აღბათ მართალია“, რომ ადამიანები გვებად იბადებიან და ეს შეუქცევადია; იმ შეხედულების მიუხედავად, რომელსაც სხვებთან ერთად დიდი ბრიტანეთის ფსიქოთერაპიის საბჭო და ფსიქიატრიის სამეფო კოლეჯიც იზიარებენ, ბატონი ბუთი მაინც წერს, რომ ჰომოსექსუალობა, შეიძლება, „დაავადება“ არ იყოს, მაგრამ „გადახრა“ ნამდვილად არის.

„გადახრა“, - წერს ბუთი, - „არის სასურველი ნორმიდან გადახვევა“, - და აცხადებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი გვი.

კანტისეული მიდგომით, რომელიც, ბუთის აზრით, საკითხის აბსურდამდე დაყვანაში მდგომარეობს, ის აცხადებს, რომ თუ ყველა გვი იქნება, ეს „ადამიანთა რასის დასასრულამდე მიგვიყვანს“ და, ამიტომაც, ჰომოსექსუალობა არ არის სასურველი.

მართალია, ჰომოსექსუალებს არ უნდა ჩაგრაოდნენ ან სჯიდნენ, მაგრამ, შესაძლებელია, „მათ მოვთხოვოთ, არ მოიქცნენ მათი გადახრილი ტენდენციების შესაბამისად,“ - წერს ბუთი და ამით იგი ჰომოსექსუალობას კლემენტინას და ფიზიკურ ძალადობას უთანასწორებს.

მისივე თქმით, „მორალური მოსაზრებების გამო სექსისგან თავშეკავება გმირობის ტოლფასია და ყველას ვერ მოვთხოვთ, რომ გმირები იყვნენ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჰომოსექსუალობა არ უნდა აიკრძალოს და არც ჰომოსექსუალები უნდა იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი“.

მაგრამ, ბუთი აქვე აცხადებს, რომ ქრისტიანული ეკლესიისგან წინდაუხედავობა იქნებოდა, არ მოვთხოვათ გვებისთვის, გამოსწორების გზაზე დადგომა სცადონ.

„მაშინ, როდესაც რელიგიას რადიკალურად პოლიტკორექტული თანამედროვეობის კრიტიკის ქარცეცხლი ახვევია თავს, ბორის ჯონსონი გამოხატვის უფლებას ართმევს კამპანიას, რომელიც ჰომოსექსუალებს სთხოვს, გამოსწორდნენ და ეუბნება მათ, რომ ეს

შესაძლებელია; ამავდროულად, იგი ამ თავისუფლებას ანიჭებს სტონუვოლის კამპანიას, რომელიც დეტერმინისტული და გამანადგურებელია“, - წერს ბუთი.

„იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლება საერთოდ რამეს ნიშნავდეს, ის ასევე უნდა მოიცავდეს იმის თქმის უფლებასაც, რაც არ მოგვწონს. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იმ განცხადებების მხარდაჭერა, რომლებიც ჩვენ გვსიამოვნებს, არავითარ ძალისხმევას არ მოითხოვს“, - ნათქვამია სტატიამი.

ფეისბუქის გვერდი, რომელიც მომხმარებლებს პროტესტისკენ მოუწოდებს, აცხადებს, რომ სტატიამ დაარღვია წესდების პუნქტი N1, როდესაც არასწორი სტატისტიკა წარმოადგინა (ბუთის მტკიცებით, ლგბტ მოსახლეობა მხოლოდ 1 პროცენტია, მაშინ, როდესაც რეალურად ეს რიცხვი 6 პროცენტს აღწევს) და პუნქტი N12, როდესაც ადამიანის სექსუალობის შესახებ დამამცირებელი კომენტარები გააკეთა („თუ შენ, როგორც პიროვნება, თავს ლგბტ თემის წევრად მიიჩნევ, მაშინ სტატიამ შენი სექსუალობა შეურაცხყო და შენ, როგორც პიროვნებამ, შეგიძლია იჩივლო“).

დანართი N6

„იდენტობას“ საჩივარი „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმს

2012 წლის 23 მაისს ორგანიზაცია „იდენტობამ“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმს საჩივრის წერილით მიმართა. საჩივარში „იდენტობა“ იმ მოქალაქეების ინტერესებს იცავს, რომელთაც შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი ტელეკომპანიის ეთერში გაუღერებული დამცინავი და ცინიკური ფრაზების გამო. საჩივარს ხელს 18 მოქალაქე აწერს.

18 მაისს 22 საათსა და 10 წუთზე „The ვანოს შოუში“ 17 მაისის (ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის) მსვლელობის დარბევასთან დაკავშირებით, გადაცემის წამყვანმა, ვანო ჯავახიშვილმა, ლებტ ადამიანების მისამართით წარმოთქვა ფრაზა: „პრინციპში, რისთვისაც გამოვიდნენ ქუჩაში, მიიღეს კიდეც - გატყუეს“, - რასაც მისივე მხრიდან სიცილი მოჰყვა. ორგანიზაცია „იდენტობა“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმს შეახსენებს, რომ 17 მაისის მსვლელობის მონაწილეებს მძიმე ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფის გადატანა მოუხდათ მმკ-ს წევრებისა თუ სხვა აგრესორი მოქალაქეების მხრიდან, რამდენიმე მათგანმა სხეულის მძიმე დაზიანებაც კი მიიღო, შესაბამისად, ტელეკომპანიის ეთერში გაუღერებული ამგვარი დამცინავი დამოკიდებულება არაადამიანური და დამამცირებელი მოქცევაა დაზარალებულთა მიმართ, ასევე - მათი ადამიანური ღირსებისა და პატივის შეურაცხყოფა.

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 32-ე მუხლის თანახმად, მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერი სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა, ასევე „მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის“ 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის სექსუალური ორიენტაციის გამო შეურაცხყოფისაკენ.

„იდენტობა“ აცხადებს, რომ აღნიშნული კანონებისა და ქცევის კოდექსების მუხლებზე დაყრდნობით, იუმორისტულ-გასართობი შოუს შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებულ გადაცემაში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ერთმნიშვნელოვნად ვალდებული იყო, თავიდან აეცილებინა ფიზიკურად შეურაცხყოფილი ადამიანების დაცინვა. ტელეკომპანია ვალდებულია, გააკონტროლოს ეთერში გასულ გადაცემებში გამოყენებული ლექსიკა და არ დაუშვას პიროვნების დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო.

შესაბამისად, ორგანიზაცია „იდენტობა“ ტელეკომპანიის თვით-რეგულირების მექანიზმისგან მოითხოვს, დაევალოს „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას შესაბამისი თანამშრომლების მიმართ დისციპლინური ზომების გატარება და საჯაროდ ბოდიშის მოხდა შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებისათვის.

¹<http://identoba.ge/5811>

¹<http://netgazeti.ge/GE/96/News/8662/.htm#.T1-PSOSwHJ8>

¹<http://identoba.ge/8432>

¹http://www.media.ge/stories/identoba_telekompaniebs_

იდენტობის პოლიტიკა

ბისექსუალური მოძრაობის ისტორიული საფუძვლები

ამანდა უდის–კესლერი

განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩემეული ვერსია ჰომო/ჰეტერო განსხვავებებს შეუსაბამოს ვახდოდა; თუმცა იმისათვის, ეს რომ მოხდეს, ყველამ უნდა ვალიაროთ ჩვენი ბისექსუალური პოტენციალი (Altman 1971: 229).

საზოგადოებაში, სადაც მამაკაცები ქალებს არ დაჩაგრავენ და სექსუალური ქცევა მხოლოდ გრძნობებს დაეფუძვლება, განსხვავება ჰომოსექსუალობასა და ჰეტეროსექსუალობას შორის გაქრება (Radicalesbians [1970] 1992; 173).

ბისექსუალური მოძრაობის მთავარი მიზანი იყო და არის ბისექსუალთა ხილვადობა და გათავისუფლება... ჩვენ შესამჩნევი ვხდებით საკუთარი თავისთვის, ვჩნდებით, როგორც ბისექსუალური მოძრაობა, ვაცნობიერებთ, რომ გვაქვს ისტორია, კულტურა, თემი (Hutchins and Kaahumanu 1991:222).

20 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი ცვლილებების მომსწრენი გავხდით – უხილავი უნივერსალური ბისექსუალური პოტენციალიდან - შესამჩნევ ბისექსუალურ უმცირესობათა ჯგუფამდე, კატეგორიების გაქრობის იმედიდან - ახალი კატეგორიების შექმნამდე და, მართლაც, მოძრაობამდე, რომელსაც პრეტენზია აქვს საკუთარ „ისტორიაზე, კულტურასა და თემზე“. ჩვენთვის უკვე ცნობილია მიშელ ფუკოს (1978) და სხვათა (D’emilio 1983, 1992, Halperin 1990, Katz 1983, 1990, Padgug 1979, Weeks 1979, 1985) მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სექსუალური იდენტობები სოციალურად აგებულია, რომ ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სექსუალური აქტი და აქტის ჩამდენი სუბიექტი, ისევე როგორც სოლომიტის „დროებითი გადახრა“ - ჰომოსექსუალთა

„ნაირსახეობისგან“ (1978: 43). თუკი ფუკოს ხედვას გავყვებით, შეგვიძლია ასევე ბისექსუალთა ცალკე „სახესხვაობად“ ჩამოყალიბებაც დავინახოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ კარგად გასაანალიზებელია, რატომ უნდა არსებობდეს ბისექსუალთა მოძრაობა და მისი შთამავლებელი ბისექსუალური იდენტობები დღეს, ისტორიის ამ ეტაპზე, ან რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი მისი არსებობა ზოგიერთი ჩვენგანისთვის. ნიშანდობლივია „ბ“-სიტყვის ჩართვის მოთხოვნა ქართველისა და ორგანიზაციების, მსვლელობებისა და კონფერენციების სახელწოდებებში, ბისექსუალობისათვის ორგანიზაციული სახელის დარქმევის მოთხოვნა. სტონუოლის ამბოხის შემდეგ, მოქმედი გეებისა და ლესბოსელთა ჯგუფების თანამშრომლობა ათწლეულების განმავლობაში ისე ვითარდებოდა, რომ ბისექსუალთა მხრიდან თავიანთი იდენტობის აღიარების არანაირი მოთხოვნა არ არსებობდა; თავდაპირველად ბისექსუალები რამენაირი პოლიტიკური ფორმით საკუთარი ჯგუფისა და იდენტობის აღიარებას არ მოითხოვდნენ. რა მოხდა ასეთი უკანასკნელი ხუთი, ათი ან ოცი წლის განმავლობაში, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ასე მონდომებით ითხოვს არამარტო ბისექსუალური იდენტობის აღიარებას, არამედ მის პოლიტიზებას? ამ ნარკვევში მინდა ისტორიული კუთხით შევხედო გარკვეულ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ბისექსუალობა გაპოლიტიკურდა, და რომლის წიაღშიც ბისექსუალური მოძრაობა აღმოცენდა. ამით შევეცდები ბისექსუალური მოძრაობის და მისი წევრების იდენტობებსა და ფემინისტურ, ლესბოსურ/გვი განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის მჭიდრო კავშირი ვაჩვენო. სანამ დავიწყებდე, მინდა აღვნიშნო, რომ აქ სიღრმისეულად არ განვიხილავ ზოგიერთ ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა, მაგალითად, 1980–იან წლებში იდენტობათა პოლიტიკის წარმოშობა. ვიმედოვნებ, ამ მოვლენებზე საუბარი უფრო დანვრილებით მომავალში მექნება.

სათავის ათვლასწავრთი ისტორიული წერტილიდან შეიძლება, თუმცა ვფიქრობ, გვიანდელ 1960–იან წლებზე უფრო შორს წასვლა საკითხს ბევრს ვერაფერს შემატებს. სიტყვა „ბისექსუალი“ მანამდეც

არსებობდა; არსებობდა არაერთი ადამიანი, მათ შორის საზოგადოდ ცნობილი პირი, რომელიც თავის ბისექსუალურ ორიენტაციას არ მალავდა (e.g. Federman 1991; Greif 1982). თუმცა აქცენტი ბისექსუალობაზე, როგორც იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძველზე, სტოუნვოლამდე არანაირი ფორმით გამოკვეთილა.

ამ დისკუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი ფემინიზმის და ლესბოსური ფემინიზმის წიაღში წარმოიშვა; მართალია, ბისექსუალი მამაკაცები ბისექსუალური მოძრაობის დასაწყისშივე გვხვდებიან, მაგრამ ამ ჯგუფებს ძირითადად ქალები ხელმძღვანელობდნენ და დღესაც ასეა, და რაც უნდა გასაკვირი იყოს, ესენი სწორედ ის ქალები არიან, რომლებიც ერთ დროს ლესბოსელ ფემინისტებად იდენტიფიცირდებოდნენ. აღნიშნული გარემოება ფემინიზმის ფარგლებში ლესბოსელობის პოლიტიზებასა და ბისექსუალი ქალების მიერ კულტურულად აღიარებული ნორმების უარყოფით გამოიხატა. სექსუალობის ასეთი პოლიტიზება გვიმამაკაცთა კულტურისთვის უცხოა, გეებისთვის ბისექსუალობა არასდროს ყოფილა ისეთი პოლიტიკურად პრობლემური, როგორც ქალთა ბისექსუალობა იყო ლესბოსელთა შორის.

აღსანიშნავია, რომ ბისექსუალმა კაცებმა სტოუნვოლის ამბოხის პერიოდში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ბისექსუალური მოძრაობის განვითარებაში. თავდაპირველი ციტატები „ყველა ადამიანში ჰომოსექსუალის გაღვიძებას“ (Adam 1987: 78) და სექსუალური კატეგორიების უარყოფას ქადაგებდა. რადიკალი გეები „ჰომოსექსუალობის დასასრულზე“ ალაპარაკდნენ (Altman 1971; Escoffier 1985; Jay and Young [1970] 1992; Orlando 1984; Seidman 1993; William 1993; Wolf 1980). განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ქამინგუთზე, როგორც ლესბოსელებისა და გეების ჩავერის წინააღმდეგ მიმართულ მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან და უკიდურესად რადიკალურ პოლიტიკურ აქტზე (D’Emilio 1983b, 1992; Marotta 1981). ძლიერი აქცენტი სექსუალურ ღიაობაზე ბისექსუალთა მოძრაობას თვისობრივად განსაზღვრავდა შემდგომი 20 წლის განმავლობაში.

ფემინისტურ მოძრაობაში საქმე გაცილებით რთულად იყო. 1960-იანი წლების დასასრულისთვის თანამედროვე ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბება მემარცხენე პოლიტიკურ ორგანიზაციებში წარმოადგენდა რეაქციას მათ მიერ განცდილ სექსიზმზე (Echols 1989). 1970-იანი წლების დასაწყისში მოძრაობის თეორიულ და ინტელექტუალურ მიმდინარეობად ისეთი ჯგუფები მოგვევლინა, როგორებიც იყო Cell 16 და რედსტოქინგის (Redstockings). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, ამ ჯგუფთა უმეტესობა მოძრაობას პატრიარქიის და წინააღმდეგობის თეორიებს სთავაზობდა, სადაც ლესბოსელობა აღიქმებოდა, როგორც ინდივიდის მიერ პოლიტიკური პრობლემისგან გაქცევის პირადი საშუალება. Cell 16 (Douglas 1990; Echols 1989) ცვლიბატს მოითხოვდა, ხოლო რედსტოქინგის ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ქალთა უმეტესობა ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში იყო და სწორედ მის ფარგლებში მოიხარებდა ბრძოლის მთავარ ასპარეზს (Douglas 1990; Echols 1989; Fritz 1979). გაცილებით რთული საკითხებიც იდგა დღის წესრიგში: მაგალითად, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ლესბოსელები კარგი ფემინისტები ყოფილიყვნენ (Echols 1989). ბედის ირონიით, უამრავმა ლესბოსელმა, რომელიც გვი განმათავისუფლებელ მოძრაობაში გვი მამაკაცთა შორის გამეფებულ სექსიზმს განერიდა, აღმოაჩინა, რომ ფემინისტურ მოძრაობაში ლესბოსელობას ბევრი „ნელი მოქმედების ნაღმად“ განიხილავდა (Abbott and Love 1973; Douglas 1990; Federman 1991; Marotta 1981; Phelan 1989). ლესბოსელ ფემინისტთა ჯგუფების - მაგალითად, Radicalesbians-ის და Fruries-ის, - საპასუხო რეაქციამ საკითხი სხვაგვარად დასვა: მათი მტკიცებით, ლესბოსელობა პოლიტიკური არჩევანის მაგალითი იყო. იგი სწორედაც ქალთა ინტერესების მამაკაცთა ინტერესებზე პრიორიტეტულობაზე მიუთითებდა, რაც ფემინიზმს განსაკუთრებით სჭირდებოდა (Abbott and Love 1971, 1973; Atkinson 1973; Bunch 1987; Douglas 1990; Echols 1989; Myron and Bunch 1975; Phelan 1989; Radicalesbians [1970] 1992; Stein 1992; Wilson 1983).

ეს სტრატეგიული პასუხი სურვილისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების გაგებას სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას სთავაზობდა. ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღის აგორებამდე მიიჩნეოდა, რომ ჰომოსექსუალური სურვილები ჰომოსექსუალურ იდენტობას და, შესაბამისად, გარკვეული ხარისხით, პოლიტიკურ მონაწილეობას განსაზღვრავდა. თუმცა, შემდგომ ეტაპზე, რამდენიმე რადიკალი ფემინისტი ქალის აზრით, სწორედ პირიქით, - პოლიტიკურ ვალდებულებებს ქალებში სხვა ქალის მიმართ სურვილის გაღვიძებაშეეძლოთ. მათი თქმით, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. აღნიშნული დამოკიდებულება ზოგიერთ წრეში მომძლავრებული ტენდენციის გამოძახილი იყო, რომელიც ლესბოსელობაში სექსუალური ასპექტის შესუსტებისა და შიდა განსხვავებების ნაცვლად ქალთა მოძრაობის კონსოლიდაციის საჭიროებას აღიარებდა (Adam 1987; Douglas 1990; Stein 1992, 1993). მაგალითად, როდესაც ელიქს დობკინი მღეროდა, რომ „ყველა ქალს შეუძლია იყოს ლესბოსელი“, ხოლო ჯილ ჯონსტონი (1973: 90) ირწმუნებოდა, რომ „ყველა ქალი ლესბოსელია“, ისინი პოლიტიკურ კავშირს გულისხმობდნენ, რომლის ბოლოც, თეორიულად, სექსუალური სიყვარული უნდა ყოფილიყო. თი-გრეის ატკინსონის ვარაუდით, „ფემინიზმი თეორიაა, ლესბოსელობა კი პრაქტიკა“. ეს აფორიზმი მცირედი, თუმცა მნიშვნელოვანი სახესხვაობით გავრცელდა: „ფემინიზმი თეორიაა, მისი პრაქტიკული განხორციელება კი ლესბოსელობაა“ (Abbott and Love 1973: 117; Echols 1989:238).დროთა განმავლობაში, ეს აზრი უამრავმა ფემინისტმა ლესბოსელმა აიტაცა და რადიკალური ფემინისტური კულტურა ისე ფართოდ გავრცელდა, რომ ლესბოსელობა, „თავდადებული ფემინისტის ერთადერთ დიდსულოვან არჩევნად“ განიხილებოდა (Federman 1992: 207). ზოგიერთი წრისთვის გაუგებარი იყო, შეეძლო თუ არა ჰეტეროსექსუალ ქალს, კარგი ფემინისტი ყოფილიყო.

სექსუალური იდენტობის ირგვლივ, „ჭეშმარიტ“ თუ „ნამდვილ“ ფემინისტთა შორის წამოწყებულ ბრძოლას მთელი რიგი სავალალო შედეგი მოჰყვა, მათ შორის განხეთქილება ლესბოსელებსა და ჰეტე-

როსექსუალებს შორის 1970–იან წლებში (Adam 1987; Bunch 1987; Marotta 1981). ზემოთ მოყვანილი არგუმენტების შედეგად ჩამოყალიბდა აზრი, რომ ფემინიზმი, გარკვეული თვალსაზრისით, სექსუალურ პრაქტიკაზე იყო დამოკიდებული: ამ ყველაზე ინტემური, პირადი ქცევის პრობლემატიზაცია სწორედ სოციალური კონტროლის მიუღებლობის და მის მიმართ წინააღმდეგობის ერთგვარი საფუძველი იყო. მიმდინარე კამათის შედეგად, ჰეტეროსექსუალ ქალთა უმეტესობა მოძრაობას გამოეყო და მის უფრო ლიბერალურ განხორციელებაში გაერთიანდა (მაგ.: *ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია*). რადიკალური ფემინიზმი კი, ფაქტობრივად, ლესბოსურ ფემინიზმთან გაიგივდა (Echols 1989, Federman 1975; Fritz 79).

აღრუელ და შუა 1970–იან წლებში, მას შემდეგ, რაც ჰეტეროსექსუალი ქალების გზები გაიყო, ლესბოსელებმა ფემინისტებმა „ქალთა კულტურის“ შექმნაზე დაიწყეს ფიქრი (Echols 1989; Federman 1991; Taylor and Rupp 1993; Wolf 1980). ფემინიზმი აღარ განიხილებოდა, როგორც მხოლოდ ფასეულობები და ქცევის ტიპი; ის, როგორც წესი, ასევე მოიცავდა საქონელს, სერვისებს, შემოქმედებით და ინტელექტუალურ პროდუქტს და სხვა კულტურულ ელემენტებს. ჩვეულებრივ, იგი მოქმედებდა მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილ სივრცეებში, როგორებიც იყო წიგნის მაღაზიები, ქალთა ცენტრები, რესტორნები, მუსიკალური ფესტივალები და ჯანდაცვის დანესებულებები. „ქალთა კულტურა“ შემდგომში ის სივრცე აღმოჩნდა, სადაც ლესბოსელები „თავიანთ კულტურას“ ბისექსუალებისგან მიჯნავდნენ; მათი მტკიცებით, ლესბოსური ფემინიზმი და ბისექსუალობა ერთი მხრივ ცხოვრების სტილით, პოლიტიკური ვალდებულებებითა და მთლიანი კულტურით, მეორე მხრივ კი – სექსუალური პრაქტიკით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ.

სად იყვნენ ამ დროს ბისექსუალები? ზოგიერთმა იმ დროისთვის მთელ რიგ ქალაქებში აყვავებული თავისუფალი სიყვარულის კულტურა აიტაცა; მეინსტრიმ პრესას უკვე აეთვისებინა

ბისექსუალობის თემა, როგორც ახალი, მოდური ცხოვრების სტილი (“Bisexual Chic” 1974; Duberman 1991; Highleyman 1994; Klemsrud 1974; Margold 1974; “The New Bisexuals” 1974). პირველმა ჯგუფებმა ჩამოყალიბება 1970–იანი წლების შუა პერიოდში დაიწყეს: ნიუ იორკის ბისექსუალთა ფორუმი 1975 წელს, ხოლო სან-ფრანცისკოს ბისექსუალთა ცენტრი 1976 წელს დაფუძნდა (Hutchins and Kaahumanu 1991). ეს ჯგუფები პოლიტიკაზე ნაკლებად ორიენტირდებოდნენ; ყოველ შემთხვევაში, ბისექსუალთა ჩავგრის ანალიზით არ ინტერესდებოდნენ. მაგალითად, სან-ფრანცისკოს ბისექსუალთა ცენტრის წევრები თავდაპირველად მხოლოდ ადამიანთა ბუნებრივი ანდროგინის ცნობისა და დაფასების საჭიროებაზე საუბრით შემოიფარგლებოდნენ. ბისექსუალთა პირველი ორგანიზაციების ძირითადი თემა, ისევე როგორც ჩანასახში მყოფი გვი განმათავისუფლებელი მოძრაობების განცხადებების ადამიანის თავისუფლება და პოტენციალი იყო ანალოგიური.

1978 წლისთვის, როდესაც ჩიკაგოს ბი-ვეი (BI-Way) დაარსდა (Barr 1985), ლესბოსელობის დეფინიცია გარკვეულწილად შეიცვალა. კულტურული ნორმები განმტკიცდა; „ნორმალური“ დაიკვები [Dyke - სლენგი: ლესბოსელი] კაბის ჩაცმას ერიდებოდნენ, აღარ დადიოდნენ ბურგერ კინგში და ემ-ბი-ვის თამაშებზე, კაცებთანაც აღარ წვებოდნენ (D’Emilio 1992; Stein 1992). 1970–იანი წლების ბოლოს ლესბოსელი განისაზღვრებოდა არა როგორც ქალის მოყვარული ქალი, არამედ ქალი, რომელიც მამაკაცებთან არ წვებოდა. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ლესბოსელს ჰქონდა კაცთან ინტიმური ურთიერთობა, თუმცა ისინი, როგორც წესი, ამას არ ასაჯაროებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქალები სულაც არ იყვნენ ახალბედები ლესბოსურ საზოგადოებაში; ზოგიერთი მათგანი, უკვე 5 ან მეტი წლის მანძილზე თავს ლესბოსელს უწოდებდა. ქალთა მოძრაობის დაწყებამდე, ბევრი იდენტიფიცირდებოდა როგორც ჰეტეროსექსუალი, თუმცა მოგვიანებით ლესბოსურ ფემინისტურ საზოგადოებაში ლესბოსელებად მოგვევლინენ, რაც, შესაძლოა, შეუმჩნეველი, ხანაც კი არც თუ შეუმჩნეველი კულტურული წნეხით აიხსნას. მათი ლტოლვა

ქალებისადმი არ ყოფილა ნაძალადევი, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მამაკაცებისადმი გულგრილნი რჩებოდნენ. ბევრმა ფარულად უარი თქვა საკუთარ სურვილებზე, სხვები კი ჰეტეროსექსუალურ კავშირებს უბრალოდ მაღავედნენ. ამ გარემოებაში ახალი პოლიტიკური ანალიზის საჭიროება მოიტანა. 1970-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ამ მდგომარეობაში მყოფი ქალები დისკომფორტს, შიშსა და ტკივილს განიცდიდნენ, თუმცა გამოსახატავ ენად კვლავ იატაკქვეშეთში ყოფნა რჩებოდა.

ქალები, რომლებიც ჰეტეროსექსუალური იდენტობით გაიზარდნენ და შემდგომში, ფემინისტურ მოძრაობაში ყოფნისას, პოლიტიკური ლესბოსელობა აღიარეს, თავიანთი „ნაკლებად მისაღები“ ჰეტეროსექსუალობის აღსაწერად გვი და ლესბი უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობის კრიტიკული ხედვით აღიჭურვნენ. იმის გამო, რომ ისინი წლების მანძილზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ფემინისტურ ლესბი საზოგადოებასთან, მათ ფასეულობებზე ლესბოსური კულტურის ნორმებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს (Wolf 1980); ლესბოსური ფემინიზმისთვის სახასიათო სექსუალური ნორმების სიძლიერემ ისინი ლესბოსელების/გეებისა და ჰეტეროსექსუალთა „თემებში“ არსებულ სოციალურ კონტროლზე ფიქრისკენ უბიძგა. სექსიზმისა და ჰეტეროსექსიზმის ყოვლისმომცველ ბუნებას თუ გავითვალისწინებთ, ეს საკითხი შეიძლება აბსურდულად მოგვეჩვენოს. თუმცა, ამ ქალებს, ერთი მხრივ, ფემინიზმის მეშვეობით კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული მამაკაცის ძალაუფლების ფორმები, მეორე მხრივ კი იმის გაცნობიერებაც შეეძლოთ, რომ ცალკეულ მამაკაცთა მიმართ სურვილები, - თუ მათი სიყვარული არა, - ვერანაირი რაციონალური არგუმენტითა თუ პოლიტიკურ თეორიით ვერ შეიზღუდებოდა.

ასეთი ლესბოსელები, - „რომელთაც მამაკაცები უყვარდებოდათ“, - როთულ სიტუაციაში იყვნენ. მათ სურდათ, იმ თემის წევრებად დარჩენილიყვნენ, რომლის ნაწილად წლების განმავლობაში მიაჩნდათ თავი, რის გამოც ზოგჯერ ჰეტეროსექსუალურ საზოგადოებასაც ემიჯნებოდნენ. თუმცა, მათ არ შეეძლოთ მამაკა-

ცების სიყვარულზე უარისთქმა იმის გამო, რომ ეს პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებლად იყო მიჩნეული. ეს ქალები მალე ბისექსუალთა პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები გახდნენ. ისინი საზოგადოებას ბისექსუალებად წარუდგნენ, რის გამოც მკაცრი კრიტიკა დაიშასხურეს და, ბედის ირონიით, ლესბოსური ფემინიზმისა და გეი მოძრაობების გამოცდილებით, საკუთარი ორიენტაციის მიმართ სიამაყის გრძნობა შეიძინეს. მაგალითად, 1980 წელს, როდესაც ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ბისექსუალურმა სოციალურმა მოძრაობებმა პოპულარობის ზენიტს მიაღწიეს (Barr 1985; Mishaan 1985), სან-ფრანცისკოელმა ლესბოსელმა აქტივისტმა ქალმა თავისი ურთიერთობა მამაკაცთან სააშკარაოზე გამოიტანა; ამით დაიწყო პროცესი, რომელმაც დღევანდელობასთან მოგვიყვანა. 1982 წელს მან ქალთა გაზეთ „ბეი არეაში“ (Bay Area), სტატია გამოაქვეყნა, სადაც ბისექსუალებს ქალთა მოძრაობაში პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდა (Kaahumanu 1982); 1984 წელს მან, ბისექსუალთა მცირე ჯგუფის თანხლებით, თეატრალიზებული საპროტესტო აქციების შექმნას მიჰყო ხელი, რასაც დღეს ორგანიზაცია Queer Nation დიდად აფასებს. 1987 წელს მან ვაშინგტონის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის სახელმძღვანელოსთვის ბისექსუალობაზე სტატია მოამზადა. (Hutchins and Kaahumanu 1991; Kaahumanu 1987, 1994; Tucker 1991).

ბისექსუალთა მოთხოვნების მიმართ კრიტიკულად განწყობილმა ლესბოსელებმა ჩათვალეს, რომ ბისექსუალები მათ სივრცეს ეცილებოდნენ (მაგ.: Brook 1989; Tait 1991; Wofford 1991), თუმცა, როგორც ამ სტატიაშია ნათქვამი, ბისექსუალებს მსგავსი მცდელობა ვერც ექნებოდათ, - ისინი იმთავითვე ლესბოსური ფემინიზმის ნაწილს წარმოადგენდნენ, უბრალოდ, გეებისა და ლესბოსელების უფლებებისთვის მებრძოლ მოძრაობაში, უსამართლო გაჩუმების ნაცვლად, ბისექსუალთა ცნობა მოითხოვეს. ის, რომ „სიჩუმე“ პრობლემად აღიქმებოდა, ნათლად მეტყველებს, თუ როგორ გავლენას ახდენდა ამ ქალებზე იდენტობის პოლიტიკა; ისინი თავიანთ მდგომარეობას პოლიტიკურ ჩაგვრად მიიჩნევდნენ, მათ

მიერ ბისექსუალური იდენტობის აღიარების მოთხოვნა პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბისექსუალი ქალები წლების განმავლობაში ლესბოსური იდენტობის პოლიტიკური არტიკულაციისთვის იბრძოდნენ და ბუნებრივად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სექსუალური იდენტობა თვითმყოფადობისა და, არსებითად, პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა (Hutchins and Kaahumanu 1991; Ochs 1990).

ამასობაში სხვაგან „გეობას“ სწრაფად ენაცვლებოდა „ლესბოსელობა და გეობა“. 1970–იან წლებში გვიორგანიზაციებში არაერთი ქალი იყო ჩართული, თუმცა 1980–იან წლებში, არაერთი „გვიორგანიზაციის“ სახელწოდებაში „ლესბოსელის“ ჩამატებამ ამ გარემოებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი; ეს გენდერული დაყოფის შესუსტების ნიშანი იყო. ლესბოსელთა თემი ჯერაც გამიჯნულად არსებობდა „გეების თემისგან“, თუმცა ამ უკანასკნელში, ამავდროულად, არაერთი ლესბოსელი გამოჩნდა, რომელსაც ლესბოსელთა წარმომადგენლობის გაძლიერება სურდა; ისინი აღიარებდნენ ითხოვდნენ ყველა ტიპის ორგანიზაციაში: კოლეჯის ჯგუფებით დაწყებული, - National Gay Task Force–ით დამთავრებული, ცდილობდნენ ამ ორგანიზაციების სახელებში (და ასევე წესდებებში, სადაც საჭირო იყო) ლესბოსელებისთვისაც ყოფილიყო ადგილი, შედარებით ინკლუზიური ენით. ეს გარდატეხა ენობრივ ღიაობაში და, ზოგადად, ლესბოსელებისა და გეების უფლებებისთვის მებრძოლ ორგანიზაციებში ქალებისა და კაცების თანაბარი აღიარება, რამდენიმე წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააძლიერებს ბისექსუალთა მოძრაობას და მათ თავდაჯერებულობას შესძენს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ლესბოსელებისა და გეების ჯგუფებისგან განსხვავებით, 1980–იანი წლების დასაწყისში ბისექსუალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში მხოლოდ ქალები იყვნენ ჩართულნი (Highleyman 1994| North 1990). 1970–იან წლებში შექმნილმა ბისექსუალთა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა არსებობა შეწყვიტეს (New York’s and Chicago’s in 1983, San Francisco in 1984), ამის მიზეზი ის იყო, რომ

აქტივისტთა ყურადღება სხვა ინტერესმა მიიპყრო, ხოლო ინიციატორებმა საკუთარი ძალები ამოწურეს (Barr 1985; Courtney 1992; Hutchins and Kaahumanu 1991; Mishaan 1985; Rubenstein and Slater 1985; Sheiner 1991). თუმცა, ეს ის პერიოდია, როდესაც ბისექსუალი ქალები სოციალიზაციისა და დახმარების ცენტრების ფორმირებას იწყებდნენ; მოგვიანებითათ პოლიტიკური ელფერი შეიძინეს და ისეთი საკითხების გადაჭრით დაკავდნენ, როგორცაა შიდსის საფრთხე და ბისექსუალების გეი-ლესბი საზოგადოებაში ჩართვა. The Boston's Bisexual Women's Network, Chicago Action Bi-Women, San Francisco's BiPol - ეს ორგანიზაციები 1983 წელს ჩამოყალიბდნენ, ხოლო Seattle Bisexual Women's Network - 1986 წელს (Weise 1991). ამ ჯგუფის წევრები ფემინისტი ქალები, უმეტესად ლესბოსელები (ყოფილი ლესბოსელები) იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ბოსტონის ჯგუფი, გარკვეულწილად, ბოსტონის გეი გაზეთში დაბეჭდილი სახუმარო სტატიის გამო წარმოიშვა, რომელიც ლესბოსელებს ურჩევდა, შორს დაეჭირათ თავი ბისექსუალებისგან, - ნაკლებად დაზარალებოდნენ, როდესაც ისინი საყვარელ ადამიანს მამაკაცზე გაცვლიდნენ (Hutchins and Kaahumanu 1991). პირველი ბისექსუალი ფემინისტები ცდილობდნენ, ფემინიზმის ერთგულნი დარჩენილიყვნენ ისე, რომ საკუთარი ლოგინებიდან მამაკაცები არ გაეძევებინათ და, ამავდროულად, პირადი და პოლიტიკური ცხოვრებაერთმანეთისგანმკაცრად არ გაემიჯნათ (Morrison 1984; Ochs and Deihl 1994).

სანამ ბისექსუალი ქალები ფემინიზმისა და მათი მამაკაცებთან ურთიერთობის (ან ურთიერთობის შესაძლებლობის) ურთიერთშეთავსებაზე ფიქრობდნენ, ლესბოსურ ფემინისტურ კულტურულ გაერთიანებას ძირი ეცლებოდა, „ჭეშმარიტი“ ლესბოსელის ნორმები სულ უფრო სუსტდებოდა (Federman 1991; Phelan 1989; Stein 1992, 1993; Snitow, Stansell, and Thompson 1983; Vance 1984). ზოგიერთი ლესბოსელი არჩევნებში რეიგანს უჭერდა მხარს, მონაწილეობდა სააქციო ბირჟაში, გავლენიან საჯარო პირებთან საქმიან სადილზე დადიოდა, ყიდულობდა სექს-სათამაშოებს, უერთდებოდა საინვეს-

ტიციო კომპანიათა ჯგუფებს, ინერდა პორნო ჟურნალ On Our Backs-ს, ზოგიერთიც, მათ შორის კულტურული გმირები – ჰოლი ნიარო (Wofford 1991) და ჯენ კლაუსენი (Clausen 1990) – ურთიერთობას მამაკაცებთან აბამდნენ. მარტივად რომ ვთქვათ, გაერთიანებული იდენტობა მეტად მონოლითური და ლიმიტირებული იყო იმისათვის, რომ ბევრი ქალისთვის მორგებული ყოფილიყო. ამდენი ადამიანის ლესბოსელთა საზოგადოებისგან დაშორებამ და თემის დანაწევრებამ, რაც ხშირად დალატად მიიჩნეოდა, შემორჩენილ ლესბოსელ ფემინისტებს დიდი ტკივილი მიაყენა, - ტკივილი, რომელსაც ბრაზით უმკლავდებოდნენ. ეს განწყობა ძირითადად ბისექსუალთა მზარდ მოძრაობასა და მათ ლესბოსელთა კულტურულ სიფრცვში „შემოჭრაზე“ გადამისამართდა.

მიუაღეჭით 1987 წელს, იმ დროს, როდესაც ბისექსუალურმა კულტურამ აყვავება და გამრავალფეროვნება დაიწყო. ყველა თვალსაზრისით, ისტორია სწორედ აქ იწყება; ჩამოყალიბდა რეგიონული ქსელები, ნაციონალური ქსელი, ხოლო ბისექსუალურმა იდენტობებმა კულტურული პროდუქციის ირგვლივ დაიწყეს ფორმირება, როგორც ეს მანამდე გეებისა და ლესბოსელების შემთხვევაში მოხდა. შიდსის ეპიდემიამ მოძრაობას უფრო მეტი მამაკაცი მიმდევარი შემატა (Alexander 1991), ამასობაში კი ნეგატიურად განწყობილმა მეინსტრიმ მედიამ, რომელიც ბისექსუალ მამაკაცებს შიდსის მატარებლებად მოიხსენიებდა, მოძრაობა უფრო ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიყვანა (Udis-Kessler 1994). ამ დროს ბისექსუალებმა წიგნებისა (მაგ.: Geller 1990; Hutchins and Kaahumanu 1991; Weise 1992) და ჟურნალების (the Bay Area Bisexual Network's Anything That Moves) გამოშვება, კოლეჯებში კურსებისა (Novak 1993) და კონფერენციების CHristina 1990; Murray 1990) მომზადება დაიწყო და ქვიარ კვლევების ფართო სფეროში ჩაერთვნენ (Beemyn 1994; Ochs and Ellis 1990/1991). ბისექსუალთა ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ჯგუფების (მაგ. ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბოსტონში და სხვაგან) წევრი აქტივისტები საზოგადოების წინაშე უფრო ღიად წარსდგნენ, ბისექსუალური იდენტობა

წარმოდგენილი იყო შიდსის საინფორმაციო ბროშურებზე, კოლეჯის ორგანიზაციებში, მედიასივრცეში თუ ნაციონალური მასშტაბის მსვლელობების სახელწოდებებში (მაგ.: Kaahumanu 1992). ბისექსუალი ფემინისტების, შიდსის საკითხზე მომუშავე აქტივისტებისა და სხვა ბი იდენტობის მქონე პირების ფარულმა ბრძოლამ ასახვა ისეთ მცდელობებში ჰპოვა, როგორცაა ლესბოსური და გეი დანესებულების სახელების, ქართების თუ ამ ინსტიტუციათა სხვა ექსკლუზიური ხასიათის ღიაობის ზრდა. ეს მიმართულება გეი განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოქმედებისა და ლესბოსელთა მიერ 1980-იან წლებში Gaydom-ში გაწევრიანების მცდელობების ანალოგიურია.

სოციალურ ცვლილებაზე ორიენტირებული მოძრაობები ძირითადად ჩაგვრის წინააღმდეგ ბუნებრივად აზვირთებული ჯანყის შედეგად აღმოცენდნენ. მართალია, ეს სტრატეგია ჯგუფის სოლიდარობას ზრდის, მაგრამ, გამონაკლისის გარეშე, ყოველთვის ამარტივებს იმ რეალურ სოციალურ კონტექსტს, სადაც მოძრაობები არსებობენ. ერთ ასეთ მოძრაობაზე უფრო ახლო დაკვირვება, რაც ამ ესეში ვცადე, უფრო ზუსტად მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ვინ არიან ბისექსუალები, საიდან მოვდივართ და რა რესურსები და შეზღუდვები გვაქვს და ვისთან ერთად შეგვიძლია და უნდა ვიბრძოლოთ კიდევ სამართლიანობისთვის. ამ მცდელობას წარმატებულად მივიჩნევ, თუკი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პრობლემები, რომლებზეც ყურადღება გავამახვილე, მომავალში აქტუალობას არ დაკარგავს.

რა ქმნის ოჯახს?

ნათია გვიანიშვილი

ერთსქესიანი ქორწინების საკითხი გვი მოძრაობის დღის წესრიგში 90-იანი წლებიდან გაჩნდა, თუმცა საკუთარი ურთიერთობების ოფიციალურად ცნობას გვი და ლესბოსელი წყვილები უფრო ადრე, 70-იან წლებშიც ითხოვდნენ.

პირველი წყვილი, რომელმაც 1970 წელს ოფიციალურად წარადგინა შეუღლების მოთხოვნა, მინესოტელი ჯეკ ბეიკერი და მაიკლ მაკკონელი იყო. 1973 წელს მათ მაგალითს კენტუკელმა ლესბოსელმა წყვილმა მისდია, ხოლო 1974 წელს ვაშინგტონში კიდევ ერთმა გვი წყვილმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წყვილების მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა, ეს შემთხვევები მაინც მნიშვნელოვან პრეცედენტად რჩება.

საინტერესოა ასევე, რომ 1972 წელს ამერიკის გვი ორგანიზაციათა ეროვნულმა კოალიციამ მოითხოვა ყველა კანონის გაუქმება, რომელიც ზღუდავდა ქორწინებაში შემავალ ადამიანთა სქესსა და რაოდენობას. მათ ასევე მოითხოვეს, რომ ის შეღავათები, რომლებიც მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილთა პრივილეგია იყო, შეხებოდა ყველა თანამცხოვრებ წყვილსა თუ ჯგუფსაც, სქესისა და რაოდენობის მიუხედავად. ნიშანდობლივია, რომ ეს ყველაფერი 1969 წლის სტონუოლის ამბოხის შემდეგ მოხდა, როდესაც ამერიკულმა ლგბტ თემმა გადანწყვიტა, რომ საკუთარ სურვილებსა და უფლებებზე ხმამაღლა საუბრის დრო დადგა.

კიდევ უფრო შორეულ ისტორიას თუ მიმოვიხილავთ, ერთსქესიან წყვილთა თანაცხოვრების მაგალითები არაერთხელ შეგვხვდება სხვადასხვა დროსა და კულტურაში. მაგალითად, 1830 წელს ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, Crow-ს ბელადი იყო ქალი, სახელად ბარჩევაამჰე, რომელიც ტომში განსაზღვრულ ყველა მასკულინურ ფუნქციას ითავსებდა, ნადირობდა, იბრძოდა და გადმოცემის თანახმად, ჰყავდა ოთხი ცოლი. ამასთანავე, იგი

არასოდეს ატარებდა კაცის სამოსს, რაც მას ბერდაჩეებისგან (მესამე სქესი ამერიკელ ინდიელთა კულტურაში) განასხვავებდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, ამერიკაში გვხვდება ე.წ. „ბოსტონური ქორწინების“ ფენომენი, რომელიც გულისხმობდა ორი ქალის თანაცხოვრებას მამაკაცზე ყოველგვარი (მათ შორის ფინანსური) დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით. ამგვარ კავშირში მყოფი ბევრი ქალი ლესბოსელი არ ყოფილა, თუმცა მათ თანაცხოვრებას (სექსუალურ ასპექტს თუ არ ჩავთვლით) ქორწინებისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება ჰქონდა. ასევე, 20-იანი წლების საბჭოთა კავშირში აღირიცხა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კაცად გადაცმულმა ქალმა „ზაგსის“ თანამშრომელთა მოტყუება მოახერხა და ქალზე იქორწინა.

თუმცა ბევრი ადამიანისათვის სიტყვა ქორწინება ქალისა და მამაკაცის შეუღლებასთან ასოცირდება, იგი პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, როგორც სოციალური კონტრაქტი, რომელშიც მეუღლეებთან ერთად სახელმწიფოც მონაწილეობს. ამიტომ, ლოგიკურია, რომ მოქალაქეებს, რომელთაც გადასახადების სახით საკუთარი წვლილი შეაქვთ სახელმწიფო სისტემაში, უნდა ჰქონდეთ ამ კონტრაქტის სურვილისამებრ გაფორმების უფლება. 2005 წელს ამერიკის ანთროპოლოგიურმა ასოციაციამ (The American Anthropological Association) გამოაქვეყნა განცხადება, რომლის თანახმაც, ოჯახების, კომლექსებისა და ნათესაური ერთობების საუკუნოვანმა კვლევამ არ დაადასტურა ის აზრი, თითქოს ცივილიზაცია ან სოციალური წესრიგი ექსკლუზიურად ჰეტეროსექსუალურ ინსტიტუციებზე უნდა იყოს (ან არის) დამყარებული. ანთროპოლოგიური კვლევები წინ ოჯახის სხვადასხვა ტიპს, მათ შორის ერთსქესიანი წყვილების კავშირს წამოწვეს, ამას კისტაბილურ და ჰუმანისტურ პრინციპებზე დამყარებულ საზოგადოებაშიარცთუ მცირე წვლილის შეტანა შეუძლია.

ფორმალური მხარის გარდა, ქორწინების უფლების მინიჭება-არმინიჭებას ფსიქოლოგიური და სოციალური დატვირთვაც გააჩნია. 2004 წელს ამერიკის ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ (The American

Psychological Association) განაცხადა, რომ ქორწინების ინსტიტუტი სოციალურ სტატუსსა და მნიშვნელოვან საკანონმდებლო შედეგათებს, უფლებებსა და პრივილეგიებს მოიცავს. ერთსქესიანი წყვილები ამ უფლებებს მთლიანად არიან მოკლებულნი, ხოლო იმ წყვილებზე, რომლებიც „სამოქალაქო პარტნიორობაში“ შედიან, ხშირ შემთხვევაში არ ვრცელდება ის შედეგათები, რომლებიც დაქორწინებულ წყვილებს ენიჭებათ. ერთსქესიანი წყვილებისთვის ქორწინების უფლების შეზღუდვამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება მიაყენოს ადამიანებს, რომლებსაც სხვადასხვა სახის (რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით გამოწვეული) დისკრიმინაცია აქვთ გამოცდილი. ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია თვლის, რომ ერთსქესიანი წყვილებისთვის ქორწინებისა და მისი თანმხლები უფლებებისა და პრივილეგიების ხელმიუწვდომლობა (რაც ინსტიტუციური ჰომოფობიის შემადგენელი ნაწილია) უსამართლობაა.

ხშირად ჩნდება კითხვა, თუ რატომ სურთ გვი წყვილებს დაქორწინება. ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ქორწინება, როგორც უკვე ვნახეთ, სოციალური კონტრაქტია, რომელიც სხვადასხვა უფლებებს, პრივილეგიებსა და ვალდებულებებს მოიცავს. ამ კონტრაქტში შესვლის უფლების ექსკლუზიურად ჰეტეროსექსუალი წყვილებისათვის მინიჭება დისკრიმინაციულია და პირდაპირ მიუთითებს საზოგადოებაში ერთსქესიანი ურთიერთობების მეორეხარისხოვნებაზე. ამგვარად, მრავალი ლგბტ აქტივისტი არამეინსტრუმული სექსუალობის მქონე ადამიანებისთვის ქორწინების უფლების მინიჭებას სოციუმში მათი სტატუსის ამაღლებად მიიჩნევს.

თუმცაღა, ეს საკითხი თავად ლგბტ აქტივისტებს შორისაც კი სრული თანხმობის საგანი არასოდეს ყოფილა. ბევრი მათგანი ქორწინებისაკენ ასეთ სწრაფვას ეწინააღმდეგება და თვლის, რომ აქტივისტები ქორწინების უფლებისათვის ბრძოლაში დიდ ფულსა და ენერგიას ფლანგავენ. მათი აზრით, გვი ქორწინება წყალს ასხამს არსებულ სისტემაში აყვავებულ კონსუმერიზმს (ამით განსაკუთ-

რებულად ხეირობს საქორწინო ინდუსტრია) და ქორწინების უფლება ლგბ თემისთვის არსებითად არაფერს ცვლის, რადგან სისტემის მანკიერებებს კი არ ცხადჰყოფს და არ ებრძვის მათ, არამედ ლგბ ადამიანების ასიმილირებას ახდენს არსებულ ჰეტერონორმატიულ და პატრიარქალურ სტრუქტურებში.

გენდერის თეორეტიკოსისა და აქტივისტის ქეით ბორნშტეინის აზრით, ის აქტივისტები, რომლებიც ქორწინების უფლებას ითხოვენ, ეგოისტურად იქცევიან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არსებული სისტემა მაშინაც კი, როცა ლგბ ადამიანებს აძლევს ქორწინების უფლებას, ამ ჯგუფის მიღმა არსებულ სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს ისევ თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს. ამგვარად, ადამიანები, რომლებიც ქორწინების უფლების მოსაპოვებლად იბრძვიან, სინამდვილეში იგნორირებას უკეთებენ გენდერული იდენტობისა და სექსუალობის საფუძველზე დისკრიმინირებული ადამიანების პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია, არ გავიზიაროთ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები, აუცილებლად გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ე.წ. „უმრავლესობის“ მიერ ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებები ნაკლებად ეხება ლგბ ადამიანების კეთილდღეობას ან არსებული სისტემის მანკიერებებს, არამედ დამყარებულია იმ მოსაზრებაზე, თითქოს ქორწინება მხოლოდ საპირისპირო სქესის ადამიანთა პრივილეგია იყოს. აქედან გამომდინარე, ჰომოსექსუალი წყვილებისთვის დაქორწინების შესაძლებლობა იმის ხაზგასმას წარმოადგენს, რომ ის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც ბევრს ჰეტეროსექსუალთა პრივილეგია ჰგონია, არა პრივილეგია, არამედ ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. მეორე, გასათვალისწინებელი ფაქტორი გახლავთ ადამიანის ინდივიდუალური არჩევანის უფლება, თავად შეარჩიოს საკუთარი ურთიერთობებისთვის შესაბამისი ფორმა, მიუხედავად იმისა, კარგია ქორწინება თუ ცუდი. მართალია, ბევრი გვი აქტივისტი

დაქორწინების სურვილს პატრიარქალურ-ჰეტერონორმატიული ტენის გამორეცხვის შედეგად ჩამოყალიბებული ყალბი ცნობიერების ასპექტად მიიჩნევს, მაგრამ არ შეიძლება, ყველას დააძალო, ლგბტ აქტივიზმის იდეალები და მიზნები გაიზიაროს. ამიტომ, კანონით გამყარებული არსებული უთანასწორობის პირობებში, გვიქორწინების მონინაალმდევე ორივე მხარის არგუმენტები დისკრიმინაციული ხდება, როდესაც ნაძალადევადად თავსმოხვეული ჭეშმარიტების ან აუცილებლობის სახეს იღებს.

ქორწინების უფლებასთან ერთად გვი და ლესბოსელი წყვილებისთვის საკმაოდ პრობლემატურია შვილად აყვანისა და ბავშვზე ერთობლივი მეურვეობის მოპოვების უფლებაც. საკანონმდებლო ბაზა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად უდგება ამ საკითხს, თუმცა დღესდღეობით შვილად აყვანის უფლება გვი წყვილებს 14 ქვეყანაში აქვთ. წინააღმდეგობა, რომელსაც ლგბტ ადამიანები ამ შემთხვევაში აწყდებიან, ისევე საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპებსა და წარმოდგენებზეა დამყარებული. ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებით ცუდად ინფორმირებულ ადამიანებს ჯერ კიდევ სჯერათ, რომ გვი ოჯახში გაზრდილი ბავშვიც ჰომოსექსუალი იქნება, თუმცა არ უფიქრდებიან, რომ ამ ლოგიკით ჰეტეროსექსუალურ ოჯახში გაზრდილი ყველა ბავშვიც ჰეტეროსექსუალი უნდა იყოს. ფაქტებით ეს მოსაზრება ჯერ არცერთ კვლევას არ დაუდასტურებია.

ასევე, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ერთსქესიან ოჯახში აღმოჩენილი ბავშვის უფლებები ავტომატურად უნდა ირღვეოდეს, ვინაიდან ყველა ბავშვის უფლებაა დედისა და მამისათვის დამახასიათებელი გენდერული როლების ათვისება. აქ, რა თქმა უნდა, გვაზიწყდება, რომ გენდერულ როლებთან (და არა მხოლოდ) დაკავშირებულ გამოცდილებას ბავშვი არა მარტო ოჯახიდან, არამედ გარემოდანაც იძენს; გარემო კი ისეთი მრავალფეროვანია... ამასთანავე, თავად ის წინაპირობა, თითქოს ადამიანმა აუცილებლად უნდა აითვისოს საპირისპირო ორი სქესისათვის დამახასიათებელი გენდერული როლი და ქცევა,

თავისთავად ძალიან საკამათოა და ხშირად ხდება განსხვავებული გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანთა დისკრიმინაციის საფუძველი.

გვი უფლებებისადმი საკმაოდ ლიბერალურად განწყობილი ადამიანებიც კი ხშირად უარყოფითად უყურებენ გვი წყვილების მიერ გაცხადებულ შვილის ყოლის სურვილს. საზოგადოების ეს ნაწილიც ბავშვის ინტერესებზე აპელირებს და ამტკიცებს, რომ ამგვარ ოჯახში აღმოჩენილი ბავშვი თანატოლთა მხრიდან დისკრიმინაციისათვის არის განწირული. ამ აზრის პოპულარობა გვაიძულებს, დავსვათ კითხვა, ნიშნავს თუ არა ეს შვილის ყოლის უფლების ჩამორთმევას სხვა მარგინალიზებული ჯგუფების წევრებისთვისაც? მაგალითად, უნდა ჩამოერთვას თუ არა შვილის ყოლის უფლება რასობრივი ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის საფუძველზე დისკრიმინირებული ჯგუფების წევრებს?

1986 წელს ამერიკელმა ფსიქიატრმა ნანეტ გარტრელმა წამოიწყო ბავშვიანი ლესბოსელი წყვილების გრძელვადიანი კვლევა, რომლის მიზანია, თვალყური მიადევნოს ამ ოჯახებში გაზრდილი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, დაადგინოს, რამდენად უჭირთ მათ საზოგადოებაში ინტეგრირება, რა ფსიქოლოგიურ პრობლემებს აწყდებიან ისინი და რა ზომებს იღებენ მშობლები მათ დასაცავად. კვლევის წინასწარი შედეგების თანახმად, მშობლები კარგად აცნობიერებენ დისკრიმინაციის საფრთხეს, რომელსაც შეიძლება მათი შვილები წააწყდნენ და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან გარემოში ბავშვების ინტეგრაციის საკითხს. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მეგობრულ კავშირებს, მათ შორის სხვა ლესბოსელ წყვილებთან, და ურთიერთმხარდაჭერის წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავებას მშვენივრად ახერხებენ. კვლევის წინასწარმა შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ ბიოლოგიური კავშირის მიუხედავად, გამოკვლეული ბავშვები ორივე დედასთან ერთნაირ სიახლოვეს გრძნობენ. ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში, ზოგი წყვილი სპერმის დონორს ნებას რთავს, ჩართული იყოს ბავშვის აღზრდაში. გამოკვლეულ ოჯახებში გაზრდილი

ბავშვების აკადემიური მოსწრება არაფრით ჩამოუვარდება თანატოლებისას, ზოგად ამერიკულ სტანდარტებთან შედარებით, ძალადობის მაჩვენებელი ამ ოჯახებში საგრძნობლად უფრო დაბალია. ამას გარდა, ბავშვები უფრო მიმღებლები და სოლიდარულები არიან განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანების მიმართ.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ასევე შვილად აყვანის საკითხიც. 2007 წლის მონაცემებით, ერთსქესიან ოჯახებში ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის 65 000 ნაშვილები ბავშვი ცხოვრობს. კალიფორნიაში ეს რიცხვი 16 000-ს აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოჯახებში მცხოვრები ბავშვების დიდი ნაწილი, სრულწლოვანებამდე, იტრიალებდა ოჯახებში გაშვილების სისტემაში, ზოგიერთ შტატში გვი და ლესბოსელი წყვილებისთვის შვილად აყვანის უფლება რომ არ მიენიჭებინათ. გაშვილების შემთხვევაში, არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ბავშვის უპირველესი უფლებაა, ჰყავდეს ოჯახი, რომელიც მასზე იზრუნებს. ამიტომ, აქ მთავარი არა მშობლების სქესი, არამედ აღზრდისა და ზრუნვის ხარისხია. რა თქმა უნდა, არაფერ ამტკიცებს, რომ ერთსქესიანი წყვილები არ შორდებიან ან იგივე ტიპის პრობლემები არ შეიძლება ჰქონდეთ, როგორცაც ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში ვხვდებით. თუმცადა, ბავშვის გაჩენას ან შვილად აყვანას ისინი გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან, რადგან მათთვის ეს ბევრად რთული პროცესია, რომლის გავლასაც ისინი, როგორც წესი, გაცნობიერებული გადანწყვეტილების შემდეგ თანხმდებიან, მაშინ, როდესაც ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში ბავშვი ხშირად ავტომატურ დანამატად და თავად ქორწინების თვითმიზნად აღიქმება.

ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდ, მკითხველს ვურჩევ 2001 წელს გადაღებული ფილმის What Makes a Family ნახვას, ბრუკ შილდსით მთავარ როლში. რეალური ამბის მიხედვით გადაღებული სურათი ცხადყოფს, რომ ხშირად ერთსქესიან ოჯახებთან მიმართებაში ის, რასაც უმრავლესობა ბავშვის კეთილდღეობად მიიჩნევს, მისი უფლების დარღვევაა. ყველაზე კონსერვატიული კანონებიც კი არ არის ურყევი, თუკი ბოლოს და ბოლოს ვალიარებთ,

რომ მთავარი სქესი, გენდერი ან სისხლით კავშირი კი არაა, არამედ ის, რაც რეალურად უნდა ქმნიდეს ოჯახს - ერთმანეთზე ზრუნვის სურვილი.

ქვიარ კინო

შესავალი

სალომე ცოფურაშვილი

ისტორიულად სიტყვა „ქვიარ“-ის (queer) მნიშვნელობა და კონოტაცია არაერთგვაროვანია. თავდაპირველად იგი რაიმე განსხვავებული ალსანიშნად გამოიყენებოდა, მხოლოდ ისეთი განსხვავებულის, რაც უარყოფით მახასიათებელს გულისხმობდა. მოგვიანებით იგი ჰომოსექსუალებისთვის შეურაცხმყოფელ დეფინიციადაც იქცა. შემდგომში, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან კი, გვი-ლესბოსური განმათავისუფლებელ მოძრაობაში ეს სიტყვა ატაცებულ იქნა პოზიტიური კონოტაციით, რომელიც ატარებდა მესიჯს: „მე ქვიარი ვარ, შეეგუე“. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ქვიარ თეორიის შექმნამდე მიგვიყვანა.

ქვიარ თეორია არ არის გამოკვეთილად ჰომოსექსუალობის თეორია. პირიქით, ქვიარ თეორიის მიხედვით, არ არსებობს მყარი და ჩამოყალიბებული სექსუალური ორიენტაციის კატეგორიები, როგორცაა ჰეტერო/ბი/ჰომოსექსუალობა. თუმცა, თავდაპირველად, სანამ უშუალოდ ქვიარ თეორიას შეეცხებოდე, ამ ტერმინებზე შევჩერდები.

„ჰომოსექსუალობა“ და „ჰეტეროსექსუალობა“ სექსოლოგებმა მეცხრამეტე საუკუნეში შემოიტანეს მაშინდელი თვალსაზრისით არანორმალური სამედიცინო მდგომარეობის ალსანიშნად. ერთადერთი „ნორმალური“ სექსუალობა გულისხმობდა პროკრეაციულ, ანუ განაყოფიერების მომთან გენიტალიურ სქესობრივ აქტს მამაკაცსა და ქალს შორის, რომელიც ლეგალურად, ანუ ქორწინების გზით უნდა ყოფილიყო განმტკიცებული. ზოგიერთი მკვლევარი ჰეტეროსექსუალობას იმ კონტექსტით იყენებდა, რასაც დღეს ბისექსუალობას ვუწოდებთ. სხვა შემთხვევებში, ორივე ტერმინი არანორმატიულ ურთიერთობას აღნიშნავდა და უარყოფითი დატვირთვა გააჩნდა - ჰეტეროსექსუალობის შემთხვევაში, იგი გულისხმობდა საპირისპირო

სქესის წარმომადგენელთან ქორწინების გარეშე სექსს, ჰომოსექსუალობის შემთხვევაში კი, საკუთარი სქესის წარმომადგენელთან სექსს. „ჰომოსექსუალობისგან“ განსხვავებით, ტერმინმა „ჰეტეროსექსუალობა“ უფრო სწრაფად დაკარგა თავისი უარყოფითი ნათოლოგიური კონოტაცია. მეოცე საუკუნის შუა ხანებში ჰეტეროსექსუალური სექსი ქორწინების გარეშე უკვე სავსებით ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, თუმცა დაგმობილი იყო მორალური მხრივ. ჰომოსექსუალობა ადამიანთა უმრავლესობის მიერ აღიქმებოდა, როგორც საშინელი სამედიცინო კონდიცია, სანამ 1974 წელს ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ სამედიცინო ავადმყოფობების ოფიციალური სიიდან არ ამოიღო. რაც შეეხება ტერმინ „გეის“, აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ეს ტერმინი აღნიშნავდა არა ჰომოსექსუალს, არამედ იმას, რომ ამ ტერმინით მოხსენიებულ ადამიანს პროკრეაციული მონოგამიის ფარგლებს გარეთ ჰქონდა სექსუალური ცხოვრება. თუმცა, მოგვიანებით ამ სიტყვის მნიშვნელობა დაეინროვდა და 1960-1970-იან წლებში ჰომოსექსუალმა კაცებმა იგი თვითიდენტიფიკაციისთვის აირჩიეს, ისევე როგორც ქალმა ჰომოსექსუალებმა - „ლესბოსელი“.

„როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვიარ თეორია ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულ სექსუალურ ორიენტაციას უარყოფს და სექსუალობას განიხილავს, როგორც არა რაიმე მდგრადს, ჩამოყალიბებულს, არამედ როგორც ფლუიდურ დინებას, რომელიც მუდმივ ცვალებადობაშია. მეოცე საუკუნის შუა ხანებში ამერიკელი ბიოლოგის, ენტომოლოგისა და ზოოლოგის პროფესორის, ალფრედ კინსის კვლევებმა აჩვენა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, თუ არა უმეტესობა, საკუთარი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ებმება როგორც ჰომოსექსუალურ, ისე ჰეტეროსექსუალურ კავშირებში, ან გააჩნია ამის სურვილი. ალფრედ კინსიმ ადამიანური სექსუალობის „გამზომი“ ექვსპუნქტიანი სკალა შექმნა, რომელიც დღეს კინსის სკალის სახელით არის ცნობილი. სკალაზე გამოკვეთილად ჰომოსექსუალი და გამოკვეთილად ჰეტეროსექსუალი ორ უკიდურეს წერტილშია განლაგებული, ხოლო მათ შორის მდებარე სივრცეში, კინსის

მიხედვით, იმყოფება ადამიანთა უმეტესობა: სკალის მიხედვით, ასპროცენტინი ჰეტერო, ან ჰომოსექსუალი იშვიათობაა; შესაბამისად, სექსუალური მიზიდულობის ობიექტების სქესიც შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

თუკი კინსის სკალა რეალურ სურათს ასახავს და სექსუალობა მართლაც ფლუიდურია, ანუ ადამიანთა უმრავლესობას საძლაც სიღრმეში გააჩნიათ როგორც ჰეტეროსექსუალური, ასევე ჰომოსექსუალური სურვილების გარკვეული ასპექტები, ეს თავისთავად ჰომოფობიის, ანუ ჰომოსექსუალობის მიმართ შიშსა და სიძულვილს ადვილად ხსნის. როგორც 1995 წელს ჩატარებულმა ბიჰევიორის-ტულმა კვლევამ აჩვენა, ჰომოფობ ინდივიდებს ჰომოსექსუალური ალგზნების ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე არაჰომოფობებს. სწორედ ადამიანური სექსუალობის რთული საკითხების აღიარებისა და მარტივი ჰეტერო/ჰომო ბინარული დაყოფის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების მიზნით, ბოლო დროის თეორეტიკოსებმა და მკვლევარებმა გამოყენებაში შემოიტანეს სიტყვა „ქვიარ“, როგორც კოლექტიური ტერმინი ყველა იმ ადამიანური სექსუალობის აღსანიშნავად, რომელიც მონოგამიური, ჰეტეროსექსუალური, პროკრეაციული ინტერკურსის მიღმა არსებობს. თანამედროვე ვიდეო თუ ინტერნეტ პორნოგრაფიისთვის თვალის ზერელე გადავლებითაც კი ცხადია, რომ უბრალო ჰეტერო-ჰომო ბინარულ დაყოფის მიღმა ადამიანური სექსუალობის მთელი სამყაროა. ყველაზე ელემენტარული რომ ავიღოთ, არ არსებობს ჰეტეროსექსუალური ჯგუფური სექსი, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასში მონაწილენი საკუთარ თავს ჰომოსექსუალად მოიაზრებენ, ან მანამდე, ან ორგინის შემდეგ.

ტრადიციულად, ადამიანის სექსუალობის აღქმაში დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს იურიდიული, სამედიცინო თუ რელიგიური დატვირთვის სოციალური დისკურსები. კანონი სექსს კვალიფიკაციას უკეთებს, როგორც კრიმინალურს ან კანონიერს, მედიცინა და ფსიქიატრია აკრავენ მას ნორმალურობის ან ავადმყოფობის იარლიყს, ხოლო რელიგიას კი სექსი ესმის, როგორც ან ცოდვა, ან

ღვთივეკურთხეული ქმედება. იმისთვის, რომ ნამდვილად გავიგოთ სექსუალობა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიის მანძილზე ამ სტრუქტურებმა ჩამოაყალიბეს სექსუალობის მნიშვნელობა და უნდა გავაანალიზოთ ამ პროცესის მიმდინარეობა. სხვადასხვა კულტურებსა და ეპოქებში მცხოვრები ინდივიდები ადამიანურ სექსუალობას სხვადასხვაგვარად განიცდიდნენ და ხსნიდნენ. როდესაც სექსუალობაზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან აუცილებლად უნდა განვასხვავოთ სქესი, გენდერი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია. სქესი არის ბიოლოგიური დაყოფა მამრ და მდედრ ორგანიზმებად. ასევე, გვხვდებიან ინტერსექსებიც, ანუ ჰერმაფროდიტები, რომლებსაც მეტ-ნაკლებად გამოხატულად ორივე სქესისათვის დამახასიათებელი სასქესო ნიშნები გააჩნიათ. გენდერი კი წარმოადგენს იმ სოციალურ როლს, რომლის ხორცშესხმასაც გარკვეული კულტურა მის ფარგლებში მყოფი ქალებისა და კაცებისგან მოითხოვს. გენდერული იდენტობა არის ადამიანის მიერ საკუთარი გენდერის განცდა, თუ როგორ განიცდის იგი თავის კაცურობასა თუ ქალურობას, ანუ აიგივებს თუ არა საკუთარ თავს თავის ბიოლოგიურ სქესთან და კულტურისგან მისთვის ბოძებულ გენდერულ როლთან. სექსუალობა, სექსუალური ორიენტაცია კი იმის მიმანიშნებელია, თუ ვის ირჩევს ადამიანი საკუთარი სექსუალური სურვილების/მიზიდულობის ობიექტად, საკუთარი თუ საპირისპირო სქესის წარმომადგენელს. გავრცელებული სტერეოტიპული მითები, როგორც წესი, გულისხმობდნენ, რომ გვი მამაკაცებს იმიტომ იზიდავდათ სხვა მამაკაცები, რომ საკუთარ თავს ქალებად აღიქვამდნენ. ანალოგიური მითიური წარმოდგენა იყო და არის ლესბოსელების შესახებაც, თითქოს მათ იმიტომ იზიდავენ სხვა ქალები, რომ საკუთარ თავს აღიქვამენ არა ქალად, არამედ მამაკაცად. სინამდვილეში კი, იმ ადამიანებს, რომლებიც თავს საპირისპირო სქესის წარმომადგენლად მიიჩნევენ, ტრანსგენდერები ეწოდებათ.

კულტურები გენდერული როლის უნივერსალურ სტერეოტიპებს ქმნიან. მამაკაცურობა უმეტეს შემთხვევაში აგრესიის, სიძლიერის,

ლიდერობის გამოხატუვასთან, რაციონალიზმსა და სტოიციზმთან ასოცირდება. ქალურობა კი სრულიად საპირისპიროს, პასიურობას, მორჩილებას, დამყოლობას, ემოციურობასა და ირაციონალობას გულისხმობს. ამგვარად, ჰეტეროსექსუალობის და ასევე ჰომოსექსუალობის სოციალური მნიშვნელობები პირდაპირ უკავშირდება გენდერის ტრადიციულად დამკვიდრებულ ცნებებს: „ნამდვილი მამაკაცი“ უნდა შეესაბამებოდეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თვისებას და სექსუალურ პარტნიორად ნაზ და სუსტ ქალს უნდა ეძებდეს. ჰომოსექსუალი კაცი ყოველად არამასკულინური უნდა იყოს, ისევე როგორც ლესბოსელი - ყოველად არაქალური. ამ სტერეოტიპული წარმოდგენების მუდმივ პროდუქციასა და გავრცელებაში მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პატრიარქალურ საზოგადოებაში (მედია ამ საზოგადოების იარაღად მოიბრუნება, რადგან ისტორიულადაც და ახლაც, ძირითადად პატრიარქალური ღირებულებების მატერიალიზაციის ინსტრუმენტად გვევლინება) კაცი და მასკულინობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ქალი და ფემინურობა. ის ქალები და კაცები კი, რომლებიც ტრადიციულად დადგენილ გენდერულ როლებს ვერ ეწყობიან, დაცინვის და შეურაცხყოფის ობიექტები ხდებიან. არასაკმარისად მასკულინურად მოაზრებული მამაკაცი „პიდარასტია“, ხოლო ძლიერი ქალი აპროიორი ლესბოსელად განიხილება, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინ „ქვიარის“ გამოყენება იარაღია ბინარულ დაყოფათა არაადეკვატურობისა და მასში ჩართული ძალაუფლებრივი იერარქიების გამოსავლენად. ქვიარ თეორია ცდილობს, ნაშალოს საზღვრები მკვეთრად გამოხატულ კულტურულად დოგმატიზებულ ბინარულ ოპოზიციებს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მედია სტერეოტიპებისა და გენდერული მოდელების წარმოების მნიშვნელოვანი სტრუქტურაა. განსაკუთრებულ ყურადღებას ფილმებზე შევაჩერებდი, რადგანაც სწორედ კინოსა და ანიმაციის მეშვეობით გადმოგვეცემა ის გენდერული მოდელები, რომლებიც ვიზუალობის გამო უფრო შთამბეჭდავი და გავლენის მომხდენია, ვიდრე ბავშვობაში წაკითხული ზღაპრები და

რომანები. კინო ღღესღღეობით არსებული ფართო და მრავლისმომცველი პოპკულტურის ერთ-ერთი ასპექტია, რომელიც ყოველდღე გვასწავლის, თუ როგორ ვიყოთ კეთილები თუ ბოროტები, მამაკაცურები თუ ქალურები, ჰეტეროსექსუალები თუ ჰომოსექსუალები. კინოს მიმართ ქვიარ პერსპექტივით მიდგომა, კინოს ქვიარ ისტორია წარმოადგენს მცდელობას, აღმოაჩინოს და გააანალიზოს, თუ როგორ არის გამოხატული კინოინდუსტრიაში ადამიანის სექსუალობის ზემოთხსენებული ვრცელი სპექტრი. ამ პერსპექტივის საჭიროება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ფილმები წარმოადგენენ კულტურულ არტეფაქტებს, რომლებიც არაპირდაპირი და ჩახლართული გზით მჭიდროდ უკავშირდებიან გენდერის, სექსუალობის, ისტორიის და იდენტობის ჩვენეულ აღქმას.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური ქვიარ მიდგომა, რომელიც პოპკულტურის ანალიზისთვის გამოიყენება. როგორც ნიკი სულივანი აღნიშნავს, „ქვიარ თეორიის კრიტიკულ შესავალში“ ის მეთოდები, რასაც თეორეტიკოსები მიმართავენ პოპკულტურის ანალიზისას, ერთმანეთისგან განსხვავებულია. ასევე, განსხვავებულ საკითხებზე აკეთებენ აქცენტს და წინ წამოწევენ თეორიული პოზიციების მთელ რიგს, რასაც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო თუ ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებამდეც კი მიყვავართ.

ქვიარ თეორეტიკოსები ხშირად იყენებენ ფრანგი მწერლის, ჟან ჟენეს ციტატას[2]: „ხელოვნების ნაწარმოები მაყურებლისგან მოქმედებას ითხოვს... დაძაბულობა, რომელსაც მნახველი ხელოვნების ნაწარმოებს ანიჭებს, სწორედ ეს მოქმედებაა“. ნიკი სულივანი ამ ციტატას შემდეგნაირად განმარტავს: მავანის დამოკიდებულება ხელოვნების ნაწარმოებისადმი, ტექსტისადმი, იქნება ეს ლიტერატურული, სატელევიზიო, კინემატოგრაფიული თუ ფოტოგრაფიული ტექსტი - მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ტექსტის პასიურად აღქმის აქტს. ჩვენ არა მხოლოდ მოვიხმართ პოპკულტურის ტექსტებს, არამედ მათი „ნაკითხვის“ პროცესში მათ ხელახალ შექმნაში ვმონაწილეობთ. ეს არის როლან ბარტის ინოვაციურ ესეში „ავტორის სიკვდილი“ შექმნილი ტექსტუალობის

მოდელი, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ლიტერატურული (ან, ამ შემთხვევაში, ვიზუალური) ტექსტის დასრულებისთანავე ავტორის იდეა კვდება. ტექსტი ცარიელი აღმნიშვნელია, და მისი შევსება და მნიშვნელობის მინიჭება მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის მეშვეობით ხდება. სწორედ მკითხველის მიერ ხელახალი „გადაწერის“ შედეგად კპოვებს ტექსტი თავის აზრს და ხელახლა იძენს მნიშვნელობას, რომელიც თეორიულად იმდენადვე განსხვავებული და სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, რამდენი მკითხველიც ეყოლება მას. ამ ლოგიკის თანახმად, კავშირი მკითხველსა და ტექსტს შორის ზოგადად დაშვებული დიქტომიების - პასიური/აქტიური, მოხმარება/წარმოება, სუბიექტი/ობიექტი, კითხვა/წერა და ა.შ. - მიღმა მიმდინარეობს. მიშელ ფუკოს თანახმად, ჩვენ ყოველთვის მნიშვნელობისა და იდენტობის წარმოშობა-ცვალებალობის პროცესში ვართ ჩართულნი, ამგვარად თავადვე წარმოვადგენთ ერთსა და იმავე დროს ძალაუფლება/ცოდნის სისტემის აგენტებს და მათ მიერ განხორციელებულ ეფექტებსაც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქვიარ თეორიისა და პოპკულტურას შორის ურთიერთკავშირი ერთსა და იმავე დროს პოლიტიკურიც არის და კულტურულიც. პოლიტიკურია იმიტომ, რომ პოპკულტურისადმი ქვიარ პერსპექტივით მიდგომისას წაკითხვა/წერის ისეთი პრაქტიკების მთელი წყება ხორციელდება, რომლებიც პოლიტიკური ხასიათისაა. ამის პოლიტიკურ ხასიათს კი განაპირობებს მიზანი, გამოვლინდეს და პრობლემატიზება გაუკეთდეს იმ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც სექსუალობა გენდერის დომინანტურ ცნებებთან კავშირში ტექსტუალურად არის კონსტრუირებული; ხოლო კულტურულია იმდენად, რამდენადაც მას აინტერესებს, თუ რა გზით და როგორ გამოხატავენ კულტურული ტექსტები-ნიგნები, ფილმები, სატელევიზიო გადაცემები, გაზეთ-ჟურნალები და ა.შ. - სუბიექტურობისა და სექსუალობის ჩვენეულ აღქმა-გამოცდილებას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პოპკულტურისადმი ქვიარ პერსპექტივით მიდგომა კულტურულ არტეფაქტებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას მოიცავს. მისი

მიზანია იმ საშუალებების გამოაშკარავება, რომელთა გზითაც მნიშვნელობა და იდენტობა (ინტერ) ტექსტუალურად (ხელახლა) წარმოიქმნება.

ეს რაც შეეხებოდა ქვიარ თეორიის მიზნებს და ამოცანებს. მაგრამ, როგორ განვსაზღვროთ, თუ რომელი ფილმი განეკუთვნება ქვიარ კინოს და რომელი არა? ჰარი ბენმოფი და შონ გრიფინი ქვიარ ფილმის ამოცნობის შემდეგ ხერხებს გვთავაზობენ:

ფილმი ქვიარად შეიძლება მოვიაზროთ, თუკი მის ფაბულაში ქვიარ პერსონაჟები ფიგურირებენ. მართალია, შედარებით ახალ ფილმებში ქვიარ გმირები მეორეხარისხოვან, ხანდახან მთავარ როლშიც კი გვხვდებიან, მაგრამ ამერიკაში გადაღებული ფილმების უმეტესობა 1960 წლამდე ქვიარ ადამიანების არსებობას, იქნებოდა ეს გვი, ლესბოსელი, ბისექსუალი თუ ტრანსგენდერი, ფაქტიურად არ ცნობდა. ჰოლივუდის ინდუსტრიის წესდება აქტიურად კრძალავდა რაიმე სახის „სექსუალური პერვერსიის“ ჩვენებას. პრაქტიკულად, აკრძალული იყო ჰეტეროსექსუალური ქვიარ სექსიც კი: წარმოების წესდება მოითხოვდა, რომ ჰოლივუდის ფილმებში მხოლოდ დაქორწინებული ჰეტეროსექსუალები წარმოეჩინათ, როგორც ერთადერთი ნამდვილი სექსუალობის ნიმუში. თუმცა, ჰოლივუდის კლასიკოსი კინორეჟისორები მაინც პოულობდნენ ხერხებს საიმისოდ, რომ რომელიმე პერსონაჟის ქვიარ ნატურაზე მიეთითებინათ. ამგვარი ხასიათი იქმნებოდა გარკვეული მანერებით, კოსტიუმებით და გარკვეული ლექსიკით, რომელსაც პერსონაჟი საუბრისას იყენებდა. ხშირ შემთხვევაში, ეს გულისხმობდა მამაკაცი პერსონაჟის ფემინინიზაციასა და ქალი პერსონაჟის მასკულინიზაციას. ამგვარი პერსონაჟები ხანდახან ახერხებდნენ ცენზორების თვალთახედვიდან გასხლტომას, თუმცა ბევრი მაყურებელი, ისევე როგორც გადამღები ჯეფუის ბევრი წევრი, ამ პერსონაჟებს ჰომოსექსუალებად აღიქვამდა. დღევანდელი გადასახედიდან უმჯობესი იქნება, თუკი მათ ქვიარებად მოვიხსენიებთ, მათი ნაგულისხმევი ჰომოსექსუალობისა და ტრადიციული გენდერული როლისგან დევიაციურობის გამო. მაგრამ, მხოლოდ ქვიარ

პერსონაჟის ეკრანზე წარმოჩენა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ფილმს ქვიარ კვალიფიკაცია მივანიჭოთ. ზოგ ფილმში გვხვდება ერთი სტერეოტიპული ქვიარ პერსონაჟი, რომლის ფუნქციაც ჰომოფობიური ხუმრობების გამოწვევაა, და კრიტიკოსთა და მაყურებელთა უმეტესი ნაწილი ამ ფილმებს ქვიარ ფილმებად სულაც არ მიიჩნევს. ბენშოფისა და გრიფინის აზრით, იმისათვის, რომ ფილმი წარმოადგენდეს ქვიარ კინოს ნიმუშს, მას არა მხოლოდ უნდა ჰყავდეს ქვიარ პერსონაჟი, არამედ მასში წამოჭრილი უნდა იყოს გარკვეული ქვიარ პრობლემატიკა და საკითხები.

ქვიარ ფილმის განსასაზღვრად კიდევ ერთი ხერხი შესაძლოა ავტორობა იყოს. თუკი ფილმის რეჟისორი, სცენარისტი ან პროდიუსერი არის ქვიარი, ან თუ მასში მონაწილეობენ ლესბოსელი, გეი ან სხვაგვარად ქვიარი მსახიობები, ფილმი ასევე შეიძლება ქვიარ კინოს მივაკუთვნოთ. მაგრამ, ამ შემთხვევაში როგორ იწოდება ის ფილმები, რომლებიც ჰოლივუდის კლასიკურ პერიოდშია გადაღებული? ხშირ შემთხვევაში, კინორეჟისორები ახერხებენ თავიანთ ნამუშევრისთვის ქვიარ ელფერის მინიჭებას, მიუხედავად იმისა, რომ აქ ამკარა გეი და ლესბოსელი პერსონაჟები არ ფიგურირებდნენ და არც ქვიარ საკითხებია განსახილველად გამოტანილი. საკითხავია, ბოლოდროინდელ ჰოლივუდურ პროდუქციაში, სადაც წამოვიდა ჰომოსექსუალი რეჟისორების გადაღებული და ჰომოსექსუალი მსახიობებით დაკომპლექტებული სამეცნიერო ბლოკბასტერების ტენდენცია, მაგრამ არ ჩანან ჰომოსექსუალი პერსონაჟები, რა ვთქვათ ასეთ შემთხვევაში: მიეკუთვნება თუ არა მსგავსი ფილმი ქვიარ ფილმების ნუსხას? ბენშოფისა და გრიფინის აზრით ღიახ, რადგანაც ხშირ შემთხვევაში რეჟისორები თავიანთ ფილმებს ქვიარ ელფერს სძენენ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმში არ ვხვდებით ღია გეი ან ლესბოსელ გმირებს, და არც ქვიარ საკითხებია ექსპლიციტურად წარმოდგენილი. ამგვარად, ქვიარ რეჟისორის მიერ გადაღებული ერთი შეხედვით „ჰეტერო“ ფილმი შესაძლოა მოვიაზროთ, როგორც ქვიარ ფილმი.

ამას ქვიარ ფილმის განსაზღვრების მესამე გზისკენ მივყავართ, რომელიც სპექტატორშიზზე, ანუ მაყურებლის თეორიაზეა ორიენტირებული. ამ მოდელის მიხედვით, ლესბოსელი, გეი ან სხვა სახის ქვიარ მაყურებლის მიერ ქვიარად აღქმული ფილმი თავისთავად უკვე ქვიარ ფილმია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა ფილმი შესაძლოა ქვიარ იყოს, თუკი მას ქვიარ პოზიციიდან შევხედავთ. ეს განსაზღვრება იმ კინოპროდუქციას გულისხმობს, რომელიც გენდერსა და სექსუალობაზე დომინანტურ შეხედულებებს ეჭვქვეშ აყენებს. ხშირ შემთხვევაში, ლესბოსელი და გეი მაყურებლები ფილმებს ჰეტეროსექსუალებისგან განსხვავებულად აღიქვამენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში გეი კულტურაში არსებობდა ჰოლივუდური ფილმების „წესების წინააღმდეგ“ ნაკითხვის მთელი სისტემა, რომელიც „კემპის“ (camp) სახელით იყო ცნობილი. მაგალითად, სამხედრო თემატიკის მძაფრსიუჟეტოანი ფილმი „საუკეთესო მსროლელი“ (Top Gun, 1986) მამაკაცის შიშველი სხეულის ხშირი დემონსტრირების, სიტყვათა ორაზროვანი თამაშისა და ინტენსიური ჰომოსოციალური კავშირის გამო საკულტო ქვიარ ფილმი გახდა. ასეთივე საკულტო ქვიარ ფილმია 1939 წელს გადაღებული „ოზის ჯადოქარი“ (The Wizard of Oz), რომელიც მაყურებელთა უმრავლესობისთვის სულაც არ არის ქვიარ ფილმი, მაგრამ სპექტატორშიზის ამგვარი პარადიგმის თანახმად, სწორედაც რომ ასეთად გვევლინება. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

ქვიარ ფილმის კონცეპტუალიზაცია-გამოკვეთის კიდევ ერთ მიგნებას უნარი წარმოადგენს. მაგალითად, საშინელებათა ფილმები ხშირად აღწერენ უცნაურ და მონსტრულ სექსუალობებს, რომლებიც შეიძლება ქვიარად იყვნენ ინტერპრეტირებულნი. სამეცნიერო ფანტასტიკა და ფენტეზის უნარები ასევე წარმოაჩენენ ახალ და სხვადასხვა ტიპის იდენტობებსა და სექსუალობებს, თუმცა ხშირად უფრო ნეიტრალურ და პოზიტიურ ჭრილში, ვიდრე ეს საშინელებათა ფილმებში ხდება. ასევე, ქვიარ ფილმების უნარს შეიძლება მიეკუთვნებოდეს მიუზიკლებიც. მიუხედავად იმისა, რომ მიუზიკლებში ხშირ შემთხვევაში ჰეტეროსექსუალი გმირები გვყავს, თავისთავად

მუსიკალური დატვირთვა, საშინელებათა და სამეცნიერო ფანტასტიკის უანრის ფილმების მსგავსად, ქმნის ისეთ ჰიპერ-რეალურ სამყაროს, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგალითად, ზემოთხსენებული „ოზის ჯადოქარი“, არის მუსიკალური ზღაპარი გოგონაზე, რომელიც სოფლიდან გარბის ურბანული სამყაროს აღმოსაჩენად, სადაც ყველაფერი შესაძლებელია. ფილმი ასევე მოიცავს კონტრაციურ ჰომოსექსუალურ პერსონაჟებსაც: დოროთის ხვდება ლაჩარი მანერული ლომი, რომელიც თავის თავს დენდ ლომს უწოდებს. დოროთიზე გავლენის მოსაპოვებლად იბრძვის ორი ჯადოქარი: ერთი ბუჩი (butch) და მეორე ფამი (femme). ფილმის მორალი ერთმნიშვნელოვნად გვაუწყებს, რომ „სახლს არაფერი შეედრება“, მაგრამ ფილმის ყველა მაყურებელი (მიუხედავად იმისა, ქვიარი არის თუ არა) სიამოვნებას ბანალური „ნორმალურობისგან“ კი არა, არამედ ტექნიკოლორი ოზის სამყაროსგან იღებს, სადაც განსხვავებულობა და დადგენილი ნორმიდან გადახვევა ჩვეული მოვლენაა.

ბოლოს და ბოლოს, თუკი ჰოლივუდის კინონდუსტრიას ამერიკული (ჰეტეროსექსისტური) კინონარმოების დომინანტურ მეთოდად მივიღებთ, ამ ლოგიკით ავანგარდული, დოკუმენტური და სხვა ტიპის დამოუკიდებელი კინოპროდუქტი შესაძლოა ქვიარად მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის ფილმებში უფრო ხშირად ვხვდებით ქვიარ პერსონაჟებსა და მათთვის საჭირობოროტო საკითხებს, ვიდრე ჰოლივუდის ფილმებში. ასეთი ფილმების სტრუქტურა და ფორმები ჰოლივუდური ნარატივისა და მისეული ჰეტეროსექსუალური სასიყვარულო თავგადასავლის აკვიატების გასაკრიტიკებლად მდიდარ მასალას იძლევა.

საბოლოოდ, არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც თავად ფილმის განცდა-აღქმის აქტი, ანუ პერსონაჟების ყურებისა და მათთან თვითიდენტიფიკაციის ფსიქოლოგიური პროცესი შეიძლება ქვიარ მომენტად განვიხილოთ. ჰოლივუდური ფილმების უმეტესობაში, ფილმის ნარატივი მაყურებელს სტიმულს აძლევს, თავი მთავარ მოქმედ გმირებთან გააიგივოს. ეს მთავარი გმირები ტრადიციულად

თეორკანიანი ჰეტეროსექსუალი მამაკაცები არიან, თუმცა შეიძლება იყვნენ ქალებიც, ფერადკანიანებიც და ქვიარებიც კი. სწორედ ამაში მდგომარეობს ნარატიული კინოს უდიდესი ძალა და სიამოვნება - იგი მაყურებელს საშუალებას აძლევს, სხვა ადამიანების თვალთ დაინახოს და აღიქვას სამყარო. ქვიარ ფილმის თეორეტიკოსი, კლერ უათლინგი, ამბობს, რომ ქვიარ იდენტობის მქონე მაყურებელი თვითიდენტიფიკაციისთვის შესაფერისი ობიექტების მოძებნით საკუთარ სურვილებს არ ზღუდავს. მათი სურვილები კინოფანტაზიის სივრცეში შედარებით თავისუფლად მოძრაობს. ეს შესაძლოა ერთ-ერთი ახსნა იყოს იმისა, თუ რატომ არ ჩნდებიან ხშირად გვიან ლესბოსელი პერსონაჟები მენისტრიმულ ჰოლივუდურ ფილმებში: ბევრი ჰეტეროსექსუალი მაყურებელი ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება სამყაროს ქვიარ პერსონაჟის თვალთახედვით აღქმას. ფსიქოლოგიური ტერმინებით რომ ვთქვათ, ქვიარ პერსონაჟთან თვითიდენტიფიკაციის აქტი მავანი ჰეტეროსექსუალი მაყურებლის მიერ შეიძლება საფრთხედ აღიქმებოდეს საკუთარი გენდერისა თუ სექსუალობის კონტექსტში. იგივენაირად, კაცი მაყურებლის უმრავლესობას ქალ პერსონაჟთან თვითიდენტიფიკაციის მოხდენა უჭირს. ეს დაკვირვება მით უფრო საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა არჩევანი აქვთ ქალებს სათვით-იდენტიფიკაციოდ ჰოლივუდის კლასიკურ ფილმებში. როგორც წესი, ფილმის ნარატივს კაცი და მისი მზერა აკონტროლებს, რასაც კამერა ასახავს. მაყურებლის თვითიდენტიფიკაციაც სწორედ ამ მზერა/კამერასთან ხდება. ქალი პერსონაჟი ჰოლივუდის კლასიკურ ფილმებში სამმაგი მზერის ქვეშ ექცევა: კამერის, მაყურებლის და კაცი პერსონაჟის. კაცი მაყურებლის შემთხვევაში ყლაფერი მარტივია - იგი უმტკინვეულოდ ახდენს თვითიდენტიფიკაციას ფილმის მაკონტროლებელ პერსონაჟთან, ხოლო ქალის შემთხვევაში საქმე უფრო რთულდება: მას ეკრანზე წარმოსახული ქალისგან სათანადო დისტანცირება არ შეუძლია. საბოლოო ჯამში, იგი იძულებულია, ან მაზოხისტური ზეიდენტიფიკაცია მოახდინოს პერსონაჟთან, ან ერთგვარი ტრანსვესტიტული პოზიცია დაიკავოს, რაც ფილმის

ყურების პროცესში კაც პერსონაჟთან იდენტიფიკაციას გულისხმობს. რასაკვირველია, პროცესი მაინც ვერ განხორციელდება ისევე წარმატებულად, როგორც ეს კაცი მაყურებლის შემთხვევაში ხდებოდა. ამ პროცესში ნამდვილად არის ქვიარ მომენტი. ყოველივე ზემოთქმულს პირადად მე ერთგვარ ესენციალისტურ მოსაზრებამდე მიყვარ: არ ვაზოგადებ, მაგრამ, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმ ვარაუდის დაშვება, რომ ქალი მაყურებლისთვის ქვიარ პერსონაჟთან იდენტიფიცირებაუფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე კაცისთვის.

დასასრულს, მინდა მოკლედ შევეხო ახალი ქვიარ კინოს ფენომენს, რომელიც 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ეს არის დამოუკიდებელი ქვიარ ფილმები. ისინი უბოდიშო გულწრფელობით წარმოაჩენენ სექსუალობას, სადაც გაერთიანებულია ავანგარდის, შიდის აქტივისტური ვიდეოების და თავად ჰოლივუდური ფილმების სტილისტური ელემენტები. ახალი ქვიარ კინო- ეს არის მეტაკინო, რომელიც ერთსა და იმავე დროს წარმოაჩენს ქვიარ პერსონაჟებსა და მათ ურთიერთობას, მაგრამ ამავე დროს კომენტარს აკეთებს ამ რეპრეზენტაციის ფორმებზე. ეს პროექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვიარ აქტივიზმთან და ქვიარ თეორიასთან. როგორც თეორეტიკოსებმა, ისევე აქტივისტებმა კარგად დაინახეს სტაბილური იდენტობის კატეგორიების დამსხვრევის და მათ მიღმა გაღწევის აუცილებლობა. ამრიგად, ახალი ქვიარ კინო ფილმების მხატვრულ, რეალისტურ, დოკუმენტურ უანრებად დაყოფის ტრადიციას ამსხვრევს, ისევე, როგორც დეკონსტრუქციას უკეთებს ისტორიის, რასის, ეროვნების, გენდერისა და სექსუალობის ესენციალისტურ კონცეპტებს. ახალი ქვიარ კინო ინტელექტუალური კინოა. ასეთი ფილმებიდან აღსანიშნავია დერეკ ჯარმენის „ედუარდ მორე“, ტომ კალინის „გულის შეღონება“, ჯენი ლივინგსტონის „პარიზი იწვის“ და გუს ვან სანტის „ჩემი პირადი აიდაჰო“.

თუმცა, როგორც ქვიარ თეორეტიკოსები აცხადებენ, ქვიარ ელემენტები ყველგან, ყველა ტექსტში არის. ალექსანდრე დოტის თანახმად, ყველა ადამიანი, ჰეტეროსექსუალი თუ ჰომოსექსუალი,

ჰეტერო კულტურის წიაღში იბადება და ჰეტერონორმატიული კულტურის წესების მიხედვით ყალიბდება. აქედან გამომდინარე, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ იმ ფაქტს, რომ ყველაზე ჰეტეროცენტრისტული ტექსტების კი შეიძლება ქვიარ ელემენტებს შეიცავდეს, და ასევე ჰეტეროსექსუალური იდენტობის მქონე ადამიანების ქვიარ მომენტებს განიცდიდნენ. აუცილებელია, რომ ეს მომენტები აღვიქვათ, როგორც ქვიარი და არა როგორც „ჰომოსექსუალური პანიკა“, თავდავინყება, ან ცოდვა. ქვიარ პერსპექტივები, ქვიარ ინტერპრეტაცია თუ ქვიარ სიამოვნებები იმ მიმდებარის სივრცის ნაწილია, რომელიც ერთსა და იმავე დროს ჰეტეროსექსუალური პოზიციის შიგნითაც არის და მის განგეც. ქვიარ მიმდებარე არ იმყოფება სადღაც გარეთ, პირადი და კულტურული ისტორიის მიღმა. იგი ამ ისტორიების არტიკულაციის ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- *Queer Images, A History of Gay and Lesbian Film in America*
Harry M. Benshoff, Sean Griffin, Rowman&Littlefield Publishers, INC. 2006
- *There's Something Queer Here*, Alexander Doty, in *Out in Culture: Gay, Lesbian and Queer Essays on Popular Culture*, ed, Corney K. Creekmur and Alexander Doty, Duke University Press, 1995
- *'Film and Masquerade: Theorising the Female Spectator'*
Mary Ann Doane In *'Feminist Film Theory: A Reader'* 1996
- *The Death of the Author*, Roland Barthes, in Roland Barthes *Image Music Text*, Hill and Wang, New York 1977
- *A Critical Introduction to Queer Theory*, Nikki Sullivan, New York University Press, 2003

[1] სტატია მომზადებულია ჰარი ბენშოფისა და შონ გრიფინის წიგნის „ქვიარ სურათები, გვი და ლესბოსური ფილმის ისტორია ამერიკაში“

მიხედვით (Harry M. Benshoff, Sean Griffin *Queer Images, A History of Gay and Lesbian Film in America* Rowman & Littlefield Publishers, INC 2006)

[2]ნიკი სულივანი, ალექსანდრე ლოტი

ჯეინ არტურსი

გეი, ლესბოსური და ქვიარ სექსუალობა ბრიტანულ სატელევიზიო დრამაში

თარგმანი: შორენა გაბუნია

თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური საკითხები სატელევიზიო დრამის ბევრ ჟანრშია წარმოდგენილი. ბრიტანულ ტელევიზიაში ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ბოლო ოცი წლის მანძილზე ქვიარ ადამიანების უფლებებისთვის პოლიტიკური ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა. ეს პროცესი თავისი ეტაპობრიობით ხასიათდება. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი კვანძი ბრიტანულ ტელევიზიაში ერთი მხრივ გეი და ლესბოსელი ადამიანების იტაკქვეშეთიდან გამოსვლა, უხილავობისა და სირცხვილის შეგრძნების დაძლევა, მეორე მხრივ კი ხილვადობა შიგა და სვლა და სიამაყის გრძობის გაჩენა იყო. ეს ყველაფერი მჭიდრო ურთიერთკავშირშია 1970-იანი წლების თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილ კულტურულ დებატებთან, 1980-იანების ჰიბრიდულ პოლიტიკასთან და 1990-იანების ქვიარ აქტივიზმთან.

ისტორიული ტრანექტორიის კვალდაკვალ, უმცირესობებისთვის განკუთვნილ ტელეარხებზე Quality drama-ს გამოჩენამ მეინსტრიმული შეხედულებების და მოძველებული გამომსახველობითი ფორმების რყევა გამოიწვია. განსაზღვრება „ხარისხიანი“ (quality), უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ტელეპროდუქტის კომერციულ წარმატებულობას, საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგული მომგებიანობის თვალსაზრისით. დეფინიცია „ხარისხიანი“ ასევე მომდინარეობს გემოვნების კულტურის ცვლილებიდან, როდესაც მრავალსერიანმა სატელევიზიო ნარატივმა აქამდე გავრცელებული, „ხარისხიანის“ კატეგორიით გამორჩეული მხატვრული ფილმების ფუნქცია იტვირთა. ამ ცვლილებებმა კითხვის ნიშნები გააჩინა აუდიტორიის მიერ ნარატივის პოსტმოდერნული ფორმის მიმღებლობასთან

დაკავშირებით, რომელიც სულ უფრო და უფრო ამბივალენტურ
სახეს იძენდა.

იატაკვეშეთიდან გამოსვლა

ქვიარ სექსუალობის ცნების თანამედროვე აღქმა, როგორც იდენტობისა, სათავეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იღებს, როდესაც ქრისტიანული ეკლესიის მიერ უპირობო ცოდვად აღიარებულია ჰომოსექსუალობამ სამედიცინო და სექსოლოგიურ სიბრტყეში გადაინაცვლა. ეკლესიის თქმით, ცოდვით დაცემა ნებისმიერ ადამიანს ემუქრებოდა. სოდომია მეცხრამეტე საუკუნემდე ინგლისში სიკვდილით ისჯებოდა. მამაკაცებს შორის სექსუალური ურთიერთობის პრაქტიკა სტიგმატიზებული და დაფარული იყო მეოცე საუკუნემდე, როდესაც ჯერ კიდევ 1885 წელს მისი კრიმინალიზაცია მოხდა. ლესბოსელობას კანონის სიმკაცრე არ შეეხებია, მაგრამ საზოგადოების მხრიდან იგივე სოციალური დამლთ აღინიშნებოდა. მამაკაცის ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია ბრიტანეთში მხოლოდ 1967 წელს გატარებული ლიბერალური რეფორმების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ამ საკანონმდებლო ცვლილებებს საზოგადოებაში ბობოქარი რეაქცია მოჰყვა. „საზოგადოებრივი მორალის“ დამცველები აღმფლეთებულნი იყვნენ, ლიბერალური მსოფლმხედველობის მომხრენი კი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს არანაირი საქმე არ უნდა ჰქონოდა სექსუალობის პრივატულ გამოვლინებებთან, თუ, რასაკვირველია, აქ რაიმე დანაშაულს არ ექნებოდა ადგილი. ამ დისკურსის ფონზე, დევნისა და სკანდალებისგან თავის არიდების მიზნით, განსხვავებული სექსუალობის მქონე ადამიანები ჩრდილში ყოფნას განაგრძობდნენ. ჰომოსექსუალობის ლეგიტიმაციას რეალურად არანაირი პოზიტიური ცვლილებები არ მოჰყოლია. ადრე კანონით, ახლა კი საზოგადოებრივი მორალით დევნილი ჰომოსექსუალები განაგრძობდნენ იმ იატაკვეშა სუბკულტურის ფარგლებში ცხოვრებას, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა, როდესაც მათ კანონი დევნიდა. მათი თავშეყრის ადგილებად ისევ პარკებსა და საზოგადოებრივ ტუალეტებთან არსებული შეხვედრის ალაგები რჩებოდა. თუ დროდადრო საზოგადოებაში ამ თემაზე ჩამოვარდებოდა საუბარი, ჰომოსექსუალური ქცევა მუდამ „გადახრასა“ და „დანაშაულს“

უკავშირდებოდა. როგორც უკვე აღინიშნა, ლესბოსელები არც სამართლებრივ დევნას განიცდიდნენ და არც საზოგადოების ნეგატიური განწყობების სამიზნედ ქცეულან (როგორც წესი, ქალური ჰომოსექსუალობა ყოველთვის და ყველგან ნაკლებ აგრესიას იწვევდა). ეს გარემოება მათ ჯგუფს უფრო მეტ უხილავობას ანიჭებდა. საჯარო და პრივატული სივრცეების ამგვარი რადიკალური დაყოფის შედეგად, 1970-იან წლებში, იშვა განსხვავებული სექსუალობის ადამიანთა თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის მოძრაობა. ამ პოლიტიკური კამპანიის მთავარ მიზანს უხილავობის დაძლევა და იატაკქვეშეთიდან გამოსვლა წარმოადგენდა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი საჯაროსა და პირადის თანხვედრაში მოყვანა და საზოგადო სარბიელზე საკუთარი ღირსების გრძნობის მოპოვება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხილვადობის პრობლემა ამ კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ჩირქმოცხებული და სირცხვილის მძაფრი განცდის მქონე სტიგმატიზებული ადამიანის ნაცვლად საზოგადოებაში საკუთარი სექსუალური იდენტობით ამაყი ინდივიდი გამოჩნდა, რომელიც თამამად იბრძვის კუთვნილი საჯარო სივრცის დასაკავებლად (Plummer 1995: 81-96). საჯარო სივრცის ათვისებაში კი თავისთავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მათ შორის ტელევიზიაც, აქტიურად ჩაებნენ.

1980-იან წლებში როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე აშშ-ში ხელისუფლებაში მორალური იმპერატივების მქონე კონსერვატორები მოვიდნენ. ეს პერიოდი შიდსის ეპიდემიის გაჩენასაც უკავშირდება. ამ ორმა მიზეზმა ბრიტანული ლგბტ მოძრაობა კიდევ უფრო გააძლიერა, რადგან ეპიდემია ხელისუფალთა მხრიდან „გეების ჭირად“ მოინათლა. ეს განწყობები გამძაფრდა მას შემდეგ, რაც 1988 წელს ადგილობრივ თვითმმართველობაში მიიღეს კანონ-პროექტის ავადსახსენებელი პუნქტი 28, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჰომოსექსუალური ურთიერთობების წახალისებას კრძალავდა. დასახელებული პერიოდი ბრიტანულ პოლიტიკაში უმრავლესობაში მყოფი მორალისტი კონსერვატორებისა და მათთან დაპირისპირებული რადიკალი პოლიტიკური აქტივისტების სასტიკი

ბრძოლით აღინიშნა. ეს კონფლიქტი საბოლოოდ ორმა ფაქტორმა გაანელა. პირველი იყო კონსერვატორთა ნეოლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია და თავისუფალი ბაზრის რიტორიკა, რამაც მათ მიერ ნაქადაგები „ოჯახური ფასეულობების“ წინააღმდეგ იმუშავა, მეორე ფაქტორად კი ხელისუფლების მიერ აივ ინფექციის წინააღმდეგ გაჩაღებული ფართომასშტაბიანი კამპანია გვევლინებოდა უსაფრთხო სექსისა და დაცული კავშირების პროპაგანდით. ამ კულტურული და ეკონომიკური კოლიზების ფონზე, ჰომოსექსუალობამ უკვე ხილული და საკამათო პოლიტიკური ელფერი შეიძინა (Watney 1997; Wilton 1997). თანამედროვე პრობლემების რეზონანსირების ყველაზე მძლავრმა საშუალებამ - მედიამ ეს საკითხი უცებ აიტაცა და ლამის ნომერ პირველ თემადაც აქცია. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ბრიტანული სატელევიზიო დრამის მაგალითზე, რომელიც საზოგადოების ყველაზე საჭირობოროტო საკითხებს ასახავდა. 1980-იანი წლების კონსერვატორთა სიძულვილმა და მიუღებლობამ 1990-იანებში ლგბტ მოძრაობა უფრო აგრესიული გახადა. საბოლოოდ, მისი კონსერვატორებთან დაპირისპირება სერიოზულ კონფრონტაციაში გადაიზარდა.

პირველ რიგში, მოსაგვარებელი იყო დისკრიმინაციული მიდგომები სახელმწიფო კანონმდებლობაში, სადაც ოჯახისა და ჰეტერონორმატიული ფასეულობების უპირატესობის უდავო დომინაციის ხარჯზე არ არსებობდა სივრცე თავისუფალი სექსუალური პრაქტიკების მქონე ადამიანებისათვის. შესაბამისად, ამ მოდელის ცხოვრებაში გასატარებლად ლგბტ პირებს „სანიშუშო“ მოქალაქეებისთვის უნდა მიეზღვათ, ამისთვის კი საჭირო იყო ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მათ ქორწინებისა და ბავშვების ყოლის იურიდიულ უფლებას მისცემდა. ამით დასახელებული ჯგუფი დომინანტი კულტურის ნაწილი უნდა გამხდარიყო. 1990-იანების ბოლოსკენ, მემარცხენე მთავრობის მოსვლის შემდეგ, ეს საკითხები სრულიად მონონებულ იქნა და 2006 წელს ერთსქესიანი წყვილებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის უფლებების მოპოვებაც

შესაძლებელი გახდა. ოჯახურ ურთიერთობებში მყოფი ცნობილი გეი ან ლესბოსელი ამის საფუძველზე საზოგადოების მხრიდან აღარ იდევნებოდა და სკანდალების, ჭორისა და მითქმა-მოთქმის საფუძველიც აღარ არსებობდა. საზღვარი იცვლება ისე, რომ უკვე არარესპექტებელურია ის ქვიარ ადამიანი, რომელიც კვლავ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პაემნების ადგილებს სტუმრობს და მოუწესრიგებელ სექსუალურ ცხოვრებას ეწევა.

ქვიარ ადამიანებმა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ „დამჯერი ჰომოსექსუალის“ ამ მოდელზე უარი განაცხადეს და ამის გასაპროტესტებლად მოუხმირეს იმ ადგილების მონახულებას, რომლებიც საზოგადოებრიობის თვალში შელახული რეპუტაციით სარგებლობდა, ასევე ინტენსიურად მიმართეს ინტერნეტ პორნოგრაფიის მომსახურებასაც. ამით ისინი სიმბოლურად გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს იმის მიმართ, რომ ადამიანის სექსუალობა და სურვილები მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმეა და სხვისგან ზედამხედველობას არ ექვემდებარება. ეს ეხება პოლიტიკის სურვილს, ჩაერიოს ადამიანის იდენტობაში და ჰეტეროსექსუალურ და ჰომოსექსუალურ იდენტობებს შორის ზღვარი გაავლოს. ქვიარ სამყაროში ხომ სექსუალური იდენტობისა და სურვილების სამყარო მეტად ცვალებადია და განსაზღვრულ სოციალურ ნორმებს არ ემორჩილება.

განსხვავებანი გემოვნებაში და ესთეტიკური ფორმის პოლიტიკა

ბრიტანული საზოგადოებრივი ტელევიზიის Quality drama-ში კარგად აისახა „დანესებულ ზღვარს მიღმა“ მყოფი სექსუალური სუბიექტივიზმი. ოპოზიციურად განწყობილი ტელეპროდუქტი თანაარსებობდა კონფორმისტული შინაარსის კოსტიუმირებული დრამების (Costume drama) პარალელურად, რომლებიც „ნორმებში დაშვებულ“ სექსუალობას წარმოადგენდნენ.

სექსუალური ცენზურისგან გათავისუფლება დაიწყო სატელევიზიო დრამით Wednesday Play (ბი-ბი-სი, 1964-1984), რომლის სტილსა და შინაარსშირეალისტური პერიოდის სოციალური საკითხების

ამსახველი ფილმების გავლენა იგრძნობოდა. მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემების გაშუქებისას, სოციალური რეალიზმის ესთეტიკის მეშვეობით, ფილმის ავტორები ცდილობდნენ, მეტროპოლიის გარეთ მცხოვრები მუშათა კლასისგან შემდგარ აუდიტორიაში განსხვავებულისადმი პატივისცემისა და ტოლერანტობის დემონსტრირება მოეხდინათ (Creeber 2001b: 13).

ერთ-ერთი საკვანძო სურათი იყო „გზაჯვარედინამდე“ (Up the Junction, ბი-ბი-სი, 1965, რეჟისორი კენ ლოუჩი), რომელიც ნელ დანის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შეიქმნა. მონტაჟის, კადრსმილმა ხმებისა და გადაღების ადგილების ელემენტების შეჯერებით რეჟისორმა შეუღამაზებელი სოციალური რეალობის გადმოცემა შეძლო (Caughie 2000: 122). არალეგალური აბორტების ღიად ჩვენებამ ბევრი ადამიანი შეურაცხყო, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ფაქტი კანონში ცვლილებების შეტანის სტიმულად იქცა. მუწყებლობაში გაჩენილმა პოლიტიკურმა კონტექსტმა ამ თემატიკისადმი ინტერესი გააღვივა. წინააღმდეგობრივი საკითხების დისკურსირება ჰომოსექსუალობის ლეგალიზაციის ირგვლივაც დაიწყო. მიუხედავად მასობრივი ხასიათისა, Quality drama-მ ხელოვნების სტატუსი მიიღო. ამის წყალობით, იგი ცენზურისგან რამდენადმე დაცული იყო, იმ ტელეპროდუქციის უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებიც რეგულირების პროცესს გადიოდნენ.

მაყურებლის ჩივილი სატელევიზიო დრამასთან დაკავშირებით ჩვეულებრივ გამოიხატებოდა არანორმატიული და „უნაყოფო“ სექსის ნეგატიურ შეფასებაში (Millwood Hargrave 1992). ამას გარდა, ნებადართული და წახალისებული იყო ისეთი დრამების ჩვენება, სადაც სექსუალური უმცირესობები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც მაყურებლის „ესთეტიკური კეთილგანწყობის“ მასტიმულირებელი, კულტურული ფასეულობების მატარებელი ჯგუფის წევრები (Bourdieu 1984). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავებული სექსუალობა მისაღები და მომხიბლავია მხოლოდ მაშინ, თუ იგი ნაჩვენებია საშუალო კლასის ლიბერალთა მცირე ჯგუფის მიერ. ამ შემთხვევაში, Quality drama-ს ზოგიერთი ფორმა თავისი შინაარსით ავანგარდს

წარმოადგენს, რომელიც ტელევიზიაში დაშვებულისა და მისაღების ზღვარს ამოწმებს და უფრო ფართომასშტაბიანი კულტურული ცვლილებებისთვის ნიადაგს ამზადებს. ეს ფორმები მკვეთრად განსხვავდება იმ ობივატელის, დომინანტი ბიზნეს-კლასის გემოვნებისგან, რომელსაც ლიტერატურული რომანების მოტივებზე გადაღებული კოსტიუმირებული დრამები მოსწონს. ლიტერატურული ადაპტაცია ბრიტანულ ტელევიზიაში დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა Quality drama-ს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. ძირითადად, ეს იყო ხშირ შემთხვევაში მეცხრამეტე საუკუნის რომანებზე დაფუძნებული კოსტიუმირებული დრამები, მდიდრული დადგმით, რაც მსოფლიო ბაზარზე მის კომერციულ წარმატებას განსაზღვრავდა. შესაძლოა, უცნაურად ჩანდეს, მაგრამ ამ ზოგადი ტრადიციიდან აღმოცენდა გეებისა და ლესბოსელების ირგვლივ გავრცელებული დამამცირებელი, უარყოფითი სტერეოტიპიზაციის მსხვერვის ნიშნები. ამის მაგალითებად გამოდგება სატელევიზიო სერიალები „ბრაიდსჰეადაბრუნება“ (Brideshead Revisited, 1981), „ფორთოხალი ერთადერთი ხილი როდია“ (Oranges Are Not the Only Fruit, 1990), „ცოლქმრული ცხოვრების პორტრეტი“ (Portrait of a Marriage, 1990), და „მოთხრობები ქალაქზე“ (Tales of the City, 1993), რომლებიც 1980-იან - 1990-იანების დასაწყისში ერთსქესიანი ფიზიკური ურთიერთობების დემონსტრირების ერთადერთ გზად მოგვევლინა, როგორც დიდი ბრიტანეთის, ასევე აშშ-ის მასშტაბით (Capsuto 2000:317–25).

დასახელებულ დრამებში ერთსქესიანი ურთიერთობების დემონსტრირება მნიშვნელოვანწილად შეარბილა იმ ფაქტორმა, რომ მეცხრამეტე საუკუნის რომანების ეკრანიზაციებმა თავიანთი ესთეტიკური ვიზუალით, მდიდრული მიზანსცენებით, ისტორიული-ლიტერატურული კონტექსტით აქ ასახული მოვლენები საღდაც შორს, მაყურებლისგან დისტანციურად გადაისროლეს. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყველა ეს დრამა აღიქმებოდა ლიბერალური ჰუმანიტის ხედვის წერტილიდან, რომელიც აფასებს სიტყვის თავისუფლებასა და პლურალიზმს, თუმცა გაურბის ჰომოსექს-

სუალობის, როგორც პოლიტიზებული სექსუალური ორიენტაციის აღიარებას. სერიალში „ფორთოხალი ერთადერთი ხილი როდია“ (ბი-ბი-სი2, 1990) ჯანეტ უინტერსონის მიერ საკუთარი რომანის საეკრანიზაციო ადაპტაცია ერთობ საკამათოა, რადგან ჯესის, მთავარი გმირის, ლესბოსელობა რომანში მთავარ თემას წარმოადგენდა. ჩრდილო ინგლისში მცხოვრები ჯესი ქრისტიანულ რელიგიურ ფუნდამენტალიზმს და გაბატონებულ პატრიარქალურ ნორმებსკრიტიკულად უყურებს. მაგრამ, აქაც იგივე მიდგომას ვხვდებით - ეს არის ხელოვნება, და აქ წარმოდგენილ ლიტერატურულ თემას სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ გააჩნია (Nelson 1997: 138). თუ სერიალის გადაღების პერიოდს გავიხსენებთ, ნათელი ხდება, რომ იგი მეტად საინტერესო დროს დაემთხვა. წინა ორი წლის განმავლობაში სიტყვის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული ლიბერალური შიში გამონვეული იყო არა მხოლოდ 28-ე მუხლის გატარებით, არამედ ისლამისტი ფუნდამენტალისტების მიერ სალმან რუმდის წინააღმდეგ მისი „სატანური სურების“ გამო დევნის მიზეზითაც. ლიბერალური შეხედულებები ერთსქესიან ურთიერთობებს ცენზურისგან იცავდა და ამიტომ დაემთხვა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საწინააღმდეგო განწყობებს. ამიტომაც, სერიალში გამოყენებული სიუჟეტი თანამედროვეობის მოვლენებს კარგად ერგებოდა და საზოგადოებრივ განწყობას რელიგიური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ ამხედრებდა. ლიბერალური ჰუმანიზმის ინტერპრეტაცია ნიშნავდა, რომ სერიალის თემა იყო ოჯახი, რელიგია, მოზარდობის მტკივნეული პრობლემები, მხოლოდ არა ლესბოსელობა (Hinds 1997).

ამ შემთხვევაში, გემოვნებისა და ხარისხიანობის განმსაზღვრელი არის ტელევიზიის წინამორბედი ისეთი კულტურული ფორმები, როგორებიცაა ლიტერატურა და თეატრი. იგი კულტურათა განსხვავებულ კლასებს ეფუძნება (Brunsdon 1990). სხვადასხვა მნიშვნელობები ნარატიულ ფორმას რეალიზმსა და მელოდრამატულობას სძენენ, ყველაფერი ეს კი ამ იერარქიის განმტკიცებას ემსახურება. უინტერსონმა, მაგალითად, თავისი რომანის ადაპტირება

შეგნებულად გააკეთა რეალიზმის ტრადიციების შესაბამისად, ფანტაზიისა და კარნავალიზაციის ელემენტები ამოიღო, რათა სატელევიზიო დრამასთან შესაბამისობაში მოეყვანა (Nelson 1997). მიუხედავად ამისა, სატელევიზიო დრამის ფორმები მაინც გადასხვაფერდა, ვინაიდან დებატები რეალიზმის პოლიტიკის ირგვლივ პირველად 1980-იან წლებში გაჩნდა. აქ უკვე მნიშვნელოვნება ტელეპროდუქტის ფორმატმა შეიძინა. დაუსრულებელი საპნის ოპერა საზოგადოებამ თავდაპირველად ზიზღით მიიღო და დღის საათებში გასულ დიასახლისთათვის განკუთვნილ იაფფასიან სერიალებს გაუტოლა, მაგრამ მალე მისი მზარდი გავლენის ქვეშ მოექცა. საპნის ოპერა კი გაფართოვდა და მრავალმხრივ განვითარდა. მალე მან ფართო სეგმენტების მოზიდვის და აუდიტორიაზე ზეგავლენის გასაოცარი უნარი გამოავლინა. ემოციური გადაჭარბების გამო, მელოდრამის კულტურული სტატუსიხახალი საშუალო ფენების მიმართპოსტმოდერნული „ირონიით“ განიმსჭვალა. ეს ფორმა გვი სუბკულტურისთვის დიდი ხნის ნაცნობია („კემპი“) (Ross 1989), მაგრამ ამჯერად მან სრულიად სხვა - პოლიტიკური დატვირთვა მიიღო (Medhurst 1997).

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს (John Caughie, 2000), რომ ამ ცვლილებებმა სატელევიზიო დრამის მხატვრული დონის დანევა და მისი შინაარსის დეპოლიტიზება გამოიწვია, სხვები კი დასახელებულ პროცესებში კულტურული ფასეულობებისა და ფემინისტური მიდგომების შეთავსებადობას ადევნებდნენ თვალყურს. ამ თვალსაზრისით, სატელევიზიო სერიალების ჰიბრიდულმა ფორმებმა გვიჩვენა, რომ სექსუალობის ის პოლიტიკა, სადაც ჰეტერონორმატიული მასკულინობა დომინირებდა, ჩაანაცვლა სხვადასხვა პოლუსების მქონე პოლიტიკური გამონეგვების ფართო დიაპაზონმა. მათი სტრუქტურა პოსტმოდერნული „პროგრესული ტექსტის“ იდეალის წინააღმდეგ ამუშავდა. მრავალრიცხოვანი ნარატივისა და ეპიზოდური შემადგენლობის გამო, საკვლევად ადვილდება მარგინალური სოციალური იდენტობების ის ძვრები, რომლებმაც სოციალური ცხოვრების აქამდე დაფარული ასპექტები სააშკარაოზე

გამოიტანეს და პრივატულ და საჯარო სივრცეებს შორის ზღვარი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს (Carson and Llewellyn-Jones 2000; Creeber 2001a). მაგრამ, ვერანაირი ფორმა თავისთავად ვერ გამოცხადდება რეაქციულად ან პროგრესულად, ხელოვნებად ან ბალასტად. დრამის მნიშვნელოვნება და ღირებულება განისაზღვრება მაყურებლის განწყობისა და ტექსტის ინტერპრეტირების შედეგად, როგორც ეს სერიალში „ფორთოხალი ერთადერთი ხილი როდია“ იყო. მაყურებლის ყურადღება გამოგონილი სამყაროს ჩვენებისას ტექსტუალური სტრუქტურებიდან, კონტექსტის მნიშვნელოვნებიდან ფორმალურ მხარეზე გადადის და მას უბიძგებს, პროცესისგანსიამოვნება მიიღოს და მეტი არაფერი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტმოდერნულ დრამატულ ფორმებში, სადაც ინტერტექსტუალობა და ნარატივის მრავალშრიანობა მელოდრამასა და რეალიზმს, მაღალმხატვრულსა და პოპულარულს შორის ზღვარს შლის. ეს პროცესი, რასაკვირველია, მაყურებლის ნებისმიერ ერთმნიშვნელოვან წინასწარგანწყობას ყოველგვარ საფუძველს აცლის (Carson and Llewellyn-Jones 2000; Creeber 2001a).

ამ დისკუსიაში ფემინისტურ ფოკუსს სათანადო ყურადღებას შემდეგ თავში დაეთმობა, სადაც იგი ამერიკულ სატელევიზიო დრამასთან მიმართებაში განიხილება. აქ იგი მოყვანილია გვირეზრეზენტაციულობის პოლიტიკასთან მიმართებაში, კინოხელოვნების, ლიტერატურული ადაპტაციებისა და ლიმიტირებული ფორმატის სერიალების სხვადასხვა ფორმების მრავალგვარობის გათვალისწინებით. ჯერ ერთი, მხედველობაში მისაღებია, თუ რა ადგილი ეკუთვნის ჰომოსექსუალ იდენტობებს მენისტრიმულ ჰეტერონორმატიულ დრამებში. შემდეგ მიმოვიხილავთ 1980-იანი წლების შუა ხანებიდან 1990-იანების შუა პერიოდამდე ბი-ბი-სი2-სა და ჩენელ4-ზე წარმოდგენილ გვირეზრეზენტაციებს, სადაც ასევე ჩნდება მცდელობა ბრიტანულ დრამაში თეთრკანიანთა პრევალირების მოსპობისა.

ბოლო თავში განიხილება გვირეზრეზენტაციულობის მოდიფიცირების ჩვენება სერიალში “Queer as Folk” (ჩენელ4, 1999-2000). ბევრმა

მკვლევარმა დასახელებული ტელეპროდუქტი გვი რეპრეზენტაციის საქმეში ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად შეაფასა. მართლაც, დრამაში ფოკუსირებულია ქალაქელი თეთრკანიანი გვი კაცების ჯგუფი, რომელიც საჯარო ხილვადობის ცენტრში იმყოფება, თუმცა ეს ხდება 1990-იანების მომხმარებლურ საზოგადოებაში, სხვა ნაკლებად შემოსავლიანი უმცირესობების ხარჯზე.

პოპულარული დრამა: სექსუალობა, როგორც სოციალური საკითხი

ტელეერეგულაციის წესის თანახმად, ნორმატიული სექსუალური ქცევის ამსახველი დრამები საეთერო ბადეში საღამოს ცხრა საათამდე თავსდება. ეს იმას ნიშნავდა, რომ დასახელებული ტელეპროდუქტის ნახვა ოჯახთან ერთად იყო შესაძლებელი.

დრამისთვის ეს ნიშნავდა ჰეტეროსექსუალობის თითქმის უპირატეს ასახვას და თუ მასში მაინც ჩნდებოდა ჰეტერონორმატიული სტანდარტებიდან ჩამოცილებული იდენტობის დემონსტრირება, იგი აუცილებლად ზიზღისა და საყოველთაო მორალური განკითხვის საგანი უნდა გამხდარიყო. 1992 წელს მაუწყებლობის სტანდარტების კომისიის კვლევამ აჩვენა, რომ მაყურებლის დაახლოებით ერთი მესამედი ნაწილისთვის ტელევიზიით ჰომოსექსუალობის ნებისმიერი დემონსტრირება იყო დაუშვებელი, ხოლო ორი მესამედისთვის ნებისმიერი ჰომოსექსუალური ფიზიკური კონტაქტის ჩვენებაც კი შეურაცხმყოფელი იყო. 1999 წლისთვის ეს შეფარდება შემცირდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მაყურებელს შორის, მაგრამ მაინც, გამოკითხულთა ნახევარზე მეტისთვის მამაკაცების კოცნის გაშვება ცხრა საათამდე დროის ბადეში წარმოუდგენელი იყო. თუმცა, როგორც წესი, ლესბოსური კოცნის მიმართ რესპონდენტებმა ნაკლები აგრესია გამოამჟღავნეს (Carson and Llewellyn-Jones 2000; Creeber 2001a).

იმ მცირერიცხოვან შემთხვევებში, თუ 1980-იან წლებში ეკრანზე გვი ან ლესბოსელი გამოჩნდებოდა, ისინი აუცილებლად საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების განსახიერებას წარმოადგენ-

დნენ: „კემპ დედოფლები“ ან მოკლედ თმაშეჭრილი ლესბოსელები კომედიებში, ბოროტი და შიშისმომგვრელი პერსონაჟები თრილერებში ან გასაცოდავებელი ტიპაჟები სოციალურ დრამებში. ისინი მუდამ ჰეტეროსექსუალურ კონტექსტში მოიხსენიებოდნენ და პოზიციონირებულები იყვნენ, როგორც ერთმნიშვნელოვნად მარგინალური გმირები.

ლესბოსელების, გეებისა და ქვიარ იდენტობის მქონე ადამიანების წარმოჩენა პირდაპირ კონსტრუირებულია ჰეტეროცენტრულ ნარატივზე. ამგვარად, ჩვენ მათ აღვიქვამთ სტრეიტის თვალით და არა ისე, როგორც სინამდვილეშია (Doty and Gove 1997: 88). მხოლოდ 1975 წელს კვენტინ კრისპის დრამატული ცხოვრების ამსახველ სურათში „გაშიშვლებული სახელმწიფო მოხელე“ (The Naked Civil Servant, ტემზ ტელევიზიონი, 1975) ვხვდებით გვი გმირის მიმართ სიმპათიის გამოხატვას. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ბრიტანული ტელევიზიისთვის. მართალია, სურათმა მრავალი ჯილდო მიიღო, მაგრამ იგი მაინც გამონაკლისად დარჩა ბრიტანულ ტელეპროდუქციაში.

საბოლოო ჯამში, მთავარი პრობლემა მაინც მდგომარეობს არა გვი, ლესბოსელი და ქვიარ ადამიანების ნეგატიური სტერეოტიპებით წარმოჩენაში, არამედ მათ უხილავობაში (Munt 1992; Doty and Gove 1997: 86). ეს ხსნის იმ ფაქტორს, რომ „ქვიარ“ ადამიანი ნომინალური „სტრეიტის“ მიერ განიხილება როგორც უნეტებით, სამოსით, ლაპარაკის მანერით გამორჩეული სუბიექტი, რომელიც თავის თავში არანორმალურ (ისევე ჰეტეროცენტრული ქცევის საზომიდან გამომდინარე) ცხოვრების წესს გულისხმობს (Graham 1995; Doty and Gove 1997; Medhurst 1997). ზოგიერთ შემთხვევაში, ამ პერსონაჟებს განზრახ ორმაგი სუბკულტურული კოდირება ენიჭებათ, რათა მეინსტრიმული საზოგადოება არ გააღიზიანონ. არსებობს აგრეთვე კემპის ტრადიცია, რომლის თანახმადაც გვი მამაკაცები ქალის სამოსს ირგებენ და ეს გადაჭარბებული მელოდრამატული ან კომიკური გამოსვლა შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც „გენდერული ოინი“. ინტერპრეტირების ეს სხვადასხვაგვარობა, სხვა შემთხვევებში,

პერსონაჟთა ტექსტურ კონოტაციაზეც ვრცელდებოდა. სამეცნიერო ფანტასტიკის უანრში გადაღებულ Star Trek-ში (ენ-ბი-სი, 1966-69) წარმოდგენილია გვი რომანი სპოკსა და კაპიტან კირკს შორის (Jenkins 1995; Penley 1997). მოზარდი მაყურებლისთვის განკუთვნილი მომდევნო პერიოდის ამერიკული სერიალები ლესბოსელი პერსონაჟების „ფენტეზიში“ ჩართვას შეგნებულად ეწვეიან, რათა მეტი პოპულარობა მოიხვეჭონ. ასეთი სერიალებია Xena Warrior Princess (იუნივერსალი, 1995-2001) (Gwenllian Jones 2000; Pullen 2000) და Buffy the Vampire Slayer (ფოქსი, 1997-2003) (Parks and Levine 2003). ფორმათა ასეთი ხალასი ცვალებადობის შემსწრე ზოგიერთი მაყურებელი გააღიზიანა ქვიარ ადამიანების სურვილმა, ტელევიზია უფრო პოლიტორექტული ყოფილიყო და უმცირესობებისთვის გეტოები არ შეექმნა (Richardson 1995).

ჰომოსექსუალობა „სოციალურად პასუხისმგებელი“ ფორმით ჩნდებოდა იმ მიენსტრიმულ საპნის ოპერებში, რომლებიც ბრიტანულ ტელევიზიაში პრაიმტაიმში გადიოდა. ადრე საღამოს სატელევიზიო ბადეში მოთავსებულ თითქმის ყველა საპნის ოპერას უკვე ჰყავს გვი და ლესბოსელი პერსონაჟები, მაგრამ ისინი საზოგადოებაში აღარ ინვევენ ისეთ შოკს, როგორც ეს 1980-იან წლებში მოხდა უბრალო კოცნის ჩვენების გამო. თუმცა, ქვიარ პერსონაჟებზე დაწესებული ცენზურა მანც თვალშისაცემია, რადგან სერიალებში ჯერ კიდევ გვი და ლესბოსელი ადამიანების მხოლოდ გარკვეული „რესპექტაბელური“ ჯგუფი ჩანს, რომლებიც სტაბილურ ოჯახურ ურთიერთობებში იმყოფებიან. საპნის ოპერების პედაგოგიური გამოყენება, როგორც სოციალური განათლების ფორმისა, დიდხანს იყო აღიარებული და ექსპლუატირებული, რადგან ისინი განამტკიცებდნენ ამ უანრის უმთავრეს პრინციპებს - ოჯახური ფასეულობის დომინანციასა და მონესრიგებული სექსუალური კავშირების პროპაგანდას. დევიდ ბეკინჰემისა და სარა ბრევის კვლევამ ახალგაზრდა ადამიანებს შორის ტელევიზიით ნაჩვენები სექსუალური ქცევების რეზონანსირების შესახებ ნათლად გვიჩვენა, თუ რა დონეზე ახდენს გავლენას ეს სერიალები ბავშვებსა და მოზარდებზე, როდესაც საქმე

ეხება უფროსების ჩვეულებრივ დაფარულ სექსუალურ ქცევას, მათ შორის ცოლქმრულ ღალატსა და ჰომოსექსუალობას. სერიალის ღია ფორმა შესაძლებლობას იძლევა, აქ ნაჩვენები „დარღვევების“ შესახებ მეგობრებში და ოჯახში ისაუბრო. ამგვარად, საპნის ოპერებმა და თინეიჯერთათვის განკუთვნილმა ჟურნალებმა სექსუალური ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია მოზარდ თაობას ნაკლებ უხერხული ფორმით მიანოდეს, ვიდრე ეს სკოლაში იყო შესაძლებელი. მათ ის „ბიოლოგიური“ მიდგომა შეზღუდეს, რომლითაც „საგანმანათლებლო“ ხასიათის დებულებები ხასიათდებოდა.

მაგრამ, კვლავ პრობლემად რჩებოდა ლესბოსური და გეი სახეების მრავალსერიან საპნის ოპერებში წარმოდგენა. ჰეტერონორმატიულ ვითარებაში, ერთი ან ორი „განსხვავებული სექსუალობის მქონე“ პერსონაჟის იზოლირებულად ჩასმა არანაირად არ ასახავდა ქვიარ თემის ცხოვრებას. ამიტომაც, დასახელებული საკითხის ხანგრძლივ პერსპექტივაში ჩვენება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან სხვადასხვა სიუჟეტური ხაზის გადაკვეთა ამის გამო მკაცრად შეზღუდული იყო. მეორე პრობლემას წარმოადგენდა ტაბუ ინტიმური სცენების ჩვენებაზე. საზოგადოების განსაკუთრებულ აღშფოთებას გეი სცენები იწვევდა. გრეჰემ ნორტონის წამყვანის ამპლუაში მოვლინება იმას ადასტურებს, რომ მეინსტრიმულ ტელევიზიაში გეი რეპრეზენტაციულობის პრივილეგირებულ ფორმად სქესისთვის ქალური იმიჯის ინსინუაცირება იყო მიჩნეული. საპნის ოპერებში ასეთი გეი სახეები წარმოდგენილია სერიალებში Coronation Street და Eastenders, ბეტ ლინჩისა და პეგი მიტჩელის თმაგაუფერულებული შუახნის ქალების კემპის სტილში გადაწყვეტილი პერსონაჟებით.

Quality drama: განსხვავებულობის პოლიტიკა

ჩენელ4-ზე გეი და ლესბოსური დრამისთვის განკუთვნილი სივრცე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მეორე ბრიტანული არხის - ბი-ბი-სი2-სუმცირესობებისთვის დათმობილი ფორმატივგან. თავდაპირველად იგი ბი-ბი-სის მაუწყებლობის სრულიად სხვა პრინციპზე იყო დაფუძნებული.

ჩენელ⁴ განკუთვნილი იყო იმ აუდიტორიისთვის, რომელიც მენისტრიმული კომერციული არხის საქმიანობით კი არ იყო დაინტერესებული, არამედ ხელს უწყობდა სატელევიზიო სივრცეში გაჩენილ ექსპერიმენტებსა და ინოვაციებს. ასევე, იგი მენისტრიმული სატელევიზიო პოლიტიკის მიღმა დარჩენილი ჯგუფებისთვის აქტუალური სატელევიზიო პროგრამებისთვის წამახალისებელ პირობებს ქმნიდა. 1980-იანი წლების პერიოდში ჩენელ⁴ თავისუფალი ბაზრის კომერციული ინტერესებისგან სრულიად თავისუფალი იყო, რადგან არაკომერციულ ტელევიზიას წარმოადგენდა. ეს მას თავისუფალი ექსპერიმენტისთვის მწვანე შუქს აძლევდა. არხს კარგი შანსი ჰქონდა საიმისოდ, რომ აქცენტი მხატვრულ კინოსა და ექსპერიმენტულ ვიდეოზე გადაეტანა. ჩენელ⁴-ზე გასულ გეი სეზონის პირველ პროგრამას სახელად Pink ერქვა. მასში ჩართული იყო გეი რეჟისორ დერეკ ჯარმენის ორი ფილმი - „იუბილე“ და „სებასტიანი“. ჩენელ⁴-ის სტრუქტურა იმის საშუალებას იძლეოდა, რომ არხის პერსონალად ისეთი კადრების მოძიება მომხდარიყო, რომლებსაც ადრე ტელევიზიასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. ასე იქმნებოდა ლონდონის დიდი საბჭოსგან დაფინანსებული ლიცენზირებული სტუდიები. აქ ხშირად ფოკუსირება კეთდებოდა საზოგადოებისგან მონყვეტილ ისეთ ჯგუფებზე, რომლებსაც არამენისტრიმული სექსუალობა, ეთნიკურობა ან რასა ჰქონდათ. ამის მაგალითია „სანკოფა“, ბრიტანელ შავკანიან რეჟისორთა გაერთიანება, რომლის წევრებსაც ხელოვნების სფეროში მოღვაწეობის მდიდარი გამოცდილება გააჩნდათ. ისინი იკვლევდნენ ჰიბრიდული ეთნიკური იდენტობების მქონე ინდივიდების, განსაკუთრებით ბრიტანელი შავკანიანი ჰომოსექსუალების პრობლემების ხელოვნებაში ასახვის ხერხებს. მათ ამბიციურ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ წარმატებულ სურათში „მოგონებების ვნება“ (Passion of Remembrance, ბლექვედი და ჯულიენი, 1986), შავი მასკულინური სტერეოტიპების გასაქარწყლებლად გამოყენებულია ესთეტიკური ავანგარდი. ამ ხერხით მათ პროტესტი გამოუცხადეს იმ დროს დიდ ბრიტანეთში

გაბატონებულ რასობრივ და სექსუალურ პოლიტიკას (Mercer 1988; Parmar 1990; Hall 1996).

სურათში მოდერნული ავანგარდის სტილისტური ხერხი აღრეულია წყვეტილად მოცემული მოგონებების სცენებთან. წარსულში დაბრუნება იმისთვის არის საჭირო, რომ შავკანიანთა ისტორია „გამოსწორდეს“. თხრობის სამი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხაზი ერთმანეთის გვერდიგვერდ მიმდინარეობს. პირველი ნარატივი წარმოგვიდგენს აბსტრაქტულ უდაბნოში მყოფ შავკანიან ქალს, რომელიც ასევე შავკანიან მამაკაცთან ერთად მსჯელობს ბრიტანეთში შავკანიანთა მდგომარეობის შესახებ. ქალი თავშეკავებული და განონასწორებელია, მაშინ როდესაც კაცი რისხვას ვერ მალავს შექმნილი ვითარების გამო. მეორე სცენაში ნაჩვენებია შავკანიანი ბაპტისტური აღმსარებლობის ოჯახის ყოველდღიური ცხოვრება, მისი წევრების პერსონალური ისტორიები 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, 1980-იანების ჩათვლით. განსხვავებული რასის და სექსუალური იდენტობის პრობლემები მათი ცხოვრების თანმდევ დამლად ქცეულა. მესამე ნარატივი კი მთლიანად აგებულია დოკუმენტური კადრების მონტაჟზე. აქ ნაჩვენებია 1981 წელს ინგლისში ტოტალურად გაშლილი საპროტესტო გვი მოძრაობის კადრები, სადაც დემონსტრანტები ხელისუფლების მხრიდან უმცირესობების მიმართ სასტიკ მოპყრობას აპროტესტებენ. კადრებს თან ახლავს სხვადასხვა კომენტარები. სურათი გვიჩვენებს თემის შიგნით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, იგი „არტიკულაციის ახალი პოლიტიკის“ გამოჩენაზე მიგვითითებს, სადაც „პოლიტიკური იდენტობის“ დისკურსი იცვლება - ყალიბდება ახალი სახის პოლიტიკური ერთობები, რომლებიც დაფუძნებულია საერთო პოლიტიკურ ინტერესებზე და არა ვიწრო ესენციალისტურ კატეგორიებზე. „მეგი, შენ მართლა ლესბოსელი ხარ?“, „რისი გაკეთება შეუძლია გვი დემონსტრაციას შავკანიანთა უფლებების დასაცავად?“, - ისმის კადრსმიღმა. საკითხთა ასეთი დახარისხება ფილმის ავტორების შემფოთებას იწვევს. მათთვის უმთავრესი პრობლემა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული,

ეთნიკური, რასობრივი დიფერენციაცია კი არ არის, არამედ ერთობლივად შემუშავებული წინააღმდეგობის პოლიტიკაა (Williamson 1986).

ექსპერიმენტულმა ფორმებმა დიდი აუდიტორიის მოზიდვა ვერ შეძლო. გვიანი საღამოდან (23:00) დილამდე გამოყოფილი დროის ბადეში მოხვედრილი ტელეპროდუქცია დაბალი რეიტინგით სარგებლობდა. ამ ფილმების ჩვენება 1990-იანი წლების დასაწყისში სტუდიის დაფინანსებასთან ერთად სულაც შეწყდა, რადგან ისინი „საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქველმოქმედო ანაქრონიზმად“ იქცნენ (Caughie 2000: 200). მკვლევართა აზრით, ამ სივრცის დაკარგვამ დაასამარა სატელევიზიო დრამის ის ალტერნატიული ფორმა, რომელიც ექსპერიმენტირებითა და აგების სირთულით გამოირჩეოდა და კომერციული შეზღუდვებისგან თავისუფალი იყო. ეს მოვლენა ჭეშმარიტად ოპოზიციური ტელესივრცის დასასრულად მოინათლა. ჯუღით უილიამსონი 1988 წელს წერდა, რომ ამაში ჩადებული იყო ორმაგი პოლიტიკური შინაარსი. მისი აზრით, დასახელებული მოვლენები უმცირესობებზე ორიენტირებული მემარცხენე კულტურული პოლიტიკის გაჩენას მოასწავებდა. უილიამსონმა ამ ფილმების ხედვის წერტილის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება გადანყვიტა. მისი მტკიცებით, მათ არავინ უყურებდა, გარდა კულტურული კაპიტალის უკვე მქონე საზოგადოების განათლებული ელიტისა. მან მოიყვანა მემარცხენე არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ადამიანების დიდ რაოდენობასთან საკომუნიკაციოდ „საჭირო იყო სასიამოვნო ელფერის მქონე კინემატოგრაფის გამოცდილების გაზიარება“ (იქვე, 111-12).

ამის მაგალითად მან დაასახელა ჰანიფ კურეიშის სცენარის მიხედვით დადგმული სურათი „ჩემი ლამაზი სამრეცხაო“ (My Beautiful Laundrette, რეჟ. სტივენ ფრიზბი, 1985, ჩენელ4-ზე გადიოდა 1987 წელს). ფილმს უდიდესი კომერციული წარმატება ჰქონდა და ჩენელ4-ის კომპანიას დიდი პოპულარობა მოუტანა. თანამედროვე ბრიტანული საზოგადოების ყოფის ამსახველი ეს კომედია აუდიტორიისთვის მნიშვნელოვან თემებს ხარისხიანი რაკურსითა და

ზუსტი აქცენტებით აშუქებდა. აქ საკითხის პოლიტიკური აქტუალობა შერწყმულია პოპულარულ, ადვილად გასაგებ თხრობასთან, რომლის ფოკუსშიც აზიური ოჯახის ჰიბრიდული სექსუალობა და ეთნიკური იდენტობაა მოქცეული. ფილმის მთავარი გმირები არიან სამხრეთ ლონდონში სამრეცხაოს ოჯახური ბიზნესის მფლობელი ომარი, და ჯონი, მისი სკოლის მეგობარი, რომელიც ახლა სქინჰედი. საბოლოოდ, ჯონის რასისტი მეგობრები ძალადობის პროვოცირებას მოახდენენ. სურათში პრივატული ისტორიები ტექტურის ხისტ პოლიტიკურ ჩარჩოებშია მოქცეული და ბრიტანეთში მცხოვრები აზიელი ბიზნესმენების მდგომარეობას ბიზნეს და რასისტულ ჭრილში წარმოგვიდგენს. თანამედროვე ბრიტანულ საზოგადოებაში აგრერიგად აქტუალური რასობრივი პოლიტიკის, სექსუალობისა და ბიზნესის ურთიერთმიმართების პრობლემები რეჟისორს გადმოცემული აქვს ნატურალიზმის, კომედიისა და სიურეალისტური სცენების წყვეტილი ნარატივის მეშვეობით. შესაძლოა, ეს ნაზავი და თხრობის ღია ფორმა გახდა იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა პოზიციების შეჯერება ფილმში მოდერნული ესთეტიკის დიდაქტიკის გარეშე ხდება. ასევე, სურათის სოლიდური ბიუჯეტი განაპირობებს ვიზუალური მხარის მეტ სიმდიდრეს, ეს კი თავისთავად მეტ აუდიტორიას იზიდავს და პოტენციურად საერთაშორისო ბაზარზე გასვლის პერსპექტივასაც ბადებს (Carson and Llewellyn-Jones 2000). ფილმში გამოყენებულია სექსუალური გამოსახულების ვიზუალური და ნარატიული ტრადიციები. „გარკვეულწილად, ეს არის აბსოლუტურად კლასიკური რომანი. თქვენ კვდებით, ისე გინდათ ამ ადამიანების კოცნის ხილვა, რომლებიც მამაკაცები არიან, თან ერთი შავი და მეორე – თეთრი“ (Williamson 1988: 111).

რამდენიმე წლის შემდეგ ბი-ბი-სიმ ჰანიფ კურეიმის რომანის მოტივებზე გადაიღო სერიალი „გარეუბნელი ბუდა“ (The Buddha of Suburbia, ბი-ბი-სი2, 1993), რომელიც ასევე შეიცავდა სხვადასხვა რასების წარმომადგენელთა გეი-რომანტიკულ სცენებს. იგი მოგვითხრობს სიმნიფის ასაკში მყოფი, ნარევი რასების წარმომავლობის მქონე ახალგაზრდა კაცის, ქარიმის შესახებ, რომლის ამბიციები, გა-

დეს მსახიობი, მას ლონდონის გარეუბნიდან ქალაქის თეატრალური სცენის ბოჰემეში შეიყვანს. აქ წარმოდგენილია 1970-იანი წლების ბოჰემური კულტურის ერთდროულად კრიტიკული და ნოსტალგიური ჰაროდია, სადაც მოვლენების პერსონაჟები განსხვავებული მიმართემოციურ ემპათიასა და ინტელექტუალურ თავდაჭერილობას შორის ორჭოფობენ. ამას გარდა, სერიალში კოლონიური იდეოლოგიის დაცინვაიგრძნობა, რომელსაც ინგლისელების ინდოელებით აღტაცება უდევს საფუძვლად; აქ 1980-იან წლებში სოკოებივით მომრავლებული დრამების „მემკვიდრეობასაც“ ვაწყდებით. ლონდონის გარეუბნის სიტუაცია განსაკუთრებით სასაცილოს ხდის დაპირისპირებას არა მხოლოდ ინგლისური მხრიდან, არამედ ქარიმის ინდოელი მამის მხრიდანაც, რომელიც ხან მისტიკური გურუს როლში წარმოგვიდგება, ხანაც მგზნებარე საყვარლის იმიჯს ირგებს. ფაქტიურად, ამ ორი სამყაროს შეჯახებას ბახტინისეული კარნავალიზაციის სახე აქვს (1984), როდესაც ყველანაირი დაძაბულობა სიცილის ეფექტით ნეიტრალდება. „ყოველგვარი ჰაროდია განზრახ დიალოგიზებული ჰიბრიდია. მის ფარგლებში ენა და სტილი ერთურთს ავსებენ“. დრამის პოლიტიკური ამბივალენტობა თავს იჩენს მთავარი გმირის, ქარიმის ირგვლივ გაჩენილ დისკუსიაშიც. იმისდა მიხედვით, თუ რა ასპექტებზე ხდება ყურადღების გამახვილება, დრამა ღიაა აბსოლუტურად განსხვავებული ინტერპრეტაციებისთვის (Rose 1993: 154).

მაგალითად, ბრიუს კარსონი (2000) ამტკიცებს, რომ სატელევიზიო ვერსიაში, რომანისგან განსხვავებით, დაკარგულია მთავარ გმირზე ფოკუსი და სატირული კონტექსტი შემცირებულია. შედეგად ვხვდებით სიტუაციას, სადაც ქარიმის სექსუალური მიმზიდველობა მაყურებლის მიერ სასაცილოდ კი არა, ფეტიშისტურად აღიქმება. კარსონი ეყრდნობა რასობრივ ურთიერთობათა პოსტკოლონიურ კრიტიკას, რომელმაც ასეთი ძლიერი გავლენა იქონია ფილმის ავტორებზე. მისი აზრით, ქარიმის ეგზოტიკურობა მის „განსხვავებულობაში“ მდგომარეობს, რაც მის გმირს თავისზე პრივილეგირებულ თეთრკანიანთა დაჟინებული მზერის ქვეშ მყოფი

პასიური სექსუალური ობიექტის როლს ანიჭებს. თავის მოსაზრების გასამყარებლად, მკვლევარს ქარიშის ქალური ჩაცმულობა მოჰყავს, რომელსაც თავისი ანდროგინულობით 1970-იანი წლების კამკაშა ბოჰემურობის კვალი ატყვია. ამ კონტექსტში არც თეთრკანიანი კაცების ეროტიკული იმიჯები სცდება რეკლამის, მუსიკალური ვიდეოსა და გვი პორნოგრაფიის საზღვარს. პირადად ჩემი აზრით, ფეტიშიზაციას მისი აშკარა კრიტიკა მოსდევს. ჩვენ გვეცინება თეთრკანიან რეჟისორზე, რომელიც მიუხედავად თავისი რადიკალური შეხედულებებისა, ქარიშის ეგზოტიკურობის ხიბლს ვერ უძლებს და ინდური კულტურის ეროტიკულ პროექციას მიმართავს. ეს კულმინაციას აღწევს სცენაში, სადაც ქარიში მას საკუთარ ცოლთან ჯგუფურ სექსში იწვევს.

მეორე მხრივ, დევიდ ოსველი (1998) „გარეუბნელ ბუდას“ კითხულობს, როგორც პოსტმოდერნულ რომანს. მკვლევარი ხაზს უსვამს დრამაში არამდგრადი სექსუალობის „ქვიარ“ გამოვლინებას, რომელიც შევიწროვებულია რასის, კლასის, სქესისა და გეოგრაფიული მოცემულობის საზღვრებით. შემეცნებითი მოგზაურობა ქარიშს საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი აღმოაჩინოს ალტერნატიული იდენტობების მიმართპოსტმოდერნულ ღიაობაში. ქარიშის სექსუალური ორიენტაციის „ქვიარ“ განსაზღვრება მას ათქმევინებს, რომ შეუძლია „ნებისმიერი გაუიმოს“. როგორც ოსველი ამბობს, ეს მართლაც ასეა, და ეს უკავშირდება პერსონაჟის „შუალედურ“ რასობრივ პოზიციონირებას ინდურ და თეთრკანიან იდენტობებს შორის, რაც არღვევს მის გენდერულ პოზიციას და ეთნიკურ მიკუთვნებულობას. ოსველის აზრით, ქარიში სცდება იმ იდენტობის საზღვრებს, რომელიც მას კარნახობს, თუ ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა უყვარდეს. ეს ეხება ქალაქის გეოგრაფიულ საზღვრებსაც, რადგან მხოლოდ თეატრის მსახიობად გახდომის შემდეგ აღმოაჩენს იგი მეტროპოლიის მთელ სიდიადეს. მაგრამ, აქ ცენტრი გარეუბნის ანტითეზად სულაც არ წარმოგვიდგება. პერსონაჟი უნდა შეეხებას რასობრივ სტერეოტიპებს, მაგრამ არა კიპლინგის ჯუნგლების წიგნში წარმოდგენილებს, არამედ თეატრის იმპროვი-

ზებულ სივრცეში მოცემულებს. მაყურებელს საშუალება აქვს, ასევე გარეუბნების უინტერესობასა და ერთფეროვნებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების მსხვერველს ადევნოს თვალი. ეს კარგად ჩანს ჯგუფური სექსის კომიკურად აგებულ სცენაში, სადაც ნაჩვენებია, რომ ქარიშის მრავალგვარ სექსუალურ გამოცდილებას გარეუბანშიც დიდი პრაქტიკა ემატება. გარეუბანში, ჩარლის სახლის სხვენში წარმოდგენილი ჰომოსექსუალური სცენა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ გარეუბანი სექსუალური პრაქტიკების მხრივ ამკარად ჰიბრიდულ და არა დახურულ, ერთგვაროვან და ნორმატიულ სივრცეს წარმოადგენს (Oswell 1998: 166–9).

ქარიშის ქვიარ იდენტობასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა - კატეგორიზაციისადმი მისი რემისტანტულობისა და ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვის პირობებში, რისი მეშვეობით ახერხებს იგი ჯგუფური იდენტობების პოლიტიკის ნებისმიერი გამოვლენის განეიტრალებას? რასაკვირველია, ქარიშისთვის ძალზე მოუხერხებელია ყოველ ჯერზე სხვადასხვა სოციალურ თემთან შეჯახება, რაც საბოლოო ჯამში მის პიროვნებას სხვადასხვაგვარად ცვლის. ეს არც თავად ქარიშს მოსწონს. ოსველს მოჰყავს ფინალური ეპიზოდი, როდესაც ჯამილა ქარიშს ანტიფემინისტურ დემონსტრაციაზე წასვლას უშლის. „სად მიდის ქარიში, როგორც პიროვნება?“, - ეკითხება იგი მას. ახლა უკვე სახელგანთქმულ პოპვარსკვლავად ქცეულ ჩარლისთან საბოლოო საუბარში ქარიში ხვდება, რომ აღარც მასზე შეყვარებულია და აღარც მისით აღფრთოვანებული. ჩარლის განცხადებაზე, რომელშიც ტეტჩერის ერის დასაწყისის მაცნედ გვევლინება („ფული - ყველაფერი“), იგი პასუხობს: „როდესაც მე ვფიქრობდი, რომ ყველაფრის ქონა ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, იმ დროს მამაჩემი სულიერებაზე იწყებდა ლაპარაკს, მე კი მეგონა, რომ ეს ნეხვობა იყო და სხვა არაფერი“. ოსველი მიიჩნევს, რომ ამ დიალოგში მოცემულია ქვიარ ადამიანების ყოფის შემოსაზღვრულობა. თვითრეალიზაციისკენ მიმავალ გზაზე რაიმეს ან ვინმესთვის ანგარიშის განწევა მიღებულ პრაქტიკას არ წარმოადგენს და საბო-

ლოოდ მომხმარებლური კაპიტალიზმის მატერიალურ ფასეულობებს წინ აღარაფერი ეღობება (Oswell 1998: 171).

ამგვარად, ყველა მაყურებელი, ისევე როგორც თავად ქარიმი, კრიტიკულად რეფლექსიური და ღია ხდება ახალი იდენტობების მისაღებად. ეროტიკული და პოლიტიკური გარსის ამგვარი შეხამება ართულებს ტექსტის იდეოლოგიური გავლენის ნებისმიერი სახით ინტერპრეტირებას და არ გამოორიცხავს მის უზუსტობებს. ოსველს მოჰყავს ჯომეფ ბრისტოუს ციტირება, რომელიც ტექსტს აღიქვამს როგორც *cruising zone*-ს, რომელიც მაყურებლებს საშუალებას აძლევს, საკუთარი თავის ჩამოყალიბების პროცესშიწარმოსახვითი იდენტიფიკაციები მოახდინოს. მაგრამ, ეს ღიაობა ჩვენშიც იგივე კითხვებს ბადებს, რასაც ქარიმში. პოსტმოდერნული კულტურის დეპოლიტიზებულ დისკურსში ინდივიდი საკუთარი სიამოვნების მიღმა აღარავის და აღარაფერს ამჩნევს. ამ მხრივ, „გარეუბნულ ბუდაში“ ვხედავთ, რომესენციალისტურ იდენტობებზე უარის თქმას უკან, დეპოლიტიზებული ინდივიდუალიზმისკენ მიყვავართ და არა იდენტობის პოლიტიკამდე, სადაც რამდენიმე იდენტობის არტიკულაციათა კომპლექსია მოცემული.

არაპოლიტორექტული ქვიარ დრამა

1990-იანების მეორე ნახევრის განმავლობაში, ჩენელ4, როგორც სრულფასოვანი კომერციული კომპანია, რეკლამის გაყიდვით ცდილობდა, მოგება მიეღო და რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა მაყურებელი მიეზიდა. ზოგიერთი მკვლევარის შეფასებით (Caughie, 2000: 192–7), ჩენელ4 1980-იანებში საეთერო სივრცეს უთმობდა სერიოზულ, ოპოზიციურ დრამას, რომელსაც კომერციული წარმატება არ მოჰქონდა და რომლის წარმოებაც მარკეტინგულად წამგებიანი იყო. მკვლევარის აზრით, სურათში „ჩემი ლამაზი სამრეცხაო“ არც ცნობილი შემსრულებლები მონაწილეობენ, მას არც ცნობილი სცენარისტი ჰყავს, ძალიან ცვალებადი ფორმისაა, არ გააჩნია ზუსტი ნარატიული ფოკუსი, აქვს ძალზე ბევრი სიუჟეტური ხაზი, ძალზე ბევრი თემაა წამოჭრილი და ძალიან ცოტა დასკვნაა

გაკეთებული. აქ გატარებული ორმაგი, რთული პოლიტიკა შლის საზღვრებს კარგ და ცუდ ბიჭებს შორის (იქვე, 198–9). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ფორმა ძალიან ჰგავს აშშ-ის კომერციული სისტემის წიაღში ჩასახულ მულტინარატიული ფორმების მქონე პოსტმოდერნულ დრამა-სერიალს, რომელიც პრესტიჟულ მაყურებელზეა გათვლილი. დიდ ბრიტანეთში ასეთ „ხარისხიან“ სერიალებში, კომერციულ მოგებაზე გათვლილ დრამაში გეი და ლესბოსური სექსუალობა „პროგრესული“ კონსტრუქციით იყო ნაჩვენები. როდესაც საქმე სექსუალურ მრავალგვარობას ეხება, კომერციული არხები კულტურულ ინოვაციათა მხრივ მონინავე პოზიციას იკავებენ. ამით ისინი ცდილობენ, სატელევიზიო სივრცეში განსხვავებულ ნიშა იპოვონ.

სერიალი *Queer as Folk* შედგებოდა რვა ძირითადი და ორი დამატებითი ნაწილისგან (ჩვენელ 4, 1999-2000). აქ წარმოდგენილია მთელი რიგი ქვიარ იდენტობებისა, რომლებიც სულაც არ არიან მორგებულნი გარკვეულ სტერეოტიპებთან. სერიალში წარმოდგენილმა გეი სექსუალობამ 4 მილიონი მაყურებელი ეკრანს მიაჯაჭვა. მისი, როგორც ხარისხიანი პროდუქტის მაჩვენებელი, კიდევ უფრო ასწია საერთაშორისო კინოფესტივალებზე ჩვენებებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სერიალის უფრო ვრცელი ვერსია საგანგებოდ აშშ-ის ბაზრისთვის შეიქმნა. ორიგინალურ სიუჟეტზე დაფუძნებული სცენარი ამერიკელი ავტორების ჯგუფმა დაწერა. ორივე სახით გადაღებულმა ტელეპროდუქტმა ნამდვილი კომერციული ბუმი დაატრიალა და საკულტო სტატუსი შეიძინა. კომერციული წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სერიალთან დაკავშირებული სუვენირებიც კი თვალის დახამხამებაში იყიდებოდა. *Queer as Folk* ქვიარ სექსუალობის ტელევიზიაში ასახვის მართლაც საკვანძო ეტაპს აღნიშნავდა, რომელმაც ლოგიკურად დაასრულა წინა ოცი წლის მანძილზე გაჩაღებული დისკუსია ტელევიზიაში „განსხვავებული“ სექსუალობის რეპრეზენტირების ირგვლივ. აქ აქცენტი კეთდება არა ქვიარ ადამიანების მონაწილეობაზე ან უარყოფითი სტერეოტიპებით წარმოჩენა-არწარმოჩენაზე, არამედ მოცემულია ხასიათების

მრავალფეროვნება, სადაც რბილი, წმინდანი, სექსუალობაგამოცლილი, მენსტრიმული ტიპაჟები კი აღარ გვხვდება, არამედ ისეთივე მრავალგვარი სახეებია წარმოდგენილი, როგორებიც ჰეტეროსექსუალები არიან (Doty and Gove 1997: 87). ქვიარ პოლიტიკის აქტიურმა ზემოქმედებამ საბოლოოდ მიგვიყვანა ღია სექსუალური ტიპაჟების „არაპოლიტორექტულ“ ასახვამდე, რომელმაც გაბედა და ჰეტერონორმატიული სტანდარტების ზღვარს გადააბიჯა. ამის შედეგად აღიარებულ იქნა რიგი ქვიარ სექსუალური პრაქტიკებისა, რომლებიც გასცდნენ გეი და ლესბოსური ასიმილირებული წყვილის აქამდე შემოსაზღვრულ ჩარჩოებს. ეს იყო გამონგევა, რომელიც ტელესივრცეში აქამდე სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა და ჰომოეროტიზმის გამოვლინებად ნათლავდა ერთი სქესის ადამიანებს შორის კოცნასაც კი.

Queer as Folk-მა, რასაკვირველია, ბევრი ადამიანი შოკში ჩააგდო, მაგრამ მიუხედავად მაყურებელთა ნაწილის უკმაყოფილებისა, სერიალის თავბრუდამხვევმა წარმატებამ, საერთო ჯამში, შესაძლო ნეგატიური შედეგები გაანეიტრალა. თავისი პოზიციის გასამართლებლად, მსგავს პრეტენზიებზე ჩენელ4-ის რეგულატორების პასუხი იყო, რომ სერიალში წარმოდგენილია სექსუალური რეგულირების სხვადასხვა, მრავალფეროვანი დისკურსები. განსაკუთრებით გაღიზიანება გამოიწვია სამმა სხვადასხვა ეპიზოდმა, რომლებიც „უნესოდ“ მოინათლა. პირველ შემთხვევაში, ყველაზე სერიოზული აღშფოთება მოჰყვა გეი სექსუალური აქტის დანვრილებით ჩვენებას 15 წლის მოზარდის მონაწილეობით. აქ გამოთქმული იყო პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ დასახელებული სცენა ეთერში საკმარისი გაფრთხილებების გარეშე გავიდა, რომ მას საგანმანათლებლო ინფორმაცია უნდა მოჰყოლოდა ისეთი თემების შესახებ, როგორებიცაა ახალგაზრდა ადამიანების სექსუალობა და უსაფრთხო სექსი. აგრეთვე, პრეტენზიები გამოითქვა დასახელებული ეპიზოდის საზეიმო ტონთან და ავტორთა მხრიდან კრიტიკული პოზიციის არარსებობასთან დაკავშირებით. ამაზე ჩენელ4-ის პასუხი იყო, რომ გეი არასრულწლოვანთა არაკანონიერი სექსის სცენის

ჩვენება ტელედრამისათვის ნამდვილად ისეთივე კანონიერი იყო, როგორც ნებისმიერი სხვა არაკანონიერი ქმედების ასახვა - ქურდობა იქნებოდა ეს, თუ ძარცვა-ყაჩაღობა. ამას გარდა, ამ შემთხვევაშიც არხი თავის მისიას იცავდა, რაც „ალტერნატიული მოსაზრებების ეკრანზე გადატანაში“ მდგომარეობდა (Gibson 1999b).

გასაკვირი არ არის, რომ ამასთან დაკავშირებით თავად გეი და ლესბოსელი თემის წევრებს შორის აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა წარმოიშვა. სერიალში წარმოდგენილია შეხედულებები, რომლებიც ეყრდნობა განსხვავებულ ლესბი-გეი მოძრაობებისა და ქვიარ აქტივიზმის პოლიტიკურ სტრატეგიებს შორის. გეი განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალური პოლიტიკის თვალსაზრისით, რომელიც თანასწორუფლებიანობისთვის იბრძოდა, თავაშვებული სექსუალური ცხოვრების მქონე, ქარიზმატული 29 წლის კაცისა და 15 წლის უმანკო ბიჭის ათწუთიანი სექსუალური აქტის ჩვენება ნამდვილი პოლიტიკური კატასტროფა იყო. სტიუარტის მიერ სკოლის მოსწავლის, ნათანის მონიხვლის სცენა ისე დეტალურადაა აღწერილი, რომ მაყურებელი ყველაფრის მონმე ხდება, მათ შორის ეაკულაციისა (პირდაპირი მნიშვნელობით). მაყურებლის წინაშე ასეთი გულახდილი სცენის დემონსტრირება გამომწვევად იყო ტელევიზიაში სექსუალური ეტიკეტის დადგენილი სტანდარტების წინაშე. სცენა კიდევ უფრო მეტ პროვოკაციულობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ იმ დროს დიდი ბრიტანეთის პარლამენტი განიხილავდა ჰომოფობიურ წინასწარგანწყობაზე დაფუძნებულ კანონპროექტს ორმხრივი თანხმობის პირობებში ასაკის 16 წლამდე დაწვევასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ჰომოსექსუალებს გააჩნიათ არასრულწლოვანი ბიჭების შეცდენის არაკონტროლირებადი სურვილი.

და მაინც, ის მოსაზრება, თითქოს სერიალი Queer as Folk უნესრიგო და უპასუხისმგებლო გეი სექსს გვიჩვენებს, როგორც ცხოვრების სასურველ წესს, თავად დრამის მრავალნახნაგოვან ინტერპრეტირებაზეა დამოკიდებული, რომელიც სირთულითა და ამბივალენტობით გამოირჩევა. სალი მუნტი და პიტერ ბილინგჰემი

(2000) გვიჩვენებენ, თუ როგორ წინააღმდეგობებსა და რეპრესიებს განიცდის გვი იდენტობაზე აგებული დრამა 1990-იანი წლების დასასრულს, რომელიც გაურბის სწორხაზოვან იდეოლოგიურ ინტერპრეტირებას და უარს ამბობს ერთმნიშვნელოვნად დადებით ან უარყოფითი სახეების პროექციაზე. იგი წარმოგვიდგენს გვი ცხოვრების ისეთ სურათს, რომლის ნახვაც ტელევიზიით ადრე იშვიათად თუ შეიძლებოდა. ამ ხერხით, შეგნებულად ხდება გვის, როგორც მარტოხელა, სექსუალობის კონტექსტგამოცლილი დამხმარე ფიგურის სტერეოტიპის მსხვერვა, რომლის ფუნქცია კინოში მხოლოდ ჰეტეროსექსუალური სიუჟეტის გამრავალფეროვნებაა (Munt 2000: 532). დრამაში იკვეთება სამი გვი მამაკაცის ურთიერთობა როგორც საკუთარ ოჯახებთან, ასევე ერთმანეთთან. სტიუარტის კონფლიქტური, სექსუალურად უკიდურესად თავაშვებული ქვიარ სახე კონტრაქტში მოდის ზნეობრივი ღირებულებების დამცველ, მშვიდ და განონასწორებულ, მასზე ყურებაში შეყვარებულ ვინსთან. ეს საგრძნობი კონტრასტი სტიუარტს საფუძველს აძლევს, ვინსს უწოდოს „სთრეითი, რომელსაც ხანდახან კაცთან ჟიმაობაც უწევს ხოლმე“. თხრობის მრავალრიცხოვანი ძაფი ერთურთს გაუთვალისწინებელი შემთხვევებით გადაკვეთს, დრამა ნებისმიერი დაფიქსირებული პოზიციის რღვევის ხარჯზე ვითარდება. ეს ფაქტორი დრამის პერსონაჟთა ქცევის შეფასებას ძალზე ართულებს. ავტორები ფინალური ეპიზოდის მოდალობის დარღვევასაც მიმართავენ და თხრობის ნატურალისტური, გლამურნაზავი სტილი ირონიზებულ უტოპიურ ფანტაზიად იქცევა, რომელიც საკულტო დრამის „ტელმა და ლუიზას“ (Scott 1991) პაროდირებაში გადადის - სიყვარული ყველაფერს ამარცხებს, სტიუარტი და ვინსი ჩამავალი მზის სხივებში დაინთქმებიან.

ჰომოსექსუალობისთვის მიკერებული სირცხვილულობის დამლის გვი სიამაყედ გარდასახვის სურვილი, როგორც ჩანს, არა მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირების საქმეა, არამედ რთული ფსიქოლოგიური პრობლემაცაა. სალი მუნტი სერიალს Queer as Folk კითხულობს, როგორც ამბივალენტობის კვლევას, რომელიც სირცხ-

ვილი/სიამაყის დიქტომიის შედეგად წარმოქმნილია ჰომოფობიასთან ბრძოლის პროცესში. დრამაში წარმოდგენილია ქვიარ იდენტობის ადამიანების იატაკქვეშეთიდან გამოსვლის სურათი. აქ სირცხვილის ადგილს ექსკლუზიის სხვა ფორმები იკავებს, რომლებიც რასაზე, სოციალურ კლასსა და გენდერზეა დაფუძნებული.

მანჩესტერის კლუბური სცენის გამოსახვით, ქენელ სტრიტის კომოდიფიცირებული გეი კვარტალი ცხოვრების ჰომოსექსუალურ სტილს სასურველად და მიმზიდველად წარმოგვიდგენს. აქ „მოძებნე“, „იუიმავე“, „დაივინყე“ გვეჩვენება უწყინარ, მორალიზმისა და შიღსთან დაკავშირებული თავშეკავებისგან თავისუფალ ჰედონისტურ მსჯელობად. და მაინც, მუნტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორზე, თუ რა დონეზე მოტივირებულია სტიუარტი სირცხვილით. ეს კარგად ჩანს მშობლების წინაშე მისი ქამინგაუთის სცენაში, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის ტკივილი და შეურაცხყოფა, რაც კი ოდესმე გადაუტანია. რასაკვირველია, ეს მახასიათებლები მის პიროვნებას დადებითი კუთხით წარმოაჩენს. მკვლევარის აზრით, ჰომოფობიურ გარემოში ცხოვრებისას დაგროვებულ ტკივილს სტიუარტი ფანტაზიებში პროეცირებული სასტიკი შურისძიებითა და დანაშაულებებით იყუჩებს. სერიალში ეს სცენები მიმზიდველი და მომხიბლავი გეი სცენების საზღვრებს მიღმა ნაჩვენებია. სტიუარტი და ვინსი გარეუბანში სტიუარტის გეი მეგობრის დედის მანქანას აფეთქებენ, რომელმაც თავის დროზე მასთან ურთიერთობაზე უარი თქვა. სტიუარტონ კავშირის შედეგად ნათანი ისეთ თავდაჯერებას იძენს, რომ სკოლაში შავკანიან მასწავლებელს ჰომოფობიური გამოხდომებისთვის მისთვის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. „ჰომოფობია ახლა ლოკალიზებულია არათეორკანიანი მუშათა კლასის კულტურაში, რომლის წარმომადგენლებიც მტრებად აღიქმებიან“ (Munt 2000: 538).

მუნტის აზრით, ამ ჩანაცვლებებზეტექსტი ყურადღებას შეგნებულად ამახვილებს. როდესაც 15 წლის ნათანი სკოლაში ჰომოფობიურ ჩხუბში აღმოჩნდება ჩაბმული, იგი თავის მძიმე ხვედრზე დაიჩვილებს. მაშინ მეგობარი ღონა მას პასუხობს: „მე შავკანიანი ვარ,

და თან გოგო. აბა სცადე და თუნდაც ერთი კვირით თავი ჩემს ადგილას წარმოიდგინე!“ ვინსს გვი შივი აკლია, იგი ჯერ კიდევ აღტაცებულია დოქტორ ჰუს მოდიდან გადასული ვიდეთი, მისი წვრილბურჟუაზიული მისწრაფება სუპერმარკეტის მენეჯერობისკენ, მისი გაღარიბებული, მაგრამ თავგანწირული ოჯახი კონტრაპუნქტში მოდის სტიუარტის ადვილად მოპოვებულ და ეგოისტურ ფუფუნებასთან. ამავე დროს, სტიუარტი პოეტური თაყვანისცემის ცენტრში იმყოფება და ვინსის მისადმი უპასუხო სიყვარული მაყურებლის სურვილთა გამტარად წარმოგვიდგება. სტიუარტისათვის სურვილისა და სიყვარულის განცალკევებულობა ამ თვალსაზრისით აღიქმება არა როგორც მისაბაძი იდენტობა, არამედ როგორც ფსიქოლოგიური ტრაგედია, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება. სირცხვილის მავნე შედეგებს ჯერ თუ არ აღიარებ, მათი გადალახვა შეუძლებელი გახდება. სალი მუნტის მტკიცებით (2000: 541), სერიალი *Queer as Folk* სწორედ ამ პროცესს ასახავს. გამონაგონი ნარატივები ერთ-ერთი გზაა, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი ფარული ცხოვრების წინააღმდეგობებში გადავდივართ: ნარატივებს შეუძლია ჩვენს მიერ განვლილი ცხოვრების კონკრეტული მონაკვეთების და თუ საჭიროა განსაცდელის მომენტების აღდგენა. *Queer as Folk*-ში გვი პრომისკუიტეტზე ფოკუსირება „შესაძლოა, სახიფათოა საზღვრების რღვევის მხრივ, მაგრამ სამაგიეროდ, გვიჩვენებს იმ გაუთვალისწინებელ გზებს, რომლებსაც ამბივალენტურ შედეგებამდე მივყავართ იმ ვითარებაში, სადაც გვი იდენტობის რეფორმაცია ხდება სირცხვილის შემდეგ“ (იქვე, 541).

დასკვნა

სხვა კულტურული სფეროებისგან განსხვავებით, ბრიტანული ტელევიზია სექსუალურ თხრობითობას რამდენადმე ჩამორჩა, რადგან თავისი აუდიტორიის უმრავლესი ნაწილის განაწყენებას ერიდებოდა. სატელევიზიო დრამაში წარმოდგენილი გვი და ლესბოსური ნარატივები ჯერ კიდევ პრაიმთაიმის „რესპექტაბელობის“ ჩარჩოებშია მოქცეული და შედარებით მცირერიცხოვანია. მიუხე-

დავად ამისა, როგორც ვნახეთ, გამოჩნდა უმცირესობებისთვის განკუთვნილი დრამები, სადაც ჰომოსექსუალობაზე დადებული ტაბუები აღარ მოქმედებდა. პოსტმოდერნული ესთეტიკის შედეგად წარმოქმნილი კულტურულ გემოვნებათა ცვლილება ამ ისტორიების გადმოცემის ფორმებსაც შეეხო. ჩვენ მათში უკვე აღარ ვაწყდებით სწორხაზოვან თხრობას, რომლებიც სექსუალური იდენტობის „ნამდვილ დისკურსირებას“ და რეალისტურ ავთენტობას ისახავს მიზნად. პოსტმოდერნულ დრამას ხელენიფება ცვალებადი იდენტობების და ამბივალენტური გამოცდილების ასახვა, ისინი სექსუალურ შესაძლებლობათა სფეროს წარმოადგენენ. ეს იმ აუდიტორიისთვის არის გათვალისწინებული, რომელიც ქვიარ მოდელების ირონიული და მოთამაშე ხერხების კითხვას არის მიჩვეული, სადაც სიამოვნების მომგვრელი ფანტაზია და გადაჭარბება დადებით როლს თამაშობს.

ჩივილი იმის თაობაზე, რომ ეს არის „რეალურ სამყაროში“ პოლიტიკური და მორალური ვალდებულებებისგან გაქცევა, როდესაც გეი და ლესბოსელი ადამიანები პრივილეგიებული უბრანული ელიტის მიღმა რჩებიან და ჰომოფობიური განწყობებისგან კვლავ იდევნიებიან, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართებული, ზოგიერთ შემთხვევაში კი სრულიად უადგილოა. მომხმარებლური კულტურის „რეალურმა სამყარომ“ კულტურული კონტექსტი შეიცვალა, სადაც ყველაზე დახურულ ჰომოსექსუალსაც კი თავისი ცხოვრება გააჩნია. მე ვიტყვოდი, რომ სექსუალურ უმცირესობათა კულტურული მდგომარეობების თანასწორობა აღიარებულ უნდა იქნას, და ეს დრამას უკეთესს ხდის: ადგილი ჩნდება ფსიქოლოგიური სირთულეებისა და სიამოვნების მომნიჭებელი ფანტაზიისთვის. ეს „ოპოზიციურ საზოგადოებრივ სფეროში“ სამოქალაქო უფლებების მოთხოვნის ჩარჩოებს მიღმა გადის. ეს ფიქციური ფორმები სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზემართლაც ზემოქმედებენ. მაგრამ, ჩვენ იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ისინი ყოველთვის პოლიტკორექტულები იქნებიან.

რეკომენდებული საკითხავი

- Bakhtin, M. (1984) *Rabelais and His World*. Bloomington: Indiana University Press.
- Bell, D. and Binnie, J. (2000) *The Sexual Citizen: Queer Politics and Beyond*. Cambridge: Polity Press.
- Bennet, T., Boyd-Bowman, S., Mercer, C. and Woollacott, J. (eds) (1981) *Popular Film and Television*. London: British Film Institute.
- Billington, P. (2000) A Manchester heterotopia? 'Queer as Folk', in *Sensing the City through Television*. Bristol: Intellect.
- Bocock, R. (1997) Choice and regulation: sexual moralities, in K. Thompson (ed.) *Media and Cultural Regulation*. London: Sage/Open University.
- Bristow, J. (1997) *Sexuality*. London: Routledge.
- Butler, J. (1990) *Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity*. London: Routledge.
- Capsuto, S. (2000) *Alternate Channels: The Uncensored Story of Gay and Lesbian Images on Radio and Television*. New York: Ballantine Books.
- Carson, B. (2000) Cultural hybridity, masculinity and nostalgia, in B. Carson and M. Llewellyn-Jones (eds) *Frames and Fictions on Television: The Politics of Identity within Drama*. Exeter: Intellect Books.
- Carson, B. and Llewellyn-Jones, M. (eds) (2000) *Frames and Fictions on Television: The Politics of Identity within Drama*. Exeter: Intellect Books.
- Carter, C., Branston, G. and Allan, S. (eds) (1998) *News, Gender and Power*. London: Routledge.
- Caughie, J. (2000) *TV Drama: Realism, Modernism and British Culture*. Oxford: Oxford University Press.
- Doty, A. and Gove, B. (1997) Queer representation in the mass media, in A. Medhurst and

- S. Munt (eds) *Lesbian and Gay Studies Reader*. London: Cassell.
- Dow, B. (1996) *Prime-time Feminism: Television, Media Culture and the Women's Movement since 1970*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- Gibson, J. (1999a) Get your kit on. *Guardian* (G2 Supplement), 8 June.
- Gibson, J. (1999b) Gay programme upsets viewers. *Guardian*, 22 June.
- Gross, L. (1989) Out of the mainstream: sexual minorities and the mass media, in E. Seiter, H. Borchers, G. Kreutzner and E. Warth (eds) *Television, Audiences and Cultural Power*. London: Routledge.
- Hennessy, R. (1995) Queer visibility in commodity culture, in L. Nicholson and S. Seidman (eds) *Social Postmodernism: Beyond Identity Politics*. Cambridge: Cambridge University Press.
- Hinds, H. (1997) Fruitful investigations: the case of the successful lesbian text, in C. Brunson,
- Jenkins, H. (1995) Out of the closet and into the universe: queers and *Star Trek*, in J. Tulloch and
- Kidd, M. (1999) The bearded lesbian, in J. Arthurs and J. Grimshaw (eds) *Women's Bodies*:
- Munt, S. (1992) Sex and sexuality, in A. Millwood Hargrave (ed.) *Sex and Sexuality in Broadcasting*. London: Broadcasting Standards Commission.
- Munt, S. (2000) Shame/pride dichotomies in *Queer as Folk*, *Textual Practice*, 14 (3): 531–46.
- Nelson, R. (1997) *TV Drama in Transition: Forms, Values and Cultural Change*. London: Macmillan.
- Oswell, D. (1998) True love in queer times: romance, suburbia and masculinity, in L. Pearce and G. Whisker (eds) *Fatal Attractions: Rescripting Romance in Contemporary Literature and Film*. London: Pluto Press.
- Plummer, K. (1995) *Telling Sexual Stories: Power, Change and Social Worlds*. London: Routledge.

Plummer, K. (1996) Intimate citizenship and the culture of sexual storytelling, in J. Weeks and J. Holland (eds) *Sexual Cultures: Communities, Values and Intimacy*. Basingstoke: Macmillan.

Williamson, J. (1986) A world of difference. *New Statesman*, 5 December.

Williamson, J. (1988) Two kinds of otherness: black film and the avante garde. *Screen*, 29(4): 106–12.

ადამიანის სექსუალობა

*ვიკიპედიას მასალების მიხედვით ქართულად
მომზადებულია ანა ცერცვაძის მიერ*

ეს სტატია ადამიანის სექსუალური აღქმის შესახებ მოგვითხრობს. ცნებას, რომელსაც ადამიანები თავიანთი გამოცდილებით ეროტიკას უკავშირებენ და თავსგამოხატავენ, როგორც სექსუალური არსებები, ქალურ და კაცურ თვითაღქმას, უნარს, რომელიც შეიცავს მათ ეროტიკულ გამოცდილებებსა და გამოხმაურებებს, ადამიანის სექსუალობა ეწოდება. ადამიანთა სექსუალობა გამოიხატება იმით, თუ როგორ იზიდავენ მათ სხვა ადამიანები. მათი გრძნობები შესაძლოა იყოს ჰეტეროსექსუალური (საწინააღმდეგო სქესისადმი ლტოლვა), ჰომოსექსუალური (თავისივე სქესისადმი ლტოლვა), ან ბისექსუალური (ორივე სქესისადმი ლტოლვა).

ადრე სჯეროდათ, რომ ადამიანის სექსუალური ქცევა განსხვავდებოდა ცხოველთა უმეტესობის სექსუალური ქცევისაგან. შესაბამისად, ადამიანთა სექსუალური პრაქტიკაც განსხვავდებოდა ცხოველთა პრაქტიკისაგან შეწყვილების აქტის გარდა, რაც ერთადერთი მსგავსება იყო მათ შორის. ცხოველთა ბევრ სახეობაში, რომლებიც ადრე მონოგამიურებად მიიჩნეოდნენ, დღესდღეობით დაფიქსირდა, რომ მრავალფეროვანი სექსუალური ურთიერთობები ახასიათებთ, ან ბუნებაში სარგებლობის მიღებაზეარიან ორიენტირებულნი. სახეობების დიდი ნაწილი მასტურბაციისმიმართავსდა ამ საქმეშინივთებსაც კი დაიხმარს მაშინ, როცა მისი მიზანი განაყოფიერებაარაა (იხ. „ცხოველთა სექსუალური ქცევა“).

ტერმინი „ადამიანის სექსუალობა“, შესაძლოა კულტურულ, პოლიტიკურ, კანონიერ და ფილოსოფიურ ასპექტებზეც ვრცელდებოდეს, ასევე, შესაძლებელია, მორალს, ეთიკას, თეოლოგიას, სულიერებას ან რელიგიას ეხებოდეს სექსუალური კუთხით.

ბუნება აღზრდის წინააღმდეგ

ისევე, როგორც ბიოლოგიის სხვა საკითხებს, არც ამას აქვს მარტივი პასუხი. ჰეტეროსექსუალების, ჰომოსექსუალების, ბისექსუალების სექსუალური ენერგია ნაწილობრივ დამოკიდებულია მათ გენეტიკაზე, მენტალურ აქტივობასა და სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო და ნორმატიულ მახასიათებლებზე. ეს ყველაფერი დამკვიდრებულია იმ გარემოში, სადაც სუბიექტები აღიზრდებიან და მათი პიროვნება ყალიბდება.

სექსუალური ცხოვრების ყველა ეს წესი შემდგომში განსაზღვრავს მათ პიროვნულ იდენტობას, ინდივიდუალობას სოციალურ ევოლუციაში და დიდ გავლენას ახდენს ყველა მათსოციალურ აქტივობაზე.

დამამტკიცებელი საბუთი ბუნებისთვის

ტყუპებისგან ბევრად მოსალოდნელია სექსუალური ორიენტაციის იდენტურობა, ვიდრე სხვაგვარი გენეტიკური კავშირებისგან. ალბათ, ეს ფაქტორი მათი იდენტური გენებისა და მუცლად ყოფნის პერიოდში ერთი სახის ქიმიური ნივთიერებებისგან არის გამოწვეული.

დამამტკიცებელი საბუთი აღზრდისათვის

ერთი და იგივე სქესის დედმამიშვილთაგან, შემდეგ დაბადებულები უფრო ხშირად არიან ხოლმე ჰომოსექსუალები ან ბისექსუალები მუცლად ყოფნის დროს საშვილოსნოში ქიმიურ ნივთიერებათა სხვაობის გამო. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ერთსქესიან დედმამიშვილებს შორის მეტოქეობა ევოლუციურად წახალისებული არ არის.

ბიოლოგია და ფიზიოლოგია

ადამიანის სექსუალობის ბიოლოგიური ასპექტები მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის რეპროდუქციასთან და იმ ფიზიკურ საშუალებებთან, რომელთა მეშვეობითაც ეს ხდება (სქესობრივი კავშირი - sexual intercourse). ისინი ასევე უკავშირდება ბიოლოგიური

ფაქტორების და სექსუალობის სხვა ასპექტების გავლენას, როგორებიცაა ორგანული და ნევროლოგიური რეაქციები, მემკვიდრეობა, ჰორმონული საკითხები, გენდერული პრობლემები, სექსუალური დისფუნქცია.

რეპროდუქციის მიზნით ნორმალურია, როცა მამრი ასტიმულირებს მდედრს, ვიდრე ის მზად იქნება სექსისთვის. შემდეგ იგი პენისის მის ვაგინაში შეიყვანს. მისი წელისა და ღუნდულების რითმული ბიძგების შედეგად, რაც იწვევს პენისის ვაგინიდან ნაწილობრივ გამოღებას და კვლავ შეღწევას, კაცი სპერმას გამოყოფს. ამან შეიძლება განაყოფიერებად აორსულობა გამოიწვიოს.

ამ პერიოდში ბევრი სხვა ბიოლოგიური ცვლილებაც ხდება, რასაც ცოტა რამ, ან არაფერი აქვს საერთო რეპროდუქციასთან და მისი განზოგადება ნებისმიერ სექსუალურ აქტში შეიძლება, არა მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სხეულის ტემპერატურის გაზრდა, სიამოვნების მომგვრელი ჰორმონების დონის მომატება და სხვ.

უპირატესობები

სასურველი ორსულობისა და ბავშვის დაბადების გარდა, ადამიანის ჯანმრთელობის მხრივ სექსს ბევრი სასარგებლო მხარეც აქვს (სტრესის შემსუბუქება, იმუნიტეტის გაუმჯობესება იმუნოგლობულინ ა-ს (Immunoglobulin A) მეშვეობით, ასევე გულის შეტევის და პროსტატის კიბოს რისკის შემცირება).

სოციოკულტურული ასპექტები

ადამიანის სექსუალობა ასევე შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ადამიანების სოციალური ცხოვრების ნაწილი, რომელსაც ქცევის ნაგულისხმევი წესები და სტატუს კვამართავს. ასეთი მოპყრობა საზოგადოებაში არსებული ჯგუფების ხილვადობას ზღუდავს. სოციოკულტურული ასპექტი, პოლიტიკის და მასმედიის ზემოქმედებასთან ერთად, სოციალურ ნორმებს და ამ ნორმებისაგან გამოწვეულ გავლენებს იკვლევს. ასეთმა მოქმედებებმა შესაძლოა

სოციალურ ნორმებში ისეთი მასობრივი ცვლილებები განავითარონ, როგორებიც იყო, მაგალითად, სექსუალური რევოლუცია და ფემინიზმის წარმოქმნა.

ცალკე შესწავლის საგანიაკავშირისეცხის კონსტრუირებულ მნიშვნელობებსა და რასობრივ იდეოლოგიებს შორის. სექსუალური მნიშვნელობები კონსტრუირებულია რასობრივ-ეთნიკური საზღვრების შესანარჩუნებლად „სხვების“ დისკრედიტირების და ჯგუფის შიგნით სექსუალური ქცევის დარეგულირების ხარჯზე. ორივე მოქმედება: ქცევის ამ დადგენილი წესების ერთგულება ან მათგან გადახვევა, განსაზღვრავს და აძლიერებს რასობრივ, ეთნიკურ და ნაციონალისტურ რეჟიმებს.

ტრადიციული მოდელები, რომელთა მიხედვითაც ბავშვებს ინფორმაცია მიეწოდებათ სექსუალური საკითხების შესახებ, სექსუალური განათლების შედეგია. სასკოლო სისტემებს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში აქვთ სექსუალური განათლების გარკვეული ფორმა, მაგრამ ამ საკითხების არსი მერყევი და ცვალებადია. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრალიასა და ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, “ასაკის შესაფერისი” სექსუალური განათლება ხშირად სკოლამდელ ასაკში იწყება, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ასეთ განათლებას მოზარდობის ან მის წინაპერიოდში იწყებენ. სექსუალური განათლება მთელ რიგ თემებს მოიცავს, სადაც სექსუალური ქცევის ფიზიკური, მენტალური და სოციალური ასპექტები შედის.

ფსიქოლოგიური ასპექტები

სექსუალობა ადამიანებში ღრმა ემოციურ და ფსიქოლოგიურ გამოხმაურებებს წარმოშობს. ზოგიერთი თეორეტიკოსი სექსუალობას ადამიანის პიროვნული თავისებურებების ცენტრალურ წყაროსთან აიგივებს.

სექსუალობის ფსიქოლოგიური სწავლებები ფოკუსირებულია ფსიქოლოგიურ გავლენებზე, რომლებიც სექსუალურ ქცევასა და გამოცდილებაზე ახდენენ ეფექტს. ადრეული ფსიქოლოგიური

ანალიზები განხორციელდა ზიგმუნდ ფროიდის (Zigmund Freud) მიერ, რომელიც ფსიქოანალიტიკურ მიდგომასემყარებოდა. მან ყურადღება გაამახვილა ეროვნული ზონების, ფსიქოსექსუალური განვითარების, ოდიპოსის კომპლექსისა და სხვა ცნებების არსებობაზე.

ბიჰევიორისტები ჯონ ბ. უოტსონი (John B. Watson) და ბ.ფ. სკინერი (B. F. Skinner), ცდებს ატარებენ მოქმედებებსა და მათ თანმდევ შედეგებზე. ეს თეორეტიკოსები შეისწავლიდნენ, მაგალითად, ბავშვს, რომელიც ისჯებოდა სექსუალური ინტერესის გამო, და აკვირდებოდნენ, ზრდის პროცესში იგი დაუკავშირებდა თუ არა ნეგატიურ გრძნობებს ზოგადად სექსს. სოციალური სწავლების თეორეტიკოსები იგივე მეთოდებს იყენებენ, მაგრამ უფრო შემეცნებით აქტივობებსა და მოდელირებაზეფოკუსირდებიან.

გენდერული იდენტობა არის პიროვნების შეგრძნება, საკუთარი თავი გააიგივოს ქალთან, მამაკაცთან, ორივესთან, არცერთთან, ან რაღაც შუალედურთან. გენდერის სოციალური კონსტრუირება განიხილება ბევრ სხვადასხვა მეცნიერთან, ჯუდიტ ბატლერი (Judith Butler) მათ შორის სახელგანთქმულია. თანამედროვე გენდერული კვლევების ფოკუსში მოქცეულია ფემინისტური თეორიის გავლენა და სექსუალობის კონსტრუქტები.

სექსუალური ქცევა

ადამიანის სექსუალური ქცევა, რომელიც სიამოვნების მიღების სურვილით სტიმულირდება, გულისხმობს პარტნიორის ან პარტნიორების ძიებას, ინდივიდებს შორის ურთიერთქმედებას, ფიზიკურ, ემოციურ ინტიმურობას, მასტურბაციას, სექსუალურ პრელუდიას (foreplay), რომელიც გადაიზრდებასექსუალურ კონტაქტში და საბოლოო ჯამში მიდისორგაზმამდე.

სექსუალური მიზიდულობა

სექსუალური მიზიდულობა მნიშვნელოვანი ასპექტია იმ პიროვნებისთვის, ვის სექსუალობაზე დაკვირვება ხდება, და დამ-

კვირვებლისაც. ყოველი ადამიანი თავად განსაზღვრავს თვისებებს, რასაც სხვა ადამიანებშიმიმზიდველად მიიჩნევს. ეს თვისებები და მათი აღქმის უნარი ყოველიპიროვნებისთვისინდივიდუალურია. ამ ყველაფერს ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. თვისებები, რომლებიც ადამიანებს შეიძლება მიაჩნდეთ სექსუალურად მიმზიდველად, შეიძლება დამოკიდებული იყოს ფიზიკურ მახასიათებლებზე, ადამიანის გარეგნობის და მოძრაობების ჩათვლით, მაგრამ ასევე შეიძლება გავლენა ჰქონდეს ხმას, სურნელს, აგრეთვე ინდივიდუალურ უპირატესობებს, რაც სხვადასხვა გენეტიკური, ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორების ზემოქმედების შედეგია.

ურთიერთობის აწყობა

ადამიანები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ცდილობენ სხვების მიზიდვას, ვისთანაც პოტენციურად შეიძლება უფრო ღრმა ურთიერთობის გაბმას. ამის მიზანი შეიძლება იყოს მეგობრობა, შთამომავლობის გაგრძელების სურვილი, ინტიმური ურთიერთობა და სხვა. ეს მოქმედება ინტერაქციულ პროცესებსშეიცავს, რისი საშუალებითაც ადამიანები პოტენციურ პარტნიორებს იზიდავენდა მათთან ურთიერთობასამყარებენ. ის პროცესები, რაშიც შედის პარტნიორის მიზიდვა და სექსუალური ინტერესის გამყარება, შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

1. ფლირტი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ მიიზიდონ სხვისი სექსუალური ყურადღება, აღძრან რომანტიკული ან სექსუალური დამოკიდებულებები. იგი შეიძლება შეიცავდეს ჟესტების ენას, საუბარს, ხუმრობას, ან მცირე ფიზიკურ კონტაქტს.

2. ცდუნება არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ერთი ადამიანი განზრახ ხიბლავს მეორეს, რომ იგი გარკვეული სახის სექსუალურ ქცევაშიშეიტყუოს. სექსუალური ინტერესის საკომუნიკაციო საშუალება შეიძლება იყოს ვერბალური, ან ვიზუალური.

3. პაემანი არის შეხვედრა პოტენციურ პარტნიორთან და მასთან ინტიმური პარტნიორობისთვის საჭირო სიახლოვისა და შესაფერისობის გაუმჯობესებასემსახურება.

4. ხანდახან ფიზიკური ინტიმის მოლოდინი სექსუალური მიზიდულობის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ეს შეიძლება ისეთი გრძნობებით გამოიხატოს, როგორცაა ახლო მეგობრობა, ან სიყვარული. ინტიმის გამოხატვის საშუალებებია, აგრეთვე, ხელჩაკიდებული ყოფნა, ჩახუტება, კოცნა, ან მოფერება.

სექსუალური მორალი რელიგიაში

მსოფლიოს რელიგიების უმრავლესობა ცდილობდა ადამიანების სექსუალობასთან დაკავშირებული მორალის საკითხები საზოგადოებისა და ადამიანური ურთიერთქმედებების ჭრილში განეხილა. ყველა ძირითადმა რელიგიამ მორალური კოდექსი შექმნა, რომელიც მოიცავდა სექსუალობის, მორალის, ეთიკის და ა.შ. საკითხებს და დადგენილი იყო ადამიანების სექსუალური ქმედებებისა და პრაქტიკების სახელმძღვანელოდ.

ბავშვთა სექსუალობა

წარსულში, მიჩნეული იყო, რომ ბავშვებს არ გააჩნიათ სექსუალობა. ზიგმუნდ ფროიდი ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, ვინც ბავშვთა სექსუალობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მის კონცეფციებს ფსიქოსექსუალური განვითარებისა და ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ ვიდრე მოძველებულის ეტიკეტს მიაკრავდნენ, ბავშვთა სექსუალობის შეცნობა უმნიშვნელოვანეს ამოცანად გადაიქცა. ალფრედ კინსი (Alfred Kinsey) თავის “კინსის ანგარიშებში” (Kinsey Reports) ბავშვთა სექსუალობას დიდი ყურადღება დაუთმო. ბავშვები ბუნებრივად ცნობისმოყვარენი არიან თავიანთი სხეულისა და სექსუალური ფუნქციების მიმართ, აინტერესებთ, საიდან ჩნდებიან ბავშვები, ამჩნევენ ანატომიურ განსხვავებებს ქალებსა და მამაკაცებს შორის, და ბევრი მათგანი გენიტალიურ თამაშს მიმართავს (genital play - ხშირად შეცდომით მასტურბაციად აღიქმება). საბავშვო სექსუალური თამაში გენიტალიების გამომჟღავნებას, ან კვლევას გულისხმობს. ბევრი ბავშვი იღებს მონაწილეობას ზოგიერთ სექსუალურ თამაშში, ძირითადად დედამამიშვილებთან, ან მეგობრებთან ერთად.

სექსუალობა ზრდასრულობის გვიანდელ ასაკში

სექსუალურ ქცევაში ცვლილებები ხდება ასაკის მატებასთან ერთად და რადგან მოხუცები ასაკის გამო შეიძლება დაუძლურე-

ბულნი იყვნენ, ურთიერთობა საჭიროა დარჩეს მეგობრული და მგრძობიარე. ასაკი იწვევს ცვლილებებს სექსუალურ გამოხატვაში. მამაკაცები უფრო ხშირად განიცდიან ამ ცვლილებებს, ვიდრე ქალები. კაცებისთვის ორგაზმი უფრო იშვიათდება და ჩვეულებრივ, ერექციის გამოსანვევად მეტი პირდაპირი სტიმულაციასჭირდებათ. ყოველი ოთხი მამაკაციდან ერთს, 65-იდან 80 წლამდე, აღენიშნებოდა ძლიერი პრობლემები ერექციის გამონვევასთან ან შენარჩუნებასთან დაკავშირებით და ეს პროცენტული მაჩვენებელი იზრდებოდა 80 წელს გადაცილებულ მამაკაცთა შორის. გარდა ამისა, ერექციის დისფუნქციის საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება ასაკოვან ადამიანებს სექსის იმედს უსახავს. მიუხედავად სამედიცინო გართულებებისა, და მოსაზრებებისა, თითქოს ასაკოვანი ხალხი უნდა იყოს ასექსუალი, ბევრი ასაკოვანი მისდევს შეღწევად სექსუალურ კავშირს. თანამედროვე ინტერვიუს შედეგებმა, რომელშიც მონაწილეობდა 3000 ასაკოვანი ადამიანი 57-დან 85 წლამდე, აჩვენა, რომ ჯანმრთელობა დიდ როლს თამაშობს ხანდაზმულთა სექსუალურ აქტივობაში. სექსუალურად აქტიურ ასაკოვანთა პროცენტული რაოდენობა მეტია მათ შორის, ვისაც ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა აქვს იმათზე, ვისაც ამ მხრივ ცუდად აქვს საქმე. ხშირად ხანში შესული ქალები სექსუალურად ნაკლებად აქტიურები არიან. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისინი მეუღლეებზე დიდხანს ცოცხლობენ, ან მამაკაცების ტენდენცია, იქორწინონ ახალგაზრდა ქალებზე. როდესაც ასაკოვანი ზრდასრულები სექსუალურად აქტიურები არიან, მათთვისინტიმი და მეგობრობა ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სექსი.

სექსუალობა ისტორიაში

ხელოვნების ნიმუშებსა და ძველ არტეფაქტებში ადამიანური სექსუალობის სხვადასხვა ფორმებია ასახული.

უძველესი ცივილიზაციები

1. ეგვიპტე: წყვილი, ხნუმჰოტეპი (Khnumhotep) და ნიანხხნუმი (Niankhkhnum), ამჟამად დაკრძალულები მეხუთე დინასტიის ეპოქის გაერთიანებულ სამარხში, რომელიც მდებარეობს ეგვიპტის ქალაქ საქარაში, ყოფილა უძველესი აღიარებული ერთსქესიანი წყვილი კაცობრიობის ისტორიაში. ძველი ეგვიპტელები ფალოსის კულტს ოსირისს უკავშირებდნენ (Osiris). როცა ოსირისის სხეული დაჭრეს ცამეტ ნაწილად, სეთის (Set) მიერ მთელ ეგვიპტეში მიმოფანტული მისი ყველა ნაწილი, გარდა პენისისა, რომელიც თევზმა გადაყლაპა (იხ. ლეგენდა ოსირისსა და ისიდაზე) მისმა ცოლმა, ისიდამ (Isis) საგულდაგულოდ მოაგროვა. ფალოსი ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნეოდა და ღმერთი მინი ერეგირებული პენისითხშირად გამოისახებოდა.

2. ინდოეთი: უძველესი ტექსტები ინდუიზმიდან, ბუდიზმიდან და ჯაინიზმიდან, როგორებიცაა „ვედები“ (Vedas), სექსუალობის, ქორწინებისა და ნაყოფიერების ლოცვების შესახებმორალურ პერსპექტივებს შეიცავენ. „რამაიანამ“ (Ramayana) და „მაჰაბჰარატამ“ (Mahabharata), ანტიკური ინდოეთის, დაახლოებით მე-14 საუკუნის თქმულებებმა, მოგვიანებით გავლენა იქონიეს ჩინურ, იაპონურ, ტიბეტურ და სამხრეთ-დასავლეთ აზიის კულტურებზე. მათი მიხედვით, სექსი მიღებული იყო, როგორც ორმხრივი მოვალეობა დაქორწინებულ წყვილს შორის, მაგრამ ამავე დროს იგი პირად საქმედ იყო მიჩნეული. ინდოეთის ცნობილი სექსუალური ლიტერატურაა „სამოცდაოთხი ხელოვნების“ ტექსტი („კამა-სუტრა“ - Kama Sutra).

3. მესოპოტამია: უძველეს მესოპოტამიაში, იშთარი (Ishtar) არის სიცოცხლის, მამაკაცების და ქალების, ბუნების და ნაყოფიერების, სექსის, სექსუალური ძალის და შობადობის მთავარი ქალღმერთი. ის, ამასთანავე, ომის და იარაღის ღვთაებაც იყო. ნებისმიერი სახის გამარჯვებას მის ტაძრებში ზეიმობდნენ. ნადიმებსა და სექსუალურ ორგვიებში წმინდა ტაძრის პროსტიტუტებს დიდძალ პროლექტსა და ფულს სწირავდნენ.

4. ჩინეთი: „ი ჩინგში“ (I Ching - ცვლილებების წიგნი, ჩინური კლასიკური ტექსტების კრებული, რომელიც ეხება დასავლური

ტერმინით მეტაფიზიკას), სექსუალური კავშირი არის ორიდან ერთ-ერთი ფუნდამენტური მოდელი, რომლითაც სამყაროაიხსნება. აქ სამოთხე აღწერილია, როგორც დედამიწასთანსექსუალური კავშირის დამყარება. ერთსქესიანი საყვარლები, უძველესი ჩინეთის მკვიდრი მამაკაცები, რომლებსაც დიდი პოლიტიკური ძალაუფლება ჰქონდათ, მოხსენიებულნი არიან ფილოსოფიის და ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს ნაშრომში „ჟუანგ ზი“ (Zhuang Zi).

5. იაპონია: ალბათ მსოფლიოს ყველაზე ძველ რომანში, „გენჯი მონოგატარი“ (Genji Monogatari - გენჯის ამბავი), რომელიც თარიღდება დაახლოებით მე-11 საუკუნით, ეროტიკში განხილულია, როგორც არისტოკრატთა ესთეტიკური ცხოვრების ცენტრალური ნაწილი.

6. საბერძნეთი: ანტიკურ საბერძნეთში ფალოსი, ხშირად ჰერმას (Herma) ფორმით გამოხატული, იყო თავყვანისცემის ობიექტი და ნაყოფიერების სიმბოლო. ანტიკური ბერძენი მამაკაცის ერთ-ერთი აზრი ქალის სექსუალობის შესახებ იყო ის, რომ ქალებს შურდათ მამაკაცის პენისის. ცოლები აღიქმებოდნენ, როგორც საქონელი, ხელსაწყოები კანონიერი შვილების გასაჩენად. ისინი თავიანთ საკუთარ სახლებში სექსუალური მხრივ „ერომენოს“ (Eromenoi), „ჰეტერასს“ (Hetaeras) და მონებს უნდა შეეცებოდნენ.

7. რომი: ანტიკურ რომაულ ცივილიზაციაში არსებობდა დღესასწაულები, რომლებიც ადამიანის რეპროდუქციულ ორგანოებთან ასოცირდებოდნენ. დროთა განმავლობაში წამოიჭრა ნებაყოფლობითი სექსის, აგრეთვე პროსტიტუციის ინსტიტუციონალიზაციის პრობლემა. ამის შედეგი იყო ვირტუალური სექსუალური კასტური სისტემა რომაულ ცივილიზაციაში – სექსუალური ურთიერთობების სხვადასხვა წოდებები და საფეხურები. ლეგალურად დაქორწინებული მეუღლეების გარდა, ბევრ მდიდარ და გამორჩენილ კაცს ჰყავდა საყვარლები – „დელიკატები“ (Delicatae). დელიკატების უმრავლესობა „ფამოსაე“ (Famosae) იყო – უმეტესად მდიდარი კაცების ქალიშვილები და ცოლებიც კი, რომლებსაც მოსწონდათ სექსი საკუთარი სიამოვნებისთვის. იყო კიდევ ერთ-ერთი კლასი, ცნობილი

როგორც „ლუპაე“ (Lupae). მისი წარმომადგენლები მზად იყვნენ, საზღაურის სანაცვლოდ სექსი ჰქონოდათ ნებისმიერთან. „კოპაეები“ (Copaie) იყვნენ მსახური გოგონები ტავერნებსა და ფუნდუკებში, რომლებიც არ იყვნენ წინააღმდეგნი, მოგზაურებისათვის მიეჭირავენათ თავი ერთი ღამის გასატარებლად.

თანამედროვეობა

თანამედროვე აკადემიაში, ბევრ სხვა სფეროსთან ერთად, სექსუალობა სექსოლოგიის და „გენდერისა და სექსუალობის“ (Gender and Sexuality Studies) ფარგლებში სწავლება. სექსოლოგია, სექსუალური ინტერესების, ქცევისა და ფუნქციის სწავლება მოიცავს სექსუალურ განვითარებას და სექსუალურ ურთიერთობებს სქესობრივი კავშირის (შელწევადი სექსი) ჩათვლით. იგი ასევე მოიცავს ისეთი ჯგუფების სექსუალობას, როგორებიცაა უნარშემზღვეულები, ბავშვები და მოხუცები.

აღფრედ კინსი სექსუალური პრაქტიკების განსხვავებული ფორმებით დაახლოებით 1933 წელს დაინტერესდა, როდესაც მან კინსის სკალა (Kinsley Scale) შექმნა. სკალაზე ადამიანის სექსუალობა 0-დან 6-მდე ერთეულით განისაზღვრება, სადაც 0 არის უკიდურესად ჰეტეროსექსუალი, 6 კი უკიდურესად ჰომოსექსუალი. მისი „კინსის ანგარიშები“ (Kinsley Reports) შეიქმნა მას შემდეგ, რაც 1948 წელს „მამრობითი სქესის ადამიანის სექსუალური ქცევა“ (Sexual Behavior in the Human Male) და 1953 წელს „მდედრობითი სქესის ადამიანის სექსუალური ქცევა“ (Sexual Behavior in the Human Female) გამოქვეყნდა, რამაც ხელი შეუწყო 1960-იანი წლების სექსუალურ რევოლუციას.

იმიტაცია და გენდერული დაუმორჩილებლობა

ჯუდიტ ბატლერი, 1991
თარგმანი: ანა რეხვიაშვილი.

თეორიზება ლესბოსელის სახელით

თავდაპირველად სხვა სახის ესსეს დაწერას ვაპირებდი, უფრო ფილოსოფიური ტონის მქონეს: ჰომოსექსუალად ყოფნის „ყოფა“. თუმცა, ნებისმიერი *ყოფნის* პერსპექტივა, თუნდაც ანაზღაურების ფასად, ჩემში ყოველთვის შფოთვას იწვევს, რადგან „გვიდ ყოფნა“ ან „ლესბოსელად“ ბევრად მეტია, ვიდრე უბრალო მითითება, რომ იმად ვიქცე, ვინც ან რაც ისედაც ვარ. შფოთვას ვერც იმის აღნიშვნა შემიმცირებს, რომ ეს “მე-ს” მხოლოდ „ნაწილია“. *ლესბოსელის სახელით* წერა ან საუბარი იმ პარადოქსული „მე“-ს დემონსტრირებაა, რომელიც არც ჭეშმარიტია და არც ყალბი, რადგან ეს „მე“ ხშირად ჩემი იდენტობის გამოაშკარავების⁷ (to come out) მოთხოვნის საპასუხო შედეგია. შედეგია მოთხოვნისა - ისეთი იდენტობის სახელით ვისაუბრო, რომელიც შექმნისთანავე პოლიტიკურად ეფექტური ფანტაზმის სახით ფუნქციონირებს. როგორც უკვე მრავალჯერ აღმინიშნავს, რადგან იდენტობის კატეგორიები ხშირად რეგულატორული რეჟიმების ინსტრუმენტებად გამოიყენება, „ლესბოსურ“ ან „გვი“ თეორიებთან მიმართებით კომფორტულობას განცდა არ მაქვს. მათ ვხედავ როგორც მჩაგვრელი (ოპრესიული) სტრუქტურების ნორმაში მომყვან კატეგორიებს, ან სწორედ ამ ჩაგვრისაგან (ოპრესიისგან) გასათავისუფლებლად გამაერთიანებელ ძალებს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში აღარასოდეს გამოვჩნდები, როგორც ლესბოსელი, არამედ მსურს ამ კატეგორიის ზუსტი მნიშვნელობა მუდმივად

⁷to come out – საკუთარი სექსუალური იდენტობის გაცხადების მოვლენა, ქცევა ან ფაქტი; სრულად - to come out of the closet – რაც საკუთარი საიდუმლო სივრციდან (closet) გარეთ გამოსვლას მოიაზრებს (to come out).

ბუნდოვანი დარჩეს, ისე, რომ გაუგებარი იყოს, თუ რატომ ვეყრდნობი მათ ამ წიგნში, რომელშიც მრავალი ტერმინი გამოყენებულია და რომელთა ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა არის ჩემი მიზანი. ერთ-ერთი საფრთხე, რომელიც ასეთ დროს შემუქრება, იმ კატეგორიის, რომლის სახელითაც ვწერ, მიერ ჩემი მთლიანად მოცვაა. მე კი, სწორედაც რომ ამ საფრთხის ანალიზი მსურს. იდენტობაზე ხაზგასმა რომ გარკვეულ საფრთხეს მუდმივად შეიცავს, ამის აღნიშვნა სულაც არ გულისხმობს ასეთი ქცევის ყოველთვის ან მხოლოდ გათავისებულ კომოფობიის სიმპტომს. მართალია, ფუკოსეული პერსპექტივის მიხედვით „ჰომოსექსუალობის“ დამონმება შესაძლებელია, ის თავისთავად მაინც ჰომოფობიური დისკურსის ნაწილი და დანამატია. თუმცა, ფუკო იმავე გვერდზე თავადვე აღნიშნავს, რომ „დისკურსი“, „შესაძლოა იყოს, როგორც ძალაუფლების როგორც ინსტრუმენტი და ეფექტი, ასევე შემაფერხებელი ძალა და სანყისი წერტილი წინააღმდეგობის განწევის სტრატეგიის შემუშავების ამოცანაში.“

ამგვარად, მე ჩემი „მე“-ს ლესბოსელების ნიშნით განსაზღვრას სკეპტიკურად ვუყურებ. არც მისი ჰომოფობიური დეტერმინიზმი მიქმნის კომფორტს და არც ის ნორმატიული განმარტებები, რომლებსაც „გეი და ლესბოსური თემის წევრები“ გვთავაზობენ. მე გამუდმებით იდენტობის კატეგორიები მანუხებს. მიმაჩნია, რომ ისინი არაცვალებადი (უცვლელი) შემაფერხებლები არიან; მათ გარდაუვალ საფრთხედ აღვიქვამ და მეტიც, ამ აზრის ფართოდ დამკვიდრებას ვლამობ. სინამდვილეში, იდენტობის კატეგორიები პრობლემური რომ არ იყოს, მათით აღარც დავინტერესდებოდი: სწორედ ამ კატეგორიების არასტაბილურობით მიღებული *სიამოვნება*, რომელიც მრავალგვარი ეროტიკული პრაქტიკის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, არის ის, რაც თავად მე ამ კატეგორიის კანდიდატად მაქცევს. თუმცა, საკუთარი თავის იდენტობის კატეგორიების ტერმინებით აღწერა იგივეა, რაც სწორედ იმ სექსუალობის წინააღმდეგობა, რომლის აღწერასაც ეს ტერმინი ცდილობს; და ეს ალბათ, სიმართლეა ნებისმიერი იდენტობის კატეგორიისათვის,

რომლის მიზანიც სწორედ იმ ეროტიციზმის კონტროლია, რომელსაც თითქოსდა აღწერს, იცავს და ნაკლებად „ათავისუფლებს“.

უფრო უარესი კი ის არის, რომ საერთოდაც არ მესმის ცნება „თეორიის“ მნიშვნელობა და არც იმით ვარ დაინტერესებული, რომ მის დამცველად მიმიჩნიონ. კიდევ უფრო ნაკლებად მსურს, რომ მიმაკუთვნონ ელიტურ გეი/ლესბოსურ თეორეტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ ლეგიტიმურობა მოიპოვონ და გეი/ლესბოსური თეორია აკადემიურ ჩარჩოებში „გამოამწყვდიონ“. არის საერთოდ რაიმე წინასწარგანსაზღვრული განსხვავება თეორიას, პოლიტიკას, კულტურასა და მედიას შორის? როგორ მოქმედებენ ეს განსხვავებები გარკვეული ინტერტექსტუალური შინაარსის მისაჩქმალად, რომელმაც შესაძლოა სულაც სხვა ეპისტემოლოგიური რუკები შექმნას? მაგრამ, მე აქ და ახლა ვწერ. ძალიან გვიან არის? საერთოდაც, შეუძლია ამ ნაშრომს, ან ნებისმიერ ნაშრომს, უარი თქვას იმ ტერმინებზე, რომელთა წყალობითაც ის არსებობს (მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათი კოლონიზაციური დისკურსი, გარკვეულწილად, ქმნის განსაზღვრულ საწყის წერტილსა და წინააღმდეგობას)? როგორ უნდა მივუდგე ამ დამოკიდებულებისა და უარყოფის პარადოქსულ სიტუაციას?

თუკი პოლიტიკური მიზანი იმის ჩვენებაა, რომ თეორია არასოდეს არ არის უბრალოდ *theoria* – სინამდვილეს მოშორებული და განყენებული ანალიზის გაგებით და თუ უნდა დავამტკიცო, რომ თეორია ყოველთვის პოლიტიკურია (*phronesis* ან საერთოდ *praxis*), მაშინ რატომ არ უნდა დავარქვა მას *პოლიტიკა* ან რაიმე მსგავსი სახელი?

წერა ჩემი შიშების აღიარებითა და უარყოფით დავინწყე. თუმცა, ალბათ მალე ნათელი გახდება, რომ *უარყოფა*, რომელიც სულაც არაა მარტივი ქცევა, სწორედ ის არის, რისი შემოთავაზებაც მსურს დადებითი წინააღმდეგობის ფორმად და ჰომოფობიის განსაზღვრული რეველაციული ჩავგრის საპასუხოდ. „Coming out“ - ის დისკურსმა, ნამდვილად მიაღწია საკუთარ მიზნებს, მაგრამ რა რისკებს შეიცავს ის? და აქ არ ვსაუბრობ უმუშევრობაზე, სახალხო იერიშსა და

ძალადობაზე, რომლებიც ცხადად და ფართომასშტაბიანად სწორედაც მათ წინააღმდეგ არის მიმართული, ვინც საკუთარი სურვილით ან სურვილის წინააღმდეგ, აღიქმებიან, როგორც „out.“⁸ თუმცა, არის „out“ მყოფი სუბიექტი ჩაგვრისგან თავისუფალი და უპრობლემო? თუ შესაძლოა, რომ ძალა, რომელიც გვიან ლესბოსელ სუბიექტებს ჩაგვრავს, ოპრესიულ ქმედებებს ან ჩაგვრას ყველაზე უფრო ვერაგულად და ფარულად მას შემდეგაც გააგრძელებს, რაც ადამიანი საკუთარ იდენტობის შესახებ განაცხადებს? ვინ ან რა არის ის, რაც გამოდის „out“, რომელიც თვალნათელი და სრულად გაცხადებული ხდება, როდესაც მე საკუთარ ლესბოსელობას ვამჟღავნებ? რა რჩება მუდმივად დაფარული სწორედ ამ ლინგვისტური ქცევით, რომელიც სექსუალობის გამჭვირვალე გამოვლინებას გვპირდება? შეიძლება სექსუალობა სექსუალობად დარჩეს, როდესაც ის გამჭვირვალეობისა და გახსნილობის მოთხოვნას ემორჩილება? თუ ის უკვე აღარ არის სექსუალობა სწორედ მაშინ, როდესაც ის სრული ექსპლიციტურობის სახეს იღებს? შესაძლებელია კი ნებისმიერი ფორმის სექსუალობის არსებობა იმ არაცნობიერის მიერ განპირობებული ბუნდოვანების გარეშე, რომელიც გვეუბნება, რომ ცნობიერმა „მე“-მ, რომელსაც საკუთარი სექსუალობის გამხელა სურს, ალბათ ყველაზე ცუდად იცის იმის მნიშვნელობას, რის თქმასაც აპირებს?

მტკიცება - „რაცა ვარ ეს არის“ - საკუთარი „მე“-ს წინასწარ შეჯამებას ნიშნავს. მაგრამ, თუ „მე“-ს ასე კარგად შეუძლია თავის განსაზღვრა, მაშინ ის, რასაც ის ამ განსაზღვრების შენარჩუნების მიზნით განდევნის, სწორედ განსაზღვრების შემადგენელ ნაწილად დარჩება. სხვა სიტყვებით, ასეთი მტკიცება თავისთავად მოიაზრებს, რომ „მე“ განსაზღვრებას აჭარბებს და მეტიც, ამ სიჭარბეს თავად იმ ქცევაში და ქცევით ქმნის, რომელიც „მე“-ს სემანტიკური მნიშვნელობის შეჯამებისკენ (ამონურვისკენ) არის მიმართული. ქცევა,

⁸რადგან სექსუალობის განცხადების მოვლენის სახელი მოიხსენება როგორც coming out of the closet, ბატლერის მიერ სიტყვა „out“ - ის (გარეთ) გამოყენებაც ამ გამოთქმას ეყრდნობა. იხ კომენტარი 1

რომლის მიზანიც „მე“-ს ნამდვილი და სრული შინაარსის გამომჟღავნებაა, პარალელურად რაღაცას მალავს. საბოლოოდ, ყოველთვის გაუგებარია ლესბოსელის ნიშანი რას მოიაზრებს, რადგან ეს მნიშვნელობა გარკვეულწილად, ყოველთვის პიროვნების კონტროლს მიღმაა და ამასთან, მისი მახასიათებლების განსაზღვრა მხოლოდ გარიყვისა და საზღვრების გავლების ხარჯზე შეიძლება, რომელიც ნიშნის კოჰერენტულობის მტკიცებას თავისთავად პრობლემურად აქცევს. რა აქვთ ლესბოსელებს საერთო? ამ კითხვას ვინ და ვისი სახელით უნდა უპასუხოთ? თუ თავს ლესბოსელად ვაცხადებ, „coming out“-ს მხოლოდ იმისათვის ვაკეთებ, რომ ახალი და განსხვავებული „closet“-ი შევქმნა. შენ კი, ვის წინაშეც ჩემი „coming out“-ი შედგა, ახლა ჩემს სხვა „ბუნდოვანების“ ხედვის ნებართვა გაქვს მონიჭებული. სინამდვილეში, ბუნდოვანების მხოლოდ ადგილმდებარეობამ გადაინაცვლა: აქამდე არ იცოდი, რომ „ვარ“ და ახლა არ იცი, ეს რას შეიძლება ნიშნავდეს: კოჰულა (მაკავშირებელი ხაზი) ცარიელია. ის არ შეიძლება შინაარსობრივად აღწერილობათა წყებით შეივსოს. და ალბათ, ეს მდგომარეობა უნდა დავაფასოთ. კონვენციურად, ვილაც აკეთებს „coming out“-ს „closet“-იდან (და მაინც, რამდენად ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ვილაც იძულებით ამკარავდება ახალგაზრდობაში და ნაკლები ძალების (რესურსების) ფლობის პერიოდში?); ანუ ვართ „closet“-ს გარეთ, მაგრამ სად, რაში? რომელ ახალ და უსაზღვრო სივრცეში? ოთახში, ბუნაგში, სხვენში თუ სარდაფში, სახლში, ბარში, უნივერსიტეტში; რაღაც ახალ ადგილას, რომლის კარიც, კაფკას კარივით, გვიქმნის სუფთა ჰაერისა და სინათლის მოლოდინს, რომლებიც ჩვენამდე არასოდეს მოდიან? უცნაურია, მაგრამ, სწორედ „closet“-ი როგორც გვიქმნის ამ მოლოდინს, ისევ ის უბრუნველყოფს მათ აუსრულებლობასაც. რადგან „out“ ყოფნა, ყოველთვის გარკვეულწილად „in“⁹ ყოფნაზე დამოკიდებული, ის მნიშვნელობას მხოლოდ პოლარულობის შემთხვევაში შეიძენს. აქედან გამომდინარე „out“ ყოფნა ხელახლა და ხელახლა უნდა ქმნიდეს „closet“-ს, რათა შეინარჩუნოს საკუთარი

⁹ in - □□□□□□, closet-□□

თავი „out“. ამ გაცემით, „out“ ყოფნამ მხოლოდ ახალი ბუნდოვანება შეიძლება შექმნას; *closet-ი* კი ქმნის გამომჟღავნების იმედს, რომელიც განსაზღვრებისამებრ (აპრიორი) არასოდეს ხდება. და მაინც, საჭიროა კი სწორედ ამ „coming out“-ის ქცევით განპირობებული „გეობის“ გამჟღავნების უსასრულო გახანგრძლივების გამოვლოვება? თუ სწორედ ნიშნის მნიშვნელობის დაზუსტების გახანგრძლივებაა დასაფასებელი, ისაა ღირებულებათა შექმნის ადგილი, სწორედ იმიტომ, რომ ტერმინი ახლა იწყებს ცხოვრებას – და ეს ცხოვრება ვერ იქნება, ვერასოდეს იქნება მუდმივად კონტროლის ქვეშ?

მიუხედავად „ლესბოსელი“ ან „გეი“ კატეგორიების მიერ „მე“-ს გამჭვირვალე ან სრული გამომჟღავნების შეუძლებლობისა, ჯერ კიდევ შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მაინც აუცილებელია გამოვიყენოთ ეს მიზანმიმართული შეცდომები, ან კატეგორიის შეცდომა, თითქოს ისინი აერთიანებდნენ და წარმოადგენდნენ ოპრესირებულ პოლიტიკურ ერთობას? (ამას გაიატრი სპივაკი „კატაქრეზულ“ - შესაბამისი სახელის შეესაბამოდ გამოყენება - ოპერაციას უწოდებს). ცხადია, მე ტერმინის გამოყენების შეწყვეტას არ ვითხოვ. უბრალოდ ვკითხულობ: სიტყვის რომელი მნიშვნელობა იქნება მისაღები (დამკვიდრებული) და როგორი ურთიერთობა იქნება მისაღებ მნიშვნელობასა და სიტყვის გამოყენებას შორის, ისე, რომ „იდენტობის“ მიზნობრივი (ინსტრუმენტალური) გამოყენება მარეგულირებელი ხასიათის არ გახდეს? თუკი უკვე ვიცით, რომ იურიდიული და სამედიცინო დისკურსების მიერ „ლესბოსელები“ და „გეი კაცები“ ტრადიციულად როგორც შეუძლებელ (არარსებული) იდენტობებად, კლასიფიკაციის შეცდომებად და არაბუნებრივი კატასტროფებად არიან განსაზღვრულნი, ან ასეთივე მასშტაბით, კლასიფიკირების, დარეგულირების და გაკონტროლების პარადიგმების საჭიროების მქონეებად განიხილებიან, მაშინ ალბათ შესაძლოა, სწორედ ეს განხეთქილება, გაუგებრობა, შეცდომა და კატასტროფა გახდეს კლასიფიკაციისა და იდენტობის მიმართ წინააღმდეგობის განწესათვის გამაერთიანებელი და საწყისი წერტილი.

მნიშვნელოვანი ლესბოსელისა და გეის კატეგორიის აღიარება/არაღიარება კი არ არის, არამედ ის, თუ რატომ ხდება ეს კატეგორია „ეთიკური“ არჩევანის გაკეთების ადგილი. რას ნიშნავს, აღიარო კატეგორია, რომელიც საკუთარ მნიშვნელობასა და ერთიანობას მხოლოდ წინასწარ არაღიარებათა წყების პერფორმირების* მეშვეობით ინარჩუნებს? ეს „coming out“-ს არაღიარების აღიარებად ხომ არ აქცევს, რაც „გაქცევის“ სახელით სწორედ „closet“-ში დაბრუნებას ნიშნავს? ეს ჰეტეროსექსუალობის ან ბისექსუალობის არაღიარება კი არა, არამედ ამ კატეგორიათა იდენტიფიკაციური და პრაქტიკული თანაკვეთების წყებაა, რომელიც თითოეული მათგანის ჭეშმარიტებას თანაბრად აყენებს ეჭვის ქვეშ. შეუძლებელია ჰომოსექსუალური გამოცდილების დროს ჰეტეროსექსუალური ნიშნები და მიზნები გქონდეს? ან/და ჰომოსექსუალური ნიშნები და მიზნები ჰეტეროსექსუალური გამოცდილებისას? თუ სექსუალობა სრულად უნდა გავხსნათ და გამოვააშკარავოთ, რა კრიტერიუმი იქნება არჩეული მისი მნიშვნელობის ჭეშმარიტ განმსაზღვრელად: ფანტაზია, ქცევა, ხერხი, გენდერი თუ ანატომია? და თუკი გამოცდილება შედგება ამ ყველაფრის რთული კომბინაციისაგან, რომელი ეროტიკული განზომილება იქნება ისეთი, რომელიც ყველა ამ გამოცდილებას მოიაზრებს? რა უნდა ნათელყოს ლესბოსურმა თეორიამ – ლესბოსური გამოცდილების, ლესბოსური სურვილისა თუ ლესბოსური სექსუალობის მახასიათებლები? ასეთი მცდელობები ყოველთვის მხოლოდ დავასა და უთანხმოებას იწვევდა, მაგრამ მათ ახლა უკვე ნათელი უნდა გახადონ ლესბოსელებში საერთო ელემენტის არსებობის არასავალდებულობა, იმის მიღმა, რაც ალბათ მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცით ქალების საწინააღმდეგოდ ჰომოფობიის მოქმედების შესახებ (თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, სხვადასხვაგვარ ენას ვიყენებთ ანალიზისათვის).

მტკიცება, რომ ლესბოსური სექსუალობა *სპეციფიკურია*, თითქოს აუცილებელი იყო იმ მიდგომის წინააღმდეგ, რომ ლესბოსელობა ჰეტეროსექსუალობის მონათესავეა, რომ ის მეორადია, რომ ის არ არსებობს. თუმცა, ალბათ ერთი მხრივ, სპეციფიკურობის და მეორე

მხრივ, არარსებობის გამო, მეორადობის მტკიცება არც ისე ურთიერთსაწინააღმდეგოა, როგორც ჩანს. ნუთუშეუძლებელია, რომ ლესბოსური სექსუალობა პროცესი იყოს, რომელიც თავად იმეორებს იმ ძალაუფლებრივ მოვლენებს, რომელსაც ეწინააღმდეგება, რომ ის ნაწილობრივ შედგებოდეს სწორედ იმ ჰეტეროსექსუალური მატრიცისგან, რომლის ჩანაცვლებასაც ცდილობს, და რომ მისი სპეციფიკურობა ამ გამეორების მიღმა კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სწორედ ამ გამეორების მოდალობასა და შედეგებში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლესბოსელობის ნეგატიური კონსტრუქციები, როგორცაა, მაგალითად, მისი ცრუ ან ცუდი ასლის მნიშვნელობით მოხსენიება, შესაძლოა შეიცვალოს, თუკი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყვანივით ჰეტეროსექსუალობის პირველადობის მტკიცებას. გარკვეულწილად, მომდევნო ნაწილში ვიმედოვნებ იმის ნათელყოფას, რომ შესაძლებელია ვიფიქროთ ლესბოსურ სექსუალობაზე, როგორც საკუთარი „მეორადობის“ განმამტკიცებელზე, იმ მიზნით, რომ მან ჩაანაცვლოს ჰეტერონორმატიული ჰეტეროსექსუალური ნორმები. ასეთი განსაზღვრების მიხედვით, პოლიტიკური პრობლემა ლესბოსური სექსუალობის სპეციფიკურობის, მისი, როგორც მეორადის – გაგების საწინააღმდეგოდ, მტკიცება კი არ არის, არამედ ლესბოლესობის, როგორც „ცუდი ასლის“ ჰომოფობიური კონსტრუქციის დაპირისპირებაა იმ სტრუქტურასთან, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ჰეტეროსექსუალობას, როგორც საწყისს, იმისათვის, რომ „წარმოშოს“ მეორადი პირველადისგან. ეს განმარტება მოითხოვს, რომ ხელახლა განვიხილოთ იმიტაცია, დრეგი, და სქესობრივი გადანაცვლებების სხვა ფორმები, რომლებიც ნათლად აჩვენებენ ლესბოსური სექსუალობის შინაგან კომპლექსურობას, რაც გარკვეულწილად სწორედ ნაწილია იმ დომინანტური ძალაუფლებრივი მატრიცის, რომელსაც ერთი მხრივ იმეორებს და მეორე მხრივ ეწინააღმდეგება.

იყო გვი – როგორც აუცილებელი დრეგი.¹⁰

„გეობაში“ პროფესიონალიზმი მოითხოვს გარკვეულ პერფორმანსსა და საკუთარი „მე“-ს შექმნას. „მე“ იმ დისკურსის შედეგად იქმნება, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, ამტკიცებს, რომ უკვე არსებული ჭეშმარიტების რეპრეზენტაბელურია. როდესაც, 1989–ში სიტყვით გამოვდიოდი კონფერენციაზე ჰომოსექსუალობის შესახებ, ჩემს მეგობრებს წინა დღეს ვუთხარი, რომ იელში მივდიოდი, რათა ლესბოსელი ვყოფილიყავი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, რომ მანამდე ლესბოსელი არ ვიყავი. უფრო იმის თქმა მინდოდა, რომ მე ვიყავი ლესბოსელი რაღაც უფრო სრულყოფილად და ყოვლისმომცველად, როდესაც იმ კონტექსტში ვსაუბრობდი. იმ განსაზღვრული დროის განმავლობაში მაინც. ანუ, მე ვარ ლესბოსელი, და ჩემი გამოცდილებაც საკმაოდ ნათელია. მას შემდეგ, რაც 16 წლის გავხდი, ჩემთვის ლესბოსელად ყოფნა იყო ყველაფერი. აბა რატომღა განვიცდი შოთხვასა და დისკომფორტს? ალბათ, ამ კითხვის პასუხი იმ გაორებაშია, რომელიც განვიცადე: მე შემეძლო მეთქვა, რომ მივდიოდი იელში, რათა ლესბოსელი ვყოფილიყავი; და ლესბოსელია ის, რაც უკვე რახანია ისედაც ვარ. რატომ ხდება, რომ მე შემეძლია კიდევ „ვიყო“ და კიდევ „გავხდე“ ლესბოსელი? როდის და სად იწყებს საკუთარი როლის თამაშს ის, რომ მე ლესბოსელი ვარ, და როდის და სად ქმნის იმას, რაც მე ვარ, ჩემი, როგორც ლესბოსელის, როლის თამაში. იმის თქმა, რომ მე „ვთამაშობ“ რაღაც როლს, იმას არ ნიშნავს, რომ მე „სინამდვილეში“

¹⁰ drag–(დრეგი) კონვენციური ლექსიკონური განმარტებით, დრეგი (drag queen/king) მოიაზრებს ადამიანს, რომელიც აუდიტორიის გასართობად მონინააღმდეგე გენდერისთვის დამახასიათებელ როლს ასრულებს, აცვია, იქცევა და საუბრობს საპირისპირო გენდერის შესაბამისად. მისი წარმოდგენა ხშირად პაროდიას ჰგავს. თუმცა ბატლერი, მოცემულ ნაშრომში დრეგ–წარმოდგენის სხვაგვარ ანალიზს გვთავაზობს, და ამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი ბუნებრივი სქესი და გენდერი რომლის „საპირის-პიროც“ დრეგის მიერ სრულდება. ბატლერი დრეგს ხედავს, როგორც პერფორმანსს, რომელსაც არავითარი ბუნებრივი საფუძველი არ აქვს

არ ვარ ეს რაღაც; უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ის, თუ სად და როგორ ვთამაშობ, რომ ვარ ლესბოსელი, არის ერთგვარი საშუალება, რომლის შედეგადაც ჩემი „ყოფნა“ მკვიდრდება, ფუნდდება, ვრცელდება და მტკიცდება. ეს არ არის ის პერფორმანსი, რომლისგანაც მე რადიკალური დისტანციის დაჭერა შემიძლია, რადგან ეს ღრმად განმტკიცებული თამაშია, ძვალ-რბილში გამჭდარი, და ეს „მე“ არ თამაშობს ლესბოსელობას, როგორც უბრალო როლს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ამ სექსუალობის განმეორებითი თამაშის მეშვეობით ეს „მე“ გამუდმებით, დაუინებით, ხელახლა იქმნება, როგორც ლესბოსური „მე“; პარადოქსულად, სწორედ როლის გამეორებაა ის, რაც არასტაბილურს ხდის იმ კატეგორიას, რომელსაც თავად ქმნის. რადგან, თუკი „მე“ მუდმივად უნდა განმეორდეს, ანუ, თუკი ეს „მე“ მხოლოდ საკუთარი თავის გამეორებების და თამაშის მეშვეობით ემსგავსება იდენტობას, მაშინ ასეთი „მე“ ყოველთვის ჩანაცვლდება იმ გამეორებებით, რომლებიც ინარჩუნებენ მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლია და სურს თუ არა „მე“-ს როდესმე გაიმეოროს საკუთარი თავი, გააკეთოს თავის ციტირება, გულწრფელად ვამბობ, თუ ის მუდმივად ჩანაცვლებულია წინა მომენტით, რომელიც ქმნის „მე“-ს და მისი „ლესბოსელობის“ მარადიულად-არა-თვითიდენტურ- (საკუთარი თავისგან განსხვავებულ) სტატუსს. ის, რაც „თამაშობს“ სრულად ვერ მოიცავს „მე“-ს; არ შეიძლება გარკვეული და ადვილად აღქმადი ტერმინებით დავაღაგოთ „მე“-ს შინაარსი, რადგან თუ პერფორმანსი „მეორდება“, მაშინ ყოველთვის ჩნდება შეკითხვა, რა განასხვავებს ერთმანეთისგან იდენტობის ნაწილებს, რომლებიც მეორდებათ. და თუკი „მე“ განსაზღვრული გამეორების შედეგია, რომელიც გარკვეული კოჰერენტულობისა და კონტინუუმის სახეს ქმნის, მაშინ საერთოდ არ არსებობს „მე“, რომელიც წინ უსწრებს გენდერს, რომელსაც ეს „მე“ ასრულებს“. გამეორება, და წარუმატებლობა გამეორებისას ქმნიან იმ პერფორმანსების ჯაჭვს, რომლებიც ასევე „მე“-ს კოჰერენტულობაში გვაეჭვებენ.

მაგრამ, შესაძლოა შემედავოთ, და მკითხოთ: ნუთუ პოლიტიკური მიზნებისთვის არ არის მნიშვნელოვანი გეი და ლესბოსური იდენტობების მტკიცება, სწორედ იმიტომ, რომ ჰომოფობიური მხარე მათ სწორედ გაქრობით და მხედველობაში არმიღებით ემუქრება? ეს თეორია იმ პოლიტიკური ძალების შემადგენელი ნაწილი ხომ არ არის, რომლებსაც სურთ გააქრონ გეი ან ლესბოსური იდენტობის არსებობის შესაძლებლობა? და შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ასეთი თეორიული ეჭვები იდენტობის შესახებ სწორედ ისეთ პოლიტიკურ კლიმატში ჩნდება, რომელიც სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმებით ახორციელებს ჰომოსექსუალური იდენტობის სწორედ ამგვარ უგულვებელყოფას?

საპასუხოდ, კი მე ასეთი კითხვის დასმა მსურს: შეიძლება, რომ უგულვებელყოფასთან დაკავშირებული ასეთი საფრთხეები განაპირობებდეს პოლიტიკური წინააღმდეგობის ფორმებს ჩვენი მხრიდან; და ასეც რომ იყოს, ნუთუ ამ ჰომოფობიურმა მცდელობებმა დასაწყისშივე უნდა მოიგონ ბრძოლა? არავისთვისაა გასაკვირი ის, რომ გეებსა და ლესბოსელებს ემუქრებათ საზოგადოებიდან ამოშლის საფრთხე, მაგრამ ამ პრობლემასთან გამკლავებისას ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა სხვა პრობლემით არ ჩავანაცვლოთ ის. გეისა და ლესბოსელის როგორი ვერსია უნდა გახდეს ხილვადი და რამდენად გამრიყველი იქნება შიდა წრეებისათვის ეს „ხილვადობა“? არის კი იდენტობის ხილვადობა *საკმარისად კარგი* პოლიტიკური სტრატეგია, თუ ის მხოლოდ არსებული პოლიტიკის (მიდგომის) შეცვლისათვის საჭირო სტრატეგიული ჩარევის საწყისი წერტილი შეიძლება იყოს? საზოგადოებრივი მიდგომის მიმართ სასოწარკვეთისა და შიშის ნიშანი ხომ არ არის ის, რომ იდენტობა თვითონ ხდება საკუთარი თავის პოლიტიკა, რასაც მისი მრავალმხრივი დისკრიპლინირება მოჰყვება? ეს სულაც არაა იმისკენ მონოდება, რომ სიჩუმესა და შეუმჩნეველობას დავუბრუნდეთ, არამედ ეს არის მონოდება, რომ გამოვიყენოთ კატეგორია, რომელშიც ეჭვის შეტანა ყოველთვის შეიძლება, რომელიც შეიძლება ბევრს რიყავდეს. ის, რომ იდენტობის ირგვლივ გაერთიანება (კონსოლიდირება)

განსაზღვრულ განმარტებებსა და საზღვრების გავლებას მოითხოვს, თითქოს ნათელია. მაგრამ ვინ გახდება ფასეული? ის, იდენტობის კატეგორია, რომელსაც მე ახლა ვიყენებ, თითქოს კარგია, მაგრამ შეუძლებელია წინასწარ განჭვრიტო ან აკონტროლო მისი გამოყენების ფორმები მომავალში. და ალბათ, სწორედ ეს გარკვეული გახსნილობა, მისი რისკების მიუხედავად, უნდა დავიცვათ პოლიტიკური მიზნებისათვის. თუკი გვი/ლესბოსური იდენტობის ხილვადობა დღეს გარკვეულ გარიყვას (ექსკლუზიას) მოიაზრებს, მაშინ ალბათ, ნაწილი იმისა, რაც აუცილებლად გარიყულია *ნიშნის მომავალი გამოყენების ფორმები*. დღეს პოლიტიკური აუცილებლობაა, რომ გარკვეული ნიშანი გამოვიყენოთ და ასეც ვაკეთებთ, თუმცა როგორ გამოვიყენოთ ის ისე, რომ მისი მომავალი მნიშვნელობები წინასწარ არ იყოს გამორიცხული? როგორ გამოვიყენოთ ნიშანი და ვალიაროთ მისი დროებითობა ერთდროულად?

ნიშნის სტრატეგიული დროებითობის (და არა მისი სტრატეგიული ესენციალურობის/აუცილებლობის), ალიარებით, იდენტობა შეიძლება გახდეს დაეჭვებისა და გადახედვის საგანი, და მომავალში მართლაც მიიღოს ისეთი მნიშვნელობები, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც ბევრ ჩვენგანს, ვინც დღეს ამ კატეგორიას ვიყენებთ, არ შეგვიძლია. სწორედ პოლიტიკური ნიშნების მომავლის დაცვა – ნიშნის ხელახლა გადამუშავების შესაძლებლობის დაცვა, არის ის, რამაც ლაკაუ და მოუფი მის დემოკრატიულობას ხედავენ.

თანამედროვე ა.შ.შ.-ს პოლიკიტაში, უამრავი საშუალება არის იმისათვის, რომ ლესბოსელობა (განსაკუთრებით) არც არსებობდეს, და ვერც ბედავდეს არსებობას. გარკვეულწილად, ჯესე ჰელმისის შეტევა NEA-ს¹¹ ჰომოფობიის რეპრეზენტაციების სანქციონებისთვის, კარგად წარმოაჩენს სხვადასხვა ჰომოფობიურ ფენტაზიას იმის შესახებ, თუ ვინ არიან და რას აკეთებენ გვი კაცები რობერტ მაპლეთორპის ნაშრომში. გარკვეულწილად, ჰელმისისთვის, გვი კაცები არსებობენ, როგორც აკრძალვის ობიექტები, მის ტვინნაღრძობ გონებაში, ისინი ბავშვთა სადომანობისტური ექსპლუატატორები

¹¹NEA – National Endowment for the Arts

არიან, „გარყვნილების“ პარადიგმატული მაგალითები; ლესბოსელი კი საერთოდ არ შედის ამ დისკურსში, ისინი არ არიან კონსტრუირებულნი, როგორც აკრძალული ობიექტები. აქ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ ჩავგრა (ოპრესია), მხოლოდ გადაჭარბებული აკრძალვებით კი არ მუშაობს, არამედ მალულადაც, შესაძლებელი სუბიექტების შექმნით და შედეგად, ისეთი მხარის წარმოქმნით, რომელიც შეიცავს შესაძლებელ სუბიექტებს – რომლებსაც შეგვიძლია აბიექტები ვუნოდოთ – მათ არც სახელი აქვთ და არც კანონით არიან აკრძალულნი. აქ ოპრესია წარმოუდგენელია და უსახელოს შექმნით მუშაობს. ლესბოსელობა არ არის ასე ექსპლიციტურად და გარკვევით აკრძალული, თუმცა გარკვეულწილად იმიტომ, რომ მან ჯერ კიდევ ვერ გაიკვალა გზა წარმოსადგენისა თუ საფიქრალისაკენ, იმ კულტურული ცნობიერების სქემისაკენ, რომელიც ნამდვილსა და სახელდებულს არეგულირებს. აბა, როგორ შეიძლება იყო ლესბოსელი ისეთ პოლიტიკურ კონტექსტში, სადაც ლესბოსელი არ არსებობს? ანუ, ისეთ პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც საკუთარ ძალადობას ლესბოსელობის მიმართ, ნაწილობრივ ლესბოსელთა სწორედ ამ დისკურსიდან გარიყვაზე აფუძნებს? ექსპლიციტურად აკრძალვა ისეთი მხარის დაკავების შესაძლებლობას ნიშნავს, რომლიდანაც რაიმე საწინააღმდეგო დისკურსი მაინც შეიძლება წამოვიდეს; იმპლიციტურად გარიყვა კი ნიშნავს, რომ გარიყვის ობიექტადაც კი ვერ კვალიფიცირდები. და მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ფორმის ჰომოსექსუალობა დღევანდელ პირობებში წაშლილი, შემცირებული და (მხოლოდ შემდეგ) შექმნილია, როგორც რადიკალური ჰომოფობიური ფანტაზიის საგანი. მნიშვნელოვანია, რომ გადავხედოთ იმასაც, თუ რა გზებით იქმნება ჰომოსექსუალობა – როგორც წარმოუდგენელი და არარსებული რამ.

თუმცა ერთია, როცა ამოშლილი ხარ დისკურსიდან, და მეორეა, როცა არსებობ მასში, როგორც სიყალბე. აქედან გამომდინარე, ლესბოსელთა ხილვადობის გაზრდა პოლიტიკური საჭიროებაა, თუმცა როგორ შეიძლება არსებულ რეგულატორულ რეჟიმებში ან მათ

გარეთ ეს გავაკეთოთ? შესაძლებელია თუ არა, რომ კატეგორიათა სისტემიდან გამოორიყვა თავად გახდეს გამაერთიანებელი წერტილი?

აქ არის რალაც აღიარების მსგავსი, რომლის მიზანიც არის, რომ უბრალოდ აღიარების შეუძლებლობაზე ისაუბრო: როგორც ახალგაზრდა, დიდხანს ვიტანჯებოდი, და ვეჭვობ, რომ ბევრია ჩემი მსგავსი, იმის გამო, რომ ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად, ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ ის, რაც მე „ვარ“, ასლი, იმიტაცია, მეორადი მაგალითი და სინამდვილის აჩრდილია. სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა საკუთარ თავს ამკვიდრებს, როგორც ნამდვილს, სანყისს, ავთენტურს. ნორმა, რომელიც განსაზღვრავს, რა არის ნამდვილი, მოიაზრებს, რომ ლესბოსელობა, ყოველთვის გარკვეული მიმიკრიაა, უსარგებლო ძალისხმევა ნატურალიზებული ჰეტეროსექსუალობის ფანტაზმურ სრულყოფილებაში მონაწილეობისთვის, რომელიც მუდმივად წარუმატებელი იქნება. და მაინც, განსაკუთრებულად მახსოვს, როცა პირველად წავიკითხე ეშტერ ნიუტონის „დედა ბანაკი: ქალი იმპერსონატორები ამერიკაში“. ის წერდა, რომ დრეგი არ არის რაიმე სანყისი ან ნამდვილი გენდერის ასლი ან იმიტაცია, რომ დრეგი ითავსებს თვითონ იმპერსონიფიკაციის სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც *ნებისმიერი გენდერის* დადგენაა შესაძლებელი. დრეგი არ არის საპირისპირო გენდერის მორგება, ანუ ჩამორთმევის და მორგების ქცევა, რომელიც ეფუძნება დასკვნას, რომ გენდერი სქესის სამართლიანი საკუთრებაა, და რომ „მასკულიზური“ ეკუთვნის მამრობითს და „ფემინური“ მდედრობითს. არ არსებობს „მართებული“ გენდერი, გენდერი, რომელიც მართებულია ერთი სქესისთვის და არა მეორესთვის. რომელიც, რალაცნაირად სქესის კულტურული საკუთრებაა, სადაც ცნება „მართებული“ მოქმედებს, ის ყოველთვის და მხოლოდ „არამართებულად“ არის დამკვიდრებული, როგორც რეგულატორული სისტემის შედეგი. დრეგი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ როგორ არის გენდერი მორგებული, თეატრალიზებული, „ჩაცმული“ და შესრულებული; ის გვაჩვენებს, რომ ყველა გენდერი გარკვეული იმპერსონიზაცია, და ალბათობაა. და თუ ეს მართალია, მაშინ,

როგორც ჩანს, არანაირი საწყისი ან პირველადი გენდერი არ არსებობს, რომლის იმიტირებასაც დრევი ახდენს. თავად გენდერია იმიტაციის ფორმა, რომელსაც არ აქვს საწყისი; ფაქტობრივად, ეს ისეთი იმიტაციაა, რომელიც საკუთარი თავის იმიტირების შედეგად თვითონ წარმოშობს „საწყისის“ ცნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეტეროსექსუალიზებული გენდერების ნატურალური (ბუნებრივი) ეფექტი იმიტაციური სტრატეგიით იქმნება. ჰეტეროსექსუალური იდენტობის ფანტასტიკური იდეალის იმიტირებით, რომელიც იმიტაციის შედეგად არის შექმნილი. ასეთი გაგებით, ჰეტეროსექსუალური იდენტობის „რეალურობა“, პერფორმირების შედეგად მიღებული ეფექტია, რომელიც საკუთარ თავს წარმოაჩენს როგორც „საწყისს“ და ყველა სხვა იმიტაციის საფუძველს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეტეროსექსუალობა მუდმივად საკუთარი თავის ფანტაზმური იდეალიზაციის – და ხშირად წარუმატებელი – იმიტირების პროცესშია. და სწორედ იმიტომ, რომ ის ხშირად ხდება წარუმატებელი, და მაინც ცდილობს წარმატებას მიღწევას, ჰეტეროსექსუალური იდენტობის პროექტი განწირულია საკუთარი თავის გაუთავებელი გამეორებისთვის. მართლაც, საკუთარი თავის, როგორც საწყისის ნატურალიზაციის მცდელობაში, ჰეტეროსექსუალობა უნდა გავიგოთ, როგორც სავალდებულო და დაუძლეველი გამეორება, რომელიც მხოლოდ საკუთარი პირველადობის ეფექტის შექმნას ესწრაფვის. სხვა სიტყვებით, სავალდებულო ჰეტეროსექსუალური იდენტობები, ეს ონტოლოგიურად გაერთიანებული „კაცისა“ და „ქალის“ ფანტაზმები, თეატრალურად შექმნილი ეფექტებია, რომლებიც პოზირებენ, როგორც საწყისები, ორიგინალები, სინამდვილის ნორმატიული საზომები.

გაისხენეთ ჰომოფობიური ბრალდება, რომ დრეგ-ქვინები, და butch/femme წყვილები ჰეტეროსექსუალური სინამდვილის იმიტაციები არიან. აქ „იმიტაცია“ „მეორადის“, საწყისის ასლის მნიშვნელობით იხმარება, საწყისისა, რომელიც ყველა ასლის საფუძველია, მაგრამ თვითონ არაფრის ასლი არ არის. ლოგიკურია, რომ „საწყისის“ ცნება საეჭვოა, რადგან, როგორ შეიძლება რაღაცამ

იარსებოს, როგორც საწყისმა, თუ არ არსებობს მისი მეორადი შედეგები, რომლებიც რეტროსპექტულად ამტკიცებენ საწყისის საწყისობას? პირველადს სჭირდება მეორადის არსებობა, რათა საკუთარი პირველადობა დაამტკიცოს. ორიგინალს მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ის განიჩევა მისი მეორადი ნიშნებისგან. ანუ თუკი არ იარსებებდა ჰომოსექსუალობა, როგორც ასლი, არ იარსებებდა არც ჰეტეროსექსუალობა როგორც ორიგინალი. ჰეტეროსექსუალობის არსებობა ახლა მოიაზრებს ჰომოსექსუალობას. და თუკი ჰომოსექსუალობა, როგორც ასლი, წინ უსწრებს ჰეტეროსექსუალობას, როგორც ორიგინალს, მაშინ გამოდის, რომ უნდა დავასკვნათ, ასლი ორიგინალზე ადრინდელია, და შესაბამისად, ჰომოსექსუალობა არის ორიგინალი, ჰეტეროსექსუალობა კი მისი ასლი.

მაგრამ მარტივი შემობრუნება სრულად არ არის შესაძლებელი, რადგან ჰომოსექსუალობაზე, როგორც მხოლოდ ასლზე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჰეტეროსექსუალობას, როგორც ორიგინალს წინ უსწრებს. სხვა სიტყვებით, ასლისა და ორიგინალის მთლიანი მოდელი არასტაბილურია, რადგან ორივე კატეგორია ადვილად იცვლის ადგილს და შეუძლებელს ხდის რაიმე სტაბილური გზის პოვნას რომელიმე მათგანის დროებით ან ლოგიკური პირველადობის დასადგენად.

მაშინ, ნება მიბოძეთ, ამ პრობლემური გადანაცვლების შესახებ ფსიქიკურ-პოლიტიკური პერსპექტივიდან ვისაუბრო. თუკი გენდერის სტრუქტურა ისეთია, რომ იმიტირებული, გარკვეულწილად იქმნება, იმიტაციის შედეგად (იხ. დერიდას მიმიკრიის ინვენრსია და გადანაცვლება „ორმაგ სემონში“), მაშინ იმის მტკიცება, რომ გეი და ლესბოსური იდენტობები ჩართულია (ნაწილია) ჰეტეროსექსუალურ ნორმებში ან ზოგადად ჰეგემონიურ კულტურაში, სულაც არ ნიშნავს მის მეორადობას. პირიქით, იმიტაცია სულაც არ ნიშნავს „საწყისის“ ასლს, ის ქმნის და ცვლის თავად საწყისის და მეორადის ტერმინებს. აქედან გამომდინარე, თუ გეი იდენტობები ჰეტეროსექსუალობის ნაწილს შეადგენენ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი

ჰეტეროსექსუალობისგან წარმოქმნილი არიან, და არც იმას ნიშნავს, რომ ჰეტეროსექსუალობა ერთადერთი კულტურული ქსელია, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ. ისინი არიან შებრუნებული იმიტაციები, რომლებიც აბრუნებენ იმიტაციისა და იმიტირებულის წესრიგს, და რომლებიც ამ პროცესში ავლენენ ფუნდამენტურ (ძირეულ) დამოკიდებულებას „ორიგინალზე“, სწორედ იმაზე, რაც მათ მეორადობას ამტკიცებს.

და რა მოხდება, თუკი დასაწყისშივე დავეთანხმებით, რომ გვი იდენტობები, როგორც მეორადი სახეცვლილებები, ნაწილობრივ სწორედ ჰეტეროსექსუალურ იდენტობაზე დაყრდნობით განიმარტება, რომლისგანაც შემდეგ მათი გამოცალკევება ხდება? თუკი ჰეტეროსექსუალობა საკუთარი თავის შეუძლებელი იმიტაციაა, იმიტაცია, რომელიც პერფორმირების საშუალებით ქმნის საკუთარ თავს როგორც სანყის, ორიგინალს, მაშინ „ჰეტეროსექსუალობის“ იმიტაციური პაროდია – როცა და როგორი ფორმითაც არ უნდა არსებობდეს ის გვი კულტურებში – ყოველთვის და მხოლოდ იმიტაციის იმიტაციაა, ასლი, რომელსაც არ სანყისი გააჩნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვი იდენტობების პარადიული ან იმიტაციური ეფექტი არც ჰეტეროსექსუალობის გადასაკოპირებლად და არც მასთან გასაჯიბრებლად კი არ მუშაობს, არამედ ესწრაფვის, რომ გამოააშკარავოს ჰეტეროსექსუალობის განუწყვეტელი და პანიკური იმიტაცია საკუთარი ნატურალიზირებული იდეალისა. ის, რომ ჰეტეროსექსუალობა მარადიულად საკუთარი თავის დამკვიდრების პროცესშია, იმის დასაბუთებაა, რომ ის მუდმივად საფრთხის წინაშეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან „იცის“ საკუთარი გაქრობის საფრთხის შესახებ, და აქედან გამომდინარე, მისი მუდმივი გამეორება საკუთარი თავისა ამ საფრთხის თავიდან წინასწარ აცილებას ემსახურება. მაგრამ, მას არასოდეს შეუძლია გააქროს ეს საფრთხე, რაც ადასტურებს მის ძირფესვიან დამოკიდებულებას ჰომოსექსუალობაზე, რომლის გაქრობასაც ის ცდილობს და ვერასოდეს ახერხებს; ან რომლის, როგორც მეორადის წარმოდგენასაც ის ესწრაფვის, მაგრამ რომელიც მუდმივად არსე-

ბობს, როგორც საწყისის მზა და ალტერნატიული შესაძლებლობა. და მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს წარუმატებლობა შესაძლოა ჰეტეროსექსუალობის პათოსის წყაროც იყოს - ჰეტეროთეორეტიკოსები მას ჰეტეროსექსუალობის შემადგენელ უკმარისობის განცდას უწოდებენ - ის ასევე შესაძლოა გახდეს საფუძველი გენდერული ნორმების დამანგრეველი და ყოვლისმომცველი პაროდირებისა, სადაც ნათელი გახდება, რომ საწყისისა და ნამდვილობის მტკიცება მხოლოდ გარკვეული ნატურალიზებული გენდერული მიმიკრიის (იმიტაციის) შედეგია.

მნიშვნელოვანია, დავინახოთ ის გზები, რომელთა საშუალებითაც ჰეტეროსექსუალური ნორმები გეი-იდენტობებშიც ჩნდება; დავადასტუროთ, რომ გეი და ლესბოსური იდენტობები ნაწილობრივ სტრუქტურირებულია დომინანტური ჰეტეროსექსუალური ძალების მიერ, მაგრამ ისინი არ არიან მათ მიერ განსაზღვრულნი. ისინი მოსიარულე წარმოდგენენ ამ ნატურალიზებული პოზიციების კომენტარებს, პარადიული გადათამაშებები და ხელახალი მნიშვნელობის მიმცემებს იმ ჰეტეროსექსუალური სტრუქტურისთვის, რომელიც გეი-სიცოცხლეს წარმოუდგენლობისა და შეუძლებლობის დისკურსულ სივრცეებს გადასცემს. თუმცა, ვიმეორებ, რომ შეადგენდე ან იყო სტრუქტურირებული ნაწილობრივ, სწორედ გეი ადამიანთა მჩაგვრელი ჰეტეროსექსუალური ნორმების მიერ, იმას არ ნიშნავს, რომ ამ სტრუქტურის მიერ ხარ წარმოქმნილი და განპირობებული. და არც ის არის საჭირო, რომ ასეთ ჰეტეროსექსუალურ კონსტრუქტებს აღვიქვამდეთ, როგორც ჰეტერო-გონების მავნე ჩარევას, რომელიც ძირფესვიანად უნდა ამოვიძირკვოთ. გარკვეულწილად, ნებისმიერი ფორმის ჰეტეროსექსუალური კონსტრუქტებისა და პოზიციების არსებობა გეი- და ლესბოსურ იდენტობებში მოიაზრებს, რომ არსებობს გეი და ლესბოსური გამეორება ჰეტეროსექსუალობისა, ჰეტეროსექსუალობის შეჯამება - რომელიც თვითონვეც საკუთარი იდეალობის შეჯამება და გამეორებაა - მისსავე განსაზღვრული პირობების ფარგლებში, ეს კი ისეთი მოვლენაა, სადაც ყველანაირი მნიშვნელობის შექმნა და პაროდირება არის

შესაძლებელი. ჰეტეროსექსუალური კონსტრუქციების პარადიული კოპირება არაჰეტეროსექსუალურ ჩარჩოში (კონტექსტში) ამსუბუქებს ასე მძლავრად შექმნილ სტატუსს ეგრეთ წოდებული საწყისისა, და აჩვენებს, რომ ჰეტეროსექსუალობა საკუთარ თავს როგორც ორიგინალს და საწყისს, მხოლოდ ქმნის საკუთარი თავის პერფორმირების განმეორებათა დამატებელი წყებით. და რაც უფრო ნაკლებია ასეთი „ქცევა“, უფრო მეტად გამომწვევდება ჰეტეროსექსუალობის ილუმინაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ვსაუბრობდი გენდერული პრაქტიკის შედეგებზე, პერფორმანსზე, გამეორებასა და მიმიკრიამზე, სულაც არ ვამბობ იმას, რომ დრეგი „როლია,“ რომელიც შეგიძლია ნებით მოირგო და შემდეგ მოიშორო. მიმიკრიის უკან სულაც არ დგას მიზანმიმართული სუბიექტი, რომელიც წყვეტს, მაგალითად: რომელ გენდერს შეასრულებს დღეს. პირიქით, თვითონ ის შესაძლებლობა, რომ გახდეს ხელმოსაკიდი სუბიექტი, თავისთავად მოითხოვს განსაზღვრულ გენდერულ მიმიკრიას. სუბიექტად „ყოფნა“ სულაც არ არის უფრო მყარი ვიდრე ის, რომ „იყო“ ნებისმიერი გენდერის წარმომადგენელი. ფაქტობრივად, კოჰერენტული გენდერი, ერთისა და იგივეს მუდმივი გამეორებით ქმნის მის უკან მდგომი მიზანმიმართული სუბიექტის ილუმინაცია. ასეთი გაგებით, გენდერი არ არის პერფორმანსი, რომელსაც მის უკან მდგომი სუბიექტი ირჩევს. გენდერი თვითონ არის პერფორმატიული: რადგან ის თავის შედეგად ქმნის სწორედ იმ სუბიექტს, რომელიც თითქოს გენდერში გამოვლინდება. ეს იძულებითი პერფორმანსია, რადგან ჰეტეროსექსუალურ ნორმების და ჩარჩოების გარეთ მოქმედება იწვევს გარიყულობას, დასჯასა და ძალადობას, რომ აღარაფერი ვთქვათ სიამოვნებაზე, რომლებიც ამ აკრძალვებს მოჰყვება.

ის მტკიცება, რომ არ არსებობს პერფორმერი (შემსრულებელი) პერფორმანსამდე, რომ პერფორმანსი პერფორმატიულია, და რომ პერფორმანსი ქმნის სუბიექტს, როგორც მის ეფექტს/შედეგს, რთული მისაღებია. ეს სირთულე კი იმ წინასწარგანწყობის შედეგია, რომლის დროსაც ადამიანები აღიქვამენ გენდერსა და სექსუალობას, როგორც

მისი წინმსწრები ფსიქიკური სინამდვილის პირდაპირი ან ირიბი გზით გამოხატველს. თუმცა, სუბიექტის პირველადობის უარყოფა სუბიექტის უარყოფას სულაც არ ნიშნავს; ფაქტობრივად, სუბიექტისა და ფსიქიკის ერთმანეთში არევისგან თავის არიდება, ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობას მოიაზრებს, რომელიც აჭარბებს სუბიექტის ცნობიერების ფარგლებს. ფსიქიკური სიჭარბეა ის, რაც გამუდმებით უარყოფილია ისეთი ცნებით, როგორიცაა მიზანმიმართული „სუბიექტი“, რომელსაც შეუძლია საკუთარი ნების მიხედვით აარჩიოს, თუ რომელი სექსუალობა და გენდერი ექნება ნებისმიერ მოცემულ მომენტში. სწორედ ეს ფსიქიკური სიჭარბე ამოხეიქავს ხოლმე განმეორებით ქმედებებს შორის არსებულ ინტერვალებში, იმ ქმედებებს შორის, რომლებიც თითქოსდა ჰეტეროსექსუალურ პოზიციებთან ხილულ მსგავსებას ქმნიან. ისინი მას საკუთარი თავის გამეორებას აიძულებენ, და ეს მუდმივი წარუმატებლობის გარანტია. ასეთი გავებით, სწორედ ეს სიჭარბე, თუნდაც ჰეტეროსექსუალობაში, ჰომოსექსუალობა იმპლიციტურად მოიაზრება, როგორც მარადიული, დამანგრეველი საფრთხე, რომელიც მუდმივად ჩახშობილია ჰეტეროსექსუალობის მიერ საკუთარი თავის განმტკიცებელი გამეორებით. და მაინც, თუ გამეორება ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც იქმნება ჰეტეროსექსუალური იდენტობის მთლიანობის ილუზია, თუ ჰეტეროსექსუალობას უწევს საკუთარი თავის გამეორება, რათა დაამკვიდროს ილუზია საკუთარი იდენტობისა და ერთიანობის შესახებ, მაშინ იგი წარმოადგენს იდენტობას, რომელსაც მუდმივად ეშინია გამეორებების წარუმატებლობისა, და იმისა, რომ სწორედ ეს გარემოება სულ სხვა პერფორმატული მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. გამეორების საჭიროების მუდმივი არსებობა ნიშნავს, რომ გამეორება ვერასოდეს ქმნის იდენტობას სრულად. და ის, რომ საერთოდ არსებობს გამეორების საჭიროება, ნიშნავს, რომ იდენტობა არასოდეს არის ისეთი, როგორიც ჩანს. ის საჭიროებს, რომ ხელახლა და ხელახლა „გამყარდეს“, რაც იმას გულისხმობს, რომ ყოველი ინტერვალის დროს რისკი მისი „სიმყარის“ გაქრობის ჩნდება.

მაშ, რა არის ეს ფსიქიკური სიჭარბე, რომელიც შექმნის სუბვერსიულ და „შემარყვევლ“ გამეორებას? პირველ რიგში საჭიროა გავიხსენოთ, რომ სექსუალობა ყოველთვის აჭარბებს ნებისმიერ პერფორმანსს, მონათხრობსა და საკუთარი თავის პრეზენტაციას. სწორედ ამიტომ არის შეუძლებელი სექსუალობის „ნაკითხვა“ ნებისმიერი მოცემული გენდერული თვითპრეზენტაციის დროს. შეიძლება ითქვას, რომ სექსუალობა ნებისმიერ განმსაზღვრელობით ნარატივს აჭარბებს. სექსუალობა არასოდეს არის სრულად „გამოხატული“ არც პერფორმანსში და არც პრაქტიკაში. ყოველთვის იარსებებენ პასიური და აგრესიული femme-ები ან ფემინური და აგრესიული butch-ები¹², და ყველა მათგანი საბოლოოდ შესაძლებელია აღვწეროთ, როგორც სტაბილური და გარკვეული ანატომიის მქონე „მამაკაცი“ ან „ქალი“. არანაირი პირდაპირი ან მიზმშედევობრივი კავშირი არ არსებობს სქესს, გენდერს, გენდერულ თვითპრეზენტაციას, სექსუალურ გამოცდილებას, ფანტაზიასა და სექსუალობას შორის. ვერც ერთი ეს ტერმინი ვერ მოიაზრებს და განსაზღვრავს დანარჩენს. სექსუალობის ნაწილი სწორედ ის არის, რაც არასოდეს ჩანს, და ის, რაც ვერც გამოჩნდება ოდესმე. ეს არის ალბათ ყველაზე ძირეული მიზეზი იმისა, თუ რატომ არის სექსუალობა, გარკვეული ხარისხით, ყოველთვის „closet“-ში, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც საკუთარი სექსუალობის „გამომჟღავნების“ ქცევით გამოხატვით სურს. იმის წარმატებით შესასრულებლად, რაც განდევნილია მოცემულ გენდერულ თვითპრეზენტაციაში, შესაძლოა სექსუალური ქცევის მეშვეობით ხორციელდებოდეს. ეს გენდერულ თვითპრეზენტაციასა და სექსუალობას შორის შებრუნებული ურთიერთობაა, ისეთივე, როგორიც იყო გენდერსა და გენდერულ თვითპრეზენტაციას შორის. თუმცა, მეორე მხრივ, გენდერული თვითპრეზენტაცია და სექსუალური პრაქტიკა შესაძლოა ისე კორელირებდეს, რომ გამოჩნდეს, თითქოს პირველი განსაზღვრავს მეორეს. თუმცა ორივე თავისთავად და

¹² ტერმინები butch /femme გამოიყენებამასკულინური(butch)/ ფემინინური (femme) ნიშნების/იდენტობების აღსაწერად უმეტესად ლესბოსელ წყვილებში.

ერთად იქმნება სწორედ იმ სექსუალური შესაძლებლობების წყალობით, რომლებსაც ისინი განდევნიან.

შებრუნებული ურთიერთობების ლოგიკა საინტერესოდ ხორციელდება ლესბოსურ butch/femme წყვილებში. რადგან butch-მა შესაძლოა საკუთარი თავი ძლიერ, ნიჭიერ და ყველაფრით უზრუნველმყოფელ ტიპაჟად წარმოადგინოს, stone butch-¹³ი კი საკუთარი სიყვარულის ამენებას მხოლოდ ეროტიკულ ყურადღებასა და სიამოვნებაზე ცდილობდეს. და მაინც, ეს „მზრუნველი“ „butch“-ი, რომელიც, შესაძლოა, უბრალოდ ჩვეულებრივი ქმრის როლის ასლის მაგალითად გვეჩვენოს, შესაძლოა სწორედ ამ შებრუნებული ლოგიკის მაგალითი აღმოჩნდეს. ის თავისი „მზრუნველობითა“ და თავგანწირვით, უძველეს ფემინური მოდელის – „საკუთარი თავის მსხვერპლად გაღების“ – მახეში ებმება. მან შესაძლოა საკუთარი თავი გასაჭირში აღმოაჩინოს, და თვითრეალიზაცია თავის femme საყვარლის მეშვეობით შეძლოს. შედეგად butch-ი გადაიქცევა femme-დ, ანდა რჩება არსებულ სიტუაციაში და ამით სიამოვნებას იღებს. მეორე მხრივ, femme, რომელიც, როგორც ამბერ ჰოლიბაუ ამბობდა, შესაძლოა პარტნიორზე გარკვეულწილად დამოკიდებულებით, პასიურობით მართავს სექსუალურ ურთიერთობას. ის შესაძლოა ეროტიკულ სიამოვნებას იღებდეს, როცა სწავლობს, რომ სწორედ ეს დამოკიდებულება მას განუსაზღვრეელ ძალას აძლევს. და ამ დროს ის გადაიქცევა butch-ად, ან რჩება არსებულ სიტუაციაში ან ამით სიამოვნებას იღებს.

ფსიქიკური მიმიკრია

ის, რაც ეროტიკულ სტილსა თუ გენდერულ თვითპრეზენტაციას აყალიბებს და ფორმას აძლევს, და ის, რაც ამ კატეგორიების შინაგან

¹³stone butch – განისაზღვრება, როგორც მკაფიოდ გამოხატული მასკულიზური ნიშნების (ფიზიკური და ჩაცმულობა) მქონე butch, ის, ვინც დომინანტია ურთიერთობასა და სექსში.

არასტაბილურობას განაპირობებს, ფსიქიკური იდენტიფიკაციების წყებაა, რომლის აღწერაც ადვილი სულაც არ არის. ზოგიერთი ფსიქოანალიტიკური თეორია ცდილობს გააანალიზოს სურვილი და იდენტიფიკაცია, როგორც ორი ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება სასიყვარულო ობიექტის მიმართ, რომელიც აკრძალვისა თუ განცალკევების გამო დაკარგა. ნებისმიერი მჭიდრო ემოციური მიჯაჭვულობა ასეთი გაგებით ორად იყოფა: ვილაცის ყოლის ან ვილაცად ყოფნის სურვილებად. და ორივე ერთად შეუძლებლად მიიჩნევა. თუმცა მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, იდენტიფიკაციისა და სურვილის თანაარსებობის შესაძლებლობა და მათი როგორც ურთიერთგამომრიცხავ ცნებებად განსაზღვრა მხოლოდ ჰეტეროსექსუალური მატრიცის სასარგებლოდ მუშაობს. თუმცა, მე მსურს ყურადღება გავამახვილო აღწერილი მოვლენის განსხვავებულ ფორმაზე. იმაზე, რომ „ვილაცის ყოლის“ და „ვილაცად ყოფნის“ სურვილები შესაძლოა მუშაობდნენ ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების ერთმანეთისგან გასარჩევად: რაც ძალიან ცენტრალურია ლესბოსური ეროტიკული ურთიერთობისათვის. გავიხსენოთ, რომ იდენტიფიკაცია ყოველთვის გარკვეული დანაკარგის საპასუხოდ ჩნდება, და მოიაზრებს გარკვეულ მიმიკრიას, რომელიც ცდილობს, დაკარგული სიყვარული საკუთარ „იდენტობაში“ შეითავსოს. ეს იყო ფროიდის არგუმენტი, ნაშრომში „გლოვა და მელანქოლია“ 1917 წელს, და დღემდე მნიშვნელოვანია თანამედროვე ფსიქოანალიტიკური დისკუსიებისათვის იდენტიფიკაციის შესახებ.

ისეთი ფსიქოანალიტიკოსებისათვის, როგორცაა მიკელ ბორჩ-იაკობსენი და რუთ ლეისი, იდენტიფიკაცია, და განსაკუთრებით იდენტიფიკაციური მიმიკრია, წინ უსწრებს „იდენტობას“ და ასე ქმნის იდენტობას, რომელიც ძირეულად „უცხოა (სხვა) საკუთარი თავისთვის“. უცხოს (სხვის) ცნება საკუთარ „მე“-ში, მოიაზრებს, რომ „მე“ /სხვა განსხვავება გარეგანი არ არის (ამ დასკვნიდან გამომდინარეა მნიშვნელოვანი კრიტიკა ეგო ფსიქოლოგიისა); „მე“ დასაწყისშივე მნიშვნელოვანწილად ჩართულია „სხვა“-ში. და პირვე-

ლადი მიმიკრიის ზემოთაღწერილი თეორია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ფროიდის ანალიზისაგან მელანქოლიური გაშინანების შესახებ. ფროიდის აზრით, რომელიც მე სასარგებლოდ მიჩვენება, გაშინანება – ფსიქიკური მიმიკრიის გარკვეული ფორმა – პასუხი და უარყოფაა დანაკარგისა. აქედან გამომდინარე, გენდერი, როგორც ფსიქიკური მიმიკრიების ადგილი, შედგება სხვადასხვანაირი გენდერის მქონე „სხვებისაგან“, ვინც უყვარდათ და დაკარგეს, სადაც დანაკარგი ნაზღაურდება ამ სხვების მელანქოლიური და წარმოსახვითი გაშინანებითა (და გაფრთხილებით) ფსიქიკაში. გაშინანებითა და მელანქოლიის საშუალებით წარმოქმნილი ფსიქიკური მიმიკრიის აღწერილობის საპირისპიროდ, პირველადი მიმიკრიის თეორია ფსიქიკური სუბიექტის არათვითიდენტურობის კიდევ უფრო ძლიერ პოზიციას ამტკიცებს. მიმიკრია არ არის მოტივირებული დანაკარგის დრამითა და მიზანმიმართული გამოკეთების სურვილით, არამედ წინ უსწრებს და შეადგენს თვით სურვილს (და მოტივაციას). საკუთრივ მიმიკრია კი შესაძლოა იყოს წინმსწრები დანაკარგისა, თუ სიყვარულით იმედგაცრუების შესაძლებლობისა.

მიუხედავად იმისა, დანაკარგი უსწრებს წინ მიმიკრიას თუ პირიქით (ალბათ პასუხგაუცემელი კითხვაა), ფსიქიკური სუბიექტი მაინც შინაგანად განსხვავებული გენდერის მქონე „სხვებისაგან“ შედგება. აქედან გამომდინარე, არასოდეს წარმოგვიდგება, როგორც ერთიანი გენდერი.

ჩემი აზრით, „მე“ მხოლოდ მას შემდეგ ხდება „მე“, რაც გარიყვას განიცდის. (გრამატიკა გვაიძულებს აქ უზუსტობას, რადგან „მე“ მხოლოდ გარიყვის/განცალკევების მეშვეობით ხდება დიფერენცირებული). მას შემდეგ, რაც განიცდის დანაკარგს, რომელსაც წინააღმდეგობა ეწევა და წინასწარგადაიჭრება ვინმე/რაიმე „სხვის“ გაშინანებით/შეთვისებით. ეს „მე“-ში გაშინანებული „სხვა“ ქმნის მუდმივ უუნარობას ამ „მე“-ს თვითიდენტობის, მთლიანობის მისაღწევად. ის, მუდმივად დარღვეულია ამ „სხვის“ მიერ. და ამ „მე“-ს

შესაძლებლობის პირობა სწორედ „მე“-ს ცენტრში განთავსებული ამ „სხვის“ რღვევაა.

ფსიქიკური იდენტიფიკაციის ასეთი აღწერილობა გამორიცხავს ნებისმიერ სტაბილურ ტიპოლოგიათა წყებას გეი- და ლესბოსური იდენტობების აღსაწერად. და ნებისმიერი მცდელობა, ასეთი აღწერილობის მოსაწოდებლად, როგორც კატია სილვერმენის მამაკაცთა ჰომოსექსუალობის ახალი კვლევა ამტკიცებს, სიმფლიციტური და საგანგაშოდ კონფორმულია დაგნოსტიკური, რეგულატორული რეჟიმების მოთხოვნების მიმართ. თუკი გაშინავნება, ინკორპორაცია, ფროიდისეული გაგებით 1914-ში, დაკარგული და საყვარელი ობიექტის გაფრთხილების მცდელობაა, და უარის თქმა დანაკარგის გაცნობიერებისა და მწუხარების დროში გადადებამდე, მაშინ ვილაცის მიერ დედაზე, მამაზე, და/ძმაზე ან აღრეულ „საყვარლებზე“ დამსგავსება, შესაძლოა სიყვარულის ქცევა და/ან სიძულვილით გამოწვეული მცდელობაა სხვისი ჩანაცვლებისა ან გადანაცვლებისა. და ჩვენ როგორ შეგვიძლია მიმიკრული გაშინავნების ცენტრში მდგარი ასეთი ამბივალენტობის ტიპოლოგიზაცია?

და როგორ მივყავართ ფსიქიკური იდენტიფიკაციის ასეთ ანალიზს იმ შეკითხვამდე, თუ როგორია არსებული წესრიგის დამარღვეველ გამეორებამდე? როგორ ხდება გაურკვეველი იდენტიფიკაციები ხილული კულტურულ პრაქტიკაში? მოდი, გავიხსენოთ ის გზა, რომლითაც ჰეტეროსექსუალობა ახდენს საკუთარი თავის ნატურალიზაციას სქესის, გენდერისა და სურვილის ერთმანეთთან თანხვედრის ილუზიის შექმნით, როცა არეცა ფრანკლინი მღერის, „თავს მაგრძნობინებ ბუნებრივ ქალად“, ის, როგორც ჩანს, პირველ რიგში ამბობს, რომ მისი სქესის გარკვეული ბუნებრივი პოტენციალი აქტუალიზდება მოცემულ კულტურაში მისივე თანამონაწილეობით „ქალის“ პოზიციამდე დგომით, რომელიც ჰეტეროსექსუალური სურვილის ობიექტია. რაღაცა მისი „სქესის“ შესახებ, მისი „გენდერის“ მეშვეობით არის გამოხატული, და ეს შემდეგ სრულად მოქცეულია ჰეტეროსექსუალური სცენის ჩარჩოში. არავითარი წყვეტა „სქესის“ – როგორც ბუნებრივ ფაქტს, გენდერსა და სექსუალობას შორის არ

არის. მიუხედავად იმისა, რომ არეტა, სრულიად კმაყოფილი ჩანს საკუთარი „ბუნებრიობის“ დადასტურებით, პარადოქსულად, ის ასევე ამჟღავნებს, რომ საქმის კურსშია, რომ ასეთი დასტური არასოდეს არის გარანტირებული, და რომ ბუნებრიობა მხოლოდ პეტეროსექსუალობის დადასტურების შედეგად მიიღწევა. ბოლოს და ბოლოს, არეტა მღერის, რომ ბუნებრივი ქალივით მაგრძნობინებ თავსო, რაც მიგვანიშნებს, რომ ეს გარკვეული მეტაფორული შინაარსია, სიცრუის აქტი, ფართომასშტაბიანი და წუთიერი მონაწილეობა ონტოლოგიურ ილუზიაში, რომელიც მიწიერი პეტეროსექსუალი ღრეგის მიერ არის შექმნილი.

მაგრამ ხომ შეიძლება არეტა მე მიმღეროდა? ან ვინმე ღრეგედ-დოფალს, რომლის წარმოდგენაც, რალაცნაირად მის საკუთარს მიაგავდა?

როგორ ვიღებთ მხედველობაში ასეთი ტიპის იდენტიფიკაციას? არ არსებობს გარკვეული ტიპის *სქესი*, რომელიც ბუნდოვანი ბიოლოგიური ფორმით არსებობს და რომელიც რალაცნაირად გამოიხატება სიარულის, უესტებისა თუ პოზების საშუალებით; არ არსებობს, რომ გარკვეული სექსუალობა შემდეგ გამოხატავს ორივეს: ნეტ-ნაკლებად ხილვად გენდერსა და მაგიურ სქესს. თუ გენდერი ღრეგია, და თუ ის იმიტაციაა, რომელიც რეგულარულად ქმნის იდეალს რომელთან მიახლოებასაც ცდილობს, მაშინ გენდერი პერფორმანსია, რომელიც *ქმნის* შინაგანი სქესისა და ფსიქიკური გენდერის არსებითი საფუძვლისილუზიას; ის *ქმნის* კანზე, უესტების, მოძრაობების, სიარულის მანერის მეშვეობით (ეს სამოსი სხეულებრივი თეატრისა, რომელსაც გენდერული თვითპრეზენტაცია ეწოდება), შინაგანი სიღრმავის ილუზიას. შედეგად, ერთი გზა, რომლის მეშვეობითაც გენდერი ნატურალიზდება მის შინაგან ფსიქიკურ ან ფიზიკურ აუცილებლობად წარმოჩენაა. და მაინც, ის ყოველთვის ზედაპირული ნიშანია, ნიშანი საჯარო სხეულზე და სხეულში, რომელიც ამ შინაგანი სიღრმავის, არსებითის, საჭიროს ილუზიას ქმნის, რომელიც ყოველდღე რალაცნაირად მაგიურად ვლინდება.

ფსიქიკაში, როგორც შინაგან სიღრმეში ეჭვის შეტანა იმას არ გულისხმობს, რომ სრულად უარვეყოფით ფსიქიკა. პირიქით, ფსიქიკა, როგორც სავალდებულო გამეორება, როგორც ის, რაც განაპირობებს და აფერხებს იდენტობის განმეორებით პერფორმირებას, მოითხოვს ხელახალ ანალიზს. თუკი ყველა პერფორმანსი საკუთარ თავს იმეორებს იდენტობის დასამკვიდრებლად, მაშინ ყველა გამეორებისათვის საჭიროა განმეორებათა შორის ინტერვალის არსებობა, რომელშიც რისკები და ფსიქიკური სიჭარბე საფრთხეს უქმნის იდენტობის შექმნას. არაცნობიერი სიჭარბეა, რომელიც ქმნის პერფორმანსს, რომელსაც ეჭვი შეაქვს ყველა პერფორმანსში, და რომელიც არასოდეს ჩნდება სრულად პერფორმანსის დროს. ფსიქიკა სხეულში კი არაა, არამედ იმ მნიშვნელობის მიცემის პროცესშია, რომლის მეშვეობითაც ეს სხეული ჩნდება. სწორედ გამეორების შეცდომა და გამეორების აუცილებლობა არის ის, რის უარყოფასაც პერფორმანსი ცდილობს და რომელიც უბიძგებს პერფორმირებისკენ.

ფსიქიკის, როგორც ყველა გამეორების არასტაბილურობის აღმნიშვნელის, ამ მნიშვნელობათა ჯაჭვში განთავსება, განსხვავდება იმ მტკიცებისაგან, რომ ის შინაგანი საფუძველია, რომელიც უცდის თავის სრულ და გამათავისუფლებელ გამომჟღავნებას. პირიქით, ფსიქიკა გამოხატვის მუდმივი წარუმატებლობაა, წარუმატებლობა, რომელიც ღირებულია, რადგან უბიძგებს გამეორებას და რღვევის შესაძლებლობას ადასტურებს. მაშინ, რას ნიშნავს არსებული წესრიგის დამრღვევი გამეორების შესრულება სავალდებულო ჰეტეროსექსუალურ სისტემაში?

მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო ჰეტეროსექსუალობა ხშირად მოიაზრებს, რომ პირველ რიგში არსებობს სქესი, რომელიც გამოხატულია გენდერის მეშვეობით და შემდეგ სექსუალობით, ახლა ალბათ საჭიროა, რომ სრულიად შევცვალოთ ამ აზრის სტრუქტურა. თუკი სექსუალობის რეჟიმი განაპირობებს სქესის სავალდებულო პერფორმანსს, მაშინ მხოლოდ ამ პერფორმანსის საშუალებით გახდნენ გენდერისა და სქესის ბინარული სისტემები დამაჯერებელი.

შესაძლოა სქესის, სექსუალური იდენტობის ან გენდერის კატეგორიები შექმნილი და შენარჩუნებულია ამ სავალდებულო პერფორმანსის შედეგად, რომელსაც უნამუსოდ დაერქვა მიზეზი და სანყისი, უნამუსოდ მიუერთდა მიზეზშედეგობრივ თუ გამომხატველობით თანმიმდევრობას, რომელსაც ჰეტერო-სექსუალური ნორმა ქმნის იმისათვის, რომ დააკანონოს საკუთარი თავი, ყველა სქესის სანყისად. მაშინ, როგორ გამოვავლინოთ, რომ ეს მიზეზშედეგობრივი კავშირები რეტროსპექტული და პერფორმირების შედეგად შექმნილი სიყალბეა, როგორ გავამუდავნოთ, რომ გენდერი გარდაუვალად ყალბია; როგორ შევქმნათ გენდერი ისე, რომ გამოჩნდეს- ყველა მტკიცება შინგანის, სანყისის, ჭეშმარიტისა და ნამდვილის შესახებ, არაფერია თუ არა დრეგის პერფორმანსის შედეგი, ვისი დამანგრეველი შესაძლებლობაც უნდა იქნას გამოყენებული და გადათამაშებული იმისათვის, რომ „სქესი“ და გენდერი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თამაშის ადგილი გახდეს. ალბათ, ამისათვის სექსუალობის იდენტობის წინააღმდეგ მუშაობა არის საჭირო, და ასევე ნებისმიერ პერფორმანსში იმისათვის – რაც არასოდეს არის ბოლომდე ნათელი და გარკვეული – საკუთარი დამანგრეველი პირობის ჯიუტად შესრულების უფლებების მისცემა.

მასკულინური სექსუალობა ადრემოდერნულ ინგლისში

თარგმანი: *ლევან ბერიანიძე*

ჰომოსექსუალობა ნაკლებად შოკისმომგვრელია, თუმცა მის მიმართ ინტერესი კვლავაც არსებობს; ის მნიშვნელოვან დისკურსებს წარმოშობს...

რაც არ უნდა თანამედროვე იყოს ადამიანი, მისი ცხოვრება ყოველთვის საზოგადოებრივი მოვლენაა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ადრემოდერნული მასკულინობის ისტორიოგრაფია მასკულინობას იმ გარემოებებში განიხილავდა, რაც მას ნორმატიულობის ჩარჩოში აქცევდა. ეს გარემოებები მოიცავს ყველაფერს - ბრძოლის ველიდან სასამართლო დარბაზამდე, პარლამენტიდან - ამბიონამდე, მოგზაურობიდან - დაპყრობამდე. ეს ის გარემოებებია, რომლებიც ადრემოდერნულ ინგლისში (და ევროპაში) მასკულინობას ძლევა მოსილებას ანიჭებდა და ადრემოდერნულ სახელმწიფოს განმტკიცების საშუალებას აძლევდა. კაცი მათში წარმოდგენილია, როგორც: გმირი, პრინცი, მღვდელი, იურისტი, ოკეანეებში მოგზაური მკვლევარი და ოჯახის ბატონი. ამას გარდა, იმ გარემოებების და ინსტიტუციების ცენტრალური ან პერიფერიული მხარეების კვლევისას, სადაც მასკულინობა კონსტრუირებული, ასევე კაცის სექსუალობის ქორწინების და რეპროდუქციული ფუნქციებს მიღმა აღქმისას, ადრემოდერნული მასკულინობის ისტორიოგრაფია აკრძალვათა და სიამოვნებათა ზონაში გადადის. მასკულინური სექსუალობის სამფლობელოში, იმ საზღვრებს მიღმა, რასაც მიშელ ფუკო (Michel Foucault) “შეზღუდვების ყველაზე ინტენსიურ ფოკუსს” უწოდებს, ანუ ქორწინებით განმტკიცებული სხეულის მიღმა, ადრემოდერნული კაცის სექსუალობა არსებითად ცოდვით განისაზღვრებოდა. ადრემოდერნულ ინგლისში ქცევის მრავალი სახელმძღვანელო ჯიუტად დუმდა “ეროსის” შესახებ (ეს ტერმინი ადრემოდერნულ ინგლისში არარეპროდუქციული სექსის აღსაწერად გამოიყენებოდა).

იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ქცევის სახელმძღვანელოები ეროსს ახსენებენ, ისინი მას მასტურბაციისას თესლის უსარგებლო დანთხვეისთვის აკრიტიკებენ. ამის მაგალითს ვხვდებით რობერტ კლივერის წიგნში *ოჯახის მმართველობის საღმრთო ფორმა* (Robert Cleaver - *A godly form of hovseholde gouernment*). მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის სექსუალობას არანაირი აზრი არ ენიჭებოდა, თუ მას რეპროდუქციული დატვირთვა არ გააჩნდა. შესაბამისად, ადრემოდერნულ კულტურაში მასკულინური სექსუალობა და ზოგადად მასკულინობა საზოგადოებრივი სფეროს პარამეტრების მიხედვით აღიქმებოდა. სწორედ მასკულინობის საჯაროობაზე დამოკიდებულების და მისი რეპრეზენტაციების ბუნდოვანი და ჩახლართული (კომპლექსური) ხასიათის გამო ჩნდება სირთულეები, როდესაც მასკულინობა ნორმატიულობის საზღვრებს მიღმა გადის.

ადრემოდერნულ ევროპაში სოლოშიაზე ესეების კრებულის გამოცემაში, ტომ ბრიტერიჯმა (Tom Betteridge), დასვაკითხვა: „არსებობდნენ თუ არა ადრემოდერნულ ევროპაში ღიად ჰომოსექსუალები? მიაჩნდათ თუ არა ამ პერიოდის კაცებს, რომლებსაც ერთმანეთთან ჰქონდათ სექსი, საკუთარ ქცევა თავიანთი იდენტობის განმსაზღვრელად?“ ადრემოდერნული ინგლისის (1550 - 1800 წლები) სექსუალობაზე შექმნილი კრიტიკული მწერლობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რაზეა საუბარი განმანათლებლობის წინა პერიოდის ისტორიაში - სექსუალურ ქცევაზე, სექსუალურ იდენტობებზე, (ჰომო) სექსუალობის ტრადიციაზე თუ მემკვიდრეობაზე?

ალან ბრაი (Alan Bray) თავის წიგნში, რომელიც ინგლისის ადრემოდერნულ ჰომოეროტიზმს ეძღვნება, იკვლევს ინგლისის რენესანსის პერიოდში ჰომოსექსუალური ქცევის იდენტიფიცირების პრობლემებს და მსგავს კითხვას სვამს სხვა, უფრო მეტად ემპირიული კუთხიდან:

ვიპოვებ თუ არა ის, რასაც ვეძებდით - იმის თვითმხილველი, თუ როგორ ჩნდებოდა ჰომოსექსუალობა ელისაბედის და იაკობის პერიოდის ლონდონის საზოგადოებაში? პასუხი ცხადია

- არა. ერთი აშკარა წინააღმდეგობა ის არის, რომ ისინი (რენესანსის ჰომოსექსუალები) მითიური არსებები არიან და არა იდენტიფიცირებადი ინდივიდები.

ბრეის სვამს კითხვას - რა აქცევს ინიდვიდს იდენტიფიცირებადად? აქ იკვეთებადიქოტომია “მითიური არსებების” და “იდენტიფიცირებადი ინდივიდების” შესახებ. ნუთუ არ არსებობს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ამ მითიურ არსებებს, ამ შემთხვევაში რენესანსის პერიოდის ინგლისელ ჰომოსექსუალებს, რაიმე საერთო ჰქონდეთ იდენტიფიცირებად ინდივიდებთან? იმის მიუხედავად, რომ სექსუალური აქტი ხდებოდა მეგობრებს, მეზობლებს, აზნაურებს, მსახურებს თუ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, თავისთავად აქტი მაინდამაინც თვითიდენტიფიკაციის ნიშანი არ იყო. როგორც ბრეი აღნიშნავს, ნაცნობებს და არა უცნობებს შორის მომხდარი ჰომოსექსუალური პრაქტიკა სახიფათო თავგადასავლებში ერთგვარ სითამამგმეც კი მიუთითებდა. ადრემოდერნული ჰომოსექსუალობის იდეა მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ჰომოსექსუალობას ადამიანის აქტივობას უკავშირდება. ამდენად, უცხო პირებს შორის ურთიერთობები განმარტებულია „საჯარო ურთიერთობებად“. მე-19 საუკუნის ლონდონში ჰომოსექსუალების თავმეყრის სახლების არსებობა წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომლონდონის ადრემოდერნული ქალაქიდან მოდერნულ ქალაქად გადაქცევის პერიოდში არსებობდა მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ჰომოსექსუ-ალური პრაქტიკები. თუმცა ეს სახლები (molly houses) მაინც არ არის თვითიდენტიფიკაციის ადგილები, უბრალოდ, ეს ადგილები გამოხატავს იმ კაცური ინტიმური ურთიერთობების გარკვეული ინსტიტუციონალიზაციის გაცნობიერებას, რომელიც ქორწინების საზოგადოებრივი სფეროს ფარგლებს გარეთაა და რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს და აკონტროლოს სექსუალური ქცევა და შესაბამისად სოციალური მორალიც.

თუმცა, კათოლიკე მღვდელი ბენჟამინ კარიერი (Benjamin Carrier), წერს, რომ 1632 წელს, სავარაუდოდინგლისში:

იყო ორმოცამდე, ან მეტი სოლომიტი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი (ზოგი დაჭერილია, ზოგიც გაიქცა); ისინი არიან საკმაოდ სიმშაბიურნი; მათ გააჩნიათ სავანებო ადგილი საზოგადოებრივი შეკრებებისათვის... ამ უშველებელ მონსტრთავან, რწმენით ყველა პურიტანია და თავს საღმრთო საკითხებში უფრო მეტად განსწავლულად წარმოაჩენს, ვიდრე ყველაზე უფრო თავშეკავებული და ნასწავლი პროტესტანტები; ამ პროტესტანტების უმეტესობა მთლიანად უარყოფს სხვა პურიტანულ დოქტრინებს; არსებობს სამშროება, რომშესაძლოა მომავალში მათ თავიანთი სოლომიტური მდგომარეობა ისე წარმოაჩინონ, რომ თავიანთი პრინციპები მისაღები გახადონ.

ეს პასაჟი, ერთის მხრივ, გვიჩვენებს რელიგიური მოწინააღმდეგეებისათვის ბოროტი ხმების გავრცელებისას სოლომიის ცოდვით აპელირების გავრცელებულ ტაქტიკას. უჩვეულო არ არის კათოლიკე მღვდლის მიერ ასეთ ცილისმწამებლური სცენარით მანიპულირება, ამდენად იგი ისტორიულ ვითარების რეალურად შესაძლოა არც ასახავდეს; ასეთივე სცენარი პურიტანების მიერ კათოლიციზმის სოლომიად წარმოაჩენის სტრატეგიის შებრუნებული ვარიანტია. მეორე მხრივ, ეს პასაჟი საინტერესოა იმ კუთხითაც, თუ როგორაა წარმოდგენილი ადრეული „სოლომიტური“ ქალაქური ადგილი და როგორ ხდება მასზე იერიშის მიტანა. პირველ რიგში, ავტორს გააზრებული აქვს, თუ როგორი შეიძლება იყოს მსგავსი დაწესებულება. მეორეც, პასაჟი გულისხმობს, რომ ამ ჯგუფის წევრები შეიძლება საკუთარი თავის განსაზღვრას თავიანთი იექსუალური პრაქტიკიდან გამომდინარე ახდენდნენ (“მათი სოლომიტური მდგომარეობა”). დისკურსულად, პასაჟი ეფუძნება იმ იდეას, ან შესაძლებლობას, რომ ადრემოდერნული ლონდონის მასკულინური კულტურის თვითიდენტიფიკაცია განსხვავებულად და გასაიდუმლოებულად ხდება. მართალია, ეს ქალაქური საზოგადოება ჯერჯერობით არ ატარებს ორგანიზებული ჰომოფროტული კაცური კულტურის ნიშნებს, როგორც მაგალითად რენესანსის ეპოქის ფლორენციაში

იყო, ის საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს დანესებულება (და მისი სოციალური პოლიტიკა). ეს რეიდი რომც მომხდარიყო, იგი მაინც ვერ იქნებოდა ადრემოდერნულ ინგლისში კარგად ორგანიზებული ჰომოსექსუალური კულტურის ან სახელმწიფოს მიერ მისი კონტროლის საკმარისი მტკიცებულება. საზოგადოებრივი სოლომის შესახებ, თუკი ის საერთოდ იმდენად საჯარო იყო, რომ ჰანიკის საფუძველს იძლეოდა, სავარაუდოდ სწორედ ხელისუფლების სიჩუმე იყო მიზეზი, რამაც სოლომის დისკურსსა და მის რეპრეზენტაციას გაგრძელების საშუალება მისცა. შესაბამისად, რენესანსის პერიოდში, ჰომოსექსუალური იდენტობის არსებობის ამკარა დამამტკიცებელი საბუთის არქონის გამო ჰომოსექსუალური მასკულინობა იმ მოდელს დაუახლოვდა, რასაც ჩვენ დღესდღეობით ქვიარს ვუწოდებთ. საქმე ეხება ლტოლვებს და არა გენდერს, და არანორმატიული სექსუალური ქცევის ფორმებს (არანორმატიული - ჩვენი დღევანდელი ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე).

ამჟამინდელი ადრემოდერნული ინგლისის გეი ისტორიოგრაფია თავს არიდებს იდენტიფიკაციის და იდენტობების კონცეფციებს და უპირატესობას ქვიარ მეთოდოლოგიას ანიჭებს. ეს მეთოდოლოგია ხარვეზების და გადაფარვების, სექსუალური და გენდერული ქცევის, მოქნილი და ხშირად ორაზროვანი ლტოლვების მუდმივი ტრიალით ცდილობს მოიხვედოს ის, რაც შეიძლებოდა ადრემოდერნული ინგლისის კაცის - კაცთან სექსუალური კულტურა ყოფილიყო. ქვიარ თეორია ამას აკეთებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იდენტობებს დეტერმინიზმის ელფერი დაკრავს, არამედ იმიტომაც, რომ როგორც ძირითადად დისკურსებისა და ეპისტემოლოგიური ფენომენების თეორია, იგი დამოკიდებულია რიტორიკულ კონსტრუქციებსა და სოციალურ და ტექსტუალურ რეპრეზენტაციებზე. შესაბამისად, ადრემოდერნულ ინგლისში ჰომოეროტული ლტოლვების და ქცევის ნიშნების ამოკითხვა ნიშნავს „შეფარდებით კითხვას“, „ტექსტების ისე დანახვას, რომ ისინი წარმოადგენდნენ თვითიდენტიფიკაციის ადგილებს“ და „არა ადვილად სახელდარ-

ქმეული ლტოლვების სინტაქსის“ ანალიზს. თუმცა, ადრემოდერნული ინგლისის ჰომოეროტული მასკულინობის კვლევის საკითხი სპეციფიკურად თვითიდენტიფიკაციის პრობლემიდან წარმოიშობა; არ არსებობს არც ერთი ადრემოდერნული ინგლისური ტექსტი, სადაც თვითრეპრეზენტაცია მტკიცებით ფორმაშია მოცემული. სწორედ ამ თვითრეპრეზენტაციის ნაკლებობის გამო, ადრემოდერნული ქვიარ არქივი ერთგვარი „სატირაა საკუთარ შესასწავლ ობიექტზე“. იმ დროსაც კი, როცა შეიძლება ბევრმა თქვას, რომ ადრემოდერნულმა ქვიარ კრიტიკამ თავის მწვერვალს მიაღწია და თავის რესურსები ამოწურა (და როგორც ჩანს, არგუმენტებიც), ყველაზე ქვიარი ადრემოდერნული ინლისელი მწერლის, ქრისტოფერ მარლოუს (Christopher Marlowe), ჰომოეროტიზმი კვლავაც იდენტუიკაციის თავსატეხია, რომელიც საუკეთესოდაა ილუსტრირებული ორი კვლევაში ამ მწერლის შესახებ. კონსტანს ბრაუნ კურიამა (Constance Brown Kuriyama) თავის ბიოგრაფიულ წიგნში მარლოუს შესახებ არც კი ახსენებს, რომ მას შესაძლოა ჰომოსექსუალური მიდრეკილებები ჰქონოდა. კურიამას თანახმად, მარლოუს სექსუალობა საერთოდ არ გააჩნია. პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ ის, რაც ჩვენ ვიცით მარლოუზე, იმის ჩათვლით, რომ იგი ღიად გეი იყო, იმით იყო გამოწვეული, რომ იგი მორგებოდა ახალ „საიმიჯო“ მოდელსა და პოლიტიკურ მიზნებს. სულ რომ გვერდი ავუაროთ იმ მტკიცებას, რომ „ღიაობა“ ისტორიულად სპეციფიკურია და აუცილებელი არაა ქცევაში გამოიხატებოდეს, კურიამას აზრი მარლოუს შემთხვევაში, ვისი დრამატული თუ არადრამატული პოეზიაც ექსკლუზიურად მასკულინურია და საერთოდ მოკლებულია ქალების რეპრეზენტაციას, გულისხმობს, რომ მარლოუს, როგორც ნორმების მრღვეველის და რევოლუციონერის იმიჯი გვიანდელი ისტორიის მიერ შეთხზულია და არა მისი მოღვაწეობის დროინდელი. ამ შემთხვევაში, კურიამას აზრი სტეფან ორგელის (Stephen Orgel) აზრს ემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ ნორმების დამრღვევი მარლოუ მისი სიკვდილის შემდგომი პერიოდის გამოწვევია. თუმცა, ორგელის აზრით, მარლოუ სუბვერსიული, გარყვნილი, გამბედავი და

ირონიული სულაც არ ყოფილა. ის სინამდვილეში ადამიანურობასა და ლტოლვეებს იმ თავისი ისტორიული პერიოდის ფარგლებში იკვლევდა, რომელიც ისედაც ცნობილია თავისი ამოუწურავი ამბიციებით, ინდივიდუალური სურვილებითა და განსხვავებულისადმი ჩვენზე მეტი ტოლერანტობით. შესაბამისად, ქვიარ მარლოუს კრიტიკის მთელი დეკადის შემდეგ, ჩვენ მივედით იმ წერტილამდე, რომ მარლუს ქვიარობა არ არის ისტორიული ფაქტი. საუკეთესო შემთხვევაში, ეს ყველაფერი ძალზე ბუნდოვანია. თუ მარლოუ იყო აღრემოდერნული ინგლისის ქვიარ მასკულინობის ან მითუმეტეს ჰომოეროტიზმის აღმწერელი, მაშინ რა აზრამდე მივყავართ ორგელის და კურიამას აზრებს? კითხვა მდგომარეობს არა იმაში, იყო თუ არა მარლოუ ჰომოსექსუალი, არამედ იმაში, თუ რას ნიშნავდა ქვიარობა აღრემოდერნულ ინგლისში. ორგელის არგუმენტის გავრცობით მარლოუს (და ასევე რენესანსის პერიოდის ინგლისის), როგორც სუბვერიული ჰომოსექსუალის კონსტრუქციაზე თანამედროვე და არა აღრემოდერნული გავებით, მარიო დიგანგი (Mario DiGangi) ევქვემ აყენებს „აღრემოდერნულ ინგლისში არსებულ ერთსქესიანი ურთიერთობების მტკიცებულებებს“ და „ამ მტკიცებულებების ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიებს“. დიგანგისთვის, ისევე როგორც ორგელისთვის, რენესანსის ინგლისი იყო სამყარო, სადაც “ტაბუდადებული სექსუალობის საზოგადოებრივ განხილვაზე” ბევრი აკრძალვა არ არსებობდა.

შესაბამისად, აღრემოდერნული სექსუალობის კვლევის მხრივ ქვიარ თეორიის ერთ-ერთ მთავარამოცანას წარმოადგენს „ცვლადობის და ერთგვარობის ისტორიოგრაფიული სტატუსის შესწავლა“. ეს სიმართლეა, თუმცა კვლავ რჩება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად გვაძლევს ცვლადობასა და ერთგვარობას შორის განსხვავება საშუალებას, გავიზროთ მასკულინობის ფორმები, მათ შორის ჰომოეროტიული მასკულინობა, იმ კულტურაში, რომელიც სექსუალობას მხოლოდ გენდერის ტერმინებით, კონკრეტულად კი მატრიმონიალური კავშირების(ცოლ-ქმარს შორის სექსუალური ურთიერთობა შთამომავლობის გაგრძელების მიზნით) ფარგლებში

აღწერდა. სოდომიად წოდებული ადრემოდერნული ჰომოეროტიზმის მიმართ ქვიარ მიდგომა, ზედმეტად ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინია ნებისმიერი სახის სექსუალური ტრანსგრესიის ან ნებისმიერი სოციალურად მიუღებელი სექსუალური აქტის აღსაწერად. კლოდ ჯეი სამერსი (Claude J. Summers), მაგალითად, რენესანსის ქვიარობის მიმართ ჯონათან გოლდბერგის (Jonathan Goldberg) მიდგომას აკრიტიკებს, და საშუალებას გვაძლევს, კაცებს შორის არსებული სექსუალობა, ამ სექსუალობის აღმნიშვნელი ცნებების გამოყენების მაგალითების მოყვანით, სხვადასხვა ისტორიული პერიოდიდან დავინახოთ. ამის მსგავსად, მარიო დიგანგი ჰომოსექსუალობაზე ისტორიული მატერიალიზმის პოზიციიდან წერს:

„რა არგუმენტებიც არ უნდა მოიყვანოს თანამედროვე მეცნიერებამ, ჰომოსექსუალობის „მატერიალურობის“ და მისი სხეულთან დაკავშირებულობის შესახებ, ის მაინც ვერაფერს გვეტყვის სექსუალური გამოცდილებების და დისკურსების მატერიალურობაზე... ერთადერთი რამ, რაც ადრემოდერნულ ინგლისის სხეულების გამოყენების ფორმებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს, ის ენაა, რომლის მეშვეობითაც ჰომოეროტიული ურთიერთობები განიმარტებოდა და აღიწერებოდა“.

დღეისთვის უკვე დასაბუთებულია, რომ ადრემოდერნული კულტურის საზოგადოებაში სოდომია არა იდენტობის, არამედ ასეთი პრაქტიკის ქონაში ეჭვმიტანილი ადამიანის როლსა და პოზიციას განსაზღვრავდა. სოდომია სექსუალობის სფეროს მიღმა მყოფ უფრო სპეციფიკურ ცოდვასთან იყო დაკავშირებული, მაგალითად: მევახშობასთან, მექრთამეობასთან, კათოლიციზმთან, უცხოობასთან (იტალიელები და ესპანელები), რასასთან და რელიგიასთან (თურქები, მაროკოელები, ებრაელები, არაბები). მართალია, სექსუალობის ისტორიის შესახებ ფუკოს თეორიაში რეპრესიული ჰიპოთეზა გამოგონილად, ფიქციად ითვლება, რაც გულისხმობს, რომ რეპრესია სინამდვილეში უფრო მეტ დისკურსს ქმნის სექსუალობის შესახებ. ადრემოდერნული ქვიარ მასკულიზმის

ისტორიოგრაფიაში კულტურულმა მატერიალიზმმა და ახალმა ისტორიციზმმა ამოცანად დაისახა არა მხოლოდ ნორმატიულ ნარატივებში დისკურსულად კოდირებული არშიყის, რეპრესირებული ლტოლვების და სურვილების გამოაშკარავება, არამედ იმ კონკრეტული სოციალური ინსტიტუტების და ფენომენებისადმი დამოკიდებულებების (მაგალითად, კანონმდებლობა) გამოვლენაც, სადაც სოდომია იყო აღბეჭდილი. ინგლისის ქვიარ მასკულიზმების შესახებ არსებული ნაშრომების უმეტესობა ბრეის მოძღვრებას ეფუძნება იმის შესახებ, რომ ჰომოფობიური ინგლისური რენესანსის კონტექსტში ჰომოსექსუალურ იდენტობაზე ლაპარაკი შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ არ არსებობდა შესაბამისი ენა მის აღსაწერად, არამედ იმიტომაც, რომ არ არსებობდა სპეციფიკური კაცური კულტურა, რომელიც თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობას შექმნიდა. მიუხედავად ამისა, იყო მცდელობები, რომ რენესანსის ჰომოეროტიზმი იდენტობის ფორმად აღქმულიყო, როგორც ამას იან მაკადამი (Ian McAdam) ამტკიცებს თავის ნაშრომში იდენტობის შესახებ კრისტოფერ მარლოუს პიესებში. იქ, სადაც ქვიარ კრიტიკოსები ინგლისური რენესანსის ლიტერატურაში ჰომოეროტულ დისკურსს ხედავენ, მაკადამი თვითიდენტიფიკირებული ჰომოეროტული პირების გამოჩენის მცდელობაზე მიუთითებს იმ დროს, როდესაც რენესანსის ქრისტიანული ჰუმანიზმი დაუპირისპირდა შუა საუკუნეების კულტურაში გავრცელებულ ცოდვიანობის აღქმას. ეს არის ის წერტილი, სადაც ადამიანის პერსონალური რეალიზებულობის სურვილი კონფლიქტში მოდის შუა საუკუნეებიდან მემკვიდრეობით მიღებულ სულიერ ინტეგრირებულობასა და ერთიანობასთან. ამ ახლადშექმნილ “პერსონის” სიამოვნებებსა და განსაცდელებს საუკეთესოდ ვხედავთ *ედუარდ II*- ში. აქ ჰომოსექსუალობის მიმართ ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, თუმცა „განსაცვიფრებლად არამორალისტური მიდგომა“ ჩანს და ჰომოსექსუალობა მოცემულია, როგორც სოციალური წესრიგის და მონარქიის ერთიანობის საფრთხე. აქ არ ჩანს სექსუალური აქტისადმი თანდაყოლილი ზიზღი. აღან ბრეისის აზრით, გენდერზე დაფუძნებული ადრემოდერნული

სექსუალური გამცდილებების რეპრეზენტირების და ინტერპრეტირების მდიდარი მემკვიდრეობა, რომელმაც თანამედროვე მიდგომებზე ზეგავლენა მოახდინა ადრემოდერნული ქვიარ მასკულინობების მხრივ, შესაძლებელია ორ პოლუსად დავაჯუგუოთ, სადაც ერთ მხარეს ყოვლადმყოფობა იქნება, მეორე მხარეს კი იდენტობა. ბრეის ორი, მხოლოდ ერთი შეხედვით განსხვავებული, მიდგომის სინთეზი ადრემოდერნულ მამრობით ჰომოეროტიზმთან დაკავშირებით გვიბძგებს, დავინტერესდეთ, თუ სად უნდა ვეძიოთ ჩვენი სუბიექტი ადგილი ადრემოდერნული ქვიარ მასკულინობის ისტორიოგრაფიაში: კულტურაში, კონკრეტულად ლიტერატურაში, ალევორიებში თუ პრაქტიკაში?

ჩემს ძიებას მოგზაურობის წერილების ეპიზოდის გამოყენებით დავინწყებ, სადაც მგზავრი უცხო პირის ბიბლიოთეკაში მიდის და იქ წიგნებს ათვალიერებს. ეს მაგალითი იმ ფაქტის საილუსტრაციოდ გამოდგება, რომ ადრემოდერნული კულტურა, თუ სოდომიას ერთი ხელის მოსმით ინდივიდის შეურაცხყოფისთვის არ იყენებს, მას წარსულის სფეროს მიანერს და არქაულ ცოდვად წარმოაჩენს. თომას კორიატი (Thomas Coryate) გვიყვება ალევორიულ ამბავს, თუ როგორ შეხვდა ჰენრი ბულინგერს (Henry Bullinger)სავარაუდოდ ციურისში ყოფნისას: „ჰენრი ბულინგერის საღვთო მემუარის ავტორის და ცნობილი მღვდლის ძმისშვილს, ზუინგლიუსის (Zuinglius) მემკვიდრეს“. როდესაც ეს ორი კაცი ერთმანეთს შეხვდა, შვეიცარიელი მასპინძელი მთხრობელს შეუძღვა:

ბაბუამისის მიერ მოპოვებული საღვთო წიგნებით მდიდარ თავის ბიბლიოთეკაში, მან მაჩვენა ვინმე იტალიელი ეპისკოპოსის, იონეს კაზას (Ionnes Casa) მიერ დანერილი ყველაზე საშინელი წიგნი, რომელიც სოდომიის არაბუნებრივ ცოდვას ასხამდა ხოტბას. ეს წიგნი იტალიურ ენაზეა დანერილი და ვენეციაშია გამოცემული. პირველად იგი ამ კაცის ზემოთხსენებული ბაბუას ხელში მოხვდა, მან კი იგი პაპისტი ეპისკოპოსის ამაზრგენი გარყვნილების დამადასტურებელ

მხილებად შეინახა. ბაბუამისისგან წიგნი ამ კაცს მემკვიდრეობით გადმოეცა და დღემდე ინახავს.

ამ ალეგორიაში საინტერესოა არა კათოლიციზმის სოლომიასთან ტრადიციული ასოცირება, არამედ ის, თუ როგორ ტრიალებენ ქვიარ ტექსტები და დისკურსები პროტესტანტ მკითხველებსა და მკვლევარებს/მეცნიერებს შორის. კორიატის ტექსტში აქცენტი სოლომიის უმსგავსობაზე კი არ კეთდება, არამედ იმ ფაქტზე, რომ ერთი პროტესტანტი ოჯახის რამდენიმე კოლექციონერი წევრი ამჟამად სათუთად უვლიდა კაზას ბინძურ წიგნს და მას თაობიდან თაობას გადასცემდა. „ამაზრზენი გარყვნილება“, რომლის შესახებაც კაზას წიგნი გვიამბობს, მთხრობელსა და მის შვეიცარელ მასპინძელს შორის ისეთი პოპულარობით სარგებლობს, როგორც კორიატის „გარყვნილი“ წიგნი თავის ინგლისურენოვან მკითხველთა მრავალ თაობაში. კორიატის ისტორიაში ქვიარ ბიბლიოთეკა ქვიარ სურვილების დასამალი ადგილი ხდება; ეს სიცარიელე კი არაა, არამედ მოგზაურობის ნარატივის თანდაყოლილი სურვილის სივრცეა. კორიატის ნარატივში, ქვიარ სურვილები შემოვლით გზას გადიან, რადგან, რაც ამ ნარატივში კათოლიკური საზოგადოებისთვის კონკრეტული სექსუალური ქცევების დისკრედიტაციად არის წარმოდგენილი, ჰუმანისტი პროტესტანტი კაცებისათვის სიამოვნების ტექსტურ წყაროდ იქცევა.

ნარატივში, სადაც წარმოდგენილია საპირისპირო სიტუაცია, კათოლიკე მღვდელი ბენჯამენ კარიერი (Beinjamin Carrier) წარმოგვიდგენს ანალოგიური სცენარს, რომელიც წიგნებსა და სოლომიას ეხება, თუმცა ამჯერად მოქმედი პირი სარწმუნოებაშეცვლილი შვეიცარელი თეოლოგი თეოდორ ბეზა (Theodore Beza). თავის ანტიპურიტანულ ტრაქტატში, კარიე ბეზას ზოგიერთ ეპიგრამულ ლექსს ეხება, სადაც ეს უკანასკნელი საკუთარი ცოდვების შესახებ წერს.

(ის) სჩადის სოლომიის უსაშინლეს ცოდვას, შესაბამისად, მან გზა გაუხსნა სხვა სოლომიტ ადამიანებს... [მას ჰყავდა] ბიჭი, სახელად ანდებერტუსი (Andebertus) (რომელსაც ბეზა უვლის,

როგორც თავის აღონისს, ან განიმედს, და ბიჭის სხეულის მიმართ უდიდური მოპყრობით გამოიჩინევა) და მეძავი კანდიდა (*Candida*). ამ ლექსებში იგი ერთი ცოდვისაგან მიღებულ სიამოვნებას მეორეს აღარებს და საბოლოოდ, ქალთან მრუშობას ბიჭთან სოდომიას ამჯობინებს. ბეზას ეს ეპიგრამები, სადაც იგი აღწერს თავის ურთიერთობებს განიმედე ანდებერტუსთან და თავის მეძავ კანდიდასთან, ერთ-ერთია პარიზში 1548 წელს გამოცემული რობერტუს სტეფანუს მიერ (*Robertus Stephanus*) დაბეჭდილ მის ეპიგრამებს შორის.

იმ წუთიდან დაწყებული, როდესაც სტეფანუსმა ტექსტი დაბეჭდა, იმ წუთამდე, როდესაც კარიერი კიდევ ერთხელ უზიარებს მათ თავის მკითხველს, კაცების ურთიერთსურვილის ტექსტური წყაროები ტექსტის მკითხველიდან მკითხველზე გადაცემით არის უზრუნველყოფილი. განსაზღვრებები „მრუშობა“ და „სოდომია“ შეურაცხყოფის მიზნით გამოიყენება, რათა მკითხველს საკუთარსავე კლასიკურ ჰუმანისტურ განათლებაში არსებული ქვიარ ტენდენციები შეახსენოს, სადაც აღონისი, სიყვარულის ღმერთი და განიმედი, იუპიტერის თასის დარაჯი, ხშირად წარმოგვიდგებიან ჰომოეროტული სურვილების გამტარებად. გამოცემიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ბეზას ტექსტის განხილვით, კარიესტექსტი მეჩვიდმეტე საუკუნის მორალურად მკაცრი კონტრარეფორმაციული კულტურის ფარგლებში სოდომიის დისკურსს განაგრძობს. სოდომიის ზემოთ აღნიშნული ორი მაგალითი, რომლებიც სხვადასხვა ტექსტებში და მკვლევართა ნაშრომებში ხშირად ჩნდება, გვიჩვენებს, რომ სოდომია ჩამალულია პრივატულ სივრცეებში, ძველ ტექსტებსა და სამეცნიერო კვლევებში, და რომ აღნიშნული ტექსტების ერთგული მკითხველები მას ადვილად ამოიცნობენ. კორიატის და კარიეს მონათხრობში ორი კაცი ყურადღებით კითხულობს სოდომიაზე წარსულში გამოქვეყნებულ წიგნს. ეს მოგვაგონებს ნებისმიერ იმ სცენარს, სადაც ორი კაცი ერთად კითხულობს ან სწავლობს. ალან სტიუარტი (*Alan Stewart*) ასეთ მოვლენებს პრივატულ სიტუაციებად განმარტავს, რომლის დროსაც ორი კაცის ერთად მუშაობა თუ სწავლა

ჰომოეროტულ სურვილთან არის შერწყმული. აქედან გამომდინარე, სწავლის პროცესი ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ერთგვარიატაკქვეშეთად არის ქცეული (closet), საიდანაც კაცები კი არ გამოდიან (*მთარგმნელის შენიშვნა: ანუ ამჟღავნებენ საკუთარ სექსუალობას*), არამედ სიამოვნების გასაზიარებლად აფარებენ თავს. კორიატის და კარიეს წიგნის მფლობელები წიგნის შესაბამის გვერდზე გადაშლითა და მისი სტუმრისთვის ჩვენებით, ჰომოეროტული სურვილის აღსაძრავად საჭირო გარემოს ქმნიან. მკვლევართა შეხვედრისას ლტოლვების აღძვრის მიზნით ტექსტების გაზიარების ჩვევა, რენესანსის პერიოდის კლასიკის იმიტაციას მოგვაგონებს: „რენესანსის პერიოდის ბევრი მწერალი საკუთარი ჰომოეროტული დისკურსების შესაქმნელად კლასიკურ მოდელებს იყენებდა“. ადრეულ ინგლისელ მწერლებს შორის ჰომოეროტული სურვილების და სოდომიის ერთმანეთში ტექსტების საშუალებით გაცვლას შეგვიძლია „ტექსტუალური აქტი“ ვუნოდოთ, სადაც აქტი ზუსტად ის კი არაა, რასაც ჯეფრი მასტენი (Jeffrey Masten) აქტში გულისხმობდა (ლტოლვების ურთიერთგაცვლა კაცური ურთიერთობისას), არამედ, ამ შემთხვევაში, ლტოლვების გაზიარება ძველი წიგნების ფლობით და მათი ერთმანეთისთვის გაზიარების სიმბოლიზაციით ხდება. ამ მაგალითებში, სადაც სოდომია ტექსტის მეშვეობით მუდმივად ტრიალებს იმ კაცებს შორის, რომლებსაც მემკვიდრეობით ერგოთ ძველი წიგნები და ახლა მათ უცნობებს უჩვენებენ, სოდომიის ენა ერთგვარ მედიუმად წარმოგვიდგება. იგი აახლოებს ნაცნობსა და უცნობს და მათ ძალაუფლებასა და სიამოვნებას უზრუნველყოფს. როგორც კორიატის და კარიეს თხზულებები გვამცნობს, უცნობ ადამიანებს შორის ქვიარ კავშირების ჩამოყალიბებას სწორედ ცნობილი ადამიანების ქვიარ ისტორიები განაპირობებს.

ქვიარ მასკულინობების ტექსტური რეპრეზენტაციები ადრემოდერნულ ინგლისში, რომლებიც ადრემოდერნული ინგლისის სოციალურად ნორმატიული მასკულინობის საზღვრებს სცდება, ხშირად მთელ რიგ როლებს ასრულებს, რომლებიც დამოკიდე-

ბულია ამრეპრემენტაციების კონკრეტულ სოციალურ, ისტორიულ ან პოლიტიკურ კონტექსტებზე. ხშირად ადრემოდერნულ ლიტერატურასა და კულტურაში სოდომიის რეპრეზენტირებისას, სოდომისტური რიტორიკა ორმაგ ფუნქციას ასრულებს: სიამოვნებებს ტექსტებში აღწერს და წინ წამოწევს იდეოლოგიის ან სოციალური შეხედულებების კრიტიკას. მაგალითისათვის, საყურადღებოა შემდეგი ორი ციტატა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის სამოგზაურო წერილში, რომლის დამაჯერებლობაც, პროზაული რომანებისათვის დამახასიათებელი დიდი ფანტაზიის გამო, საკმაოდ დაბალია. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიებზე მოგზაურობისას, ინგლისელი რაინდი ენტონი შერლი (Anthony Sherley) სპარსეთში აღმოჩნდება და მეფის ნახვის სურვილი გაუჩნდება. ეს კი მხოლოდ სასულიერო მოღვაწის, ავგუსტინეს დახმარებით არის შესაძლებელი (იგი ქალების კაცებზეგაყიდვით ფულს შოულობს), რომელიც რჩება ენტონისთან და მას სპარსეთის მეფემდე მიღწევაში ეხმარება. ავგუსტინე:

მან, ვინც პირველ დამესბატონი ანტონის ოთახში შეასახლეს, იპოვა საშუალება, დაწოლილიყო სპარს კურტიზანთან, და ასე აგრძელებდა მისი იქ ყოფნის განმავლობაში; თუ მოუწოდებოდა, შეეძლო დაეეჩირაგებინა ბიჭი, რომელთანაც სოდომურ კავშირს დაამყარებდა; ის იყო სოდომიტი არამზადა, რაც იქიდან ჩანს, რომ: ბატონმა ანტონიმ ბაზარზე ორი ქრისტიანი ბიჭი, სახელად ნიკოლაო და მელო (Nicolao, Melo), შეიძინა, რომლებიც შემდეგ სასულიერო მოღვაწეს აჩუქა. მას მყისვე არ ქონია მათთან ურთიერთობა, თუმცა იგი მათდამი სოდომურ ბინიერ კავშირს ამყარებდა. ბიჭები, როცა მისი გარყვნილი მისწრაფებების შესახებ გაიგეს, გამუდმებით სთხოვდნენ მას, გაგვეყიდეთ. საბოლოოდ, მან ისინი სამეფო კარზე გაყიდა. მისმა დანაშაულმა მეფის ყურამდეც მიაღწია. როგორც კი მეფემ მისგან ეს ბიჭები გამოიხსნა, ავგუსტინეს შეუთვალა, რომ მხრებზე თუ თავი აბია, ამას მხოლოდ ბატონ ენტონის უნდა უმადლოდეს.

ეს პასაჟი აღწერს სოდომიას, მისი რეპრეზენტაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმის მიხედვით - როგორც საზიზღარ ცოდვას, რომელიც არათანაბარი სოციალური და მატერიალური სტატუსის მქონე პირებს შორის ხდება (სასულიერო მოღვაწე და ბიჭები), პროტესტანტული ინგლისიდან ჩამოშორებულ კონტექსტში (სპარსეთი და კათოლიციზმი). ეს მაგალითი ჰომოეროტიზმის პრივილიგიზებულიობას კი არ წარმოაჩენს, არამედ პროტესტანტული ინგლისის შიშს გვიხატავს კათოლიციზმის საფრთხის წინაშე. ის რეფორმაციამდელი სამონასტრო კულტურის სტერეოტიპიზაციას ახდენს, თითქოს ეს უკანასკნელი გარყვნილების და სოდომიის ცოდვებში იყო ჩაფლული. ანტიკათოლიკური სენტიმენტები ამ ეპიზოდში არა მხოლოდ სოდომიის დისკურსშია გაუღრებელი, არამედ ლორენცოს ბილწი ცხოვრების წესის შესახებ აღწერილ ნარატივშიც გვხვდება (მთხრობელი ასევე აღწერს, რომ სასულიერო მოღვაწე სექსუალურად ძალადობს ქალებზე აღსარებების დროს და მეძავებთან სექსს ეწევა). ინგლისის საზღვრებს გარეთ, აღმოსავლეთში კათოლიკობისგამწესება და მისი დამცირება სიმდიდრისადმი ხარბი დამოკიდებულების ქონის მიწვევით, პროტესტანტული ნაციონალიზმის მძაფრი რიტორიკის კიდევ ერთი ნიშანია კათოლიკური ეკლესიის მარგინალიზაციისა და მისი მორალური გახრწნილების წარმოსაჩენად. თუმცა, სწორედ ამ ჰომოეროტული სურვილის აღმძრავი ტექსტების უცხო ადამიანებს შორის გაზიარება, სურვილისა, რომელიც ინგლისის საჯარო სივრცის მიღმა ტრიალებს, ამ სურვილის ნაცნობებს შორის არსებობის საშუალებასაც იძლევა.

მსგავსი ანტიკათოლიკური რეაქციები, რასაც სოდომიის დისკურსებში ვაწყდებით, ადრემოდერნული ინგლისის დრამაშიც გვხვდება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბარნაბ ბარნსის პიესაში *ემპას ქარტია* (Barnabe Barnes - *The Devil's Charter*, 1607). ამ ნაწარმოების დასაწყისშივე ერთ-ერთი ჯენტლმენი ბიწიერ და საშინელ სოდომიას ახსენებს. ეს მინიშნება იმ პიესის სამყაროს ტრანსგრესიულად აქცევს, რომელიც პაპ ალექსანდერ VI-ის მიერ იმართება. პიესის ერთ მონაკვეთში, პაპი თავის იტალიელ ტყვე ახალგაზრდას,

ასტორ მანფერდის (Astor Manfredi), საკუთარი სურვილის ობიექტად შემდეგნაირად მოიხსენიებს:

*[ასტორი] ჩემო სიამოვნებავ, ჩემო სიხარულო,
ჩემო ვარსკვლავო, ჩემო ტრიუმფო, ჩემო ტკბილო ფანტაზია,
ვაჟიშვილზე მეტო, ჩემო სიყვარულო, ჩემო საყვარელო,
ნება მომეცი ეგ ნათელი ვარსკვლავები დავინახო, ჩემო
ბედნიერების განძო, ბრწყინვალე, ვნებიანი ლოყები გაქვს;
მაცდუნებელი შუბლი, რომელიც პროშანების ველს ჰგავს;
ეს რიგიანი ცხვირი, სიყვარულის ტრიუმფალური ეტლი,
პანქაიური არომატით ავსებს ჩემს გრძნობებს;
ეს გრაციოზული პირი... მასში ულოოსფერი ბალიშია, სადაც
ვენერასა და კუპიდონს სძინავთ და ერთმანეთს კოცნიან ;
ნიკაპი, სილამაზის დედოფლისათვის აღთქმული, იფურჩქნება
სიყვარულის ყვავილებად. ასტორ მანფერდი, გახდი ჩემი
სიყვარული (3.2.1-13)*

ეს ნაწარმოებიადრემოდერნული ინგლისურიდრამის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა ჰომოეროტიკულიკონტექსტის მქონე ნიმუშია, რომელიც, გასაკვირად, ჰომოეროტიზმისა და სოდომიის შესახებ ადრემოდერნული ინგლისის ყველა კრიტიკულ ნაშრომში ყურადღების მიღმა დარჩენილი. აღექსანდრეს ტრავიკული ბოლო - იგი ათრიეს და შეურაცხყვეს - სასჯელია მისი ცოდვებისათვის, რომელიც სოდომიას და მკვლელობებს მოიცავდა. მისი სიკვდილი წარმოადგენს ადრემოდერნული პროტესტანტული კულტურის სადამსჯელო ქმედებას კათოლიკური ტრანსგრესიისათვის. ამ საშინელების და ამავდროულად სასიამოვნო ალგზნების მომგვრელი ტექსტებიდან იქმნება კაცური სიამოვნებების ადრემოდერნული ისტორიოგრაფია, რომელიც ერთდროულად ეხება პირად სიამოვნებებსაც და საჯარო სივრცეებსაც (სახელმწიფო, სასამართლო, ეკლესია), ნაციონალიზმსაც და კაცურ ძალაუფლებასაც.

ამ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ადრემოდერნული ჰომოფობიური კულტურიდან გამომდინარეობს, სოდომია ხდება

მეტაფორა არა მხოლოდ სხვა ცოდვებისათვის, არამედ სახელმწიფოს, იმპერიის და რელიგიის სხვა, არასექსუალური დისკურსებისთვისაც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოდომიტები მთეფქვსმეტე და აღრეული მეჩვიდმეტე საუკუნის ტექსტებში ხშირად ასოცირებულნი არიან რელიგიასთან ან სასამართლოსთან. მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს წარმოიშვა „სეკულარიზებული სოდომიტი“, რაც წარსულთან რადიკალური წყვეტის ერთგვარი ნიშანია. ყველა აქამდე აღწერილ ჰომოერტულ კულტურაში საერთოა ის, რომ აქცენტი სექსუალურ ქცევასა და მის საზიანო ეფექტებზეა დასმული. ამ მაგალითებში სოდომიტის საზიზღარი ფიგურა მასკულინობის ცნების სტაბილურობას არღვევს და არისტიკრატულ იერარქიულობას ან/და ქრისტიანულ სახელმწიფოს ემუქრება. ინგლისის ჰუმანისტურ კულტურაში სოდომიაზე საუბრისას, აღან სტიუარტი ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოდომიის რეპრეზენტაცია უმეტესწილად საჯარო სივრცეში ხდებოდა, იგი ხშირად ინაცვლებდა ძალიან პირადულ სივრცეებში და განსაკუთრებით პირადული საკითხი იყო, მიუხედავად მისი განსხვავებული ფორმებისა: მასწავლებელი, რომელიც გცემს, ბერ-მონაზონი, სარეცლის ჰუმანისტი მოზიარე, თუ ფარულად ჰომოსექსუალი მდივანი. საკლასო ოთახები, ეკლესია, ყოფითი სფერო და სასამართლო თუ ნორმატიული კულტურის ინსტიტუტებია, მაშინ იქ სოდომიტების არსებობა წარმოაჩენს „ნორმატიული რეჟიმების სუსტ კავშირს და ამხელს რეჟიმების არბიტრულობას.“

რეჟიმების არბიტრულობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია სოდომიის მიმართ შეურიგებელი დამოკიდებულება და ამავე დროს მასზე თვალის დახუჭვა. ეს კარგად ჩანს 1631 წელს მერვინ ტოუჩეტის (Mervin Touchet) სასამართლოზე სოდომიის მიმართ შერჩევით სამართლებრივ მიდგომაში. მერვინ ტოუჩეტი ოდლის ლორდი იყო, კასტლჰავენის მეორე გრაფი, მის საქმეს სეკულარული ინგლისური სასამართლო განიხილადა, რომლის შესახებაც ამომწურავი მასალა გვაქვს. კასტლჰავენის გაასამართლეს (თავი მოკვეთეს) თავისი ცოლის გაუპატიურების ხელშეწყობისა და თავის ორ კაც მოსამსახურესთან,

ლორენს ფიცთან და ტომას ბროდვეისთან (Laurence Fitz Patrick & Thomas Broadway), სოდომიური ცოდვის გამო. კასტლჰავენის საქმე ძალიან დიდი გამოწვევა იყო არსებული სოციალური წყობილებისთვის, თუმცა ეს საფრთხე დიდი მხოლოდ მაშინ ჩანდა, როცა სოდომიის ცოდვა სახელწიფო ღალატს დაუკავშირეს, და არც ისე დიდი, როცა საკუთრებასა და გაუპატიურებას უკავშირდებოდა. როგორც მარლოუს ედუარდ II-ის შემთხვევაში, სოდომიააქაც იმდენად არის პრობლემა, რამდენადაც იგი (ჰეტერო)მასკულინურ წყობას ემუქრება, ანუ იმის გამო, რომ ნორმატიული - ჰეტეროფეროტიკული სექსუალობის წინააღმდეგ მოქმედებს. კასტლჰავენის შემთხვევიდან ვგებულობთ, რომ სოდომიის ცოდვა საფრთხედ მხოლოდ მასკულინობაზე საზოგადოებრივი ზეგავლენის ქონის შემთხვევაში მიიჩნევა, ხოლო ოჯახის, ქალებისა და საკუთრების მიმართ საფრთხის მხრივ ნაკლებად საშიშად ჩანს, ყოველ შემთხვევაში ოჯახის ფარგლებს შიგნით, სადაც ის ბავშვებზე, საკუთრებაზე, მსახურებსა და რა თქმა უნდა ცოლზე ზემოქმედებს. როგორც ტომას ბიარდი აღნიშნავს ხორციელი ცოდვების ბიბლიისმიერი დამგობისას, ადრემოდერნულ ინგლისში სოდომიტობა მონსტრობას უკავშირდებოდა. ბიარდისთვის სოდომია, ყოველგვარი მორიდების და ცერემონიების გარეშე, პირდაპირ უკავშირდება ძალადობას. თუმცა, ამავე დროს, კასტლჰავენის სახლი ხდება ადგილი, სადაც ტრანსგრესიული სურვილი, კერძოდ სოდომია, ნორმატიულობის კულტურულ ჭრილში, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებს აფუჭებს.

ჩემ მიერ მოყვანილი ყველა მაგალითი ეხება სოდომიას, როგორც მავნებელ და კანონგარეშე სექსუალურ ქმედებას, ასოცირებულს ან პროსტესტანტული ინგლისის ანტიკათოლიკურ სენტიმენტებთან, ან უცხოობასთან, ან არაქრისტიანობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული მოდერნის წარმომადგენლები სოდომიას ხორციელ ცოდვად აღიქვამდნენ, მათ ნაკლებად ჰქონდათ ჰომო და ჰეტეროსექსუალობის განსხვავებულობის ხედვა. მათ ხშირად ორივე სქესის წარმომადგენლებთან ჰქონდათ სექსუალური კავშირი და ამას

უცნაურად ან წინააღმდეგობრივად სულაც არ აღიქვამდნენ. რადგან სოდომია ცილისმწამებლური და შეურაცხმყოფელი ტერმინია, იგი მრავალ ფაქტორს მოიცავს და მხოლოდ სექსუალურ გამოცდილებასა და ეროტიკულ გრძნობებს არ აღნიშნავს. ამიტომაც, მისი მხოლოდ ჰომოსექსუალური მასკულიზაციის აღსანიშნავად გამოყენება არც ისე ზუსტია. რამდენადაც რთულია ჰომოსექსუალობაზე, როგორც იდენტობაზე საუბარი იმიტომ, რომ ასეთი სახის ფაქტები საკმაოდ უმნიშვნელო და იშვიათია, ჩნდება კითხვა, თუ რა რჩება ქვიარ ისტორიოგრაფიას ადრემოდერნული ჰომოსექსუალობის საკვლევ საგნად? ლიტერატურულ და კულტურულ სფეროებში მაგალითები ორმაგდება, ხოლო ეპიზოდები მრავლდება და ჯერ კიდევ შესწავლას საჭიროებს. მაგალითად, ქვიარ მასკულიზაციის მორიგეობაში ადრემოდერნულ ინგლისურ სამოგზაურო და მხატვრულ პროზაულ ნაწარმოებში ეხება სოდომიტ აღმოსავლელ მეფეს, სულთანს და მეომარს. თუმცა, ეს ნარატიული ტროპი კულტურული სტერეოტიპის გამეორებაა, რაც აღმოსავლური მასკულიზაციის დამცრობას მისი სოდომიასთან გაიგივებით გულისხმობს. როგორც ჩანს, უკვე ამოვწურეთ არქივები, სადაც შეიძლება ახალი სოდომიტური ქცევის, ან იმ კულტურული სცენარების აღმოჩენა, სადაც სოდომია ახალ ფორმებს იძენს.

კულტურულ ისტორიაში ქვიარ ნარატივის საკვლევეად ყველაზე სასარგებლო ტექსტების ერთობლიობა ჰუმანიტარული პედაგოგიკის ისტორიაში გვხვდება. როგორც ალან სტიუარტი გვიამბობს, ბიჭებისკენ მიმართული ჰუმანიტარული საკლასო სივრცე და პედაგოგიკა (დისციპლინირება) ყველაზე სასარგებლო სფეროებია ადრემოდერნული სოდომიის სოციალური ისტორიის და კაცური ურთიერთობების კულტურის ხელახლა განსასაზღვრად. ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვხვდებით შემთხვევებს, რასაც ჯერჯერობით არ შევხებივართ. შესწავლისათვის ღირებულ თემებს შორის არის: ნათესაური ურთიერთობები, განსაკუთრებით უმცროსი ძმის სოციალურად მარგინალური ფიგურა, ავხორცი არისტოკრატები, საშუალო ფენის წარმომადგენელთა დროსტარება, გმირი მეგობრები და

მოგზაური რაინდები პოპულარულ ნაწარმოებებში, მუსლიმთა ტყვეობაში მყოფი ინგლისელები აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის-პირეთში და სხვ.

რამდენადაც არანაირი ობიექტური ცოდნა არ გავგაჩნია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოაჩენდა თავს ადრემოდერნული ჰომოეროტიზმი სექსუალური ქცევისა და სოდომიის კლიშეებს მიღმა, ჩვენი ყურადღება მიიქცია კაცებს შორის არსებული ვნებების კვლევაში ლტოლველებზე დამოკიდებულების ფარგლებს გარეთ. რიჩარდ ჰალპერნი (Richard Halpern) თავის ბოლო წიგნში სოდომიის შესახებ ამტკიცებს, რომ რაღაც მშვენიერის არსებობის შესაძლებლობა, მშვენიერის, რომელიც ვნებას აღძრავს, კაცური ჰომოეროტიული ლტოლვის არარსებობაზეა დამოკიდებული. თუ ადრემოდერნული ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაცია ბუნდოვანი და არასტაბილურია, მაშინ შესაძლოა იგი დავინახოთ არა როგორც კაცებს შორის ძალაუფლების სტრუქტურის ირგვლივ შექმნილი ლტოლვა, რომელიც სოციალურად არათანასწორ კაცებს შორის ჩნდება, არამედ, როგორც ნებისმიერი სახის ვნება თანასწორ კაცებს შორის *ეროსის* სფეროს გარეთ.

ახლა მინდა მივუბრუნდე ლიტერატურას, როგორც ადრემოდერნული ჰომოეროტიული მასკულიზობის ისტორიოგრაფიის შემადგენელ და აუცილებელ ფაქტორს, არა მარტო იმიტომ, რომ ლიტერატურაში ჰომოსექსუალობის რეპრეზენტაციისას სხვადასხვა სტერეოტიპები იმსხვერვეა, არამედ იმიტომაც, რომ ლიტერატურაში წარმოდგენილია კაცებს შორის მიზიდულობა, რომელიც არა ქცევას, არამედ ემოციას ეფუძნება. ჩემს ინტერესს იწვევს თომას ვაიატის მიერ (Thomas Wyatt) 1536 წლის მაისის შემდეგ შექმნილი ელეგია CXCVII ('In mourning wise since daily increase') და ანტონიუსის და ცეზარის ურთიერთობის დრამატიზება 1607 წელს დაწერილ შექსპირის დრამაში *ანტონიუს და კლეოპატრა*. ვაიატის მეგობრების გარდაცვალების ელეგია და შექსპირის ტრაგედია, ორივე მეგობრობას, განსაკუთრებით კი გარდაცვლილი მეგობრების მიმართ გრძნობებს ვნების წყაროდ აქცევენ. ამ უცნაურ ლიტერატურულ

წყვილში განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ როგორ აძლევს გზას გლოვის პროცესი ორაზროვან ემოციებს (სიყვარულს, ლტოლვას, სასონარკვეთას, დაკარგვას) - ქვიარ ელფერს. ეს ემოციები მეგობრებს აკავშირებს, მათ შორის გარდაცვლილებსაც.

უაიატის ოთხი გარდაცვლილი მეგობრის ელფეია შესაძლოა შეუასაბამო ჰოემა აღმოჩნდეს კაცების გრძნობების განსახილველად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოთხი კაცის (Sir Henry Norris, Sir Francis Weston, Sir William Brereton, and Mark Smeaton) დასჯის მიზეზი ლალატია - მათ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ ანა ბოლეინთან (Anne Boleyn). თუმცა, როგორც ივ სეჯვიკ კოსოვსკი (Eve Kosofsky Sedgwick) შექსპირის სონეტების მაგალითზე ასკვნის, რომ ადრემოდერნულ ინგლისში კაცებს შორის სიყვარულისწორედ ჰეტეროსექსუალური სურვილის ფარგლებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ. უაიატის ელფეიაში ლირიკული სუბიექტი - მგლოვიარე მეგობარი, უარყოფს კოლექტიურ აზრს, რომ ლალატის შემთხვევაში მკვლელობები გამართლებულია (...ვილაცები დროს იხელთებდნენ და იტყოდნენ ბოროტი გულით / მოლალატის სიკვდილზე რატომ უნდა ვიგლოვოთ?/მავრამ, ვაი რომ ამ წყენას გვერდზე გადავდებთ/უნდა დავიტიროთ ის, ვინც წარვიდა). ჰოემაში მეგობრის დაკარგვის განცდა და მისი დადებითი შეფასება საპირისპირო საზოგადოებრივ აზრზე წინ არის დაყენებული (ვაჰ, ნორის, რა ხანია/მათი ბრალდების შედეგად დაიღუპე და წახვედი). ყოველ სტროფთან ერთად იზრდება მთხრობელის ჭმუნვა დაკარგული მეგობრების გამო. მას ასხენდება მეგობრები, ის ჩვეულებები და სიამოვნებები, რომლებიც მათ ერთად განუცდიათ. შესაბამისად, ენატრება უესტონი, რადგან ის იყო „ახალგაზრდა, სასიამოვნო“ და შეუდარებელი „აქტიურ საქმეებში“. იმიტომ, რომ „ბრეტონის სიყვარულიმრავალფეროვნებით გამოირჩეოდა“, „სხვებს ჩაესმით მისი მეგობრების ტირილი და მოთქმა“. მარკუსს ყველაზე მეტად გლოვობენ. მთხრობელი სვამს რიტორიკულ შეკითხვას გარდაცვლილი მეგობრის მიმართ საკუთარი ჭმუნვის შესახებ:

ოჰ მარკუს, ამაზე მეტად როგორ უნდა ვიგლოვო,

რამეთუ შენი სიკვდილი ყველაზე შემზარავია,
დაზოგვე ჩემი თვალები, რომლებიც მეტისმეტად მტკივია,
გულისმომკვლელი ვაებით დანარჩენებიც უნდა დავიტირო...

ბოლო სტროფში ავტორი მეგობრის სიკვდილის საშინელებას („გამოიგლოვე თითოეული მათგანი ღრმად გულში/ ნაჯახი უკვე თავის ადგილასაა, თქვენი თავები კი ქუჩაში“) თავის გამძაფრებულ ემოციებს ადარებს, რომლებიც შემოქმედებით უძლურებასა და ცრემლებს ინვევენ და წერას აფერხებენ („წყელი ცრემლები ისე ძალუმად მცვივა თვალთავან/ მიჭირს ვნერო, ფურცელი მთლად გაიჟღინთა“) გლოვის ეფექტი აძლიერებს მთხრობელის მარტოობის განცდას და უაიატს საშუალებას აძლევს, მთხრობელსა და მის მეგობრებს შორის დამოკიდებულებითი ურთიერთობა ინტიმურობის რღვევით გამოწვეული მწუხარებითაღწეროს. მეგობრების ემოციური მოგონება უაიატისათვის უჩვეულო არაა. „ინტიმური და ხორციელი ტერმინების გამოყენებით“, ავტორი სხვა პოემებშიც მიმართვას „ემოციების ფრქვევას“ თავისი მეგობრების მიმართ. თუმცა, პოემაში ჰომოეროტულ სურვილს ცენტრალური მნიშვნელობა არ ენიჭება. მგლოვიარე პოემაში დანაკარგის ემოციური ცენტრი კაცების მიმართ ვნებაა. აქ წარმოჩენილ ფიგურას ალან ბრეი (Alan Bray) „მასკულინურ მეგობარს“ ეძახის, ანუ იმას, რაც „აბსოლუტურად აკრძალული ჰომოსექსუალური ინტიმურობის“ მაგიერ ჩნდება. მასკულინური მეგობარი არის ფიგურა, რომელიც სხვა კაცებთან ერთად იზიარებს კაცურ სივრცეს, კაცების ნატიფ კულტურას. უაიატი, მისი ისტორიული მეგობრები და მათი პოეტური პერსონაჟები ამ კულტურას განეკუთვნებიან. შესაბამისად, მათი დანაკარგი პირადიცაა და კოლექტიურიც.

ანტონიუს და კლეოპატრაში დაკარგული მეგობრისადმი ტკივილი ორაზროვან ემოციას აღძრავს, რომელიც ორ კაცს აკავშირებს. ეს ღრამა მრავალშრიანი ემოციებითა და განცდებით ხასიათდება. ერთ-ერთი გამორჩეული ემოცია გმირული მეგობრობაა ცვბარსა და ანტონიუსს შორის. ცვბარის რეაქცია ანტონიუსის სიკვდილზე ასეთია:

O Anthony,
 I have followed thee to this; but we do lance
 Diseases in our bodies. I must perforce
 Have shown to thee such a declining day,
 Or look on thine: we could not stall together
 In the whole world. But yet let me lament
 With tears as sovereign as the blood of hearts
 That thou, my brother, my competitor
 In top of all design, my mate in empire,
 Friend and companion in the front of war,
 The arm of mine own body, and the heart
 Where mine his thoughts did kindle – that our stars
 Unreconcilable should divide
 Our equalness to this (5.1.35–48)

ეს არის ერთადერთი მონაკვეთი დრამაში, როდესაც ცეზარი თავის ვალდებულებებსა და ამბიციებს გადააბიჯებს დაემოციას გამოხატავს. ცეზარის მიერ ანტონიუსთან ურთიერთობის ნათესაურ ჭრილში აღქმით დანყებული („ჩემო ძმაო“), ცეზარის მოგონებები გმირულ მეგობრობაზე („ჩემო მეტოქეც/საუკეთესოც/ჩემო თანასწორო იმპერიაში“) ანტონიუსზე, როგორც მისი სხეულის ნაწილზე („ჩემო მარჯვენა ხელი“) ფანტაზიად იქცევა, და მთავრდება მინიშნებით: „იმ ყველაფრის საპირისპიროდ, რაც მათი ურთიერთობის შესახებ პიესაში გავიგეთ“, მათი გულები წარმოდგენილია ისევე, როგორც ერთობად ქცეული „მეგობრებისა და შეყვარებულების გულები“ („გული/სადაც ჩემი და მისი ფიქრები ერთად ენთო“). ამ თხრობის რიტორიკული სტრუქტურა ანტონიუსსა და ცეზარს შორის კავშირზე დაფუძნებული („მე შენ გამოგყევი ამ საქმეში, თუმცა ვერ მოვრიგდით/ჩვენი სხეულები დაავადდნენ და ერთად აღარ დაგვედგომებოდა“). მთელი პიესის განმავლობაში, ცეზარი საკუთარ ამბიციასა და მეგობრის სიყვარულს შორის მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ იგი აცნობიერებს განსხვავებას თავის და ანტონიუსის საქციელებს შორის, ცეზარი მაინც ინარჩუნებს ლოიალობას

მეგობრობისადმი („ჩვენ დავრჩებით მეგობრებად, თუმცა ჩვენი მდგომარეობები ერთმანეთისაგან ისე განსხვავდებიან...“). მეგობრობისადმი ლოიალობის კულმინაციას ვხედავთ სცენაში, სადაც ცეზარი ანტონიუსს ცოლად აყოლებს თავის დას ოქტავიას, რათა - „შევეერთოთ ჩვენი სამეფოები და გულები; და არასოდეს/ გაქრეს ჩვენი სიყვარული“ (2.2.158–9). ცეზარის სასიყვარულო სცენარში, ქალი ერთი კაცის მიერ მეორე კაცისადმი ლტოლვის გადაცემის საშუალებაა და იმ სიყვარულის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც მუდმივად შეაკავშირებს სამეფოებსა და კაცთა გულებს. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უქვემდებარებს მოვალეობასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას, პირად სურვილებს და ვნებებს მეგობრობისა და სიყვარულის დისკურსები - სახელად ამიციტია. ორივე შემთხვევაში, ცეზარის მიერ ანტონიუსთან მეგობრობის გამოვლევებაშიც და საქორწინო ხელშეკრულებაშიც - როცა ცეზარი საქმიან ურთიერთობას პირად სასიყვარულო და ლტოლვის დისკურსში გადაიტანს - ჩანს მეგობრობის ძალის უპირატესობა ხელისუფლების ძალაზე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მმართველს უზენაესი ძალაუფლება აქვს სხვების მიმართ, მეგობრობა მას აიძულებს, ტიტული თავისთვის შეინახოს. ცეზარის ანტონიუსზე ფანტაზიების - როგორც ერთ სხეულში გაერთიანებული ორი სულის (ადრემოდერნულ ინგლისის მეგობრობა ასე წარმოედგინა), და მისი ანტონიუსისადმი სიყვარულის უფრო დრამატული გამოხატულება თავისივე უსიამოვნო მდგომარეობა. ცეზარი დაუქორწინებელი მმართველია, და ემოციური კავშირი მხოლოდ საკუთარ დასთან აქვს. ნათესაურ კავშირებს მიღმა ცეზარს ერთადერთი ემოციური დამოკიდებულება ანტონიუსის მიმართ უჩნდება. მეგობრობის სიყვარულის ობიექტთან (ან ნათესავთან) ასოციაცია გმირულ კონტექსტში მხოლოდ ადრემოდერნული პერიოდისათვის დამახასიათებელი როლია. დევიდ ჰალპერინმა (David Halperin) გვიჩვენა, რომ აღმოსავლეთის ხმელთაშუაზღვისპირეთის ადრეულ კულტურებში და „გილგამეშიანში“ „კაცური მეგობრობის ეროტიკულობა და ჰეროიკული მეგობრობის რეპრეზენტაციები“ თავისუფლად და ერთმანეთის

ჩამნაცვლებლად ცირკულირებდა. უაიატის და შექსპირის შემთხვევაშიც, მეგობრის გარდაცვალება სინაზის, სისათუთისა და მეგობრობის კულმინაციის ინტენსიურ არტიკულაციას განაპირობებს, სადაც ცოცხალი მეგობარი გამოხატავს თავის ადრე გამოუთქმელ გრძნობებს. უაიატის „ელეგიასა“ და „ანტონიუსსა და კლეოპატრაშიც“ სიკვდილი და არყოფნა ხდება ის გარემოება, რისი მეშვეობითაც კაცური ჰომოეროტიზმი გამოიხატება. სიკვდილისა და არყოფნის დანახვა კაცებს შორის ვნების დისკურსის გამოხატულებად, საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ რთული და გაურკვეველი დიქტომია, რომელიც ახლობლებსა და უცხოებს - კაცების სხვადასხვა ჯგუფებში ჰომოეროტული სურვილის სიმბოლურ მაცნევებს შორის არსებობდა ადრემოდერნული ინგლისის ჰომოსექსუალობის მატერიალურ ისტორიაში.

ეს ესსე დაიწყო მაგალითით, რაც თითქოსდა იყო, - კაცების ჯგუფის შესახებ, რომლებსაც სხვა კაცები უყვარდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო მეტ-ნაკლებად თვით იდენტიფიცირებულ მამაკაცთა ჯგუფი. ადრემოდერნული ინგლისის აგრესიულ მასკულიზურ კულტურაში ასეთი ჯგუფი მხოლოდ მცირედით განსხვავებული თუ იქნებოდა კაცების იმ დროს არსებული სხვა ჰომოსოციალური ჯგუფებისგან, მაგალითად ადვოკატთა მოსამზადებელი კავშირების, მონასტრების, ან სასამართლოებისგან. ესსე დავასრულე ორი მაგალითით, სადაც მეგობრობა, სიკვდილი და გლოვა კაცების მეტ-ნაკლებად ორაზროვან ემოციებსააშკარავებს. ადრემოდერნულ პერიოდში ემოციების, მათ შორის სიყვარულის, განცალკევება საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ისინი ქორწინებას არ უკავშირდება. როგორც კატერინ ბესლი (Catherine Belsey) წარმოაჩენს შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ მაგალითით, ძალიან რთულია, ზუსტად იყოდე, თუ რას ნიშნავს სიყვარული ადრემოდერნულ ვენეციაში. ქვიარ მასკულიზობის ისტორიოგრაფია მუდმივ ჭიდილშია კითხვასთან, თუ რას გულისხმობს ამ მასკულიზობებზე საუბარი: ისტორიას თუ მემკვიდრეობას, პრაქტიკას თუ გრძნობებს, ფანტაზიებს თუ კულტურული ფენომენის თავისებურებებს. ნებისმიერ

შემთხვევაში, მიდგომის მიუხედავად, ისტორიოგრაფია სვამს კითხვას, თუ რა არის ადრემოდერნული ქვიარ მასკულინობის საყრდენი. პასუხი მრავალი არსებობს, თუმცა ერთი, რაც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, ისაა, რომ რა პოზიციაც არ უნდა გვქონდეს ადრემოდერნულ ქვიარ მასკულინობასთან დაკავშირებით, ნორმატიული წყობა ყოველთვის ინგრევა. თუმცა, ამ არგუმენტის მიუხედავად, ადრემოდერნული ინგლისი ყვაოდა. მეფე ჯეიმს I-ის დროსაც კი, რომელსაც კაცებისადმი ჰქონდა ლტოლევები, ინგლისი ზრდიდა თავის იმპერიას, აწარმოებდა ომებს, იპყრობდა ახალ მიწებსა და აფართოებდა სავაჭრო გზებს. ამიტომ, შესაძლოა, მართებული არ იყოს იმის მტკიცება, თუ როგორ ხდებოდა წესრიგის დესტაბილიზაცია, მაშინაც კი, როცა ის აკონტროლებდა (და საკმაოდ ცუდად) ტრანსგრესიულ სურვილებს. თუ ჩვენ კანონგარეშე სოდომიას ჰომოეროტული სურვილებისაგან გავაცალკევებთ, რადგანაც ისინიადრეულ ინგლისში ურთიერთს გამორიცხავდნენ, მაშინ, შესაძლოა, ისტორიოგრაფიისათვის სულაც აღარ იყოს სასარგებლო ისეთი სურვილის ტრანსგრესიაზე საუბარი, რომელიც მკაფიოდ და სისტემატურად ტრანსგრესიულად არ მიიჩნეოდა. ადრემოდერნული ინგლისის დროინდელი სხვადასხვა ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტებიდან ჩანს, რომ როდესაც რეპროდუქცია უზრუნველყოფილი იყო, სექსუალობა და ლტოლვა, ძალადობისა და სოდომიის გარდა, საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, უმჯობესი იქნება, კაცთა შორის ისეთ სურვილზე, რომელსაც ახლა ჰომოეროტულს ან თუნდაც ქვიარს ვუწოდებთ, ძალადობის, ძალაუფლების და დომინაციის კონტესტში კი არ ვისაუბროთ, არამედ სიყვარულის, ემოციების და მეგობრობის კონტექსტში ვიმსჯელოთ, სადაც სურვილები და გრძნობები ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული ან ერთ მნიშვნელობამდე დაყვანილი სულაც არ არის. კაცებს შორის გრძნობების ასე დანახვის შემთხვევაში შესაძლოა უფრო მიუახლოვდეთ იმის გავებას, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ადრემოდერნულ ქვიარ სექსუალობასა და ქვიარ მასკულინობას,

რომლის წინააღმდეგაც ხდებოდა ყველა სხვა სუბიექტურობის განსაზღვრაც.

ჰომოფობია, როგორც სოციალური კონსტრუქტი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ჰომოსექსუალებისთვის სისხლის დონორობას კრძალავს¹⁴, რადგან მიჩნეულია, რომ ჰომოსექსუალები მაღალი რისკის ქცევის ჯგუფში ხვდებიან. „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ (მუხლი 13, პუნქტი 7)¹⁵, მხოლოდ ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების უფლებებია ხაზგასმული. თუმცა, ლგბტ სტუდენტების უფლებები, როგორც სექსუალური უმცირესობის, უფლები კანონმდებლებს არ გახსენებიათ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი შემთხვევა, როცა ლგბტ მოსწავლეები მასწავლებლებისა და თანასკოლელებისაგან „ჰომოფობიური ბულინგის“ მსხვერპლნი ხდებიან.

ბოლო წლებში ჰომოსექსუალობაზე საუბარს პოლიტიკოსებიც ვერ არიდებენ თავს. ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ჰომოსექსუალობა ტრადიციებს ეწინააღმდეგება.¹⁶ განათლების მინისტრს ჰომოსექსუალობა „ტალახში ამოსვრად“ მიაჩნია. პარლამენტარი, რომელიც სახალხო დამცველის პოზიციაზე კენჭს იყრიდა, ჰომოსექსუალობის აკრძალვას ითხოვს.

პოლიცია დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის ხელშემწყობად ხშირად გვევლინება. „ბათუმელების საქმე“ ის შემთხვევაა, როცა პოლიცია ჟურნალისტის დაშანტაჟებას შეეცადა.¹⁷ ევროსასამართლოში განხილვას ელის საქმე „აღდგომელაშვილი და ჯათვარიძე

¹⁴ჯანდაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის ბრძანება

¹⁵კანონი ზოგადი განათლების შესახებ -

<http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>

¹⁶დისკრიმინაციული გამონათქვამები პირველი არხის ეთერში, “ნეტგაზეთი” - <http://netgazeti.ge/GE/38/News/3710/>

¹⁷გაზეთი “ბათუმელები”, განცხადება -

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=22053>

საქართველოს წინააღმდეგ¹⁸. ამ შემთხვევაში 2009 წლის 15 დეკემბერს პოლიცია „ფონდ ინკლუზივის“ ოფისში შეიჭრა და იქ მყოფი პირების დაშინტაჟებას ცდილობდა. არის შემთხვევები, როცა პოლიცია არ იცავს ლგბტ თემის უფლებებს.¹⁹

ცნობილია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, გია ჭანტურიას ჰომოფობიური გამონათქვამი ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ მონყობილ დისკუსიაზე.²⁰ ჰომოფობიური რიტორიკა ბევდური თუ ელექტრონული მედიისთვის დამახასიათებელია. სწორედ მათ აავორეს სკანდალი დაუგეგმავი და არშემდგარი „გვი აღლუმის“ წინააღმდეგ.

ჰომოფობიის ყველა გამოვლინებას აძლიერებს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია, რომელსაც IRI-ის კვლევების მიხედვით 90%-იანი ნდობა აქვს²¹. კონსერვატულად განწყობილი მორწმუნეების მარში ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ უჩვეულობას აღარ წარმოადგენს. საპატრიარქოსთვის ანგარიშის განწევა არამართო იმაში ვლინდება, რომ პოლიტიკოსები ხატების წინ მსხდომნი საუბრობენ ჟურნალისტებთან, საჯარო მოხელეები ტელეკამერების წინაპირობას დებენ, რომ ლგბტქი ადამიანებს წაართმევენ კონსტიტუციურ უფლებას და „გვიპრაიდის“ გამართვის უფლებას არ მისცემენ. თუმცა, ლგბტქი თემის მონინააღმდეგეებმაც კარგად იციან, რომ „თითოთოროლა [ლგბტ ადამიანი] ყველას გვყავს ოჯახში“²²

¹⁸<http://netgazeti.ge/GE/84/law/7407/>

¹⁹დაუსჯელი ჰომოფობია პოლიციაში, ჟურნალი “იდენტობა” - <http://identoba.ge/3863>

²⁰არშემდგარი დისკუსია, ჟურნალი “ცხელი შოკოლადი” - <http://www.media.ge/node/24964>

²¹IRI-ის კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა შორის ყველაზე დიდი ნდობით კვლავ ეკლესია სარგებლობს, “pirweli.ge” - http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=84133&Itemid=52&ccdate=2-2011

²²მრევლი ჰომოსექსუალებს ეძებს (ბათუმი), “ნეტგაზეთი” - <http://netgazeti.ge/GE/22/Life/2294/>

მასკულინობა როგორც ჰომოფობია

თარგმანი: *თამთა მელაშვილი*
*მაიკლ კიმელის*²³ მიხედვით

ბიჭისთვის პირველი ადამიანი, რომელიც მის მამაკაცურ ქცევას აფასებს - მამაა. მისი თვალეები პირველი წყვილი თვალია ბიჭის ცხოვრებაში, რომლის წინაშეც იგი საკუთარი მამაკაცობის დამტკიცებას ცდილობს. მამის მზერა მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება. ამ მზერას ბევრი სხვა, ცოცხალი და მკვდარი მამაკაცის მზერა შეუერთდება - თანატოლების, მეგობრების, თანამშრომლების, ბოსების... მათი მუდმივი თვალყურის დევნებისგან მამაკაცი სიცოცხლის ბოლომდე ვერ თავისუფლდება.

მკვდარი ადამიანების მიერ დამკვიდრებული ტრადიციები ამძიმებს ცოცხლების ტვინს. კომმარი, რომლისგანაც ვერასოდეს გავთავისუფლდებით არის ის, რომ სხვები მიხვდებიან, თურმე ის არა ვართ, რადაც თავი მოგვაქვს. რასაც ჩვენ მასკულინობას ვუწოდებთ, ხშირ შემთხვევაში არაფერია, გარდა მცდელობისა, ადვილად მონწყვლადები არ გამოვჩნდეთ სხვების თვალში. ამისთვის მთელ რიგ გაზვიადებულ ქმედებებს ჩავდივართ, რაც კიდევ უფრო ართულებს ჩვენი დანახვის შესაძლებლობას. ჩვენ ვცდილობთ საკუთარ თავში გამოვკვეთოთ ჩვენი შიშები. ჩვენი ჭეშმარიტი შიში ქალის მიმართ შიში არაა. ეს არის შიში არ შევრცხვეთ სხვა მამაკაცების წინაშე, შიში იმისა, რომ შეურაცხყოფა არ მოგვაყენონ სხვა მამაკაცების თვალწინ. შიში იმისა, რომ არ დომინირებდნენ ჩვენზე სხვა, უფრო ძლიერი მამაკაცები. ეს ამერიკული მასკულნობის უდიდესი საიდუმლოა; ჩვენ -

²³მაიკლ კიმელი სოციოლოგი და გენდერული კვლევების სპეციალისტია.

მისი ინტერესის სფეროს მასკულინობის კვლევები წარმოადგენს. იგი ურნალ Men and masculinities რედაქტორია. იმავდროულად კიმელი ორგანიზაციის “მამაკაცები სექსიზმის წინააღმდეგ” სპიკერი.

მამაკაცებს, სხვა მამაკაცების გვეშინია. ჰომოფობია ძირითადი პრინციპია მამაკაცობის ჩვენებური კულტურული დეფინიციისთვის. ჰომოფობია უფრო მეტია, ვიდრე ჰომოსექსუალი მამაკაცების ირაციონალური შიში, მეტია ვიდრე შიში იმისა, რომ სხვამ ჩვენს შეიძლება აღგვიქვას ჰომოსექსუალად. ერთ-ერთი ავტორი წერს, რომ სიტყვა „პიდარასტს“ არანაირი კავშირი არ აქვს ჰომოსექსუალურ გამოცდილებასთან, ჰომოსექსუალების მიმართ შიშთანაც კი. იგი მამაკაცურობის სიღრმეებიდან მოდის: იარლიყებით გამოწვეული შედეგების შიში და შესაბამისი შფოთვა იმის გამო, რომ არასაკმარისი მამაკაცურობის გამო შეიძლება შენს გახდეს სტიგმის მსხვერპლი.

ჰომოფობია კი შიშია იმისა, რომ სხვა მამაკაცები ნიღაბს ჩამოგვხსნიან, განგვიარაღებენ ნამდვილ მამაკაცებს და მსოფლიოს წინაშე იტყვიან, რომ ჩვენ ნამდვილი კაცები არ ვართ. გვეშინია, რომ სხვა კაცები შენიშნავენ ჩვენში ამ შიშს. ამ შიშის გამო გვრცხვენია, რადგან შიშის გამოვლენა ერთგვარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ისეთი მამაკაცურები არ ვართ, როგორც თავი მოგვაქვს და თავს ვაჩვენებთ. ჩვენი შიში დამცირების შიშია. გვეშინია გვეშინოდეს.

შერცხვენის შიშს დუმილამდე მივყავართ, - ეს მდუმარება კი აიძულებს ადამიანებს სჯეროდეთ, რომ ჩვენთვის ფაქტობრივად მისაღებია, რაც ქალების, უმცირესობების, გეებისა და ლესბოსელების თავზე ხდება. შეშინებულის დუმილია, როცა სწრაფად ჩაუვლით გვერდით ქალს, რომელსაც მამაკაცი ქუჩაში აყენებს შეურაცხყოფას. შეშინებულის დუმილია, როცა მამაკაცები სექსისტურ და რასისტულ ანეგდოტებს ყვებიან ბარში, ან როცა სამსახურში ბიჭები გვებზე ხუმრობენ, ჩვენ კი ვუსმენთ და ვდუმვართ. ჩვენი შიშები ჩვენი დუმილის წყაროა. სწორედ მამაკაცების ტოტალური დუმილია, რაც ყველაზე მეტად უწყობს ხელს სისტემის შენარჩუნებას.

შიში იმისა, რომ ვინმემ შეიძლება ქალაჩუნად აღგვიქვას, დომინირებს კაცობის კულტურულ განსაზღვრებაში. მისი ჩამოყალიბება ძალიან ადრეული ასაკიდან იწყება. ერთხელ მეგობარს დავვინძიებდი. ვუთხარი, რომ ნებისმიერ სტადიონზე გავიდოდი,

სადაც 6 წლის ბავშვები ბედნიერად თამაშობენ, მხოლოდ ერთ კითხვას დავესვამდი და აუცილებლად მოვახდენდი ჩხუბის პროვოცირებას. ეს კითხვა ძალიან მარტივად უღერდა: ჰვი ბიჭებო, ვინაა თქვენში ქალაჩუნა? კითხვის დასმის შემდეგ აუცილებლად რაღაც მოხდება. ერთი ბიჭი მეორეს დაადანაშაულებს ქალაჩუნობაში, საპასუხოდ ბიჭი იტყვის, რომ ის ქალაჩუნა არაა, მისი „ბრალმდებელია“ ქალაჩუნა. ამას ხელოწართული ომი მოჰყვება იმის გასარკვევად, თუ ვინაა ქალაჩუნა. ან შეიძლება ბიჭების მთელი გუნდი გარს შემოეხვიოს ერთ-ერთ მათგანს და ყვირილი დაიწყოს „აი ქალაჩუნა, აი ქალაჩუნა“, ბიჭს, რომელსაც ბრალს სდებენ ან ცრემლები წასკდება და სახლში შეურაცხყოფილი გაიქცევა, ან საჩხუბრად გაიწვეს რამდენიმე ბიჭისკენ ერთდროულად იმის დასამტკიცებლად, რომ ქალაჩუნა არაა (რას ეტყვის მამა ან უფროსი ძმა თუ ის სახლში ატირებული გაიქცევა?). ბიჭს ნამდვილად დასჭირდება გარკვეული დრო თავმოყვარეობის აღსადგენად.

ძალადობა მამაკაცობის ერთადერთ, ყველაზე აშკარა გამოვლინებად რჩება. ყველა ჩვენგანი დავატარებთ მხარზე გადებულ წარმოსახვით კომბალს. ეს პრაქტიკა ახალგაზრდა ბიჭმა დანერგა ზღაპრებიდან, რომელიც ყოველთვის თან დაატარებდა მხარზე გადებულ კომბალს, როგორც მისი მზაობის გამოხატულებას, ეჩხუბა ყველასთან ვინც გაბედავდა და ინიციატივას გამოიჩინდა მისი კომბლის გადასადგებად.

ახალგაზრდა მამაკაცებს ხშირად გვიწევს სიარული გენდერული საზღვრების გასწვრივ. ხშირად ვამონწმებთ ღობის მდგრადობას, რომლითაც თავად შემოვისაზღვრეთ თავი. დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ჩვენში მისხლისოდენა ფემინურიც არაა, რამე ფემინური არსად გავგეჰპარა. მოზარდობისას აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი თანატოლები ერთგვარი გენდერული პოლიციის როლს ასრულებენ. მუდმივად არსებობს საშიშროება, რომ ქალაჩუნობაში დაგვდებენ ბრალს.

ჩვენი მცდელობები, პოზიციები შევინარჩუნოთ მამაკაცურ ფრონტზე, ფარავს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ: რას ვიცვამთ, როგორ დავდივართ, რას ვჭამთ - ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია.

იფიქრეთ, მაგალითად, როგორ უპასუხებდით კითხვას: როგორ ხვდები, რომ ადამიანი ჰომოსექსუალია? როცა ამ კითხვას ლექციებზე ან ვორკშოპებზე ვსვამ, რესპონდენტებს თითქმის ერთნაირი, სტერეოტიპებით დახუცდებული უპასუხები აქვთ: რაღაცნაირად დადის, რაღაცნაირად ლაპარაკობს, რაღაცნაირად იქცევა. ძალიან ემოციურია, თავის გრძობებს ამბეურებს. ერთ-ერთმა ქალმა თქვა, რომ მამაკაცი, რომელიც მართლა ზრუნავს მასზე ნამდვილად გეია, მეორემ აღნიშნა, რომ მამაკაცს, რომელიც მის მიმართ ინტერესს არ ამჟღავნებს ჰომოსექსუალად თვლის.

აბა შეაბრუნეთ კითხვა და წარმოდგინეთ რას აკეთებენ ჰეტეროსექსუალი მამაკაცები იმისთვის, რომ მათ „ცუდად არ გაუგონ“. პასუხად ჩვეულებრივ სტერეოტიპებს გავიგონებთ, ოღონდაც ამჯერად, აკრძალვითი წესების ერთობლიობას ქცევის შესახებ: არასოდეს ჩაიცვა ასე, არასოდეს ილაპარაკო ასე, არაოსდეს გამოამყლავნო შენი გრძობები. არ იყო ემოციური. ყოველთვის მზად იყავი დემონსტრირება გაუკეთო სექსუალურ ინტერესს ქალის მიმართ. ასე შეუძლებელი იქნება ამ ქალმა „არასწორი“ წარმოდგენა შეიქმნას შენზე. ამ კუთხით ჰომოფობია, შიში იმის, რომ შესაძლოა ჰომოსექსუალად აღგიქვან, აიძულებს მამაკაცებს გაზვიადებულად შეინარჩუნონ მასკულიზაციის ტრადიციული წესები, მათ შორის სექსუალური ლტოლვა ქალების მიმართ. ჰომოფობია და სექსიზმი განუყოფელია.

ქალაჩუნად აღქმის რისკი დიდია - ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. დიდ რისკებს ვიღებთ საკუთარ თავთან მამაკაცობის დასამტკიცებლად, რომელიც ჯანმრთელობას, სამსახურს, სტრესთან დაკავშირებულ ავადმყოფობებს ეხება.

ერთ-ერთ გამოკითხვაში ქალებსა და მამაკაცებს კითხეს რისი ეშინოდათ ყველაზე მეტად. ქალებმა უპასუხეს, რომ ყველაზე მეტად გაუპატიურების და მკვლელობის ეშინოდათ. მამაკაცები კი დაცინვის შიშით აღმოჩნდნენ შეპყრობილები.

საქართველოში ლგბტქი თემის საჭიროებათა კვლევის ანგარიში - 2010

იდეტობა, 2011

მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ერთსქესიანი ურთიერთობებისა და განსხვავებული გენდერული იდეტობების მიმართ, საქართველოს ლგბტქი თემს განსაკუთრებულად მოწყვლადს ხდის. როგორც ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენლებს, თემის წევრებს შეზღუდული აქვთ ხელმისაწვდომობა უსაფრთხო გარემოსა და შესაბამისსოციალურ და ჯანდაცვის სერვისებისებზე.

„იდეტობამ“ დაფუძნებისთანავე, ერთ-ერთ პრიორიტეტად ადგილობრივი ლგბტქი საზოგადოების საჭიროებებისადმი მყისიერი ქმედებების განხორციელება აირჩია. შესაბამისად, ასოციაციამ ორგანიზება გაუწია ლგბტქი თემის საჭიროებათა შეფასების კვლევას. მსგავსი სახის კვლევა პირველად 2006 წელს ჩატარდა ფონდ *ინკლუზივის*[1] მიერ. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, აქედან გამომდინარე, ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის შეგროვებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მომავალი ორგანიზაციის აქტივობათა დაგეგმვის თვალსაზრისით. ამიტომაც, მოცემული კვლევის მიზანი იყო, უშუალოდ შეგვესწავლა თემში არსებული მდგომარეობა ჯანდაცვის, სოციალური და კულტურული საჭიროებების, უსაფრთხოების კუთხით და გამოგვევლინა ის ხარვეზები და დაბრკოლებები, რომელიც თემის წევრებს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ხელის შემშლელია.

საჭიროებათა კვლევისთვის ინფორმაციის შეგროვება მოხდა მიზნობრივი ჯგუფის სხვადასხვა წევრებისგან. კვლევაში 152 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათგან 130-მა კითხვარი შეავსო ელექტრონულად, 11-მა - ორგანიზაციის წევრების მიერ ორგანიზებული შეხვედრა-დისკუსიების დროს, დანარჩენი 11 რესპონდენტი კი მოძიებულ იქნა საველე სამუშაოს შესრულებისას,

ძირითადად იმ ადგილებში, სადაც უმეტეს შემთხვევაში დაბალი ეკონომიკური და სოციალური სტატუსის განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები იკრიბებიან. ჩვენი მიზანი იყო, კვლევაში მაქსიმალურად ასახულიყო სხვადასხვა სოციალური ფენისა და ეკონომიკური მდგომარეობის თემის წევრთა საჭიროებები. კითხვარი ასევე ხელმისაწვდომი იყო სოციალურ ქსელზე - ფეისბუქზე. გარდა ამისა, ბმული ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნათ ლგბტქი თემის წევრებს.

კითხვარის შედგენას წინ უსწრებდა ინტერვიუები ფოკუს-ჯგუფთან. მთლიანობაში ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღო 32 ადამიანმა გვი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი წევრების ჩათვლით. ფოკუს-ჯგუფების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა სრულყოფილად წარმოჩენილიყო მონაწილეთა შეხედულებები, მათი ინტერესები და პრობლემები, რათა შემდგომ, კითხვარში ეფექტურად მომხდარიყო მათი ასახვა. ინტერვიუები ჩატარდა სამ სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფთან. პირველი ჯგუფი მოიცავდა თემის იმ წევრებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული ფონდ *ინკლუზივის* აქტივობებში. მეორე ჯგუფის წარმომადგენლებს არასოდეს ჰქონიათ შეხება *ინკლუზივთან*, მათი გადმომისამართება „იდენტობაში“ მოახდინა პარტნიორმა ორგანიზაცია *თანადგომამ*[2], მესამე ჯგუფის წევრების მოზიდვა კი უშუალოდ ორგანიზაციის მიერ განხორციელდა. ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუებისას დასმულმა ღია კითხვებმა ხელი შეუწყო მონაწილეთა შორის დიკუსიის წარმართვას მათი გამოცდილების შესახებ. კითხვები შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, სოციალური სერვისების საჭიროებები, შეხედულებები ლგბტ უფლებებზე, უსაფრთხო გარემოზე და ა.შ. ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუები ჩაიწერა და გაიშიფრა შემდგომი ანალიზისთვის.

ინტერვიუებმა ფოკუს-ჯგუფთან კარგი ნიადაგი მოამზადა კითხვარის მომზადებისთვის, რომელიც ელექტრონულად გავრცელდა, ასევე დარიგდა თემის წევრების შეკრება-დისკუსიების დროს და საველე საშუაოს შესრულებისას. კითხვარში რესპონდენტებს

საშუალება ეძლეოდათ, სურვილის შემთხვევაში თითოეულ კითხვაზე ერთზე მეტი პასუხი გაეცათ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია თემის საჭიროებების ძირითადი ტენდენციების გამოვლენაში.

მიუხედავად ორგანიზაციის მცდელობისა, კვლევას მთლიანად დაეფარა სამიზნე ჯგუფი, ეს ვერ მოხერხდა მთელი რიგი მიზეზების გამო. გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია ლგბტ თემის უფროს (40 წლისა და ზემოთ) წარმომადგენლებს. გარდა ამისა, რესპონდენტთა უმრავლესობა დედაქალაქის მკვიდრია. შესაბამისად, რეგიონში მაცხოვრებელთა კვლევაში ჩართვა ვერ მოხერხდა, რეგიონებში კი ლგბტ ჯგუფი ყველაზე მეტად უხილავი და მონყველადია. ჩამოთვლილი მიზეზები კვლევას რამდენადმე ზღუდავს, თუმცა მნიშვნელობას არ აკარგვენებს საქართველოს ლგბტქი საზოგადოების საჭიროებების გამოსავლენად.

კითხვარი

მონაწილეთა მონაცემები:

❖ ასაკი:

18-25	61 %	92 რესპონდენტი
26-32	28%	43 რესპონდენტი
33-40	10%	15 რესპონდენტი
40+	1%	1 რესპონდენტი

❖ საცხოვრებელი ადგილი:

თბილისი	93%	140 რესპონდენტი
ბათუმი	2%	3 რესპონდენტი
ქუთაისი	2%	3 რესპონდენტი
სხვა	4%	6 რესპონდენტი

❖ სექსუალური/გენდერული თვითიდენტიფიკაცია:

ლესბოსელი	13%	19 რესპონდენტი
-----------	-----	----------------

გვი	32%	48 რესპონდენტი
ბისექსუალი ქალი	17%	26 რესპონდენტი
ბისექსუალი მამაკაცი	22%	34 რესპონდენტი
ტრანსგენდერი (FTM)	1%	1 რესპონდენტი
ტრანსგენდერი (MTF)	1%	1 რესპონდენტი
ინტერსექსუალი	1%	1 რესპონდენტი
ღია სქესი	2%	3 რესპონდენტი
არ ვაკონკრეტებ	12%	18 რესპონდენტი

❖ **განათლება:**

არასრული საშუალო:	3%	4 რესპონდენტი
სრული საშუალო:	8%	12 რესპონდენტი
პროფესიული:	7%	10 რესპონდენტი
არასრული უმაღლესი:	24%	36 რესპონდენტი
სრული უმაღლესი/ BA:	36%	54 რესპონდენტი
სრული უმაღლესი/ MA:	20%	30 რესპონდენტი
სრული უმაღლესი/ Ph.D:	3%	5 რესპონდენტი

❖ **დასაქმება:**

სტუდენტი:	29%	44 რესპონდენტი
სრულ განაკვეთზე მომუშავე	34%	51 რესპონდენტი
ნახევარ განაკვეთზე მომუშავე:	8%	12 რესპონდენტი
თვითდასაქმებული:	22%	33 რესპონდენტი
სემონურად დასაქმებული:	7%	11 რესპონდენტი

❖ **ყოველთვიური პირადი შემოსავალი:**

50-100	27%	41 რესპონდენტი
101-200	14%	22 რესპონდენტი
201-500	18%	27 რესპონდენტი
501-1000	24%	36 რესპონდენტი
1000+	16%	25 რესპონდენტი

❖ ოჯახური მდგომარეობა:

ვცხოვრობ პარტნიორთან ერთად:	13%	20 რესპონდენტი
დაუოჯახებელი:	59%	89 რესპონდენტი
დაოჯახებული:	6%	9 რესპონდენტი
განქორწინებული:	7%	10 რესპონდენტი
ვცხოვრობ ცალკე:	13%	19 რესპონდენტი
ვცხოვრობ არარეგისტრირებულ ქორწინებაში :	3%	4 რესპონდენტი

კვლევის შედეგები:

უსაფრთხოება/დაცულობა

რესპონდენტთა 56% განცხადებით ადგილობრივი ლგბტქი თემის უმთავრესი პრობლემა საზოგადოების მიერ აულიარებლობაა. გარიყვა (52%) და დისკრიმინაცია (38%) ასევე მნიშვნელოვან პრობლემებად დასახელდა. გამოკითხულთა 26% ამრით რესურსებზე ხელმიუნვდომლობა თემის წევრებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა. რესპონდენტთა 11% პასუხი არ დააკონკრეტა[3].

რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით ლგბტქი ადამიანებს საქართველოში ყველაზე მეტ პრობლემას საზოგადოება (58%) უქმნის. მათ შორის დასახელდა: ოჯახის წევრები (45%), სამეზობლო (27%), გზაში შემხვედრი უცნობები (23%). სამართალდამცავებს ხმათა 9% ერგოთ, მეუღლეებსა და პარტნიორებს - 2%.

უფლებების დარღვევის შემთხვევაში რესპონდენტთა 50% განაცხადა, რომ მხარდასაჭერად მიმართავს მეგობარს. ხმათა 35% ერგო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 28% არავის მიმართავს მსგავს შემთხვევაში დასახმარებლად. გამოვლინდა, რომ სოციალური ქსელი ფეისბუქი (17%) და ინტერნეტ ფორუმები (11%) პოპულარული საშუალებაა ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევების შესახებ ფართო საზოგადოებისათვის ხმის მისაწვდენად.

გამოკითხვიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მაცხოვრებელ ლგბტქი თემის წევრებზე ზეწოლა ყველაზე მეტად მათ ახლო

გარემოში მყოფი ადამიანებიდან მომდინარეობს (ოჯახი, სამეზობლო), თუმცა იგივე „საახლოლო წრე“ (ამ შემთხვევაში მეგობრები) გვევლინება ლგბტქი ჯგუფისთვის ყველაზე სანდო „მოკავშირედ“. ორივე ტენდენცია შეიძლება აიხსნას ქართული საზოგადოების კოლექტიურობის მაღალი ხარისხით. ფაქტი, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი საერთოდ უარყოფს რაიმე სახის მხარდაჭერას, მიუთითებს თემის წევრების საზოგადოებაში ნაკლებ ინტეგრირებულობაზე, სოციალიზაციის დაბალ დონეზე, რაც უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორია იმისთვის, რომ ლგბტქი ადამიანთა უმრავლესობამ თავი ქვეყნის სრულყოფილ მოქალაქედ იგრძნოს. სამართალდამცავებმა მოცემულ კატეგორიაში ხმათა მხოლოდ 12% მიიღეს. სავარაუდოდ ეს ციფრი გაიზრდება მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა მხრიდან ზემოთ აღნიშნული ინსტიტუციონალური ნდობა გაიზრდება.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა

გამოკითხულთა 47% განაცხადა, რომ მათთვის ჯანდაცვის სერვისები ხელმისაწვდომია, 14%-სთვის კი სრულიად ხელმიუწვდომელი. რესპონდენტების 84% აცხადებს, რომ ფლობენ ინფორმაციას სგვდ-ს (სექსუალური გზით გადამდები დაავადებების) შესახებ, 14%-სთვის ეს ინფორმაცია ნაწილობრივ ხელმისაწვდომია, 2% კი შესაბამის ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს. სგვდ-ს შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროდ დასახელდა ინტერნეტი (79%), არასამთავრობო ორგანიზაცია (38%), მეგობრები (33%), ტელევიზია (26%), პრესა (20%). ქალმა რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს გინეკოლოგიური მომსახურების (30%) საჭიროებას, მამაკაცებისთვის კი პრიორიტეტად დასახელდა ვენეროლოგის (29%), უროლოგის (26%) და პროქტოლოგის (18%) მომსახურებები.

რესპონდენტთა მიერ დასახელებული ორგანიზაციაა თანადგომა, რომელიც სგვდ-სა და აივ/შიდსზე მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებს თემის წევრებისთვის (ძირითადად MSM ჯგუფისთვის[4]) და ამასთანავე აქტიურად ჩართულია ინფორმაციის

გავრცელების კამპანიაში. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, (WISG)[5], „იდენტობას“ პარტნიორი ორგანიზაცია თანადგომასთან თანამშრომლობით იგივე სახის სერვისებით უზრუნველყოფისათვის მუშაობს ლბტ ჯგუფთან, თუმცა გინეკოლოგიური მომსახურება ქალთათვის და ვენეროლოგიური მამაკაცთათვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოკუს-ჯგუფთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა ერთი პრობლემა - კერძოდ, ჯანდაცვის მომსახურებაში თემის წევრებისადმი მგრძობიარე/მეგობრულად განწყობილი მუშაკების არარსებობა.

ხელმისაწვდომობა კონსულტაციაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე

რესპონდენტთა 60% ფსიქოლოგიური კონსულტაციის საჭიროებას განიცდის, 54%-თვის აუცილებელია სექსოლოგთან კონსულტაცია. იურისტის დახმარებას საჭიროებს გამოკითხულთა 28%, სოციალური მუშაკის კი - 12%. ინტერნეტი (62%) დასახელდა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ლგბტქი სიახლეებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. შეხვედრადისკუსიებმა იგივე კატეგორიაში მოიპოვა რესპონდენტთა ხმების 56%, პუბლიკაციებმა - 38%, თემატურმა ტრენინგებმა - 34%. რაც შეეხება სურვილს კვალიფიკაციისა და ცოდნის ასამაღლებლად, რესპონდენტებმა უპირატესობა მიანიჭეს შემდეგ კატეგორიებს: 50% - ცოდნის ამაღლება ლგბტქი უფლებების თემატიკაზე, 37% - ინგლისური ენის სწავლება, 26% - თავდაცვის კურსები.

ფსიქოლოგიური კონსულტაციის გადაუდებელი საჭიროების საპასუხოდ „იდენტობამ“ მოახდინა საკუთარი რესურსების მობილიზაცია. ორგანიზაციის ორი წევრი, რომელიც იმავდროულად პრაქტიკოსი ფსიქოლოგები და სოც. მუშაკები არიან, რეგულარულ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს უწევენ თემის წევრებს.

„იდენტობა“ თემზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. ამიტომაც, მისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ლგბტქი ჯგუფის უფლებამოსილების გაზრდა და მისი გაძლიერება თემის წევრთა უშუალო მონაწილეობით. ორგანიზაციაში, მისი დაარსებისთანავე, აქტიურად და წარმატებით ხორციელდება შეხვედრა-დისკუსიები, ფილმების ჩვენებები სხვადასხვა თემატურ საკითხებზე, როგორცაა: ჰომოფობია, ქამინგაუთი და ა.შ. მსგავსი აქტივობების ეფექტურობას განსაკუთრებულად ხელს უწყობს ის, რომ ღონისძიებების ორგანიზება უშუალოდ თემის წევრთა მიერ ხდება, რომლებიც თავად ირჩევენ სადისკუსიო თემას, იწვევენ მონაწილეებს და უძღვებიან დისკუსიას. გარდა იმისა, რომ მსგავსი დისკუსიები ხელს უწყობს ინფორმირებულობის ამაღლებას, ისინი საუკეთესო საშუალებაა თემის მობილიზაციისთვის. ამასთანავე, დისკუსიები ერთგვარი

უსაფრთხო გარემოა თემის წევრებს შორის კომუნიკაციებისა და სოციალიზაციისთვის. „იდენტობამ“ ერთ-ერთ პრიორიტეტად აკადემიური საქმიანობა დაისახა. ამისათვის იგი მიზნად ისახავს სატრენინგო მოდულების შექმნას როგორც თემის წევრებისთვის, ასევე ზოგადად, საზოგადოების ინფორმირებულობისა და მგრძობელობის ასამაღლებლად.

საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, აქტივობა და კომუნიკაციები თემში

რესპონდენტთა უმრავლესობა - 79% მიიჩნევს, რომ ლგბტქი საკითხებზე სატელევიზიო პროგრამების საშუალებით უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, 65% აზრით ამ მხრივ პრიორიტეტულია ინტერნეტი, 60% შეხედულებით კი პრესა. ამ კატეგორიაში აკადემიურ ნაშრომებს 43%, თემატურ ტრენინგებს კი ხმათა 41% ერგო. სოციალიზაციისა და კომუნიკაციისთვის უსაფრთხო სივრცედ გამოკითხულთა 58% მიიჩნევს სოციალურ ქსელებს, 48% - კერძო წვეულებებს, 39% კლუბებს. რესპონდენტთა მხოლოდ 9%-სთვისაა უპირატესი ე.წ. პლემპა[6]. რაც შეეხება ორგანიზაციის ფარგლებში აქტივობას, გამოკითხულთა 48% დადებითად უპასუხა კითხვას - ჩართული იყოს და მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, 27% ნაწილობრივი მზაობა გამოთქვა, 10% უარი განაცხადა, 15% კი არ დაუკონკრეტებია პასუხი.

როგორც ჩანს, მედია, როგორც უმნიშვნელოვანესი აქტორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ამ კონკრეტული ჯგუფის მიერაც განიხილება ლგბტქი ჯგუფზე ინფორმირებულობის ამაღლების მთავარ საშუალებად, მიუხედავად მისი მკვეთრად ჰომოფობიური ტენდენციებისა. კომუნიკაციისთვის უსაფრთხო სივრცის არსებობის ნაკლებობა და პრივატულობის გამძაფრებელი შეგრძნება ასევე მიუთითებს ჯგუფში ფართოდ გავრცელებულ შიშზე მარგინალიზაციასა და სტიგამტიზაციასთან მიმართებაში.

- [1] ლგბტ ორგანიზაცია საქართველოში 2006-2010 წლებში.
- [2] იხ. www.tanadgoma.ge
- [3] რადგან რესპონდენტებს შეეძლოთ ზოგიერთ კითხვაში რამდენიმე პასუხი მოენიშნათ, ამიტომაც გარკვეულ შემთხვევებში პროცენტული მაჩვენებელი 100-ზე მეტია.
- [4] Men who have sex with men - მამაკაცები, რომელთაც აქტიური სექსუალური კონტაქტები აქვთ საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში იდენტიფიკაციას ლგბტეი თემთან არ ახდენენ.
- [5] იხ. www.women.ge; www.lesbi.org.ge
- [6] ადგილი (ძირითადად პარკი, სკვერი ან მიწისქვეშა გადასასვლელი), სადაც ძირითადად დაბალი სოციალური ფენის ჰომოსექსუალი მამაკაცები იკრიბებიან.
- [7] გვერდი მზადების პროცესშია.

სადიგმი მოითხოვს თხრობას

ავტორი: *ირაკლი ვაჭარაძე*

ფემინიზმი სოციალური მოძრაობაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ფილმის თეორიასა და კრიტიკაზე. ფემინისტები კინოს აღიქვამენ, როგორც კულტურულ პრაქტიკას, რომელიც ქალებისა და ქალურობის შესახებ მითებს წარმოაჩენს. თავდაპირველად, ადრეული ფემინისტური კრიტიკა ქალების სტერეოტიპიზაციას ეხმებოდა, უმეტესწილად ჰოლივუდის ფილმებში. ქალების ერთნაირი სახეები აღმაშფოთებლად ამახინჯებდა მათ და ქალ მაყურებელზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. ამიტომ, მათ დაიწყეს მონოდება ქალის დადებითი სახის წარმოსაჩენად. თუმცა, მალევე მიხვდნენ ეს გასხივოსნება ფილმის შინაგან სტრუქტურას ვერ შეცვლიდა და ამ დროს ფემინისტი ფილმის კრიტიკოსები იწყებენ პატრიარქალური ხატების ყოვლისშემღწევი ძალის ანალიზს. ისინი იყენებდნენ სტრუქტურალისტურ თეორიულ ჩარჩოებს: მაგალითად, სემიოტიკასა და ფსიქოანალიზს. ესთეორიული დისკურსები საკმაოდ სასარგებლო გამოდგა კლასიკურ ნარატივში სექსუალური განსხვავების კოდირების წარმოსაჩენად. მოგვიანებით, სექსუალური განსხვავების ამგვარი ბინარული გაგებისგან დისტანცირება მოხდა და მრავალგვარი პერსპექტივა, იდენტობა და მაყურებლის სახე გამოიკვეთა. ამ გახსნილობამ კი გააჩინა კითხვები ეთნიკურობის, კაცურობის და ჰიბრიდული სექსუალობის მიმართ.

„სადიგმი მოითხოვს თხრობას“

პირველი ფემინისტი კრიტიკოსი, ვინც სემიოტიკაზე დაყრდნობით ფილმში სტერეოტიპებს აპროტესტებს, კლერ ჯონსონია. მან აჩვენა, თუ როგორ ააგებს კლასიკური ფილმი ქალის იდეოლოგიურ სახეს და ის როლანდ ბარტის „მითის ცნებას“ ეყრდნობა. ნიშან-ცნება „ქალი“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტრუქტურა, კონვენციური კოდი. ის წარმოადგენს იმ იდეოლოგიურ მნიშვნელობას, რაც ცნება

„ქალს“ აქვს კაცისთვის. თავის თავთან მიმართებაში ის არა-ფერობას ნიშნავსო, წერდა ჯონსონი 1991 წელს.

თავდაპირველად, მოლით განვმარტოთ რას ნიშნავს ნარატივის ცნება ბარტის მიხედვით. ნარატივი უნივერსალურია, წარმოდგენილია ყველა საზოგადოებაში, დროსა და კულტურაში: *გამოხატული, არტიკულირებული ენისმიერ ნატარები, გეპირად თუ წერილობითი სახით, დაფიქსირებული თუ მოძრავი ხატებისმიერ, უესტების და ყველა სხვა ამ სუბსტანციებისა. ნარატივი წარმოდგენილია მითში, ლეგენდაში, ფაბულაში, მონათხრობში, ამბავში, ნოველაში, ეპიკურ ნაწარმოებში, ჰისტორიაში, ტრაგედიაში, დრამაში, კომედიაში, მიმში, მხატვრობაში, ეკლესიების ვიტრაჟებში, ფილმში, კომიქსებში, ნიუსებში, საუბრებში... ის არ დაეძებს განსხვავებას კარგ და ცუდ ლიტერატურას შორის, ნარატივი საერთაშორისოა, ტრანსისტორიულია, ტრანსკულტურულია: ის უბრალოდ არსებობს, როგორც თავად ცხოვრება.*

„სადიზმი თხრობას ითხოვს“ წერს ლორამალვი 1975 წელს გამოქვეყნებულ თავის ყველაზე ცნობილ ესსეში „ვიზუალური სიამოვნება და ნარატიული კინო“. ფემინისტური ფილმის კრიტიკოსები წერდნენ, რომ ეს შეთავაზება, რომელიც შებრუნებითობის ძალას ატარებს, ბუნდოვნად შიშისმომგვრელადაც გვევლინება („ნუთუ ყველა თხრობა, ყველანაირი მოთხრობა სადისტურია?“). მალვის სრული განაცხადი ასე უღერს:

„სადიზმი მოითხოვს თხრობას, დამოკიდებულია რალაცის მიერ რალაცის მოხდენაზე, ძალდატანებით ითხოვს ცვლილებას სხვა პიროვნებაში, ნებისყოფისა და ძალის ორთაბრძოლით, გამარჯვება/დამარცხებით და ეს ყველაფერი ხდება ერთ დროში, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული“.

ეს შეფასება ნარატივის ზოგადად გავრცელებულ შეფასებას წაგავს, თუმცა ის მოტანილია როგორც სადიზმის აღწერილობა. ნუთუ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სადიზმი ის გამომწვევი მოქმედია, აგენტი, რომელიც თავად არის ღრმა სტრუქტურა, ნარატივის შემქმნელი ძალა? სხვა თუ არაფერი, ერთად ხომ

თანაარსებობენ? ჩვენ კი გვერჩივნა გვეფიქრა, რომ ეს შემოთავაზება მიკერძოებული ან განსაკუთრებული ყოფილიყო და მხოლოდ ზოგიერთ ნარატიულ ჟანრს, მაგალითად საშინელებათა ჟანრს, თრილერს შეეხოდა (ბოლოსდაბოლოს ჩვენ ხომ ჰიჩკოკის ფილმებზე ვსაუბრობთ). გვერჩივნა დაგვეჯერებინა, თითქოს ყველა ნარატივს, ყველა ჟანრს უნივერსალურად არ ეხებოდეს ესშეფასება. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბარტმა დაამტკიცა რომ ნარატივი უნივერსალურია. შესაბამისად სადიზმიც.

დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის ძირითად ნაწილს: ქალის წარმოჩენას ფილმში. ნიშან-ცნება „ქალი“ იმ იდეოლოგიურ მნიშვნელობას წარმოაჩენს, რაც ქალს აქვს კაცებისათვის. ქალები ნეგატიურად არიან წარმოჩენილნი, როგორც „არა-კაცები“. „ქალი როგორც ქალი“ ფილმის ტექსტში საერთოდ არ გვხვდება – ჯონსონ იწერს. აქ მნიშვნელოვანი თეორიული გარდატეხა შემოდის. მანამდე ფილმი მიიჩნეოდა, როგორც რეალობის ამსახველი საშუალება. ახლა კი გვთავაზობენ ფილმის დანახვას არა როგორც სარკედ, არამედ თავად რაღაც კერძო, იდეოლოგიური რეალობის ხედვის შემქმნელისა. რადგან კლასიკური კინო არასოდეს წარმოაჩენს წარმოების საშუალებებს, არასოდეს ჩანს როგორ, ვის მიერ და რატომ მიიღება კონკრეტული გადანწყვეტილებები, ფემინისტი ანალიტიკოსები მას აკრიტიკებენ იდეოლოგიური ჩარჩოს მიჩქმალვის გამო. კლასიკური ფილმი ხომ „ქალის“ ხატს წარმოაჩენს, როგორც ბუნებრივს, რეალისტურს და მიმზიდველს. ესეც თქვენი კლასიკური კინოს ილუზიონიზმი.

მალვამ „ვიზუალური სიამოვნება და ნარატიული კინოში“ ჰოლივუდის ფილმების მიმართ ჩვენი დაუცხრომელი განცვიფრების ახსნა ფსიქოანალიზის გამოყენებით სცადა. ეს მოჭადოება, განცვიფრება სკოფოფილით აიხსნება. სკოპოფილია ჭვრეტას, უფრო მალულად თვალიერებას ნიშნავს. სკოფოფილია დანახვის ვნება რომელიც, ფროიდის მიხედვით, ფუნდამენტალური მამოძრავებელია. როგორც ყველა მამოძრავებელი ძალა, სკოფოფილიაც სექსუალური ენერგიიდან იღებს სათავეს და ამ ძალის მოქმედებით გვაიძულებს

ეკრანს მივეჯაჭვოთ. კლასიკური ფილმი, მალვია მატებს, ამ სურვილის სტიმულირებას ახდენს, რადგან ფილმის თხრობით და ვიზუალურ ნაწილებში ვუაიერიზმს ნარცისიზმთან აერთებს. ვუაიერისტული ვიზუალური სიამოვნება სხვისი ყურებით წარმოიქმნება. უყურებ სხვას და აღიგზნები (რომელიმე პერსონაჟს, ფიგურას, სიტუაციას). მას, იგივესხვას, ხედავ როგორც შენს ობიექტს. ეს განსხვავდება ნარცისული ვიზუალური სიამოვნებისგან, რაც ამ სხვა ფიგურასთან საკუთარი თავის გაიგივებით წარმოიქმნება.

ეს ორივე ფორმატული სტრუქტურა დამოკიდებულია და მნიშვნელობას იძენს კაცი მოქმედი პირის მაკონტროლებელ ძალასთან მიმართებით. ასევე, ქალი მოქმედი პირის ობიექტად ქცეული წარმოჩენით. ფსიქოანალიტიკური ტერმინი რომ გამოვიყენოთ, მალვი დაახლოებით ამას ამბობს: „ქალის“ ხატება ფუნდამენტალურად ბუნდოვანია, რადგან საკუთარ თავში მოიცავს მიზიდულობისა და შეცდენის ელემენტებს, რაც კასტრაციის შფოთვას იწვევს. მისი გამოსახულება ასევე შეახსენებს კაც მოქმედ სუბიექტს, რომ მას პენისი არ აქვს და ამგვარად ქალი მოქმედი პირი უფრო ღრმა შიშების წყაროც ხდება. ეს კასტრაციის საფრთხეა. ეშინია მას, ვისაც დასაკარგი აქვს რამე. დაკარგვის შიშს აღძრავს იმ ობიექტის ხილვა, ვისაც უკვე „დაკარგული აქვს“ ის რაც შენ „ჯერ კიდევ“ გეკუთვნის მაგრამ მისი დაკარგვის საფრთხე „რეალურად“ წარმოიდგინება.

კლასიკური ფილმი კასტრაციის ამ საფრთხეს ორი მეთოდით გადაწყვეტს: ნარატიულ სტრუქტურაშივე ან ფეტიშიზმის მეშვეობით. ნარატივის დონეზე კასტრაციის საფრთხე ქალის დამნაშავედ მიჩნევით განეიტრალდება. ალფრედ ჰიჩკოკის ფილმები ამგვარი ნარატიული თხრობის შესანიშნავი მაგალითებია. ქალის დანაშაული ან დასჯით გაფორმდება ან მისი გადარჩენით და შესაბამისად, ტრადიციულად დასასრულიც ორგვარი აქვს ფილმს: ქალი ან უნდა მოკვდეს, როგორც ფსიქოში ხდება (1960), ან უნდა გათხოვდეს (მარნი, 1964). ამიტომ ამბობს მალვი პროვოკაციულად „თხრობა ითხოვს სადიზმს“. ფილმს გვიყვებიან და კასტრაციის საფრთხეს საღისტურად გადაწყვეტენ ჩვენთვის – მათთვის ვისაც ჯერ კიდევ

ბევრი გვაქვს დასაკარგი. ფილმი, ისევე როგორც მრავალი სამომხმარებლო საგანი თუ ნივთი კაცების ან იმ ქალებისთვის იქმნება, რომლებმაც შემდეგ ისევ კაცებს უნდა ასიაშოვნონ (ბიუუტერია, ძვირფასი ტანსაცმელი და ა.შ.).

თუ კლასიკური კინო ფეტიშიზმის მეთოდს ირჩევს, ამ შემთხვევაში ის ადგილს უცვლის არარსებულ პენისს და მას ფეტიშით ჩაანაცვლებს, ანუ სუპერ-გაპრიალებული ობიექტით. მალევი აქ მარლენ დიტრიხის ფეტიშიზაციაზე მიუთითებს იოზეფ სტერნბერგთან. მერლინ მონრო გაფეტიშებული ქალი ვარსკვლავის კიდევ ერთი მაგალითია. ქალის გაფეტიშება შედეგად ყურადღების გადატანას იწვევს იმ ფაქტიდან, რომ მას რაღაც “აკლია” და საშიში ფიგურიდან უვნებელ, ულამაზეს, სრულყოფილ, გაბრწყინებულ, გაკრიალებულ სათამაშოდ იქცევა. ფეტიშიზმი კინოში ქალის სახეს გაყინავს და ფალიკური ნორმიდან მის გადახრილად წარმოჩენას გამოიციხავს.

ამგვარად, მალვის შემოაქვს ტერმინი - „მამრის ხედვა“ – რომელიც ზემოთაღწერილ პროცესს აღწერს და ის ფილმის რთული მექანიზმების ანალიზის სიმბოლოდ იქცა. ეს მექანიზმი კი ვუაიერიზმის, ნარცისიზმის და ფეტიშიზმის სტუქტურებს ეფუძნება. ეს ცნებები გვეხმარება დავინახოთ, რომ ჰოლივუდის კინო მამრის სურვილზეა მორგებული. რადგან ეს სტრუქტურები ფუნდამენტალურად პატრიარქალურია, ადრეული ფემინისტები იმასაც კი ამბობდნენ – ქალის ფილმი უნდა გაერიდოს ტრადიციულ ნარატივსა და კინემატოგრაფიულ ტექნიკას და ექსპერიმენტული პრაქტიკა დაიწყოს. ქალის კინო კონტრა კინო უნდა იყოსო.

ფემინისტური ფილმის კრიტიკოსი ტერეზა დელორეტისი ხაზს უსვამს სუბიექტურობის დაუფიქსირებლობას, რომელიც თვითშექმნის მუდმივი პროცესია. თხრობა სუბიექტურობის შექმნის მხოლოდ ერთ-ერთი გზაა. თითოეულ მოთხრობა სტრუქტურას სუბიექტის სურვილებიდან იღებს, ასევე იმისგან თუ როგორც ეწერება ეს სურვილი სოციალურ და კულტურულ კოდექსებში. ნარატიული სტრუქტურები ოიდიპოსური სურვილით არიან განსაზღვრულები, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც სოციო-პოლიტიკური ეკონომიკა,

რომელიც კაცის კონტროლს არის დაქვემდებარებული. ამასთან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს სუბიექტურობის სექსუალური წარმოშობის შესახებ.

სექსუალობა და სიმართლის ძიების წყურვილი

სექსუალური სურვილი ცოდნის სურვილს უკავშირდება, ანუ სიმართლის ძიების წყურვილის. ეს არის სურვილი, შევიმეცნოთ კაცის სურვილები სრულყოფილად და გადავჭრათ მისთვის ამ გზაზე წარმოშობილი წინაღობები. რადგან მდებრობითი სუბიექტი თავისთავად მისტიკაა, „ქალი“ ის კითხვა რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი. და თუქალი კითხვაა, ის ვერ გამოხატავს სურვილს. როგორც შეიძლება კითხვას შეკითხვა გაუჩნდეს? მისი სურვილები არ შეიძლება იყოს გონივრული. მაგალითად ვერტიგო გამოდგება (1958), ნაწარმოები სადაც სკოტის სურვილი მისტიური ჯუდის/ მადლენის მიმართ მთლიანად ფილმის ნარატივის მასტრუქტურიზებად გვევლინება.

ნარატივი შინაარსით კი არ არის ოიდიპალური, არამედ სტრუქტურით, როლების და განსხვავებების გადანაწილებით და ამგვარად ძალაუფლების და პოზიციების მიკუთვნებით. ნარატივის ერთ-ერთი ფუნქცია, ტერეზა დელორეტის მტკიცებით, ქალის „ქალურობაში“ შეცდენა, შეტყუებაა, მისი ნებით ან მისი ნების გარეშე „ქალურობაში“ შეთრევა. ქალ სუბიექტს აიძულებენ ქალურობა სურდეს. ეს შეცდენის ხშირად ბოროტი და მეტწილად ძალდატანები თიფორმაა. აქ ტერეზა დელორეტისი მალვის ცნობილ ფრაზას ამოატრიალებს: „არა მხოლოდ თხრობა ითხოვს სადიზმს. სადიზმიც ითხოვს თხრობას“. აი რა იგულისხმებოდა, როდესაც თხრობის დასაწყისში ითქვა, რომ ეს მალვის ეს ფრაზა შებრუნებითია. ტერეზა დელორეტისი ამის მაგალითად წარმოაჩენს იმ გზებს, რომელთა გამოყენებითაც ვერტიგოში ქალებს აიძულებენ კაცს იმათ მიმართ არსებულ იდეალურ ხატებას მოერგონ. ასევე ხდება ჰიჩკოკის მეორე ფილმში „რებეკა“ (1940), რომელიც თითქოს ქალის ფილმად ითვლება.

ორივე ფილმში გამოყენებულია მდედრობითი სქესის ქალი წინაპრების პორტრეტები და ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ანალიზისთვის: ისინი მკვდარ დედას წარმოაჩენენ, იდეალს, რომელსაც მამრი გმირი ისურვილებს და მდედრობით გმირს ამ ხატებასთან მორგებას აიძულებს. დელორეტისთვის, მდედრობითი გმირის სურვილი შეუძლებლობა ხდება და ნარატიული დაძაბულობა (ჯუდის/მადლენის) ან განადგურებით სრულდება ან ქალის უბრალოდ ტერიტორიად გადაქცევით (ახალი მისის დეუინტერი). სურვილი ნარატივში ინტიმურად არის მიბმული ქალის მიმართ ძალადობაზე და კინემატოგრაფიული თხრობის ტექნიკაზე, რომელიც ერთი მხრივ ასახავს, მეორე მხრივ კი ინარჩუნებს ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებს. იდენტიფიკაცია ერთგვარი ან მარტივი არ არის. ფემინურობა და მასკულინურობა ის იდენტიფიკაციებია, რომელსაც სურვილთან ცვლად მიმართებაში სუბიექტი იღებს. პირველი ნაკრებია ცვლადი იდენტიფიკაცია. ის შედგება მასკულინურ ფილმში მიმდინარე აქტიური იდენტიფიკაციისაგან. ანუ თავს მივაკუთვნებთ სკოტის აქტიურ ხედვას და პასიური იდენტიფიკაციის შემთხვევაში ჯუდის/მადლენს. მეორე ნაკრებია ერთდროული მიკუთვნება/ იდენტიფიკაცია. ეს ნარატიული მოძრაობის მთავარ ფიგურასთან (პროტაგონისტთან) ორმაგი იდენტიფიკაცია. ამგვარი ფიგურალური იდენტიფიკაცია ქალ მაყურებლებს შესაძლებლობას აძლევს სურვილის როგორც აქტიური, ისე პასიური პოზიციები დაიკავონ – სურვილი სხვის მიმართ და სურვილი იყო სასურველი სხვების მიერ. ეს ორმაგი იდენტიფიკაცია შესაძლოა ზედმეტ სიამოვნებასაც კი გვანიჭებს, მაგრამ იგივე მოქმედებაა რითაც ნარატივი მაყურებლის თანხმობას გამოიტყუებს და ქალებს ფემინურობაში, ქალურობაში შეიტყუებს. ამგვარად ქალი სუბიექტის ცნება, უკვე წინააღმდეგობრივი ტერმინიც კი გამოდის, იმდენად რომ დელორეტისი ქალ სუბიექტს ხანდახან „არა-სუბიექტად“ მოიხსენიებს.

„ქალი“ სურვილის ფუნდამენტალურად არანარმოჩენადი სუბიექტია. კლასიკურ კინოში სურვილის მატარებელი ის ვერ იქნება. იგი

შეიძლება წარმოჩენილი იყოს როგორც წარმოჩენა, რაღაცის წარმოდგენა, წარმოჩინება. ქალი სიმბოლოა. რაღაცის რაღაცას გამოხატავს. ფემინისტური თეორია ქალის ამ სურვილის წარმოუჩინლობის შეუძლებლობის პარადოქსზეა აგებული, მაგრამ, ამავე დროს იკვლევს ისტორიულ ქალებს რომლებმაც იცინ, რომ თავად შეუძლიათ იყვნენ მოქმედი პირები, სუბიექტები. დელორეტისისთვის, „ქალად“ და „ქალებად“ ყოფნის გაცნობიერებული ყოფა ფემინიზმისთვის პროდუქციული წინააღმდეგობაა. და მაინც, ზუსტად რა კავშირია სადიზმსა და ნარატივს შორის? ან უფრო სწორად, რა სტრუქტურული კავშირია ამ ორს შორის?

შეგვიძლია ვთქვათ, თითქოს შესაძლებელი იყოს სურვილის აგენტურობის რაღაცნაირად დანახვა, ისე რომ ის ამ ლოგიკაში იქნებოდა ამოქმედებული. ამ ორის ურთიერთობათა ის აღმატებული წესრიგი, მნიშვნელობის ის ვნება, რომელზეც როლანდ ბარტი მოგვითხრობს, ყველას მეტად გვაღელვებს. სტრუქტურული მოდელები სადიზმს ან სურვილს განიხილავენ თემატური ინვესტიციის სახედ, რომელიც შინაარსის საფეხურზეა განთავსებული. ის წინასწარ ადგენს ინტეგრალურ ურთიერთობას. ეს ორმხრივ სტრუქტურალურ ურთიერთობაა: ნარატივისა სურვილთან და ამ აუცილებლობით, სადიზმთან. უცნაურია, რომ ბარტი თავის ესეს ამ სიტყვებით ასრულებს: „შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რომ იმავე წამს, რა წამსაც დაახლოებით სამი წლის ასაკში პატარა ადამიანი „გამოიგონებს“ წინადადებას, ნარატივსა და ოიდიპუსს. შემდეგ ის რასაკვირველია დაიწყებს ნარატივსა და ოიდიპოსურ სტრუქტურებებს შორის კავშირის ძიებას, რომელიც ერთ იქნება გაშუალებული და მიაგნებს ტექსტის სიამოვნების ცნებას“. ამრიგად, ბარტი გვთავაზობს დავინახოთ კავშირი ნარატივსა და ოიდიპოსს შორის, სურვილსა და ნარატივს შორის და ეს იმდენად მძლავრი არგუმენტია, შეიძლება ნარატიულობის ცნების გადახედვაც კი გვაიძულოს.

სემიოტიკამ განავითარა დინამიური და პროცესუალური ხედვა მნიშვნელობის, როგორც მომუშავე კოდების სისტემებისა. ეს არის

მნიშვნელობების წარმოება და ის მოიცავს სოციალურ სფეროში მოთავსებულ სუბიექტს. ამგვარად, განახლებული ნარატიული თეორიის ობიექტი, არანარატივია, არამედ ნარატიულობა. არა იმდენად ნარატივის სტრუქტურა (მისი კომპონენტი ნაწილები და მათი ურთიერთქმედება), არამედ მისი მუშაობა და ეფექტები. დღეს ამ თეორიის მიზანი არა ფორმალური რეტორიკისა და გრამატიკის ან ლოგიკის მიზნების შესწავლაა, არამედ სტრუქტურიზებისა და დესტრუქტურიზების, დესტრუქციის ბუნების პროცესების გაგებაა, რომლებიც ტექსტუალურ და სემიოტიკურ პროდუქციაში გვხვდება.

ბარტმა ნარატიულობის მიმართ ასეთი სასარგებლო რამ შემოგვთავაზა:

„საშუალო, ნაშრომი შეგიძლია ხელში დაიჭირო, ტექსტი კი ენაში, რაც მხოლოდ დისკურსის მოძრაობასთან ერთად არსებობს... ან კიდევ ერთხელ, ტექსტი მხოლოდ წარმოების აქტივობაში განიცდება“.

ამგვარად, იმისთვის რომ ვიკითხოთ და გავიგოთ თუ რა საშუალებებით მუშაობს სურვილი ნარატიულობასთან ერთად დისკურსის მოძრაობაში, ჩვენ გვჭირდება ყურადღება ორ ურთიერთდაკავშირებულ ფენომენს მივაქციოთ: უანრებთან ნარატივის კავშირებს და ეპისტემოლოგიურ ჩარჩოებს.

ნარატივი და ნარატიულობა ფილმში

თუ კამერის უმანკობას ვირწმუნებთ, აქ ქალების მიმართ ძალადობის სიმართლეს ვერ დავიჭერთ. ეს ძიება კონსტრუირებული, ხელით ნაწარმოები უნდა იყოს. რადგან ფილმი მატერიალურად დანვრისლებითია – ის ტოტალურად და უშუალოდ არის დამოკიდებული სოციოეკონომიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებებზე – ფილმის თეორია და პრაქტიკაც ახლოს დგანან. ეს ახლოს დგომა კი ისტორიულობის შესაძლებლობას იძლევა.

ტექსტის სიამოვნება არის ოიდიპოსური სიამოვნება (რათა ჩახადოს, ტანსაცმელი გააძროს, შეისწავლოს მისი წარმოშობა და განჭვრიტოს დასასრული). და თუ ეს სიმართლეა, მაშინ ყველა

ნარატივი, სიმართლის ყველა გაშიშვლება სცენაზე დადგმა არარსებული, დამალული, ჰიპოსტაზირებული მამისა – და ამან უნდა ახსნას ნარატიული ფორმების, საოჯახო სტრუქტურების და სიშიშვლის აკრძალვის ასეთი სოლიდარობა.

რობერტ შოლი გვთავაზობს ნარატივის და სექსუალური კავშირის ანალოგიას *reductio ad absurdum* ლოგიკით. ის ყველა ნაწარმოების არქექტიპად სექსუალური აქტს ასახელებს:

„ამას რომ ვამბობ, განა მხოლოდ ის მსურს მკითხველს ყველა სახის ხელოვნებასა და ადამიანის ბუნებაში ეროტიულს შორის კავშირის არსებობა შეეახსენო. არც მხოლოდ მწერლობასა და სექს შორის ანალოგიის კვლავშემოტანა მაქვს განზრახული. ის რაც მწერლობასა და მუსიკას სექსთან აკავშირებს ერექციის ფუნდამენტალური ორგანზმული რიტმია, დილის ერექციას გულისხმობს და მერე ერექციის წასვლას. დაძაბულობა და გადანწყვეტა, ინტენსიფიკაცია კლიმაქსამდე და მერე კონსუმაცია (მრავალ კულტურაში ოფიციალურად დარეგისტრირებული პირველი სექსის ღამე, ი.ვ.). მწერლობის რთულ ფორმებში, ისევე როგორც გედმინენით დახელოვნებულ სექსუალურ აქტში, ხელობის სიძლიერე ორგანზმის შეყოვნებაში გამოიხატება, თავად აქტი გახანგრძლივებაში. როდესაც ამ პატერნს დავინახავთ, ვხედავთ მოძრაობას კლიმაქსის/ორგანზმისკენ და გადანწყვეტილებისკენ/გათავებისკენ და სანინა-აღმდეგო პატერნს, რომ დავგვიანდეს ეს გადანწყვეტილება.“

ფემინისტი კრიტიკოსები კითხულობენ თუ რა უნდა მოიმოქმედოს ზოგმა ჩვენთაგანმა, მათ ვინც ეს ტექნიკები არ ვიცით? შეგვიძლია უბრალოდ სიამოვნება მასში მონაწილეობით, მისი ყურებით მივიღოთ. მაგრამ, ამ რითმული მეთოდის მონაწილეობით, როგორც შექსპირი ამბობდა, „ჭეშმარიტი გონის ქორწინება იშვიათი რამ არის“ და ჩვენც გვიჭირს პირველი თავების შემდეგ ამ სიამოვნების დახანება. და რადგან ვიცით, როგორც მთავრდება/ათავებენ ხოლმე ყველაფერს, უბრალოდ გვრჩება კითხვა: ხომ არ შეცდა ლორა მალვი, როდესაც სადიზმსა და ნარატივს შორის კავშირს ხედავდა? მაგალითად მოდით ვიკითხოთ, რა მოუვიდა

სფინქსს მას შემდეგ რაც ოდიპოსს გადაეყარა თებეს გზაზე? ან როგორ გრძნობდა თავს მეღუბა, პერსევესის სარკეში რომ ხედავდა იმიმას, თუ როგორ ჭრიდნენ თავს?

რა თქმა უნდა, სტანდარტული პასუხი მითოლოგიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში წერია, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, ჩვენს კულტურაში, ისტორიაში და მეცნიერებაში ვერ ნახავთ ზუსტ პასუხს. ვერც თანამედროვეობის ფსიქოტექნოლოგიებში. მეღუბა და სფინქსი, ისევე როგორც სხვა ანტიკური მონსტრები გადარჩნენ და გმირულ ნარატივებში ცხოვრობენ, ვილაცების, – არა საკუთარ ისტორიებში. ისინი ფიგურები ან აღმნიშვნელები გახდნენ ვილაცის პოზიციებში, არა საკუთარ ისტორიებში. მათზე უნდა გაიარონ გმირებმა და მისი, კაცური ისტორია გაივლის მათზე (მონსტრებზე) და ამგვარად, მათი დამარცხებით მიაღწევენ გმირები/კაცები მნიშვნელობას.

ისინი, ვისზეც გაივლიან, ქალები არიან.

შინაარსი:

- განმარტებითი ლექსიკონი === 3
- ნაწილი პირველი -- 41
- ლგბტ მოძრაობა, პოლიტიკური ბრძოლა
თანასწორუფლებიანობისთვის
- ნაწილი მეორე --- 61
- სპეციალიზებული ლგბტ მედია (პრესა, რადიო, ტელევიზია)
- ნაწილი მესამე
- LGBT ადამიანების (საკითხების) ასახვა ტრადიციულ მედიაში
- ნაწილი მეოთხე
- მედია და სტერეოტიპები ---85
- ნაწილი მეხუთე
- ახალი მედიები (სოციალური მედია) --- 95
- ნაწილი მეექვსე
- პოლიტიკური რიტორიკა, მედია და ჰომოფობია -- 103
- ნაწილი მეშვიდე
- ლგბტ, მედია და ეთიკური ნორმები --- 119
- დანართები --- 145
- იდენტობის პოლიტიკა --- 165
- რა ქმნის ოჯახს? --- 177
- ქვიარ კინო ---- 184
- ჯეინ არტურსი
- გეი, ლესბოსური და ქვიარ სექსუალობა
- ბრიტანულ სატელევიზიო დრამაში --- 198
- ადამიანის სექსუალობა --- 228
- იმიტაცია და გენდერული დაუმორჩილებლობა -- 239
- მასკულიზური სექსუალობა ადრემოდერნულ ინგლისში --- 265
- ჰომოფობია, როგორც სოციალური კონსტრუქტი -290
- მასკულიზობა როგორც ჰომოფობია -- 293
- საქართველოში ლგბტქი თემის საჭიროებათა კვლევის ანგარიში -
2010 --- 297

ⁱ<http://identoba.ge/5811>

ⁱⁱ<http://netgazeti.ge/GE/96/News/8662/.htm#.T1-PSOSwHI8>

ⁱⁱⁱ<http://identoba.ge/8432>

^{iv}http://www.media.ge/stories/identoba_telekompaniebs_